ქალები და ქალთა საკითხი საქართველოში

ავტორ - შემდგენელი
ლელა გაფრინდაშვილი
თბილისი 2024

ქალები და ქალთა საკითხი საქართველოში
WOMEN AND THE WOMAN QUESTION IN GEORGIA

ავტორ-შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი:
ლელა გაფრინდაშვილი

რედაქტორი: ელზა ნაბახტეველი
დიზაინის კონცეფციის ავტორი: ლელა გაფრინდაშვილი
დიზაინერი: გიორგი არაბული
დამკაბადონებელი: მაკა ცომაია

ფოტო წინა გარეკანზე: ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე ბახტაძე და ხონის ქალთა წრის წევრები: ეფროსინე ჭიჭინაძე, ანასტასია მამალაძე, დარია ბერძენიშვილი, ევგენია ნიჟარაძე, დარია ქუთათელაძე და სხვები
ფოტო უკანა გარეკანზე: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი

პროექტი „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოში“ განახორციელა კავშირმა „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

© ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის (WIE)

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

თბილისი 2024
ISBN 978-9941-8-7122-1

WIE
ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის (WIE)
Women's Initiative for Equality

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

სარჩევი

წინასიტყვაობა 6

PREFACE 7

ბარბარე ერისთავი – ჯორჯაძე 10
- რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზე 10
- ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ 16
- კაცებს (ლექსი) 18
- რამოდენიმე სიტყვა შესახებ კ. ბ. ჯორჯაძისა (აკ. წერეთლის წერილი) 20
- დედა შვილს (ლექსი) 24
- პოეტური გაკენწლა (მიხეილ ბეთანელის წერილი) 26

ეკატერინე მელიქიშვილი – მესხი 30
- ქალის შრომა (შკლარევსკის მოთხრობა, თარგმანი) 32
- ეკატერინე მესხი (ნინო ტყეშელაშვილის წერილი-მოგონება) 45

ეკატერინე თარხნიშვილი – გაბაშვილი 48
- გაბედნიერება („დროების“ კორრესპონდენცია ქ ა რ თ ლ ი დ ა მ) 50
- ფრთებ დაგლეჯილი (პიესა) 54
- ჩვენს ქალებს 63
- ქართველ ქალთა საქველმოქმედო პროფესიანური ქალთა სკოლა თბილისში 65
- ბატონებო! (მიმართვა ქალთა წრეების დაარსების შესახებ) 69
- წერილი რედაქტორთან 70

ანასტასია თუმანიშვილი – წერეთელი 72
- ინსტიტუტკას დღიური 74
- ანასტასია თუმანიშვილისა და ივანე გომართელის პოლემიკა: 80
  - I. გრიშაშვილის საიათნოვა 80
  - II. ხმა საქართველოს სომხისა 83
  - III. თუმანიანცის წერილის გამო 87
- ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (ანა ღვინიაშვილის წერილი) 89

ნინო აბაშიძე – ორბელიანი 96
- ვუძღვნი მარჯორი უორდროპის ქალს (ლექსი) 98
- წერილი ილიას 99
- ნინო ორბელიანისა (ეკატერინე გაბაშვილის წერილი) 100
- მივიწყებული მოვალეობა (განდეგილის – დომინიკა ერისთავის წერილი) 103

კატო მიქელაძე 104
- მილიტანტკები ინგლისში 106
- ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში 116
- „ეგ საქმე თქვენი ძმების ხელისაა“ 119
- პროგრამა ქუთაისის ინტერპარტიული ქალთა ლიგისა 121
- წერილები ეკატერინე გაბაშვილს 124

ნინო ტყეშელაშვილი 128
ნინო ტყეშელაშვილისა და რეზო გაბაშვილის პოლემიკა
თემაზე „ქალთა საკითხი“
I. რეზო გაბაშვილი 130
II. ნინო ტყეშელაშვილი 138

ბაბილინა ხოსიტაშვილი 142
ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა წინათ და ეხლა 144
ორმოც და ათი წლის მანძილზე ანუ ორ წყალს შუა 149

ლიდია მამულაიშვილი – მეგრელიძე 166
ქართველ მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში 168
ინკვიზიტორი – ჩემი სინაზე 177
ლექსები:
დღეები ბორჯომში 180
თვალებში მთვარე და ფირუზი 181

საფო გიგინეიშვილი – მგელაძე 182
ლექსები:
საქართველო 184
მტირალა ქალწული 185
კატო მიქელაძეს 186
კატო მიქელაძეს 188
მარიჯანის გამოსათხოვარი ლექსი საფოს 190
საფოს წერილი ბაბილინა ხოსიტაშვილს 191
ლადო ასათიანის და საფო მგელაძის მიმოწერა 193
საფოს წერილი ნინო ნაკაშიძეს 195
სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მწერალთა კავშირის
პირველ პლენუმზე (1932 წლის 28 დეკემბერს) 196

მარიამ ტყემალაძე – ალექსიძე (მარიჯანი) 200
წიგნიდან: შემთხვევითი თემები 202
ნინო ტყეშელაშვილის მოგონება მარიჯანზე 216
ლექსები:
A une Femme 219
აღდგენილი სული 220

ბარბარე ხერხეულიძე (დაუცხრომელი) 222
ლექცია „ბედნიერებამდის“ (წაკითხული ქ. თბილისში,
ზუბალაშვილის სახალხო სახლში 1911 წლის 9 ოქტომბერს): 224
I. ოჯახი და ქორწინება წარსულში 224
II. თავისუფლება და ბედნიერება 228
III. შესაძლებელი ცვლილებები ოჯახისა და
ქორწინებისა ბედნიერებამდის 230

ნინო ანთაძე – ნაკაშიძე 234
სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი: 236
წერილი I 236
წერილი II 238

მარიამ თათეიშვილი – რატიანი (გარიყული) 242
წერილები ეკატერინე გაბაშვილს: 244
ძვირფასო დედა კატო! 244
დედის მგზავსო საყვარელო კატო! 244
ძვირფასო დედა კატო! 246
ჩემო მეორე დედა კატო! 247

ეფემია მესხი (რიონელი ქალი) 250
წერილები:
მოქალაქენო! 252
იდეური მებრძოლნი 255
ჩვენ და პარტიული თუთიყუშები 258
მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი 260

ნინო ტატიშვილი – ყიფიანი 262
მოწოდება სწავლა-განათლებისათვის: 264
ჩეხიის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება „მატიცა“ (თარგმანი) 267

ანა ღვინიაშვილი 274
მივიწყებული კალამი (დარია ახვლედიანის 25 წლის სამწერლო
მოღვაწეობის საპატივცემოდ) 276
ფსიქოლოგიური სინამდვილე ჯაყოს ხიზნებში 281

კლარა აისნერი – ცეტკინი 296
დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა 298
ცვლილება დედაკაცის ეკონომიურ მდგომარეობაში 298

ავგუსტ ბებელი 302
დედაკაცი და სოციალიზმი 304
ქალთა უფლებრივი მდგომარეობა 310
ბრძოლა მოქალაქობრივ უფლებათა გათანასწორებისთვის 310

ალექსანდრა დომონტოვიჩი – კოლონტაი 318
დედაკაცის მდგომარეობა მეურნეობის ევოლუციაში: 320
„ფემინისტ“ ქალების მოძრაობა და მუშა-ქალთა მონაწილეობა
კლასობრივ ბრძოლაში (ლექცია) 320

წინასიტყვაობა

საქართველოში „ქალთა საკითხს“ მეტად საინტერესო ისტორია აქვს, რომლის შესწავლამ მრავალ იდეურ და მებრძოლ ქალს გადამყარა. მათი შემოქმედებითი და პოლიტიკური თავგადასავალი ერთი მეორეზე შთამბეჭდავი, უნიკალური და შთამაგონებელია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ქართველი ქალები განუწყვეტლად და დაუღალავად იბრძვიან პირადი, თანამებრძოლი და თანამოქალაქე ქალების ემანსიპაციისთვის: განათლების, შრომის და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად.

ქართველი ქალების შემოქმედებისა და მოღვაწეობის გაცნობა-გაანალიზება წლების განმავლობაში მარწმუნებდა, რომ ქართული კულტურა ქალების კულტურაა, მათივე გადარჩენილი, შენახული და თაობებისთვის გადმოცემული.

ამ წიგნის მომზადებისას გამუდმებით ვფიქრობდი, თუ როგორ შემეთავაზებინა მკითხველისთვის ქალთა განთავისუფლების ისტორია ისე, რომ მისი შემოქმედი ქალები სრულყოფილად წარმომეჩინა. ამიტომ გადავწყვიტე – ერთად წაგვეკითხა მათი პუბლიკაციები, ლექსები, მიმოწერა, ერთმანეთის ბედზე და აზროვნებაზე დაჩნეული კვალი, პატრიარქატული ჩაგვრის დანახვისა და კრიტიკისადმი მიძღვნილი ტექსტები. ამ გზით ჩვენ ვკითხულობთ ქალების ცხოვრებას და არა მხოლოდ მათ იდეებს.

„ქალთა საკითხის“ ქართული ისტორიის ასეთი წაკითხვით შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ, გავიაზროთ, გამოვიყენოთ და განვავითაროთ ჩვენი წინამორბედების დანატოვარი.

წიგნის – „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოში“ – გამოცემისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) წარმომადგენლობას საქართველოში.

ლელა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
კავშირის „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ თავმჯდომარე

PREFACE

"The Woman Question" in Georgia has a fascinating history that led me to discover numerous thoughtful and pioneering women whose creative and political journeys are impressive, unique and inspiring.

Since the second half of the XIX century, Georgian women have fought for their own and their fellow women's emancipation, persistently striving to gain educational, labor and political rights.

Years of researching their work and creations have convinced me that Georgian culture is, in essence, women's culture – created through their efforts, preserved by their dedication, and transmitted across generations.

While working on this book, I continuously contemplated how best to present the history of women's emancipation to readers in a way that would extensively represent its women creators. I decided to approach this through their poems, correspondence, and writings, their influence on each other's destinies and thoughts, and their texts identifying and criticizing patriarchal oppression. This approach allows us to read not just their ideas, but their lives.

Reading the history of "The Woman Question" in these terms gives us the possibility to see, acknowledge, utilize, and develop the legacy of our ancestors.

I want to express my gratitude to the Friedrich-Ebert-Stiftung South Caucasus Office (FES) for making the publication of "Women and 199 The Woman Question in Georgia" possible.

Lela Gaprindashvili

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Head of Union "Women's Initiative for Equality"

ბარბარე ერისთავი – ჯორჯაძე

1833–1895

რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზე

გამოთქმა ესე იქნება იყოს ჩემგან კადნიერება, მაგრამ ამგვარი კრძალულებაცა, საფარუელია უდებებისა. გული სიმართლისათვის არის, ბოროტსა ამხილებს სინიდისი და უმჯობესი არის, რომ განვიშორო დამაბნელებელი ნისლი, რომელსაცა გარე მოუცავარ და შით ჩავარდნილვარ სევდის ჯურღმულში. – სადაც იპოვება ნაპერწკალი ჭეშმარიტებისა, განაბრწყინვოს სხივი, რომელმანცა იქნება განგვაღვიძოს.

რასაკვირველია, ძველს დროში წინაპარნი ჩუენნი, არ მოიგონებდნენ შემდგომთა მდგომარეობათა თვისის ჩამომავლობისათა, რომელ სავსება ბუნებისა და სიმრავლე წეს-დებულებისა გარდაიქცეოდა ხრწნილებად და ცრემლნი სარწმუნოსა ქრისტეს მოყვარეთანი მიიქცეოდნენ უქმად. – ახალი ესე ყოფაქცევა, რომელიც ზოგიერთთ ეგეოდენს იდუმალობითს მწუხარების ბორბალს დაგვიტრიალებს თავზედ და არ უწყით რაღა ვჰყოთ, ცოცხლივ სიკვდილისა გემოსა მხილუელთა. – მათ წინაპართათვის წარმოსადგენელად რა სახმილი აღგზნებული იქნებოდა სასჯელად, – ეს ნეტარება იყო, რომ ღმერთს, როგორც კაცება სრული მოუნიჭებია, ეგრეთვე ერთი წესი და მდგომარეობა თანავე დაედევნებინა; როგორათაც ერთი მნათობთაგანი ვარსკვლავი თავისუფლებით მირბის უზრუნველად და არა აბრკოლებსრა, რადგან ისე დაწესებულა; გარნა ჩუენ კი ამისთანას მძიმეს კავშირით შევჰკრულვართ. ეს ტანჯვა და უხილავი ძალა რავდენ რიგათ გულში განგველტვის. – ნეტა არის საკმარისი ეს ცხოვრება, რომელიც უნამეტნავესი ნაწილი სიმწარით გვეჩუენება: არა გვმართებს გონების შემოკრება? რომ შეიმუსროს უწესობანი და ვნებანი, მოგვეცეს რაიმე სულის სიმშვიდე, რომ არ ვსწყევდეთ ყოველს ჟამს ჩუენს ეტლს.

ნათლად ვხედავთ, წარსულა, განმქრალა, ფერფლიც აღარ იპოვება ძველის ყოფაქცევისა, მათ წინა-პართა თანავე დაგვიკარგავს, ცარიელი სურვილიღა მოგონებისა ჩუენ სამწუხაროდ.

ამასკი ყოველი პირი იტყვის: როგორ მტრის ტანჯულობისა და დახშულობისაგან გამოვსულვართ, ნუ თუ ჩუენ ამ დროებისაგან უნდა დავმდაბლებულვიყავით, სადაცა იმ ყოვლის მხრით შევიწროვებულს მდგომარეობაში. – ვისიც სისხლის წუეთნი ჩუენა ვართ, ისე აღუმაღლებიათ განათლებით თავი, რომ თვისის ენა ტკბილ გემოვნებით, ბუნებით შხამიც წარუხოცნიათ სხუათა შორის. რასაც განათლების ნაწილად ეხლა ხადიან, მგონია მზგავსება არა ჰქონდეს, ერთი სულელისა და უგვაროსთვის მხუედრს, რომ ოქრო მიუცია რომელმაც არცკი იცის მოხმარება რა არის და იმ სიმდიდრესთან ეს გამოხატულებაცა აქვს ყოველს გვარიანსა და საჩინოზედ შური იძიოს, და დაამდაბლოს. – მეორედ ენის გამახვილება, რომელიც საზოგადოებაში, სამსალათ მუშაობს და ბუნების ზნეობისათვის გადაუჭარბებია და რავდენის ბოროტობით აყივნებს უმანკო სულთ.

ამ გვარს ლაპარაკზედ ვინ უნდა დაემოწმოს, ცოცხალი ვინ უნდა დამარხოს, მაგრამ ბეჭედს ისე ასმენ, როგორც თვალით ნახულს რასმე, ვინა ცდილობს მაშინ იქ სამართალს? ისე მიზდევენ იმ სიტყვას, როგორც მზისაგან გაბრწყინვებულს ნათელს დღეს. – ყოველნი პირში შეჰყურებენ და რაცხუენ ახალ ანბათ ერთმანერთის მითხრობით. – ამას კი აღარ ფიქრობენ, დღეს თუ ერთს მოჰკლავს, ხუალ მეორეს. ნათქუამია: ბრმა ბრმასა რა წინა უძღოდეს, ორნივ მთხრებლსა შთაცვიანო.

განა ამისთვის გვმართებს ოხვრა ძუელის ყოფა-ქცევისა, ჩემს უფროსთან, რომ მე შევეჭამე ბუზებს და ხელი არ გამექნივა: იმ მოთმინებისათვის, იმ პატივის ცემისათვის, რომელიც დაემკვიდრებინათ, იმ გულის შეურყევლობისათვის, რომელიც სიმდიდრით ვერ მიიზიდვიდენ, ღუთისა და კაცის სიყვარულისაგან; იმ წრფელის სიტყვის და წესის დაკრძალულებისათვის, რომ ჭეშმარიტის დამნაშავესათვისაც ისე დაუფარებიათ კალთა და არ შეუბღალავთ განქიქებით.

რადგან კაცი პირველიდგანვე ამაოებას დამორჩილებია, ამისათვის ერთის ძალითაცა ვჰკვნესით და არავინ არის უცოდუელ. – თუ მაშინ დარჩენილიყო უბრალო, ჩუენც მზგავსადვე ვიქნებოდით. ამის განმკითხუელია თვით მხოლო, რომელსაც მიტევებაც სამოც და შვიდ გზის უბრძანებია. ეს საგანი და ის საგანი ერთმანერთს არავინ შეამზგავსოს, თუ კაცს თვისი ცხოვრება ზეცის მნიშვნელობაში გარდაუტანია, ეს სოფელი სრულებით ეჩუენება ნივთიერად და ამაოდ.

ჩუენ ეს უნდა ვსთქუათ რაიც ჩუენს მოქალაქეობას მიეწერება და ახლანდელს ცბიერს სასოებას და ცბიერს სიყვარულს გარდასცვლის ანუ მომწყვლელს ენას შეაბორკილებს. – დრო არის შევიკრიბოთ ძუელის ყოფა-ქცევის განმანათლებელი და შესანიშნავი, აგრეთვე ახლის ყოფა-ქცევით, რომ იმ შეკრებით გამოხდეს ალაბასტრი ჩუენ სამკურნალოდ და დაგვინერგოს ნაყოფი სიტკბოებისა.

მივხედოთ, როგორ სიზმარივით განმქრალა, აჩრდილიც აღარ იპოვება კუალთა, რითაც ჩუენ ვიყავით ამაღლებულნი და რაი დიდს გვარსა და კეთილშობილებას ეკუთვნოდა, ამ სახელს აქუნდა შთამომავლობით შეძინებული. – დაირღვა, დავმდაბლდით. ნუ თუ ამაზედ არავისა აქუს გულის ტკივილი? ვინ შეგვიმზადა ეს თილისმა, ცისკრის სხივს რას დავინახავთ მძინარენი. დავრწმუნდეთ, რომ ბედს მოსწყენია ჩუენთან ცხოვრება და უსაჩუქრებივართ ტანჯვისათვის.

გუშინდელი ანბავი და საცოდავობა ვის არ ეხსომება, ორთ შეთვისთ მოხუცებულობის ჟამს ცუდმა ენამ რომ განუქროთ სანთელი; მე თითონ ჩემის თვალით ვნახე. – მაისის 27-სა მშუენიერი საღამო იყო, თვითქმის ყოველ სულს გაიწუევდა სასეირნოთ, და მეც გამოველ ნადიკუარზედ. შორითვე მოჩანდა, რომ კიდევ რამდენიმე ბანოვანნი აშუენებდნენ მდელოს. – მიახლოვებულს ისინიც მომეგებნენ წინ და ღიმილით მოვიკითხეთ მცნობთ ერთმანერთი; ამათში ერთს ყმაწვილს-ქალს თვალი შევასწარ, ჯერ ნაცნობ სახეთ აღმიჩნდა, შემდგომ შეცთომას მივაწერე. ხმა არ გავე, ერთს ჩემს მეგობარს იმისი ვინაობა ვჰკითხე:

– რას ჰბძანებ! მართლა ვეღარ იცანო? ეგ ჩემი ბიძაშვილი არისო.

– ოჰ! ეს ის მშუენიერების მაგალითი როგორ იქნება, რამ წაიღო მაგის

ფეროვნება? სასტიკი სნეულება შეხებია მაგის უმანკოებას!

ჩუმის ხმით მიპასუხა:

– გეტყვი, იქით გავიაროთო, მაგასკი ნუ გააგონებ თუ ვერ იცან, ეწყინება საცოდავსაო.

ორნივ განსაკუთრებით შორს გავდექით და დავიდოდით, ჩემი გული ღელავდა მანამ მოჰყვებოდა ლაპარაკს. ბულბულის ხმა ბუჩქებიდან კვნესასავით მოისმოდა და გულში რაღაც მტკივნეულობას მაგრძნობინებდა; გაკაშკაშებული მთვარე საამოდ თავს დაგვტრიალებდა.

– ვიცი, საყვარელო მეგობარო! ჩემი დამოწაფებული გული დაიცვამს ამ საიდუმლოს. ეს ქალი ერთი წელიწადია დანიშნულია, კარგსა და ჩინებულს ყმაწვილს კაცზედ, ახლა როგორც ამ დროებას შეეფერება გახშირებული მისვლა-მოსვლა საქრმოსი, სჩანდა, რომ დიდი სიყვარული ანთებულ იყო ორთავეს გულში, მაგრამ მაგათს ოჯახის მტერთ ასეთი ძაგება განუფენიათ ქუეყანაში ყოვლის შინაგანის თვისებისა და იმ ცუდს ლაპარაკს ასე დაუშრეტნია იმ ყმაწვილის აპრიალებული სიყვარული, რომ აღარც თითონ გაუვლია, სამსახურს იმიზეზებს და წიგნიც მოსწყვიტა. ამით ესენი დიდ ეჭვებში ჩაცვივნილან, და ეგ უმანკო ქალი ფიქრით მაგრე ჩამოჭკნა.

მე დაგარწმუნებ ღუთის სახელით, რომ სახის მშუენიერებას სრულებით დაგავიწყებს მაგის ხასიათი, ზეციური სიმშვიდე თითქოს მარგალიტი შეერჩიოს, ისეთის სიფრთხილით შეურჩევია ყოფა-ქცევა. საზოგადოებაში ისე რიგათ არის გამოსული, თითქოს ეს სოფელი არა რად მიაჩნიაო, ამაყობაშიაც ართმევენ იმ ნაზობას, შურით თვალებსა ხუჭვენ, როდესაც გაერევა თავის ტოლებში. ძნელათ იპოვება მზგავსი, მაგრამ ვინ იცის, რას არ ანბობენ, ისინიც კი ვისაც თვალი არცკი მოუკრავთ მაგ ქალისათვის და რომ ჰკითხო, ფიცით ღმერთს ჰგმობენ.

– იმ ყმაწვილს რაღათ დაუჯერებია ისე გაუსინჯავად? ხომ ჰხედავს რაც არის, ეგ საწყალი ქალი ფიქრს რომ მაგრე მოუკლავს, სახე სახეს ვეღარ მიუმზგავსე, რა უბედურებაა!

– რაკი ერთი და ორი პირი იტყვის რასმე თვალით ნახულს, ისე ვიღა ერწმუნება როგორც ჭორათ გაგონილს, მეტადრე ცუდს ანბავს, იმისთანას საუკუნეში ვართ. – მე მეფიცებოდა გუშინ, რომ ვანუგეშებდი, ჩემი გული სიკუდილს გარდა არავის ეკუთვნისო და ღუთისათვის შემიწირავს გუნდრუკის წილ ჩემი სულიო. მგონია დასჯისკი ჭეშმარიტი ღმერთი ჩემს უბრალო მკვლელთაო.

– მგზნებარე ცეცხლი მეკიდება. ღმერთო! ეს რა ცვლილებაა, ჩუენ ახლა უთუოთ თუჯის ადამიანები უნდა შევიქნეთ, თორემ ვინ გასძლებს, თუ ძუელის ყოფა-ქცევით იქმნება, ხალხისაგან მოძაგებულია და უზდელათა სჩანთ, თუ ამ დროების ყოფა ქცევით, და ვინ იცის რას იტყვიან, თუ თვალში ჩინიცა გაქუს, როგორც მაგ ქალს! რამდენის კიცხვით გაათავებენ, ნეტა რომელს უნდა დავემყარნეთ.

– ამისთვისაც თანა წარვხდით, მე არ ამიგდეს მასხარათ და კამედიათ გამხადეს. – დეკემბრის ნ-სა ერთის თავადის დაბადების დღეს მიმიწვიეს, როდესაც რომ სტო-

ლი დასდგეს, სულ სახსნილო საჭმელები მოჰქონდათ, და ყოველთ ხელი მიჰყვეს. მე ჩემს დღეში არ შევხებივარ და მაშინ მითომ რაღათა ვსჭამდი; უყურე, ბევრმა გაიცინა ჩემზედ და ანიშნებდნენ ერთმანერთს. წარმოსთქუა ერთმა: ნეტა ეს მარხუა ვიღა სულელს კაცს შემოუღიაო, რომ ასე სწამთო? მეორე: დიახ, ესკი დიდი რამ არის მარხვის საჭმელმა მომკლას და სხუაკი არა მესმოდესრა. – დამიწყეს, აიღე, მიირთვი, თორემ გაუნათლებლობაში ჩამოგართმევენო. მე ძალიან მეწყინა და უპასუხე: ნეტა რას ბძანებთ! მარხუა აღარა არისრაო, სხუა და სხუა ამ გუარი საგნები აღარა ფერივო, და მაშ რიღას სმენასა ბძანებთ. მიპასუხა: რა გაჯავრებთ, ბატონო! ებრაელნი კი არ იმარხვიდენ, რაღაცა სარგებლობა ნახესო. – დიახ, ეგ ჭეშმარიტი, ისინი იმარხვიდენ სჯულის დებიდგან შვიდეულს და ოც და მეერთემან აბრამმა სამკეც გარდასცვალა, და უფალმან ჩუენმან ორმეოცად, მგონია სულელს კაცს არ შემოეღოს. – რადგან მაგრე გრწამთ, რატომ მონასტერს არ შეუდგებითო.

გარწმუნებთ, იქ უფრო საუკუნო განსასვენებელს და ნეტარებას დავიმკვიდრებთ, მაგრამ ეგეც თავისუფლებაზედ არის დამოკიდებული. – ოჰ! რაო? თავისუფალი არა ხართ, ერთის სიტყვით, ყოველი პირი თავისუფალია, მე გარწმუნებთ, ღმერთმა როდესაც კაცი დაბადა, სრული უფლებაც მისცა; არას დროს, რაკი ეს უბძანა, ამ ძელს არ შეეხო, სხვას ყოვლის ხისა შეგიძლიან იგემოვო, ის თავისუფლების აღკრძალვის ნიშანი არ გახლდათ და თუ ეს არ ყოფილიყო ბოროტი ძალი, თვისი წილ მდგომს რაღაზედ შეაცდენდა? – ეგ კარგი, მაგრამ, თუ თავისუფლება არა ჰქონიყო, ხომ იმ ძელს ვერც შეეხებოდა, და ჩუენც შეგვიძლიან ბოროტი, თუ კეთილი აღსრულებაში მოვიყვანოვო.

– იმ აღსრულებამ, თუ თავისუფალი ხარ, აღარც უნდა დაგსაჯოს, კაცსა აქუს სინიდისი, სიყვარული და სჯული, უღელი შებორკილებისა, და ეს თქუენ წარმოიდგინეთ, რა სწარმოებს მათ მიერ, კაცი მართალია მღუთისაგან არის თავისუფალი, ამ სოფლად არ განიკითხავს დამნაშავეს.

– მაგას უსწავლელი ხალხი ანბობს, მეკი არა მწამსო.

ამ საგანზედ ბევრი ლაპარაკი შესდგა, მაგრამ სახლის პატრონმა გაგვაწყვეტინა, და ერთს ქალს ჰკითხა: თქუენ როგორ გადარჩით? 1854-სა ივლისის 4-სა, შამილმა რომ ჯარი წარმოგზავნა და მოეფინა კახეთის სოფლებს?

– ვინ მოიგონებს მაშინდელ ანბებს. ამ სოფლის ღელვას არა აქუს საზღუარი.

– გამიგონია თქუენი სულგრძელებით დიდი მოთმენა, უთუოთ უნდა გვიანბოთ.

– დიახ, მე მაშინ ჩემს სახლში ვიყავიო, კარებიდან დავინახე, რომ რამდენიმე სოფლის კაცნი და დედაკაცნი მირბოდნენ ყვირილით, არიქა ჯარი შემოვიდაო. დილის ცხრა საათი იყო, ჩემი მოსამსახურენი აქეთ-იქით საქმეზედ მყვანდა გაგზავნილი. წამოვხტი საჩქაროდ, გამოველ გარეთ, აღარსად კერძობა, აღარსად ცხენი და ჩასაჯდომი რამ, შევბრუნდი შინვე, შევიხედე, ყოველი ჩემი საცხოვრებელი გაშლილი ჰყრია, ვიფიქრე, ნივთი რამ გამეტაცნა და ავიღე ხელში, მაგრამ, რომ მივიხედე და დავინახე ჩემი სასოება მშუენიერი ხატები იქა მრჩებოდნენ, მოვიქნიე რაც მეჭირა და გადავყარე, გავხსენ შალი და ჩავაწყე ოთხი მძიმეთ შეჭედილი

ხატები, წამოვიკიდე და მეც გამოუდექ მდაბალს ხალხს ქვეითი, ისინი მირბოდნენ მთისკენ და მე უკან მივსდევდი. რა რომე დავიღალე, ვიფიქრე იქ დამეწყო სადმე, მაგრამ შიშის ზარი განმვლტოდა გულში, და არ მივხედე იმ დაღალულობას. სამი დღე იმ ყოფით ვირბინეთ აქა-იქ, შიმშილით შესუსტებულს ვინ იცის ვინ მომაწოდა მადლისათვის ერთი ლუკმა პური და როდესაც მიმეძინებოდა სადმე, რამდენი მავნე წარმომიდგებოდა თვალებში. როდესაც მოვბრუნდით შინ და ვნახე ჩემი სახლი დამწვარი და საცხოვრებელი შამილის ჯარისაგან გაზიდული, წარმოიდგინეთ, რა რიგათ შევსწუხდებოდი და როგორს შევიწროებულს მდგომარეობას მივეცემოდი. მაშინვე ჩემს მონათესავეთ ვსთხოვე შემწეობა, რომ სული მომებრუნებინა, მაგრამ ერთმა ზედ არავინ შემომხედა და ვისაც გაეგონა ეს ანბავი, ჯავრობდნენ თურმე ჩემზედ – რა უგუნურებაა, რათ უნდოდა იმ სულელს ის ხატებიო, ნივთი რამ გაეტანა, ის არ ერჩივნაო. რაც უნდა სთქონ, მე მფარუელად რისაც სახე წარვიმძღუარე, იმათვე შემომზღეს და შემიძლიან ისევ ვიცხოვრო.

– მოთმინებისაგან იყო ყოველი გამოცხადება ქუეყანაზედ ჩემო საყვარელოვო! – უპასუხა სახლის პატრონმა, – ნუ მოგხედვენ, შენ ძალი ღუთისა გიყვარდეს, გეყოფა მგონია, იმათ იცინონ შენზედ.

– აი, ამ საუკუნის ხალხი, სიყვარული და ქრისტიანობა, მიკვირს ღმერთმანი, ქრისტიანობის ბეჭედით რიღასთვისა ვართ შებეჭდილნიო.

მე უთხარ:

– მართალსა ჰბძანებთ ჭეშმარიტათ, ეხლა ღუთის სიყვარული დაიჩემეთ. იცოდეთ, ხალხი ტუჩს აგიბზუკებთ, როგორც მე წეღან მარხვის უჭმელობაზედა მეთქი.

– უცხოთ გავერთვი ამ ლაპარაკს, მაგრამ აგერ ქალები გვეძახიან, მგონია დრო არისკი შინ წასვლისა, შეგაწუხე ამთენის გამოკითხვით, მშვიდობითო! – და გამოვეთხოვეთ ერთმანერთს, გავსწიეთ თავ-თავის სახლებისაკენ.

ეს ჩუენი ლაპარაკი და საიდუმლო ერთის თვის შემდგომ ასე გამოცხადდა, რომ იმ ქალის საქრმომ დაიწერა ჯვარი ერთის დაბლაჯულის დაბალის კაცის ქალზედ, მაგრამ დიდის მზითვით, და ის მაძაგებელნი ქალისა უგზავნიდნენ მოციქულებს იმ ქალის მამას და თავიანთთვის თხოულობდნენ მეუღლედ. არ გასულა შემდგომ ოთხი თუე, რომ ერთმა თალხათ მოსილმა მსახურმა შემოიტანა სია მიპატიჟებისა, გარდაცვალებისათვის იმ მშუენიერის უმანკოს ქალისა. ოჰ! ვინ მოსპო, ვინ არის პასუხის მგებელი? განიხაროს მხოლოდ იქ, სადაც არის საუკუნო განსასვენებელი და ვიცით წარსდგება სამსჯავროში პირ ნათლად, როდესაც მოვა ის მეშვიდე დღესასწაული, დღე მოლოდინებისა, რომელსაცა სასოებით მოველით მორწმუნენი. – იტანჯოს, იტანჯოს, მცირეს ხანს გაგლეჯილი გული მოხუცებულის დედ-მამისა: ჩქარა მოეწევიან კუალსა თავიანთ სასურუელისას.

ჩუენ დავინახოთ ეს და შევაბორკილოთ მწარე მომწყვლელი ენა, არ შევიბრალებთ მოყვასნი ურთიერთს? აბა, რა ვართ და რათ უმზერთ ცასა ხილულს, ანუ სოფლის მშუენიერებას, გონების მატყუევებელს; ეს არის უპირატესი ქუეყანაზედ

ჩემს გამოხატულებაში მდუმარება და მყუდროება, რომელიც ამ სოფლის მიუხდომელია და უცნობელი, ის არ იქნება უთოოთ ბედის მგლოვიარე და მისთვის აქ დაშენებულია სასუფეველი.

მივხედოთ იმ სამართლის მამასაც, როგორის გულის შემატკივრობით გვამხილებს ჩუენს უწესობას, თვით რომ უწოდებია სახელი მოლაყბეობისა, რომელსაც აღუწერია ქალების შესახები ხაბარდა. ჩუენ ამაზედ ერთ პირად არა გვმართებს მადლობა? – თუმცა, ჩემის აზრით, მოდა განსაკუთრებით არ მიეწერებათ ქალებს, რომელთაც თვისის უბრძნულის სიტყვიერებით გამოუყვანიათ დაუღამებელ მთიებად საქართუელო; თუ ასე იქნება, ვითა პლანეტნი გვშორვენ, ეგრეთ ჩუენ დავშთებით.

კნ. ბარბარე ჯორჯაძისა
1860 წ. სეკტემბრის 27-სა.
ს. გრემს.

ჟურნალი „ცისკარი“, 1860, № 11, გვ. 445-458

ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ

პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედა-კაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ: „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმა-გაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო; სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“. თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველ გვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო“. გაიფართოვა გზა და დედა-კაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო, – რა იყო უფრო დაემონავებინა.

მართალია, დედა-კაცისათვის თვით ბუნებას არ მოუცია ვრცელი ასპარეზი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დააწვება ოჯახის მოვალეობა; მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის გაწევა. მამა-კაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედა-კაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არცარა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი...“ და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა მოსათინთლავი სიტყვებით: „მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო“.

ახლა ბრძანეთ, ამ გვარ გზაზედ დაყენებული უსწავლელი და შებორკილებული არსება, პირუტყულ წრეში მყოფი ცუდიც რომ გამოსულიყო, ვინ იყო პასუხის მგებელი? ამოდენი საუკუნოების განმავლობაში ამ გვარად მომდინარეობდა ქალების ვითარება და ყურადღება არავისა ჰქონდა მიქცეული, მხოლოდ კაცთა გამოხსნისათვის განხორციელებულმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: „არა არს გარჩევა არცა მამა-კაცთა და არცა დედა-კაცთაო“. მაგრამ რა წრესაც კი პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამავლობად მიაჩნდა.

საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ

განათლება არ მისცეს, თავიანთ დედა-ენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა. ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არ ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღზედ იყვენ დაყუდებულნი? თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია. მაგრამ ნებროთის ციხის მზგავსად ენის არევა რომ მოხდა, ძველმა დედა-კაცებმა ვერ შეიშვნიეს და ახალ თაობასაც არად გამოადგათ; დაბრასტული და ჩაკონკილი, ნაკუწ-ნაკუწსავით ერთი სიტყვა ერთი ენიდან შესწავლილი და მეორე, მესამე სხვიდან, აბა რა დიდს განათლებას და სიმდიდრეს შესძენდათ? ამ წეს-წყობილებიდან გამოვიდა: მოდა, თეატრი, ბალი, ვეჩერი და ბულვარზედ სეირნობა.

დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა; ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედა-კაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს-რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუ კი საქმეს უშველიან რასმე.

ბარბარე ჯორჯაძისა

გაზეთი „კვალი“, 1893, 18 აპრილი, № 16, გვ. 1-2

კაცებს

მიკვირს გულში რათ ჩაგეჭრათ,
კაცთ ქალების მეშურნობა?
როგორც ნივთი დაგიპყრივართ
და არა გაქვთ ჩვენი ნდობა.

სულ გვძრახავთ და სულ გვაძაგებთ,
არც ჭკუა აქვთ, არც გრძნობაო,
რა ესმით, რას გააგონებთ,
რომ არა აქვთ გონებაო.

ქალმა გიხსნათ სატანჯველით,
შეგაერთათ ზეცის ძალსა,
გაგიბრწყინათ ბნელი ნათლით,
რომ იაროთ გზას უვალსა.

დაცემულნი აღგადგინათ
და იტვირთა თვით ძე ღვთისა,
რომ სამოთხე კვლავ გეპოვნათ
და მოესპო წყევა ისა.

ქალი იყო წმინდა ნინა,
რომ კერპობა დაარღვია,
ქრისტეს მცნება დაგვიდგინა
და ხელთ იპყრო ივერია.

თამარ მეფე, გმირთა-გმირი,
ქართველთ სახელის მომფენი,
ვინც გაჰკურნა ქვეყნის ჭირი
და ადიდა ჩვენი ძენი.

მრავლის ტანჯვის მიმღებელი,
ის ქეთევან დედოფალი,
ვით დაიცვა ქრისტეს რჯული
და ეწამა ტურფა ქალი.

ხომ ასეა და რათ გვჩაგრავთ,
რათ გვაყენებთ ამდენს ვნებას?
ძალის-ძალით თვალებს გვიხვევთ
და ცდილობთ ჩვენს დამუნჯებას.

მშობელს დედას, ცოლს და ასულს,
ასე როგორ დაამდაბლებთ?
ცბიერათ ხდით, უწუხებთ სულს,
ბოროტებას მუდამ სწამებთ.

მათ სიტურფეს ჯადოთ სახავთ,
მაშ თქვენ რაღათა ტყუვდებით?
რაკი კეკლუც ქალსა ნახავთ,
გადირევით, შეიშლებით.

დარწმუნდით, რომ ამხანაგათ
შევქნილვართ და უნდა ვიყოთ;
მაშ აღგვზარდეთ ზნითაც კარგათ,
რომ ყოველ მხრით სრულნი ვიყოთ.

ბარბარე ჯორჯაძისა

გაზეთი „კვალი“, 1894, 13 ნოემბერი, № 47, გვ. 12

რამოდენიმე სიტყვა შესახებ კ. ბ. ჯორჯაძისა

გოლვიან ზაფხულში, როცა სიცხით დამწვარი და ნაყოფის ვეღარ აღმომცენი დედა-მიწა მხოლოდ მარტო მტვერს იდენს გახურვებულს ზურგზედ, სადმე მოწმენდილ ცის კიდეზედ ერთი ნაგლეჯი ღრუბლის, თავის თავად ვერ შემძლებელი ვერც ჰაერის გაგრილებისა და გაწმენდისა და ვერც დედა-მიწის დალბობისა, ყოველის კეთილ-მუშაკის გულს ახარებს!.. სურვილი მოჰგვრის მას სხვა და სხვა იმედებს და სიხარულით ეუბნება კეთილი მუშაკი თავის თავს: „კიდევ სადმე გამოჩნდებიან, ღვთის მადლით, ამ ცაზედ სხვა ნაგლეჯებიც ღრუბლისა, შეუერთდებიან ერთმანერთს, დაჰფარვენ სრულიად ცას და იწყებენ წვიმას, რომლითაც გაიწმინდება ჰაერი და იხარებს დამბალი, გულ-გამაძღარი და გულ-უხვი დედა-მიწაც“.

ამ ღრუბლის ნაგლეჯის მსგავსად მოსჩანს ჩვენში ჯერ მხოლოდ მარტოთ კ. ბ. ჯორჯაძისა, რომელსაც შეეხება ეს ჩვენი სტატიაც. მაგრამ ჯერ გვსურს, რომ აქ წარმოვსთქვათ მოკლედ რამოდენიმე ჰაზრი საზოგადოთ დედაკაცობის ღირსებაზედ, როგორც დედობაში, ისე ცოლობაშიაც.

ერთის სიტყვით, დედა-კაცი არის ჩვენის ცხოვრების გვირგვინი, მაგრამ რათი უნდა აგვირგვინოს მან ჩვენი ცხოვრება და გვინეტაროს სხვა და სხვა მიზეზებისა გამო გამწარებული სიცოცხლე? სიყვარულითო — გვეტყვიან.

დიახ, სიყვარულით! ჩვენც ვუპასუხებთ: იმათ უნდა დანერგონ ჩვენში სიყვარული და აღგზნან ჩვენს გულში ტრფიალება, მაგრამ ოცნებითი სიყვარული კი არა, არა, ის სიყვარული, რომელიც აპატიოსნებს კაცს და რომლის საფუძველი არის პატიოსანი შრომა და განათლება!

რა გვარი ღირსება ეჭირვებათ დედა-კაცებს, რომ ამგვარი სიყვარულის აღგზნება შეიძლონ ჩვენში? სილამაზეო! — მიპასუხებენ. იმ გვარი სილამაზე, სიტურფე და კეკლუცობა, რა გვარიც აგვიწერეს პოეტებმაო! და მართლათაც, აღტაცებულ პოეტებს არ დარჩენიათ, სილამაზის იდეალის გამოხატვის დროს, აუწერელი არც შავი თვალები, არც ბროლის კბილები, არც საროს ტანი, არც თმა-გიშერი, არც შვილდივით მოხრილი წარბები და არც ისარივით ინდოს ჯარათ წამოზიდული წამწამები. ერთის სიტყვით, იმათ გვიჩვენეს ეს ჩვენ მათს პოეტიკურ აღწერილობებში სხეულის მშვენიერების სრული სურათი.

მართალია, ფიზიკური მშვენება არის ბუნების წესით კაცობრიობის ერთი მოთხოვნილებათაგანი, მაგრამ კაცის სრულს ღირსებას დიახაც ვერ შეადგენს, რადგანაც კაცში მარტო ფიზიკური მხარე არ არის, მაგრამ იმასა აქვს მეორე უმაღლესი მხარეც — სულიერი (ზნეობითი), ურომლისოთაც ის ძალიან შორს ვერ აცდება პირუტყვულს თაობას: კაცს უნდა ჰქონდეს სულის ანუ ჭკუის სილამაზეც; ის უნდა ამშვენიერებდეს იმას, რასაც ჭკუა მოითხოვს.

სხეულის მშვენიერება არის მხოლოდ პირველი ბიჯი კაცობრიობის წარმატებისა. მის შემდეგ, რაც ის გამოვიდა პირუტყვულ მდგომარეობიდგან, როდესაც კაცმა ეს პირველი ბიჯი გადადგა, თავის მოყვარეობამ დააწყებია მას თავის თავზედ ზრუნვა და ფიქრი, რომელიც გამოცხადდა მხოლოდ მისის ფიზიკურის მხრის წრთვნითა და გამშვენიერებით, რადგან ეს უფრო ადვილი და თვალ-და-თვალ დასანახავი განსხვავებული ღირსება იყო; ამ გვარი ფიზიკური წრთვნა უფრო ძლიერათ გამოცხადდა დედა-კაცში, რადგანაც ეს მოთხოვნილება უფრო დედა-კაცის ბუნებაში იდვა და დედა-კაცებმა კიდევაც მიაწევინეს თვისის სხეულის მშვენიერებას უკანასკნელს წერტილამდის.

სულ ამაზედ გაჩერებაც არ იქნებოდა, და წინ მიიწევდა. კაცობრიობამ გადმოდგა მეორე ბიჯიც, გამოახილა გონების თვალიც და, რაც დაინახა, მითი შეუდგა იმის ზრუნვასაც, ესე იგი, სულიერის მხრის გაზდას და გამშვენიერებას და ისე კი გაიტაცა ამ შრომამ, რომ ფიზიკური მხარე დაავიწყა და ყურიც აღარ უგდო!.. ამ გვარი შრომაც არ იყო სრული ღირსების მომნიჭებელი, თუმცა გონების წურთვნა კი უმჯობესია ფიზიკის წურთვნისა და მის გამშვენიერების ცდაზედ!

პირველს ბიჯში კაცობრიობა ემსგავსებოდა მშვენიერს საჭურჭლეს, რომელშიაც იდვა ურიგო და უხმარი განძი და მეორეს ბიჯში, საჭურჭლეს ურიგოს და განძსა კი ძვირფასსა. მესამე ბიჯი იქნება, როდესაც კაცი ეცდება თვისის ორივე მხრის თანასწორ განმშვენიერებას! ამ გვარი პირები დღითი-დღე მრავლდებიან უცხო ქვეყნებში; ასე გასინჯეთ, რომ რუსეთშიც კი გამოჩნდნენ ამ დროში; მაგრამ ჩვენში?..

ჩვენში კი ნუღა მკითხავთ!.. არა თუ თავის თავად ცდილობდნენ ამ გვარ ღირსების მოპოვებას. სხვა ვინც ამხილებს, იმათაცკი სდევნიან. ეს არის საღმრთო წერილის სიტყვა: „ამხილე უგუნურთა და შეგიძულონ შენ“. ანუ მდაბიურათ ვსთქვათ: „ბავშვო, პირი დაიბანე, გასვრილი ხარო“ რომ ეტყვიან, ის ტირილს მოჰყვება და იძახის: „დამეხსენი შე მამა...“ და სხვანი. ჯერ-ჯერობით მოვეკრძალოთ აქ მათზედ ლაპარაკს და გავსინჯოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ დედა-კაცს ცოლობაში?.. ყოველს დედა-კაცს შეუძლია, ... [ცენზურა] მაგრამ განა ეს არის მისი საკმაო ვალი? ყოველი კაცი თავის თავათ აშენებს კეთილ ცხოვრებას, რომლის გამოც იდგამს უღელს და რომლისათვისაც ეჭირვება მომხრე, რომ გაუადვილოს ის უღელი და შეუმსუბუქოს მძიმე ტვირთი. მასთანავე ეჭირვება მის ბუნებას, ყოველს შემთხვევაში ჭირშიდაც და ლხინშიდაც თანა მოზიარე მეგობარი და ეს ვალათ აძევს ცოლს, – განვიმეორებ, რომ კაცი იშენებს ცხოვრების სადგურს და მაშინ ეჭირვება კეთილი მომხრე, თანა-შემწე, რადგანაც ბევრი მისთანა სამუშაო გამოჩნდება მაშინ, რომელიც უფრო შეჰფერის დედა-კაცის ბუნებას და უფრო ადვილათ მას მოუშვებელი ცოლისაგან, ვიდრე ქრმისაგან და მაშასადამე, იმგვარი შრომა უნდა იხვედროს მუშაობის განაწილების დროს კეთილმა და ღირსმა ცოლმა: ეს არის მისი უმაღლესი ცოლობის დანიშნულება!..

ახლა, ნება მომეცით, ვიკითხო, როგორ ასრულებენ ამ ვალს ჩვენში ცოლები?

ისინი მხოლოდ იმას სთხოვენ ქრმებს, რომ შეძლებაზედ მეტათ შეინახონ: ასვან, აჭამონ, ჩააცვან, დაახურონ, იშრომონ და ისინი კი არ გასარჯონ. და ნაცვლად ამისა, რას მიიღებენ ხოლმე საწყლები ქრმები ჩვენში? ერთს, ორს გენაცვალეს, სამიოდეს შენიჭირიმეს და ამათთანაც ერთს შეფერებულ კოცნას და ეს არის იმათი კარგი ცოლობა! . . . . . [ცენზურა] მაგრამ უკაცრავათ! კიდევ წამომცდა მათზედ ძვირი! უმჯობესია, მაგათ თავი მოვაშოროთ და ახლა ისიც გავსინჯოთ, რაში მდგომარეობს დედობა? ვინ არ იცის, რომ შვილების თავ-და-პირველი გამოზრდის ვალი აძევსთ დედებს? იმათ უნდა დაუდგან შვილებს განათლების საფუძველი!

ის დედა, რომელიც ჯერ ცხრა თვეს ატარებს მუცლით შვილს, ჰშობს, მერე აწოვებს ძუძუს და შეუდგება მას, სხეულს ზრდის და ჰზრუნავს მასზედ, სანამ არ დაამთავრებს, ის დედა ასრულებს მარტო ბუნებით მოვალეობას. ამ გვარ დედობრივ ღირსებას არც პირუტყვები არიან მოკლებულნი. მაგრამ ღირსი დედა წრთვნის შვილს და ზრდის მის სულიერ მხარესაც, რომელსაც საფუძვლად უდებს უმეტესად სხვათა შორის ქრისტეს მოძღვრებას ნამდვილს და არა ფანატიკობით ზღაპრულად გადაქცეულ ოცნებებს. ჩვენში ძვირად იპოება დედა ამ ღირსებით აღჭურვილი.

ვინ იტყვის, რომ ჩვენს დედებს არ უყვარდეთ შვილები? მაგრამ უყვართ და ჰსურსთ მათთვის კეთილი ისე, როგორც მათ ესმისთ და მით უნებურათ მტრობენ თვის ნაშობებს!.. ჩვენში, საზოგადო აზრის მიმდევარს დედებს ჰგონიათ კაცის ღირსება მხოლოდ გარეგანი მნიშვნელობის მოპოვება! საკაცად-კაცადო ღირსება დაუვიწყებიათ და ამის გამო დედის რძესთანავე თან შეაწოვებენ ხოლმე ამ სასურველო და სანატრო, მათის აზრით, ბედნიერების ძებნის სურვილს; შვილებიც, რასაკვირველია, სიყრმითგანვე შეუდგებიან მის ძებნას . . . . . [ცენზურა]

ახლა შედარებით ვსთქვათ, უწინდელი დედებიც ამათთანაები იყვნენ ჩვენში თუ არა? დიახაც, არა! ის სოფიოები, რომლებზედაც გულ-დაწყვეტით ქვითინებს ბარათაშვილი, დღეს აღარსად არიან!.. ძველ დროში ქართველს ძვირად იპოვიდით ჩვენში, რომ არ ყოფილიყო განსწავლული საღმრთო-საეროზედ; იცოდნენ ქართული ზედმიწევნით, იყვნენ კარგი მოსაქონარი და მეოჯახეები; მათი გონება მუდამ გართული იყო რიგიან საქმეებში და ახლა კი ძვირად იპოება საქართველოში დედა-კაცი ამ ღირსებით სრული; დღეს სწავლა ჰგონიათ მხოლოდ ჩიქორთული რუსული და ტანციობა და ის დედაკაცური ბუნებაც, რომელსაც უყვარს მშვიდობიანობა და სიწყნარე, მათში აღარ იხედება, მაგრამ შფოთსა და უთანხმოებას ახდენენ ხალხში: „ამან ის თქვა და იმან ეს თქვაობით“. მე ვერ მოგახსენებთ, რომ ახლანდელ დროში ჩვენში ქალები ყველა ამგვარი იყონ! ზოგნი, დიახ, ღირსი დედა-კაცები არიან, რომლების რიცხვშიდაც, ჩვენის აზრით, ერთი უპირველეს ადგილთაგანი უჭირავს კ. ბ. ჯორჯაძისას ისე, რომ შემეძლოს მასზედ გრძლათ სჯა და არც კი ვხდი ჩემს თავს ვალდებულათ პირად პირადათ მასზედ სალაპარაკოთ. მე მხოლოდ მოგახსენებთ იმ კ. ბ. ჯორჯაძისაზე, რომლის სტატიებიც ხში-

რად შეგხვდება ხოლმე ჟურნალში. მართალია ევროპიული მნიშვნელობა კი არა აქვს რა მის სტატიებს და მისს შრომას (და კიდევ რომ ჰქონდეს, უადგილო იქნება ჯერ ჩვენში), მაგრამ იქიდამ ცხადათა მოსჩანს, რომ მათ ავტორს სხვებსავით არა აქვს უბრალოთ გული გაქსუებული, მაგრამ კეთილად ამოქმედებს თვის გონებას და განჭვრეტაც საგნების რიგიანი და მართალი აქვს. დასამტკიცებლად ჩემის სიტყვისა წაიკითხეთ მისი ლექსი: „დ ე დ ა შ ვ ი ლ ს !“ და მაშინ მიბრძანეთ, მ ა რ თ ა ლ ს მ ო გ ა ხ ს ე ნ ე ბ თ თუ არა?..

თ. აკ. წერეთელი

გაზეთი „დროება“, 19 იანვარი, 1868, № 3, გვ. 4

დედა შვილს

დღეს შემისრულდი სწორედ რვის წლისა,
ხვალ გგზავნი, შვილო, სასწავლებელში,
გევედრები რომ რჩევა მშობლისა
ღრმათ ჩაინერგო პატარა გულში.

უყვედურს ძუძუს უზრუნვლად საზრდოს
შენ რომ აქამდის შეექცეოდი
და მშობლის ალერსს ტკბილ საიმედოს
ყურს არ უგდებდი, ხტოდი, მირბოდი.

დამდაბლებას და რისხვას ან ძრახვას
ვითა წუთსოფელს შენ ხომ ვერ იცნობ;
გულის დამღრღნელსა ტანჯვას და ჭმუნვას
ვისთან და რისგან? საიდგანა ჰცნობ?

მაგრამ ხვალ, შვილო, ჩვენ სახლის კარებს
რა გაჰცილდები ნახამ ცვლილებას;
ჯერ გულ ამოჰსკვნით ჩამოჰყრი ცრემლებს
ჯავრად ჩაიგდებ ჩვენს განშორებას

და მერე ყოველს ზემოთ თქმულს საგანს
მალე გამოჰცდი, მაგრამ ნუ ჰკრთები,
ქართველო, ქართველთ დაჩაგვრას უგვანს
შენ თანდათან ჰსცნობ, რომ აღიზრდები.

გმართებს სიმშვიდე, განსჯა, მოთმენა,
მაცდურს, ცრუ მოძღვრებს ნუ ერწმუნები,
როცა გაიცნობ ქვეყანას შენა
მოძმეთ ნაღველსა წინ შეეყრები.

მაშინ მოგიცვავს შენ ღრმა ფიქრები,
დაგეწვის გული, გიწყებს ძგერასა,
იმდროს რას გირჩევ, რას გეხვეწები:
ნათლად დაადექ ჭეშმარიტს გზასა.

მაგ შენ ძარღვებში წმინდა სისხლი დუღს,
წმინდა მამულიდგან ხარ მცენარე,
მას თავს შეჰწირავ გაჭირვების დღეს,
მაგრამ შემწყვდეულთ ტყვეთ მოეხმარე.

ერთს სიტყვას გეტყვი მე შენ დაფარულს,
ჩვენზედ შორს არის, სახელით ვიცნობთ,
მაგრამ ვინაა, რომ მის სიყვარულს
კაცნი თუ ქალნი გულში არა ვჰგრძნობთ.

სამშობლო უყვარს ყოველს დიდს მსწავლულს,
ზრუნამს დაცემულს მის ხალხს უშველოს,
ოფლით გადასწმენდს სისხლს ჯანგსა მამულს,
რომ სხვა და სხვა ფრათ აღაყვავილოს.

შენცა გამოჰსჩნდი შვილად ნათლისა,
ბნელი განსდევნე ქრისტეს სახელით,
წილ-ხვედრილი ხარ შენ ქალწულისა,
იგი დაგიცავს თვის საფარველით.

კნ. ბარბარე ჯორჯაძისა

ჟურნალი „ცისკარი“, 1866, № 5, გვ. 102-103

პოეტური გაკენწლა

ამ წლის „დროების“ მე-3 ნომერში წავიკითხეთ სტატია, სათავით: „ორიოდე სიტყვა კნ. ბ. ჯორჯაძისა“. სტატიაზედ მოწერილია: „თავ. აკაკია წერეთელი“.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ სტატიით ავტორი კრიტიკულად გაარჩევდა კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაებს, დაგვიხატავდა პოეტის იდეალებს ანუ იდეებს, ასწონდა მის პოეტურ ტალანტს და, ბოლოს, ღირსეულ ადგილს მისცემდა ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში. მაგრამ, – შენ არ მომიკვდე, მკითხველო! – ჩვენი იმედი და ლოდინი კიდევ ამაოდ დარჩა!

თავადი აკაკი წერეთელი არ საჭიროებს ზემოხსენებული კრიტიკის ვალის ასრულებას და, როგორც ავტორი ამბობს, „არ ვალდებულობს პირად-პირადად ლაპარაკს“ კნ. ბარბარე ჯორჯაძესთან, ის მხოლოდ შეიარაღებული პოეტური ღრუბლებით ჰმოსავს კნ. ბ. ჯორჯაძისას იმავე პოეტურ ღრუბლებით და ჰგზავნის საქართველოში, რომ მან აწვიმოს და უხვად დაალბოს გოლვისაგან დამწვარ-დახრაკული საქართველოს ნიადაგი! მერმედ ავტორი მოჰყოლია და აჭრელებს ქალების ემანსიპაციაზე და ვალდებულებაზე, ძალიან ჰსურს, რომ საქართველოში ჩვენს ქალებს . . . . [ცენზურა] მეტი არაფერი შეუძლიანთო, მაგრამ ეს ქალისათვის საკმაო არ არისო: „იმათ (ქალებმა) უნდა დანერგონ ჩვენში სიყვარული“, – ამბობს ავტორი, „და აღგზნან ჩვენს გულში ტრფიალება, მაგრამ ოცნებითი სიყვარული კი არა, არა, ის სიყვარული, რომელიც აპატიოსნებს კაცს და რომლის საფუძველი არის პატიოსანი შრომა და განათლება!“ ბოლოს, ავტორი თუმცა ძალიან ჰსწუხს, რომ საქართველოს მოაკლდნენ ის სოფიოები, რომლებზედაც ქვითინებს ნ. ბარათაშვილი, მაგრამ თითო-ოროლა სოფიოებთაგანი ახლაც იპოებიან ალაგ-ალაგ, რომელნიც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ და იმედოვან კეთილ მუშაკის გულს ახარებენ; იმ თითო-ოროლა ბრწყინვალე ვარსკვლავებთაგანში უპირველესი ადგილი უკავია კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას, სავსეს ყოველივე ღირსებაებითა, რომლის განმარტება ზემოთ მოყვანილ სიტყვით დაგვიხატა ავტორმა.

თავადი აკაკი წერეთელი, დასამტკიცებლათ ამის, რომ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა სავსეა ყოველივე ღირსებაებითა და ღირსია პოეტი-წერეთლის ქებისა, გვგზავნის ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს, წასაკითხავად კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსისა „დედა შვილს“, რომ შევიტყოთ, მართალს ამბობს თ. აკ. წერეთელი თუ არა?

ჩიკოლიკიც ასე ამბობდა: გიზო ფრიად მშვენიერი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი არისო; ჩემგნით დამტკიცება ნუ გინდათო, წადით, წაიკითხეთ მისი თხზულებაებიო და მაშინ თქვენ თითონ დარწმუნდებითო, რომ მართლად და ღირსეულად ვაქებო!

ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს, გვსურს ვჰკითხოთ თ. აკ. წერეთელს, რისთვის ან რაზედ დაჰსწერა თავისი სტატია? საქართველოს გვალვაზედ, ქალების ემანსიპაციაზედ თუ კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაების გასარჩევათ და მის ტალანტის დაფასებისათვის? ავტორს რომ დაუჯეროთ, ის ერთი კალამის გაქნევით ყველაფერზე ლაპარაკობს და ამტკიცებს; მაგრამ, მკითხველო, თუ ჩვენ სკეპტიკურ თვა-

ლით გადავავლებთ მის სტატიას, მაშინ ჩვენ idée Phixe-ს მეტს ვერას გამოვიტანთ რას. მთელი სტატიაც თავის თავად იფუშება. რა საკვირველია, ჩვენს სიტყვებს დამტკიცებაც უნდა და ვეცდებით კიდეც დავამტკიცოთ.

როდესაც რომელიმე რიტორიკი იწყებს ლაპარაკს რომელსამე მწერალზედ, რაზედ უნდა მიექცია თავისი ყურადღება ან რა უნდა გაარჩიოს კრიტიკოსმა: მწერლის კერძო ცხოვრება თუ მისი თხზულებები? როდესაც მე ვკითხულობ „კაცია ადამიანს“, ან ვლაპარაკობ ლუარსაბ თათქარიძეზედ, როგორც ჩვენი საზოგადოების სენის და ნაკლულევანების წარმომადგენელზედ, რაზედ უნდა ვფიქრობდე მე ამ დროს: იმაზედ, რომ „კაცია ადამიანის“ მომქმედი პირები საზოგადოთ და ნამეტნავად ლუარსაბ თათქარიძე ნამდვილი ცხოვრებიდამ არიან აღებულნი და არა ავტორის ფანტაზიის შექმნილი თუ არა, – თუ იმაზედ, რომ ილია ჭავჭავაძე, ავტორი „კაცია ადამიანისა“ კარგი და განათლებული კაცია, გულკეთილი და მშვიდი მამა თავის შვილებისა და სხ. და სხ., ამიტომ, რომ იმან დასწერა „კაცია ადამიანი“?

თ. აკ. წერეთელი, როგორც ვხედავთ, მეორე შემდეგს ხმარობს, როდესაც ის ლაპარაკობს კნ. ბ. ჯორჯაძეზედ; მაგრამ ჩვენ კი ამაზედ სრულებით თანახმანი არა ვართ.

ჩვენის ჰაზრით, თუ კრიტიკი არჩევს რომელიმე მწერლის თხზულებას ანუ, ვსთქვათ, მოთხრობას, უნდა ეცადოს, კარგად უნდა გაჩხრიკოს და შეიტყოს, რაოდნათ ის მოთხრობა ჩვენს ნამდვილს ცხოვრებას უახლოვდება, კარგათ არიან გამოხატულნი ქაღალდზე ნამდვილ ცხოვრებიდამ აღებულნი მოქმედი პირები მოთხრობისა, თუ არა, რა ჰაზრების მქონენი ანუ წარმომადგენელნი არიან ისინი, რა ნაკლულევანება ანუ ღირსება გამოჰსჭვირა მათ ცხოვრებიდგან და სხ. და სხ. კრიტიკოსს შეუძლია შეეხოს მოთხრობის დამწერს იმოდნათ, რაოდნათაც თვით დამწერელი შეეხება თავის მოთხრობას, ე.ი. თანა უგრძნობს თავის გამოყვანილ პირებს თუ არა და სხ.; მაგრამ კრიტიკოსს არა ფერი უფლება და ვალი არა აქვს ილაპარაკოს ბეჭვდით მოთხრობის დამწერის კერძო ცხოვრებაზედ, „იმას არ შეუძლია მოთხრობიდგან გამოიყვანოს ის შემდეგი, რომ ესა და ეს კაცი, ამა და ამ მოთხრობის დამწერი ძრიელ ჭკვიანი და განათლებული კაცია, კეთილი და სხ., ისე, როგორც იმავე მოთხრობიდგან არ შეუძლია ჰსთქვას, ავტორი ბრიყვი და სულელია, გაუნათლებელი და უსწავლელია. ავტორი სხვაა და მისი თხზულებაც სულ სხვა არის: შეიძლება, რომ მწერალიც – როგორც მწერალი – ძალიან კარგი იყოს, მაგრამ, როგორც კაცი კი – არა; აგრეთვე ისიც შეიძლება, რომ მწერალი – როგორც მწერალი – არ ვარგოდეს, მაგრამ, როგორც კაცი კი, ძალიან კეთილი და განათლებული იყოს. დასამტკიცებლათ, მე შემიძლია მოვიყვანო მაგალითი რუსული ლიტერატურისაგან: განსვენებული პომიალოვსკი (Помяловскій) ძალიან კარგი რუსის მწერალი იყო; იმავე პომიალოვსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე სიმთვრალეში გაატარა და იმავე სიმთვრალით მოკვდა; მაგრამ არც ერთს რუსის კრიტიკს არ უძაგებია და არ გაულანძღავს პომიალოვსკი სიმთვრალისათვის, როდესაც მის თხზულებაებს კრიტიკულად არჩევდნენ, ისინი ახლაც დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ ხოლმე პომიალოვსკის სახელს, ავტორს «Молотов»-ისა და «Очерки бурсы»-სა.

ყველამ ვიცით, რა განთქმული პოეტია და პირველი თანამგრძობი და რუსეთის ხალხის დარდების გამომთქმელი – უფ. ნეკრასოვი (Некрасовъ); მაგრამ იგივე ნეკრასოვი, როგორც ამბობენ, კერძო ცხოვრებაში ბეჯითი არ არისო. რომელს რუსის კრიტიკს უძაგებია და მის კერძო ცხოვრებას შეხებია, როდესაც მის ლექსებს არჩევდნენ? აგრეთვე რომელს რუსს არ დააფიქრებს ნეკრასოვის გულ-დაწყვეტილი და დასაფიქრებელი ლექსები, როგორც „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“, „ფილანტროპი“ და სხ.

მგონია, ეს ორი მაგალითიც საკმაოა ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად. მე შემეძლო ორიოდე მაგალითების მოყვანა ჩვენის ლიტერატურიდგანაც, მაგრამ მე არაფერი უფლება არა მაქვს შევეხო ჩვენი მწერლების კერძო ცხოვრებას.

აბა ახლა შევხედოთ, მკითხველო, რა საბუთებით წინამძღოლობს თ. აკ. წერეთელი, როდესაც ის აქებს კნ. ბ. ჯორჯაძისას? როგორც ვხედავთ, ის მის თხზულებაებსაც არ არჩევს; მხოლოდ მის სტატიებიდგან და ნამეტნავად ლექსიდგან „დედა შვილს“ გამოჰყავს, რომ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა განთქმული და სავსე ყოველის ღირსებაებითა ქალია, რომლის ბადალი ძვირათ მოიძებნება საქართველოში!

შეიძლება, რომ მართლათაც ამისთანა ქალი იყოს, მაგრამ თ. აკ. წერეთელს მაინც არ შეეძლო ბეჭვდით ეთქო შესახებ მის კერძო ცხოვრებისა და ღირსებაებისა. თუ თ. აკ. წერეთელი დაუმტკიცებლათ და სრულებით უადგილოთ აქებს კნ. ბ. ჯორჯაძისას, მაშ მეც შემიძლია სრულებით უადგილოთ და დაუმტკიცებლათვე ვაძაგო ჩვენი პოეტები. ჩემი სურვილის ასასრულებლათ, მოვიყვან უკანასკნელ კუპლეტს თ. აკ. წერეთლის ლექსისა „ფუტურო“, რომელიც მე ჩემებურად გადავაკეთე. აი ეს ლექსი:

არიან ჩვენში დღეს პოეტები, სიტყვით თუმცა ბევრს გვიქადაგებენ;
მაგრამ თვითონ კი, დალოცვილები, მთელს თვის სიცოცხლეს ცრუათა ჰსწირვენ!

რას იტყვი, მკითხველო, ჩემგნით ზემოთ მოყვანილ კუპლეტზე? განა ჩვენ შეგვიძლია ამ გვარათ ვჰსაჯოთ ჩვენი პოეტები? თქვენისა არ ვიცი და მე კი ამ კუპლეტის წინააღმდეგი ვარ. ჩემთვის სრულებით საჭირო არ არის ვიცოდე, როგორ ჰსწირვენ ჩვენი პოეტები თავიანთ სიცოცხლეს: „ცრუათ“ თუ „უცრუოთ“. მე მინდა მხოლოდ შევიტყო, რას და როგორ ქადაგობენ იგივე პოეტები? ჩემთვის ესეც საკმაოა. მე არ ვიცი, თითონ როგორ ცხოვრობს ილია ჭავჭავაძე ან აკ. წერეთელი და ცოდნაც ჩემთვის საჭირო არ არის; მაგრამ მე ვიცი, რასაც სწერენ იგივე პოეტები. მე შემიძლიან ვსთქვა, რომ ი. ჭავჭავაძე კარგი პოეტია, მის თხზულებაებს კარგი მნიშვნელობა და გავლენა აქვსთ ანუ ექმნებათ როგორც ჩვენს ლიტერატურაში, აგრეთვე ჩვენს საზოგადოებაშიაც; მაგრამ მე ვალი და უფლება არა მაქვს ვილაპარაკო ბეჭვდით, კარგი თუ ავი კაცია იგივე ჭავჭავაძე და სხ.

მაშ შეუძლია თ. აკ. წერეთელს აქოს კნ. ბ. ჯორჯაძისა მაშინ, როდესაც მისი თხზულებაები არ გაურჩევია? ან შეეხოს მის კერძო ცხოვრებას, ე.ი. ბეჭვდით ილაპარაკოს მის ღირსებაზე, კარგს და კეთილს დედაზე თავის შვილებისა და სხ., თუნდა მაშინაც, როცა მისი თხზულებაები გაერჩიოს? სრულებითაც არა!

ჩვენ გვეტყვიან, რომ თ. აკ. წერეთელს ამ სტატიით კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაების გარჩევა არ ჰსურვებიაო. უფრო კარგი! თუ ასეა, თ. აკ. წერეთელს არ უნდა დაეწერა სტატია იმნაირ სათავით და თუ ჰსურდა ლაპარაკი ჩვენი ქალების მდგომარეობაზედ, მაშინ უმჯობესი იქნებოდა და ჩვენც დაუმადლებდით, რომ დაეწერა ვრცელი სტატია ქალების აღზრდაზე, მათ ვალდებულებაზე და მათ ჭეშმარიტ დანიშნულებაზე. მაშინ ჩვენც სიხარულით წავიკითხავდით სტატიას. ახლა კი რას ვხედავთ? იმას, რომ ავტორი ორ კურდღელს ერთათ დაედევნა და ვერც ერთი ვერ დაიჭირა!

თ. აკ. წერეთელს, როგორც ეტყობა, ძრიელ მოსწონს კნ. ბ. ჯორჯაძის ტალანტი, დიდს სიბრძნეს ხედავს მის თხზულებაებში და ამბობს, რომ „მართალია ევროპიული მნიშვნელობა კი არა აქვს რა მის სტატიებს, მაგრამ იქიდამ ცხადათ მოსჩანს, რომ მათ ავტორს სხვებსავით არა აქვს უბრალოთ გული გაქსუებული, მაგრამ კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განჭვრეტაც საგნების რიგიანი და მართალი აქვს“. იმის დასარწმუნებლათ, რომ მართლაც კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას სხვებსავით გული გაქსუებული არა აქვს, თ. აკ. წერეთელი გვგზავნის ჩვენ „ცისკრის“ ნომერში, რომ გამოვძებნოთ და წავიკითხოთ ლექსი „დედა შვილს“.

თუმცა ამ გვარ რეკომენდაციას გვიკეთებს იმისთანა პოეტი, როგორც აკ. წერეთელი, ავტორი „მუშურისა“, „ფარისევლისა“, „სალამურისა“ და სხვ. მშვენიერ ლექსებისა, მაგრამ ამ ჯერობით ჩვენ არ დავეთანხმებით მას და გვგონია, რომ კნ. ბარბარე ჯორჯაძისას, არა თუ ევროპიული მნიშვნელობა, არამედ ვეჭვობთ, რომ მას ჩვენს ლიტერატურაშიც რაიმე მნიშვნელობა ექნებოდეს! ჩვენ გვიკითხავს კნ. ბ. ჯორჯაძის სტატიები და კომედიები; ჩვენ ისიც ძალიან კარგათ გვახსოვს, რა საბრალო როლს თამაშობდა კნ. ბ. ჯორჯაძისა 1861 წელში ქართული ლიტერატურისა და „ცისკრის“ გამარგვლის დროს! მის სტატიების კითხვით ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მასში ხეირიანი მიმართულება; მის კომედიების და დრამების მომქმედი პირები უფრო ავტორის ფანტაზიის შექმნილნი არიან, ვიდრემც ჩვენი მიწის აღმოცენებულნი და გაზრდილნი შვილნი. მართალია, ცოტა ტალანტი კი აქვს კნ. ბ. ჯორჯაძისას, მაგრამ ვაი, რომ მისი ტალანტი უფრო ემსახურება ხელოვნებას მხოლოდ ხელოვნებისათვის!

ჩვენ არ ვკისრულობთ კნ. ბარბარე ჯორჯაძის თხზულებაების გარჩევას, ამიტომ რომ მისი თხზულებაები სწორე კრიტიკას ვერ გაუმაგრდებიან, ისე, როგორც კრიტიკის ღირსნი არ არიან დიმ. ბერიევის ლექსები და გრი. რჩეულოვის რომანები. თუ მაინც და მაინც თ. აკ. წერეთელი გაარჩევს კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაებს და დაუწყებს კიდევ ქებას, მაშინ ჩვენ ვეცდებით მკითხველს დაუმტკიცოთ.

თ. მიხეილ ბეთანელი
14 თებერვალს,
პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს.

გაზეთი „დროება“, 1868 წლის 22 მარტი, № 12, გვ. 3-4

ეკატერინე მელიქიშვილი – მესხი

1854–1928

ქალის შრომა

(შკლარევსკის მოთხრობა)

I.

ჩვენ პროვინციალურ ქალაქში იყო მკაცრი გამოძიება ისტალინის ქალის თავის-მოკვლის მიზეზისა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეიტყეს, იმის გარდა, რომ იმან დარიშხანით მოიწამლა თავი; ეს ექიმებმაც შეამოწმეს და ზედ დაუმატეს „ჭკუის შეშლილობის გამოო“. მე, სუდის გამომძიებელმა, არ ვიცოდი-რა მექნა, რომ ამ საქმეს ვიძიებდი. შესაძლებელი არ იყო, რომ ისტალინის ქალს სულ უმიზეზოთ მოეკლა თავი. თავის მოკვლა – ისეთი საქმეა, რომლის გაბედვას ვერ მოახერხებს კაცი, რომელიც მხიარულათ და უდარდელათ შეჰყურებს ცხოვრებას; ადამიანი, რომელიც თავის მოკვლას ჰბედავს, უეჭველია, ისეთ მდგომარეობაშია, რომ თავის დახსნის იმედი არა აქვს.

ისტალინის ქალმა თავის ოთახში მოიკლა თავი. სჩანდა, რომ უკანასკნელ ჟამს ის ძალიან შეწუხებული უნდა ყოფილიყო. იმას ამოერჩია ისეთი დრო, როდესაც არავის შინაურთაგანს არ შეეძლო ამ საქმის დაშლა. სტოლზე, სხვა და სხვა ადგილებზე, მეტადრე ლოგინთან, იყო გულის რევის ნიშნები და გრაფინის ნამტვრევები. გვამი მისი იყო საძაგლათ დაგრეხილი, სახე დაღვრემილი, ასე გეგონებოდა, რაღაცა აზრები აწუხებდენო. სტოლზე იპოვნეს იმის საკუთარი ნაწერი წერილი დედასთან, რომელშიაც ესალმებოდა მთელს სახლობას და მოსამსახურეებს და სთხოვდა პოლიციას, არავის დააბრალოს იმის მოკვლა. „მე მოვიკალ თავი, – სწერდა ის, – იმიტომ, რომ სიცოცხლე მომბეზრდა... კაცი ხეირიანს ქვეყანაზე ვერაფერს ვერ გააკეთებს. რასაც არ მოჰკიდებ ხელს, ყველაფერი საძაგლათ გამოდის...“ დედამისმა სთქვა, რომ უკანასკნელ დროს ხშირათ გაუგონია იმას მაგ გვარი სიტყვები მიცვალებულისაგან; ის ატყობდა, რომ იმას მობეზრდა ყველაფერი, რაც კი წინეთ ეხალისებოდა.

ისტალინის სახლობას შეადგენდა: დედა, პატარა და, რომელიც სწავლულობდა ქალების გიმნაზიაში და ძმა, რომელიც სწავლულობდა კორპუსში. თხუთმეტი წლისა რომ იყო, იმას მოუკვდა მამა.

ვერა ისტალინისა სამაგალითო ქალათ მიაჩნდათ ჩვენ ქალაქში, თუმცა „ნიგილისტკას“ კი ეძახდნენ. მომეტებულ ნაწილ დროს ატარებდა ან საკერავში, ქარგვაში და ჰყიდდა თავის ნამუშავარს, ან სწერდა სტუდენტების ლექციებს. დანარჩენ დროს ატარებდა კითხვაში და ბუნებითი საგნების სწავლაში. თმა მოკლეთ ჰქონდა მოკრეჭილი. შავ, გრძელ კაბას იცვამდა. იმის სტოლზე ეწყო ფოხტის, მოლეშტის, დარვინის, მილლის და სხვების თხზულებები. შრომის მოყვარეობისთვის ყველა პატივს სცემდა ვერას, მით უფრო, რომ არაფერი გაჭირება არ ჰქონდა და არავინ ძალას არ ატანდა, რადგან შეძლებულები იყვნენ.

– ერთი მიზეზით თუ მოკვდებოდა, მაგრამ ეს საქმე ძალიან დიდი ხნის იყო: შვიდი წელიწადის წინათ, როცა ვერა შვიდმეტი წლისა იყო, იმას უყვარდა ბუნებითი საგნების ფოკულტეტის სტუდენტი – ლიოჰკი. ლიოჰკის გაცნობამდი ვერა იყო უბრალო და კეთილი ქალი; მაგრამ გაიცნო თუ არა ეს სტუდენტი, სრულიად შეიცვალა. ამ დროიდან დაიწყო ბუნებითი საგნების სწავლა და უფრო ჩაფიქრებული შეიქნა. ლიოჰკის ძალიან მოსწონდა ვერა. როცა თავის ხასიათზე გაასწავლა და დააყენა გახსნაში თავის თანასწორეთ, ცოლობა სთხოვა. ჯერ დედა და ნათესაობა ძალიან უშლიდნენ იმის შერთვას, რადგან ლიოჰკი გლეხ-კაცის შვილი იყო და ღარიბი; მაგრამ ვერამ მაინც თავისი გაიტანა და ისინი დაინიშნენ. შეასრულა თუ არა ლიოჰკიმ სწავლა უნივერსიტეტში, წავიდა თავის დედის სანახავათ; გზაზე გაცივდა, გახდა ავათ და მოკვდა. ვერამ მიიღო უკან თავის ნიშნის ბეჭედი; იმ დროიდან ჩაიცვა შავი კაბა და დაიწყო უიმედო სიცოცხლით ცხოვრება. საყვარელი კაცის დაკარგვა ვერასთვის ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ის არ მიეცა დიდ ნაღველსა და ძალიან გულმაგრათ ითმენდა. დედას ეგონა, რომ თუ ვერას შეხვდა კარგი კაცი, გათხოვდებაო, იმიტომ რომ იმას ლიოჰკი ისე მომეტებულათ არ უყვარდა, როგორც პატივს სცემდა და უკვირდა იმის ხასიათი, ჭკუა და პატიოსნური ფიქრებიო.

ვერა ყველაფერს უჯერიდა ლიოჰკის და ეგონა, რომ ის ცხოვრების გზა, რომელიც იმან უჩვენა, ყველაზე კარგი და უნაკლულო იყო, და იმიტომ ისე გაუსჯელათ მისდევდა იმ გზას. ამნაირი ვერას რწმუნება ლიოჰკისა დასაჯერი იქნება მაშინ, როცა შევიტყობთ, რომ ვერამ შეასრულა სწავლა მხოლოთ პატარა შკოლაში. ვერა იყო ბუნებით კეთილი გულის ახალგაზდა, რომელიც ყოველთვის კარგს ნაყოფს აძლევს, თუ მთესველი კარგია. ლიოჰკი იყო ნასწავლი, ჭკვიანი და კარგი მოლაპარაკე კაცი. თუმცა ვერა არ იყო ნასწავლი და ჭკუით გახსნილი, მაგრამ გრძნობდა, რომ ლიოჰკი უფრო ჭკვიანი იყო იმ ხალხზე, რომელშიაც ის ტრიალობდა; ის არ პოულობდა იმაში იმ სისაძაგლეს, რომელსაც სხვებში ჰხედავდა. მართლა, რას აკეთებდა ხალხი ჩვენს გუბერნიის ქალაქში? სჭამდნენ, სვამდნენ, ეძინათ და ამბავტანიობდნენ ერთი ერთმანეთში.

ვერას არ უყვარდა თავის დარდის და სიხარულის სხვასთან გაზიარება. როცა ვერა შეიტყობდა რომელიმე ახალ აზრს, ის ყოველთვის ერთბაშათ ვერ იგებდა, მაგრამ ერთხელვე თუ ჩაითქვამდა გულში ამ აზრს, სულ ეზრდებოდა და თუ მოეწონებოდა საქმეზე, თვით ცხოვრებაში, შინჯავდა. ყოველ ახალ აზრს ვერა მარტო ლიოჰკისაგან შეიტყობდა ხოლმე. ხშირათ ისინი შეიყრებოდნენ და ლაპარაკობდნენ შრომაზე, მეტადრე ქალის შრომაზე, პატიოსნებაზე, ბუნებითი საგნების სარგებლობაზე და სხვა.

ლიოჰკი კარგი კაცი იყო, მაგრამ გამოუცდელი მასწავლებელი. მე ნამდვილათ ვხედავდი, რომ ვერას ლიოჰკის აზრები და სიცოცხლის შეხედულობა მიეღო. მე ვიცნობდი ვერას და ძალიან მომწონდა. ის იყო ოცდა ხუთი წლისა, მაგრამ თვრა-

მეტი წლის ქალის შეხედულობა ჰქონდა. კეთილი და ნარნარა ლურჯი თვალები, რომლებსაც მე ადრე სიამოვნებით შევცქეროდი, ეხლა საუკუნოთ დახუჭულიყვნენ. ცოტა ხუჭუჭ და მოწითალო თმებზე დედას გაეკეთა ვარდების გვირგვინი; გულზე დაერჭო ვარდი. პატარა, რგვალი შუბლი შეჭმუხვნილი ჰქონდა, თითქო რაღაცაზე-დაც ფიქრობდაო... რაზედ?..

მე ვცდილობდი გამეცნო ყველა ვერას ნაცნობები, რომ იმადგან მაინც შემეტყო რამ.

ვერას ნაცნობებში მე მხოლოთ გოროხოვს არ ვიცნობდი, რომელიც ბოლო დროს ხშირათ დაიარებოდა ისტალინისას. ერთ ზაფხულ გოროხოვი იმათ მიიპატიჟეს პატარა ვაჟის მასწავლებლათ. გოროხოვი ჩვენი ქალაქის მცხოვრები იყო. მამისაგან დატოვებული სიმდიდრე მიუტოვა თავის დედას და დებს, და თვითონ სხვა და სხვა ალაგს მასწავლებლათ დგებოდა; და ხანდისხან ჩვენ ქალაქში გამოჩნდებოდა ნათესავების სანახავათ. ის იყო ოცდა თხუთმეტი წლის კაცი. იმას ჰქონდა ყვავილისაგან და ჭორფლისაგან გაფუჭებული სახე, დიდი ცხვირი, მოწითალო წვერ-ულვაში; იმის შავი, ჩავარდნილი თვალები ძალიან ჯავრიანათ გამოსცქეროდნენ, თუმც გოროხოვი არაფრით არ ჰშვენოდა, მაგრამ არც შეხედულობა და არც მიხრა-მოხრა მისი არ იყო საზარელი.

იმის გაცნობა, ხასიათისა და აზრების შეტყობა ძალიან ძნელი იყო, იმიტომ, რომ არავისთან არ უნდოდა საქმის დაჭერა და მეგობრობა. მაგრამ ბოლოს, ბევრი მეცადინეობის შემდგომ, გავიცანი და შევიტყე ერთი ცუდი გოროხოვის ჩვეულება. ის სვამდა და სიმთვრალეში, როგორც მოგეხსენებათ, ხშირათ საიდუმლოსაც წარმოსთქვამს კაცი. ამ თავის ჩვეულებას ძალიან ემდუროდა გოროხოვი, მაგრამ ზოგჯერ კი მადრიელი ვარ, ამბობდა ის, ამ ჩვეულებისაო, „ხანდისხან ისე მოწყენილი ვარ, რომ არ ვიცი – სად დავიკარგო ხოლმე. მე ისე ნასწავლი არა ვარ, რომ ყოველთვის შემეძლოს საქმეში გავერთო; მომეტებული სხვა საქმეც არა მაქვს, არც მეურნეობა შემიძლიან და არც ლიტერატურაში გართობა, არაფერი ხელოვნება არ ვიცი, მასწავლებლობასაც არ უნდება მომეტებული დრო. რა უყო დანარჩენ დროს? როცა ათას ნაირ უგუნურობასა და უსამართლოებას ვხედავ ქვეყანაზედ, ხანდისხან ისე მომწყინდება, რომ საჭიროთ ვგრძნობ დავიწყებას მივცე თავი და გავმხიარულდე. აი, ამ შემთხვევაში მშველის მე არაყი. სიმთვრალის შემდეგ რო გამომეღვიძება, დილით, სხეულის ავათმყოფობას ვგრძნოფ და არა ზნეობითს, გონებისასა“. მე მინდოდა სადმე მენახა და მელაპარაკნა იმასთან, იმ დროს, როცა ცოტათი გადაკრულში იყო; ამიტომ, რომ მაშინ ყველაფერს გამოთქვამდა, რაც გულში ჰქონდა. ჩემს ბედზეთ ამისთანა შემთხვევა მალე ვნახე.

ვერას სიკვდილის შემდგომ სამმა თვემ გაიარა. ერთ საღამოს მე დავეხეტებოდი ქალაქის გარეშე და რაღაც ნაირათ შევიარე იქაურს სასაფლაოზე, სასაფლაო ქვის კედლით იყო შემორტყმული; ზოგჯერ აქ ქალაქის მცხოვრებლები სასეირნოთ

და ერთმანეთის სანახავათ დაიარებოდნენ. ამ დროს მე არავინ შემხვდა. კარგა ხანი ვკითხულობდი მე საფლავის ქვების ზედწარწერილებსა; ბოლოს მოვბრუნ-დი სასაფლავოს კარისკენ, შინ წასასვლელათ; გავიხედე და პირდაპირ გოროხოვი დავინახე.

ქუდ მოხდილი ჯდა ის ერთს ახალ საფლავზე, დაფიქრებული და სიგარას სწევდა. – ააა! მშვიდობა თქვენი ნახვა! უთხარი მე და ხელი გაუშვირე. – იქნება მარტო ყოფნა გინდოდათ და დაგიშალეთ?

– სრულებითაც არა. მე ეხლა შინ წასვლას ვემზადებოდი.

– ეს ხო ისტალინას სამარეა, – უნებლიეთ წამოვიძახე მე, როცა შევხედე შავ ჯვარს, რომელზედაც მიცვალებულის სახელი და მისი წლოვანება ეწერა.

– დიახ, მისი გახლავსთ.

– საკვირველია იმის სიკვდილის მიზეზი, – გავაგრძელე მე და მოუჯექ გოროხოვს გვერდით.

– არც ძალიან გასაკვირველია; მე ვიცი ეს მიზეზი; თითონაც კი გამოთქო სიკ-ვდილის წინათ დაწერილ წერილში.

– რა მიზეზია განა?

– „სიცოცხლე მოჰბეზრდა!..“

– წინათ რატომ არ მოჰბეზრდა ამნაირი სიცოცხლე?

– დიახ, წინათ არ მობეზრდა და მერე – კი.

– რისთვის?

– იქნება იმიტომ, რომ წინათ ის სრულებით არა სცხოვრობდა.

– როგორ თუ არა სცხოვრობდა, გამოცანას ხომ არ ამბობთ?

– წინათ ის სცხოვრობდა პირუტყული ცხოვრებით და არა კაცურითა... – ამ სიტ-ყვის შემდგომ გოროხოვი წამოდგა შინ წასასვლელათ.

– თქვენ ქალაქში მიდიხართ? წავიდეთ ერთად, – ვთხოვე მე. რადგან უარის თქმა არ მოხერხდებოდა, ის დამეთანხმა. გოროხოვს არყის სუნი უდიოდა. მე მინდოდა შევდგომოდი ჩემ საქმეს და გამომეთქმევინა რამე ვერას სიკვდილზე; მაგრამ გზაზე არაფერი არა ვკითხე. ჩვენ ვლაპარაკობდით გუბერნიის ქალაქის ცხოვრებაზე, უნივერსიტეტზე და თანდათან გოროხოვი ისე გაერთო ლაპარაკში, რომ როდესაც მივედით იმის სახლთან, თითონვე შემიპატიჟა სამასლაათოთ.

II.

იმ სახლში, რომელშიაც სცხოვრობდა სახლობა გოროხოვისა, იმან ამოირჩია თავისთვის ერთი ოთახი, რომელიც გაავსო წიგნებით, საწერი სტოლით და ზო-გიერთი მატემატიკური და ფიზიკური სამკაულებით. სტოლთან იდგა კრაოტი და ორი სკამი. ეტყობოდა, რომ გოროხოვი არავის ჰპატიჟობდა თავის ოთახში და იმიტომაც არ სცდილობდა იმის რიგიანათ გამართვას. თითონ კრაოტზე დაჯდა

და მე-კი სკამი მომცა. სტოლზე, წიგნებისა და რვეულების შუა, იდგა ორი ბოთლი, ერთი არყით, მეორე კონიაკით; ერთი თეფში ცივი ხორცით, შავი პური და ერთი ლამბაქი დაფხვნილი შაქრითა და ლიმონით. ამ ნივთებმა ძალიან გამაიმედიანა, იმიტომ, რომ არყის სმით ის უთუოთ გამხიარულდებოდა.

ჩემმა წინასწარ გრძნობამ არ მომატყვილა: რამდენსაც მეტს სვამდა გოროხოვი, იმდენი ლაპარაკი მოუმატა და ბოლოს ერთ ჩემ შენიშვნაზე, რომ ის ახირებული კაცია, მიპასუხა:

– დიახ, მართალია, მარტო თქვენ კი არ მთვლით მე ახირებულ კაცათ; ბევრ სხვებსაც ჰგონიათ, რომ მე ახირებული, ჯავრიანი და ყველაფერში საზოგადოების მოწინააღმდეგე ვარ; მაგრამ ეს ტყუილია: მე მარტო ეჭვიანი ვარ, ადვილათ არ მჯერა სხვის სიტყვები და არ მიყვარს საზოგადო აზრების დათანხმება. მე ვეწინააღმდეგები ხშირათ ისეთ აზრს, რომლის ჭეშმარიტებას თვითონაც ვგრძნობ...

– ამისთანა ქცევით, – უთხარი მე, – თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში კეთილი აზრების გავრცელებას დაუშალოთ. როცა ახალს აზრებს ჰკიცხავთ, უთუოთ ძველი, უვარგისი აზრების მომხრე ყოფილხართ.

– სრულებითაც არა! – გაცხარებულათ სთქვა გოროხოვმა, – მე მინდა, რომ ყოველი ახალი აზრი მხოლოთ მაშინ გავრცელდეს საზოგადოებაში, როდესაც იმის საფუძვლიანობასა და თვით საქმეში გამოყენებას დაინახავს ხალხი. უამისოთ ჩვენ დავემზგავსებით იმ პროგრესისტებს, რომელნიც ბავშვებივით დაიჯერებენ ყველაფერს ახალს, რასაც კი არ ეტყვი.

ბოლოს გოროხოვმა კიდევ გადაჰკრა ერთი პატარა სტაქანი კონიაკი, ამოიოხრა და თქვა:

– ეჰ! მე არ მინდოდა მეთქვა ყველაფერი, რაც გულში მაქვს და რომელმაც გამხადა მე ლოთად. მაგრამ რა გაეწყობა, უნდა გითხრა, ისეთ მდგომარეობაში ვარ, მე მოგიყვები თქვენ ისტალინას ქალის ამბავს, რომელშიაც თქვენც იღებთ მონაწილეობას და რომლის საფლავზე ჩვენ შევხვდით დღეს ერთმანეთს...

– ისტალინას ქალის ამბავს? – გახარებული ვკითხე მე.

– სწორეთ ისტალინას ქალის ამბავს! – თქვა იმან და მითხრა: – იცოდით თქვენ იმის გასრული ცხოვრება?

– ვიცოდი.

– ეხლა ერთი უნდა გკითხოთ, მაგრამ სწორეთ კი მითხარით: განა ვერა სრული ცხოვრებით სცხოვრობდა? განა ის ყველაფერში არ სცდებოდა?

– მაგრამ მე ვერ გამიგია თქვენი სიტყვები, – უთხარი მე. – ის მოქმედებდა და სცხოვრობდა თავის ჭკუის დაგვარათ და მგონია, რომ ცუდი არარა უქნია. რაში ამტყუვნებთ თქვენ იმას?

– იმაში, რომ ის უგუნური იყო.

– შეიძლება, მაგრამ ამაში იმას რა ბრალი აქვს: ეს ბუნებითი ნაკლულევანება არის.

– არა, ამაში ისიც დამნაშავეა, მაგრამ უფრო მეტათ კი ლიოჰკი. მე ლიოჰკი არ

მომწონდა, იმიტომ, რომ იმას განუსაზღვრელი რწმუნება ჰქონდა კეთილისა. ისტალინას ქალმა კი, ოცდა ხუთი წლისა რომ შეიქნა, მარტო მაშინ შეიტყო, ისიც სხვის ჩვენებით, რომ შემცდარ გზაზე დგას და რომ თითონ იმას არათუ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მავნებელიც არის საზოგადოებისთვის. ჩვენ ყრუ ქალაქში კი ის სამაგალითო ქალათ მიაჩნდათ. მე თითონ ის მებრალება, მაგრამ როგორ? – როგორც ახალგაზდა გაფუჭებული სიცოცხლე, როგორც კარგა მომართული მაშინა; მებრალება იმიტომ, რომ არ იყო იმდენათ გახსნილი, რომ ნამდვილი გზა ეპოვნა ცხოვრებაში. აი, ამ შებრალების გამოისობითაც, მე ხანდისხან მოწყენილი ვარ და თქვენც...

– როგორ მე?

– ისე, რომ გვებრალება ისტალინას ქალი, იმიტომ რომ ის ლამაზი იყო. დარწმუნებული ვარ, რო გონჯი ყოფილიყო, თავის მოკვლისათვის, თქვენ სულელსაც დაუძახებდით და არ შეიბრალებდით...

– ეგ ტყუილია, – უთხარი მე. – მაგრამ არც იმის თქმა შეგიძლიანთ, რომ ისტალინას კეთილის მოტანა არ ნდომებოდეს და იმის ხასიათის სიმაგრეს თავის მოკვლა ამტკიცებს.

– ეს ერთი მხრით მართალია, მეორე მხრით კი არა. მე ბევრი მაგალითი ვიცი, რომელიც ამტკიცებს, რომ ხშირათ უხასიათო ადამიანებსაც მოუკლავთ თავი, იმის გამო რომ ვერ აუტანიათ ცუდ გარემოებებთან და შემავიწროებელ მდგომარეობასთან ბრძოლა. ერთმა ჩემმა ნაცნობმა, სრულიად უხასიათო კაცმა, გამოიჭრა ყელი სამართებლით იმიტომ, რომ მრეცხელს ცუდათ გაეხამებინა იმის საუკეთესო პერანგი, რომლითაც ის თავის საყვარელთან წასვლას ემზადებოდა. მეორე მაგალითი: ერთ ახალგაზდა, ლამაზ ქალს რაღაც უბედურება შეემთხვა, რომელსაც ორი კვირის შემდეგ თავიდამ მოიშორებდა; მაგრამ იმას იმდონი ხასიათი არა ჰქონდა, რომ მოეცადა. ამან ვერ მოითმინა ეს და თავი ჩამოიღჩო. ისეც ისტალინას ქალი: როცა უჩვენეს იმას ცხოვრების სიყალბე, მეორე უკეთესი გზის მონახვის მაგივრათ, იმან მოიკლა თავი; აბა, ეს რა ხასიათია! განა უნდა გვენანებოდეს უსარგებლო სიცოცხლის დაკარგვა? ისტალინას ქალი მებრალება გასრული ცხოვრების შეცთომილებისთვის, მაგრამ იმის სიკვდილზე კი არა ღირს მომეტებულათ ვინაღვლოთ...

გორეხოვი დაჩუმდა და გადაჰკრა ერთი რუმკა არაყი.

– თქვენ კიდევ არ მითხარით, ვინ უჩვენა იმას პირვანდელი გზის შეცთომილება და ვინ გამოიყვანა ის ამ შეცთომილებიდგან, ან ვინ უჩვენა იმას ახალი გზა?

– ვინ უჩვენა იმას იმის ცხოვრების სიყალბე?

– დიახ.

– მე!

– თქვენ? რა რიგათ! მართლა გითხრათ, მე თქვენ ზედმოქმედებაზედ დიდიხანია მქონდა ეჭვი.

– მე თვით საქმით, ფაქტებით და არა ფუჭი სიტყვებით დავუმტკიცე იმას, რომ

იმის შეხედულობა ცხოვრებაზე შემცადრი იყო, დაწვრილებით გიამბობ იმ ამბავს; უროკზე რო დავიარებოდი, ჩემი ყურადღება ვერას ცხოვრებამ და იმის მუშაობამ მიიქცია. ის იყო ჩუმი, ჩაფიქრებული და ლამაზი ქალი და ამიტომ მომეწონა, მაგრამ იმის ცხოვრება და მოქმედება არ იყო მოსაწონი. პროვინციის ქალებს მე ოთხ კატეღორიათ ვყოფ. პირველს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც თავის ქონების და სწავლის დაგვარათ შრომობენ. მეორე კატეღორიას ეკუთვნის ქალები, რომელნიც იძულებულნი არიან იშრომონ თავის სარჩენელათ. მესამე, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ და ქმრის იმედით ცხოვრობენ, და მეოთხეს – ქალები, რომელნიც ყოველ შრომას მივარდებიან, თუმცა არა საჭიროებენ, მხოლოთ მოდისთვის და ართმევენ პურს ქალებსაც და კაცებსაც. ვერა, ლიოჰკის წყალობით, მეოთხე კატეღორიას ეკუთვნოდა. მართალია, უიმისოთ ვერა ისეთი ქალი იქნებოდა, რომელიც მხოლოთ მოდურ კაბებზე და მალე გათხოვებაზე ჰფიქრობენ; მაგრამ მის ნაცვლად ის უფრო ნაკლებ ტანჯვას გასწევდა და გათხოვება შეეძლო, რომელიც ლიოჰკის სიკვდილის შემდგომ არ უნდოდა. თავის ზნეობით და კეთილგულობით ის კარგ ცოლათ და კარგ დედათ გამოდგებოდა; იქნება ქმარი უკეთეს ქალათ გადაასწორებდა. რაც უნდა იყოს, – თქვა გორობოვმა, – ვერა უხასიათო იყო. თავის თავის მადრიელ კაცისთანა ცუდი არა არის რა. ვერას ეტყობოდა, რომ თავის თავის კმაყოფილი იყო. და მართალი გითხრათ, მე მინდოდა ეს თავის კმაყოფილება გადამეჩვევინებინა იმისთვის.

– ერთხელ ვერა სასწავლებელ ოთახში იჯდა და გულსმოდგინეთ ჰკერავდა ქარგაზედ. როცა მე მოვრჩი ჩემ საქმეს, მივედი იმასთან და ვთხოვე ნება იმ საკერავის ნახვისა. – ძალიან კარგია, – უთხარი მე, როცა დავუბრუნე საკერავი. – ძალიან მდიდრული და მშვენიერია; ამ ხელსაქმით ერთი კვირა შეეძლო მთელ ღარიბ სახლობას დარჩენა. როგორც ვხედავ, თქვენ კარგი საქონელი გიყვარსთ. მე ეს აქამდი არ ვიცოდი.

– ჩემთვის არ ვაკეთებ ამას, – მითხრა ვერამ.

– მაშ, ვისთვის?

– ეს შეკვეთილია ვიცე-ღუბერნატორის ცოლისთვის.

– განა იმასთან ისე დაახლოებული ხართ, რომ ამ ნაირ შრომას სწევთ!

– მე ამას ფასით ვაკეთებ.

– მართლა?

– დიახ. რა არის ამაში გასაკვირი?

– არაფერი, – უთხარი მე, – მაგრამ რისთვის გინდათ თქვენ ფული?

– როგორ თუ რისთვის? იმისთვის, რომ ჩემ მშობლებს არ ვაწვე კისერზე.

– თქვენს ნათესაობას რო არ ესაჭიროებათ... იმის მაგიერათ, რომ იმ მამულების შემოსავალი, რომელიც თქვენ დაგრჩათ, სხვას გაუზიაროთ რამ, თქვენ... თქვენ ართმევთ სხვას სამუშაოს და სიცოცხლის საშუალებას. ცოდვა არაა?!

ვერა გაკვირვებული მიცქეროდა. მე გავაგრძელე:

– დიახ, ცოდვაა. განა თქვენ ნამდვილათ იცით, რო სხვებს თქვენზე უფრო არ ესაჭიროებათ სამუშაო? ანუ იქნება თქვენ გგონიათ, რომ თქვენი ნამუშევარი იმათზე უკეთესია? მე ვიცნობ ამ ქალაქში რამდენსამე სახლობას, რომელთაც თქვენზე უარესათ არ იციან ხელსაქმე, მაგრამ ხელსაქმეს ვერ შოულობენ, რადგან ნაცნობები არა ჰყავთ. თქვენ კი გყავთ ნაცნობები და აი, ვიცე-ღუბერნატორის ცოლისთვის სამუშაოს გიგზავნიან... მე სიმართლეს გეუბნებით; თუ გნებავთ, მომავალ კვირას, წირვის შემდგომ, წაგიყვანთ ერთ სახლში და თქვენ ნახავთ – რა სისაწყლეში არიან. იმათ მუშაობა უნდათ და ვერ შოულობენ საქმეს. მაგრამ იქნება, თქვენ ყურს არ უგდებდეთ იმათ საჭიროებას, სისაწყლესა და საცოდაობას?

ვერა თითქო ნემსზე იჯდა. მე ბოდიში მოვთხოვე პირდაპირ ლაპარაკისთვის და გამოვემშვიდობე.

ამ ლაპარაკმა დიდი ცვლილება მოახდინა ვერაში.

ორი დღის შემდგომ, ვერა მოვიდა ჩემთან დიდათ აღელვებული და მითხრა:

– დღეს შაბათია. მე უცდი თქვენი პირობის ასრულებას: მე სამუშაო მაქვს იმ საწყლებისთვის. წავიდეთ, ჩემი ძმაც მოდის. იმედი მაქვს, ხვალ ჩვენ საყდარში, წირვაზე, გნახავთ.

მე ჩუმათ თავი დაუკარი.

– მეორე დღეს მე გავაცილე ვერა და მისი ძმა; გზაზე უამბე მოკლეთ იმ სახლობის მდგომარეობა. ისინი იყვნენ სამნი ქალი: მოხუცებული დედა, რომელიც ანთებით იწვა ლოგინში და ორი ქალი, ერთი ოცდა სამი წლისა, მეორე თვრამეტისა. ეს სახლობა პეტერბურღიდან არის მოსული; ისინი ძმასთან მოვიდნენ, რომელმაც დაიბარა იქიდან და რომელიც აქ პრიკაშჩიკათ იყო და კარგს ჯამაგირს იღებდა; მაგრამ საუბედუროთ ის მოკვდა და ყველაფერი საშუალება ცხოვრებისა შემოელიათ; ამასთან დედაც ავათ გაუხდათ; ყველა ნივთები დაგირავებული ან გაყიდული აქვთ, საქმე კი ვერ უშოვნიათ. აი, თქვენ თითონ ნახამთ, – უთხარი მე, როცა გავაღე პატარა, ერთ ეტაჟიანი სახლის კარები, – ჩვენ უნდა გავიაროთ მთელი ეზო; ისინი დგანან ფლიგელში. მე შემთხვევით გავიცანი ისინი, როცა თავიანთ წიგნებს ჰყიდდნენ. ჩვენ გავაღეთ გვერდზე გადაწეული ფლიგელის კარები და შევედით ოთახში. შიგ დავინახეთ სუფთათ გარეცხილი პოლი; სუფთა მებელს საძაგელი სინამის სუნი უდიოდა. ისინი სცხოვრობდნენ ერთ ოთახში. კუთხეში იდგა საწოლი, იმის შემდეგ ჭურჭლეული, მოწითალო შკაფი; მეორე მხარესკენ იდგა სკამები, პირდაპირ პატარა სტოლი, რომელზედაც ეწყო სამი შუშა წამლისა; აქვე იდგა: ჩაინიკი, ორი ნაჭერი შაქარი და ხის კოვზი. ერთი კედელი სულ ცარიელი იყო, ნამიანი და დაობებული, ასე რომ მწვანეთ გადაქცეულიყო. ერთ კუთხეში, მოხუცებული ავათმყოფის კრაოტის ზევით, ხატის წინ, ლამპარი ენთო. კრაოტზე იწვა ორმოცდა ათის წლის დედა-კაცი ჩითის საბნის ქვეშ; თავი შეხვეული ჰქონდა თეთრი მიტკლის ხელსახოცით, რომელსაც ძმრის სუნი უდიოდა. ორივ დანი შავგვრიმალნი, ლამაზი სახის იყვნენ; იმათ ეცვათ ერთნაირი ჩითის, გახუნებული

კაბები. უმფროს ქალს ეხურა უბრალო, ბამბის მოსახვევი, უნცროს მოსახვევს ქვეშ შავი, სქელი ნაწნავები მოუჩნდა.

– აჰ, მობრძანდით, დიმიტრი კარპოვიჩ! – მითხრეს მე ქალებმა და ძალიან შერცხვათ, რო უცხო პირები დაინახეს.

– ბძანდებოდეთ. ექიმი იყო?

– როგორ არა, იყო. მადლობელი ვარ...

– როგორ არი ავათმყოფი? კიდევ ცუდათ?

– ცუდათაა; მაგრამ ექიმი გვარწმუნებს, რომ დედა მალე მორჩებაო... ამბობს, ამას სახლის სინამე სწყინსო და კიდევ წამალი უნდაო...

– ჰო, ჰო! მესმის... აი, სამუშაო გიშოვნეთ. – მე ვაჩვენე ვერაზე, – მაგრამ არ ვიცი, ამ ავათმყოფის პატრონებს გექნებათ დრო სამუშაოთა?

– რას ამბობთ! როგორ არ გვექნება, ნეტავი კი იყოს საქმე და... ჩვენ ხან ერთი და ხან მეორე, მოუვლით ავათმყოფს. სამუშაო რომ გვქონოდა, დედაც არ გახ-დებოდა ავათ: სხვა სახლს ვიშოვნიდით და დროზედაც განთავისუფლდებოდა ავათმყოფობისაგან...

– განა ისე ძნელია სამუშაოს შოვნა? – ჰკითხა ვერამ.

– ოჰ! ნუ ბძანებთ, – ერთი ხმით წამოიძახეს დებმა, – აქ რა საქმეა? აი, პეტერბურღში, იქაც კი ძნელია. აქ მომეტებულ ნაწილ საქმეს მაღაზიაში აძლევენ, იქ ჰყავთ ქალები, რომელნიც მუშაობენ და სხვებს არ იღებენ, არც სახლში ხელ-ზე იძლევიან ხელსაქმეს. აქეთ-იქით სახლებშიაც ძნელია შოვნა, უნდა ნაცნობები გყავდეს. ამას გარდა, მდიდარი სახლის ქალებიც ღებულობენ საქმეს, ისინი ყო-ველთვის ადვილათ შოულობენ იმიტომ, რო ნაცნობები ბევრი ჰყავთ, ჩვენ კი მაგა-ში ვრჩებით მშივრები.

ამნაირი ლაპარაკისთვის რომ ბოლო მომეღო, მე ვთხოვე ქალებს, ეჩვენები-ნათ მათი ნამუშავარის ნიმუშები. როცა მათი ნამუშავარი ვერამ ნახა, მომიბრუნდა და მითხრა: „თქვენ მართალი ხართ, ესენი ჩემზე უკეთ მუშაობენ“. ამ დროს მებ-რალებოდა მე ვერა.

– სად გისწავლიათ? – ჰკითხა ვერამ ქალებს.

– პეტერბურღში. დემოდოვის სახელოსნო ქარხანაში; იქ მომეტებული ყუ-რადღება ხელსაქმეს აქვს მიქცეული. ჩვენ მარტოკა ამით შეგვიძლია ლუკმა-პური მოვიპოვოთ, – თქვა უნცროსმა დამ.

ამ გვარი ლაპარაკით შერცხვენილმა ვერამ საჩქაროთ შეუკვეთა რამდენიმე საქმე და მისცა წინეთ ფული; ბოლოს გამოემშვიდობა და გამოვიდა.

– მე თქვენ ხარჯში შეგიყვანეთ, – უთხარი მე გზაზე.

– ეს ფულები სამართალით იმათ ეკუთვნის, – თქვა ვერამ. – მე იმათ თავიანთი საქმე მივეცი.

– ძლივს არ შეიტყო! – ვიფიქრე მე.

– მითხარით, – დავაყენე ამ დროს გოროხოვი, – განა კარგი და საყვარელი ქა-

ლი არ იყო ისტალინა?

– ძალიან საყვარელი, მეტადრე რო გაწითლდებოდა! შეიძლება ბუნებითი მიდრეკილებაც კარგი ჰქონდა, მაგრამ უსიცოცხლო იყო: რასაც არ გინდოდათ, იმას აქნევინებდით.

– მომითმინეთ, მე მინდა გავაგრძელო ჩემი მოთხრობა, – თქვა გოროხოვმა.

მე მიკვირდა იმის ღონე: ეს თითქმის მეათე რუმკა იყო.

– ამის შემდეგ თითქმის ერთი კვირა ვერა არაფერ საქმეში არ მინახავს. მე სრულებით სხვა ნაირათ მექცეოდა: უნდოდა შეეტყო ჩემი აზრი იმის მუშაობაზე, მე არ ვერიდებოდი. ერთხელ, როცა ვნახე იმის ხელში ფოხტის, თუ არ ვიცი, მალეშოტის თხზულება, მე გავიღიმილე. ვერამ შენიშნა ჩემი დაცინვა და მკითხა:

– რას იცინით? თქვენ არც ამ გვარი ჩემი მუშაობა მოგწონსთ?

– შეიძლება; მაგრამ იქნება მე შემცდარიც ვარ. რამე უნდა გკითხოთ.

– აბა, რას იტყვით?

– რა განზრახვით სწავლულობთ თქვენ ბუნებით საგნებს?

– განსაზღვრული მიზანი მე არა მაქვს.

– იმ სასწავლებელში, რომელშიაც თქვენ სწავლულობდით, ბუნებით საგნებს გასწავლიდნენ?

– არა.

– მაშ, საიდან მოგეცათ სურვილი უცნობი საგნების სწავლისა?

– მე ეს საგნები სასწავლებელიდან გამოსვლის შემდეგ გავიცანი.

– სხვების რჩევით, განა?

– დიახ. ბევრი მეუბნებოდენ ამ საგნების სარგებლობას და მეც ამ ჰაზრისა ვიყავი.

– საიდან დაიწყეთ თქვენ სწავლა?

– როგორ თუ საიდან?

– გქონდათ თქვენ სწავლაში სისტემა, თუ არა? გქონდათ საჭირო სახელმძღვანელო წიგნები, მაგ., ბოტანიკის, ზოოლოგიისა და მინერალოგიისა?

– არა, არ მქონდა. მე ვიღებდი წიგნებს, რომელიც მომეწონებოდა ერთი მაღაზიიდან. პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, ბიუხნერისა იყო.

– მაგგვარი კითხვა და სწავლა, – უთხარი მე, – სრულებით უსარგებლოა და მაწყინარი...

– აბა, მითხარით, რა გაიგეთ, როცა წაიკითხეთ ბიუხნერის წიგნში, მაგ., გულზე ან ფილტვებზე. რატო რჩევა არ სთხოვეთ ვისმე?

– თქვენ კიდევ მაკვირვებთ მე... სხვები მაქებდენ მე ამნაირი წიგნების კითხვისთვის... თუმცა მართალია, მე ცოტა გავიგე, მაგრამ კიდევ მგონია, რო ცარიელი რომანებისა და მოთხრობების კითხვას ბუნებითი საგნების სწავლა სჯობია.

III.

– მე წინათვე შევიტყე თქვენი პასუხი, – უთხარი მე. – რასაკვირველია, ვინც თქვენ შრომა და ბუნებითი საგნების სწავლა გირჩია, იმას რომ ამათ ნაცვლათ უაზრო რომანების და მოთხრობების კითხვა ერჩია – ბრიყულათ მოიქცეოდა. მართალია, თქვენ უნდა სცდილობდეთ, ისეთი სწავლა შეიძინოთ, რომელიც უფრო თქვენთვის კი არა, საზოგადოებისთვის იყოს სასარგებლო. თქვენ ჩაგიჩურჩულეს ყურში, რომ მოთხრობებისა და რომანების კითხვა უსარგებლო საქმეაო, ერთ დროს, როდესაც რომანებში და მოთხრობებში აშიყობისა და ოცნების მეტს ვერას ნახავდა კაცი, როდესაც იქ აღწერილი პირები ნამდვილ კაცებს სრულებით არ გვანდნენ – დაეთანხმებოდა კაცი იმ აზრს, რომ ამ ნაირი თხზულებები მართლა უსარგებლონი იყვნენ. ახლანდელი რომანები და მოთხრობები კი სრულებით არ გვანან უწინდელებსა: ახლანდელი მწერლები ასწერენ თვით ნამდვილ ცხოვრებასა და განიხილვენ ამ ცხოვრების რომელსამე გამოვლინებასა; და ცხოვრების გაცნობა განსაკუთრებით თქვენ, ქალს, ძალიან გამოგადგებათ. ცხოვრების გაცნობა აგაშორებთ თქვენ ბევრ შეცდომილებას და დაგაყენებთ სწორ გზაზე. წაიკითხეთ კარგი რომანები და მოთხრობები; ყური ადევნეთ ჟურნალისტიკას, რომელიც საზოგადოების ცხოვრების სარკეა, გაიცანით ბელინსკი და დობროლიუბოვი და, დარწმუნებული იყავით, ამ ნაირი შრომა უსარგებლოთ არ ჩაივლის თქვენთვის...

გოროხოვი ცოტა ხანს შეჩერდა; შემდეგ მოსწია სიგარა და გაათავა თავის მოთხრობა:

– ვერას სიკვდილის რამდენიმე დღის წინეთ, მე ერთი ღარიბი ყმაწვილი კაცისაგან წიგნი მივიღე, რომელიც მგონი თანა მაქვს...

ამოიღო უბიდამ დაწერილი ფოჩტის ქაღალდი და მომცა. შიგ ეწერა:

„მოწყალე ხელმწიფე,
დმიტრი კარპოვიჩ!

მე მრცხვენია თქვენი შეწუხება, მაგრამ რა გაეწყობა. ერთი სათხოვარი მაქვს: იქნება როგორმე მანეთი მასესხოთ. მესამე დღეა, რაც მე და კოლა უსადილოთა და უთამბაქოთ ვზივართ. თქვენ იცით, რომ უროკები აღარა გვაქვს და გადასაწერსაც, ზოგიერთი ქალების წყალობით ვეღარ ვშოულობთ; ახირებულია, ღმერთმანი! ზოგიერთები ათ თუმნიან კაბას იცმენ და ჩვენ კი საქმეს გვართმევენ – არც კი რცხვენიათ. თქვენ ისტალინისას ასწავლით, მგონია. ამბობენ, იმათ ვერას ბევრი გადასაწერი ლექციები აქვს აღებულიო. რა კარგი იქნება, რომ მოახერხებდეთ და ცოტა ჩვენც გვიზიაროს; სამ კაპეიკათ გადავსწერთ ფურცელს და არა ორშაურათ... საშინლათ გვშიან... თქვენგან მანეთს მოველით.

თქვენი Ф. პეტროვი“.

– რა უყავით თქვენ ამ წიგნს? – ვკითხე მე გოროხოვს.

– იმ დღეს მე ვიყავი ისტალინისას. საუბედუროთ, ამ დროს ვერა დამჯდარიყო სტოლთან და სტუდენტების ლექციებს სწერდა.

– იქნება თქვენ არც ეს ჩემი შრომა მოგწონთო? – მომღიმარი სახით მკითხა ვერამ.

– მართალი გითხრათ, არ მომწონს! – უთხარი მე და ბევრი ლაპარაკის მაგივრათ, ამოვიღე ჯიბიდამ პეტროვის წიგნი, მივეცი ხელში და ვთხოვე, წაიკითხოს. კითხვის დროს შევატყე, რომ ვერას ხელები უცახცახებდა, თვალები აემღვრია და პირისახეზე სიწითლე მოედო. წაიკითხა თუ არა, იმან გადმომცა მე წიგნი, მოკლულსავით თავი დაღუნა და ცოტა ხანს შემდეგ, დაღონებული ხმით მკითხა:

– მაშ, რა გავაკეთო?

– თქვენი შესაფერი საქმე მოძებნეთ, თუ თქვენ მეტი არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ და ხარჯის შემცირებაც გინდათ, გაისტუმრეთ ორი გამდელი, რომლებზედაც თქვენ ორი იმდენი გეხარჯებათ, რამდენსაც ლექციების გადაწერაში იღებთ...

– კმარა! მადლობელი ვარ, – სთქვა ვერამ და გავიდა ოთახიდამ. იმ დღესვე, თავის ძმის პირით, პეტროვის ადრესი ითხოვა. ამის შემდეგ მე აღარ მინახავს ვერა.

აი, ეს იყო ჩემი მოთხრობა.

* * *

მე დიდხანს ვერაფერი ვერა ვსთქვი. თვალწინ წარმოვიდგინე ვერა დაღონებული, შეურაცხყოფილი, რომელსაც მოუკლეს ყოველი რწმუნება და იმედი. იმას არ უნდოდა უსარგებლოთ, სხვის დასამძიმებლათ ცხოვრება; ვერას უნდოდა შრომა, ჰსურდა გაეკეთებინა რამ ქვეყანაზე... და რადგანაც ვერ აასრულა ეს თავის წადილი, იმას მოუვიდა თავში საშინელი ფიქრი და კიდეც მოიკლა თავი... ოხ! რა საშინელ კაცად მიმაჩნდა მე გოროხოვი?

– ნუთუ თქვენ არ გესმით, – უთხარი მე გოროხოვს, – რომ ვერას მკვლელი ჰყავდა? განა თქვენ ვერ მიმხვდარხართ, რომ იმის მკვლელი თქვენა ხართ?

– ხანდისხან ეს მეც მომდის ფიქრში. შეიძლება იმ გარემოებამ, რომ მე მოუკალ იმას უწინდელი რწმუნებები და დაურღვიე ლიოჰკისაგან ნაჩვენები ცხოვრების გზა – ჩააგდო ვერა სასოწარკვეთილებაში და მოაბეზრა იმას სიცოცხლე, მაგრამ დამნაშავეთ ჩემ თავს მხოლოთ იმაში ვპოებ, რომ ერთობ სასტიკათ და წინდაუხედავათ მოვექეცი; მე მინდოდა ძლიერი წამლით, ერთბაშათ გამეთავისუფლებია ის ძველი სენისაგან...

– თქვენ დაუკარგეთ იმას ძველი გზა და არც ახალი უჩვენეთ.

– მე არ უჩვენე, ამიტომ რომ ის ხომ ბავშვი არ იყო! დრო არის, თვითონ ქალებმა მოძებნონ თავიანთი გზა და მაიმუნობას თავი დაანებონ.

გოროხოვი ამ გვარათ კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა. ბოლოს მე მოვემზადე შინ წასასვლელათ. გამოთხოვების დროს, თითქმის სრულიათ დამთვრალმა გოროხოვმა მკითხა:

– როგორ გგონიათ: მართალი არა ვარ?

– არ ვიცი, მაგაზე რა გითხრათ... ეს კი ვიცი მხოლოთ, რომ მაგგვარ სასტიკათ

მე ქალს არასოდეს არ მოვექცეოდი. ამასაც ვიტყვი, რომ სუსტი და უხასიათო ვერა თქვენ ბევრათ გჯობდათ.

– ეს მე დიდი ხანია ვიცოდი! თქვენ ამ საუკუნის გმირი ხართ.

– თქვენა?

– მე? მე – მომავალისა.

– შეიძლება. მაგრამ ერთი ეს მითხარით, რათ გძულდათ თქვენ ვერა ისე საშინლათ?

– რათა? რათა? მიყვარდა და იმათა!.. გაიგეთ? ახლა კი მშვიდობით, – სთქვა და მოხურა კარები.

მეორე დღეს მე წავედი სოფელში, სადაც ერთ თვეზე მეტი დავყავი. როცა დავბრუნდი, მე გოროხოვის ნახვა მომივიდა თავში. მაგრამ ვაი!.. ის იწვა ლაზარეთში, იმ განყოფილებაში, საცა ჭკუაზე შეშლილები იმყოფებიან ხოლმე.

ეკ. მ-ისა

გაზეთი „დროება“,
1871, 31 იანვარი, № 4, გვ. 1-2;
1871, 5 თებერვალი, № 5, გვ. 1-3;
1871, 13 თებერვალი, № 6, გვ. 4

ეკატერინე მესხი

კეკე მესხი იყო მეუღლე ნიჭიერ პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწეს და ქართულ სტამბის ერთ-ერთ დამაარსებელ სერგო მესხისა. მამა მისი გრიგორი მელიქიშვილი დიდი პატრიოტი იყო. მან ცხოველი მონაწილეობა მიიღო პირველ სტამბის დაარსებაში: არათუ საამხანაგო წვლილი შეიტანა, დიდი თანხაც დაამატა და თავის ვაჟი სტეფანე ვენაში გაგზავნა სტამბის შესაძენათ 1864 წ. 1886 წელს გამოვიდა „დროება“, გიორგი წერეთლის რედაქტორობით და სტეფანე მელიქიშვილის გამომცემლობით. ამაში მონაწილეობას იღებდენ სტეფანეს ძმები იოსები და და კეკე.

კეკე სწავლობდა პირველად ფაერის პანსიონში, სადაც კატო გაბაშვილი, მერმე საფრანგეთში წავიდა. იქ მონპელიეში სწავლობდა, ბოლოს ჟენევაში. აქ მასთან სწავლობდენ ოლგა გურამიშვილი (ნიკო ნიკოლაძის მეუღლე) და კატო ნიკოლაძე. კეკე აქ გაეცნო სერგო მესხს და ცოლად გაყვა.

პირველად კეკეს შევხვდი პეტრე წულუკიძეს ოჯახში სოფელ კვახჭირში. კეკემ და პეტრემ მოიგონეს თავის ცხოვრება პარიჟში. ბევრი რამ საინტერესო ამბებს მოყვენ. მე მხოლოდ ერთი დამამახსოვდა.

მათ იქ ყოფნის დროს პარიჟში დიდი დემონსტრაცია გაემართად, რაშიც ვიქტორ ჰიუგო მონაწილეობას იღებდა. ყველას ესალმებოდა და ხელს ართმევდა, სხვათა შორის, პეტრესაც ხელი ჩამოართვა. პეტრემ ეს ხელი შეიხვია. ამხანაგები რომ შეხვდენ, შეეკითხეს:

– პეტრე, რა მოგივიდა, ხელი რად შეგიხვევიაო?

– ვიქტორ ჰიუგომ ხელი ჩამომართვა, მის შემდეგ ვინაა ღირსი ეს ხელი მივცე?! – აღტაცებით მიუგო პეტრემ.

პირველათ რომ თბილისში ჩამოველ, გიორგი წერეთლისას მიველ. აქ კატო გაბაშვილს გავეცან, კეკეც იქვე დამხვდა.

საუკეთესო მეგობრები და მშველელი საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემაში იყვენ კატო გაბაშვილი და კეკე მესხი. კეკე საბავშვო მოთხრობებს ორიგინალურს წერდა, მეტწილად კი თარგმნიდა ფრანგულ ენიდან. კეკეს შრომა მარტო ამით არ განისაზღვრებოდა, ის ყოველ საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებდა. რისი გაკეთებას იკისრებდა, უთუოდ კეთილად დაამთავრებდა. ის იყო ყოველთვის თანამშრომელი და არა აქტიური, როგორც ანასტასია წერეთელი და მარია დემურია. წყნარი მუშაკი, ის შრომობდა საზოგადო საქმისათვის არა სახელის მოხვეჭისათვის, არამედ იდეისათვის. სადაც ქალები საზოგადო საქმეს დაიწყებდენ, კეკეც იქ მონაწილეობას მიიღებდა.

1905 წ. ნება დართეს კრებების გამართვისა. პირველი კრება გამართეს მასწავლებელ ქალებმა, მერე კატო გაბაშვილის თაოსნობით ქართველ მწერალ ქალებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს – საზოგადოება ვერ დააარსეს, რადგან რეაქცია გამეფდა, კრებები აიკრძალა.

1908 წ. პეტერბურგში გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალების კავშირთა კრება. იქიდან მოვიდა ორი დეპეშა – ერთი მასწავლებელ ქალების საზოგადოების სახელზე და მეორე კატო გაბაშვილის. ორივე კრებამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში სრულიად რუსეთის ქალების კავშირის კრებას (Всероссийский съезд женских организаций).

მასწავლებელი ქალების საზოგადოებაში შესდგა ინტერნაციონალური ქალების კრება, რომელმაც დეპეშის გაგზავნის შემდეგ კომისია აირჩია და მათ დააარსეს ინტერნაციონალური კავკასიის ქალთა საზოგადოება. 1909 წ. აქ პირველი ქართველი ქალები შემოვიდენ კეკე მესხი, ვედრებისელი[1] და მარია დემურია. ქართველ ქალებმა შეეცადეს ცალკე ქალთა საზოგადოების დაარსებას, ვერას გახდენ და 1912 წ. კ. ქ. საზოგადოებაში შემოვიდენ, აქ ქართული სექცია დააარსეს. შემდეგ 1914 წ. საკუთარი ბინა გაიჩინეს, ვერა, მატერიალური ქუჩა №16 და იქ გადავიდენ. ამ სექციის თავმჯდომარეთ კეკე მესხი აირჩიეს. 1918 წ. დაიხურა კ. ქ. საზოგადოება. ჩვენმა სექციამ კიდევ ორ წელს იარსება, რადგან აქ ფეხსაცმლის სამკერვალო გავხსენით – კეკე განაგებდა. აქ კურსი დაასრულა ფეხსაცმელების კერვისა 40 ქალმა და 9 მამაკაცმა.

1923 წ. ქართველ მწერალ ქალებმა: ეკ. გაბაშვილმა, კეკე მესხმა, ან. წერეთელმა, ცქვიტმა, მარიჯანმა, დ. ახვლედიანმა, საფო მგელაძემ და ან. ღვინიაშვილმა დააარსეს ჟურნალი „ალმანახი“. ამ წრემ თავის შრომით და საშუალებით ორ წელს გაუძღვა ამ ჟურნალს 1924-25 წლამდე. მახსოვს ერთი შემთხვევა: კეკეს დაუბრუნეს მისი მოთხრობის გაგრძელება ჩემი ხელით და თხოვეს, დაეწერა ახალი. კეკე გაცხარდა:

– სად შემიძლია, ხელმეორედ დავწეროო, – გაჯავრებულმა შემომიტია.

– სხვას დააწერიე, – უპასუხე მე.

– ვის დავაწერიო?! – უფრო განრისხდა.

– ვისაც ენდობი, – უპასუხე მე.

კეკე დამშვიდდა. შემდეგ მან დაწერა ეს, კიდეც დაიბეჭდა „ალმანახის“ მეორე ნომერში.

კეკე ხშირად ნახულობდა ანასტასია წერეთელს, როდესაც დამბლათ ჩავარდა. ერთხან კიდეც მასთან ცხოვრობდა, თვალყურს ადევნებდა, რომ კარგად მოევლოთ. ანასტასიას ხშირად შეეკამათებოდა კეკე – კიდეც გაუჯავრდებოდა, კატო გაბაშვილს არასოდეს. მე ამისთანა შემთხვევა არ მინახავს.

კეკე და კატო გაბაშვილი ყოველთვის იხდიდენ დღეობას. წინა დღით კეკესთან ვიყრიდით თავს, მეორე დღეს კატოსთან. მახსოვს, უკანასკნელი კეკეს გამოსამშვიდობებელი დღეობა. წინა დღით კეკემ მთხოვა, ადრე მივსულიყავი მასთან და მოვხმარებოდი საცივის გაკეთებაში. მეც ადრე მივედი, ერთად მოვამზადეთ ყველაფერი. ყველაზე უწინ სადილათ მოვიდა მისი ძმა პროფესორი პეტრე

1. მაკუევა-კალგინა.

მელიქიშვილი. შემდეგ სხვა ნათესავები. საღამოს მწერალი ქალები მოვიდენ. არ დამავიწყდება, რა სიხარულით და აღტაცებით შეხვდა კატო გაბაშვილი.

ტკბილათ ჩაიარა ამ საღამომ. ძლიერ შეაწუხა კეკე პროფესორი ძმის დაკარგვამ. რა მწუხარება და მოქანცულება აღიბეჭდა მის სახეზე – ძლივს მიყვებოდა მიცვალებულს. მისი მეოხებით იყო, რომ პეტრე უნივერსიტეტის ეზოში დამარხეს. საცოდავმა კეკემ ვერ გადიტანა: ერთი წლის წინათ სოსოძმა დამარხა – ეხლა მეორე – ვერ გაუძლო, წლის თავზე გარდაიცვალა – ვწუხვარ დიდათ, რომ მე ქუთაისში ვიყავი, როცა კეკე ავად გახდა – ვერაფერში უშველე. მხოლოდ გასვენების წინა დღით ჩამოველ. კეკე ისეთი ადამიანი იყო, რომ გაჭივრების დროს უთუოდ გინახულებდა და რითაც შეეძლო, დაგეხმარებოდა.

მანამ ცოცხალი ვარ, კეკე მესხი და კატო გაბაშვილი მუდამ ჩემ მეხსიერებაში დარჩებიან.

ნინო ტყეშელაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ნინო ტყეშელაშვილის არქივი, ხელნაწერი № 13193

ეკატერინე თარხნიშვილი - გაბაშვილი

1851-1938

გაბედნიერება

„დროების“ კორრესპონდენცია ქ ა რ თ ლ ი დ ა მ
(უძღვნი დარია მამაცაშვილისას)

ვგონებ, უინტერესო არ იყოს თქვენთვის, რომელიმე შესანიშნავი სურათი ჩვენი გლეხკაცის ცხოვრებიდგან. ამისათვის მე მინდა აგიწეროთ ქორწინება, რომლის დამსწრეც ვიყავ წასული იანვრის ათს. მე მოვდიოდი თბილისიდგან და ჩემ თანამოგზაურითურთ სოფ. ძეგვში ჩამოვხტი სადილისთვის და ცოტა რამ გასაკეთებელიც ჰქონდა ჩვენ ტარანტასს, ასე რომ, ნაშუადღევის ოთხ საათამდის დავრჩით ერთს იქაურ დუქანში. სადილის შემდეგ მახლობლათ დაირას და სიმღერის ხმა მომესმა. მედუქნემ მითხრა: აქ ჩემ მეზობელს ქორწილი აქვსო – ქალს ისტუმრებენ და თუ გნებავთ, ეწვიეთ, არ ეწყინებათო. მეც გავწიე იმ სახლისაკენ, საიდგანაც ეს სიხარულის ხმები გამოდიოდა, უფრო დედოფლის სანახავათ.

სახლი სუფთათ იყო მილაგებული: ძირს სამ კუთხივ ფარდაგები იყო დაფენილი და მეოთხე კუთხეში ბუხართან პატარა ტახტი იდგა. მორთულ-მოკაზმული ქალები დაირას და „ბუზიკას“ (გარმონიას) უკრავდნენ და რიგ-რიგათ თამაშობდნენ. ერთ ამათგანს ვკითხე, დედოფალი სად არის მეთქი? – სათონეში გახლამთ მოსართავათო, მიპასუხა. დედოფლის დედა მოვიდა, დაბლათ თავი დამიკრა და მითხრა, თუ გნებავთ, წამობრძანდით და ჩემს ქალს გაჩვენებთო. მე მიულოცე იმას ქალის გაბედნიერება და წავყე სათონეში, სადაც პატარძალი იჯდა მოკეცილი და რძალი თავს ხურავდა. როგორც ბედნიერ დედაკაცსაო, მარტო ამასა აქვს მორთვის ნებაო, იქ მითხრეს. პატარძალი კაი წამოსადეგი მხარბეჭიანი ქალი იყო, იმისი მსუქანი ლოყები თეთრ-წითლათ ღვიოდა; მაგრამ ძრიელ დაღონებული კი იყურებოდა და იმის შავ ჟუჟუნა თვალებს თითქო კიდეც უხდებოდა ეს დაღონება. ნეტა რა აწუხებდა ამას? თავის სამშობლო ქვეყნის და მშობლების მოშორება, თუ უცნობი კაცი, რომელსაც ორი საათის შემდეგ უნდა გაჰყოლოდა? ვინ იცის, რა ნაირად უცემდა გული და რა ფიქრები ტრიალებდნენ იმის თავში? ვინ იყო მკითხველი, ვინ დაზდევდა, თუ რას გრძნობდა იმის გული? ყველანი ისე შესცქეროდნენ იმას, როგორც ბედნიერ ქალს, რადგან სთხოვდებოდა.

პატარა ხანს უკან პატარძალი გაკავებული გრძელ მისიანი კაბით, რომელშიაც ძლივს სუნთქავდა და ხარბათ ფერ-უმარილით წასმული, თუმცა არც ერთი არ ესაჭიროებოდა იმის ფერსა, გამოიყვანეს დარბაზში და ტახტზე დააბძანეს.

დიდხანს აღარ გამოუვლია, მახარობელი მოვიდა, მეფიანი მოდიანო. დიდის ღრიანტელით და მაყრულის სიმღერით მობძანდნენ მეფიანი. ქალის ნათესავებმა მეფე სახლში არ შემოუშვეს: ჯერ შენი ვალი აასრულეო. მეფე შესდგა კარებში. ეს იყო ოცდა ორის, ან ოცდა სამის წლის ბიჭი, ფერ-მკრთალი, ტან-დაბალი და უსიამოვნო შესახედავი. ამან ამოიღო ოთხი მანათი, მისცა მეჯვარეს და უთხრა: ერთი მანათი პირის მომრთველს მიეც და სამი ოსტატსაო.

– როგორ თუ სამი მანათი ოსტატსაო! – გამოვარდა გაასპიტებული ხნიანი დედაკაცი. – სული არ წამიწყდეს, რომ მე ხუთი მანათითაც ვერ მამიშორო.

– მეტს არ მოგცემ, – უთხრა მეფემ.

– როგორ თუ არ მისცემო?!..

გაიმართა ჩხუბი. დედოფლიანი ოსტატს ესარჩლებოდნენ და მეფიანი, რასაკვირველია, მეფეს. ჩხუბი დიდხანს გასწევდა, რომ მეფეს ხელი არ ეკრა თავის საცოლოს გამწრთვნელისათვის და ძალით არ შესულიყო შინა. მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა ტახტი, მივიდა და დაჯდა დედოფლის გვერდით. მეჯვარე, ყელ-ბაღდად შემოხვეული, მარჯვნივ მეფეს ჩამოუჯდა. მაყრები სიმღერით და ლაზღანდარობით ბუხრის წინ ჩამოსხდნენ. ერთმა ამათგანმა მოხსნა ხურჯინს პირი და ამოიღო: ტიკით ღვინო, არაყი, პირგაჭრილი პურები, ცივი დედალი და ღორის ხორცი. გაშალეს სუფრა, მოიმტვრიეს პურები, აამსეს ყანწები და მეფე-დედოფალი დალოცეს. საუზმეს შემდეგ, მეჯვარემ მოიკითხა ლანგარი და ზედ ჭრელი ნაჭრების ბოხჩა გადაშალა. ამაში ეწყვნენ: პატარძლის საკაბე, კურტკა, ფერჩატკები და ჩულქ-ბაშმაკი, აქეთ იქეთ დაუწყეს ორი პატარა თავი შაქარი მწვანე და წითელი ლენტებით აჭრელებული. ამასობაში მოვიდა მღვდელი და ჩვეულებისამებრ, აკურთხა ნიშანი და დალოცა მეფე-დედოფალი და წავიდა ეკლესიაში, სადაც პატარა ხანს უკან ჯვარი უნდა დაეწერნა ამ მ ი ჯ ნ უ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომლებსაც რაც მე იქ ხანი ვიყავი, არც ერთხელ არ შეუხედნიათ ერთმანეთისათვის, თითქო ეშინოდათ – ვაი თუ მოტყუებულნი ვიყოთო. (როგორც აქ შევიტყე ერთი მექორწინე ქალისაგან, მეფეს ჯერ ამის მეტათ არ ენახა თავის საცოლო, რადგანაც ამ ორი თვის წინათ ამის უფროს ძმას დაენიშნა თავის სარძლო). პატარძალს ჩააცვეს ქრმის მოტანილი კურტკა, ფერჩატკები და მოახვიეს ბაღდადი. ერთმა მოხუცმა კაცმა მოჰკიდა პატარძალს და მეფესაც ხელი და ხელი ხელს მისცა ამ სიტყვებით:

– მომიცია, შვილო, მთელი, წრფელი, უმანკო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ასი წელიწადი გაცოცხლოთ, ერთი ერთმანეთის სიყვარულით და თანხმობით, სამი ვაჟი მოქცეთ და ერთი ქალი.

ამ დალოცვაზე ყველამ ერთ-ხმათ შესძახეს: „ამინ“. მეფე-დედოფალი ხელი ხელს ჩაკიდულნი გავიდნენ სახლიდან, თან მიჰყვნენ მაყრები სიმღერით და სტუმრები. ამ პროცესიამ მიმართა ეკლესიას.

მე ამ დროს ჩემმა თანამემგზავრეებმა დამიძახეს და, ჩემდა სამწუხრათ, ვეღარ ვნახე ამათი ჯვარის წერა. როდესაც ჩვენმა იამშჩიკმა ცხენებს შებმა დაუწყო, ამ დროს ჩამოატარეს მეფე-დედოფალი, გვირგვინებ ჩამოკიდებული, ურმით, სამი მაყარი მოსდევდათ გაჩუმებული. მეფეს წითელი ხელსახოცი ეჭირა და ცრემლებს იწმენდდა, დედოფალსაც თავი ჩაეღუნა. მე ძრიელ გამიკვირდა ეს ამბავი. ერთს მაყართაგანს ვკითხე, რა არის მეფის ცრემლების მიზეზი მეთქი? – დედოფალი დაგვიწიხლესო, მიპასუხა იმან და მერე მეფეს შეტევით უთხრა: – რა არის, შეგარცხვინოს ღმერთმა, რა გატირებს, ვაჟკაცი არ ხარ?

ამ დროს დუქან წინ იდგნენ რამდენიმე ყმაწვილი ბიჭები და ორიოდ სამი იამშჩიკი. ჩვენ ვერავინ მივხვდით, თუ რას ნიშნავდა „დაგვიწიხლესო“. დაწიხვლაზე და მეფის ტირილზე ამ ბიჭებმა შეჰქმნეს ოხუნჯობა და სიცილი.

– ბიჭო, – სთქვა ერთმა, – უთუოთ კოჭლი შეატყუეს?

– არა, სიკოჭლე რა სატირელია? – უთხრა მეორემ. – მაღალი ქუსლი გაუკეთებინოს მაგ დალოცვილმა და სწორეთ გაივლის.

– რუსული ნალი მიაკრან და სწორეთ გაივლის. აი, ნალბანდიც აქვე გვყავს, შორ ძებნა არ მოუნდება, – უპასუხა მესამემ.

– სიყმე არ მომიკვდება, – სთქვა მეოთხემ, – ასე გამიგონია, კოჭლები უფრო ბედნიერები და ლამაზები არიანო.

ჩემ თქმაზე, რომ ის ქალი კოჭლი არ არის მეთქი, იმათ ლაპარაკი შესცვალეს.

– მაშ რა ვაგლახი შესდგომია მაგ ოჯახქორსა? გამიშვით ერთი, წავართვა; მე კიდეც გამეხარდება, მაინც ტარანტასი ცარიელი მიმაქვს, და მგონი მძიმე ბარგი არ მომივა, – სთქვა ერთმა იამშჩიკმა.

– აბა, თუ ბიჭი ხარ, გაბედე! – აქეთ-იქიდგან უთხრეს.

– ქართველია? – იკითხა იქ მყოფმა სომეხმა.

– მაშ! – მიუგო მეორემ. – ეხლა სომეხს ჯვარი დაეწერება?

– მე მაშინვე ვთქვი, ქართველი იქნება მეთქი. სომეხი გიჟი იქნება, ისე საქმე დაიჭიროს, რომ მერე ინანოს? კაცო, რაღა დროს ლაპარაკია, რაც ღმერთმა მოგცა, ხელი მოჰკიდე და! ვა!

ამათ ლაპარაკში მექორწილენი ხევს გავიდნენ; დანარჩენი მაყრებიც სიმღერით: „მოგვყავს დედალი ხოხობი“ და სხ. მიეწივნენ მათ. ვნახოთ, მეფე ურმიდგან გადმოხტა და ხევ-ხევ დაეშვა. ჩვენ დავეშურენით იმათ მოსაწევნელათ. ნახევარ ვერსზე მოვეწიენით და ვნახეთ, რომ მეფე ძირს დაცემულიყო და მაყრები ეხვეწებოდნენ – ადექიო.

– კაცო, გაგიჟდი, რაღა დროს ტლინკვაა, როცა ჯვარი დაიწერე?

– გამიშვით! გამიშვით! – გაცოფებული იძახდა მეფე. – მე ეგრე არ წავიყვან მაგასა. მაგათ უნდა მომატყუონ?!

ძლივს რის ვაი-ვაგლახით დააყენეს მეფე. ერთმა მაყართაგანმა შემოისვა ცხენზედ და დედოფალს გამოუდგნენ, რომელიც მეურმემ სერზე ააცილა კიდეცა. ჩვენც ნელა-ნელა მივდევდით და ყურს უგდებდით, თუ სადამდინ მიახწევდა მეფის სიანჩხლე. მაყრები მოეწივნენ ურემსა, დააყენეს და სკივრის თოკებს ხსნა დაუწყეს. ამ საბრალო დედოფალს შინიდგან ერთი შორეული ნათესავის მეტი არავინ წამოჰყოლოდა, რომელიც, რაც ღონე ჰქონდა, გაუძალიანდა და სკივრის ახსნის ნებას არ აძლევდა, მაგრამ ერთი ამდენში რას გააწყობდა: ხელი ჰკრეს და ძირს გადმოაგდეს. გადმოიღეს სკივრი.

– გასაღები მომეც, შე მამა... შენა! ერთი ვნახო, რა გამოგატანეს! რა ძევს ამ სკივრში? ექვსი თუმანი ჯიბის ფული აქ არის?

– გასაღები მე არა მაქსო, – მიუგო კანკალით და ტირილით დედოფალმა.

– არა მაქსო? მაშ კარგი, მე გავაღებ ამას. ერთმა მაყარმა ხანჯალი ამოიღო. აქამომდისინ კი სეირს უყურებდით, და ახლა კი პატარძლისა შეგვეშინდა, რომ არა აუტეხონ რა. გადავედით და მივეშველენით. მე დედოფალს ნუგეშ ვაძლევდი. ჩემი თანამემგზავრენი მეფეს შემოეხვივნენ და ჰკითხავდნენ, რა არის მიზეზი შენი სიანჩხლისაო?

– როგორ თუ რა არის? – ტირილით წამოიძახა. – მე რომ ჩემი უბედურება გიამბოთ, ხვალამდინაც ვერ გავათავებ, და გაცეცხლებული მივარდა სკივრს. ერთ წამში აგლიჯა თავი, ამოიღო ორი ბოხჩა, სპილენძის ტაშტი და თუნგი და ურემში დაყარა.

– აი, მაგათი რჯული, მაგათი! ეს არის მზითევი? ცარიელი სკივრი დაუდგამთ, ესეც არ მინდა! და სკივრი ხევში გადააგდო. – ახლა კი ჩავჯდები. აი თუ არ ჩავჯდები. ავიდა ურემში, მოიკეცა ცოლთან, ერთიც მაგრა აკოცა და უთხრა:

– სუ, ნუ ტირი, მაგათი თავი კი, მაგათი... რათ მატყუებდენ?

ერთი ორი ნაბიჯი რომ გავიარეთ, მეფეს კიდევ რაღამაც მოუარა და დაიძახა: დაიცადეთ, ერთი აქაც ვნახო, რა არის! გაგლიჯ-გამოგლიჯა მაფრაშის თოკები, ამოალაგა ლოგინი და ზოგი აქეთ გადაისროლა და ზოგი იქითა.

– არც ესენი მინდა მაგათი, წაიღონ!

მაყრებმა დაიტაცეს ლოგინი: ერთმა ბალიში, მეორემ საბანი და ცხენებზე დაიკეცეს.

ეს ღრიანტელი და ვაი-ვაგლახი ძეგვის აღმართზე იყო. სოფლიდგან, რასაკვირველია, დაინახავდნენ ამ ამბავს. ქალი და კაცი მექორწილეები სულ ერთიანათ გამოცვივდნენ დედოფლის მოსაშველებლათ. მოუვიდათ ჩხუბი ორთავ მხრის მაყრებს. მეფე ურმიდგან გადმოაგდეს, დედოფალს ხელი წაავლეს ქალებმა და სოფლისკენ გააქციეს. მეფის მაყრებმა, რო ნახეს თავიანთ დამარცხება, თავგადაგლეჯილები გამოუდგნენ და რის ვაი-ვაგლახით და ცემა-ტყეპით გამოიხსნეს დედოფალი, ჩასვეს ურემში და გამოატრიალეს საჩქაროთ შინისაკენ...

ჩვენ ეს ნელ-ნელა სიარული ხელს არ მოგვცემდა და გავეჩქარენით. ბინდმაც მოატანა. ამ სიცივეში, ბნელაში და ტრიალ მინდორში დარჩა საცოდავი დედოფალი, უგონოთ დამთვრალ კაცებში. და მე ჩემს გულში ვთქვი: ამის დედაც იტყვის, რომ შვილი გავაბედნიერეო.

ეკ. თარხან-მოურავისა

გაზეთი „დროება“, 1871, 19 თებერვალი, № 7, გვ. 2-3

ფრთებ დაგლეჯილი

(სცენა)

შუათანა შეძლებულის კაცის სასტუმრო. მდივანი, სავარძელი, ტახტი მუთაქა-ბალიშებით. ერთს კუთხეში დიდი საწერი მაგიდა, რომელზედაც ალაგია წიგნები, გაზეთები, ნაწერი ქაღალდები, რამდენიმე სურათი ლამაზს ჩარჩოებში, მაგიდას თავით ქართველ მწერალთა სურათები ჰკიდია. ახალგაზრდა ქალი ქეთო თეთრის გაფარფარებულის კაბით თმებ-ჩამოშლილი აღებს ფანჯარას, საიდამაც მზის შუქი შემოდგება.

ქეთო (მარტო). რა მშვენიერება ხარ, გაზაფხულო! რა ტკბილი და მყუდრო, ფაქიზი, ნარნარი! არამც თუ კაცის თვალს და გულს, თვით ფრინველთაც კი სიხა-რულით ავსებ და სიყვარულით აჭიკჭიკებ. (ჩაფიქრებულია).

მელანია (შემოდის). ქალბატონო, სამოვარი შემოვიტანე, შაქარი კი არ გახლავს.

ქეთო (არ ესმის მელანიას სიტყვები). ნეტა ადამიანები ერთნაირად რატო არ გრძნობენ და არ ხარობენ?!..

მელანია (ხელს შეახებს). შაქარი არ გახლავთ, მეთქი!

ქეთო (შეკრთება). ოჰ, მელანია! რა საშინელი წინ-დაუხედავი ხარ, შემაშინე.

მელანია. ბატონი ჯავრობს, სამოვარი მოვიტანე და შაქარი კი არ გახლავთ.

ქეთო (გაჯავრებული). რატო თითონ ბატონი არ მოგატანიებს?

მელანია (ბუზღუნით). მე თქვენი არა მესმის-რა, ის თქვენთან მგზავნის, თქვენ იმასთან... (გადის).

ქეთო (სავარძელში ჩაჯდება და გაზეთს კითხულობს). ხვალ ბეჟან ნარიმანაშ-ვილი წაიკითხავს ლექციას... ქალთა პოლიტიკურ... (შემოდის ქეთოს ქმარი ნიკო).

ნიკო (გაჯავრებული). რა დროს კითხვაა? აგერ ათი საათია. სამსახურში მაგვიანდება, ჩაი თავის დროზედ არ არის, ყელსახვევი ვერ მიპოვნია, არც ჯოხი სჩანს!

ქეთო (ღიმილით). ჯერაც არ გამიგონია შენი ჯოხის და ყელსახვევის დაკარგვა! (კითხულობს).

ნიკო (ხმას აიმაღლებს). არ გესმის? სამსახურში მიგვიანდება მეთქი? მომინახე ჩქარა!

ქეთო. დედაკაცს უთხარ, ძალიან საინტერესო სტატიას ვკითხულობ. აი გაიგონე: „ქალთა განათლება და გათანასწორება პოლიტიკურ ასპარეზზედ...“

ნიკო (გააწყვეტინებს). რას როტავ, რასა? რა დროს პოლიტიკური ასპარეზებია! გეუბნევი, ათი საათია მეთქი, მიგვიანდება... ადექი!

ქეთო (გაანჩხლებული). რას ჩამაცივდი, ქა! ჩემი რა საქმეა შენი ყელსახვევის ძებნა? განა გაძებნინებ ხოლმე ჩემ საჭირო ნივთებს?!.

ნიკო (ყვირის). როგორ თუ მაძებნინებ! მე და შენ ერთი ვართ? მაშ სამსახურში რო დავდივარ, ხუთ-ექვსს საათს ორად მოკაკული ვზივარ და ვწერ, ოცში რომ შრიალ-შრიალით ახალ-ახალს ასიგნაციებს ჩაგითვლი ხოლმე, ამას პატივისცემა არ უნდა? მუშას ხელის შეწყობა არ უნდა?

ქეთო (გადააგდებს გაზეთს). ღმერთმა კი შეარცხვინოს ამისთანა ცხოვრება! აქაო და ოცში ჯამაგირს ვიღებო, მთელი ოცდა ცხრა დღე ცხვირში საყვედურის ძმარი უნდა მადინო? ამიტომ მონად უნდა მაქციო? დღე და ღამ შენ უნდა გილალაო, თავისუფლად ამოსუნთქვის დრო არ უნდა მქონდეს? მეც რომ მქონდეს ჯამაგირი, მაშინ ხომ მაგაებს აღარ იტყოდი?

ნიკო. აი, გაბა ბაასი! მთელ ქალთა კითხვას აღძრავს ახლა... გეუბნევი, ჩქარა ყელსახვევი მეთქი! ჯოხი! თორემ აქაურობას დავამტვრევ. (მაგიდას, სკამს ხელს წამოჰკრავს და ბრახა-ბრუხს ააყენებს).

ქეთო (ზიზღით). საწყალი, გადირია, მოყარეს ეშმაკებმა.

ნიკო (მუშტ მოღერებული). წყეულ იყვეს, ვინც განათლებული ქალი ცოლად შეირთოს! (ქეთოს) როგორ ვერ გაიგე, როგორ ვერ შეიგნე, მე რომ სამუშაოდ მივდივარ, შენ მაშინ ნება არა გაქვს განცხრომას მიეცე! ოცნების მორევში იცურო! (ძრიელ ახლო მივა ცოლთან და თვალებში ჩაჰყურებს) ყველა მაგეებს დაგავიწყებ!

ქეთო. შენი დაპირება, შენი აღთქმა სადღაა? ვეცდები, ავაყვავო შენი ნიჭიო, ყოველ დაბრკოლებას გადავეღობო, ხელი შეგიწყოო...

ნიკო. მაშინ შენ ვარდი იყავ და მე ბულბული. მე ვჭიკჭიკობდი... ეხლა ცოლი ხარ, ცოლი, რით ვერ გაიგე?

მელანია (შემოდის. ცალ ხელში ყელსახვევი უჭირავს, მეორეში ჯოხი, ხელებ გაშლილი და სულელურის სიცილით). აი, ეს თქვენი საყელური და ეს თქვენი ჯოხი! ტახტს უკან ეყარა.

ნიკო (დარცხვენილი გამოგლეჯავს ხელიდგან და სარკესთან დაიწყებს კეთებას). დასწყევლოს ღმერთმა! რამდენჯერ გადვიხედე იმ ოხერი ტახტის უკან! (დახედავს საათს). უჰ, უჰ! რა რიგ დამიგვიანდა! (წაართმევს ჯოხს დედაკაცს და გარბის).

ქეთო (ამოიოხრებს). რა უგუნურად არის მოწყობილი ადამიანთა ცხოვრება! რისთვის ვსწევთ ამოდენა ვაი ვაგლახს, რად ვუმწარებთ ცხოვრებას ერთმანეთს! (ნელა ნელა მივა მაგიდასთან და ნაწერ ქაღალდებს უწყებს ფურცვლას, უცებ შეჰყვირებს). ეს რა ამბავია? სად არის ამ ნაწერების ფურცლები? ხელი ვინ ახლო ამ რვეულს?

მელანია. დაწერილი თაბახები? აქა-იქ წაშლილი რომ იყო? ზედი-ზედ რომ იყო მიწერილი და წაშლილები?

ქეთო. ჰო! ჰო! რა იქნა, სად მიაჩეჩე!

მელანია (დარცხვენილი). მე „შავები“ მეგონა და...

ქეთო. და რა? რა? თქვი რაღა!

მელანია. წუხელის ბუხარს ვეღარაფრით მოვუკიდე, ნედლი შეშა იყო და ქაღალდი შევუკეთე...

ქეთო. ბუხარს შეუკეთე?.. ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ! განა ქვეყანაზედ ამისთანა სირეგვნე მოხდება სადმე? სამი კვირის ნაწვავ-ნადაგი, გულის შიგნიდგან გადმომსკდარი ნადუღი და ცეცხლის ასანთებად შეკეთება! (მელანიას). ოხ, შე ველურო, ჩერჩეტო! რა მიყავი ესა, რა მიყავი? მე მზათა ვარ ყელში წაგიჭირო და დაგახრჩო! რამდენჯერ მითქვამს შენთვის ჩემს ნაწერებს ხელი არ ახლო მეთქი, რამდენჯერ?.. (სტირის)

მელანია (მობუზული სდგას). რა ვიცოდი, რა ვიცოდი მე უბედურმა. (სტირის) ბატონი „შავებს“ ყოველთვის გადმომიყრის ხოლმე.

ქეთო (აღშფოთებული). სულ ასეა ჩემი საქმე: ჩხუბი, ბოროტება, უგუნურება!! რა ვქნა? როგორ მოვიქცე, როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? (დადის დაფიქრებული. უცებ საათს შეხედავს, მელანიას) მაშ იცოდე, რომ ერთი ხელის ოდენა ნაწერი ქაღალდი რა არის, ხელის ოდენა, ისიც კი არ დახიო დაუკითხავად! გესმის? დახიო კი არა, ალაგიდგანაც არ დასძრა! ეხლა ეს ოთახი დაალაგე, მტვერი გადასწმინდე, იატაკი გაასუფთავე, სტუმარი უნდა მოვიდეს. მერე ყავა მოხარშე. ეხლა მე ბავშვთან გავალ.

მელანია (ოთახს ალაგებს). ბატონმა მიბძანა, სადილი სწორედ ორ საათზედ მზად იყოსო. მანამ ოთახს ავალაგებ, მანამ ყავას მოვხარშამ და მოვართმევ, პირველიც გადავა, მაშ სადილი როდისღა მოვამზადო? დავაგვიანო და ვაი ჩემი ბრალი! და, და, და! რა რიგ განრისხდა! რა რიგ გაასპიტდა! ამოდენა ადამიანი კინაღამ მთლად არ გადამყლაპა! ქაღალდები რად დამიწვიო?! დიდი რამეა მაგის ნაბღაჯნები, თუ დავწვი. ბატონი ტყუილად კი არ აყვედრის: სულ სწერ და სწერო, კითხულობ, სწერ და კითხულობო! (პაუზა) ქალი უნდა ტახტზე იჯდეს და მთელი დღე ქმარ-შვილს საკერავს უკერავდეს, სახლ-კარს უვლიდეს, შვილებს დასტრიალებდეს! ეგ კი სულ დუ, დუ, დუ! (აჯავრებს კითხვას. ზარის ხმა ისმის. მელანია კარებს აღებს. შემოდის რედაქტორი).

რედაქტორი. ქალბატონი ქეთევანი შინა ბძანდება?

მელანია (თავისთვის. თვალიც გაგხეთქიათ). შინ გახლავთ. (გადის).

რედაქტორი (მარტო საწერ მაგიდას ათვალიერებს). აი რაღაც მოთხრობაა დაწერილი! იქნება ეს ის არის, მე რომ აღმითქვა? (კითხულობს) „მშვენიერი, ტკბილი, მყუდრო გაზაფხულის საღამო იყო, პატარა ნაკადული ღუღუნ-ჩუხჩუხით მოკუნტრუშობდა ხავერდოვან ღელეზედ და ტკბილ ბანს აძლევდა თინათინის გულის ჰანგებს...“

ქეთო (შემოდის). გამარჯვება, ბატონო როსტომ!

რედაქტორი. მაპატიეთ ჩემი ცნობის მოყვარეობა! მაგიდაზე ნაწერი ფურცლები დავინახე, სულმა წამძლია და კითხვა დავიწყე. დასაწყისი მშვენიერია, პოეზიით სავსეა... წარმოიდგინეთ, ნომერი ჟურნალისა თითქმის მზათა მაქვს და მხოლოდ მოთხრობა-ღა მაკლია. ქალის დაწერილი მოთხრობა კი საზოგადოებას დიდად ესიამოვნება...

ქეთო (მორცხვად). ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ ჩემს სიტყვას ვერ ვასრულებ...

რედაქტორი (წამოხტება). რას ბძანებთ? რატომ? რა მიზეზია?

ქეთო. მოთხრობა თითქმის უკვე მზად მქონდა, მაგრამ ამ უგუნურმა დედაკაცმა საშინელი საქმე მოახდინა: რამდენიმე დაწერილი თაბახი ცეცხლის მოსაკიდებლად თურმე შეუკეთა!

რედაქტორი (გაოცებით). ნუ თუ ეგ შესაძლებელია? ეს ხომ ნამდვილი ველურობაა.. კაცის კვლაა... მაგ გვარს მოსამსახურეს როგორ ინახავთ? ან საზოგადოდ როგორ შეუძლიან ვისმე ხელი ახლოს თქვენს ნაწერებს, თქვენს სამუშაო მაგიდას?!.

ქეთო (მწარის ღიმილით). „როგორ შეუძლიან ხელი ახლოს ვინმემ თქვენს ნაწერებსაო, თქვენს მაგიდასო!“ ხა, ხა, ხა! ჩემს მაგიდას, ჩემს ნაწერებს! სად არის ჩემი მაგიდა, ვინ დაეძებს ჩემს ნაწერებს, ვინ სცემს პატივს ქალის ნაბღაჯნებს! პირიქით, დამცინიან, მაყვედრიან, წუთი სოფელს მიშხამებენ, რომ ვბედავ და მაგ გვარ შრომაზედ დროს ვკარგავ. (აღელვებული).

რედაქტორი (გაივლის და გამოივლის, მერე თითქო ნუგეშის საცემლად ხელს ჩამოართმევს). დამშვიდდით, ბატონო, გემუდარებით დამშვიდდით და კვლავ შეავსეთ, შეასწორეთ მოთხრობა. განა შავი არა გაქვთ, ან არ შეიძლება ისე აღადგინოთ როგორმე დამწვარი ფურცლები?

ქეთო. არა ღირს! რა უნდა იყოს საჩქაროდ დაწერილი, შეუმუშავებელი... მე კი ყოველთვის ვჩქარობ, გადაკითხვის დროც არა მაქვს. წერის დროსაც ათასჯერ მეფანტება აზრები, რადგან ყოველ წამს აგლეჯენ ფრთებს ჩემს აღმაფრენას. (ამ დროს შემოდის დარიკო, კეკლუცად მორთული ყმაწვილი ქალი).

დარიკო. ამ მშვენიერ დღეს სახლში ზიხარ, ქეთოჯან?

ქეთო (დარიკოს და რედაქტორს). გთხოვთ, იცნობდეთ ერთმანეთს.

დარიკო. შენ, როგორც გეტყობა, არა გცალიან? მე კი მეგონა ერთად წავიდოდით ბულვარზედ სასეირნოდ. (რედაქტორს) წარმოიდგინეთ, ბატონო, რა საშინელები არიან ჩვენი ქმრები, ჩვენ მარტოდ-მარტო სიარულს ეჭვის თვალით უყურებენ. მეც იძულებული ვარ ქეთო შევაწუხო ხოლმე.

რედაქტორი. მაპატიეთ, რომ მე ვბედავ და თქვენს საქმეში ვერევი: ქალბატონი ქეთევანი, როგორც მწერალი ქალი, არ უნდა მოაცდინოთ ხოლმე მუშაობას.

დარიკო (გაჯავრებით). მწერლებს მაშ ჰაერზედ გასვლა, ხალხის დანახვა აკრძალული აქვთ?

ქეთო. არა, დაროჯან, მე როცა დრო მაქვს დიდის სიამოვნებით მოვდივარ ხოლმე შენთან...

დარო. ეხლა, როგორც გეტყობა, მე ხელი შეგიშალეთ... (დაცინვით) თქვენ უთუოდ მწერლობაზედ ბაასობდით, ბ-ნო რედაქტორო და მწერალო ქ-ნო. ბოდიშს ვიხდი (საჩქაროდ წამოხტება, ცერემონიით თავს უკრავს და გადის).

ქეთევან. აი, ბატონო, ჩემი ცხოვრების სარკე! ყველანი ამ თვალით უყურებენ ჩემს მწერლობის სურვილს.

რედაქტორი. დიდად სამწუხარო, დიდად! მაგრამ მაპატიეთ... ისევ თქვენს მოთხრობას დავუბრუნდეთ. გთხოვთ, გემუდარებით... მე ვგრძნობ, რომ ტანჯვით ნაშობი შვილი უფრო საყვარელია, უფრო გრძნობით სავსეა... იმედს მაძლევთ? (ხელზედ ჰკოცნის. ამ დროს მელანია შემოდის სინით, ყავა მოაქვს და რომ დაინახავს, კოცნას, შეჰკივლებს და სინი ხელიდგან გაუვარდება).

მელანია. დამიდგეს თვალები! (პირზედ ხელებს აიფარებს და გარბის, კარებში ბარბარეს შეეფეთება, რომელიც სასტუმრო ოთახში იჭყიტებოდა).

რედაქტორი (შემკრთალი). ოხ! სწორედ რომ შესაბრალისი ხართ! დიდი გმირობაა თქვენგნით თუ არა წერა, სუნთქვა, სიცოცხლე! (დადის და თავისთვის ლაპარაკობს) დედაკაცი მართლა რომ მონაა, მონა ხელ-ფეხ შეკრული! უგზო, უკვალო, უმწეო... (მიუახლოვდება ქეთოს) მაგრამ მით უფრო გმართებთ ბრძოლა, ბრძოლა საშინელი, მედგარი, თავისუფლების მოსაპოვებლად. თქვენ მოვალე ხართ, როგორც შეგნებული და ნიჭიერი არსება, თავი გაანებოთ ოჯახურ რუტინას და მთლად ემსახუროთ საზოგადოებას!

ქეთო. მეც ბევრჯელ მომსვლია ეგ ფიქრი თავში, მაგრამ ძალა სად არის? ძალა და რა ძალა? ძალა ისეთი, რომელმაც უნდა დაანგრიოს რჯულად ქცეული წყობილება, შეჰქმნას ახალი გზა, გადიტანოს დევნა ულმობელი, შეურაცხყოფა დაუსრულებელი... მაგრამ ყველაზედ უდიდესი, თითქმის გარდუვალი საფეხური ამ შემთხვევაში შვილებია, იმათ მომავალზედ ხელის აღება... მე კი მგონია, ადამიანები ბოროტნი და შურიანნი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა იმ საქმისა, რომელიც... (ამ დროს მოისმის ბავშვის წივილი, ქეთო წამოვარდება და თვალებ დაჭყეტილი, უნძრევლად კა-

რებისკენ იყურება. კარებიდგან შემოვარდება ბარბარე, ხელში აყვანილი ჰყავს მტირალი ბავშვი).

ბარბარე (მკაცრად). კიბეში ჩავარდა და კინაღამ ცხვირ-პირი ჩაიმტვრია. მაშ რა იქნება, დედავ და თვალო, დედა რომ მწერლობას მიჰყოფს ხელსა, გაზეთებს და წიგნებს ვერ მოაშორებს თვალსა, რასაკვირველია, შვილები ყოველთვის დაფერხვილები და დამტვრეულები ეყოლება. (ქეთო ბავშვს უალერსებს, რედაქტორი შეძრწუნებული უკან არის ჩამომდგარი). ვის გაუგონია, გეთაყვანეთ, გათხოვილი ქალი და გაზეთები, წერილები...

რედაქტორი (წინ წამოდგება. ბარბარეს). უკაცრავად ბატონო! (მიუახლოვდება ქეთოს და მოწიწებით:) მე იმედს არ ვკარგავ, ბატონო, რომ ამ ორ-სამ დღეში გადმომცემთ შევსებულს და შესწორებულს მოთხრობას და დიდად დამავალებთ მეც და საზოგადოებასაც... ნუ დავემორჩილებით (ხელზედ ჰკოცნის) გარემოებას, თქვენ თითონ დაიმორჩილეთ იგი...

ბარბარე (წინ გადურბენს). როგორ არა გრცხვენიათ ამოდენა დედაკაცი აქა ვარ და თქვენ ჩემს რძალს რაღაცეებს ჩასტუტუნებთ და თან ხელზედ ჰკოცნით!

რედაქტორი (შეწუხებული). რას ბძანებთ, რას ბძანებთ! როგორ თუ ჩავტუტუნებ? მე ქ-ნ ქეთევანს ვთხოვ, დაპირებული მოთხრობა დაამთავროს და მომცეს...

ბარბარე. კარგად ვიცი, კარგად ვიცი, რა მოთხრობასაც სთხოვთ! მე რო თვალები არ მეჭყიტოს, სახლი ათასის ვიგინდარათი აივსებოდა...

ქეთევანი (ბავშვს დასვამს და აღშფოთებული წამოხტება). დედა, დედა! რაებს ამბობთ! როგორ ჰბედავთ მაგის თქმას!.. რად შეურაცხყოფთ მაგ ბატონს და მეც?..

ბარბარე. ტა, ტა, ტა! ძალიან გაიოცე, გიცნობთ ახლანდელს ქალ-ვაჟთ, რაც შვილები ბძანდებით!

რედაქტორი (ქეთევანს). ეხლა კი ვხედავ თქვენს უმწეო მდგომარეობას და გადაწყვეტით მოგახსენებთ, თქვენი ამ სახლში დარჩენა არა თუ შეუძლებელია, უზნეოც და მომაკვდინებელი ცოდოც არის!.. (დაავლებს ქუდს და გავარდება).

ბარბარე. გესმით, გესმით, რეებს აგონებს ამ უბედურს! ქმარზედ ხელი აიღეო, ამ ოჯახში ყოფნა თქვენთვის მომაკვდინებელი ცოდვა არისო! (წუწუნებს) საწყალი ჩემი შვილი! უბედური! აი რა არის მწერალი ცოლის ყოლა!..

ნიკო (შემოდის ქუდით, კალოშებით, ჯოხით ხელში). რა ამბავია? რა გაყვირებს, დედა ჩემო? (მერე ქეთოს) შენ რაღა დაგმართნია, ადამიანო?

ქეთო. ოხ, ოხ! ღმერთო ჩემო! რაღათა ვარ ქვეყანაზედ ცოცხალი! მართლა რო დედამიწასთან გამასწორეთ... ლაფი დამასხით! (ტირის).

ნიკო. ვა, ეს რა აყალმაყალია, რა მოხდა, რა იყო? დედა ჩემო, შენ რად მოსულხარ? ხომ იცი, რომ შენ და ქეთო ერთად ვერ თავსდებით?!

ბარბარე (განრისხებული დიდხანს უყურებს შვილსა, მერე ხელებს გაიქნევს და წუწუნით:). ეჰი და ჰაა! იმისთვის არ გაგზარდე, იმისთვის არ დაგავაჟკაცე და დაგასახლე, რომ სიბერის დროს სახლშიაც აღარ შემომიშვა? შენს არამზადა ცოლს მანაცვალო! ეგ შენ და ეგ შენი მშვენიერი ცოლი! დეე, წინიდგან დასათხრელი თვალები უკანიდგან დაგთხაროს. (გადის).

ნიკო (ქეთოს). რა ამბავია, ქალო, რას ამბობს დედა ჩემი? ვინ იყო აქ, რას აკეთებდით?

ქეთო. დედაშენის ყურება აღარ შემიძლიან! ან მე უნდა ვიყვე ამ სახლში და ან ის! ოჰ, რო იცოდე რა საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა? დედამიწა რომ გამხეთქოდა და შიგ ჩავვარდნილიყავ, ის მერჩივნა (ტირის).

ნიკო. რა იყო, ქალო, რა? ვეღარა სთქვი?

ქეთო. „განთიადის“ რედაქტორი იყო ჩემთან. მოთხრობას მთხოვდა თავისი ჟურნალისთვის. უცებ დედაშენი შემოვარდა, ყვირილი და ლანძღვა დაუწყო... შენ, შენ ჩემს რძალს საარშიყო რამეებს ელაპარაკებიო.

ნიკო. ჰმ! (გაივლის და გამოივლის ჩაფიქრებით) ჰმ! დედაჩემი განა გიჟია, რომ აგრე უსაბუთოდ მივარდეს უცხო კაცს და გამოლანძღოს? უეჭველია, ხელის მოსაჭიდებელი დაინახა რამე? ის ბატონი რედაქტორი ისეთი არამზადაა, ისეთი ურცხვი, ქალების კალთის მლოკავი, რომ...

ქეთო (გააწყვეტინებს და აღშფოთებით). კარგი, კარგი! გაჩუმდი! ახლა შენ მოჰყვები! მე მეტი აღარ შემიძლიან, გადავარდები სადმე. (ისტერიულად ტირის).

ნიკო (დაცინვით). ეგ არის თქვენი ფარ-ხმალი! მაგაშია თქვენი გამარჯვება! მაგითი გინდათ თავი იმართლოთ, ყოველი თქვენი სიბინძურე ცრემლებით გამოისყიდოთ...

ქეთო (ფეხებს აბრახუნებს, კბილებს აღრაჭუნებს). გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ დაგარტყამ რასმეს (შანდალს წამოავლებს ხელს) ნუ ჰბედავ სიცრუეს, ნუ მიფატრავ გულს, სულში ხელს ნუ მიპოტინებ, დესპოტო, სისხლის მსმელო!..

ნიკო. ხა, ხა, ხა! გადირია, თქვენმა მზემ, მთლად გადირია! (დაცინვით) უთუოდ შენის ახალის მოთხრობისათვის მაგ გვარი სიუჟეტია საჭირო? ტრაგიზმი ახლა მოდაშია, შენს მშვენიერ რედაქტორსაც მოეწონება! მადლობით ხელებს დაგიკოცნის!

ქეთო. ოჰ! ოჰ! მეტი აღარ შემიძლიან... აღარ შემიძლიან (სასოწარკვეთილებით) მიშველეთ... (შემოდის მელანია).

მელანია. სადილი მზად არის.

ნიკო. სადილი თქვენა და ღვთის რისხვა! წყალი, წყალი მოიტანე!

მელანია. ქალბატონი კვდება, მიშველეთ, მიშველეთ. (სცენაზედ დარბის).

ნიკო (მელანიას). გაჩუმდი! ნუ ღრიალებ!

ეკატერინე გაბაშვილი

სალიტერატურო კრებული „გრდემლი“, წიგნი II, 1912 წელი, გვ. 365–376

ჩვენს ქალებს

თუ ჭირისუფალი არ ტირის, მობანეს რა თავი სტკივაო?!
ხალხური ანდაზა

აგერ სამი წელიწადია, რაც ქართველი საზოგადოება გულმოდგინეთ არჩევს იმ საკითხს, თუ როგორ მოვიხმაროთ ის ფული, რომელიც ქუთაისის და თბილისის ბანკების დამფუძნებელთ დაუბრუნდათ. ახლა ამ კითხვას დაემატა კიდევ მეორეც: როგორ გავინაწილოთ ის ფულები, რომელიც უმაღლესის ბრძანებით ებოძათ თავადაზნაურთ ორივე გუბერნიისას თავიანთ შვილთა გასანათლებლად? ათასი საქმე გამოინახა, ათასმა საჭიროებამ დააღო პირი და ყველა ამ სავალალო კითხვებს ათასობით ჭირისუფალნი გამოუჩნდნენ. სხვათა მწვავე საჭიროებათა შორის აქა-იქ მოწიწებით, კანტიკუნტად გაისმა ხმა ქალთა განათლების საჭიროებაზედაც, მაგრამ მხოლოდ ფრთხილად და მოწიწებით, ისე, სხვათა შორის.

ამ ორი წლის წინად, მეც მივეცი ჩემ თავს ნება ერთხელ კიდევ შემეგონებინა ქართველი საზოგადოებისთვის, რომ დედათა აღზრდა დიდი ხანია მან აღიარა უპირველეს თავის მიზნად და ამ ათის წლის წინად დაავალა ბანკის მზრუნველთ, ყოველი ღონისძიება, რაც კი ბანკს (მაშინდელს ერთადერთ საეროვნო დიდებას) აღმოუჩნდებოდა თვალსაჩინო, მიემართნა ქალთა აღზრდის საჭიროებაზედ. მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბანკის მმართველთ დაავიწყდათ ეს ერთხმივი დავალება საზოგადოებისა, (პარტიის განურჩევლად) თუ არავითარი წყარო არ აღმოუჩნდათ, ღმერთმა იცის!

დღეს კი, როდესაც გასანაწილებელია ის ფული, რომელიც ბანკის დამფუძნებელთ უბრუნდებათ და ზედ ემატება უმაღლესად ნაბოძებიც და როდესაც თავადაზნაურობა ფაცაფუცით ანაწილებს და დედაკაცთა განათლებას კი უკუ აყენებს, მე იმდენად აღელვებული ვარ, იმდენად უსამართლოდ მიმაჩნია ეს გარემოება, რომ არ შემიძლიან არ მივმართო ქართველ დედაკაცს და არ ვთხოვო ხმის ამოღება.

თუ ჭირისუფალი არ ტირის, მობანეს რა თავი სტკივაო?! – ამბობს ხალხური ანდაზა. მე ვგონებ, რომ ქალთა აღზრდის კითხვის ჩრდილში მიყენების მიზეზი თვით ჩვენი, დედაკაცთა მიძინებაა და ჩვენგანვე უარისყოფა ჩვენის უფლებების დაცვისა.

ვთხოვ ყველა ქართველ ქალს უშორეს სვანეთიდან დაწყებული განაპირო ინგილომდე, ვისაც კი გული ეწვის საერთო საქმისთვის, ვისაც კი შეგნებული აქვს აწმყო ქართველი დედაკაცისა, მოვიდეს, განაცხადოს თავისი სურვილი, წარმოთქვას თავისი საჭიროებანი და დაგვიხატონ ამ დედაკაცურ სიბნელეში დედათა ყოფნის სურათი. დედათა საერთო წარმოთქმით დავამტკიცოთ, რომ მოვმწიფდით საერთო საქმეში ხმის მისაცემად, რომ ჩვენი დაუკითხაობა იმისთანა საშვილიშვილო საქმეში, როგორიც არის ქალთა განათლება, უჩვენოთ არ მოხერხდება და მისი უგულებელყოფა სამართლიანობის გზას უხვევს და ჩვენ მოძმეთ მუხანათობათ ჩაეთვლება.

ჩვენ ვითხოვთ ჩვენ კანონიერ ნახევარს.

ფულის გასანაწილებლად კომისია იყო ამორჩეული, კომისიის წევრებს შეად-

გენდნენ საუკეთესო ქართველთა შვილნი და წაიკითხავდით, რა სამართლიანობით გაანაწილეს ფული: 1. სადაც ვაჟთ დაენიშნათ ათი სტიპენდია, ქალებს მხოლოდ ორი უწყალობეს და რაოდენობაც კი შუაზედ გაყვეს. თითქო ქალი არ საჭიროებდეს უკეთეს ბინას, უკეთეს მოწყობილს, უკეთესად პატრონობას და მაშასადამე უკეთესადვე ამ პატრონობის დაჯილდოვებას.

და ეს მცირე მოწყალებაც მხოლოდ კომისიის წევრებმა გაიმეტეს. თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ქალთა აღზრდის კითხვას ყური არც კი ათხოვა და თელავის უეზდის აზნაურთა კერძო კრებამ „თუმცა ქალებმა ფულების განაწილებაზედ დიდი პროტესტი განაცხადესო“ – სწერს კორესპონდენტი თელავიდან, კრებამ მაინც თავისი დადგენილება არ შეცვალაო და ბანკიდან გამონათხოვი ორმოცდაათი თუმანი დედაკაცის ზავედენიაში ქართული ენის მასწავლებლის მოწვევისთვის არ გამოყო. დიდება და პატივი თქვენ, ამ გადაწყვეტილების პატრონებო!

აგერ თვრამეტი წელიწადია ტბილისში დაარსდა საზოგადოება იმ ფონდის შესადგენად, რომლითაც აგებულიყო ქალთა სააზნაურო სკოლა. ამ საზოგადოების მოთავეთ იმედს აძლევდნენ საუკეთესო ქართველთ წარმომადგენელნი: „ოღონდ ქალებმა ფხა გამოიჩინეთ, ამ საქმეს საძირკველი ჩაუყარეთ და ყოველი ჩვენი ღონისძიება თქვენი საქმის აღორძინებისთვის იქნება მიპყრობილი. სად არის ეს დაპირება, რითი დაგვეხმარნენ ჩვენი ძმები ამ თვრამეტი წლის განმავლობაში? ერთხელ გვითხრეს, ბანკის ყოველწლიურის მოგებიდან ორას-ორას თუმანს მოგცემთო. ჩვენ ვიუკადრისეთ. მოწყალებას კი არ ვთხოულობთ, ჩვენ კანონიერ წილს მოველით! იმათ ამაზედ ტაში დაგვიკრეს და ღირსეული წილის მოცემა აღგვითქვეს და აი ეხლა, ათი წლის შემდეგ, არათუ ქალთა განათლებას ქართველთა საზოგადოებამ ხელი არ შეუწყო, მზამზარეული ნაბოძები ფულებითაც თვალი მოსთხარა. დღეს ნათლად გამოირკვა ჩვენ მამაკაცთა ვერაგობა, არა თუ ბანკის მოგება მთლად მიდის ვაჟთა აღსაზრდელად, ეს ნაბოძებიც კი ხელიდგან გვეცლება, ჩვენი განათლებაც და ანბანის შესწავლაც.

ათი წელიწადია თავადაზნაურთა სკოლები არსებობს მხოლოდ ვაჟებისთვის, ყოველი მამა, რა წრისაც და რა შეძლების პატრონიც უნდა იყოს, ყოველთვის ვაჟს უპირატესობას აძლევს სკოლაში დაბინავებაში და სკოლებიც, გარდა „სააზნაუროსი“, აუარებელია ყოველგან შედარებით ქალთა სასწავლებლებისა და მაინც ქალნი უკეთ ნათლდებიან? აქ უთუოდ სასწაულთ მოქმედება არის რამე და იმედი გვაქვს კახელი მანდილოსანნი გვაუწყებენ და მოგვცემენ ღონისძიებას ჩვენც დანარჩენთ სიბნელეში მყოფთ ქართველ ქალებს განათლდნენ და უკეთესი სიბრძნე შეიძინონ.

ეკატერინე გაბაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ხელნაწერი № 17237

ქართველ ქალთა საქველმოქმედო პროფესიანური ქალთა სკოლა თბილისში, დაარსდა 1895 წელს

თავადაზნაურობა გაღარიბდა, მომატებულმა ნაწილმა მათგანმა ბანკში დაგირავებით მამული მალე დაჰკარგა და ქალაქს მიაშურა, რომ აქ საქმე ეშოვნათ მამებს და შვილებისთვის ასაღზრდელათ გზა ეპოვნათ. ქართულ გიმნაზიაში მრავალი ათავებდა სწავლას და უმაღლესი სწავლის შესაძენათ კი არავითარი ღონისძიება ქართველებს არ მოგვეპოვებოდა. ქართველი საზოგადოება და მეტადრე ქართველი ქალები კარგათ გრძნობდნენ ამ დიდ ნაკლს და იმის დასახმარებლად ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ თითო-ოროლა ყმაწვილისთვის მაინც მიეცათ გზა უმაღლესი სწავლის მისაღებათ. მრავალი საქველმოქმედო საქმე იწყებოდა, სხვათა შორის რამდენიმე ქალის მეთაურობით შესდგა ქალთა წრე იმ განზრახვით, რომ გეეღოთ საზრდოს ბაკალეინი დუქანი, დეევალებინათ ყველა სასტუმროების პატრონები, რკინისგზის ბუფეტები და ოჯახის დიასახლისები, რომ აქიდგან შეეძინათ პროვიზია. ფიქრობდნენ, რომ შემოსავალი ისე დიდი იქნებოდა, რომ რამდენსამე ათეულ ყმაწვილს გამოზრდიდნენ უმაღლეს სკოლაში იმ დუქნის მოგებით. საქმის გასაწყობათ საწევრო ფული თითოზე ერთი თუმანი იყო დანიშნული. კრებები იკრიფებოდა, ყველა გატაცებით იმედოვნებდა, რომ ეს საუკეთესო წყაროა სწავლის შიმშილის დასაკმაყოფილებლათ. ქალები იმ წრისა, მომატებულათ ვაჭრის ცოლები, დები და ნათესავები იყვნენ. დანიშნეს საზოგადო კრება მართველობის ასარჩევათ, წესდების შესადგენათ.

ერთხელ ვიღაცამ წამოაყრანტალა, რომ ქალთა კრება გაბაშვილით და ილია ჭავჭავაძის მეუღლის დაუსწრებლად მიუღებელია და თითქმის გაჩარხული საქმე ჩაიშალა. დაინიშნა მეორე კრება. გაბაშვილი და ჭავჭავაძე გამოცხადნენ და მაშინვე ისინი არჩეულ იყვნენ გამგეობაში სხვებთან ერთად რასაკვირველია.

ოლღა ჭავჭავაძისამ მაშინვე განაცხადა, რომ ის ვერ იკისრებს თავმჯდომარეობას, თუ ილია არ განუცხადებს ამ საქმეს თანაგრძნობას. ილიას დასაკითხათ აგვირჩიეს მე და ეკატერინე ფურცელაძისა.

ილიამ ასეთი რჩევა მოგვცა: ვაჭრობა და მერე ინტელიგენტ ქალების ხელში, ყოვლათ მიუღებელია ჯერ ჩვენში. ვაჭრობას ყაჩაღური და მტაცებლური ხასიათი აქვს და მე ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველმა განათლებულმა ქალმა იკადროს ძროხის ერბოს ნახევარი ქონი დაურიოსო და ჩინეთის ჩაის ყირგიზული ჩაიო და ეს არეული რამე წმინდის სვინდისით გაასაღოსო. უამისოთ კი კონკურენციის გაწევა ვაჭრობაში დღეს შეუძლებელიაო... მაშასადამე კნ. ჭავჭავაძეს ნება არ ჰქონდა თავმჯდომარეობისა. ზემოთ ხსენებულ კარგათ დაწყებულ საქმეში აზრი შეიცვალა. დუქნის მაგივრათ სკოლის გახსნა გადასწყვიტეს, რაც, რასაკვირველია,

მოჭარბებული არ იყო, მით უფრო, რომ ქართულ გიმნაზიასთან მაშინ ქალების განყოფილება არ იყო და ღარიბ თავად-აზნაურთა ქალები სრულიად უვიცად იზრდებოდნენ.

შეგროვილი ფულით სახლი დავიჭირეთ და ორმოცდაათამდე მოზრდილი, ცხოვრებისთვის მოუმზადებელი ქალები მივიღეთ და სწავლასთან ერთად გადავწყვიტეთ ჭრა-კერვა და ხელსაქმეც გვესწავლებინა, რომ სამი-ოთხი წლის სწავლის შემდეგ, მოწაფეთ საქმისთვის მიეყოთ ხელი და შეგონებული და განვითარებული ხელოსნები გაგვჩენოდნენ.

საქმის მწარმოებლად არჩეული იყო კომიტეტი 8 ქალის რაოდენობით, ოლღა ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით და მე სკოლის გამგეთ. სკოლასთან მოვაწყვეთ სამკერვალო ქალთა ტანისამოსის, მოვიწვიეთ დახელოვნებული მკერავი ქალი და პირველი თვიდგანვე სახელოსნომ იმდენი შემოსავალი მოგვცა, რომ სახლის ქირა და უფროსი ხელოსნის ჯამაგირი გავისტუმრეთ. სხვა ხარჯებიც, რასაკვირველია, ბევრი იყო და გამგეობა ყოველ ღონეს სცდილობდა საშოვნელად. სტიპენდიები დაინიშნა დავით სარაჯიშვილისა, რომელსაც თვეში 30 მ. შემოჰქონდა, ნიკო ღოღობერიძეს 10 მან, ილია ჭავჭავაძეს 10 მან, თავად-აზნაურების კრებებიდგან 600 მ, წერა-კითხვის საზოგადოებიდგან 100 მ. ვმართავდით წარმოდგენებს, კონცერტებს, ვეჩერებს და სხვა. სკოლის საქმე თანდათან ვითარდებოდა, ხელსაქმის შემკვეთელნი და მყიდველნი ძრიელ გაიზარდა, სამკერვალომ სახელი მოიპოვა და მოწაფეთა რიცხვი 300 გახდა. ჩვენი მომზადებული მოწაფენი წავიდნენ პროვინციებში, აქ გამართეს პატარ-პატარა პროფესიანური სკოლები და მალე თითქმის მთელ საქართველოში მოეწყო ამგვარივე საქმე. ყოველის მხრიდგან მოგვდიოდა წერილები ქალებისა, რომ მათ სურთ დააარსონ ქალთა წრე და მივცეთ მათ პროგრამა და გაუწიოთ ხელმძღვანელობა, მივაშველოთ ჩვენი დახელოვნებული მოწაფენი საქმის მწარმოებლად. მაგალითად ქუთაისში დაარსდა ამგვარივე სკოლა ხელთუფლიშვილის, მიქელაძის და სხვა განათლებულთა ქალთა, დახმარებით ბათუმში, თელავში, სამტრედიაში და სხვაგან ბევრგან.

საზოგადოთ, თუ თბილისის ქალთა საქმიანობა გამოიჩენდა რაიმე თვალსაჩინო უნარს, პროვინცია დიდის გულმოდგინებით თვალს ადევნებდა და ქალები იქაც შეუდგებოდნენ ხოლმე მიმბაძველ საქმიანობას.

სკოლის მოსწავლეთა შედგენილობა თანდათან სრულიად შეიცვალა და თავად-აზნაურთა ქალების მაგივრად უფრო ხელოსანთა და გლეხკაცთა შვილები სწავლობდნენ, მომატებული ნაწილი პროვინციიდგან ჩამოდიოდნენ და შემდეგ სწავლის დამთავრებისა, თავთავიანთ დაბებში და ქალაქებში ხსნიდნენ ამგვარსავე სკოლებს.

ერთმა ჩვენმა მასწავლებელმა, ელენე თარხნიშვილის ქალმა, მოაწყო დიდი სკოლა და ჩინებულად აწარმოვა ქ. გორში, მერე ხაშურში და სოფ. ახალქალაქშიც.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ ყველა კერძო სასწავლებლები მთავრობის ხელში გადავიდა. ქალთა ქველმოქმედება მოისპო და თითქო იმასთან ქალთა

კავშირიც ქალაქელ და პროვინციელ ქალებთან, რაც ფრიად სამწუხაროა ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისათვის.

მე სკოლის დაარსების ისტორიას გამოუდექი და თავი და თავი იდეია ჩვენის საქმისა, ამის სულის ჩამდგმელი და ჩვენი აღმაფრთოვანებელი აზრი იმაში იყო, რომ ეს სკოლები იყო კერძო და პროფესიონალური და მთავრობა კონტროლს არ უწევდა.

სწავლება ქართულად მოვაწყვეთ. ქართულ ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას და საერთოდ ეროვნულ მიდრეკილებას მივეცით ფართე გზა, რაც რუსის ხელმწიფობის დროს სასტიკათ იყო დევნილი.

ქართული ძველი ხელოვნების აღდგენის სახელით, ხალხის შვილებს, რომელთაც ქართული ხასიათი და ჩვეულებანი თითქმის მივიწყებული ჰქონდა და დამახინჯებული, მეტადრე ჩვენ დედაქალაქში, ლეკურსაც კი ვასწავლიდით ქალებს, რომ ძველებური გრაცია და პლასტიკა კინტოურად არ გარდაქმნილიყო. მასწავლებელნი დიდათ ხელს გვიწყობდნენ ჩვენი სურვილის ასრულებაში და თითქმის თავგანწირვით ემსახურებოდნენ საქმეს. მაგალითად, სალომე მაღალაშვილი და ელენე თარხნიშვილი. უკანასკნელმა ხომ დიდის ენერგიით და დიდის შრომით გადიტანა ეს ჩვენი თესლი გორის უეზდში და უფრო უკეთ და წარჩინებით მოაწყო, ზემოთ მქონდა მოხსენებული.

სალომე მაღალაშვილი სოფლის სკოლის მასწავლებლათ ნამყოფი იყო, თავის ბიძის, გამოჩენილი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხვედაძის ხელთმძღვანელობით გაწრთვნილი და ქართულის ხელსაქმის მცოდნემ, სრულიათ უსასყიდლოდ იკისრა ჩვენ სკოლაში მუშაობა და როგორც გამოცდილი და ამასთან დიდათ შეგნებული დედაკაცი და ნამდვილი გულმხურვალე პატრიოტი ქალი, დიდი ენთუზიაზმით მიჰყო ხელი ჩვენი მოზრდილი მოწაფეების აღზრდას: ქართული ისტორია და გეოგრაფია, ლიტერატურა და ხელოვნება გაამეფა სასწავლებელში და მოწაფენი აღაფრთოვანა უმაღლესის გატაცებით. დააწესა მოწაფეთა სალაროები, სადაც ყოველ მოწაფეს თვიურად შეჰქონდა სულ მცირე საწევრო გადასახადი და წლის ბოლოს, სწავლის დამთავრების შემდეგ საექსკურსიოთ მიჰყავდა მოწაფეები ბათუმში და სხვა და სხვა შესანიშნავ კუთხეებში საქართველოსი. ამგვარათვე უსასყიდლოთ ემსახურებოდნენ სკოლას ორნი ქალნი ფურცელაძეები ელენე და ეკატერინე, რომელნიც უკითხავდნენ ბუნებისმეტყველების საგნებს, ხელსაქმეს და ჭრა-კერვას ხელმძღვანელობდა ელენე თარხნიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ჭრა-კერვა პეტერბურღში, მაშინ იქ განთქმულ ფრანგი ქალის სასწავლებელში.

ელენე თარხნიშვილი უსწავლელი, სოფლის ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ ბუნებით ისეთი გამჭრიახი ჭკუით და ენერგიით სავსე, რუსული ენა იმდენათ შეისწავლა, რომ პროფესიანური განათლება მიიღო და დიდის წარჩინებით დასთესა თავის სწავლა და რომ დასცალებოდა იმას მოღვაწეობა, ყველასთვის თვალსაჩინო გახდებოდა და დიდის ღვაწლით შეიმოსებოდა, მაგრამ... იმისმა მძლავრმა

ხასიათმა და მოქმედების გაფართოებამ დახმარების მაგივრათ უარყოფითი შედეგი გამოიღო და უდროვოთ მოესპო ასპარეზი. დასჯილ იქნა.

საზოგადოთ, ეს პროფესიონარული სკოლა დიდის თანაგრძნობით სარგებლობდა საზოგადოებაში და სადაც კი რაიმე შედეგები ჰქონდა, გატაცებით ეხმარებოდა. მაგალითად, მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი ასწავლიდა ხატვას, მომღერალი კარგარეთელი – გალობა-სიმღერას, არტისტი ქალი ლიზა ჩერქეზიშვილი – ქართულ ცეკვას და ამრიგათ გამზადებული და დახელოვნებული ქალები გადიოდნენ ხალხში და შეჰქონდათ ოჯახებში ცოდნა და სილამაზე.

სკოლა საეროვნებო გახდა, ყველასთვის საყვარელი და სანუკველი, მისაბაძი და მთელ საქართველოში გაიდგა ფესვი. დღესაც ხელისუფლებას შესთხოვენ პროვინციაში, რომ ამგვარი სკოლები დააარსონ.

სკოლის მართვა-გამგეობა სრულის რესპუბლიკურის თავისუფლებით მიმდინარეობდა და თავმჯდომარე და გამგე ისევე საერთო ხმით სარგებლობდნენ, როგორც ყოველი დანარჩენი წევრნი ქალთა კომიტეტისა და მოსწავლეთა კოლეგიისა.

ეკატერინე გაბაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ეკატერინე გაბაშვილის არქივი, ხელნაწერი № 2367-1

ბატონებო!

(მიმართვა ქალთა წრეების დაარსების შესახებ)

უეჭველია ყველას მოგეხსენებათ, რომ მთელ ევროპაში „ქალთა საკითხი“ სადღეისო კითხვათ არის გადაქცეული და მთელი საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალს, თუ როგორ გადაწყდება ეს უდიდესი კითხვა კაცთა ცხოვრებაში აღძრული.

თვით ქალები, რასაკვირველია, ხელს უნდა უწყობდნენ ამ საქმეს და ამისთვის თითქმის ყველა ევროპის დედაქალაქებში დროგამოშვებით იკრიბებიან ქალთა დელეგატები და შემზადებულის პროგრამებით არკვევენ და ამზადებენ ამ საკითხის გადაწყვეტის გამარჯვებას. რუსეთიც, რასაკვირველია, არ ჩამორჩა სხვა ქვეყნებს და რა წამს შესაძლებლად შეიქნა თავისუფლად შეკავშირების და ორგანიზაციების მოწყობა, ქალთა კრებებიც მოეწყო და დღეს რამდენიმე რუსეთის ქალაქში არსებობს ქალთა კლუბები, ქალთა ლიგები, რომლებიც გაფაციცებით მუშაობენ, რომ თავიანთის გადაწყვეტილებით და ძალისხმევით შეუერთდნენ საერთო ქალთა ბრძოლის საკითხს.

ჩვენშიც კი, ამ უკანასკნელ ხანებში, თითქმის ყველა საქართველოს ქალაქებში, დაარსდა ქალთა წრეები, რომელნიც აპირებენ გამორკვევას თავიანთი მდგომარეობისას და დროთა მოთხოვნილებათა შესაფერად შეიარაღებას.

მარტო თბილისელი ქალები ვართ განცალკავებულნი. ყველა ჩემი ნათქვამის დანახვა ყველასთვის თვალსაჩინოა და ამიტომ ბევრჯერ იყო გამოთქმული სურვილი საერთო ქალთა საქმის მოწყობისა, მაგრამ საუბედუროდ აქამდის თვალსაჩინო ვერა მოეწყო რა.

დღეს ერთი ჯგუფი ქართველი ქალებისა კვლავ შეუდგა ამგვარი აზრის გავრცელებას და თან იმედოვნებს, რომ იმის ხმა არ დარჩება ღაღადებათ უდაბნოსა შინა. ყველა დროს თავისი ქურუმნი უნდა მსახურობდნენ, ყველა მომწიფებული აზრი და საქმე უნდა მოეწყოს თავის დროზედ, თორემ ჩამორჩენილნი დაიმსახურებენ სახელს გაველურებულის მოდგმისას და ეს კი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა იქნება ჩვენის წინაპრების დედებისა, რომელთა ზნეობრივი ძალა ყოველ გზით აღიარებული ყოფილა.

ქართველი ქალი არასოდეს არ ყოფილა გათელილი ეროვნულ ცხოვრების წინ სვლაში, იმას ყოველთვის საპატიო ადგილი სჭერია და ჩვენც ნუ გადავუხვევთ ჩვენ ეროვნულ ტრადიციებს, პირიქით, ჩვენ უნდა ავასრულოთ ჩვენი ხალხური თქმულობა: „რომ ისა სჯობს მამულისთვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ და გაცილებით მეტი შეგნება და მეტი ალღო აღორძინებისა გამოვიჩინოთ. ამისათვის კი შეერთებული ძალაა საჭირო და აი, ბატონებო, შევერთდეთ, შევკავშირდეთ, ერთი იდიალი ჩავისახოთ და ყოველის გზით მივისწრაფოდეთ იმის აღსასრულებლად, რათა მთელი კაცობრიობის ნახევრის ქალთა კონცერტში ჩვენი საკუთარი, ქართული აკორდიც შევიტანოთ.

ეკატერინე გაბაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ეკატერინე გაბაშვილის არქივი, ხელნაწერი № 17258

წერილი რედაქტორთან

ამ თიბათვის პირველს, კვირაზე დავესწარი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებას. საზოგადოებას შეადგენდნენ ჩვეულებისამებრ ჩვენი ყმაწვილი-კაცები, რომელნიც, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც მხურვალეთ ეკიდებიან საზოგადო საქმეებს. არც-ერთი ჩვენი ჩინებით და სხვა-და-სხვა ამ ქვეყნიერების ბედნიერებით შემკულნი არა სჩანდნენ ზალაში.

საზოგადოების მმართველობის წლის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ გაიმართა გაცხარებული ბაასი სხვა-და-სხვა საგნებზედ. ბაასობდნენ იმაზედ, თუ რა საშუალება იხმაროს მმართველობამ, რომ უკეთ მოიხმაროს საზოგადოების შეწირული ფული და საზოგადოების აზრი და განზრახვა უკეთ შეასრულოს.

მე გამაკვირვა მხოლოდ იმან, რომ თორმეტიდგან დაწყებული თითქმის ხუთ საათამდე იყო ცხარე ბაასი საზოგადოების ფულის მოხმარებაზედ წერა-კითხვის გავრცელებისათვის და არავის იმაზედ ხმა არ ამოუღია, ეს ღვაწლი მარტო ვაჟების სასწავლებლებს და იმათ განათლებას უნდა ეკუთვნოდეს, თუ ქალებსაც უნდა ჰქონდეთ რაიმე მონაწილეობა.

მართლათაც გასაკვირველია, როგორ ერთს ან საზოგადოების წევრს, ან საზოგადოების მმართველებს ფიქრადაც არ მოუვიდათ ქალების ბედის გახსენებაც! ორიოდე სიტყვა ითქვა ხონში ქალების შკოლის გამართვაზედ, მაგრამ ეს სიტყვები ისე საჩქაროთ იყვნენ ჩაფარცხულნი, თითქოს ეს მომეტებული საგანი ყოფილიყოს საზოგადოების არსებითის აზრებისათვის. როგორ დავიჯერო, რომ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების მმართველნი საჭიროდ არა რაცხდენ ქალებისთვის ზრუნვას?

თუ აგრე არ არის, რისგან მოხდა, რომ არც ერთი სიტყვა, არც ერთი მანეთი არ იყო შეწირული ქართველი ქალებისათვის და არც მომავალი წლისთვის იქნება? განა ცუდი იქნებოდა, როგორც ბათუმისა და თბილისის შკოლებზე ლაპარაკობდნენ, ესეც გადაეწყვიტნათ, რომ ეს შკოლები საქალ-ვაჟო შკოლებათ ყოფილიყვნენ?

მართალია, ჩვენ სასოფლო შკოლებში ქალებიც სწავლობენ, მაგრამ ეს სრულიად მასწავლებელზეა დამოკიდებული. თუ სურვილი აქვთ, ქალებსაც ასწავლიან, თუ არა და არა. რათ არის ასე? რატომ ყველა შკოლა ვალდებული არაა ერთნაირათ მიიღოს მსურველნი ვაჟებიცა და ქალებიცა? რატომ პედაგოგიურ კურსებზე ქალებიც არ უნდა იყვნენ მიღებულნი? განა ჩვენში ცოტა ქალები არიან, რომლებიც სიამოვნებით იკისრებდნენ სასოფლო შკოლების მასწავლებლობას, ამ საქმისთვის სპეციალური მომზადება რომ ჰქონდეთ. განა არ მოგეხსენებათ, რომ ევროპაში და მომეტებულათ ამერიკაში საუკეთესო და მომეტებული რიცხვი მასწავლებლებისა ქალები არიან? რატომ ჩვენ არ უნდა გამოვცადოთ? თქვენ თვითონვე არ ამბობთ – ჩვენს კაცებში იშვიათათ იპოვნით რიგიანს მასწავლებელსაო. ნუ თუ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება უადგილოთა სახავს ქალების განათლე-

ბას **საერთო სიკეთისათვის** საქართველოში? მე კი ჩემის აზრით ქალებისთვის უფრო საჭიროთ ვხედავ ქართულის ენის ცოდნას, იმიტომ, რომ ქალი არის პირველი მასწავლებელი შვილებისა; ყმაწვილს თუ ბავშვობიდგანვე სიყვარული არა აქვს სწავლისა და თავის დედა-ენისა, ის შემდეგშიაც ძნელათ შეითვისებს იმას, და თუ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველი ქალების აღზრდა ინსტიტუტსა და ზავედენიებს მიანება, სადაც ქალებს სრულიად არა აქვთ ღონის-ძიება, პრაქტიკის უქონლობის გამო, ქართული ენის შესწავლისა, იმასაც ჩქარა მოვესწრებით, რომ ჩვენ ბავშვებს, დიდების მოწყალებით, სასირცხვილოდ მიაჩნდებათ თავის დედა-ენაზედ ლაპარაკი.

ამის მაგალითები ახლაც ბევრია ჩვენში. ამაზედ ბევრი დამემოწმება.

წარსულის კვირის კრებაში ვიყავით რამდენიმე ქალი და ვერც ერთმა ჩვენ-თაგანმა ვერ მოვახერხეთ ხმის ამოღება ქალების გამოსასარჩლებლად. რატომ? იმიტომ, რომ შევკრთით, ვერ გავბედეთ ხმა-მაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, არა ვართ ქალები შეჩვეული საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას.

იმედი გვაქვს, „საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოება“ მიიღებს მხედველობაში ამ აზრს და შემდეგისთვის მისცემს ღონის-ძიებას ქართველ ქალებს თავის დედა-ენის შესწავლისას; ვგონებთ, საქმითაც მალე გამოჩნდეს, რომ ეს საზოგადოების ზრუნვა უსარგებლოთ არ ჩაივლის.

ეკ. გაბაშვილისა

გაზეთი „დროება“, 1880, 7 ივნისი, № 119, გვ. 2-3

ანასტასია თუმანიშვილი - წერეთელი

1849-1932

ინსტიტუტკას დღიური

187... წელს 1 თიბათვეს.

დღეს სწორეთ ოთხი წელიწადია, რაც ინსტიტუტში გავათავე სწავლა.

რა ნაირად გარბის დრო! მახსოვს, თითქო გუშინ იყო, რომ დილით ვეცემოდით აგორგლებულ ქაღალდს, საცა ეწერა რიცხვი – რამდენი დღე კიდევ მოგვინდება მოთმინება – და სიხარულით ვუკლებდით ერთ დღესაც...

რა ლხინი, რა სიამოვნება მომელოდა შინ! ჩვენისთანა ნასწავლი აღარავინ გვეგონა. თვალში აღარ მოგვდიოდა ის ლამაზი მასწავლებელი, რომელსაც აქამდისინ გზას ვუკრავდით...

მართლათაც ახალი გამოსული, თითქო ლხინისაგან დაბნედილი, ვეცემოდი აქეთ-იქით, დილით და საღამოთი სულ იმ ფიქრში ვიყავი – დრო როგორ გავატარო და შვიდი წლის ჯავრი ამოვიყარო ამ ერთ წელიწადს. ზოგჯერ მორთულს, მხიარულს ხალხში შემომესმოდა შემდეგი სიტყვა: „ჩვენო გამართობელო!“ – რათ იციან ამ დალოცვილ კაცებმა დაცინვა!..

მალე მომბეზრდა ამ ნაირად დროს გატარება და მას აქეთია ვკითხულობ სხვა-და-სხვა წიგნებს, ვკითხულობ და მგონია, მთლათ ჩემი სიცოცხლე რომ ამაში გავატარო, მაინც ბევრი არა გამოვა-რა. ერთ ნაცნობს ვკითხე რჩევა, რომელი წიგნების კითხვა ემჯობინება-მეთქი:

– საქმეც ის არის, – მიპასუხა იმან, – რომ შენ თითონ დააფასოო ავი და კარგიო...

ზოგჯერ რამდენი წიგნის გადაკითხვა მომინდება, მანამ მივაწყდები ხოლმე იმისთანა აზრს, რომელიც სრულიად გამიტაცებს შორს, შორს... ამ დროს დედა ჩემი თითქო მიხვდება ჩემ აზრებს და შიშით წამოიძახებს:

– „შვილო, განა შეიძლება მაგდენი კითხვა? სახელმწიფოს ხომ შენ არ გაბარებენ! ადექ, მიიხედ-მოიხედე, დროა, დახე შენ ტოლებს... თუ ჩემგან ამორჩეულ საქმროს არ ნდომულობ, შენ თითონ მაინც ამოირჩიე. ლამაზი არა ხარ თუ! შეძლება თუ გვარიშვილობა გაკლია?!“

ის კი არ იცის დედა ჩემმა, რომ დიდი ხანია ჩემ გულს ამორჩეული კიდეცა ჰყავს...

187... 9 ენკენისთვე.

ამ ზამთარს უნდა შევუდგე კიდევ დროს-გატარებას...

ჩემი ტოლები თითო-თითო თხოვდებიან, თითქო პირობა შეუკრავთ – ვინ ვის დაასწრობსო. სუყველანი მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ შეძლებული ქმრები იშოვონ. ერთმა სიცილით მითხრა, როცა იმას მოვუყევ სიყვარულზე ლაპარაკი:

– სიყვარული ფუჭი კაკალია! საცა შეძლება იქნება, მხიარულებაც იქ არის და საცა მხიარულობაა, ბედნიერებაც იმას მოსდევს!

ერთმანეთს არა ზოგვენ. დღე-ღამე სულ იმ ფიქრში არიან – როგორ იშოვონ საქმროები. განა მერე ძიძა და გამდელი არ გაუზდის იმათ შვილებს? ან იმდენი არ ეცოდინებათ, რომ ბეზიკი ითამაშონ? ხშირად მეუბნებიან:

– რა არი, ქალო, ეგრე გამოცვლილხარ, აღარ გვეკარები, ან ავი თქვი, ან კარგი! ხომ გაიგონებდი, რომ მაიკოს დაუთხოვნია ქმარი, ვეღარ ვიცხოვრებ შენთანაო, არ მიყვარხარო. გესმის, ექვსი წლის შემდეგ იწუნებს!..

ზოგჯერ ვერ მოვითმენ, დავიწყებ აღტაცებით გამოსარჩლებას:

– მაიკო ხომ თითქმის ბავშვი ძალდატანებით გაათხოვეს... ხასიათით ვერ მოვიდოდნენ ერთად და სხვა...

დამიწყებენ დაცინვას, მკითხვენ – რომელ წიგნში ამოგიკითხავს ამისთანა ამბებიო? მეც გავებუტები და სიტყვას ვაძლევ ჩემ თავს, რომ მეორეთ ესე აღარ ველაპარაკო.

187... 18 იანვარი.

სამჯერ-ოთხჯერ ვიყავ კრუჟოკში. ქალები ისეთი მორთული და ლამაზები არიან, თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებაო. ერთმა ნაცნობმა კაცმა სიცილით მითხრა: – მზე რას მოგკიდებიაო, ეგრე გაშავებული ხარო. ძალიან გამიკვირდა, ჩავიხედე სარკეში, მზისგან დახრუკულს მიმიგვანდა სახე. მერე იმ ნაცნობმა დაუმატა: – საცა წავა კაცი, იქაური ქუდი უნდა დაიხუროსო. ამ ბრჭყვიალა ვარაყიან სახლში რომ მოსულხარ, ფერ-უმარილიც კარგა უნდა გაგეგლისაო. არ იციო, რომ აქ ღიმილიც კი ნათხოვარი აქვთო?!

დაუწყე ყურის გდება. სულ ამას ლაპარაკობდნენ: „ეს ქალი როგორ ჰშვენის! იმას რა კარგი კაბა აცვია! დღეს როგორღაც მხიარულობა არ არის! რა კარგა ტანციობს ის დრაგუნი! რა სასიამოვნოა იმ კაცთან ცეკვა, რომელსაც ხვალ თავსაც არ დაუკრავ?“ დედა ჩემიც მოწყენილია. არა, სომხების კლუბში უფრო მხიარულობა იქნება, იქ სჯობია წასვლა.

187... 26 თებერვალი.

მართლა რომ „სობრანიაში“ უფრო მხიარულობაა. იქ ლეკური იციან, საზანდარი უკრავს, ხალხი თუმცა უფრო მდიდარი დადის, მაგრამ უბრალო ტანისამოსი აცვიათ. დიდ ზალაში ფანჯრების თანასწვრივ სკამებზე სხედან თავდახურული ქალები, კრელოსანს ათამაშებენ, ზოგიერთთ ბრილიანტის ვარსკვლავები აქვთ თავსაკრავებში გაკეთებული, – ეტყობათ მდიდარი ვაჭრის ცოლები არიან. ამათ წინ ბოლთას ჰკრამენ ამათი ახალგაზდა ქალები. კაცები ცოტა მოშორებთ ჯგუფ-ჯგუფათ დგანან და ქალებს სინჯავენ.

ეს კაცები თითქოს სულ ნაცნობები არიან, სადღაც მინახვანან; მართლა მაღაზიებში, დახლთან...

მე მაინც მოწყენილი ვარ. რა უნდა იყოს მიზეზი? მე სულ სხვა დროს-გატარება

მომწონს. მხიარულება იქ არის, საცა ორიოდ ქალი და კაცი შეიყრებიან, თავიანთ მდგომარეობაზე, სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებზე და წიგნებზე ლაპარაკობენ. აი, ჩემ მეგობარ ნინოსთან კი არ მივდივარ, მივფრინავ ხოლმე.

187... 11 აპრილი.

რა იშვიათათ ვხედავ იმას, ვისი ნახვაც ესე სასურველია ჩემთვის! როცა არა ვხედავ, სულ იმასთან ვმუსაუფობ და რაკი ვნახავ, ვწითლდები, ენა ჩამივარდება, ორ სიტყვას ერთათ ვერ გადავაბამ, სწორეთ რომ ტუტუცი უნდა ვეგონო. ამიტომაც ერთხელ თქვა: – „ინსტიტუტკას რა მოეთხოვებაო“.

ან რა აქვს სათქმელი ჩემისთანა უმეცარს, როდესაც ის მოჰყვება აღტაცებით ლაპარაკს თავისუფლობაზე, ღატაკ-ღარიბ ხალხზე, იმათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და როცა ნამდვილათ ვიცი, რომ ამ კაცს არ დაუზოგავს თავის აზრების ასასრულებლათ არც თავის შეძლება და არც თავის თავი! თან-და-თან ღირსება ემატება, მაღლდება ის ჩემ თვალწინ, როცა სხვები ჰკიცხავენ: „რატომ ჩინოვნიკი არ არის, ფულის მოგროვება არ უყვარს, სამ სართულიან სახლს არა სდგამსო“. კიდევ რამდენი სწავლა მიჭირს, მანამ დავიმსახურებ იმისაგან ჯერ პატივის-ცემას და მერე... მერე...

187... 7 მარიამობისთვე.

გუშინ ვნახე ის. ნუ თუ მართლა ჩემი გული აღარა ხუმრობს? ლაპარაკში მეც გავერიე, მაგრამ ისე დაბლის ხმით ვლაპარკობდი, რომ იმან ვეღარ მოითმინა და დაიძახა: „ქალო, რისა გეშინიან, ჩვენც გაგვაგებინეთ“. მერე თითქო განგებ, რომ მალაპარაკოს, ხან მითომ მეთანხმებოდა, ხან მეწინააღმდეგებოდა და ისე გამაბა ლაპარაკში, რომ თითქმის სუყველანი ჩვენ გვიგდებდნენ ყურს. რა მხიარულად დავბრუნდი შინ! სიხარულით მთელი ღამე არ მძინებია...

187... 22 ენკენისთვე.

ერთი კვირაა, რაც ის არ მინახავს. რაღაც მემართება, აღარა გამეგება-რა. ნუ თუ არ ვაგონდები? იქნება საქმეები გამოუჩნდა? ნინომ მითხრა, ვერსად ვნახეო, თორემ მოვიპატიჟებდიო. ნუ თუ სიყვარულს მოველოდი იმიტომ, რომ ამ ტანჯვაში ვიყო...

187... წელს 25 ღვინობისთვე.

თან-და-თან მოთმინება მელევა... სულ მინდა, რომ ის თვალ-წინ მიდგეს. მარტო მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ის დამიწყებს ტკბილად ლაპარაკს, თითქო ბავშვს ელაპარაკებაო. გუშინ შევამჩნიე, რაღაც ნაღველი ჰქონდა. ნუ თუ მიხვდა, რომ მიყვარს! სიყვარულმა ამიტაცა, ვეღარ მოვითმენ. უნდა ჩემი ბედი შევიტყო... უნდა მივწერო, რომ უმისოთ სიცოცხლე არ შემიძლიან... რას ვბოდავ? დედა ჩემი თითქო მიხვდა ჩემ ნაღველს; ძალიან სწუხს, მაგრამ არას მკითხავს.

187... 26 ღვინობისთვე.

გათავდა... შემოდგომის ქარიშხალმა გაჰფანტა ჩემი ოცნებები, ჩემი იმედები. თითქო სიზმარში ვარო, ლოდი დაუდვიათო გულზე, ვეღარც გავძრულვარ, ვეღარც ვგრძნობ რასმეს, მანამ პასუხი მომივიდოდა, ძარღვები სიმებივით გაჭიმული მქონდა, წკიპარტიც საკმარისი იყო... ჩემ მხურვალე სიყვარულს აი, რა პასუხი მოუვიდა:

„ქალო, გეტყობათ, რომ ჯერ კიდევ ინსტიტუტკა ხართ. ამ დღეებში რუსეთს მივდივარ...“

სუყველა სიტყვები ხანჯალსავით ჩამერჭო გულში... სად ხართ, ცრემლებო! რა დამრჩა სიკვდილის მეტი? ნუ თუ იმისთანა ლაჩარი ვარ, რომ ვერ შევიძლებ გამოვესალმო სიცოცხლეს!..

დედა-ჩემი?.. ის კი დამავიწყდა. ვინ მომცა ნება, რომ ისიც მოვკლა? მე რომ ძალით მოვიკლა თავი, დედა-ჩემს უნდა ეგონოს, რომ შემთხვევით მოვკვდი.

187... 27 ღვინობისთვე.

დღეს უეცრათ სარკის წინ გავიარე და ჩემმა სახემ შემაშინა. ნუ თუ ერთის ღამის ტანჯვა საკმარისი იყო, რომ ესე სახე შემშლოდა!

მაგრამ დღეს მოსვენებითა ვარ, თითქო ერთ დიდ ავათმყოფობას გადურჩი. რა იყო წუხელის, რა მომივიდა? უნდა მოვიგონო... როგორც დაბინდდა, მწუხარების და ნაღვლისაგან დამაწყებინა ჟრჟოლა, მერე კანკალი, კბილი-კბილს მაცემინებდა. ძალიან შეწუხდა დედა-ჩემი, უბძანა, ბუხარი აენთოთ. დაუწყე გაშტერებით ცეცხლს ყურება. მომაგონდა, რომ საფრანგეთში ბევრჯელ ახალ-გაზდა ქალებს, როცა სიკვდილი სწადიათ, ნახშირის სუნით დაიბნიდებიან. მაშინვე თითქმის ჩემი ბედი გადავწყვიტე. მოვიმძინარე თავი და როცა დედა-ჩემი გავიდა ოთახიდამ, ნელა-ნელა წამოვდეგ, ჩავკეტე სუყველა კარები, ამოვქოლე ფანჯრები, რომ ჰაერი არ შემოსულიყო, საჩქაროთ მივარდი, დავხურე ბუხარი, თუმცა ცეცხლი ჯერ ღვიოდა, გავაქრე სანთელი... ისე საჩქაროთ ვეხლებოდი აქეთ-იქით, თითქო მეშინოდა, ლაჩრობა არ გამომეჩინა, სიკვდილისა არ შემშინებოდა. მერე მივწექ და მეგონა, ეს არი ჩამეძინება, ძილში არას გავიგებ, დავიბნიდები და ხვალ მკვდარს რომ მნახვენ, ეგონებათ, შემთხვევით მომსვლია ეს საქმე, დედა ჩემიც უფრო ადვილათ აიტანს ნაღველს...

მაგრამ სად იყო ძილი! შიშით კანკალმა ამიტანა, სული ვერ მომებრუნებინა, ვიხრჩობოდი, თითქო თმებით მათრევდნენ!..

ვეღარ მოვითმინე, მინდოდა დამეყვირა, ვეცი ფანჯარას, გავაღე იმ აზრით, რომ ჯერ ადრეა, ძილი რომ დამძლევს, მივხურავ ფანჯარას და უფრო ადვილათ გამიტაცებს სიკვდილი... გადვიხედე ქუჩაში... სიჩუმე იყო, არავინ მოჩანდა. მთვარე ახლად ამოდიოდა და მკრთალად ანათებდა...

მომაგონდა ჩემი ყმაწვილობა, მომაგონდა ბავშვი ათას კუთხეს რომ მოვძებნიდი, როცა მამა ჩემი მრისხანე სახით დაუწყებდა ჯავრობას დედა ჩემს და ეს

კი მორიდებით ტკბილად გასცემდა პასუხს, თითქო ამშვიდებდა გაანჩხლებულ ბავშვს. მომაგონდა, რომ რაც უნდა ალერსი დაეწყო მამა ჩემს ჩემთვის, მე შიშით უკან ვდგებოდი. თვალ-წინ წარმომიდგა, როგორც ვესალმებოდი ჩემ პატარა ძმას და დას ინსტიტუტში სწავლის დროს. რა ტირილი მქონდა! ხუმრობა კი არ იყო, შვიდი წლით უნდა მოვშორვებულვიყავ ჩემ სახლობას. მანამ მე ვოცნებობდი ოთხ კედელშუა – როგორ მხიარულათ დავბრუნდები, კურსს რომ შევასრულებ ჩემ სახლობაში-მეთქი, ამ დროს დამეკარა დაც, ძმაც... მომაგონდა მამა ჩემი რომ კვდებოდა: შინ მიმიყვანეს, რა გლოვა იყო. სუყველა ობოლს მეძახდა...

გადავხედე ბუხარს. წარმომიდგა როგორ ადარებდა ის ადამიანის სიცოცხლეს ცეცხლსა: „თუმცა ცეცხლი ფერფლათ იქცევა, მაინც გარეშე პირებს ათბობს და ხშირად სიკვდილისაგანაც იხსნისო, – ისეც სუყველა კაცი მოვალეა სხვას ხელი გაუმართოსო...“

ამ სიტყვებმა ჩამაფიქრეს... სხვა აზრები ამერია თავში... განა საკმარისი ბედნიერება არ არის, როცა კაცი შესწირავს თავს თავის მახლობლებსა... იქნება შევიძლო ვისმეს ხელი გაუმართო!.. რა უფლება მაქვს, თავი მოვიკლა ესე ახალგაზდამ?.. ამ დროს მთვარემ თითქო ერთბაშად გაანათა მთლათ ოთახი და მეც გამინათა მომავალი გზა...

187... 7 ქრისტეშობისთვეს.

ხშირად მოდის ნინო ჩემ სანახავად; თუ თვითონ ვერ იცლის, თავის ძმას, კოლას გზავნის.

გუშინ უამბე ამათ, როგორ მინდოდა თავის მოკვლა და რამ შემაყენა. ეხლა ესენიც მშველიან ახალ გზაზე დადგომას... ცოდნა რომ არა მაქვს, სხვას რითი გამოვადგები? ინსტიტუტის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სწავლა ან შინ გაკვრით წიგნების კითხვა განა ეხლა გამომადგება? არა, მე მეჭირება საფუძვლიანი სწავლა და ამ სწავლას რუსეთში მივიღებ... კოლაც ხელს მიმართავს, რადგან ამ ერთ წელიწადზე ისიც გაათავებს გიმნაზიას და წავა რუსეთს; მაგრამ ნინო კი სულ გზებს მიხლართავს. დღესაც დაცინვით მითხრა:

– შენ გინდა, თავი შესწირო სხვებსა და ისე კი იწყობ საქმესა, რომ სხვა შემოგწირავს თავსო. განა არ იცი, რომ დედა შენი თავს არ დაგანებებს, თან გამოგყვება და იმისთვის თავის ქვეყნისაგან მოშორება სიკვდილზე უარესია! ან იქაური ჰაერი რა კეთილს დაგაყრის, შენგანვე გაგონილი მაქვს, რომ შენი მამიდაც და ბიძაც ჭლერქით დაიხოცნენ!..

187... 9 იანვარი.

დღეს ჩემისთანა მხიარული, მგონი, არავინ არ უნდა იყოს! დედა ჩემმა დამითმო ერთი ოთახი და დღეს დავუწყე სწავლა ბავშვებს. კოლა დიდის გულმოდგინებით მეხმარება. ჯერ ექვსის მეტის შაგირდი არა მყავს; მაგრამ იმედია, ჩვენი უბნელები შემეჩვევიან და გამომიგზავნიან თავიანთ შვილებს.

187... 20 მარტს.

რა მალე გარბის დრო! წელიწადზე მეტია, რაც არ მიმუსაიფნია ჩემ მეგობარ ქაღალდთან. ისე გაბმული ვარ მთელი დღე, რომ ოცნებებისთვინ არა მცალიან. მასაქეთ, რაც ამ გზას დავადექი, ერთ წუთსაც არ შეჰპარვია ჩემ გულს სინანული.

187... 25 ღვინობისთვეს.

კოლა იწერება პეტერბურღიდამ, რომ უნახავს ის. ერთმანერთისგან მოშორებულნი მაინც ერთ გზას ადგიხართო. არ ვიცი, ხანდისხან ეს დაწყევლილი გული რაზე მიკვნესის... ნუ თუ ვერ შევიძლებ, რომ სრულებით ჩავაჩუმო ეს გული... მეტი რა მინდა, სუყველანი პატივსა მცემენ!..

187... 17 აპრილი.

რა სასიხარულო ამბავია! კიდევ ერთ ქალს მშვენივრათ გაუთავებია უმაღლესი სწავლა. წარჩინებული ქალები ჯერ ცოტანი არიან: მაგრამ მომავალი ბევრს გვიქადის... ესე მხურვალეთ ვეკიდები ჩემ საქმეს და იმის მეათედსაც ვერ ვაკეთებ, რასაც მცოდნე ისე ადვილად გააკეთებს.

ეჭვი შემამეპარა გულში.. უქეიფობის ბრალი თუა... ციება თავს არ მანებებს. ექიმი მირჩევს, დაისვენეო, მანგლისში წადიო...

ზემო მოყვანილი დღიური შემთხვევით ჩამივარდა ხელში. თიბათვის დამდეგს ქართლიდამ ჩამოველ ქალაქს საქმეების გამო და, რასაკვირველია, გავექანე სანახავად ჩემ მეგობრისას, რადგან შეტყობილი მქონდა იმის ავათმყოფობა. ვეღარ მივუსწარ. დამარხვის დღეს არეულობაში იმის ოთახში ვიპოვე მოულოდნელად ეს პატარა რვეული. იმის დედის მწუხარებას ვეღარ გავუძელი და მაშინვე შინ დავბრუნდი. ჯერ აქამდისინ მესმის იმის სიტყვები: „შვილო, რაზე მოიკალ თავი! რა გაკლდა!“

XX.

გაზეთი „დროება“, 1881, 27 მარტი, № 65, გვ.1-3
1881, 28 მარტი, № 66, გვ.1-3

ანასტასია თუმანიშვილისა და ივანე გომართელის პოლემიკა

I. გრიშაშვილის საიათნოვა

შვეიცარიაში გადამტყორცნა ბედმა, ჟენევის ტბის პირათ. ახლათ გაცნობილ შვეიცარიელ ფრანგს ვემუსაიფებოდი ჩემი სამშობლოს შესახებ და ისიც მაცნობდა თავის კოპწია შვეიცარიას.

– საფრანგეთი რომ შემოგესიოს, რას იზამ მეთქი, – დავეკითხე.

– იარაღით დავიცავ ჩემს სამშობლოს, – იყო მარტივი პასუხი

– კი მაგრამ ამ შემთხვევაში შენ უნდა გაილაშქრო ფრანგების წინააღმდეგ.

– დიაღ, გავილაშქრებ!

– მერე შენ ხომ ფრანგი ხარ?

– რა ვუყო, რომ ფრანგი ვარ! სამაგიეროდ მე ვარ შვეიცარიელი და ჩემი სამშობლო შვეიცარიაა.

– მერე როგორც ფრანგს საფრანგეთი ხომ უნდა გიყვარდეს.

– საფრანგეთი დიახაც მიყვარს, მაგრამ მე შვეიცარია უფრო მიყვარს, რადგან ჩემი სამშობლო ეს არის.

– გული როგორ მოგცემს ნებას, რომ ფრანგების სისხლი დაღვარო?

– ფრანგი რომ ვარ, განსაკუთრებით ფრანგებს არ ვაპატიებ, შვეიცარიას შემოესიონ: რასაც თქვენ ამბობთ, ეგ არასოდეს არ მოხდება. მაგრამ კიდეც რომ მოხდეს, გარწმუნებთ, შვეიცარიის ფრანგები პირველ რიგში ჩავდგებით ჩვენი სამშობლოს დასაცავად, – დააბოლოვა ჩემმა მოსაუბრემ სიტყვა.

დიდხანს მიფიქრია მას შემდეგ ამ კითხვის შესახებ.

საქართველოც ხომ შვეიცარიას მიემსგავსება. აქაც ხომ ჩვენთან ერთად, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ სხვებიც: სომხები, თათრები, ოსები...

შვეიცარია მე განგებ გავიხსენე.

იქ სამი ერი ცხოვრობს: გერმანელები, ფრანგები, იტალიელები.

სამივე უწინარეს ყოვლისა სთვლის თავისთავს შვეიცარიის მოქალაქეთ და სამივეს სამშობლო მხოლოდ შვეიცარია არის და არა საფრანგეთი, არა გერმანია, არა იტალია.

ქართველმა ხალხმა სულიერად მიაღწია შვეიცარიის განვითარების სიმაღლეს, მან ძლიერად გაუწოდა ხელი ყველას საქართველოში მცხოვრებს და მიმართა: ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, გავხდეთ ამ საერთო სამშობლოს ერთგული მოქალაქეებიო. სამწუხაროდ, სხვებს არ აღმოაჩნდათ გამოცდის დროს ასეთი შეგნება, ასეთი სულიერი სიმაღლე.

ჩვენი ოსებისა და ჩვენი სომხების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს,

რომ მათი სამშობლო საქართველოა და ეს საერთო სამშობლო ქართველ ხალხთან ერთად უნდა დაიცვან ყველა მტრისაგან.

თუ შვეიცარიის ფრანგები, იტალიელები და გერმანელები ამბობენ: ჩვენ შვეიცარიის ხალხი ვართო, ნუთუ საქართველოს მოქალაქეები განურჩევლად ეროვნებისა ვერ შეიგნებენ, რომ ჩვენ ყველა საქართველოს ხალხს წარმოვადგენთ?

შეიგნებენ და ამის თავდებია ჩვენი ახლობელი წარსული.

ჩვენმა წარსულმა შესძლო ტფილისის მოქალაქის წარმოშობა და ეს მოქალაქე იყო ყარაჩოღელი.

ყარაჩოღელი და კინტო ერთი და იგივე ჰგონიათ!

ჩვენი წარსულის უცოდინარობით მოსდით.

ყარაჩოღელი უპირველესად ტფილისელი მოქალაქეა. შეიძლება ის ქართველი იყოს, შეიძლება სომეხი, სულ ერთია, ის შვილია საქართველოსი, საქართველო მისი სამშობლოა.

და მას უყვარს ეს სამშობლო, ის არ გასცვლის მას სხვა ქვეყნის სამოთხეზე. არ უღალატებს, არ გაჰყიდის მას.

ამ მხრივ, ყარაჩოღელების სულის კვეთების, მათი გრძნობების გამომხატველი მგოსანი საიათნოვა არის, რომელიც მღეროდა: „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გულიო“.

ყარაჩოღელთა დიდი ნაწილი სომხობა იყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში ეს ნაწილი შედუღებული იყო ქართველობასთან.

ქართველ და სომეხ ყარაჩოღელს – ორთავეს ერთი სამშობლო ჰქონდათ, ორივენი ერთის ცხოვრებით სცხოვრობდნენ, ორივეს საერთო ჰქონდათ ჭირი და ლხინი.

კეთილდღეობა ჩვენი რესპუბლიკისა მოითხოვს – რომ როგორც ძველად ყარაჩოღელებს – ისე დღესაც საერთო გვქონდეს ლხინიც, ჭირიც, სამშობლოც...

„ნუ დააგდებ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა“.

ძველი ყარაჩოღლური ძმობა და ერთობა ჩვენს შორის ახალს ხანაში, თავისუფლების ცხოველმყოფელი მზის სხივებზე სიყვარულისა და თანხმობის განუწყვეტელ ჯაჭვათ უნდა გადაიქცეს.

ძმობის და ერთობის სიმები საქართველოს სხვადასხვა ერთა შორის ჯერ სამწუხაროდ არ არის მტკიცე, მაგრამ საერთო მუშაობით, შეერთებულის ძალ-ღონით უნდა განვამტკიცოთ.

ამიტომ სასარგებლოა იმ დროში ჩახედვა, როდესაც ეს სიმები მტკიცედ იყო გადაბმული და, მათზე დამღერებით საიათნოვა ატკბობდა ძველ ტფილისს, ძველ ტფილელს, ძველ ყარაჩოღელს – სომეხსაც, ქართველსაც, თათარსაც.

ეს დრო, მისი მარტივი ცხოვრება, მისი ბავშვური გულუბრყვილობა, მისი სადაობა და სილამაზე ეშხიანათ და ბაკმიანათ გადაგვიშალა თვალწინ თვითონ ბაკმიანმა გრიშაშვილმა.

გრიშაშვილის საიათნოვა სწორედ დროის შესაფერისია.

...რა აკლიათ დღეს საქართველოს სომხებს?

ისინი უნდა დაუბრუნდნენ საიათნოვას გზას, მათ უნდა აღიარონ სამუდამოთ და პატიოსნათ, ჩვენი სამშობლო ტფილისია, საქართველოს გულიო!

რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ქართველებს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ძმობა-ერთობის ამოძახილს ერთგვარი ჭვარტლი ჰფარავს?

საიათნოვა!

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხის ერმა მოგვცა ჩვენ საიათნოვა, რომელიც ჩვენ შორის ძმობა-ერთობის და სიყვარულის ხიდი იყო.

არარატის მთავრობამ ტლანქად ჩალეწა ეს ხიდი. მაგრამ მოვა ახალი საიათნოვა და ამ ხიდს ისევ გასდებს..

რომაული ანდაზაა: წიგნებს თავისი ბედი უწერიათო.

საითნოვასაც თავისი ბედი ეწერა.

ჩვენ გაგვეგონა საიათნოვა, ვიცოდით, რომ ის ერეკლეს დროს რაღაცას სწერდა, უკრავდა თუ მღეროდა, მაგრამ მას არ ვიცნობდით.

გრიშაშვილის ნიჭი და მადლიანი კალამი იყო საჭირო, რომ საიათნოვა მკვდრეთით ამდგარიყო ჩვენი საზოგადოებისათვის.

ესეც საიათნოვას ბედი, რომ ის ხელში ჩაუვარდა მზის სხივებში მოტივტივე სიტყვათა ხარამხანის მბრძანებელს.

საიათნოვა გაუგებარია, თუ ძველი ტფილისი არ გაიგეთ. ძველი ტფილისი გაუგებარია, თუ ძველი ყარაჩოღელი არ გაიცანით.

გრიშაშვილიც გვიხატავს ყველა ამათ საუცხოო სურათს:

„ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი!“

ერთი მათგანი უეჭველათ საიათნოვაა.

გრიშაშვილს აქვს საერთო როგორც საიათნოვასთან, ისე ყარაჩოღელთან.

გრიშაშვილის ნიჭში არის ბევრი რამ ყარაჩოღლური: ყველგან და ყოველისფერში საკუთარი მეობა, სულისა და გულის იშვიათი სიმდიდრე, გონებამახვილობა, თავისებური ფხიანობა, საკუთარი გზის საკუთარი შრომით გაკაფვა და სხვა... აბა რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალო! საიათნოვასთან კი გრიშაშვილს აერთებს მოტივები, ჰანგები, რითმი, სიყვარულის ენა, სამიჯნურო გალობა, მგოსნობა.

საიათნოვა პოეტიც იყო, მგოსანიც – ესეიგი მომღერალი.

გრიშაშვილიც პოეტი და მგოსანია.

მართალია, ის არ მღერის, მაგრამ სამაგიეროდ მისი ლექსის სიტყვები სულ მღერიან და ცეკვავენ.

ბუნებრივი პოეტიც ამით განირჩევა ნაცოდვილარისაგან: მისი ლექსის კითხვამ უსათუოთ უნდა აგამღეროს და სხეული აგითამაშოს.

საიათნოვას სიყვარული მსხვერპლიანი, ზვარაკიანი სიყვარულია.

ამგვარივეა გრიშაშვილის სიყვარულიც.

უმთავრესი მოტივი საიათნოვას პოეზიისა სიყვარულია.

გრიშაშვილის ცელქი, ცქრიალა, მოსხლეტილი, ხან მხიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ მოცეკვავე და მომღერალი სიტყვაც ხომ უფრო სიყვარულს ევლება გარშემო.

საიათნოვა რაც იყო, თავისით იყო — თავისი ნიჭით, თავისი ენერგიით გაიკაფა მან გზა და გახდა სასახლის დიდი მგოსანი.

ამ მხრივ გრიშაშვილი საიათნოვას გამეორებაა. ამანაც დიდი და თავისებური ნიჭით გაიკაფა გზა და შეიჭრა ძლიერ და მეტათ ლამაზ ნაკადულათ ჩვენს პოეზიაში.

ამიტომ უყვარს გრიშაშვილს საიათნოვა და მასთან ერთათ ძველი ტფილისი და ყარაჩოღელები.

უსიყვარულოთ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს გრიშაშვილი თავის „საიათნოვაში“.

ძველი ტფილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი დროს გატარება, საქმიანობა ცოცხლდებიან.

და როდესაც საიათნოვას ჰკითხულობთ, გგონიათ, რომ ყოველივე ამას ჰხედავთ ცოცხლათ ნამდვილათ, საკუთარის თვალით.

ამ ძველს ცხოვრებაში სადაობასთან და სიმარტივესთან ერთად დიდი სილამაზეც არის და ეს სილამაზე თავის გამომხატველს ჰპოვებს საიათნოვაში.

დიდი პოეტი ის არის, ვინც თავის დროს საუკეთესოთ გამოჰხატავს.

საიათნოვას პოეზია ღარიბია მოტივებით, როგორც მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ ის მდიდარია ფერადებით: ის მარტივია, მაგრამ მეტად ლამაზი.

საიათნოვა სარკეა თავისი დროისა და ამიტომ ის დიდი პოეტია.

მაგრამ გაცილებით დიდი პოეტია გრიშაშვილი, რომელმაც საიათნოვა და მისი გარემო ასე საუცხოვოთ წარმოგვიდგინა.

ივანე გომართელი

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „ლეილა“, 1920

II. ხმა საქართველოს სომხისა

ბატონ ივანე გომართელს!

პატივცემულო ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით რამდენიმე სიტყვით მივმართო ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ივანე გომართელს, რომელიც ცნობილ მგოსან გრიშაშვილის „ლეილა“ კრებულში მოთავსებულ გრიშაშვილის „საიათნოვა“ წიგნის შესახებ კრიტიკულ

წერილში ეხება ფრიად დიდ საკითხს, რომელსაც ამიერკავკასიის ნორჩი რესპუბლიკების და მათში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობაში, საზოგადოდ ამიერკავკასიის სინამდვილეში საპატიო ადგილი უნდა მიეცეს.

ბატონი გომართელი თავის წერილში საქართველოს შვეიცარიას ადრის, ჩერდება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებზე. ამტკიცებს იმ აზრს, რომ საქართველოს ეროვნულ უმცირესობებმა ისე უნდა შეიყვარონ საქართველო, როგორც თავიანთი სამშობლო და ბოლოს დასძენს:

„ქართველმა ხალხმა სულიერად მიაღწია შვეიცარიის განვითარების სიმაღლეს, მან ძლიერად გაუწოდა ხელი ყველას საქართველოში მცხოვრებს და მიმართა: ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, გავხდეთ ამ საერთო სამშობლოს ერთგული მოქალაქეებიო. სამწუხაროდ სხვებს არ აღმოაჩნდათ გამოცდის დროს ასეთი შეგნება, ასეთი სულიერი სიმაღლე. ჩვენი ოსებისა და ჩვენი სომხების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მათი სამშობლო საქართველოა და ეს საერთო სამშობლო ქართველ ხალხთან ერთად უნდა დაიცვან ყველა მტრისაგან“.

მე, ბატონო გომართელო, საქართველოს მკვიდრი სომეხი ვარ. მე და პაპაჩემიც ტფილისში ვართ დაბადებული. ჩემი ყმაწვილობა, ჩემი ბავშვობა გამიტარებია აქ და ამჟამად ვცხოვრობ ტფილისში. მე საქართველოსთან ერთად მისი გული – თბილისი მიტარებია, როგორც ღვიძლი მშობელი. მყავს კიდეც მრავალი ქართველი ამხანაგი, მეგობრები, ნათესავები: გავზრდილვარ მათთან ერთად, მისწავლია თქვენი ლამაზი ენა, მიშრომია თქვენს სახალხო პარტიაში, დავინტერესებულვარ თქვენი ლიტერატურით, პოეზიით, თეატრით. ერთი სიტყვით, ჩემთან ახლო ყოფილა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ისე, როგორც სომხური და როდესაც ამოვიკითხე თქვენი წერილის ის ნაწილი, სადაც თქვენ ემდურებით საქართველოს სომხობას, ჩემს წინ, როგორც საქართველოს ერთგული სომხისა კითხვა დაისვა:

– რათა, რა არის ამის მიზეზი?

რა არის მიზეზი, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწე ეჭვის თვალით უყურებს საქართველოში მცხოვრებ სომხობას, რომელმაც მართლაც, რომ უნდა შეიყვაროს სამშობლო, კერა.

მართლაც, რა არის მიზეზი, რომ ორი მეზობელნი, გვერდი-გვერდზე მცხოვრები მოქალაქენი, რომელნიც ახლაც რომ ძმურად უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ, დღეს ეჭვით უცქერენ.

ბატონო ექიმო! პირველი თქვენ ხართ ამ კითხვის აღმძრავი. ბოლო წლის განმავლობაში ბევრი ვწერე მაგ კითხვის პასუხი, აქაც ვიტყვი: საქართველოს სომხების, სომეხ მშრომელ ხალხის და ქართველ დემოკრატიას შორის ურთიერთობა სანეტარო არ ყოფილა. ნუ დავმალავთ, რა უკმაყოფილება სუფევს ორ ღვიძლ ძმებს შორის.

თქვენმა წერილმა ჩემში დაბადა სურვილი გამეზიარებინა თქვენთვის აზრე-

ბი და როგორც საქართველოს სომეხს მეთქვა რამდენიმე გულწრფელი სიტყვა იმ არასასურველ ურთიერთობის შესახებ, რომელიც დღემდის არსებობს ორ მეზობლებს შორის.

პატივცემულო ექიმო! მოდით გულწრფელად გადავშალოთ ახლო წარსულის ისტორიის ფურცლები. იმას, ვისაც თვალ-ყური უდევნებია საქართველოს ბოლო ორი წლის პოლიტიკური ცხოვრებისათვის, ვინც დაკვირვებია თქვენ ქართველ წრეების და ეროვნულ უმცირესობათა შორის არსებულ ურთიერთობას, ნამეტნავად პირველის (ანუ ქართველების) სომხობის მიმართ განწყობილებას, ის აუცილებლად მიზეზებს იპოვის, ხსენებულის ატმოსფერას შემქმნელ მიზეზს. ის გულახდილად იტყვის, რომ საქართველო ის სამშობლო არ არის სომხობისთვის, რომელზედაც თქვენს წერილში ლაპარაკობთ. საქართველო თავისი მშობლიური მოვალეობის დროს თავისი შვილებისადმი ერთნაირი არ ყოფილა და ერთნაირი თანასწორი მოპყრობა არ ჰქონია ყველასადმი. საქართველო თავის ორ შვილს, სომეხს და ქართველს ერთნაირად არ უყურებს. მისთვის ყოფილან გერი და ღვიძლი შვილნი, პირველი და მეორე ხარისხის მოქალაქენი.

საქართველოს მმართველ წრეების ცალმხრივი, უკეთ რომ ვთქვათ, ვიწრონაციონალური პოლიტიკის მიზეზით, საქართველოში მცხოვრებ სომხებს ყოველ ნაბიჯზე გვაგრძნობინებენ, რომ ჩვენ სომხები ვართ და არასოდეს იმედი არ უნდა ვიქონიოთ მშობელ საქართველოსგან ისეთი მშობლიური მოპყრობისა, როგორც თქვენ ქართველებმა. მსგავსი გრძნობა ჩვენ ძველ, თვითმპყრობელობის დროს გვქონდა და ველოდით, რომ დემოკრატიული საქართველო, რომლის სათავეში უდგანან თანასწორობისთვის მედგარნი მებრძოლნი, ერთნაირად მოეპყრობოდა ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა. მწარე სინამდვილემ ამ დასკვნამდე მიმიყვანა. იოტისოდენი ეჭვი არ მეპარება ჩემი სიტყვების სიმართლეში.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ჩვენ, რუსეთის რევოლუციის დიდ მონაპოვარ საარჩევნო უფლებით ნება არ მოგვცეს გვესარგებლნა და როგორც არა ღვიძლი შვილნი არ გაგვიშვეს, რომ მიგვეღო მონაწილეობა მუნიციპალურ აღმშენებელ მუშაობაში. ჩვენ მკვიდრი ქალაქელები ათასობით გამოგვტოვეს სიებიდან იმ დროს, როცა ორი კვირის მოსულ ჭიათურელს მონაწილეობის უფლება ეძლეოდა.

გარიყული დაგვტოვეს აგრედვე დამფუძნებელი კრებიდან. სომხობა, რომელიც ნაკლებ ალაგას არ იჭერს საქართველოს მცხოვრებთა რიცხვში, გარეთ დარჩა იმ დიდ საკრებულოსგან, სადაც საძირკველი იყრება იმ სამშობლოსი, რომელსაც თქვენ, ბატონო ექიმო, ჩვენად სთვლით.

რაღა ვთქვა ყოველ მოქალაქის თვალწინ მომხდარი იმ დიდი დევნის შესახებ, რომელიც წილად რგებია სომეხ მშრომელ ხალხს. მას მშიერს ტოვებდნენ მარტო იმის გულისთვის, რომ ის სომეხი იყო.

რაღა ვთქვა დემოკრატიულ რესპუბლიკაში სომხის ეროვნული სკოლების დევნისა და დაკეტვის შესახებ, რომელიც ბევრ ძველებსაც კი გააკვირვებს.

რაღა ვთქვა ყოველ დაწესებულებაზე: დაწყებული პატარა კანცელარიიდან, გათავებული სამინისტროთი. იმ ჩაკეტილი კარების შესახებ, რომელიც წინ ეღობება აქაურ სომხობას, ყოველ შემთხვევაში იმისთვის ყველგან კარები ჩაკეტილია. ინტერნაციონალიზმის დიადი ლოზუნგები ფეხქვეშ გაითელა და ისე გაიქართველეს სუყველაფერი, როგორსაც ეტრფოდა ვეშაპელი თავის ამხანაგებით და რასაც მედგრად ებრძოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

პროვინცია? აქ შექმნილი ატმოსფერა? ადმინისტრაციის თარები? საკმარისია ერთი-ორი დღით იქ ყოფნა, რომ თქვენც ჩემთან ერთად დაადასტუროთ ის უხეში მოპყრობა სომხებისადმი, რომელსაც გრძნობს პროვინციის მართლაც მეორეხარისხოვანი მოქალაქე.

მოკლეთ, ყველგან ვგრძნობთ, რომ თანასწორობა უბრალო სიტყვა ყოფილა, როგორც ესიზმრებოდათ გვაზავა-გაბაშვილებს, საქართველო მარტოდ მარტო ქართველების ყოფილა.

კიდევ გასაგები იქნებოდა ეს ყველაფერი, ვიწრონაციონალური პოლიტიკა რომ ეწარმოებინათ ნაციონალ-დემოკრატებს, რომლებიც, მადლობა ღმერთს, სათავეში არ სდგანან.

ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ყოველივე ამას? ნუთუ დრო არ არის, რომ მეზობლური ატმოსფერა გაიწმინდოს, რომ სომეხი და ქართველი მშრომელნი, სომეხი და ქართველი მოქალაქენი ერთნაირად გრძნობდნენ ერთ საერთო სამშობლოს ტკბილ მშობლიურ ალერსს?

ნუთუ დღეს, როცა საქართველო თავის დიად დღეს დღესასწაულობს და როდესაც ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში თანასწორ წევრად შედის, ამ საზეიმო ხანაში არ უნდა დაახლოვდნენ ორნი მეზობელნი?

მე მწამს, რომ ახლო არის ის დრო, როცა საქართველო ყოველ მისი მოქალაქისთვის ნამდვილი საერთო სამშობლო იქნება.

წარსულს დავანებოთ თავი. ახალი სახელმწიფოს აშენების დროს შესაძლებელია შეცდომები. ის, რაც იყო საძირკვლის ჩაყრის დროს, იმედია აღარ იქნება შენობის აშენებაში. მაშინ გამთელდება ის ხიდი, რომელიც მართლაც მრავალ მიზეზის გამო ჩატეხილი იყო.

თუ ეხლანდელ სომხობას მართლა საიათნოვა აკლია, ისიც უნდა სიმართლედ ჩავთვალოთ, რომ ეხლანდელ საქართველოს, პატივცემულო ექიმო, აკლია ის ღვიძლი მშობლიური მოპყრობა, რასაც ნაჩვევი იყო თავის დროს, ძველ საქართველოში, საიათნოვას დროინდელი სომხობა.

ანასტასია თუმანიანცი

გაზეთი „სახალხო საქმე“,
1920, 11 მარტი, № 775 (57)

III. თუმანიანცის წერილის გამო

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა საქართველოს სომხის ან. თუმანიანცის წერილი. წერილი გულწრფელი და ფრიად ყურადსაღები. ჩვენ გვგონია ასეთი კილო, რომლითაც გაჟღენთილია თუმანიანცის ნაწერი, ერთადერთი უნდა იყოს ორ მეზობელ ერთა წარმომადგენლებს შორის. სამწუხაროდ, ჩვენ ნაკლებად ვართ ჩვეული დამშვიდებულ კამათს სომხის ერის დღევანდელ მესვეურ დაშნაკელებისაგან. ამიტომ გვსურს ზოგიერთი მოსაზრებანი გამოვთქვათ ზემოხსენებულ წერილში გამოთქმული აზრების გამო.

ბ-ნი თუმანიანცი გულწრფელად შეწუხებულია იმ მტრობა-ქიშპობით, რომელიც ქართველებსა და სომხებს შორის დღეს არსებობს და რომლის დამალვა მას საჭიროდ არ მიაჩნია. მთავარ მიზეზად ურთიერთობის წახდენისა ის მიაჩნია, რომ თურმე რესპუბლიკა ერთნაირად არ ეპყრობა თავის ქვეშევრდომებს. მას გერად მიაჩნია მაგალითად სომხები, რომლებიც უფრო კარგს მოპყრობას მოელოდნენ. სომხობა გარიყული იყო ტფილისის საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნებიდან. პროვინციაში უფრო ზედმეტი ჩაგვრა არის, ვიდრე ცენტრში. ეს აღიზიანებს სომხობას და ამით აიხსნება ურთიერთობის გამწვავება.

უნდა ვთქვა, რომ ფაქტის ამნაირი გაშუქება საერთოდ არ შეეფერება სინამდვილეს. ვინ არ იცის, რომ ჩვენს შინაურ პოლიტიკას სრულიად არავითარი კავშირი არ ჰქონია იმ უბედურ ომთან, რომელიც დაშნაკებმა დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ და მთელი სომხის ერი ჩაითრიეს ავანტიურაში? დაუმატეთ ამას ის აგიტაცია, რომელსაც სომხის სხვადასხვა წრეები ეწეოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. აგრედვე დემონსტრატიული ძახილი რუსეთის აღდგენაზე (პირველ ხანებში), რომელიც აშკარად ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და ბევრი რამ ჩვენთვის ცხადი გახდება. გარდა ამისა, ვინ მოსთვლის, რა ჭორები არ იყო გავრცელებული საქართველოს შესახებ ევროპაში და გავრცელებული სამწუხაროდ სომხის პოლიტიკურ წრეების მიერ. ეს ხომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში იყო, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას ჯერ არავითარი აგრესიული პოლიტიკა არ ეწარმოებინა სომხებისადმი. რისი შედეგია დღევანდელი წამხდარი ურთიერთობა? იგი შედეგია თუ არა ზემოხსენებულ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდნენ სომხის პოლიტიკური წრეები.

გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ სომხებს საშუალება არ მისცეს სხვადასხვა არჩევნებში მონაწილეობისა. უნდა ითქვას, რომ არც ეს შეეფერება სინამდვილეს. ტფილისში შეიძლება მართლაც მოხდა შემთხვევით გამოტოვება სიებიდან ადგილობრივ მკვიდრთა, მაგრამ ეს იყო მართლაც შემთხვევითი, რადგან კანონი ამას სრულიად არ მოითხოვდა. ანდა მართლად მარტო ტფილისში ცხოვრობს სომხობა? რატომ პროვინციის სომხობას არ იღებს მხედველობაში ბ-ნი თუმანიანცი? იქ ხომ მთელმა სომხურმა სოფლებმა მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში ისე, როგორც ქართველებმა და დანარჩენმა ერებმა. ასე მოხდა მაგალითად

ქართლსა და კახეთში, საზოგადოდ იმ ადგილებში, სადაც სომხობა სცხოვრობს. ასე რომ, არჩევნებიდან მკვიდრი სომხობა არ ყოფილა გარიყული თუ თბილისის სომხობის ზოგიერთ წრეებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელთაც საქართველოს ქვეშევრდომობა არც ჰსურდათ, არც ეძებდნენ.

რაც შეეხება პროვინციაში სომხების ჩაგვრას, როგორც სომხებისას – ამის შესახებ ერთხელ უკვე გვქონდა ლაპარაკი „აშხატავორთან". ჩვენი პროვინცია მართლაც მოუწესრიგებელია და იქ ზოგჯერ მრავალ ძალადობას აქვს ადგილი. მაგრამ ეს ძალადობა და მოუწესრიგებლობა საერთოდ ეხება მთელ პროვინციებს და არა მარტო სომხობას. აქ არ შეიძლება მოუწესრიგებლობის ნაციონალიზაციაზე ლაპარაკი. სხვადასხვა ადგილას ხდებოდა უწესრიგობანი და ეს ხდებოდა მარტო ქართველებით დასახლებულ ადგილებშიც. მაგალითად: ოკრიბასა, წყალტუბოსა და სხვაგან. ამიტომ ბ-ნი თუმანიანცი ამ შემთხვევაში სცდება. შეიძლება იყოს რამდენიმე მაგალითი, მაგრამ როგორც ერი სომხობა რომ არ იჩაგრება სისტემატურად, ეს ფაქტია.

ამ ჟამად, საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობა სწარმოებს უმცირესობათა უფლებების შესახებ. საჭიროა ეს მუშაობა ჩქარა დამთავრდეს და ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს თვით დაინტერესებულმა ეროვნების წარმომადგენელმა. მაშინ ერთნაირად ჩამოყალიბდება ურთიერთობა. ადგილობრივი სომხობა გულწრფელად ჩაებმება საქართველოს სახელმწიფოებრივ მუშაობაში და გულწრფელადვე დაიცავს საერთო სამშობლოს ინტერესებსა და თავისუფლებას.

მხოლოდ საერთო თანამშრომლობით, ჭაპანის საერთო ძალებით გაწევით და ერთმანეთისადმი უნდობლობის მოსპობით მოხდება ნორმალურ ურთიერთობის დამყარება, იმ ურთიერთობისა, რომელიც ისე სანატრელი გამხდარა, როგორც ქართველი, ისე სომხის ჭეშმარიტ დემოკრატიისათვის.

„სახალხო საქმე", რედაქცია

გაზეთი „სახალხო საქმე", 1920, 12 მარტი, № 776 (58)

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა

არა ყოფილა შემთხვევა (გარდა საიუბილეო სიტყვებისა), რომ პრესა ვრცლად შეეხებოდა ან. წერეთელის მოღვაწეობას. ამიტომ ამ დაუხნავი მიწის გაჭრა არც ისე ადვილია, რადგან მის პიროვნების, მის მოღვაწეობის გათვალისწინების დროს მრავალი კითხვები ებადება დამწერს: საიდან დავიწყო მისი მოღვაწეობა; როგორ აღინიშნოს მოკლედ თუ ვრცლად, ამ ცოცხალი მატიანის სუნთქვა საზოგადო საქმეებში; რომელი ერთი ვახსენო ამ საჟურნალო წერილში, როდესაც არა ყოფილა არც ერთი კულტურული თუ საქველმოქმედო საზოგადოება, რომ მის დაუშრეტელ ენერგიას და ორგანიზატორულ უნარს კარი არ შეეღოს და საუკეთესო ადგილი არ დაეკავებინოს.

იმ ორგანიზაციებს, რომლის ხელმძღვანელიც იყო ანასტასია წერეთლისა, მან მიანიჭა ათეული წლების ისტორია.

იგი დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწეთ. ამიტომ შეიყვარა ყველა კარგი საქმე, მოისურვა შველა, დახმარება ყველასი ყველაფერში. მაგრამ ყველაზე მეტად მას უყვარდა ბავშვი, საბავშვო წიგნების გამოცემა, საბავშვო ჟურნალის მეთაურობა და ეს თავისი სიყვარული ოცდაათი წლის მანძილზე ატარა.

მის საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ ისეთი კრიზისის დროს ჩაისახა და ისეთ დროს გამოჩნდა, როცა ქართველ ბავშვს არა ჰქონდა სულიერი საზრდო და არ იცოდა, რით განევითარებინა თავისი გონება.

აი, ამ საქმეს შესწირა ანასტასია წერეთლისამ თავისი ფიქრი, უნარი, ენერგია. რაც უნდა მკაცრი პირობები გადაჰღობებოდა წინ, იგი მაინც ახერხებდა საბავშვო ლიტერატურის სამსახურს. წმინდა საბავშვო ჟურნალს კარგა ხნობით ამოაფარა ქართული აზროვნებისა და ცხოვრების მოზარე, დიდი პოლიტიკური ჟურნალი „კვალი“.

ანასტასია წერეთლისას არასოდეს დაღლა არა სცოდნია და ეხლაც კი, როცა ნახევარი ადამიანი-ღაა ფიზიკურად, როცა არა მუშაობს მისი მარცხენა ხელ-ფეხი, მისი გონება მაინც განაგრძობს ფიქრსა და ზრუნვას იმაზე, თუ ვინ გააგრძელებს მის საბავშვო წიგნების გამომცემლობის საქმეს, ვინ ამოჰკრეფავს „ჯეჯილიდან“ უამრავ მასალას და ვინ მიაწვდის ლამაზ წიგნაკებად მის საყვარელ პაწია მკითხველებს.

დიდია ანასტასია წერეთლის მოღვაწეობა, მაგრამ ამჟამად ჩვენ მის ორ საქმიანობას მოკლედ შევეხებით. ეს არის: „განათლება“-ს საზოგადოების დაარსება, რომელსაც ქართულ ცხოვრებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მეორეც, საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილის“ გამოცემა, რომელმაც საბავშვო ლიტერატურა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

* * *

ანასტასია წერეთლისამ სწავლა დაასრულა 1865 წელს. როგორც თვითონ აღნიშნავს თავის ავტობიოგრაფიაში, მას „არაფერი ცოდნა არ გამოუტანია საქალებო ინსტიტუტიდან“, და სახლში დის ხელმძღვანელობით დაიწყო თვითგანვითარება. მისგან (როგორც თავადის ქალისაგან) სულ სხვას მოელოდა ის წრე, რომელშიაც ტრიალებდა, მაგრამ როგორც დიდი მწერლის – გიორგი თუმანიშვილის – ქალი, მის გონებას და სულს სულ სხვა საქმე უნდოდა. ამიტომაც ორივე დებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ დაბრკოლებების გადალახვისათვის. ანასტასია წერეთლისა საზღვარ-გარედ წავიდა. თავის ავტობიოგრაფიაში შენიშნავს: „იმედი არა მქონდა, რომ ექვს წელს შევსძლებდი უმოქმედოთ ყოფნასა“-ო და მალეც ჩამოვიდა.

ანასტასია წერეთლისამ მალე მოჰკიდა საზოგადო საქმეს ხელი. ეს იყო პატარა თარგმანების და პატარა ამბების ბეჭდვა გაზეთ „დროებაში“.

ამ მცირედი საქმით არ დაკმაყოფილებულა. მისი მოზღვარებული ენერგია ფართე გაჭრას ლამობდა. იგი ჩაება ყველა იმ კულტურულ საქმეებში, რაც კი მაშინ საქართველოში არსებობდა. ფართედ კი თავისი სულის საკვები იპოვნა წ. კ. გ. საზოგადოებაში ყოფნით და იქ მუშაობით. ამ საზოგადოების დახმარებით ხელთუბნის სკოლას (რომელიც ანასტასია წერეთელმა დააარსა) საკუთარი სახლი აუშენა.

1886 წ. მან დააარსა მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება. ამ „მცირედი“ საქმეებით მაინც ვერ იოკებდა თავის წადილს. მას სხვა კიდევ დიდი საქმე სწყუროდა. ანასტასია წერეთლისამ მხარში ამოიყენა ქართველი მანდილოსნები: დანი ნიკოლაძენი, ან. თიკანაძისა, სოფ. კალანდარაშვილისა, ალ. ფაღავასი, მარიამ მაჩაბელი და მასწავლებელი იაკობ ზედგინიძე. მათ პატარა წრის დაარსება განიზრახეს. რა უნდა გაეკეთებინა ამ წრეს? როგორც ანასტასია წერეთელი აღნიშნავს თავის მემუარებში: „ქართულმა ბანკმა გახსნა თავისი ხარჯით ვაჟების სასწავლებელი. ქალების სასწავლებელზე კი სულაც არა ფიქრობდა. ზოგიერთა ქალს გული გვწყდებოდა, შეუდექით ფულის მოგროვებას ქალების სასწავლებლის გასახსნელათა“-ო. პირველად ამ საქმის თავმჯდომარეთ ამ პატარა წრემ ამოირჩია მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა. ამ წრემ ბანკს მიმართა ფულისათვის, მაგრამ იგი „ბანკობიადაში“ იყო გართული და ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინა. მალე ეს წრე გაიზარდა. ბევრი თანამგრძნობი გაუჩნდა, ბევრმა შესწირა თავისი წვლილი. ბოლოს ამ წრემ მიიღო ოფიციალური სახელწოდება: „განათლება“-ს საზოგადოება. ეს საზოგადოება მთელი თვრამეტი წელიწადი ემსახურა ქართულ კულტურას: დააარსა ქალთა სკოლები, მრავალი მასწავლებელი ქალი გამოზარდა ამ სკოლებმა და ალბად სიამოვნებითაც მოიგონებენ ისინი ამ საზოგადოებას და მის სულის ჩამდგმელ ანასტასია წერეთლისას.

ბევრი კარგი საქმე გააკეთა ამ საზოგადოებამ და ამის მაცოცხლებელი იყო ანასტასია წერეთლისა თავისი გამჭრიახი გონებით, პრაქტიკული გზებით, დაუღალავი შრომით, ბინით და ხშირად ფულითაც.

ბოლოს, ამ საზოგადოებამ თავისი მისიის შესრულება იგრძნო. მისი წევრები

მიყუჩდნენ, მაგრამ არ ისვენებდა ანასტასია წერეთელი. არ უნდოდა, ამ საზოგადოების სახელი წაშლილიყო საქართველოს სინამდვილეში. უნდოდა, კიდევ ახალი რაღაც შეეტანა ქართულ ცხოვრებაში, ამიტომ ხშირად იბარებდა საზოგადოების წევრებს და ათას წინადადებას აძლევდა, მაგალითად, ფეხსაცმელების კერვის, კალათების წვნის, ან კოლოფების კეთების სკოლების გახსნას, მაგრამ ეს საქმეები ვერ მოხერხდა.

ვერ მოისვენა ანასტასია წერეთელმა და შეეხო ჩვენს მტკივნეულ საკითხს. იგი კრებას უცხადებს: „ქართველი ახალგაზრდა ქალი გამოიფიტა. ის თავის ჯანმრთელობას ყურადღებას არ აქცევს, არ იცის ბავშვის მოვლა, მისი გაჩენა აშინებს. ეს ჩვენა გვღუპავს. ნუთუ არ უნდა უპატრონოთ ამ საქმეს? დავაარსოთ კურსები, რომელსაც დაერქმევა: „აკვანი“, იქ წაიკითხება მთელი რიგი ლექციებისა საუკეთესო პროფესორებისა და ექიმების მიერ. გავწიოთ პროპაგანდა ჩვენს ქალებში, სკოლებში, მასწავლებლებში, უნივერსიტეტში, მუშა-ქალებში, დედებში, ყველგან, რომ ჩაეწერნენ მსმენელებათ“-ო. ეს სულ ახალი საქმე იყო, რომელიც არავის მოგონებია. თუმცა ზოგიერთი წევრები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას, მაგრამ მაინც გადაწყდა. ანასტასიამ თავისი გაიტანა: გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები, დამზადდა „ლეტუჩკები“ კედლებზე გასაკრავად და დასარიგებლად, კურსები ფულიანი უნდა ყოფილიყო, რომ ხარჯები დაეფარა.

...და უცბათ ანასტასია წერეთელი, ეს 75 წლის მოხუცი გამოცოცხლდა, ენერგია მოემატა, სიხარულით დაფუსფუსებს, დარბის ყველა პროფესორთან; ივ. თიკანაძესთან, გოგიტიძესთან, ექიმებთან, იწვევს ლექციების წასაკითხად. იმათაც აღუთქვეს. ახლა გარბის მიხ. ზანდუკელთან, სკოლის შენობის სათხოვნელად. ხარობს ანასტასია წერეთლისა, რომ გამოცოცხლდა საზოგადოების საქმე. და... როგორც ახალგაზრდა კურსისტკა, რომელიც სიხარულით გარბის უნივერსიტეტში პირველ ლექციის მოსასმენათ, ისე უხარიან ანასტასია წერეთლისას პირველი ლექციის მოახლოვება. ეს იყო 1924 წელს. დაუვიწყარი იქნება ამ სტრიქონების დამწერისათვის ის პირველი მნიშვნელოვანი ლექციის დღე, და ამ „აკვანის“ საქმიანობა, რომელიც „ლეტუჩკებით“ გათავდა.

იმ შენობაში (პირველი საცდელი შრომის სკოლა) იმ დროს მოთავსებული იყო საბავშვო ბაღების მასწავლებელთა კურსები ექვსკვირიანი. ბევრი ახალგაზრდა მასწავლებლები და სამასწავლებლოდ გამზადებული ქალები მიისწრაფოდნენ ამ კურსებისაკენ.

დადგა „აკვანის“ დებიუტი! თუმცა ჯერ ერთი ქალიც არ ჩაწერილიყო, მაგრამ ანასტასია წერეთელი მაინც ნიშნავს პირველ ლექციას. იწვევს პროფ. გოგიტიძეს, რომელსაც უნდა წაეკითხა ბავშვთა სტატისტიკური ცნობები; ასეთი იყო თემა, თუ არა ვცდები.

საღამო მოახლოვდა, ღელავს ანასტასია წერეთელი, ღელავენ ყველა წევრები, შეიკრიბნენ კარებთან. ელიან ხალხს, პროფესორს. დაიწყო დენა კურსებზე მსმენელი ხალხისა! ანასტასია წერეთელს თვალები უბრწყინდება ამდენი ახალგაზრდა

ქალების დანახვით. ეპატიჟება, იწვევს იმ ოთახისკენ, სადაც პროფესორი ელის ხალხს. ზოგს გამოელაპარაკა კიდევაც, მაგრამ ცელქი ახალგაზრდობა ამ მოხუცს ყურს არ უგდებს და გარბის თავის საბავშვო ბაღის კურსებისაკენ.

ლექცია მაინც დაიწყო და იცით, ვინ იყვნენ ამ ლექციის მსმენელნი: ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, სოფ. კალანდარაშვილისა, ან. თიკანაძისა, იაკობ ზედგინიძე (როგორც წევრი ამ საზოგადოებისა) და ორიოდე სხვანი. ეს ახალგაზრდა „თეთრთმიანები“ დიდის აღტაცებით უსმენდნენ ამ პირველსა და უკანასკნელს ლექციას.

ანასტასია წერეთლისა ჩვენს მოთხოვნილებას ყოველთვის უღებდა ალღოს და თავისი ენერგიით, ორგანიზაციულ ნიჭით სწორეთ იქ გაჩნდებოდა. განა ეს ლექციები საჭირო არ იყო? მაგრამ მისი მოწყობის განზრახვა არ იცის ათმა ადამიანმაც კი. ამ საქმეს თვით საზოგადოების წევრებიც არ თანაუგრძნობდნენ, შეიძლება იმიტომ, რომ იცოდნენ, რაც იქნებოდა. მაგრამ აქ გამოსჭვივის ანასტასია წერეთლის ზოგადათ თვითნება ხასიათი, თავისი თუნდაც „ჯიუტი“ აზრის გატანა. ეს ხასიათი მას თანდაყოლილი ჰქონდა, ეს რომ არ ჰქონოდა, ალბათ ვერ მოახერხებდა საქმის დაბოლოებას. იგი რაიმეს განიზრახავდა და ათასი დამაბრკოლებელი გზები რომ გადაჰღობებოდა, მაინც თავისას გაიტანდა და სხვებსაც აიყოლიებდა.

მაგრამ ამავე დროს, ანასტასია წერეთელი მარტო ამ ერთ დიდ საქმეს კი არ ემსახურებოდა: იგი სხვა, უფრო სიმპატიურ და მნიშვნელოვან საქმის მეთაურიც იყო: ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელი.

იმის შემდეგ, რაც ერთადერთი საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ დაიკეტა 1885 წელს,[1] მთელი ხუთი წელიწადი საბავშვო ლიტერატურა განიცდიდა უჟურნალობას. ზოგიერთ მაშინდელ გაზეთებში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა ხოლმე საბავშვო ლექსი ან მოთხრობა და ისიც ისე იკარგებოდა სხვა მასალაში, ამ საპოლიტიკო გაზეთებში, რომ ვერც კი ემჩნეოდა. საბავშვო ლიტერატურის, მისი ჟურნალის მოთხოვნილება აუცილებელი იყო. მას ნერგი ჩაეყარა, მაგრმა საქმის ხელახლად გამოცოცხლებას წინ ეღობებოდა მთავრობის ნებადაურთველობა. ნებართვას ბევრნი თხოულობდნენ, მაგრამ ვერავინ მიიღო. ბოლოს, ნავსი გატყდა ჟურნალის სულისჩამდგმელ ანასტასია წერეთელზე. რასაკვირველია, მის ნებართვასაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები გადაეღობა, მაგრამ ანასტასიას მახლობელი ნაცნობი იყო მაშინდელი მზრუნველი და მას, ე.ი. ანასტასიას უკვე ჰქონდა გამოცემული „მოლაღური“, „ხუთი ამბავი“, ჟურნალ „ნობათშიაც“ ჰქონდა დაბეჭდილი ნათარგმნი მოთხრობა კარმენ სილვასი. მან ნებართვა ერთის დაპირებით მიიღო: უნდა გამოეცა როგორც ქართულად, ისე რუსულად. ამაზე ანატასია წერეთელი ხერხის გულისათვის დასთანხმდა და დაპირება მარტო ქაღალდს შერჩა.

ანასტასია წერეთელს იმხანად საყმაწვილო ლიტერატურის ასპარეზზე უკვე

1. საბავშვო ჟურნალებისა და ლიტერატურის ისტორია ავტორს დასაბეჭდათ აქვს გამზადებული ცალკე წიგნათ. „ჯეჯილის“ შესახებაც შემოკლებით ამოღებულია ამ წიგნის ხელთნაწერიდან. – შენიშვნა რედაქციისა.

ათი წლის გამოცდილება ჰქონდა. მან პირველად კალმით მოღვაწეობა დაიწყო 1879 წელს და ფრანგულიდან გადმოთარგმნა ვალტერ სკოტის „ჰირლანდიელი ქვრივი“.

იგდო თუ არა ხელთ ანასტასიამ სასურველი ქაღალდი, შეუდგა ხალხის შეგროვებას. სააზნაურო სკოლაში შეიკრიბნენ: იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე მესხისა, ეკატერინე გაბაშვილისა, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ ორბელიანი და სხვანი, რომელთაც საყმაწვილო ჟურნალი მონათლეს და სახელად უწოდეს „ჯეჯილი“ (იაკობ გოგებაშვილის დარქმეულია).

გაათკეცებული ენერგიით მოჰკიდა ხელი ანასტასია წერეთლისამ თავის საყვარელ საქმეს, რომლითაც ცხოვრებაში თავის სანუკვარ მიზანს განახორციელებდა: ეს იყო თავდადებული სამსახური საბავშვო მწერლობისათვის. თავის გარშემოც შემოიკრიბა ისეთი უანგარო მუშაკნი, რომელნიც განუწყვეტლივ გარს ეკრნენ „ჯეჯილს“ და არა ზოგავდნენ არც ენერგიას და არც კალამს, ამ საქმის ღირსეულ დასაგვირგვინებლად.

ერთხანობად იაკობ გოგებაშვილს უნდოდა, ჩამოერთვა ანასტასია წერეთლისათვის რედაქტორ-გამომცემლობა იმ მოსაზრებით, რომ „ვერ გაუძღვები“-ო, მაგრამ ანგარიში შეეშალა და ანასტასია წერეთელმა ოცდაათი წელიწადი ზურგით ატარა ეს მძიმე ტვირთი.

პირველი ხელის მომწერი ამ ჟურნალზე იყო ოლღა ჭავჭავაძისა (ილიას მეუღლე) და კიდევაც აღუთქვა: „ილიას რამეს დავაწერინებო“. და მართლაც, გამოუგზავნა ცნობილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. რამდენადაც მართლა „ჯეჯილისათვის“ დასწერა ილიამ ეს ლექსი, ამის თქმა ძნელია. ხელის მომწერლები მცირე იყო და რაც გამოდიოდა, მისი გავრცელება თვით რედაქციის წევრებს მაინც ვერ შეეძლოთ, ამიტომ ბევრი რჩებოდა. რაც შეეხება თანაგრძნობას და მის მოთხოვნილებას, ამას დავინახავთ რედაქტორის სახელზე მოსულს წერილიდან. გორიდან იწერებოდნენ ასეთს ქათინაურს: მოუთმენლად მოელიან „ჯეჯილის“ ნომერს მკითხველები — ჩვენი მოხუცებული ღენერლებიო.

რასაკვირველია, საბავშვო ჟურნალს, როცა მხოლოდ მოხუცებული ღენერლობა კითხულობს და მხოლოდ ის მოელის ნომრების გამოსვლას (თუმცა გონების მოთხოვნილებით შეიძლება შეეფერებოდეს ერთმანეთს ეს ორი ასაკი), ცოტა არ იყოს საწყენად დარჩებოდა „ჯეჯილის“ რედაქტორს ანასტასია წერეთელს და მის კოლეგიის წევრებს, მაგრამ ის ამით არ შემკრთალა და თავისი როლი ღირსეულად შეასრულა.

ანასტასიას აზრით, საჭირო იყო საფუძვლიანი კრიტიკა-დაცვა, რომელიც ობიექტიურად დასდებდა მსჯავრს მის საყვარელ ჟურნალს და აღნიშნავდა მის როგორც ნაკლს, ისე მნიშვნელობა-ღირსებას. ამიტომაც მან მიმართა ილიას, დაეწერა რამე, მაგრამ მან უპასუხა: „ქალების თავი არა მაქვს, აყაყანდებით და სხვა არაფერიო“. თუმცა ჟურნალი უკრიტიკოთ არ დარჩა. სამი წლის არსებობის შემდეგ, პირველი მისი დამფასებელი გახლდათ ნიკო ნიკოლაძე, რომელიც არ-

ჩევს ჟურნალის ნომრებს და ბევრს საგულისხმიერო ნაკლსაც აღნიშნავს. ამ კრიტიკამ „ჯეჯილზე“ საგრძნობი გავლენა მოახდინა.

ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

ბევრი სიმწარე გადაყლაპა რედაქტორმა ანასტასია წერეთელმა „ჯეჯილის“ გამოცემის დროს. თუნდაც 1904 წელს, როდესაც დაიკეტა ჟურნალი „კვალი“, მას „ჯეჯილიც“ მიაყოლეს (რადგან ორივეს ერთი რედაქცია ჰქონდათ და ერთ ხანობათ „კვალი“ თითქმის დამატებათ ითვლებოდა საბავშვო ჟურნალისა, ცენზორის თვალების ასახვევად), მაგრამ ანასტასია წერეთელი აქაც არ შედრკა, და გადაიტანა ყველა დამაღონებელი ხანა.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა დაწვრილებით შეხება „ჯეჯილის“ მსვლელობისა, აქ უადგილოც არის, მაგრამ აქედანაც შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ის პირობები, ის ხანა, როცა „ჯეჯილმა“ დაიწყო გამოსვლა და რა დიდი ნება და ენერგია იყო საჭირო, რომ შეუჩერებლივ გამოსულიყო ბავშვის აღმზრდელი, მისი გონების მასაზრდოვებელი ორგანო.

ამ დაუცხრომელ ტეხნიკურ მუშაობაში, ცხადია, შემოქმედებისათვის ნაკლებ მოიცლიდა, მაგრამ არ გამოსულა თითქმის ნომერი, რომ მისი ნათარგმნი ან ორიგინალი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი. ამ ჟურნალის გამოცემებთან ერთად მრავალი წიგნი გამოსცა, ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდა მისი ნაწერების კრებულები: „თაიგული“, „კონა“ და „ყვავილი“. აქ მოთავსებული მასალით შეგვიძლიან მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ ანასტასია წერეთელზე, როგორც საბავშვო მწერალზე. მისი ეს წიგნები მრავალთემიანია. მაგრამ მისი საყვარელი თემაა: ხელმოკლე ოჯახი და მასში მამით ობოლი ბავშვი. ცხოვრებაში მართლაც ეს მხარე სჭარბობს. არა სჩანს დედით ობოლი ბავშვი, მამა მალე გაუჩენს ხოლმე მის ნაცვალს, შეიძლება ავს, გოროზს, მაგრამ მაინც მომვლელს, ასეთ პირობებში მყოფი ბავშვები ოჯახში არც კი სჩანან. ისინი ოჯახის გარეთ არიან. დედა კი ხშირად დაობლებულ ბავშვებს სწირავს ახალგაზრდობასაც და სიცოცხლესაც. დღე და ღამე შრომაში ატარებს: სხვას ურეცხავს, პურს უცხობს, ემოახლება, რომ ლუკმა-პური არ მოაკლდეს თავის პატარას. დაღალული არც ალერსს აკლებს თავის ბავშვს, რომელსაც მღვიძარეს ვერც კი ხედავს: გათენებისას მიდის. ბავშვს სძინავს, მოდის ღამე – მას მაინც სძინავს. ამისთანა დედები მომავლის იმედებით სცხოვრობენ. აი, ასეთი წინასწარ აღებულ აზრების გამომხატველნი არიან ანასტასია წერეთელის მოთხრობები. დედის შემდეგ მეორე ადგილი უკავიათ ბებიებს, როგორც ოჯახში დარჩენილები და ბავშვის მომვლელები. მათთან ცელქობს ბავშვი, მაგრამ მეტად მკრთალად. ამავე დროს სრულიად არა სჩანს ამგვარ მოთხრობებში ბავშვის ფსიქოლოგია, როცა იცის, დედა ჰყავს და ხშირად ვერა ხედავს. ათასში ერთხელ გაურბენთ აზრი: „სად არის ნეტა დედა?“

გარკვეული წყურვილი დედის ნახვისა არ ემჩნევათ ანასტასიას ბავშვებს, მაგრამ საერთოდ კი ეს დამახასიათებელი თვისებაა ბავშვისა. გარდა ამისა, პატარა ბავშვსაც ხომ აქვს სულიერი განცდა, რომლის შემწეობითაც ის მოქმედობს.

მეორე საყვარელი თემა ანასტასია წერეთლისა არის ომის ამბები, ომით გამოწვეული გაჭირება ღარიბი ოჯახებისა.

მოთხრობები კარგი ენით არის დაწერილი. მწერალს თემის გამოძებნა ეხერხება, მაგრამ მის შინაარსის საინტერესოთ გაშლას ერიდება, არ უყვარს. დიდი ღირსება ანასტასია წერეთლის მოთხრობებისა არის სიმოკლე. გრძელი მოთხრობა ბავშვისათვის მოსაბეზრებელია.

ანასტასია წერეთლის მოთხრობები უფრო შეიცავენ მორალს. კარგი მასალაა ნაჩვენები წიგნებში: „შაქრომ გაგვცა“. პაწია შაქროს უყვარს თავისი ნაპოვნი ძაღლი, რომელსაც ეძახდა ბარდანას. მას დედის ჩუმათ ინახავს საღორეში. იმხანად იარაღების შინჯვა ხდება. ამათთანაც მოვლენ „სტრაჟნიკები“ და თხოულობენ: „ბერდენა დავაი“, „ვოტ პატრონ“ და რაღაცას წაავლეს ხელი (შაქროს დედას თოფები დამალული ჰქონდა. შაქრომ იცოდა). სტრაჟნიკების სიტყვები რომ გაიგონა შაქრომ, აცრემლებული მიუბრუნდა და უთხრა: „მოდით, მოგცემთო“. დედას ეგონა, ბავშვმა გასცა თოფების ადგილი. იმან კი გამოიყვანა საღორედან თავისი ძაღლი ბარდანა, რადგანაც ეგონა პატრონი მოსულაო და სლოკინით გადასცა.

ბევრი მოთხრობები აქვს ანასტასია წერეთელს შემთხვევითი ამბებისა, რომელსაც კი რაიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ბავშვის მეგობარ მწერალზე.

მას აგრეთვე ნათარგმნი აქვს აუარებელი მასალა ფრანგულ და რუსულ საბავშვო ლიტერატურიდან. მაგრამ ანასტასია წერეთელს ეს მოთხრობებიც რომ არ დაეწერა და წიგნებათაც არ გამოეცა, მისი სახელი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში ერთი თვალსაჩინოთაგანი იქნებოდა, როგორც ჟურნალის გამაახლებელის, სულის ჩამდგმელის, ბევრი საბავშვო მწერლის გამომზრდელისა „ჯეჯილის“ წყალობით და როგორც დიდი მოამაგე ადამიანისა საბავშვო მწერლობის სამსახურში.

ანა ღვინიაშვილი

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1926, №2, გვ. 132–138

ნინო აბაშიძე - ორბელიანი

1838-1919

ვუძღვნი მარჯორი უორდროპის ქალს

უცხოსა მხრიდან მოფრენილო,
უცხო სტუმარო,
გრძნობით აღვსილო, მხიარულო,
ტკბილ მოუბარო.
ჩვენ თანამგრძნობელს, აწ ჩვენ მკობელს
და მეგობარსა,
მეც აწ მოგიძღვნი ტკბილად სალამს,
ქართველთ მკობარსა,
რომ ჩვენი ენა შეიყვარე და შეითვისე,
ჩვენ თანაგრძნობით, როგორც ჩვენ შვილს
გიყურებთ ისე.
შენ გსურს გააცნო უცხო ტომთა
ჩვენი ზნეობა,
წარსულთა ძველთა, ქართველ გმირთა
ბრძოლა, მხნეობა.
სისხლით მორწყული საქართველო
მტერთგან დევნული,
მამა-პაპათა მძლავრი მკლავით
აწ განდევნილი.
შენ შეიყვარე, შეგვიერთდი
უცხო ტომთ სქესი,
ჩვენ გულში ღრმად არს შენი ხსოვნა
შენგან ნათესი.

კნ. ნინო ორბელიანისა

გაზეთი „კვალი“, 1896, 16 ივნისი, № 26, გვ. 458

წერილი ილიას

ათჯერ ავიღე ხელში კალამი და ათჯერვე ხელიდამ გავაგდე: მეძნელებოდა თქვენთან მოწერა ამ შემდეგის შინაარსისა. მაგრამ გავბედე იმისთვის, რომ თქვენ ბუნებას დაუჯილდოებიხართ ყოველგვარის ღირსებით, ნამდვილი ადამიანურის გულით, მაღალის გრძნობით და უსაზღვროს ნიჭითა: ყოველი ჩვენგანი ქართველი აღმოაჩენს ამას და მაშასადამე არ უნდა ჩამეთვალოს ეს სითამამეთ, თავხედობათ და უზრდელობათ. მე გწერთ იმ ლექსის ავტორს, რომელმაც გამოსთქვით: საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულიაო. ჩემზედ ბედისგან დაჩაგრული და უბედური არავინ არ მეგულება. კნიაზო ილია, შენ იმისთანა კაცი ხარ, რომ თითქმის გულთამხილავი ჩაითვლებით და თქვენი გამჭრიახი გონება, თქვენი ლმობიერი გული, თქვენი დინჯი და ბრძნული მოსაზრეობა შევა ჩემს მდგომარეობაში: რომელსაც არავითარი საზრდო, არავითარი საშვალება ცხოვრებისა არ მაქვს. როცა ადამიანი ცხოვრებიდამ ძირს იწევს, მას თავმოყვარეობა უორკეცდება.

მაგრამ აი ხედავთ, ბედმან როგორ დამცა: ბუნებამ დამჩაგრა და ჩემს ცხოვრებას ამისთანა უფერული ფერი დაედო: თავისმოყვარეობას მხარი აუხვიე და მოგმართეთ თქვენ, თქვენს ადამიანობას. მოგმართე როგორც ქართველს თავადიშვილს. მოგმართე როგორც ქართველმა თავადიშვილის ცოლმა. მომეხმარე როგორც ძმა, როგორც მამა: წარმოიდგინე ჩემს მდგომარეობაში თქვენი და ლიზა და მომეხმარე ისე: ჩემგან დარიგება რათ გინდათ. ან კამიტეტთან მოილაპარაკეთ და მომეცით იმოდენი საშვალება, რომ სახლის ქირა შემეძლოს ვაძლიო თვეში 15 მანეთი.

რა ვქნა, კნიაზო ილია, მოახლეთ არავინ ამიყვანს, თორემ იქნება უარი არა ვთქვა. მაგრამ ან ფასი თანასწორი იქნება და ნაკლებში ვერც ამიყვანდა, ვეღარც შემიძლია ვიმოახლო. მუშაობა არ შემიძლიან ავადმყოფი სხეულით. სწავლა არ მომცეს ჩემმა მშობლებმა, რომ მითი მესარგებლა. მამული არ დამრჩა, პენსია არ მომცეს და რითი ვიცხოვრო...

მომინდვია ჩემი უბედური მდგომარეობა თქვენის კეთილგონივრულის მოსაზრებულებისათვის. მიშველეთ რამე, მომეხმარეთ და აღმომიჩინეთ საშვალება ცხოვრებისა, თორემ მეტი გზა აღარ მაქვს ამ ბედისგან, თოკს უნდა მივმართო და მოვისწრაფო ჩემი სიცოცხლე.

წელი 1894 24 სეკტემბერი
ველი პასუხს შენი უმორჩილეს მონა
ნინა სვიმონის ასული ორბელიანი.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ილია ჭავჭავაძის ფონდი, დოკ. № 566/210

ნინო ორბელიანისა

გარდაიცვალა 1919, მარტის 17 და ოცში ამავე თვისა დასაფლავებული იყო მთავრობის ხარჯით დიდებულის ეკლესიის გალავანში, სადაც იმის საფლავი დღეს მიწასთან გასწორებულია და უბრალო ხის ჯვარიც წარწერით არ აღნიშნავს ქართველი პოეტის ქალის ვინაობას.

ქართველ ქალთა პირველ გამოცემის ფურცლებზედ მინდა აღვბეჭდო, რომ ის ბედი, რომელიც ეწვია ქართველ ქალ-პოეტს, აღარ განმეორდეს ქართველ მოღვაწეთა სიბერესა და დაუძლურების დროს, ქართველი საზოგადოების უმადურობის წყალობით.

გარდაიცვალა პირველი პოეტი ქალი, ნინო ორბელიანისა და იცი სად, მკითხველო? ღარიბთა თავშესაფარში, დიაღ, იქ, სადაც გარდაიცვლებიან ხოლმე მხოლოდ უსახელო და უსახლო, უილაჯო და უთვისტომო, სიყვარულსა და სიხარულს მოკლებულნი ბედშავნი!

ნინო, ნინო ორბელიანისა კი რჩეული იყო: ნიჭით, გონებით, სათნოებით, გულმხურვალეობით მოყვასისადმი, უმაღლესის პატრიოტული გრძნობით, რომლის ქურუმობას ეწეოდა უკანასკნელი სულის ამოხდომამდე.

ამასთანავე, ნინო იყო მშვენიერი, კეკლუცი, ზრდილობიანი, ხმატკბილი მომღერალი და მეტყველი გასაოცარი, რიხიანის მძლავრი ხმით, თავის დროის ლიტერატურის მცოდნე და მიმყოლი; იმ თვისებით შემკული, ეშხით სავსე დედაკაცი, რასაკვირველია, ბრწყინვალე ვარსკვლავათ იყო იმ წრეში, რომელშიაც დაიბადა, აღიზარდა და შთაებეჭდა მიდრეკილებანი.

აბაშიძის ასული იყო, დედით დიდი სააკაძის პირდაპირი ჩამომავალის და რძლობით განთქმულ გვარიშვილთა ჯამბაკურიან-ორბელიანთა რძალი.

ათასობით თაყვანისმცემელნი ეხვივნენ გარს და ყველანი ცხადათ თუ ფარულად უცხადებდნენ იმას თავის გრძნობას, აღტაცებას, ტრფიალს, ქვეშევრდომობას...

და ეს თაყვანება და მწერლობის ასპარეზზედ გამოსვლის გაბედულობა საკმაო იყო მაშინდელი ცრუმორწმუნე საზოგადოებისათვის, რომ დედაკაცი შეურაცხეყო და დაეგმო, და ნინოც ვერ ასცდა ძრახვას და კილვას... მაგრამ გულს არ იტეხდა და მუდამ ჟამს ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროებას.

როდესაც სიმშვენიერე დასჭკნა, სიმდიდრე გაიფლანგა, ოჯახი დაენგრა და ვეღარავინ ფარფაშობდა იმის ყოველთვის კარღია კეთილგანწყობილ დარბაზში, ვეღარავინ სარგებლობდა იმის უხვი მასპინძლობით, ნინო დავიწყებულ იქნა, დავიწყებული და მიტოვებული ისე, როგორც ერთი ვინმე უგვანო, ერთი ვინმე ათასთაგანი უშინაარსო ადამიანი...

და რომ შიმშილით და ქუჩაში არ მომკვდარიყო, თავადაზნაურთა მარშლის განკარგულებით, სამადლოთ მოთავსებული იყო უსავანოთა თავშესაფარში.

რა საშინელი ხვედრია პოეტისათვის! რა წამებს წამებისას განიცდიდა ეს არისტოკრატად დაბადებული და ბუნებით არისტოკრატი, თუ თავის და სავაგლახოთ ბოლომდის შერჩა გონება და გრძნობიერება.

და თუ მეხსიერებამ არ უმტყუნა და არ გაუქარწყლა ამაობა ამა სოფლისა, რა მწარე გოდებით მადლს გადაუხდიდა იმ საზოგადოებას, რომლის მშვენებას, სილამაზეს შეადგენდა და რომლის სიმშვენიერეს და აღორძინებას მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში უგალობდა.

და რომ მეხსიერებას არ უღალატნია და სიმწვავეს დავიწყებისას ის არ დაუწვავს, იმის უკანასკნელი ლექსი თავშესაფარში დაწერილი და მიძღვნილი პოეტის იოსები გრიშაშვილისადმი ამტკიცებს:

მოვხუცდი, მაგრამ გრძნობა კი
არ დამიკარგავს აროდეს.
ღმერთსა ვთხოვ, ძმაო, კვალადაც,
რომ ჩემსკენ მოგიხაროდეს.
თორემ მარტოკა რაღა ვყო?
ეს დრო მოელის ყველასა?
ხომ ცოცხალი ვარ ჯერ კიდევ
და ვამოძრავებ ენასა!
ერთგულნი ძმანი მიყვარან
სულით და გულით ყველანი,
მათ შესამკობად იხარჯოს
ზღვათა ქცეული მელანი!

ნუთუ ქართველთა კაცთამოყვარეობა, კულტურული სიფაქიზე იმ წრეზედ ვერ ავა როდისმე, რომ თავის გონებრივ მუშაკთ და მასახელებელთ განუმზადოს სიცოცხლითვე იმისთანა ბინა, სადაც თბილად და მოსვენებით, თავისთანავე დაუძლურებულ, მაგრამ დამსახურებულთა შორის, ექნება სარეცელი? და ის ტკბილი ნუგეში და სიამაყე, რომ დავიწყებული და ჩაქოლვილი კი არ არის, არამედ ძვირფასი ნაშთია, რომელზედაც ფიქრობს, ზრუნავს და პატივს სცემს შთამაოება.

პანთეონი, ზეიმით დასაფლავება ჩვენი ჩვეულებრივი პატივისცემაა სახელოვანის მოღვაწის, მაგრამ სიცოცხლეში წამებულთ რაღას ანუგეშებს!

ნინო ორბელიანის დასაფლავების შემდეგაც ბევრი მწუხარე და სანუგეშებელი რამ ითქვა, მრავალი თანაგრძნობა და სინანული იყო წარმოთქმული; აი, ერთი უმწარესი ღაღადი პოეტი ქალის დარია ახვლედიანისა:

რად დასტიროდი შენს ბედ-კრულ მხარეს,
რისთვის იღვწოდი მარად და მარად,
თუ რომ ერთ კუნჭულს ბეჩავ-მწუხარეს

არ მიგიჩენდენ თავშესაფარად!
კეთილი გული რისთვის გიკვნესდა,
რისთვის აფრქვევდი ნაკადს მდუღარეს?
თუ შენთვის ყველა დაიშურებდა
ერთ ნაჭერ მიწის ვიწრო სამარეს.
მეგობრებიც კი გაგიდგნენ განზე
ოდეს გიხილეს ქალი ეული –
და გხვდა შენ წილად ღატაკთ ბინაზე
რომ დამდნარიყო შენი სხეული!
ერთხელ სხივმოსილს ნიჭით, შვენებით,
საქართველოში პირველო ქალო!
რა უფლება გვაქვს, ისე შეგხედოთ,
როგორც საბრალოს და სამოწყალოს!
შენ პირველობას ვერვინ წაგართმევს,
შენ იყავ ქართველ ქალთა მაშვენი,
გაბედულება შენ შეგვასწავლე
და შენ გაკაფე მრუდე გზა ჩვენი.

ეკატერინე გაბაშვილისა

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1926, №2, გვ. 112-114

მივიწყებული მოვალეობა

ახირებული ხალხი ვართ ქართველები. ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებაც ვიცით, ხოლო ზოგჯერ მურვან-ყრუობა გვიყვარს. შეუდარებელნიც ვართ მიცვალებულთა პატრონობაში, ცოცხლებისთვის-კი დიდათ არ ვიწუხებთ თავს.

არ შემიძლია საყვედურით არ მივმართო ქართველ საზოგადოებას იმ გულ-გრილობისათვის, რაც მან ჩვენის მხცოვან მწერალ-ქალის ნინო ორბელიანისადმი გამოიჩინა. ეს პოეტი-ქალი ორმოცდაათ წელიწადზე მეტია შეძლებისდაგვარად თავის წვლილს სწირავდა ქართულ მწერლობას. მართალია, სოციალურ მოტივების მღერალი არ არის, მაგრამ ნ. ორბელიანისას ბევრი ისეთი ლექსი აქვს, რომელშიაც უტყუარად გამოსჭვივის წრფელი სიყვარული თავის ერისა, სილამაზე მგოსნის მომხიბლავ სამშობლოსი, მისი ქებათა-ქება...

ამ მცირე წერილში ადგილი არ არის საფუძვლიანად შევეხოთ კნ. ორბელიანის ნაწერთა აწონ-დაწონვას. ამ წერილით მსურს მხოლოდ მოვაგონო საზოგადოებას მივიწყებული მოვალეობა.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ამ მგოსან ქალს, რომლის უმწეო მდგომარეობა არა ერთხელ იყო გაზეთებში აღნიშნული, მაგრამ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში გვიყვარს ყურის მოყრუება და ასე მოვექეცით ნინო ორბელიანისასაც: მივაფუჩეჩეთ ის, რაც ჩვენს მოვალეობას შეადგენს. დღეს ღონე-მიხდილს, ჯან-გატეხილს მოხუც მგოსანს სასტუმროსათვის შეუფარებია თავი და, ვინ იცის, ერის ღრმად მოყვარული გული იქნება არა ერთხელ აღევსება ბოღმით, ჩვენს უმადურობას რომ წარმოიდგენს...

თუ კი მან ორმოცდაათ წელზე მეტს ერის სადიდებლად აჟღერა თავის გულის ნაზი სიმები, ნუ თუ ჩვენ ისე დავკნინდით, რომ ვერ შევძლებთ ღირსეულად მოვიხადოთ მამულიშვილური ვალი ამ ნაამაგდარ ადამიანის წინაშე, შევკრბეთ და მადლობა მოვახსენოთ?

იმედი მაქვს განსაკუთრებით ჩვენი მოწინავე მოღვაწე ქალები გამოეხმაურებიან ამ ჩვენს წერილს და საერთო ძალით შევძლებთ მგოსნის პატივსაცემ დღის გამართვას. ამით ჩვენს ვალსაც მოვიხდით და სნეულ მწერალ ქალსაც ცოტაოდნად მაინც შევუმსუბუქებთ ცხოვრების მწვავე პირობებს.

განდეგილი

გაზეთი „საქართველო“, 1916, 6 მარიამობისთვე, № 175, გვ. 2

კატო მიქელაძე

1878–1942

მილიტანტკები[1] ინგლისში

I.

ომამდე რუსის საზოგადოება მილიტანტების ბრძოლას არჩევანთა ამის უფლებისათვის ინგლისში იცნობდა მხოლოდ გაზეთებით, რომელნით ასურათებდენ მათ კარიკატული ფორმით. სუფრაჟისტკები ჩხუბობენ, სკანდალებს ახდენენ და მით აშფოთებენ ინგლისის საზოგადოებას და დეპუტატებს; ისენი ვერაფერს ვერ ახწევენ, მხოლოთ თავიანთი სულელური გამოსვლით საქმეს აფუჭებენ.

აი, რა დასკვნა გამოყავდა მას, ვინც მხოლოთ გაზეთებიდან იცნობდა სუფრაჟისტკების მოქმედებას.

1915 წ. რუსულად გადაითარგმნა წიგნი „ჩემი ცხოვრება“ სუფრაჟისტების ლიდერის მისს. ეველინა პანკხერსტისა. ამ წიგნით მკითხველს შეუძლია გაეცნოს, თუ როგორ წარმოიშვა ინგლისში და განვითარდა მილიტანტური მოძრაობა. ის მოგვითხრობს, თუ როგორ მივიდენ ქალები იმ გარდაწყვეტილობამდე, რომ წინანდელი გზა არ აძლევდათ მათ იმედს ქალთა მოთხოვნილების საჩქაროთ დაკმაყოფილებისათვის და როგორ შინჯავდენ ახალს გზას.

ამ წიგნში ნათლად დასურათებულია მილიტანტური მოძრაობა და იხატება უმთავრესი ფიგურა მისს. პანკხერსტისა.

თავის წიგნში მისს. პანკხერსტი იძლევა ზოგიერთს ავტობიოგრაფიულს ცნობას.

ბედნიერი ის ქალ-ვაჟნი, რომელნიც დაიბადენ ხალხთა განთავისუფლების დიდი ბრძოლის დროს და კიდევ უფრო ბედნიერი ის, ვისიც მშობლებს პირადი მონაწილეობა მიუღია თავისი დროის ფართო მოძრაობაში, – ამბობს იგი. ის ეკუთნოდა უკანასკნელს. 15 წლის ბავში საქველ მოქმედო ბაზარზე, რომელზედაც დედამისი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, ის აგროვებდა ფულებს ზანგების სასარგებლოთ, რომელნიც განთავისუფლდენ ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მონობიდან. ამ დროს მას უკვე ესმოდა მნიშვნელობა სიტყვა „მონობისა“ და „განთავისუფლებისა“, რადგან პატარაობიდან მას ესმოდა განუწყვეტელი დავა შესახებ ამ სიტყვებისა.

მამა მისი იყო თავგამოდებული მომხრე განთავისუფლებისა, დედა კი ისე გატაცებული იყო „ბიძია თომას ქოხის“ კითხვით, რომ მუდამ მას მოუთხრობდა ბავშებს.

პატარა გოგო ცოცხლათ ითვისებდა ყველაფერს, რასაც კი ყურს მოკრავდა, და რაც დიდ გავლენას ახდენდა მის განვითარებაზე.

გაგონილმა იდეიებმა გააღვიძეს მასში თაყვანის ცემა და გაკვირვება მებრძოლი სულისადმი და გმირული თავგამეტებისადმი.

1. ე.ი. მეომრები, აქტიური მებრძოლნი, რასაც ყველა სუფრაჟისტკები არ წარმოადგენენ ინგლისში.

ამასთან ერთად მასზე გავლენას ახდენდა მისი სამშობლო ქალაქის მანჩესტერის ატმოსფერაც, რომელთ მოქალაქენი იყვენ მომხრენი სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა. პატარა გოგოს შეთვისებული იდეიები თან და თან გარკვეულ ფორმას ღებულობდა შესაფერად მისი ხასიათისა, ჯერ კიდევ ბავშებისას მასში ბუნდოვანათ იღვიძებდა შეგნება ქალთა სწორუფლიანობისა. ის ხედავდა, თუ როგორ სცდილობდა მამა ვაჟების აღზრდაზე და განათლებაზე.

14 წლის ბავში პირველად ესწრება მიტინგს ქალთა არჩევანთა ხმის მომხრეებისას. ეს იყო მესამოცე წლებში, როცა დჟ. ს. მილმა პირველად დაილაპარაკა ინგლისის პარლამენტში ქალთა არჩევანთა უფლებაზე.

მანჩესტერი ქალთა მოძრაობით გამოცოცხლდა. ატმოსფერა გაიჟღენთა ქალთა უფლებით. გასაკვირი არ იყო, რომ შთაბეჭდილებით მდიდარი გოგონა მიტინგიდან უკვე შეგნებული სუფრაჟისტკა დაბრუნდა. ოჯახში ის წინააღმდეგ აზრს არ ხვდებოდა, რადგან მისი მშობლებიც მომხრენი იყვნენ ქალთა არჩევანთა უფლებისა.

ამ გვარად ბავშობისას და სიყმაწვილეში მისს. პანკხერსტი სუნთქავდა იმ ატმოსფერაში, სადაც ესწრაფებოდენ ქალთა სწორუფლიანობას.

ინგლისში სხვა მონები არ იყვნენ, გარდა ქალებისა და ამისათვის სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ახალგაზდა ქალიშვილი ჩადგა სუფრაჟისტკების რიგში. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ის სწავლობდა ერთს უმაღლეს ქალთა სასწავლებელში ევროპაში, მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ქალთა მოძრაობაში. ის ამ დროს 19 წლისა იყო. გათხოვებამ კიდევ უფრო ხელი შეუწყო მის სწორუფლიანობისადმი მისწრაფებას. მისი ქმარი დ-რი პანკხერსტი იყო მომხრე ქალთა სწორუფლიანობისა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

1885 წ. მისს. პანკხერსტი ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას საოლქო არჩევნებში, სადაც წამოყენებული იყო მისი ქრმის კანდიდატურა. ის გამოდიოდა სიტყვით და ეწეოდა აგიტაციას ამრჩეველთა შორის. ეს იყო მისთვის პოლიტიკური პირველი სკოლა, რომლის გაკვეთილები მომავალში მას ერთობ გამოადგა.

ქალთა უფლებისათვის ბრძოლამ მიაბრუნა მისს. პანკხერსტი სხვა გვარი საზოგადო მოღვაწეობისაკენ. ლიბერალური პარტიის ბელადები ურჩევდენ ქალებს ემუშავნათ ქალაქის თვითმართველობაში უჯამაგიროთ დასამტკიცებლად პოლიტიკური სიმწიფისა. მრავალი ქალები გაყვენ ასეთს რჩევას. მისს. პანკხერსტმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა მონჩერსტში, სადაც არჩეული იყო საქველმომქმედო საბჭოს წევრად. ახალმა საქმემ უფრო ნათლად გააცნო მას ის, რაზედაც ბავშობისას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა: რომ მდგომარეობა დედაკაცისა თანამედროვე საზოგადოებაში ტანჯული და უნუგეშოა, რომლის გაუმჯობესება შეუძლია მხოლოდ ხმის უფლებას. საზოგადოთ, ღარიბთა და კერძოთ დედაკაცის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო იყო ახალი კანონები.

ქალები ტყვილა იბრძოდენ, მამაკაცები მათ ყურადღებას არ აქცევდენ და ასე-

თი კანონები არა ჩანდა. ინგლისში, როგორც ყველგან, ათასობით იხოცებოდენ უკანონო ბავშები, მაგრამ მამაკაცები თავს არ იწუხებდენ მის საწინააღმდეგო კანონის გამოსაცემათ, რომლითაც შეიძლებოდა საჭირისუფლოთ იძულება მამებისა. დედები იყვნენ მხოლოთ ერთი პასუხის მგებელი თავიანთ გატაცებისა. აგრეთვე მისს. პანკხერსტი მუშაობდა სასკოლო საბჭოში. იქ სრულიად დარწმუნდა, თუ რამდენათ არა თანასწორუფლებიანი იყვნენ მასწავლებელი ქალები მასწავლებელ ვაჟებთან და როგორ ხელს უშლიდენ მამაკაცები ქალთა განვითარებას.

მალე ჩემთვის აშკარათ გამოირკვა, – ამბობს მისს. პანკხერსტი, – რომ მამაკაცები უცქერიან ქალს როგორც მოსამსახურე კლასს თანამედროვე საზოგადოებაში და რომ ქალები განწესებულია სამუდამოთ დარჩენ ასეთს მდგომარეობაში, თუ თვითვე არ ეცდებიან მის შეცვლას. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი დედის ქალიშვილები სუფრაჟისტკები გახდებოდენ. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები აღშფოთებული იყვნენ ქალთა მოძრაობის სიგვიანით. კრისტაბელ პანკხერსტი ეუბნებოდა დედას: „რამდენი ხანია თქვენ ცდილობთ არჩევანთა უფლების მოპოვებას. რაც შემეხება მე, ვფიქრობ მის ეხლავე მიღებასო. ჩვენ უნდა დავიწყოთ მოქმედებიდან და შეუდგეთ აქტიურ ბრძოლას“. მისს. პანკხერსტი შეუდგა ახალს გზას, მაგრამ ეხლა არა მარტო, არამედ თავის ქალიშვილებთან ერთად. შემდეგ მის მოქმედებაში უფრო და უფრო ირკვეოდა უმთავრესი თვისებები მისი ხასიათისა.

ენერგია, გამბედაობა, სიმტკიცე, შორს მჭვრეტელობა, ცოდნა სხვის გონიერებაზე გავლენისა და თავგანწირული სიყვარული საქმისადმი – ის ერთადერთი ნათელი ფიგურაა თანამედროვე ქალთა მოძრაობისა.

მისს. პანკხერსტი თავის ქალიშვილებთან ერთად დარწმუნდა უნაყოფობას ძველს ნიადაგზე ქალთა ბრძოლისას და გადაწყვიტა ახალი გზის პოვნა. წინათ ინგლისელი სუფრაჟისტები დიდს იმედს ამყარებდენ ლიბერალურ პარტიაზე და ხელს უწყობდენ მათ არჩევანს. მაგრამ ლიბერალური პარტია მარტო ერთი დაპირების მეტს არაფერს იჩენდა. მისს. პანკხერსტი და მისი თანამოაზრენი მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ პროპაგანდული მეთოდი საკმარისი არ იყო და ქალები უნდა შესდგომოდენ პოლიტიკურ ბრძოლას. ამ მიზნით მათ დააარსეს 1903 წ. ქალთა პოლიტიკური კავშირი.

ჩვენ გადავწყვიტეთ, – ამბობს მისს. პანკხერსტი, – წევრებათ მიგვეღოთ მხოლოდ ქალები და არავითარი დამოკიდებულება არ ვიქონიოთ სხვა პარტიებთან,[2] რომ შეგროვილიყო ძალა მისახწევათ ერთი მიზნისა. მათი დევიზია: საქმე და არა სიტყვა. 1904 წ. ყოველ წლიურ ყრილობაზე დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა,

2. ასეთს ტაკტიკას ჩვენ არ ვიზიარებთ, რადგან ჯერ იმედი არ დაგვიკარგავს ჩვენს სოციალისტებზე, რომ ისენი ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას მხარს დაუჭერენ. ამისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია მათთან მუშაობაც და ჩვენი საკუთარი დედაკაცის ადამიანური უფლების მოპოებაზე ზრუნვა და ბრძოლაც. რედ.

რომლის წევრი მისს. პანკხერსტი იყო, მან მიახწია, რომ პარტიამ გარდასწყვიტა პარლამენტში ბილის[3] შეტანა, რომ გაევრცელებინათ არჩევანთა უფლება ქალებზე. ბილი უარყოფილი იქმნა მთავრობისაგან. მაშინ მისს. პანკხერსტის ინიციატივით გაიმართა ღია ცის ქვეშ მიტინგი მთავრობისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ. პოლიციამ ორჯერ გარეკა ქალები, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მიტინგის მოწყობა და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც ჰკირცხავდენ მთავრობას, რომელმაც ნება მისცა უმნიშვნელო ჯგუფს მოეხდინა ობსტრუქცია ბილისა ქალთა უფლებაზე. ეს იყო პირველი სახალხო გამოსვლა მილიტანტკებისა 12 მაისს 1905 წ.

ზაფხულში 1905 წ. კავშირის წევრებმა დაიწყეს აგიტაცია ქუჩებში, რაც ახალ მოვლენას წარმოადგენდა ინგლისის სუფრაჟისტკების მოძრაობაში. კავშირს მიემატა ახალი წევრები, მათ შორის ერია ფაბრიკის მუშა ქალი ანნა კენი, რომელიც მისს. პანკხერსტის სიტყვით წარმოადგენდა შესანიშნავს ბელადსა და ორგანიზატორს. მისი რჩევით კავშირი შეუდგა პროპაგანდის გაწევას ლანკაშირში და მოძრავ იარმარკებში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა.

მეორე უჩვეულო მოვლენას ქალთა მოძრაობისას წარმოადგენდა კითხვის მიცემა სამინისტრო კანდიდატებისათვის. კრისტაბელ პანკხერსტმა და ანნა კენიმ მანჩესტერის დიდს მიტინგზე ლიბერალურ პარტიის კანდიდატს სერ ედუარდ გრეის შემდეგი კითხვა დაუყენეს: „თუ ლიბერალური პარტია გახდა მმართველი, მისცემს ის ქალებს არჩევანთა უფლებას თუ არა?“

პირველად ეს კითხვა დაუყენა მას ანნა კენიმ. მამაკაცებმა, რომელნიც მის ახლო ისხდენ, ბრიყულად აიძულეს მას დაჯდომა.

მიტინგის გამგე კი ჩამოეფარა მას თავისი ფართო ქედით. შემდეგ სდგება კრისტაბელ პანკხერსტი და იმეორებს იმავე კითხვას. მას მოექცენ იმ ნაირადვე, როგორც ანნა კენის. დარბაზში შემოისმა: ყვირილი, პროტესტი, კნავილი.

ქალიშვილებს წინადადება მისცენ დაეწერათ თავიანთი კითხვები, რომლისათვის პასუხს პირდებოდენ, მაგრამ ეს პასუხი არა ჩანდა.

როცა მიტინგი დაიშალა, ანნა კენი ავიდა სკამზე და ხმა მაღლა განიმეორა თავისი კითხვა. ბრბო ყვიროდა, ქალებს მუშტებს უღერდა, რაოდენიმე ქალიშვილი გალახეს კიდეც. და მიტინგის გამგემ კი ყველანი ქუჩაში გამოყარა. ზოგი მათგანი დაიჭირეს, მათ ბრალს სდებდენ აბსტრუქციის მოხდენაზე და პოლიციელებთან წინააღმდეგობაზე.

ეს იყო მეორე გამოსვლა მილიტანტკებისა, რომელნიც სრულიად შეეფერებოდა ინგლისის ჩვეულებას და არაფრით არ შეიძლება დაერქვას მას უწესო გამოსვლა. მამაკაცებმა კი ასეთს სამართლიან შეკითხვაზე მათ უპასუხეს დაცინვით, გალახვითა და დაჭერით. ასეთი გაკვეთილის შემდეგ კავშირი მივიდა იმ დასკვნაზე, რომ ეგრეთ წოდებული ლიბერალური მთავრობა ქალთა მიმართ არის რეაქციონური

3. ბილი ჰქვია ინგლისში წინადადების შეტანას რომელიმე კანონის შესახებ პარლამენტის ერთ-ერთს პალატაში.

და რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. საინტერესოა თავისი ურცხვობით აღნიშნულ ინცინდენტის შესახებ ინგლისელი გაზეთები, რომელიც ერთხმათ ჰკირცხავდენ ქალებს და მათ საქციელს უწოდებდენ უმაგალითოსა და ამაშფოთებელს. მიუხედავათ ამისა, ფართო ნაწილი მცხოვრებლებისა მათ თანაგრძნობას უცხადებდა. როცა დატუსაღებული ქალები გამოუშვეს ციხიდან, მათ პატივსაცემათ მოწყობილი იყო გრანდიოზული დემონსტრაცია. ქალთა პოლიტიკურ კავშირში მოაწყდა აუარებელი წევრები და მთელს დიდს ბრიტანიაში ალაპარაკდენ ქალთა ხმის უფლებაზე, რომელზედაც საუბარი მხოლოდ ომიანობის დროს შესწყდა.

რომ ქალებს არაფერს მიანიჭებს ლიბერალური მთავრობა, დაამტკიცა მეორე მიტინგმა, სადაც ქალებმა კითხვა დაუსვეს პრემიერს და სადაც მათ დატუსაღებით და დარბაზიდან გამოყრით უპასუხეს. ამის შემდეგ ქალებმა გამოუცხადეს მთავრობასა და ლიბერალურ პარტიას ომი, მხოლოდ სრულიად მშვიდობიანი და ლეგალური საშვალებით.

კავშირის წევრები ამოსარჩევ ოლქებში ენერგიულ აგიტაციას ეწეოდენ ლიბერალურ კანდიდატების წინააღმდეგ. ბევრს შემთხვევაში მათ დაამარცხეს კიდეც ისენი, ან მიაღებინეს გაცილებით ნაკლები ხმა.

19 თებერვალს 1905 წ. გაიხსნა პარლამენტი ლიბერალების თაოსნობით.

ქალთა პოლიტიკურმა კავშირმა ამ დღეს მოაწყო ლონდონის ქუჩებში პირველი გამოსვლა სუფრაჟისტკებისა, რომელშიაც ერია 400 ათასი ქალი და მათ შორის ურიცხვი მუშა ქალებიც, რის შემდეგ მოახდინეს მიტინგი და როცა გაიგეს, რომ სატახტო სიტყვაში ერთხელაც არ უხსენებიათ ქალთა ხმის უფლება, მისს. პანკხერსტის წინადადებით დამსწრენი გაუდგენ პარლამენტისაკენ, რომ მოეთხოვათ შესაფერი ბილის შეტანა. მიადგენ თუ არა ქალები პარლამენტის შენობას, ლიბერალურმა მთავრობამ დახურა მათ წინ კარები და არც ერთს დეპუტატს არ მიუღია თავის თავზე დაეცვა ქალების სამართლიანი მოთხოვნილება. „მიუხედავათ ასეთი პასუხისა, მე ვგრძნობდი სიხარულს, – ამბობს მისს. პანკხერსტი, – აუარებელი ქალები გამომყვენ პარლამენტში, ისენი ყურადღებას არ აქცევდენ პოლიციას. გამოფხიზლდენ! და მზათ იყვნენ ჩაედინათ ის, რაც დღემდე ქალებს არ ჩაუდენიათ: ბრძოლა თავის თავისათვის. დედაკაცები ყოველთვის იბრძოდენ მამაკაცებისათვის, თავისი შვილებისათვის; და აი, ეხლა მათ დაიწყეს ბრძოლა თავისი საკუთარი ადამიანური უფლებისათვის“.

II.

იგრძნო რა ძალა მთავრობისა, კავშირმა გადასწყვიტა მიემართა თავისი ძალა მის წინააღმდეგ; და დაჟინებით უმეორებდა მას თავის მოთხოვნილებას, – მიეცათ ქალებისათვის პოლიტიკური უფლება. უგზავნიდენ მას დეპუტაციას, პეტიციას, უყენებდენ კითხვებს მინისტრებს მიტინგებზე, ეწეოდენ მათ წინააღმდეგ და ლიბერალურ პარტიისა აგიტაციას არჩევნებში. კავშირის წევრები სარგებლობდენ ყოველი შემთხვევით, რომ დაემცირებინათ მინისტრები საზოგადოების თვალში.

რომ დაერღვიათ გულგრილობა ქალებში და მთელს ინგლისში ქალთა უფლებისადმი, კავშირი ეწეოდა კერძო პროპაგანდას ყოველგვარი საშვალებით. პირველად ეს ხდებოდა მიტინგებით, დემონსტრაციებით და თავისი საკუთარი გაზეთის დაარსებით, ბოიკოტით და სხვა. შემდეგ შიმშილის გაფიცვით და შენობების ნგრევით და მინების მსხვრევით. უკანასკნელმა საშვალებამ დიდათ ხელი შეუწყო საზოგადოების გამოფხიზლებას. სუფრაჟისტკები სახლებს ანგრევენ, შიმშილით ციხეში კვდებიან, იძახდენ ირგვლივ, რომელზედაც დაინტერესდა ფართო საზოგადოება და იძლეოდა კითხვას: რასთვის? რათ ხდება ეს? პასუხი: ქალები თხოულობენ პოლიტიკურ უფლებას! ხალხი ახმაურდა, დაიწყო მსჯელობა ამ საგანზე და ამა თუ იმ მხარეს ემხრობოდა.

საკუთარი ორგანოს დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისში, როგორც ყველგან, პრესსა, რომელსაც ხელმძღვანელობენ მამაკაცები, ერთობ გულცივათ ეპყრობა ქალთა საკითხს. გაკვრით იქ რომელიმე ლიბერალი საუბრობს ქალთა საკითხზე, რომელიც უცებ დავიწყებას მიეცემოდა. საჭირო იყო მუდმივი გაზეთი სუფრაჟიზმისა, რომელიც შეუწყვეტლად შეახსენებდა საზოგადოებას ქალთა უფლებას. კავშირმა ჯერ გამოსცა გაზეთი „უფლება ხმისა ქალებისათვის“. მერმეთ „სუფრაჟისტკა“. იქ დაბეჯითებით ტარდებოდა კავშირის იდეია და ფართოთ ვრცელდებოდა ხალხში. კავშირის წევრები თვითვე ყიდდენ ჟურნალს ქუჩებში, პოულობდენ საკუთარს აგენტებს მის გასავრცელებლათ. თუ რა მნიშვნელობა ქონდა მათ ორგანოებს ქალთა უფლებისათვის ბრძოლაში, იმ ფაქტიდან ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც დევნიდა კავშირს, იმდენათ გაბრაზდა, რომ მან დაარბია როგორც შენობა კავშირისა, ისე რედაქცია. როგორ უცქერდა კავშირს საერთო პრესსა, ამას გვიჩვენებს მისს. პანკხერსტის სიტყვა ნაფიცთა სასამართლოში. გაზეთებში არ იხსენებოდა ჩვენი სიტყვები მიტინგებზე, არ იბეჭდებოდა ჩვენი წერილები, მიუხედავათ ჩვენი ვედრებისა და ასე გასინჯეთ, არც პარლამენტში შეტანილი საკითხი ქალთა არჩევანთა უფლებაზე. რედაქტორები გვეუბნებოდენ, რომ ამ კითხვას დიდი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს, რომ ყურადღება მიექცეს და სხვა. ასე საუბრობდენ რედაქტორები პირველად, რომლებიც იძულებული იყვნენ შემდეგში ეგრე დიდი ყურადღება მიექციათ ქალთა მოძრაობაზე. 1907 წ. არჩევნების კომპანიის დროს გაზეთები აშკარათ გამოთქვამდენ თავიანთ გაკვირვებას იმ ენერგიაზე, გაბედულებაზე და სიმტკიცეზე, რომელიც გამოიჩინეს კავშირის წევრებმა. მოძრაობის ზრდასთან ერთად პრესსის ყურადღებაც გაიზარდა, რადგან ხალხი უფრო და უფრო დაინტერესდა. და ეს გასაგებიცაა. პრესსა იშვიათად ხელმძღვანელია საზოგადოებისა, მაგრამ ის ყოველთვის მისდევს მას კვალში.

თუ როგორ მუშაობდენ მილიტანტკები პროპაგანდისათვის, ამის მაჩვენებელია გრანდიოზული დემონსტრაცია მოწყობილი 21 ივნისს 1908 წ. გაიდ-პარკში, რომ დაემტკიცებინათ მთავრობისათვის ქალთა საკითხის გარდაწყვეტის საჭიროება.

რაოდენიმე თვის განმავლობაში ისენი თავგამოდებული აწყობდენ მას და პროპაგანდას სწევდენ, რომლის პლაკატებზე და განცხადებებზე დაიხარჯა 10,000 მანეთი. მათ მოფინეს ლონდონის კედლები და ყველა უმთავრესი პროვინციალური ქალაქები განცხადებებითა და თავიანთ წარმომადგენელთა სურათებით. მთელი კვირის განმავლობაში ქალთა პატარა ლაშქარი აკრავდა კედლებზე განცხადებებს, არიგებდა ფურცლებს, ეწეოდა აგიტაციას ოჯახებში და მიმოდიოდა ქუჩებში პლაკატებით. ამინდმა ხელი შეუწყო მიტინგს და მოაწყდა იმდენი ხალხი, რომ „Daily Express"-ი აცხადებდა, რომ არასოდეს ერთს მიტინგზე ამდენი ხალხი ინგლისში არ შეკრებილაო. კავშირი სწრაფად იზრდებოდა, მისი განყოფილებები დაარსდა ყველა დიდი ბრიტანიის ქალაქებში. მას უკვე 100 ათასი წევრი ჰყავდა. ყველგან მიტინგებზე ქალები უხვდებოდენ მინისტრებს და აძლევდენ მათ კითხვას ქალთა არჩევანთა უფლებაზე. ლიბერალები მუდმივ ხვდებოდენ არჩევნების დროს თვის წინააღმდეგ ქალების აგიტაციას. კავშირის ნივთიერი საშვალება თანდათან დიდდებოდა და მათ ყველგან შეეძლოთ ფართო პროპაგანდის გაწევა. მის წევრთა შორის ნახავდით სხვა და სხვა წრის ქალებს დაწყებული უმაღლეს საზოგადოებიდან უმდაბლეს მომუშავე ქალებამდი. ისენი იწოდენ ენტუზიაზმით და მზათ იყვნენ გაეწირათ თავიანთი სიცოცხლე ქალთა არჩევანთა უფლებისათვის. ისინი ტყვეობის დროს არ ჩერდებოდენ არავითარ საშიშროების წინ, თავიანთი უჭმელობით და უსმელობით თავზარსა სცემდენ ციხის დარაჯებსა და მინისტრებს. მისს. დევისონი ჯირითის დროს მეფის ცხენს დაეტაკა შესაჩერებლათ, რომ შეეხსენებინა მისთვის ქალთა უფლება არჩევნებში და დაიღუპა.

დეპუტატების კანდიდატთა არჩევნებში სუფრაჟისტკებმა ისეთი გავლენა მოიპოვეს, რომ მათ აწერდენ ოპოზიციის დეპუტატების გამარჯვებას. 1907 წ. სუფოლკაში უნიონისტებმა მიიღეს ორჯერ მეტი ხმა, ვინემ წინათ. გამარჯვებული კანდიდატი შეეკითხა ხალხს, თუ რისთვის მოხდა ეს. ბრბო ყვიროდა: „არჩევანთა უფლება ქალებისათვის".

მინ-დივონში აგრეთვე გაიმარჯვეს უნიონისტებმა.

ლიბერალურ პარტიის მომხრე ახალგაზდა ყმაწვილები და მოზარდები როცა შეხვდენ მისს. პანკხერსტსა და მისს. მარტელს, ყვიროდა: „ეს საქმე სულ ამ ქალების ბრალია!" და დაუწყეს მათ ლაყე კვერცხების და მიწის სროლა. კავშირის გავლენა გაიზარდა; და სრულიად სამართლიანათ ამბობს მისს. პანკხერსტი, რომ ის იყო უდიდესი და უძლიერესი ქალთა ორგანიზაცია, რომელსაც პარლამენტი ძალა უნებურად ანგარიშს უწევდა.

1906 წ. დეპუტატთა შორის შესდგა ჯგუფი, რომელზედაც ქალების უფლებისათვის ბრძოლამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა; მათ შეადგინეს კომიტეტი და მიზნათ დაისახეს დაერწმუნებიათ მთავრობა, მიეცათ არჩევანთა უფლება ქალებისათვის, პარლამენტის მინდობლების ვადის გათავებამდი და ამავე აზრით გავლენა მოეხდინათ ფართო საზოგადოებაზე და დეპუტატებზე. შემდეგ დაარსდა

„მომარიგებელი კომიტეტი“, არაპარტიული, რომელმაც მიზნათ დაისახა ბილის შემუშავება ქალთა უფლებაზე, რომელსაც შეძლება ჰქონოდა დაეკმაყოფილებინა ყველა პარტია.

კომიტეტში შევიდა 25 ლიბერალი, 17 კონსერვატორი, 6 ირლანდიელი ნაციონალისტი და 6 მუშათა პარტიის წევრი.

კომიტეტის მიერ შემუშავებული ბილი წარუდგინეს ყველა ქალთა ორგანიზაციებს, რომელიც მიღებული იყო მიუხედავათ მისი სივიწროისა შედარებით მამაკაცთა უფლებასთან. შეთანხმებული ბილი შეიტანეს პარლამენტში, დეპუტატები მას სერიოზულათ მოეპყრო. თვით ასკვიტიც ვერ ბედავდა მის წინააღმდეგობას, მაგრამ როცა ხელმეორეთ წაიკითხეს იგი, მის წინააღმდეგ ილაპარაკეს ორმა მინისტრმა – ჩერჩილმა და ლოიდ ჟორჟმა და თუმცა მიღებული იქმნა უმრავლესობის 109 ხმის მიერ. თუმცა კანონათ მაინც არ გადაიქცა, რადგან ასკვიტმა უარი განაცხადა, მიეცა დრო ბილის შესახებ თათბირისა მომავალ სესიაში და არ წამოაყენა ის შემდეგი კრებისათვის. ეს ბედი ეწვია 1911 წ. შეტანილს ბილსაც, რომელიც უმრავლესობის მიერ მიღებული იყო, მაგრამ ასკვიტის წყალობით გადაუქცეველი კანონათ. პრემიერი იძლეოდა ბუნდოვანს დაპირებას და ინახავდა მას იმ დროისათვის, სანამ არ მოიგონებდა ახალს ხვრელს, რომლითაც უფართოვებდა მამაკაცებს უფლებას და ქალებს კი არასფერსაც არ აძლევდა.

III.

მთავრობა მრავალ სუფრაჟისტკებს ყრიდა ციხეში, სადაც უკანასკნელნი აცხადებდენ შიმშილს. ციხეში სცდილობდენ ძალათ ესაზრდოებიათ ისენი, რომელიც იწვევდა საზარელს სცენას. ამის შესახებ მთელს მხარეში დადიოდა ხმები, და ბევრი აღშფოთებაში მოყავდა.

პარლამენტში ყოველ დღე კითხვას უყენებდენ მინისტრებს შესახებ მასიური შიმშილისა.

ბოლოს 1914 წ. საშინაო საქმეთა მინისტრმა მაკ-კენმა პარლამენტში აღიარა, რომ მთავრობის ბრძოლამ მილიტანტკებთან არა თუ არ მოიტანა სასურველი შედეგი, არამედ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია და შეიტანა წინადადება, რომ მიეცათ ის პირნი პასუხის გებაში, ვინც სუფრაჟისტკებს ნივთიერად ეხმარებოდა; და დაეჯარიმებიათ ისენი იმ საზარელისთვის, რომელსაც სუფრაჟისტკები აყენებდენ კერძო საკუთრებას. ასეთმა წინადადებამ სასტიკი კრიტიკა გამოიწვია.

კეირ-გარდი ამბობდა, თუმცა ბევრი აღშფოთებულია მილიტანტკების გამოსვლით, მაგრამ ხალხი სრულიათ მშვიდათ და გულ-გრილათ დაუწყებს ცქერას მათ საქციელს, სანამ ქალებს არ მისცემენ ხმის უფლებას და გამოსთქვა სინანული, იმის მაგიერ, რომ პალატა არჩევდეს საკითხს არჩევანთა ხმის გავრცელებისათვის ქალებზე, იმის ცდაშია, თუ რა ზომები მიიღოს მან მილიტანტკების

საწინააღმდეგოთ.

რუპერტ გვინი აღნიშნავდა იმას, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვინდენ მინისტრები. მათ ყველგან უნდა სდევდენ დარაჯები, რომელთ უმისოთ მათ ავტომობილშიაც უჭირთ ჩაჯდომა. ეს ქალები მზათ არიან სასიკვდილოთ, რომ თავი დასდვან თავიანთ საქმისათვის და განა ისენი მიაქცევენ ყურადღებას მათი ქონების დაკარგვას?

უედჟვუდი აცხადებდა, რომ პარლამენტი ვალდებულია გაარჩიოს, თუ რამდენათ სამართლიანია მოთხოვნილება ქალებისა და მოიქცეს სამართლიანათ და არა დევნიდეს მათ.

ასეთი საუბარი ხდებოდა 11 ივნისს 1914 წ. რა დიდი განსხვავებაა დეპუტატების დამოკიდებულებაში ქალთა არჩევანთა უფლებობისადმი, შედარებით 1905 წ. მათ განყოფილებასთან. სრულიად ჭეშმარიტებაა მისს. პანკხერსტის სიყვები, რომ მილიტანტობამ ინგლისში წინ წასწია საკითხი ქალთა უფლებისა და აიძულა დეპუტატები სერიოზულად მოპყრობოდენ მას.

ომის დაწყებისთანავე მილიტანტკებმა შეაჩერეს თავის მოქმედება და ძველებურად გახდენ „დედები და მზარეულები ქრმებისა“. მილიტანტკებმა შეიტანეს ნათელი ფურცლები ქალთა მოძრაობის ისტორიაში, არა თუ ინგლისში, არამედ მსოფლიოში. მათ დაანახენ საზოგადოებას, რომ ქალებში ურევია ისეთი პირნი, რომლებსაც შეუძლიათ ბელადობა მასისა და რომ ქალებსაც აქვს ნიჭი შექნან დამოუკიდებელი, ფართო მოძრაობა თავისუფლებისათვის და თავ განწირული იდეური ბრძოლისა.

დღემდე ისტორიას არ უჩვენებია ჩვენთვის ასეთი აშკარა მაგალითი უფლებისათვის ქალების ბრძოლისა, როგორიც გვიჩვენეს მილიტანტკებმა. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების ისეთმა ნაწილმა, რომელზედაც ლორდ სესილი 11 ივნისს 1914 წ. პარლამენტის კრებაზე მწუხარებას გამოთქვამდა იმ უცნაური ენერგიის და საკვირველი მატერიალის დახარჯვაზე, რომელიც გამოიწვია მილიტანტურმა მოძრაობამ.

და მართლაც, მილიტანტკები ანცვიფრებდენ საზოგადოებას თავისი შეუპოვრობით, ენერგიით, ენტუზიაზმითა და თავგანწირულობით და ამასთან ერთათ თავიანთი ოსტატური გამოგონებით.

თანამედროვე ხალხს გაუძნელდება მათი სამართლიანათ განსჯა. მაგრამ რაც მეტათ და მეტად გაიწევს მათი გამოსვლა ისტორიაში, მით უფრო ნათელი მოეფინება ხალხის თვალში მათ ღირსებას. სუფრაჟისტკების მილიტანტობა ჯერ ჯერობით გაწეულია წარსულში. შეიძლება არ განახლდეს ის, თუ რომ ინგლისის მთავრობა მიეგებება ქალთა მოთხოვნილებას და გაიყვანს ბილს ქალთა არჩევანთა უფლებაზე. როგორც ეტყობა, ის იძულებული ხდება დააკმაყოფილოს ქალთა მოთხოვნილება 1915 წ., — ამბობდა მისს. პანკხერსტი. დღეს, როგორც გადმოგვცემენ გაზეთები, ინგლისის ქალებმა მიიღეს კიდეც არჩევანთა ხმის უფლება. მართალია,

ასეთს უფლებას დღეს დღეობით აძლევენ მხოლოდ 30 წ. ქალებს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის ტალღა და ინგლისელ ქალთა ადამიანური სიამაყე ხნოვანების უთანასწორობასაც ბოლოს მოუღებს; და დიდებული მებრძოლნი ადამიანის სრულ უფლებით შეიმასებიან.

გაუმარჯოს თავისუფალს რუსეთს, დიდება და პატივი უფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლ ინგლისელ ქალებს!

კატო მიქელაძე

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“,
1917, 22 ივნისი, № 11, გვ. 2-4
1917, 29 ივნისი, № 12, გვ. 2-3
1917, 6 ივლისი, № 13, გვ. 2

ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში

Тяжёлый крест достался ей на долю:
Страдай, молчи, притворствуй и не плачь;
Кому и страсть, и молодость, и волю —
Всё отдала, — тот стал ее палач!

Некрасов

თუ რომ ძველი ქართველი ქალი ოჯახის ზნეობრივი აღმზრდელი იყო, რომელთანაც უწმაწურ სიტყვა პასუხს ვერც ქმარი და ვერც მოწიფული შვილი ვერ გაუბედავდა, დღევანდელი ქართველი ქალი თავის ქმარ-შვილში იმდენათ აგდებული და უმნიშვნელოა, რომ არ მგონია, ჩამოსულმა უცხოელმა, რომელიც ჩვენ შინაურს ცხოვრებაში ჩაიხედავს, თუ რომ კომედიანტობას არ დავიწყებთ და გულწრფელად ვეჩვენებით მას, დაგვიჯეროს და სიტრაბახით არ ჩამოგვართვას თავ მომწონება ჩვენი ძველი დედების ზნეობრივ და პიროვნულ სიდიადეზე.

გიკვირს და ვერ მიმხვდარხარ, სად გაქრა ეგ რაინდული თავაზიანობა ქართველი მამაკაცისა, თუ კი ოდესმე არსებობდა იგი! ამ ძველი რაინდობის ნიმუშებს აქა-იქ კიდევ რომ არ ვხედავდეთ, ძნელად თუ დავიჯერებდით მის არსებობას ჩვენში. ნუ თუ ასი წლის მონურმა ცხოვრებამ გააქარწყლა იგი! ჩვენ ვიცით უფრო ხანგრძლივი მონობა სხვა ხალხისა, რომლისათვის წელთა სვლას არ წარუხოცია ეროვნული სულის თავისებურობა, არც საზოგადო და არც კერძო ცხოვრებაში.

მაშ, ჩვენ რა დაგვემართა? ისა, რომ, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოწინავე საზოგადოება რუსეთის ბიუროკრატიას დაუმორჩილდა, მოქალაქობრივი გულის ტკივილის მაგივრათ, მილიტარისტული სულით გაიჟღენთა, არა მამულის სიყვარულით, რასაკვირველია, არამედ პირადი წარმატებისათვის და გარეგნული ზიზილ-პიპილებით მოხიბლული, ერთგულობის დასამტკიცებლად ხელოვნურად ძალით იკლავდა გულში როგორც ეროვნულ თავმოყვარეობას, ისე სულიერ თავისებურობასაც.

ტარას ბულბაზე და ანეგინზე აღზრდილი თაობა თანდათან კარგავდა დედაკაცისადმი პატივისცემას და ამ ნიადაგზე განათლებულმა პირებმა ქართული ოჯახური ცხოვრება რუსულ დომოსტროიაზე ააგეს და შინა და გარედ ერთადერთი ავტორიტეტი მამაკაცი გახდა. ასეთი ცვლილება ქართველ ოჯახს პირველად ქალაქებში მოხელეებთა შორის დაეტყო და შემდეგ მთელ მცხოვრებლებზე გადავიდა.

როგორათაც გასაკვირი არ არის, უნდა ვაღიაროთ, რომ ცოლ-ქმართა შუა ამხანაგურ განწყობილებას, უფრო ხშირად შეხვდებით მოხუცებულ სოფლის თავად-აზნაურობაში და გლეხობაში, ვიდრე ჩვენ ინტელიგენტ ოჯახებში. ქართველ გლეხს სრულიად საძრახისად არ მიაჩნია, როცა ვინმე რაიმე საკითხის გარდაწყვეტას მოითხოვს მისგან, უპასუხოს: „ცოლ-შვილს დავეკითხები და მოგახსენებთო“, მაშინ, როდესაც ქალაქში მცხოვრებთათვის ასეთი პასუხი თითქმის რომ სათაკილოა.

რამდენათაც სწავლა განათლებით ამ ასი წლის განმავლობაში ქართველი ქა-

ლი მამაკაცს ჩამორჩა, იმდენათ ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში ქმრის ავტორიტეტიც იზრდებოდა; და ასეთი მათი თვისება თანდათანობით საზოგადო ხასიათს ღებულობდა. 15 წლის წინათ ასეთს გონებრივ ჩამორჩენას ქალისას მამაკაცთან, იმდენათ ბუნებრივათ სთვლიდნენ, რომ სწავლა განათლების მაძიებელს ქალს, რა გვარი მაღალი არ ჰყოფილიყო მისი მისწრაფება, ურცხვად ეუბნებოდენ: „ქალის საქმე ოჯახობაა და არა სწავლაო“, – სულ წინააღმდეგ იმისა, რასაც ძველ საქართველოში იტყოდენ: „დედაკაცის საქმე წიგნიაო“.

ქართველი ქალის განსაკუთრებულ უბედურობას ის წარმოადგენდა, რომ მას გარედან შემოტანილ უკუღმართობის საწინააღმდეგოთ, ყოველი საშუალება დაკარგული ჰქონდა.

როცა რუსეთში ძველი რეჟიმის გამხრწნელ თვისებებს უკეთესი ინტელიგენცია ბრძოლას უცხადებდა და ამ ბრძოლაში ქალ-ვაჟთა შეგნებული ნაწილი თავსა სწირავდა, საქართველოს განმანათლებლად ფამუსოვ-სკალაზუბოვები გახდა, რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინა ბედავდა. ოფიციალურმა და ზნეობრივმა მეშჩანობამ ქალის უდიდეს ღირსებათ გარეგნული სინაზე, მორჩილობა და სულიერი პასიურობა დასახა, და ქართველი ქალიც, ასეთ ზნეობრივ ატმოსფერაში აღზრდილი, ან მამაკაცთა გასართობ ნივთათ ხდებოდა, ან სულიერათ გატანჯული ჩუმათ ცრემლებსა ღვრიდა. მესამოცე წლებში ქალის ადამიანური პიროვნების გამოსაფხიზლებლად ერთი ხმა მოისმა! და ეს ხმა იყო დიდი ნიკოლაძისა, რომელიც ჩვენი დროის ქალებისათვის შესწყდა.

ასეთი იყო ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრება მესამე დასელების გამოსვლამდე, რომელთა გაბედულმა ყიჟინმა შეანძრია და გამოაფხიზლა ჩვენი მდორე საზოგადოებრივი ცხოვრება.

სამწუხაროთ, სიავე იმდენათ ხანგრძლივი და ძლიერი იყო, რომ მან თავისი ჰქნა და დღეს საქართველოში უფრო მეტი ტარას ბულბები და ანეგინებია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ეს ტიპები დაიწერა, რომელთაც ქალთა სწორუფლიანი ცხოვრება აოცებს და ვერ წარმოუდგენიათ.

ძველ ქართველ ცოლ-ქმარს საერთო საზრუნველო არა მარტო შვილები ჰყავდა, არამედ თვით სამშობლო მხარე, მტრისგან აოხრებული და განაწამები. თავისუფლება ორთავესთვის სანატრელი იყო და ამ ნიადაგზე მათი სულიერი ერთობაც განმტკიცებული.

თანამედროვე საქართველოში კი გამეფებულმა კარიერისტობამ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ასპარეზზე დედაკაცის სულიერი მისწრაფება ოჯახით შეზღუდა, რომლის გარედ მოქმედება ზედ მეტი ჩასთვალა და ჩვენი დროის შეუღლება ყოველ სულიერ ერთობა, ნათესაობას მოკლებულ სავაჭრო, მოსაგებ საგნათ იქცა. განა, ტყვილა გადავარდა სიტყვა მეუღლეს ხმარება? დღევანდელს ქართველს „ჩემი ცოლის“ თქმა უფრო ეხერხება, ვიდრე „ჩემი მეუღლესი“, რადგან მეუღლეობა ნიშნავს ორ ადამიანთა სრულ თანასწორობას, როგორც ის ორი ხარი, რომელიც ერთს უღელსა სწევენ, მაშინ, როდესაც სიტყვა „ცოლი“ გამომხატველია მხოლოდ შინაურ, ოჯახური განწყობილებისა და კავშირისა. დიახ, დღეს

ჩვენ გვყვანან მორჩილობა ბატონობის გამომხატველი ცოლ-ქმარნი და არა ამხანაგური მეუღლენი.

ჩვენი პატრიოტების მუდმივ საჩივარს წარმოადგენს ქართველი ქალის გადაგვარება. „დედები არ გვყვანან მამულისთვის, შვილების აღმზრდელიო“! და თამარ, ქეთევან, ნინოს სახელით დასტირიან ამ დაკარგულ დედებს.

ამ საყვედურთან ერთხელაც არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, თუ რა პირობებში ცხოვრობს დღევანდელი ქართველი დედა. ქმრისგან აგდებულს, უპატივცემულო ცოლს, რომლის სიტყვას არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ აქვს, განა, შვილებზე გავლენა ექნება?!

დღეს ქართველი ქალი არც დედაა, არც მეოჯახე და არც მოღვაწე! რასთვის? მისთვის, რომ საამისო უნარი მას ოჯახმა და საზოგადოებამ ჩაუკლა [...]

თამარ, ქეთევანი და სხვა ძველი დედები ასეთს მდგომარეობაში რომ ჰყოფილიყვნენ ჩაყენებული, ჩვენს პატრიოტებს მათი საგალობელი არა დარჩებოდათ რა.

დასავლეთ ევროპაში, მართალია, ქალი მოქალაქობრივ ცხოვრებას მოწყვეტილია, მაგრამ ოჯახში ის სრული ქალბატონია, რომლის სურვილის წინააღმდეგ ქმარს არ შეუძლია შინ ვინმე შემოიყვანოს, იყოს ეს დედა, თუ სხვა ვინმე მისი მეგობარი.

სამსახურს გარედ ქმარი ცოლის უმისოთ იშვიათად თუ სადმე წავა და „მზარეული“ ცოლი იაფად არ დაუჯენს მას დანიშნულ დროზე სადილად მოუსვლელობას.

მაშინ, როდესაც ჩვენში ქმარი არა თუ არ ერიდება ცოლის ლოდინს, არამედ ხშირად, ღვინით გაჟღენთილი, ბატონ კაცურად თუნდაც შუაღამეზე მოსული, სამსახურსაც თხოულობს მისგან. ჩვენში ქმარს უფლება აქვს, თუნდაც ნაშვაღამეს დაფა ზურნით მოადგეს ცოლ-შვილს, მთელი ოჯახი ააფორიაქოს და მძინარე დიდი და პატარა ლოგინიდან წამოყაროს, რაიც ევროპიელისათვის წარმოუდგენელია.

არ იფიქროთ, რომ ეს მარტო თავად-აზნაურობაში ხდებოდეს. ასეთი დუქნური ცხოვრება ჩვენში შემოიტანა ბიუროკრატიულმა სალდათობამ, რომლითაც ყველა წოდება ერთნაირად მოიწამლა.

დღეს ქართველი ქალის ოჯახური ცხოვრება, უმრავლეს შემთხვევაში, ისეთს ჯოჯოხეთს წარმოადგენს, რომელშიაც ჩახედვაც საზარელია.

უზნეო, უდარდელი, მოურიდებელი ქმარი, გაბრიყვებული შვილები, ხშირად სიღარიბე, სნეულობა და ცრემლი. აი, ბედნიერება, რომელსაც ულოცავენ მას ჯვარის წერის დროს.

ფიზიკურად დასნეულებული, გონებრივად განუვითარებელი ქართველი ქალი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს, როგორც დედა მომავალი თაობისა და ვინც დღეს სამშობლოს ჭირისუფლად გამოდის და მიუცილებელ საჭიროებათ არ სახავს ძირითად რეფორმებს ქართველი ქალის მდგომარეობისათვის და ნაცვლად მისი პიროვნული აღდგენისა და მოქალაქობრივი ცხოვრების განმტკიცებისა, დედალ მამალურ ავნებათტკბილო იდეიასა სთესავს – ის მტერია ქართველი ერისა.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“,
1917, 17 აპრილი, № 2, გვ. 1-2

„ეგ საქმე თქვენი ძმების ხელისაა“

წასულ ხუთშაბათს ერთს ჩემს მეგობრის ოჯახში ვიყავ. ჩაიზე ვისხედით, რომ უცებ მეზობელ ქალებმა ერთი მეორეს შესძახეს.

– გაიგეთ? წუხელის ქალი დაუხრჩვიათ!

– ნუ იტყვი უცნაურს! – უპასუხა მეორემ.

– ქმარ-შვილს გეფიცები, აგერ გდია საპიორთა როტის ყაზარმებთან და სადგურის ქვევით მდებარე მინდორში.

დავნაყრდით თუ არა, მე და ჩემი მეგობარი გაუდექით გზას, რომ გვენახა ეგ უპატრონო მსხვერპლი. გზა კარგათ არ ვიცოდით. გვინდოდა მიგვემართა ვისმესთვის საკითხველად, მაგრამ არავინ ჩანდა. ამ დროს ერთმა პატარა ბიჭმა ჩამოგვირბინა. ის შევაჩერეთ ჩვენ და დავეკითხეთ, თუ საით მიეჩქარებოდა.

– აგერ, ბატონო, მინდორში ქალი მოუკლავთ და იქ მივდივართ!

– შენ იცი სად არის ეგ მინდორი? – დავეკითხე მას.

– როგორ არ ვიცი, ბატონო, – იმერული სიმკვირცხლით მომიგო მან.

– აბა, ჩვენც იქ მივდივართ და გაგვიძეხი! – უთხრა ჩემმა მეგობარმა და სამთავენი გაუდექით გზას. ავედით ერთს მაღლობზე, საიდანაც ჩნდა ერთს ადგილზე შეჯგუფული ხალხი. ფეხს აუჩქარეთ, გავარჩიეთ ამ ჯგუფში თოფიანი მილიციონერები, რაოდენიმე ჯარის კაცი, აფიცრები და ქალები ბავშებით. მივედით! რაოდენიმე კაცმა გაიწ გამოიწია და ჩვენც თავს დავადექით მიცვალებულს. ის ეგდო ერთს ამოთხრილ ადგილს, ვიღაც მადლიანს პირზე მისივე შავი კასინკა წაეფარებინა ბუზებისაგან დასაფარად. ჩვენს მისვლაზე ერთმა ხანში შესულმა ქალმა პირზე ახადა და იქვე, გვერდით ჩაუჯდა მას. მისი სახე გადმოგცემდა, რომ ის სლავიანთა ტომს ეკუთნოდა.

ცხადია, ის თეთრი მონების კატეგორიისა იყო, რომელსაც ადგილობრივი ჭირისუფალი არ მოეპოვებოდა.

მის ახალგაზრდა სახეს წითელი ტალი გადაკროდა, ცხვირიდან ჩამხმარი სისხლი უჩანდა. მუცელი მოსალოგინებელი ქალივით გადიდებოდა.

– ამ დილას თბილი იყო, როცა ვნახეთ, – მითხრა მის გვერდით მიმჯდარმა ქალმა. – წუხელის რაოდენიმე პირს უნახავს, რომ ეს უბედური ერთს ჯარის კაცს მოყობოდა ამ მინდვრისაკენ.

– მერმე, დილის აქეთ ასე აგდია აქ?

– დიაღ, ექიმს ელოდებიან. მანამდე აღება არ შეიძლებაო.

– ესეც ახალი წესია, მა რა არის? – გავიფიქრე გულში. შავ-ბნელმა ფიქრებმა წამიღეს. წარმომიდგა სურათი რამოდენიმე საათის წინათ ამ ქალის ტანჯვისა, თუ რა უნდა განეცადა მას მხეც ადამიანიდან. ჰო, რა საბრალოთ ვგრძნობდი იმ დროს ჩემს თავს, მით რომ დედაკაცი ვიყავ! მაგრამ მამაკაცობა მაინც არ მინდოდა, არ მინდოდა ვყოფილიყავ ის სქესი, რომელსაც ნიჭი აქვს ასეთი ბოროტებისა!! ზიზღი, აღშფოთება ერთად ირეოდა ჩემს გულში. ყველას დამნაშავეთ, ყველას ჯალათად

ვსთვლიდი. საუკეთესო ამხანაგი, ძმა რომ შემხვედროდა იმ დროს, მას კეთილი თვალით არ შევხედავდი.

– რათა აქვს ეგრე დიდი მუცელი, ორსული ხომ არ არის? – სთქვა ერთმა ცნობის მოყვარემ.

– ხა, ხა, ხა, – გადაიხარხარა მილიციონერმა, – მუცელი გასიებული აგერ ამ ქალსაც აქვს, მაგრამ ორსული კი არ არის, – და წაუპოტინა ხელი.

– რა გაცინებთ? – დაეკითხა ერთი მოწყენილი სახის ჯარის კაცი მას.

– ეს არის თავისუფლების დამცველი მოქალაქე? – წაილაპარაკა ერთმა ქალმა.

– მე თქვენ გთხოვთ, თავისუფლებას ნუ ახსენებთ, – მუქარით შესძახა ქალს მილიციონერმა.

– არა, ძმაო, შენ თავისუფლების პატივი ისე არ იცი, როგორც ვირმა ბულბულის! რას ყვირი თვითვე საყვირალო და გასაკიცხო, – შევსძახე მას მოთმინებიდან გამოსულმა.

– რითი ვარ გასაკიცხი? – ამაყათ დამეკითხა ის.

– მითი, რომ ბრიყულად ოხუნჯობ და არ იცი შენი მოვალეობის შესრულება. ამდენ ხანს რომ გაგიჩერებიათ ეგ მკვდარი და ზედ დასცინი, განა ეს პატიოსნება არის?

თავისუფალი მოქალაქე შეჩერდა.

– იცინეთ, იცინეთ, ვაჟბატონებო, ეგ საქმე თქვენი ძმების ხელისაა? ეგ უბედური ქალი მგლებსა და დათვებს არ მოუხრჩვიათ. ეს მოახრჩო მამაკაცის ხელმა, – სთქვა მიცვალებულთან ჩამჯდარმა ქალმა, რომელმაც მკვდარს სახეზე კასინკა ხელ-ახლა წააფარა და წასასვლელად ადგა.

დიახ, ის იყო მსხვერპლი მამაკაცის პირუტყვობისა, მაგრამ ამაზე არც ერთი იქ მყოფი მათგანი არ ფიქრობდა.

ადამიანებმა ძლიეს მხეცებს, დაირეკეს და მათ საფრთხედან, დიდი ხანია, რაც გამოვიდენ. მხოლოდ დედაკაცებისათვის დღემდე არსებობს ერთად ერთი საშიშარი ნადირი და ეს ნადირია – მამაკაცი, რომლის შიშით ქალებს თავისუფლად მარტო ვერ გაუვლიათ ბნელსა და მივარდნილს ადგილს.

ეს სიმხეცე ყველაზე მეტად სამარცხვინო და საზიანო როგორც პიროვნებისათვის, ისე საზოგადოებისათვის, მანდამაინც ძრიელადაც არ აშფოთებს ჩვენს პატივცემულს მამებს, ძმებსა და ქმრებს! მათი ჩვეულებრივი პასუხია: „რათ დადიხართ? დაჯექით სახლში!“

მე არა ვარ შურის მძიებელი, მაგრამ რამდენათაც ის იქნება გაკვეთილი მრავალთათვის, ჩვენ მოვითხოვთ სასტიკ გამოძიებას – ყველაზე მეტად დასასჯელს ზემო აღნიშნულ ბოროტ მოქმედებისას. ეს საქმე უმდაბლესი მამაკაცის ხელისაა და უკეთესი მათგანი უნდა ეწინააღმდეგოს მას თავისი სქესის სირცხვილის მოსახდელათ.

კატო მიქელაძე

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, 20 ივლისი, № 15, გვ. 1-2

პროგრამა ქუთაისის ინტერპარტიული ქალთა ლიგისა

ვღებულობთ რა მხედველობაში დღევანდელი ისტორიული მომენტის სიდიადეს და საშიშროებას, რომელიც ემუქრება საერთო თავისუფლებას და კერძოთ, ჩვენს ეროვნულ არსებობას იმ არევ-დარევით, რომელიც გამოიწვია ზოოლოგიურმა ბრძოლამ სამოქალაქო ომის სახით, ერთ-ერთ წყაროთ მოსალოდნელი უბედურობის თავიდან ასაცდენათ, როგორც ჩვენი სამშობლოსათვის, ისე მთელი რუსეთის სახელმწიფოსათვის, მიგვაჩნია დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც განამტკიცებს რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპებს. ამისათვის, მოვითხოვთ ისეთი მართველობის ფორმას, რომელშიაც დაცული იქნება ხალხის სუვერენიული უფლება ორთავე სქესის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული ხმის მიცემით.

ინტერპარტიული ქალთა ლიგა კონსტიტუციის შემუშავების დროს დამფუძნებელი კრებიდან მოვითხოვთ შემდეგს:

1. ვინაიდან თითეული ნორმალური სრულწლოვანი ადამიანი მცხოვრები რომელიმე სახელმწიფოში ხანგრძლივათ, რომლიდანაც კანონის წინაშე მოითხოვენ მორჩილობას, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებითაც ამა თუ იმ კანონის გამოცემაში. ამისათვის, მოვითხოვთ ორთავე სქესის აქტიური თუ პასიური ხმის უფლების დაკანონებას, რომ ქალებს მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და სათემო მართველობაში, როგორც ყოველივე მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რაიმე ბოროტმოქმედებით, ან ბუნებრივი ნაკლით არ არის უფლება აყრილი.
2. მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებაში ქალთა წარმომადგენელთა დაშვებას, რათა ქალებს საშვალება ექმნეს თავის სპეციალური დედაკაცური ინტერესის დაცვისა.
3. მოვითხოვთ, რომ მუშა ქალებს მიენიჭოს უშუამავლო ხმა თავისი ინტერესების დასაცველად.
4. ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ყოველი საპატიო და სასარგებლო შრომისა და თანამდებობის მიღების იმედი არის საუკეთესო სტიმული ადამიანში შრომისმოყვარეობისა და ცოდნის წყურვილის აღძვრისა, რადგან შეუძლებელია შრომის უნარისა და ცოდნის სურვილის აღძვრა, თუ რომ ადამიანს არ აქვს სრული უფლება მისი მოხმარებისა, მოვითხოვთ, რომ თითოეულს ქალ-ვაჟს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ყოველგვარს პროფესიონალურ შრომაზე და სამოქალაქო და ოფიციალურ თანამდებობაზე შესაფერად მათი მომზადებისა.

5. მოვითხოვთ ერთნაირ აღზრდა-განათლებას ორთავე სქესისათვის, როგორც დაწყებით, ისე საშვალო და უმაღლეს სასწავლებელში.
6. მოვითხოვთ თანასწორ შრომას, ხელფასსა და ჯამაგირს ორთავე სქესისათვის ერთსა და იმავე შრომაში და თანასწორ მონაწილეობას სარგებელში და ჯილდოში ყოველგვარ თანამდებობაზე და წარმოებაზე.
7. მოვითხოვთ თანასწორ მონაწილეობას ადმინისტრაციაში, როგორც სამუნიციპალიტეტო, ისე სახელმწიფო და საერობო მმართველობაში საკანონმდებლო კრებებით, სასამართლოებით და აღმასრულებელი თანამდებობებით.
8. მოვითხოვთ კანონის ძალის მფარველობას ყოველი ფორმის ქალთა შრომაზე და შემოღებას ქალთა ინსპექციისა.
9. მოვითხოვთ იმავე წილს მშრომელ ქალთათვის, რა წილიც მიენიჭება მშრომელ მამაკაცს მომავალ სამეურნეო რეფორმებში.
10. მოვითხოვთ ცოლ-ქმართა თანასწორ უფლებას ოჯახურ ცხოვრებაში და აღდგენას დედის უფლების პრივილეგიისას შვილებზე.
11. მოვითხოვთ გაუქმებას ყოველგვარ პრივილეგიისას მამრობითი სქესისა კანონისა და სამართლის წინაშე და ხელახლა გადახედვას სამოქალაქო სისხლის კანონებისას.
12. ვღებულობთ რა მხედველობაში პროსტიტუციის საზარელს გავლენას ოჯახისა და საზოგადოებისათვის, ზნეობის ტანმრთელობისათვის, რომელსაც მიყავს ერი და კაცობრიობა გადაგვარებამდე, მოვითხოვთ ამ სამარცხვინო ინსტიტუტის რეგლამენტაციის დაუყოვნებლივ გაუქმებას.
13. ვღებულობთ რა მხედველობაში ერთი სქესის უზნეო ცხოვრების უპასუხისმგებლობის სიავეს, როცა მეორე სქესს ასეთი ცხოვრებისათვის უსასტიკეს პირობებში აყენებენ, დაუყოვნებლივ მოვითხოვთ პროსტიტუტ ქალთა ძალდატანებით შემოწმების მოსპობას და გაუქმებას საექიმო პოლიციურ ზედამხედველობისას პროსტიტუტ ქალებზე. მოხსნან ისეთი ზედამხედველობა მხოლოდ ერთ სქესზე, როცა მეორე სრული თავისუფლებით ავრცელებს ვენერიული სენის საწამლავს, ამცირებს მხოლოდ დედრობითი სქესის ადამიანურს ღირსებას და სხვა დადებით შედეგს ვერას აღწევს.

ჩვენ, ვცნობთ რა ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებათა დაცვას ერთნაირათ საჭიროთ ყველა ქალებისათვის და მოუწოდებთ რა ერთობისაკენ ქალთა მასას თავიანთი სპეციალური დედაკაცური ინტერესის დასაცველად და ქალთა ადამიანური უფლების აღსადგენათ, ჩვენ არ ვივიწყებთ მნიშვნელობას კლასთა ბრძოლისას, როგორც უკანასკნელის არსებობამ არ უნდა დაგვავიწყოს უფლებრივი ბრძოლა სქესთა შორის არსებული.

ამისათვის, ვაცხადებთ პროლეტარ ქალთა საყურადღებოთ, რომ ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და განსამტკიცებლათ თავი მოიყარონ საერთო ქალთა ორგანიზაციაში და ეკონომიკურ ნიადაგზე ატეხილ

ბრძოლაში კი იმოქმედონ თავიანთ ძმებთან ერთად, შესაფერათ მათი კლასობრივი ინტერესისა.

ჩვენ ვთხოვთ მუშა ქალებს, გაიგონ, რომ სანამ დედაკაცები უფლებრივად მამაკაცების ქვეშევრდომნი იქნებიან, მანამდე არც ერთი მოწინააღმდეგე კლასთა დედაკაცები არ წარმოადგენენ ერთმანეთისათვის ფაქტიურად შეურიგებელ მტერს, რომელთაც არ ესმოდეთ ერთი მეორის ადამიანური პიროვნებისა და ღირსების დამცირებისა.

თუ რომ საერთო გაჭირვების დროს, იქნება გაჭირვება ეროვნული თუ პოლიტიკური ხასიათისა, შესაძლებელია სხვადასხვა კლასთა მამაკაცების საერთო მოქმედება, რაც დაგვანახა არსებულმა მსოფლიო ომმა, მით უფრო შესაძლებელი და მისაღებია საერთო დედრობითი სქესის დამცირებული და დაჩაგრული მდგომარეობისა გამო სხვა და სხვა ეკონომიური კატეგორიის ქალთა სოლიდარული მოქმედება იმ სამარცხვინო მონური ჯაჭვის გასაწყვეტად, რომელიც საუკუნობით შემოუხვევია მათთვის მამრობითი სქესის ძალმომრეობას და რომლითაც აგრე შეუნანებლად სარგებლობს სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიის მამაკაცთა უმრავლესობა.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ მხოლოდ საერთო ქალთა ბრძოლა, უფლებრივ ნიადაგზე ატეხილი, ბოლოს მოუღებს სქესთა ბატონყმობას და მთელი ჩვენი ენერგიით მოუწოდებთ ქალებს ერთობისაკენ ამ საერთო მსხვრევისა და შენების დროს, თავიანთი ადამიანური პიროვნებისა და უფლების აღსადგენათ.

ინტერპარტიული ქალთა ლიგა

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“,
1918, 22 იანვარი, № 2, გვ. 1

კატო მიქელაძის წერილები ეკატერინე გაბაშვილს

ჩვენო საყვარელო დიდო დედავ, კატო!

თქვენი წერილი და მოთხრობა მივიღე დღეს. უკანასკნელი ჯერ არ გადამიკითხავს, მაგრამ ჩემთვის ესეც კმარა, რომ ეს თქვენი თხზულებაა. როცა თქვენს წერილს ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ რაღაც ღვთაებრივი ენერგია მემატებოდა. ჩიტივით შემაფრთხიალა და ისეთ სიმაღლეზე აღმიტაცა, რომ ჩემი თავი ქვეყნის მპყრობელი მეგონა, რომელსაც წინ ვერავითარი დაბრკოლება ვერ დამიმაგრდებოდა. იმერულ პირფერობათ არ ჩამომართვათ ეგ ჩემი გულუბრყვილო აღიარება, ცოტა არ იყოს ასეთს ბრალს ქართველები ხშირად განურჩევლად გვდებენ ხოლმე იმერლებს. და ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ ჩვენში უფრო მეტი ენტუზიაზმია, რომლის დაფარვა არ გვიხერხდება, მაშინ, როდესაც ქართველები, რუსთაველის გმირი ტარიელივით, უდიდეს სიყვარულსაც მალავენ. და ასეთ შემთხვევაში ის მოიგებს, ვინც სადაც სჯობს, იქ ილაპარაკებს. განა ტყუილათ უთქვამს დიდს მგოსანს „ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც – დაშავდების“. მე ვფიქრობ, სრულიად უადგილოა გულჩახვეულობა და დუმილი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ბავშვობიდან შორიდან მიყვარდა და დღეს როცა მოწიფული ქალი ბრძოლის ველზე გამოვდივარ, რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი კმაყოფილება, როგორც თქვენი ჩვენი მიზნისადმი თანაგრძნობაა ჩემთვის? მე ჩემმა კერძო ცხოვრებამ აშკარად დამანახვა, თუ როგორი უფსკრული ითხრება თანამედროვე ქალ-ვაჟთა სულიერ დამოკიდებულებაში. ვერავითარი ზემოდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას. გადახედეთ ჩვენს უბადრუკ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად და რა დიდი შრომა და ტანჯვა – ქალებს, რომ უბრალო ყურადღება მიიქციონ. ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერა ქალთა შემოქმედურ ძალთა და აქტიურობის ასაღორძინებლათ და ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები დაისწავლიან თავის თავისა და ურთიერთ პატივისცემას, რომელსაც მისცემს მათ საზოგადოებრივი ცხოვრება. ის ვინც დღეს იძახის „სწორუფლებიანი ვართ“-ო, მას არასოდეს არ განუცდია სულიერი ტანჯვა თავისი უუფლებო მდგომარეობისა.

მაგონდება 1910 წელი, პარიზში, ანკეტა ჟურნალისტების მიერ გამართული, რომლითაც სურდათ გაეგოთ, თუ რა აზრისა იყვნენ გამოჩენილი ქალები საფრანგეთისა თანასწორუფლებიანობისადმი და რამდენი იყო მომხრე სუფრაჟისტული მოძრაობისა.

ყველა ამ ქალების სურათები მოათავსეს გაზეთ ბროშურაში, რომელთა შორის ერია მათი აზრით დიდათ შესანიშნავი და ლამაზი ქალი, რომელიც ამბობდა: რომ დარწმუნებული ვიყო, რომ დედამიწაზე ყველა ქალები ჩემებრ ჩინებულ პი-

რობებში იყოს, ქალთა უფლებებს არ დავიცავდიო. მაგრამ ვიცი რა, ჩემი ბედი გამონაკლისია, ამისათვის მომხრე ვარ ქალთა სრულუფლებიანობისო.

სამწუხაროა, ჩვენში არა თუ ასეთი იშვიათი ბედნიერი და უზრუნველყოფილი ქალები არ იპოვებიან, უმრავლესობა ტანჯვაშია. რად არ უნდა იყოს იმ ჩაგვრაზე დედაკაცის გალაშქრება და რათ უნდა შეეგუოს ის იმ საზოგადო ჩაგვრას, როცა იცის იმის სქესის გათახსირება, როცა იცის, რომ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ეკუთვნის, თეთრი მონებით ვაჭრობენ, რომელთაც ადევთ ისეთივე დამღა, როგორც რომელიმე საქონელს. პროსტიტუცია გავრცელებულია საქართველოშიც და ქართველ ქალებს ისეთი თავდადება ვერ გამოუჩენიათ, რომ ამ გარედან შემოტანილ მანკიერებას შეერთებული ძალით შეებრძოლონ და მოსპონ იგი საქართველოს მიდამოში.

ჩემი მანდ გადმოსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ მანდაური ქალები ამას მოინდომებენ. თუ იშოვნიან ბინას. მე აქ მარტოთ მარტო ყველაფერი ეს მოვაწყვე, ერთობა არც აქაურ ქალებსა აქვთ. სოციალ-დემოკრატები თავიანთ ბრბოს ემონებიან: ჩვენ განგათავისუფლებთ და ჩვენთან იბრძოლეთო. ის ქალები, რომელთაც თავიანთი ქმრების მდგომარეობით კარიერა შეუქმნიათ, თავს არ იტკივებენ ქალთა საკითხებზე. ასე რომ, უფრო ხელის შემშლელი გვყავს, ვიდრე – დამხმარე. მაგრამ ყველა ესენი ცალ-ცალკე ისე დავირეკე, რომ სამუშაო გზა გავწმინდე და დღეს როგორც ვატყობ, შემოერთების სურვილიც აქვთ, თუმცა ჯინს მაინც ვერ იტეხენ. მანდ მე უფრო უცხო ვარ. არც მუშებში მყავს ნაცნობები და არც სტამბაში. თუ ითავებენ და მოაწყობენ ამ საქმეს, მე აქ ისე დავაყენებ ჩვენს ორგანიზაციას, რომ უჩემოთ არსებობა შეეძლოთ და ჩამოვალ. მხოლოდ რედაქციის გარშემო უნდა შეიკრიბოს იდეური ქალები, რომელთაც ერთი მეორესათვის ხორცის მოჭრა არ ეზარებათ. ჩვენც უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ გაგვაცალკავოს. არც ერთი პასიური და გამოურკვეველი ადამიანი არ უნდა იყოს სარედაქციო კოლეგიაში. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა. ძალა ერთობაშია და არა – რიცხვში. პირველი ქრისტიანები 12 კაცი იყო და იმათ მოახდინეს გადატრიალება.

საჭიროა სულიერი ენერგიის სიძლიერე და თუ ასეთები ხვალ 10-მდე ვიქნებით, ბევრს გავაკეთებთ. მანდაური ქალების ნაკლი ის არის, რომ სათავეში ყოვლად მოუმზადებელი და უფლებრივად შეუგნებელი ქალები უდგანან.

პირველი კარგი საქმე კონგრესის მოწვევაა. ასე თუ ისე, მაინც გამოფხიზლდებიან ქალები! თუნდაც რომ შეცდომები დაუშვან! ის არ ცდება, ვინც არაფერს აკეთებს. საქმეს თანდათანობით დავასწავლით. ქალები თავდაპირველად გაბედულობას უნდა მიეჩვიონ, რომ თავისი სიტყვის გამოთქმის არ ეშინოდეთ და თავისი ჭირ-ვარამისა. საჭიროა საგუბერნიო ქალთა კავშირის მოწყობა, რომელსაც ექნება დიდი წარმომადგენლობითი მნიშვნელობა, თუ რომ კარგი ხელმძღვანელი ეყოლა. მე აქ ვფიქრობ მოვაწყო იგი. მაგრამ ეგ უგზოობა და რკინის გზაზე გაჭირვება ხელს მიშლის, რომ ვიმოგზაურო.

თქვენს წერილში ერთი დიდი ირონიაა და ეს უთუოთ მისთვის, რომ არ ფიქრობდით „პირველი რედაქტორი“ ისეთი მოუცლელი არასოდეს არ იქნებოდა, რომ თქვენი წერილის (რაც არ უნდა გრძელი ყოფილიყო ის) წასაკითხათ ვერ მოეცალა.

ტანმრთელობის მხრივ ვერ დავიკვეხი. არა ვარ ჯანსაღი და ეს ჩემს სულიერ მარტოობაში და იმ მწვავე ბრძოლაში, რაც მე ჩემს სამოსწავლო გზაზე გადამწყდა, არც გასაკვირია. ღარიბ ადამიანს გზის გასაკვალათ წელმოღუნული სიარული უხდება. ასეთს რისხვას ჩემი თავისუფლება ვერასოდეს შეეჩვია და იმ ზღუდეს, რომელიც წინ მეღობებოდა, მკერდით ვაპობდი, რომელზედაც როგორც სისხლი, ისე მრავალი ჩემი ცრემლი დამიქცევია. მაგრამ ჩემს ტანმრთელობაზე ისე ცოტას ვფიქრობ, რომ სანამ სიცხე ლოგინში არ ჩამაგდებს, თავი ყოველთვის ჯანსაღათ მიმაჩნია. თქვენ სისტემატურად გიგზავნით ჩვენს გაზეთს მოსკოვსკაია №4-ზე. ნეტა თუ არ ღებულობთ?

როდის იქნება საჭირო ჩემი ჩამოსვლა, ერთი კვირით წინათ მაცნობოს ნინა რცხილაძემ.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი,
კატო მიქელაძე

ძვირფასო კატო,

თქვენთან დიდათ დამნაშავე ვარ, რომ ამდენ ხანს არ გიპასუხეთ წერილზე, მაგრამ ჩემი მდგომარეობა რომ იცოდეთ, არ გამამტყუნებდით. დილიდან საღამომდე დავრბივარ, რომ რაიმე ადგილი ხელში მოვიგდო. ახლა მგონი მივაკვლიე მიზანს და შედარებით უფრო დამშვიდებული ვარ. პირველ თქვენს თხოვნაზე, რომ მკითხავთ საქართველოში ქალთა მოძრაობის შესახებ რამე ნაწარმოები მქონდეს, ეს მართალი არ არის და თქვენ შეცდომაში შედიხართ. მე მაქვს სიტყვა მომზადებული, ქართველი ქალის სოციალური მდგომარეობა ძველსა და თანამედროვე საქართველოში, რომელიც ქალთა მოძრაობას სრულიადაც არ შეეხება.

რაც შეეხება მაგ საკითხს, თუ „რისთვის არ ვარ მე თქვენს მიერ აღნიშნულ ქალებთან?“ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. რომ ეს ჯგუფი არა სდგას დღევანდელს მომენტის შესაფერ ნიადაგზე, ამას თქვენც უნდა ხედავდეთ. მე არ მიყვარს უაზროდ საქმეში ჩარევა. ამისთვის შეიძლება ჩემი სახელი დღეს ყველაზე უფრო მკრთალათ გამოსჭვიოდეს, რომელზედაც გული სრულიადაც არა მწყდება. წერა მისთვის, რომ წერა ვიცი ან ლაპარაკი მისთვის, რომ ენა მიჭრის, ეს ერთგვარი მეტიჩრობაა. მე ჩვენი ქალები საერთოთ ყველანი მიყვარს. ის პირნიც კი, რომელთანაც მე პირადათ უსიამოვნება მაქვს. მიუხედავათ ამისა, მე მათთან მუშაობა არ შემიძლია. არ შემიძლია მისთვის რომ, არც ერთი მათგანი არც გულისწვას და არც ინტერესს არ იჩენს ნახევარი კაცობრიობის ადამიანურ ღირსებისა და ცხოვრებისადმი.

ეს ჯგუფი ლაპარაკობს, რომ ის პოლიტიკის გარეშე სდგას და ემსახურება მხოლოდ წმინდა ხელოვნებას. და რომ ავიღო ეგ წმინდა მათი ხელოვნური ნაწარმოები, იქ სანუგეშოს ქალთათვის ვერას დავინახავთ. ისევ ის ძველი დახავსებული გემოვნება, ისევ ის ბარბაროსული დამოკიდებულება სქესთა შორის და განცდები, რომელიც აგრე უხვათ არის სხვათა ნაწარმოებში. განა ხელოვნებაში არ შეიძლება გამოიხატოს ის, რაც გულით გწადია და რასაც ელტვი? მე მგონია, რომ ეს ძალიან ადვილი საქმეა როგორც პროზისთვის, ისე პოეზიისთვის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი ქალები ამაზე არცა ფიქრობენ. ჩვენი ქალები უფრო იმაზე ფიქრობენ, რომ მამაკაცებს მოაწონონ თავიანთი ნაწარმოები. ეშინიათ კრიტიკის, ეშინიათ თვით მათი უარჰყოფითი აზრის. ასეთი მხდალი რაზმი ბრძოლისათვის არ გამოდგება. და მე არ მინდა გავერიო მათში მხოლოდ დისონანსის შესატანათ იმ დროს, როცა ვიცი, საქმით ვერას გავხდები.

მანდ არც დაჯერება და არც პიროვნული პატივისცემა არ არსებობს. მაგენი იმასაც ვერ ამჩნევენ, თუ ჩემი სახელი რამდენათ აშინებთ და ზიზღსა ჰგვრის ქალთა უფლებების მოძულე მწერალს და არამწერალ მამლებს. ჩვენი ქალები ამ ვაჟბატონებს უფრო ანგარიშს უწევენ, ვიდრე მე. ამას მე ვხსნი მაგათი მოუმზადებლობით და ჩამორჩენილობით. მარტო ერთი უმიზნო ფაფხურით არაფერი გამოვა, თუ თავს მითი არ ვინუგეშებთ, რომ „ტყუილათ ჯდომას ტყუილათ შრომა სჯობსო“.

თქვენი პატივისმცემელი,
კატო მიქელაძე
1 მარტი, 1926 წელი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
კატო მიქელაძის არქივი, ხელნაწერი № 17038

ნინო ტყეშელაშვილი

1874–1956

ნინო ტყეშელაშვილისა და რეზო გაბაშვილის პოლემიკა თემაზე „ქალთა საკითხი“

I. ქალთა საკითხი

ჩვენ, ქართველებმა, ორი მხრიდან უნდა შევხედოთ ქალთა საკითხს. ერთი არის მსოფლიო შეხედულება, ანუ პრინციპი და მეორე – შინ სახელმძღვანელო, ანუ ტაქტიური მოსაზრება. ორთავე საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი დაფიქრება სჭირია, რომ აქაც ისეთივე ყალბ ნიადაგზედ არ შევსდგეთ, როგორც სხვა ბევრ საკითხში.

საუბედუროდ, ამ ორ შეხედულების გზა ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და იწვევს აუცილებელ კონფლიქტებს. აი, ის მახლობელი ფარგლები, რომლითაც მინდა შემოვზღუდო დღევანდელი ჩემი წერილი, თორემ ქალთა საკითხი მეტად რთულია, რომ საჟურნალო წერილით შეიძლებოდეს მისი დაშრეტა.

როცა ქალთა თანასწორობაზედ ლაპარაკობენ, გამოდიან იმ ტრაფარეტულ აზრიდან, რომ ქალიც და კაციც **ადამიანია** და ერთნაირი უფლება და ერთნაირი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. მგონი, აღარ არიან ისეთი საშუალო საუკუნის მდევარნი, რომელნიც ეხლაც უარჰყოფდნენ ქალის ადამიანურ ბუნებას და სულს. მაგრამ როცა ბუნებაზედ და სულზედ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ბუნებრივი და სულიერი განსხვავებანიც, რომლებიც არსებობენ ქალსა და კაცს შორის. როცა ლაპარაკობენ თანასწორ-უფლებიანობაზედ, უნდა ითქვას სიტყვა თანასწორ-მოვალიანობაზედაც.

თუ საფუძვლად დავიდებთ იმ ნ ო რ მ ა ლ უ რ მდგომარეობას, რომ ქალი უნდა გათხოვდეს და ოჯახი შეჰქმნას, ე.ი. ადამიანის ტომი განაგრძოს და **უკვდავ ჰყოს,** და არა იმ ა რ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ მოვლენას, რომ ბევრი ქალი ვერა თხოვდება, – უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბუნებრივ-ნორმალური მდგომარეობა ჰქმნის უპირველეს განსხვავებას.

რაც უნდა სხვა და სხვა ფერის სახე მიიღოს ოჯახმა, იქნება იგი თავისუფალი კავშირი თავისუფალ პიროვნებათა, კანონიერი შეუღლება ეკლესიის ან სახელმწიფოს წესით, ხანგრძლივი თუ მოკლე-ვადიანი, მრავალცოლობა და მრავალქმრობა, ან ერთმეუღლეობა – ყველა შემთხვევაში, ქალის მდგომარეობა, უპირველესად ყოვლისა, განიზომება და განისაზღვრება მისი ბუნებრივი ფუნქციით – ორსულობით და შემდეგ დედობით.

აქედან გამომდინარეობს ისტორიულად დედაკაცის სულიერი მოთხოვნილებაც, მისი უფლებაც და მოვალეობაც, რადგან არ შეიძლება დავემყაროთ იმ ანორმალურ და არასასურველ მდგომარეობას, რომ ბევრი ქალი იძულებულია გაუთხოვარი დარჩეს, ბევრს შვილები არ ეძლევა და სხ., ჩვენ მხედველობაში უნდა ვიყოლიოთ ნორმალური ადამიანი, ნორმალურის ფუნქციებით.

ამ შემთხვევაში კი, ქალი, როგორც ფიზიკური იარაღი მოდგმის გაგრძელებისა – სრულიად სხვა, კაცისაგან განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს. მართლაც, ამ ბუნებრივ დანიშნულების წყალობით, ქალს განსაკუთრებული მოვლენები, ცვლილებანი აქვს ორგანიზმში, რაც თითქმის აავადებს და ხელს უშლის იმისთანა საქმის გაკეთებას, რაც კაცისათვის და იმ ქალისათვისაც, რომელიც ჩვეულებრივ პირობებშია, – ადვილია. აქედან ის წარმოსდგება, რომ ქალს არ შეუძლიან და **ნებაც არა აქვს** ბევრს დარგში მუშაობა გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ვ . ამას ზოგიერთი სახელმწიფონი კიდევაც აკანონებენ იურიდიულად (ინგლისი, ბელგია, გერმანია და სხ.).

ნორმალურ ქალის ცხოვრება დაყოფილია ისეთ პატარა და დიდ ხანებად (პერიოდებად), რომ განუწყვეტლობა მუშაობისა, – ზოგან კი ეს აუცილებელია – მისთვის ყოვლად შეუძლებელი ხდება. და რადგან ცხოვრების თ ი თ ქ მ ი ს ყოველი დარგი თხოულობს შეუწყვეტელ მოქმედებას, ქალის პერიოდული გადადგომა საქმიდან, თანამდებობიდან, თუ წარმოებიდან – არა სასურველ შეფერხებას შეიტანს.

პირველ ყოფილ საზოგადოებაშიაც კი ყველა ადამიანს თავისი მიჩნეული საქმე აქვს და ნალბანდი ხარაზობას არ ეწყობა, და როცა ცხოვრება რთულდება, სპეციალიზაცია რომელიმე დარგში აუცილებელი ხდება. მომავალში ეს თანდათან უაღრესდება და ქალსაც ძალაუნებურად, თვით ბუნებისაგან მიჩენილი სპეციალური ადგილი ექნება.

უსამართლობა ამაში კი არ არის, უსამართლობა იმაშია, რომ ამ დიდ და პატივსადებ სპეციალურ დანიშნულებას, სათანადო ანგარიშს არ უწევს კაცობრიობა და ამ დანიშნულებიდან გამომდინარე, უფლებასაც არ ანიჭებენ დედაკაცსა.

ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ჩვეულებანი და კანონები ზოგიერთი ხალხისა.

ინდოეთში უკანასკნელ დრომდე ქალს არავინ შეირთავდა ცოლად, თუ წინასწარ შვილი არ ეყოლებოდა, ე.ი. ფაქტიურად, ოჯახის უფლებასაც არ ანიჭებდნენ, თუ თავისი სპეციალური უნარი არ გამოიჩინა. ბელგიაში ეხლაც დაკანონებული აქვთ ერთი ჩვეულება, რომ ფეხმძიმე დედაკაცს შეუძლიან ყოველი სავაჭრო სახლიდან წაიღოს, უსასყიდლოთ, მოწონებული ნივთი და ეს – ევროპაში, საცა კერძო საკუთრების პრინციპი ღმერთადაა ქცეული. იტალიაში, ქუჩაზე, გზაზედ მომავალი ორსული ქალის წინაშე ყველა ზრდილობიანი ადამიანი მოვალეა თურმე, განზე გადგეს და ქუდი მოიხადოს... და სხვა და სხ. ათასი ამისთანა მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, რომ ქალის სპეციალურ ბუნებისაგან შეიძლება სპეციალური უფლებანიც შეიქმნეს და ეს ასეც უნდა იყვეს: ყველა ადამიანი უნდა დაჯილდოვდეს იმდენად, რამდენადაც ღირსია.

ის მძიმე უღელი, რომელსაც ადგამს ქალს შვილოსნობა, ჯერ ორსულობაში, შემდეგ შვილის გამოკვება-აღზრდაში, არა მარტო შეიქმს განსაკუთრებულ მდგომარეობას ქალისას და აქედგან გამომდინარე უფლებას, არამედ განსაკუთრებულ ქალის ფსიხოლოგიასაც.

ორსულობის დროს, ქალს არ შეუძლიან რაიმე მძიმე საქმის გაკეთება და არც ვარგა, რადგან ზიანი მოაქვს როგორც მის პიროვნებისათვის, ისე მომავალ შვილისათვისაც, ამიტომ კაცთაგან არა მარტო პატივცემა და სათუთი მოპყრობაა მათთვის საჭირო, არამედ აქედგან გამომდინარე უფლებაც, რომ ქალი ამ დროს სრულიად განთავისუფლებული იყოს საქმისაგან. ეს უფლება მარტო ქალს შეუძლიან მოიპოვოს. მეორე მხრით, ესეთი მდგომარეობა, როცა ქალის მთელი შინაგანი ენერგია, ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი, მიმართულია ნაყოფის მომწიფებაზედ, ანუ როცა, როგორც ჰენიოსი ჰაინე ამბობს: ქალი მთლად თავის ჭიპში გადადისო, როცა მის სხვა ფსიხოლოგიური მხარეები მისუსტებულია, მას სრული უფლება უნდა ჰქონდეს, ამა თუ იმ სახით, საზოგადოებრივ დახმარებაზედ. და აქვე უნდა დაუმატოთ, რომ ნებაც არა აქვს მაშინ ქალს ისეთ პირობებში ყოფნისა, რომელნიც ხელს არ უწყობენ ნაყოფის შევსებას და ნორმალურ ზრდასა.

ამის შემდეგ, მშობიარება ღალავს ქალის ორგანიზმს და მომხდარი რევოლუცია თხოულობს უკანასკნელ ერთ თვეს მაინც, ვიდრე ყველაფერი ნორმალურ სახეს მიიღებდეს. ჩვენში, მელოგინეს ერთ თვეს მაინც არ აყენებენ ზეზედ და მეცნიერებაც ამტკიცებს, რომ 9 დღეზედ წამოხტომა – სახიფათოა. შემდეგ, ცხრა თვეს უნდა ძუძუ აწოვოს დედამ შვილსა და, მაშასადამე, მაშინაც მოწყვეტილი იყოს ყველა საქმეს. იგივე მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქალისა და საზოგადოთ ადამიანის ბუნება თხოულობს და ორგანიზმს ნორმალურად შეუძლიან ორ წელიწადში ერთი შვილის შობა-გამოკვება. მაშასადამე, 24 თვეში სულ ცოტა, 15 თვე მაინც, ქალი განთავისუფლებული უნდა იყვეს სხვა შრომისაგან. და დარჩენილ 9 თვეს რაღა უნდა გააკეთოს? რის გაკეთება უნდა მოასწროს?

აი, ასეთი, ბუნებრივად ხანგრძლივი ფუნქცია არის მიზეზი, რომ ქალი განვითარებითაც, შრომის უნარითაც გაცილებით უკანა სდგას კაცზედ და არა ის, რომ ქალი მუდამ დაჩაგრული იყვეს მასზედ ღონიერი კაცისაგან და დამონებული. თორემ განა ცოტა იყო ისტორიაში იმისთანა ხანა, როდესაც ქალს ნაკლები თავისუფლება არა ჰქონდა კაცზედ, მაგრამ „მონობას“ მაინც თავი ვერ დააღწია. ბევრნი ურევენ ერთმანეთში მიზეზს და შედეგებს: ქალი მუდამ დამონებული იყო და ამიტომ არ განვითარდაო. პირიქით, ისტორიამ აუარებელი მაგალითი იცის, როცა განუვითარებლობა რომელიმე ერისა, ადამიანისა, ჯგუფისა, მისს დამონების და გათახსირების მიზეზადა ქცეულა.

ბევრი მაგალითი იცის იმისთანაც, როცა დამონებული თუ დამმონებელზედ განვითარებული გამომდგარა, თავისი ბატონი გაუთქვეფია და თავისი კულტურით გარდაუქმნია (მაგ., ბიზანტია და რომი, დამონებული ბარბაროსთაგან), ასიმილიაცია მოუხდენია.

ქალი კი ყველგან და ყოველთვის დამორჩილებულის როლსა თამაშობს. რა არის მიზეზი ამისი? ისა, რომ უფრო ღონიერ მამაკაცს ეშინია ქალის კონკურენციისა თუ, როგორც ზოგიერთი გაბედულნი ამბობენ: ქალი უფრო მაღლა სდგას და უფრო შორს შეუძლიან წასვლაო და კაცს ამისი ეშინიანო. ეს ზღაპრები, რასაკვირ-

ველია, საფუძველს მოკლებულნი არიან, რადგან კონკურენცია იმის კონკურენცია არის, რომ უკეთესმა უნდა გაიმარჯვოს და რაც შეეხება მეორეს – ქალის მაღლა დგომას და შორს წასვლას – ისტორია თვალწინ გვიშლის მათი მაღლა დგომის მაგალითებს.

განა არ იყო დრო მატრიარხატისა, ამაზონებისა, როცა ქალები ბატონობდნენ, რატომ ვერ შეინარჩუნეს ვერსად ეს ბატონობა, რატომ ვერ შეჰქმნეს ისეთი პირობები, რომ განვითარება მათ ხელში ყოფილიჰყვეს? განა ისტორიამ ცოტაჯერ არგუნა შემთხვევა ქალებს – გამოსულიყვნენ მონობიდგან და აღემართათ დროშა თავისუფლებისა და შემოქმედებისა? როცა საბერძნეთმა კულტურულ სიმწიფეს მიაღწია, როცა მისმა ფილოსოფიამ, ხელოვნებამ კაცობრიობა ზე-აღიტაცა და ზოგიერთ მათ შექმნილ დარგს მეცნიერებისას და ხელოვნებისას დღესაც არა ჰყავს მეტოქე მსოფლიოში – მაშინ, ჰეტერა – სიმბოლო იყო თავისუფალი ქალისა, რომელსაც ყველგან შეეძლო ყოფნა, ყველაფრისთვის ხელის მოკიდება, მაგრამ ისტორიამ არ შეგვინახა არც ერთი სახელი ქალისა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა კაცობრიობის პროგრესის კიბეზედ. ერთად-ერთმა საფომ მოიხვეჭა სახელი პოეტისა და უფრო კი... ლესბიელ სიყვარულის ავტორისა. მართალია, ბერძნის ცოლები იმავე დროს სახლში ისხდნენ და „მატყლს ართავდნენ“, მაგრამ განა ჰეტერა-ქალი, თუ კი მასში სულიერი ძალა მოიძებნებოდა, ვერ შესძლებდა თანამშრომელის და მუზის როლი, შემოქმედ როლად ექცია?!

საშუალო საუკუნეებშიაც ერგო წილად ქალს პატივისცემა და ნებისყოფა: მის სიტყვას რაინდობისათვის კანონის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ დროსაც ვერ ვხედავთ ჩვენ ვერც ერთ თვალ-საჩინო გამომსახველს ქალის ჰენიისას. გერმანიაში, ძველად, ქალი არამთუ გათანასწორებული იყო კაცთან, ომშიაც კი მასთან ერთად, მხარი-მხართან გადიოდა და ამ ხანიდანაც არც ერთმა „ქალის ისტორიამ“ არ მოაღწია ჩვენამდის.

აღარ შევაწუხებ მკითხველს ამისთანავე უთვალავ მაგალითებით, – მხოლოდ შევეხები იმ საკითხს, რომელზედაც უმეტესად ამყარებენ თავის საბუთებს ის მწერლები, რომელნიც ქალთა საკითხს შეხებიან (ბებელი, ლილი ბრაუნ, ალექსანდრა მირიალ და სხვანი), მაგრამ ამაზე შემდეგ.

რ. გ.

* * *

გაგრძელება

ყველა აღნიშნული მწერლები (იხ. № 1) ჩერდებიან იმ ისტორიულ მოვლენაზედ, რომ ქალი ყოველთვის დაჩაგრული იყო კაცისაგან და ამიტომ თავს ვერ იღებდა მაღლაო. ამის გასამტყუნებელი საბუთი მრავლისაგან უმრავლესია, მაგრამ მე მინდა დავასახელო მხოლოდ ორი, რომლებსაც ყველანი განგებ, თუ შეცდომით, ივიწ-

ყებენ: ეს არის – ებრაელთა ისტორია და თავისუფალი პროფესიები. არც ერთი თაობა ქალებისა არ იდევნებოდა, არ იჩაგრებოდა ისე სასტიკად, როგორც ებრაელი ხალხი, და ერთ დროს კი არა, მთელ თავის განუწყვეტელ ტანჯვის ისტორიის განმავლობაში, მაგრამ განა ამან შეუშალა ხელი ებრაელ ხალხს შეექმნა საუკეთესო ფილოსოფოსნი, მემუსიკენი, ხელოვანნი? განა ეხლა ებრაელი ხალხი უნიჭიერესი ხალხი არ არის? განა დევნამ, დაჩაგვრამ, ბევრჯელ ამოჟულეტამაც კი ჩააქრო მათში ღვთიური ნაპერწკალი? პირიქით, სწორედ იმიტომ სდევნიან ეხლაც, რომ სხვას წინ არ უსწროს, რომ მისმა საოცარმა ნიჭმა ფრთა არ გაშალოს. ან განა იგივ ებრაელები, რომელთაც თავისუფალ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ნებასაც კი არ აძლევენ, მიწის ყიდვას უკრძალავენ რუსეთში, არ გვაძლევენ მაგალითებს შემოქმედებისას ხელოვნებაში, არ აწარმოვებენ გაბეჯითებით ვაჭრობა-მრეწველობას, არ სარგებლობენ ფართოდ თავისუფალი პროფესიებით? სად არის ამ დროს ქალი, რომლისთვისაც ეხლაც და მ უ დ ა მ ჟ ა მ ს ა ც თავისუფალი იყო ასპარეზი ხელოვნება-მუსიკისა, ვაჭრობა-მრეწველობისა, მეცნიერებისაც კი. რატომ ამ დარგებში არ გამოიჩინა თავისი შემოქმედების ნიჭი?

ერთის მხრით, ისინი არც ისე ხელ-ფეხ შეკრულნი იყვნენ ყველაფერში და მეორე მხრივ, ზოგიერთ დარგში, საცა მათთვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი, რომ გაივარჯიშონ და თავი იჩინონ, იქაც ყოველთვის კაცია გამეფებული.

წრამოიდგინეთ, ისეთ „ქალის საქმეშიაც“ კი, როგორიც არის კაბების კერვა, ან მოდების გამოგონება – ყოველთვის კაცი უფრო დახელოვნებულია და უკეთეს ქალის მკერვალად კაცები ითვლებიან, მოდების ღმერთი – ვორტი – ისევ კაცია.

„ჩვენ მარტო სამზარეულო გვარგუნეთო“ – ხშირად ჩივიან ქალები, მაგრამ აქაც საუკეთესო მზარეულები ყველგან კაცები არიან. შვილების აღზრდა-სწავლება თითქოს თვით ბუნებას ქალისთვის ჩაუბარებია და აქაც საუკეთესო პედაგოგები, პედაგოგიური და ჰიგიენური სახელმძღვანელოების თუ პრინციპების შემქმნელნი – ყოველთვის მამაკაცნი არიან... და სხვა ათასი ამისთანა. განა თვით ქალის ფსიხოლოგიის საუკეთესო მცოდნენი, მწერალი და მეცნიერი ფსიხოლოგები – კაცები არ არიან?!

რით აიხსნება ყველა ეს, თუ არ იმით, რომ არის ერთი უმაღლესი დარგი ადამიანის ბუნებისა, საცა ქალი კაცს ვერ შეეცილება – ეს არის **შემოქმედება** (творчество) დ ა ე ს ი ს ე ვ ე მ ი უ წ დ ო მ ე ლ ი მ ხ ა რ ე ა ქ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო გ ო რ ც კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს – მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა – შ ვ ი ლ ო ს ნ ო ბ ა.

თუ ამ ორ დებულებას მივიღებთ: **ერთი მხრით – მოდგმის გავრცელების მოვალეობა, ანუ დედობა და მეორე მხრით, შემოქმდებითი ნიჭის უქონლობა,** – მაშინ ცხადი ხდება, თუ რატომ ვერ მიაღწია ქალმა უმაღლეს და უკეთეს პირობებს, ვიდრე რომელშიაც ეხლა იმყოფება.

მაგრამ აქედან რომ გადავიდეთ ქალთა საკითხის კონკრეტულ ფორმებზედ, დავინახავთ, რომ ევროპაში მას სულ სხვა საფუძველი აქვს, ვიდრე ჩვენში და რუ-

სეთშიაც. ევროპაში ქალი უფლებრივ შეზღუდულია და ნაპოლეონის კოდექსით (რომლითაც მთელი ევროპა ხელმძღვანელობს), ქალი თითქმის ადამიანადაც არ არის ცნობილი, მაგრამ ამავე დროს ანორმალური ცხოვრება კაპიტალისტური წესწყობილებისა აუარებელ რიცხვს ქალებისას ოჯახის გარეთა სტოვებს; ინგლისში განსაკუთრებული სახელიც კი გამოუგონეს ასეთ ქალებს – „მესამე სქესი“. მართალია, ფრანგი მწერალი მიშლე ამბობდა, რომ „მარტოხელა ცხოვრება კაცისათვის უფრო ძვირია, ვიდრე ცოლთან ერთადაო“, მაგრამ ოჯახის შენახვა თანდათან ძნელი ხდება და ქალებიც ირიყებიან ოჯახიდან. ოჯახიდან გარიყული კი – მეტი ბარგია, მეტი მჭამელი და ძალაუნებურად საქმეს უნდა მოეკიდოს. ასეთი მუშა ქალები ბევრისაგან ბევრია ევროპის დიდ ქალაქებში და ისეთ ცენტრებში, სადაც ქარხანა-ფაბრიკები მეფობენ.

აქ კი, როგორც უფრო სუსტს და მორჩილს, როგორც უფლება შეზღუდულს, ნაკლებ ფასს აძლევენ.

ასეთი გარიყული ქალები რჩებიან ბურჟუაზიულ წრეებშიაც, უმაღლეს წრეებშიაც და მათ ენერგიას გასავალი სჭირია, მათ ცხოვრების ყველა მხარის დაკმაყოფილება სურთ; რა უნდა ჰქნან, თუ არ მოითხოვონ ყველგან კაცებთან თანასწორი უფლება, რომ შეივსონ ის დანაკლისი, რაც ბედმა წაართვა. მეორე მხრით, ცხოვრების განუწყვეტელი გაძვირება ნებას აღარ აძლევს ოჯახის რომელიმე წევრს მუქთად ჯდომას და, რადგან ოჯახის „თავის“ სამუშაო-ქირა არა ჰყოფნის, ძალაუნებურად ცოლსაც, ქალსაც და ბევრჯელ 5-6 წლის ბავშვსაც კი მიაქანებს ჯოჯოხეთურ ღუმელთან, რომელშიაც იწრთობა რკინა-ფოლადი, წკნება ტყვია-კალა, ან დუღს მინა. ვინ ჩამოსთვლის, ან რა აღწერს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელსაც უფრო სუსტი ქალი განიცდის ქვანახშირის მღვიმეებში და მადნეულობის ჭახვრელებში. და ყველა ეს ამახინჯებს, ასახიჩრებს ქალს ერთი-ათად მეტს, ვიდრე კაცს, როგორც ხორციელად, ისე სულიერად. ამისთანა მდგომარეობაში ათასობით და ათი ათასობით მყოფი ქალი საფრთხეს უმზადებს ქვეყანას ერთი მხრით, მეორეს მხრით იწვევს თანაგრძნობას და ბუნებრივად იბადება ქალთა საკითხი, ე.ი. რა ზომები შეიქმნეს, რომ გადაგვარებას ასცდეს ევროპა. ამ რიგად, ქალთა საკითხიც კი მამაკაცთა წამოყენებულია, მაგრამ შეგნებული ქალებიც თანდათან ერკვევიან, გრძნობენ უსამართლობას, გრძნობენ სიყალბეს ახლანდელი მდგომარეობისას და საბრძოლველად გამოდიან. ეძებენ თავისუფლებას და ისეთ პირობებს, რომ ადამიანური ცხოვრება შეეძლოთ. როგორც ყოველთვის, მოძრაობას ბელადებიც უჩნდებიან; შეგნებული, განვითარებული ინდივიდუუმები ხელმძღვანელობენ მათ, რაზმავენ, ორგანიზაციებს ჰქმნიან და იერიშით მიდიან ყველა იმ ციხე-სიმაგრეზედ, საცა კარი აქვთ დახშული: თუ გვამუშავებთ, ექსპლუატაციის დარგადა გვხდით – უნდა უფლებაც მოგვცეთ, **ყველგან** ადგილი დავიჭიროთ, **ყველა** საქმეს ხელი მოვკიდოთ და თქვენთან, კაცებთან ერთად, თანასწორ შრომაში თანასწორი ფასი მივიღოთ, უფლებანი მივიღოთ ეკონომიური და პოლიტიკური, რომ ჩვენი ბედის გადაწყვეტაში ჩვენც ხმა გვქონდეს, ე.ს. ევროპის ცხოვრებაში,

ანორმალურმა მდგომარეობამ შეჰქმნა ისეთი ობიექტიური პირობანი, რომ ქალი ძალაუნებურად ერევა პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრძოლაში.

ამ ბრძოლას, რასაკვირველია, მხარს უჭერს დემოკრატიაც, როგორც ყოველ-გვარ დაჩაგვრის და უუფლებობის მტერი.

მაგრამ წარმოიდგინეთ, ბევრჯელ დემოკრატია ისეთ საფრთხეს წააწყდება ხოლმე, რომ იძულებულია, თვითონ წავიდეს ქალთა უფლებების წინააღმდეგ. ბევრ მაგალითებიდან ორ დამახასიათებელს მოვიყვან მხოლოდ. ბელგიაში ამ ათიოდე წლის წინად კ ა თ ო ლ ი კ ე თ ა პარტიამ შეიტანა კანონპროექ-ტი პარლამენტში, რომ ქალებს მიეცეთ უფლება პარლამენტში არჩევნებისა და ამ პროექტს წინააღუდგნენ და ჩაშალეს საქმე — ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ მ ა დ ა ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ მ ა. ეს, პირველ შეხედვით უცნაური მოვ-ლენა, ადვილი ასახსნელი ხდება, როცა გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელგიე-ლი ქალები დიდის გავლენის ქვეშ იმყოფებიან სამღვდელოებისა და, მაშასადამე, პარლამენტშიაც ძლიერ ოპოზიციას შეუქმნიდნენ ჭეშმარიტ დემოკრატიას. მეორე მაგალითი ამ ახლო მომავალში მოხდა და... რუსეთის პარლამენტში: როცა საკით-ხი დაისვა ქალების ეკონომიურ გათანასწორებაზედ კაცებთან, — ამ საკითხს სა-სიკვდილო ბრძოლა გამოუცხადეს ყველა პოლონელებმა და აი, რა მოსაზრებით: პოლონეთი გზაა ევროპისა და რუსეთ შორის, პოლონელი ქალი კი მეტად ხელში დაუჭერელია, მისთვის სულ ერთია, ვის გაჰყვება ცოლად, და ამრიგად, მას შეუძ-ლია სამშობლო ტერიტორია, თუ კი ეკონომიურად გათანასწორდება კაცთან, და ერთნაირ წილს მიიღებს მემკვიდრეობით, — უცხოთა ხელში გადაიყვანოს.

მართალია, ჩვენ ღმერთმა გვიხსნა სამღვდელოების ასეთ გავლენისაგან ქა-ლებზედ, მართალია, ჩვენი ქვეყანა არც გზაა და არც ქალები გვყავს ისე ადვილად ქარაფრინდები, მაგრამ ჩვენში ხომ არც არის და არც შეიძლება წარმოიშვას ახლო მომავალში ქალთა საკითხი იმ გვარად, როგორც ეს ევროპაშია.

კაპიტალისტური წესი ეხლა იკიდებს მხოლოდ ფეხს ჩვენში და გაბოგანოვებუ-ლი მუშა-ქალი ჩვენში იშვიათია. ქართველ ქალს, დედაკაცს, მოსამსახურედ შეს-ვლაც კი სათაკილოდ მიაჩნია, არამთუ ქარხანაში, შეუძლებელ პირობებში ყოფნა; სხვა წრის გარიყული ქალებიც ჯერ იმდენად ბევრნი არ არიან, რომ ამ საკითხის სიმწვავე და სიჩქარე აუცილებელი გადასაჭრელი საგანი იყვეს; მით უფრო, რომ ჯერჯერობით ისინი პოულობენ გასავალს მასწავლებლობაში, საზოგადო საქმეებ-ში და სხვა და სხვა ამგვარ კეთილშობილ მოღვაწეობაში.

რასაკვირველია, ყველა ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ეკონომიური მდგომარეობა ჯერ ხელს არა ჰკრავს ჩვენს გლეხის ცოლს ან ქალს სამუშაოსაკენ და ამით თავისებურ ფსიხოლოგიასაც ანვითარებს მასში და მეორეს მხრით, ჩვენ, როგორც მეურნეობის მიმდევარნი, ჯერ გვიან მივალთ იქამდე, რომ ქალი გაბოგა-ნოვების გზას დაადგეს.

რაც შეეხება ინტელიგენციას და უმაღლეს წრეებს, — აქაც ჯერ არ დამდგარა და იქნება არც დადგეს ის დრო, როცა ქალთა დიდი ნაწილი ოჯახის გარედ გაი-

რიყოს. ჩვენისთანა პატარა დაჩაგრულ ერისათვის ეს არც სასურველია, რადგან ყ ო ვ ე ლ ი ქ ა ლ ი **მოვალეა** შ ე ს ძ ი ნ ო ს ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ი მ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , რამდენიც შეუძლიან. და ეს შვილი უნდა იყვეს ჯანმრთელი, როგორც ხორციელად, ისე სულიერად, უკანასკნელისათვის კი ჩვენი ქალი მოუმზადებელია. აი, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და რისთვისაც უნდა ვიზრუნოთ ყველამ. რასაკვირველია, სამართალი მოითხოვს, რომ უმცირესობაც დაკმაყოფილებული იყვეს და ის ნაწილი, რომელსაც გარემოება ხელს შეუშლის ამ მიზნის შესრულებას – უნდა უზრუნველ-ყოფილ იქმნეს როგორც ყველა დარგის სამუშაოთი, **რომელ საფეხურზედაც უნდა იყვეს** ცხოვრებისა, პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სოციალურ სფეროში. ამისათვის აუცილებელია, და ჩვენ ამას უჭერთ მხარსა, რომ ქალი გათანასწორებული იყვეს უფლებრივ კაცთან, რომ არა მარტო უმცირესობა, ერთი ქალიც რომ დარჩეს მსურველი, უფლება ჰქონდეს ყველა დაწესებულებაში და საქმეში ფეხი მოიკიდოს.

რაც შეეხება ეკონომიურ მხარეს, ჩვენი აზრი იქითკენ იხრება, რომ ეკონომიური გათანასწორება ყველგან, და ნამეტნავად ჩვენში, დიდს ზიანს მოიტანს. გარდა იმისა, რომ ეროვნულ გრძნობა-შეუგნებელი ქალი, გათხოვებით შეიძლებს ფაქტიურად გადაცემას ჩვენი ისედაც გაღატაკებულ ტერიტორიისას უცხო ხელში, ქალთა ეკონომიური თანასწორობა არღვევს ყოველ გაჩარხულ და წარმატების გზაზედ დაყენებულ საქმესაც. უწინ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა სახელმწიფოში შექმნილი იყო მაიორატი, ე.ი. მთელი მამული გადადიოდა მემკვიდრეობით, როგორც ეხლა მაგ., სამეფო ხარისხი, – უფროს შვილთან. ამან თავისი დრო მოიჭამა, უზარ-მაზარი სამფლობელონი დაიყვნენ და პატარ-პატარა სამეურნეო ფარგალსაც სიცოცხლის ენერგია შესწევს. შემდეგ მარტო ვაჟებს უყოფდნენ დედულ-მამულს (თუმცა მეფე ვახტანგის კანონით და ეხლაც ადათით ჩვენში, დედის მოყოლილი მზითევი უნაწილდება მარტო ქალებს) და ახლა სხვა და სხვა სახელმწიფო სხვადასხვანაირად სწყვეტს ამ საკითხს; რუსეთის კანონით აქამდე ქალებს მეთოთხმეტედი ხვდებოდათ წილად, ახალის კანონით – მეშვიდედი.

ვსთქვათ, დადგა ისეთი დრო, როცა ქალები ვაჟებთან ერთად თანასწორ წილს იღებენ.

ავიღოთ ნორმალური ოჯახი, საცა საშუალოდ ვიანგარიშოთ ოთხი შვილი: ორი ვაჟი და ორი ქალი. ვსთქვათ, ამათ ოჯახში მოწყობილი აქვთ რაიმე საქმე – იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო, ქარხანა თუ სხვა რამ. მამის სიკვდილის შემდეგ, ერთი საქმე იყოფა ოთხად, ჯერ ეს თუ არ ღუპავს საბოლოოდ საქმეს, ძალიან ასუსტებს და წარმოიდგინეთ, რომ ეს ორი ქალი თხოვდება, ან უკვე გათხოვილია, სიძეებს, როგორც ოჯახის გარეშე წევრებს, არ შეუძლიათ ისეთივე სიყვარულით მოექცნენ დაყენებულ საქმეს, როგორც ისინი, ვისაც ოფლი ჩაუღვრია შიგ, მაშასადამე, საქმე სრულიად უნდა ჩაიფუშოს, ის საქმე, რომელსაც დედ-მამა წვითა და დაგვით ნახევარ ან მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა.

დიდ ქვეყანაში, საცა მცხოვრები ბევრია, ასეთი უნუგეშო კომბინაცია შეუმჩნეველია, მაგრამ პატარაში, საცა ყოველ კულტურულ ჩანასახს, ყოველ პატარა საქმეს

თავისი მნიშვნელობა აქვს, ესეთი მაგალითები განუზომელ ზიანს აყენებენ საერთო საქმეს. ჩვენში კი, საცა მარტო ეხლა, უკანასკნელ დროს ისახება აქა-იქ ცალკე სამეურნეო დარგები, საცა მხოლოდ ეხლა იღვიძებს ასი წლის მიძინებული ხალხი, რომ თითო კენჭი ჩააგდოს ჩვენი ეკონომიური აღორძინების საძირკველში – ეს პირდაპირი დანაშაულობა იქნებოდა. მეორე მხრით, არც გარანტია არის სადმე, რომ ქალი უცხოელზედ არ გათხოვდება და, მაშასადამე, სრულიად არ მოსწყვეტს სამშობლო ნიადაგს, როგორც ტერიტორიას, ისე საქმეს. მართალია, ქალებს თამამად შეუძლიანთ სთქვან: ბატონო, ქალი იმდენს რას წაიღებს, რაც აქამდე კაცებმა გაჰყიდესო, მაგრამ ჯერ ერთი, გაყიდვაში ისინიც თუ პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ ყოველთვის, გაყიდვის მიზეზები მეტად ხშირად ისინი არიან და მეორეც, განა ძმარი რომ არ იყოს, კიდევ წყალიც უნდა დავასხათ და ერთ ჭირს მეორე ვარამიც ზედ დაუმატოთ? აი, ყველა აქ ზემო ნათქვამით ვხელმძღვანელობთ, როცა ისეთ დასკვნას დავადექით, რომ პრინციპიალურად ყოველს ქალს პოლიტიკური და პროფესიონალური თავისუფლება უნდა მიენიჭოს, აგრეთვე თავისუფლება თანასწორ სწავლისა, გარდა ეკონომიური თანასწორობისა მემკვიდრეობით, მაგრამ მისი უმთავრესი დანიშნულებაა, თვით ბუნებისაგან მინიჭებული – **დედა-კაცობა, ამ სიტყვის ღრმა და ყოველმხრივი მნიშვნელობით.**

ჩვენ ვეცდებით, დროგამოშვებით დაუბრუნდეთ იმ საკითხს და გამოვარკვიოთ ადგილი, რომელიც ქართველმა ქალმა უნდა კონკრეტულად დაიკავოს და, ამ მხრივ, სრულ ჭეშმარიტებასა ბრძანებდა ქალბატონი „ბაბო“, რომ ჩვენი პრესა მარტო გაკვრით წამოისვრის სიტყვებს ქალის რუსულ **ტიტინზედ,** „კარტველ კალეების“ გადაგვარებაზედ და არც ერთ ნამდვილ საშუალებას არ აღნიშნავს, არც ერთ მიზანს არ უსახავს თანამედროვე ქალს და ანგარიშს კი სასტიკსა სთხოვს.

რეზო გაბაშვილი

ჟურნალი „კლდე“, 1913, 1 იანვარი, № 1, გვ. 11-13
1913, 6 იანვარი, № 2, გვ. 7-10

II. ქალთა საკითხი

ქალთა საკითხში, ჩვენ ქართველები ისევე ჩამორჩენილები ვართ განათლებულ ხალხთან შედარებით, როგორც სხვა ბევრ რამეში.

ავსტრალიაში, ნორვეგიაში, უმეტეს ნაწილ ამერიკაში, ქალებმა თანასწორი უფლება მოიპოვეს. ავსტრალიაში ქალები მამაკაცებთან ერთად კანონმდებლობაში იღებენ მონაწილეობას. მათმა მონაწილეობამ დიდი სარგებლობა მოუტანა მუშათა საკითხის გადაწყვეტას, ბავშვების აღზრდას, დიდი ბრძოლა გაუწია ყოველ გვარ უზნეობას, შეამცირა ლოთობა, უზრუნველ ჰყო სიბერე.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ, იმ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც ზემო მოხსენებულ ქვეყნებში ქალებმა აირჩიეს.

ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, იაპონია-ჩინეთშიაც კი ძლიერ თავგანწირულად იბრძვიან ქალები თავის უფლებათათვის.

ასე ვიწრო ფარგალში ქალის მოვალეობის მომწყვრევა, როგორც ზოგიერთს სურს, შეუძლებელია, რადგან ქალი არა თუ დედაა მშობელი, არამედ აღმზრდელიც და საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც მამაკაცი.

შვილის ყოლა ქალისთვის არ არის არც მოთხოვნილება, არც მოვალეობა და არც დანიშნულება – ეს პირდაპირ ბუნების მოვლენაა.

ქალის მოვალეობაა შვილი აღზარდოს. თუმცა ეს კაცის მოვალეობასაც შეადგენს, მაგრამ ფაქტიურად ქალია აღმზრდელი. დედას, როგორც აღმზრდელს დიდი ცოდნა-შეგნება სჭირია.

დედა აღმზრდელი უნდა იყვეს თანასწორუფლებიანი, მაღალ იდეალებით გამსჭვალული, რომ სასარგებლო მამულიშვილი აღზარდოს.

ქალს უუფლებოს – მონას, შეუგნებელს, მხოლოდ მონად შეუძლიან აღზარდოს შვილი.

მრავალი ქალია, რომელიც არა თუ დედობას, მამობას უწევს შვილებს. რამდენი ქალია, რომელიც არამთუ თვითონ ინახავს თავის თავს საკუთარის შრომით, დედ-მამასაც ეხმარება, ხშირად ობოლ დებსა და ძმებსა ზრდის.

ქალი, როგორც დედა, უზრუნველ ყოფილი უნდა გახდეს ნივთიერად, – ეს სიკეთე იქნება როგორც დედისათვის, ისე შვილისათვის. მაგრამ ეხლა ჩვენ ამას ვერ ვხედავთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ქალები კანონმდებლობაში მონაწილეობას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევხედოთ ცხოვრებას ისე, როგორიცაა და ამ ცხოვრებამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ქალი იძულებული გახადა თავის ბედზედ და მომავალზედ თვითონ იზრუნოს და იბრძოლოს თავის არსებობისათვის და უფლებისათვის.

იყო დრო, როცა ქალი ბატონი იყო და ეს ბატონობა დაკარგა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ბატონობა მუდამ არავის შერჩენია.

ძველად მონობას ბატონობა მოსდევდა, ბატონობას კი მონობა.

ქალები არასოდეს თავის მონობას არ ურიგდებოდნენ, და თავგანწირულნი იბრძოდნენ; აქედან წარმოსდგა ამაზონობა. „ამაზონობა, – ამბობს ბახოვენი, – არ იყო რომელიმე ქვეყნის ან ტომის კუთვნილება, არამედ ყველგან და ყოველ ტომში, ქალების ნამეტან დამცირებას ამაზონობა მოსდევდა, ე.ი. ქალების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

იმისდა მიხედვით, – განაგრძობს ბახოვენი, – ქალები იმარჯვებენ თუ კაცები, კაცობრიობას წარმატება ან დაქვეითება მოსდევდა.

როდესაც ქალები იმარჯვებდნენ, კულტურა მაღლდებოდა: ქალაქები შენდებოდნენ, მიწის დამუშავება ფართოვდებოდა, მამაკაცები უფრო მამაცნი და გულადნი ხდებოდნენ. – წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცები იმარჯვებ-

დნენ, კულტურა ძირს ეშვებოდა, მამაკაცნი ყოველ დაბალ სიამოვნებას ეწეოდნენ, ზნეობით ეცემოდნენ, მთლად ლაჩრდებოდნენ, დედაკაცნი მათ ზიზღით ზურგს აქცევდნენ“.

თუმცა მამაკაცები ფიზიკურ ძალით იმონავებდნენ ქალებს, მაგრამ მათი სულის დამონავება ვერ შესძლეს.

ქალები, როგორც ევის ჩამომავალნი, ყოველთვის მზად იყვნენ მათთვის აკრძალული „ხილი ცოდნისა და მეცნიერებისა“, ეგემათ. მათში ყოველთვის ღვიოდა ნაპერწკალი განათლებისა, ქალებს შორის გამოდიოდნენ მცოდნე საპატიო პირები: ექიმი, მკითხავი, ღმერთების მსახურნი.

აღმოსავლეთში ქალები მეტად დამონავებული იყვნენ. დასავლეთში ძველად სწამდათ, რომ ქალს შეუძლია უფრო დაახლოვებული იყვეს ღმერთებთან – და მომავალი იწინასწარმეტყველოს. ხალხი აფასებდა მათ. ამიტომაა, რომ 12 ოლიმპიის ღმერთთა შორის ექვსი ქალია და ათინა პალადა, რომელიც თვით ზევსის თავიდან გამოვიდა, ითვლებოდა – სიბრძნისა და ცოდნის ღმერთად.

კაცები იმონავებდნენ ქალებს მხოლოდ მაშინ, როდესაც უკანასკნელნი შეუდგებოდნენ ცხოვრების მოწყობას. ხალხთა ისტორია მოგვითხრობს: როდესაც რომელიმე ხალხი მყუდრო, განათლებულ ცხოვრებას ეწყობოდა, მაშინ უფრო ფიზიკურად ძლიერი და ბარბაროსული ხალხის მსხვერპლად ხდებოდა, ეს ბედი ეწვია ქალებსაც. ასე ხსნიან ქალების მონობას ძველი ისტორიის მკვლევარნი ბახოვენი, მორგანი და სხვანი. საშუალო საუკუნოებში თითქოს ბედმა გაუღიმა ქალებს.

მაგრამ ეს აზრი შეცდომად მიაჩნია შაშკოვს (Историческія судьбы женщинъ).

საშუალო საუკუნოებში ბატონობდა სასულიერო წოდება, რომელიც სასტიკად სდევნიდა ყოველ თავისუფალ აზრს. რამდენი ადამიანი დასწვეს კოცონზედ. ეს ბედი არ ასცდა ქალებსაც, არათუ თავისუფალ აზრისთვინ, მწიგნობრები ბევრ სულ სხვა უბრალო მიზეზებისთვის – ქალებს კუდიანებად აღიარებდნენ. ამას ყოველთვის მოსდევდა წამება და სიკვდილით დასჯა. ამ შემთხვევაში ქალებმა ბევრად მეტი მსხვერპლი მოუტანეს კაცობრიობას, ვიდრე მამაკაცებმა, შაშკოვის სიტყვით, რაინდობამ ფარისევლური, გარეგნული პატივის ცემა გამოხატა ქალის წინაშე. რაინდი ქალის სახელით მრავალ გმირულ საქმეს სჩადიოდა, და იმავე დროს თავის ოჯახში, ცოლ-შვილში დიდი ბარბაროსი იყო.

რაინდობამ არაფერი არ მისცა ქალს, მის მონობის უღელი არ შეამსუბუქა.

ლილი ბრაუნი ამბობს: ეკონომისტები სხვა ნაირად ხსნიან ქალების მონობასო.

პირველ საუკუნოებში, როდესაც ხალხი ნადირობით ცხოვრობდა, ქალი და კაცი ერთ შრომას ეწეოდნენ, ორივენი ერთნაირი ღონისა იყვნენ. როგორც ქალი შვილოსნობას დაიწყებდა, მაშინვე კაცს შორდებოდა, ბინას იჩენდა, ბავშვს ახვევდა ნადირის ტყავში; ბავშვი რომ მოიზრდებოდა – მერე მისთვის საჭმლის კეთებას უნდებოდა. აქედან წარმოსდგა შრომის განაწილება. ასე ქალი ძალა უნებურად შინ რჩება, კაცი ნადირობს და მტერს ებრძვის. როდესაც კაცმა ცეცხლი გაიჩინა, ქალი მას დარაჯად მიუყენა.

მაშინ ქორწინება იმ სახით, როგორც ეხლა, არ იყო. კაცი, როდესაც რომელიმე ტომში შედიოდა, ის ყველა იმ ტომის ქალების ქმრად ითვლებოდა და ყოველი ქალი ამ ტომისა, ყველა კაცების ცოლად – შვილი დედობით განირჩეოდა და არა მამობით – ეს იყო დედის უფლების გამეფება „მატრიარხატი; რამდენადაც პირვანდელი საოჯახო მეურნეობა ვითარდებოდა, იმდენადაც ქალი უფრო და უფრო სჭირდებოდა მამაკაცს. მალე კაცი მიეჩვია სარჩოს შენახვას, გაიჩინა საკუთრება, მუშა ხელი დასჭირდა, ამიტომაც, როცა მტერს სძლევდა, მონად აქცევდა და ამუშავებდა. საკუთრებამ შეჰქმნა მონობა, პირველი მონა იყო ცოლი ქმარისა, დედა მისი შვილებისა.

ოჯახის საქმე გართულდა. ქალი მთლად ჩაითრია შინაურმა წვრიმალებმა და ის დაშორდა საზოგადო საქმეს.

გამეფდა პატრიარხატი.

კაპიტალისტურ წეს-წყობილებამ ქალი ეკონომიურად დაუმორჩილა კაცს და ამით დააკანონა ქალის მონობა.

დედობა თავიდანვე უშლიდა ხელს ქალის თავისუფალ მოქმედებას.

ჩვილი ბავშვი ყოველთვის საჭიროებდა დედის მზრუნველობას.

აი, სწორედ ეს მუდამ ხელს უბოჭავდა ქალს.

დედობა მძიმე უღელს ადგამდა ქალს, რომლის მოშორება შეუძლებელი იყო.

მაგრამ ამასთანავე სწორედ ეს დედობა ატარებდა ყოველ განათლების და ზნეობრივი განვითარების ჩანასახს.

ეს იყო პირველი სხივი ზნეობრივობის ბნელ უკუნეთში.

დედობრივი სიყვარულით ქალმა ზნეობრივი ყოველნაირი სახე შეჰქმნა.

ქუთაისელი

ჟურნალი „კლდე, 1913, 3 თებერვალი, № 6, გვ. 13-15

ბაბილინა ხოსიტაშვილი

1884–1973

ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა წინათ და ეხლა

არსებობს ძველი ბერძნული თქმულება:

კალიდონიის (საბერძნეთში) მმართველი საგონებელს მიეცა იმის გამო, რომ მის სამეფოში პურის მოსავალს გარეული ტახი ანადგურებდა. მმართველის ვაჟმა მელეაგრმა შემოიკრიბა სწორნი და ტახის მოსაკლავად წავიდენ; ბევრი ზდიეს უზარმაზარ ტახს, ბევრი ისრები უშინეს, მაგრამ ვერ მოკლეს ეს მძვინვარე ცხოველი, რომელიც ადამიანის საზრდოს ნთქავდა.

ბოლოს გამოჩნდა ტყეში მონადირე ქალი, დაუშინა ტახს ისრები ამანაც და ერთი ისარი დაასო მკერდში, მეორე ისარი მელეაგრმა დააძგერა კისერში და ამგვარად ორი ისრით მძიმედ დაკოდილ მხეცს საერთო ძალით ბოლო მოუღეს.

მელეაგრმა ნანადირევის ნახევარი მონადირე ქალს უწილადა, როგორც სამართალი მოითხოვდა; თუმცა მელეაგრის ამალაში მყოფ მონადირეებს საწყენად დარჩად როგორც ქალის გამარჯვება მოისრეობაში, ისე ნანადირევის ნახევარის მიღება, მაგრამ მელეაგრი უსამართლობისათვის წინააღუდგა მათ.

აქ მოყვანილი თქმულება ეკუთვნის იმ წინა ისტორიულ ხანას, როდესაც პირველყოფილ საზოგადოების პირველყოფილ კომუნიზმის ელემენტებს კიდევ ჰქონდა ადგილი.

პირველყოფილ საზოგადოების ადათ-წესები და მორალი მარტივი და პრიმიტიული იყო: იმ დროს მოჭარბებულ ბავშვებს, განსაკუთრებით ქალთა სქესისას, ისევე გადააგდებდნენ ხოლმე, როგორც ჩვენს დროში კატის კნუტს ან ძაღლის ლეკვს.

ამიტომ ძველ თქმულებებში ხშირად ვხვდებით ასეთ შინაარსს, რომ ტყეში ნადირთა შორის გაზრდილ ქალს თუ კაცს არა-ჩვეულებრივი ძალ-ღონე [და] მოხერხება გამოუჩენიათ ნადირებთანვე თუ ადამიანებთან ბრძოლის დროს.

ასეთი მებრძოლი ქალი თუ ვაჟი, თქმულების მიხედვით, ირმის რძით ყოფილა აღზრდილი...

უნდა ითქვას, რომ არ არის ისეთი თქმულება (მითი), სადაც სინამდვილის ელემენტებს არ ქონდეს ადგილი.

მოჭარბებულ, გადაყრილ ბავშვთაგან მცირედი ნაწილი, სხვა და სხვა შემთხვევის გამო, გადაურჩებოდა სიკვდილს. მაგალითად, მას წაადგებოდენ მოხეტიალე ტომის ადამიანები, მონადირენი, იქნებ სიბრალული დასძლევდათ, აიყვანდენ და გაზრდიდენ, შესაძლებელია, მართლაც ირმის ძუძუთი, რადგან მონადირეობის ისტორიულ ხანაში მოშინაურებული ირემის ყოლა იშვიათი შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიას ქონდა მიწადმოქმედების პერიოდზე უადრეს – მეჯოგეობის და უფრო ადრე კი მონადირეობის პერიოდი.

რა საკვირველია, რომ ბავშობიდანვე ბუნების სტიქიონთან ბრძოლაში, მხეცნადირთაგან თავდაცვისათვის ბრძოლაში, შვილდ-ისრის ხმარებაში გამოიწრთობოდა ასეთ გარემოში მყოფი ქალი თუ ვაჟი.

ამ გვარად, რაც ისტორიულ განვითარების შემდეგ საფეხურზე ზღაპრულ თქმულებად იქცა, უძველეს ხანაში ნამდვილად იყო.

ადამიანი, რომელიც ბავშვობიდანვე ბუნების ძალებს უნდა ემსხვერპლათ, რომელიც მხეცებთან, ნადირებთან იბრძვის თავის გადასარჩენად, ბავშვობიდან ბრძოლის იარაღებს თან შეეზარდა. მართლაც არა-ჩვეულებრივ, გაზღაპრებულ მოხერხების და ძალ-ღონისა უნდა ჩვენებოდათ იმ დროს, როდესაც უკვე ისტორიულ განვითარების შემდეგ საფეხურზე ასეთი მძაფრი ბრძოლა აღარ იყო საჭირო ბუნების მოვლენებთან, ნადირებთან თუ ადამიანებთან.

* * *

გადავხედოთ ეხლა კაცობრიობის განვითარების შემდეგ საფეხურს:

ძველად სპარტაში (საბერძნეთში იყო) და აგრეთვე სპარსეთშიაც ბავშვი ექვსი წლის ასაკიდან მშობლების მზრუნველობიდან სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიოდა იმ მიზნით, რომ ფიზიკური ზრდის პროცესთან ერთად ქალსაც და ვაჟსაც შეეთვისებინა ბრძოლისა და თავდაცვის უნარი. ასეთ მოზარდს სპარსეთში, მაგალითად, ტყეში გაუშვებდენ მარტოდმარტო, უმწეოთ, რომ მას საკუთარი მოხერხებით ევარჯიშებინა სხეული და გონება არსებობისათვის ბრძოლაში. სპარტაში ფიზიკური აღზრდა სასტიკ პირობებზე იყო დამყარებული. ამგვარად, ძველი სპარსეთისა და სპარტას მკვიდრთა ფიზიკური გამძლეობა სახელგანთქმული იყო.

„ყარამანიანი“, რომელიც სპარსულიდან არის ქართულად ნათარგმნი და რომელიც უწყვეტი ბრძოლების ამბებს აგვიწერს, არა ერთხელ მოგვითხრობს აგრეთვე ქალთა რაზმების მონაწილეობას ბრძოლაში.

„ყარამანიანში“, რა თქმა უნდა, გაზღაპრებულ-გაზვიადებულად არის გადმოცემული იმ ძველი სპარსეთის მოსახლე ტომებშორის ბრძოლა, როდესაც ქალი ისევე ჯან-ღონით სავსე, მარჯვე მებრძოლი იყო, როგორც მამაკაცი, რადგან, როგორც ვთქვით, ქალიც მამაკაცთან თანასწორ პირობებში იზრდებოდა ტყე-ველად გაშვებული, ბუნების ძალებს მინდობილი, ნადირსა და ველურ მცხოვრებთაგან თავდაცვისათვის განწირული.

* * *

„ილიადა“ ეს უშესანიშნავესი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აგვიწერს აქეველთა და ტროადელთა შორის ბრძოლას, ერთ მშვენიერ ეპიზოდსაც გვისურათებს ქალთა რაზმის ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ: სახელდობრ,

როდესაც აქილესი ჰექტორს მოჰკლავს და ტროადელებს დამხმარე ძალები სჭირდებათ აქეველთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ქალთა რაზმი იბრძვის აქილესის წინააღმდეგ.

როდესაც აქილესს მის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის მეთაური ქალი შემოაკვდება, მაშინ გაიგებს, რომ მას ქალთა რაზმი ებრძოდა.

არის გადმოცემა, აგრეთვე, რომ ალექსანდრე მაკედონელსაც, სხვათა შორის, ქალთა რაზმიც ებრძოდა მცირე აზიაში დედუფალ ფალესტრას მეთაურობით.

უძველეს ხანაში მამაკაცისა თუ ქალის აქტიური მოქმედების ფიზიკური მხარე იქცევდა ყურადღებას, რადგან გონებრივი გამჭრიახობა მხოლოდ დამხმარე ძალა იყო ფიზიკური გამძლეობის გამოჩენისათვის.

ისტორიას შეუნახავს აგრეთვე გონებრივ გამჭრიახობითა თუ ცოდნით აღჭურვილ ქალთა შესახებ ამბები:

მოვიყვანოთ ერთერთი მაგალითი, რომელიც საშუალო საუკუნეებში მოხდა; ქრისტიანობის წყალობით წამებული დევნილი იყო. V საუკუნეში, როდესაც ბიზანტიაში ფეოდოსი II მეფობდა, ბიზანტიის საზღვრებს ჰუნები და გუთები შეესივნენ. ფეოდოსი-კეისარი ბერ-ეპისკოპოსების საზოგადოებაში სარწმუნოებრივ დოგმებზე მსჯელობას და წმინდა ჰიმნების გალობას უთმობდა მთავარ ყურადღებას; მას ყავდა ცოლად წარმართულ საბერძნეთიდან მოსული პროფესორის ქალი ათინაიდა, რომელიც განათლებული იყო და ნიჭიერი. სასახლის ბერ-ეპისკოპოსთა ინტრიგებსა და ფეოდოსი მეფის სუსტ პოლიტიკას არ ეთანხმებოდა მისი საღი შეხედულება სინამდვილეზე; ამიტომ ის დააშორეს სასახლეს და იერუსალიმში მონასტერში შეამწყვდიეს.

ეს მაშინ, როდესაც ქრისტიანობა ვითომც სწორუფლებიანობის დამცველი სარწმუნოება უნდა ყოფილიყო, რადგან ქრისტიანულ სარწმუნოებაში არის დებულება: „არა არს მამაკაცი, არცა დედაკაცი წინაშე ღმრთისა (ალბათ სამართალი იგულისხმება), არამედ თანასწორ არიან“-ო. თანასწორუფლებიანობას და სამართლიანობას სარწმუნოების ქურუმები ქალსაც და საერთოდ დაჩაგრულ ელემენტებს კაცობრიობისას არა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, სადღაც და ოდესღაც, სხვაგან და სხვა დროს აღუთქვამდენ სიკვდილის შემდეგ. მოკლედ რომ ითქვას, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქალი მთლიანად მოსწყვიტა აქტიურ მოქმედებას და პასიურობაში მოამწყვდია იგი.

ქრისტიანული სარწმუნოების გავლენა ბატონობდა მთლად საშუალო საუკუნოებში და შემდეგაც, ბურჟუაზიის ბატონობის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ხანაში, აღორძინების პერიოდში, მე-13-16 საუკუნეებში ეკლესიის წინააღმდეგ აზრი, საღი მსჯელობა აღიმართა;

მე-18 საუკუნის მოაზროვნეებმა საგრძნობლად შეასუსტეს სარწმუნოების ავტორიტეტული გავლენა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მომზადებას ხელი შეუწყეს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პროცესში მკაფიოდ ჩამოყალიბდა საზოგადოების სხვა და სხვა კლასებად დაყოფა.

რადგან ყოველ კლასს თავის იდეოლოგები უნდა გასჩენოდა, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ უკეთესად გაითვალისწინა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მასაც, მუშათა კლასსაც გაუჩნდა თავისი იდეოლოგები მარქს-ენგელსის სახით.

ამიერიდან, მუშათა კლასი გახდა მშრომელი ქალისათვის ბრძოლაში მოკავშირე. ავგუსტ ბებელის თხზულება: „დედაკაცი და სოციალიზმი“ იმ დედა აზრს ანვითარებს, რომ მშრომელი ქალის უფლებებისათვის ბრძოლა მუშათა კლასის უფლებისათვის ბრძოლას უნდა გადაეჯაჭვოს.

საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარნი ბურჟუაზიას ხვდა წილად, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის მესვეური მუშათა კლასი გახდა.

საბჭოთა ხელისუფლება და პარტიის ცეკა ოცდაოთხი საათის განმავლობაში დაუსვენებლივ მუშაობს, რათა განახორციელოს მარქსის, ბებელის და ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, ლენინის მითითებანი – გაანთავისუფლოს ქალი აუარებელ წვრილმან საოჯახობისაგან: ხსნის საერთო სასადილოებს, სამრეცხველოებს, საბავშვო სახლებს და სხვა, რომ ამით საშუალება მისცეს მშრომელ ქალს, შეიარაღდეს ცოდნით და აქტიურად ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში, სამეურნეო, საწარმოო თუ პოლიტიკურ საქმიანობაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარემოცულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომელნიც საოცარი სისწრაფით ანვითარებენ საომარ ტეხნიკას.

საჭიროება მოითხოვს, საბჭოთა კავშირის თვითეული მოქალაქე გაცნობილი იყოს მტრის საომარ ტეხნიკას, რათა თავისიც თანაბარ სიმაღლეზე დააყენოს, რომ მტერს, ბურჟუაზიას საშუალება არ მისცეს, საბჭოთა კავშირს ხელი შეუშალოს სოციალისტურ აღმშენებლობისათვის მუშაობაში.

წერილის დასაწყისში ძველი თქმულება იმის მაგალითად მოვიყვანეთ, რომ თუ პირველყოფილ კომუნიზმის დროს ქალმა თავისი მოქმედებით თანაბარი ხვედრი მოითხოვა მამაკაცთან, – დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მუშათა კლასს გზას უკაფავს სოციალიზმისკენ, მშრომელი ქალიც, როგორც წევრი მუშათა კლასისა, მუშათა მებრძოლ რაზმებთან უნდა დაირაზმოს. როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად, შეიარაღებული უნდა იყოს ბურჟუაზიის იერიშების მოსაგერიებლად.

მშრომელმა ქალმა შეგნებულად უნდა დაჰგმოს ბურჟუზიულ მოაზროვნეთა და მათი ამყოლ-დამყოლების უსაფუძვლო მოსაზრება, ვითომც ქალი იმდენად სუსტი არსებაა, რომ მას საომარი იარაღების მოხმარება არ შეჰფერის და სხვა.

ამ დებულების სიყალბეს აგრეთვე ზემოთქმულ მაგალითებში ნათლად გვისაბუთებენ: ძველად სპარსეთი და სპარტა თუ მიმართავდენ ზემოთქმულ პრიმიტიულ საშუალებებს ძალ-ღონითა და ბრძოლის უნარით აღჭურვილ მოქალა-

ქეთა შესაშინებლად. დღეს მუშათა კლასის მესვეურებმა კარგად იციან, როგორ ისარგებლონ ისტორიული გაკვეთილებით:

საბჭოთა ხელისუფლება არავითარ ძალ-ღონეს და მატერიალურ საშუალებას არ ზოგავს, რომ საბჭოთა კავშირში ფიზიკური აღზრდა რაციონალურად მოაწყოს; დიდი მასშტაბით გაშალა მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში ფიზკულტურა, სპორტი; მოაწყო ჰიგიენური და სამკურნალო პუნქტები და სხვა.

ქრისტიანული მოძღვრებით და ბურჟუაზიული მორალის გავლენით დაკნინებულ-დასუსტებული ქალის სხეული თანამედროვეობაში მეცნიერულად მოწყობილ ფიზიკური აღზრდით უნდა დახალასდეს.

არის კიდევ მიზეზი, რომელიც შეუძლიანთ დაასახელონ ქალთა გასამხედროების წინააღმდეგ: ყოველთვიური ფიზიოლოგიური მოვლენა (მენსტრუაცია), რომლის განმავლობაში ქალის სხეული ჩვეულებრივზე უფრო მოდუნებულ-მოსუსტებულია; მაგრამ ქალთა სწორუფლებიანობის დიდმა თეორეტიკოსმა ავგუსტ ბებელმა თავის წიგნში „დედაკაცი და სოციალიზმი“ ასეთ მოსაზრებას შემდეგი პასუხი გასცა: „ერთი თვის განმავლობაში ორი-სამი დღით დასუსტება ავადობისაგან არც მამაკაცია დაზღვეული და ამიტომ ეს გარემოება უფლებას არ გვაძლევს, ქალი პასივობაში მომწყვდეული დავტოვოთ და წინ გადავეღობოთ მის აქტიობასაო“.

ბაბილინა ბოდბელი
19/XII, 31 წ.

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ბაბილინა ხოსიტაშვილის არქივი, ხელნაწერი № 20790

ორმოც და ათი წლის მანძილზე ანუ ორ წყალს შუა

„აქა არს, მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი მრავალნი და
მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი, ძველნი,
არამედ კაცთა აუსვლელობით უხმარ არიან“.

ვახუშტი

ვიწყებ დაახლოვებით 1918-20 წლებიდან, როდესაც მე ოჯახურ-დედობრივ მოვალეობასთან ერთად სწავლა-განათლების სურვილი მაღელვებდა და ვნერვიულობდი, რომ მთელი ჩემი დრო და ენერგია ყოველდღიურ საქმიანობას არ ჩაენთქა ოჯახში.

– შუშანიკ წამებული ხარ სწორედ! – მეტყოდა ხოლმე ჩემი მეუღლე ირონიულად და ჩემს გახელებას მეტიც არ უნდოდა.

მე კი ამ დროს ოჯახის მოვლაში ვფუსფუსებდი და საწიგნე თაროზე მტვერს ვწმენდდი, მაგრამ ჩემი წამება ამით არ დასრულდებოდა. შემდეგ ან სარეცხს უნდა შევდგომოდი ან უთოს ან ბაზარზე წავსულიყავ სანოვაგის საყიდლად და სახლში დაბრუნებულს სადილი მომემზადებინა.

„წამება წმინდისა შუშანიკისი“ – აქა მაქვს სწორედ წიგნის თაროზედ. შემიძლიან წავიკითხო საღამოზე, როდესაც ყოველგვარი ზრუნვისგან განვთავისუფლდები. ვნახო, რას ნიშნავს ეს „წამება წმინდ. შუშანიკისი“, თუკი ჩემი „წამება“ ჩემმა მეუღლემ მას შეადარა, თუნდაც ირონიულად.

1918 წელი ის ხანა იყო, როდესაც ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა და ყველა ქართველმა ინტელიგენტმა, რომელთაც კი უცხოეთში უმაღლესი განათლების მისაღებათ წასვლა ვერ მოეხერხებინათ, – აქ, ამ უნივერსიტეტის თაღებს მიაშურა სწავლა-განათლების დასაწაფებლად. ქართული უნივერსიტეტის გერბი იყო შველი ანუ ირემი ნუკრით, რაც გონებრივ საზრდოობის ემბლემად არის მიჩნეული უფროსი თაობისაგან უმცროსისადმი.

„ვით ირემსა წყაროსათვის, ისე სწყურის სულსა ჩემსა შენთვის“ – მაგონდება ეს საგალობელი „ქებათა ქებიდან“, როდესაც წარმოვიდგენ, თუ როგორ მიისწრაფოდა ახლად გახსნილს, ისტორიულად მონატრებულ უნივერსიტეტში არა მარტო ქართველი ახალგაზრდობა, არამედ შუახანს გადასული ის ელემენტები, რომელთაც თავიდანვე საშუალება არ ქონდათ სინათლის წყაროს დასწაფებოდნენ. ცნობილია, რომ რამდენიმე ბატონიშვილს უნდოდა უნივერსიტეტი გაეხსნა საქართველოში, მაგრამ მე-18 საუკუნე ხომ საქართველოს სახელმწიფო აპარატის ნგრევის პერიოდი იყო და არც ეს განზრახვა განხორციელებულა. მხოლოდ რა თვითმპყრობელი რუსეთის ტახტის დამხობა გახდა შესაძლებელი, 1917 წლის რევოლუციამ მოგვიტანა მცირე ეროვნებათა თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა.

– საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა

– ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა! – ისმოდა აქეთ-იქედან და ყველა ფრთა შესხმული იყო ამ სასიხარულო დიდი ხნით ნაოცნებარი ამბვით.

მე კი ამ არაჩვეულებრივ შესანიშნავ დროს სამშობიაროში ვიწექ და მეორე ვაჟი მეყოლა. ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღე იყო სწორედ, რა დღესაც მე სამშობიარო სახლიდან გამოვეწერე.

პირველი შვილის შემდეგ ვფრთხილობდი, მრავალშვილიანობას უფრო არ შევებორკე ოჯახურ-ყოველდღიური ზრუნვით და მთლათ ხელიდან არ გამომცლოდა ჩემი სულიერი მისწრაფებების განხორციელებისათვის ბრძოლის საშუალება. თვალწინ მიდგა ერთი ეპიზოდი, პირველი ბავშვი რომ ცხრა თვისა გამიხდა და ექიმმა ძუძუდან მოშორება მირჩია. ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ახალი ორსულობის ნიშნებმა თავი იჩინეს. ეს იყო საჭმელის შეძულება და გულის ზიდილი, თვიურის შეჩერებასთან ერთად. როგორც პირველი გამოცდილებიდან ვიცოდი, სამი-ოთხი თვის განმავლობაში საჭმელს ვერ მივეკარებოდი, საჭმლის სუნიც კი გულის რევას იწვევდა.

სულიერი და ფიზიკური წამება ერთი მეორეს არ უთმობს. ექიმს განვუმარტე ჩემი გარემოება, მან ბებია ქალთან გამაგზავნა. ამან რამოდენიმეჯერ სცადა სისხლის დენა გამოეწვია და მირჩია შემდეგ სამშობიარო სახლში წასვლა ნაყოფის მთლიანად გამოსაფხეკად. მაგრამ აი ვწევარ სახლში და სისხლი ბელტა-ბელტებად მოდის საშვილოსნოდან. პატარა მუცელი მტკივა, მიქვავდება, ერთი სიტყვით, საშვილოსნოს ანთებაა, სისხლად ვიცლები, ჩქარა დახმარებაა საჭირო. ჩემი მეუღლე მისაყვედურებს, რათ მოვიშალე მუცელი და მოჰყავს ჩვენი ნაცნობი ბებია ქალი, მაგრამ კრუშკებით გამორეცხვა ვერას მშველის და მეორე დღეს ამ ჩემ მეგობარს სამშობიაროში მივყავარ ეტლით, როგორც საშვილოსნოს ანთებით და სისხლის მდინარებით ავადმყოფი სასწრაფო დახმარებისათვის.

– აჰა, შენი ფულები დაგჭირდება სამკურნალოდ ან დასამარხად, – გადმომიგდო ჩემმა მეუღლემ ვერცხლის მანეთიანები თეთრ ცხვირსახოცით ლოგინზე, თვითონ ნაწყენმა ჩემი საქციელით. ეს ის ვერცხლის მანეთიანები იყო, რომელიც მე ჰონორარად მივიღე ქართული თეატრიდან ჩემს მიერ თარგმნილ „ეროსი და ფსიქეას“ დადგმაში. მსახიობმა ნინო ჩხეიძემ ის თავის ბენეფისში დადგა...

[...] ღამდება და ფანჯარას ვაჩერდები: ბნელ სილუეტს პატარა საკანის მზგავსი სახლისა, პაწია, ოდნავ განათებულ სარკმელით, საიდანაც თითქო ჩემი სული ლამობს გამოფრენას სრულ სინათლეზე, თავისუფლების სამყაროში. მაგრამ ამ „წამებამაც“ გაიარა და აგერ მეორე ვაჟი მყავს – ახალი, ორმაგი ბორკილი დედობრივ და ოჯახურ მოვალეობისა.

ყველა ბორკილიდან შეიძლება განთავისუფლება, მაგრამ ოჯახურ-დედობრივიდან ვერა. ჩემი ქალური ბუნება სჭედავს ჩემსავე ბორკილებს. ერთი ხელით რომ მათი დამსხვრევისათვის ვიბრძვი, მეორეთი ისევ ვამაგრებ, რადგან თუ ქმარი სიყვარულით შევირთე, ხან მის ალერსსაც ვეტანები, რასაც შეუღლება

მოსდევს ბუნებრივად. რაც შეეხება შვილების სიყვარულს, ეს ხომ ბუნებრივი ალ-ღოა ყოველი ცოცხალი არსებისა და აქ განსაკუთრებული სასიქადული არაფერია, რადგან ქათამიც კი იფარავს თავის წიწილებს სიცივისა და მტაცებლებისაგან. სა-სიქადულოდ მიმაჩნია ის, რომ ამგვარ ფიზიოლოგიურ, ცხოველურ ინსტიქტებს ავცილდე და გონებრივ ამაღლებას მივაღწიო. არა მარტო იმისთვის, რომ საკა-ცობრიო იდეალებს გავეცნო, არამედ იმისათვისაც, რომ უმეცარი დედა შვილებს ვერაფერს ჩაუნერგავს. გრაკხების დედა მაგონდება, შვილს რომ მახვილს აწვდის:

„იბრძოლე მამულისათვის, მშრომელი ხალხის მოსარჩლედ იყავ, თუ არა თავი მოიკალი“; დედა უნდა იყოს შეგნებული, მებრძოლი, რომ შვილს გმირული სული ჩაუნერგოს.

უნივერსიტეტის გახსნის დღეს გამოველ სამშობიაროდან, ვბრუნდები ოჯახში ახალი ბორკილით ხელებზე, მე უნივერსიტეტში ვერ შევალ და განათლების წყა-როს ვერ დავეწაფები. ეს წყურვილი ახალგაზრდობიდანვე მიკიდებდა ცეცხლს – ვით ირემსა წყაროსათვის, ისე სწყურის სულსა ჩემსა შენთვის, მაგრამ რაკი მე შებორკილი ვარ პატარა ბავშვით ხელზე, აგერ ჩემი მეუღლე წახალისდა – დაიწ-ყო უნივერსიტეტში სიარული, ისმენს ლექციებს და ეს „წამება წმინდ. შუშანიკისი“, რომელიც ჩვენს საწიგნეზე ძევს, მისი მოტანილია, როგორც უძველესი ძეგლი ქარ-თული ლიტერატურისა.

ჩემმა მეუღლემ უნივერსიტეტი ვგონებ ორ კვირაზე თუ ერთ თვეში მიატოვა. აგერ ახლა სტენოგრაფიის კურსები გაიხსნა და იქ ვივლი შესასწავლად, სტენოგ-რაფები კაი ფულს აკეთებენო. ეს სტენოგრაფიის კურსებიც ორ კვირაში მიატოვა. ერთი თვის სწავლის ფული გადახდილი იყო და ეს ამაოდ გადაყრილი ფული მე-ტად დამენანა, როგორც ჩემი პირადი ნაამაგევი, რადგან მშობიარობამდე მე სა-კათალიკოსო საბჭოში ვმსახურობდი მანქანაზე მბეჭდავად და ბავშვის ყოლის გამო თავი მივანებე სამსახურს. კანცელარიის გამგემ სალიკვიდაციო გამომიწერა და აქედან დანარჩენი ფულით სახლის ავეჯი ვიყიდეთ: ბუფეტი, კამოდი, სარკე და საათი, რაც ძალიან იაფად იყიდებოდა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლო-ბის გამოცხადებისას ბევრი რუსი ოჯახი აიყარა თბილისიდან.

1921 წლის დასაწყისიდან, რაც ბავშვი ცოტა მოიზარდა, მე შევედი უნივერსი-ტეტში თავისუფალ მსმენელად. ჩემმა მეუღლემ პირველად წამახალისა, მაგრამ როდესაც ბეჯითად, გაუცდენლად დავდიოდი ლექციებზე, მეორე თვეში აიმრიზა და უკვე ეტყობოდა, რომ ჩემი გულმოდგინე სიარული უნივერსიტეტში მას აღა-რაფრად ეპიტნავებოდა. ერთხელ ისიც მოვიდა უნივერსიტეტში ჩემი იქ ყოფნის დროს და რაღაც უკმაყოფილო შეწბილება ამოვიკითხე მის სახეზე, როდესაც ლექციიდან ლექციამდე მის ყოფილ ამხანაგების წრეში ვიდექით და მცირე ხანს ვსაუბრობდით. მის ყოფილ ამხანაგებად აქ მე ვასახელებ ყოფილ სემინარიე-ლებს – ეგნატე მენთეშაშვილს, ქრისტეფორე ციცქიშვილს. პირველი უკვე ერის კა-ცად იყო, ანაფორა გახდილი, მეორე ისევ ანაფორიანი. ეს უფრო სერიოზულად მეცადინეობდა. შემდეგ კათალიკოსად ეკურთხა.

ეს იყო 1921 წელს. ერთი სემესტრის მერე მივატოვე და აღვადგინე მეცადინეობა 1927 წელს.

მიტოვება შემდეგნაირად მოხდა 1921 წლის თებერვალში. ჩემი მეუღლე მენშევიკური მთავრობის მოტყუებით ქალაქიდან გავიდა იმ ღამეს სხვებთან ერთად, 25-ში. დავრჩი ბავშვებით ერთ ოთახში. მეორე დღეს წითელარმიელები შემომისახლდნენ. უნდა მეზრუნა იმაზედ, რომ პური მეშოვა, ოჯახშიც არა დამკლებოდა რა და ბავშვები მშივრები არ ყოფილიყვნენ და სხვა. პურს მაშინ სამსახურში იძლეოდნენ, შემდეგ მწერალთა კავშირი ჩამოყალიბდა და პურს იქედან ვიღებდი.

სანოვაგის შოვნა ძნელი იყო და ხშირად თბილი საჭმელი არ გვქონდა.

ასე ჩამოვშორდი ლექციებს. ჩემი მეუღლე ბათუმიდან თვენახევრის შემდეგ დაბრუნდა. ორივე უმუშევრად ვიყავით და ძალიან გვიჭირდა ცხოვრება. გაჭირვებამ არ გაიარა და უკეთესი დრო ჩვენთვის არ დადგა და ისევ მძიმე ეკონომიურ პირობებში მე დავუბრუნდი უნივერსიტეტში მეცადინეობას მგონი 1926 წლის შემოდგომაზე თუ 1927 წლის იანვარში, კარგად არ მახსოვს...

* * *

თვით ახლაც, ამ მომენტში ქალაქის ირგვლივ ზარბაზნების სროლა ისმის; „ბატონი ჩემი ხელმწიფე მოკუდა“-ო – ამოქვითინდა.

ისე მესმის, თითქო ღრმა საუკუნეებიდან მბგერავი ხმა, მაგრამ ნახევარი ყურთა სმენა გარეშე ხმაურობას მიაქვს; – ზარბაზნების ხმა ყოველდღე უფრო და უფრო მკაფიოდ აღწევს ყურამდე. მეათე დღეა, ქალაქის ირგვლივ ბრძოლაა საქართველოსთვის. დიდი ხნით მონატრებულ უნივერსიტეტში ისევ შეჩერდა ლექციები, ზარბაზნების ხმა სტუდენტობას ბრძოლისაკენ მოუწოდებდა; უნივერსიტეტში დაფეთებული მოქანდა ავტომობილით უბადრუკ მენშევიკების მთავრობა...

აი, მოვისმინეთ მთელი სერია ლექციებისა: უძველესი ქართველი ტომების მოძრაობის შესახებ. მესოპოტამიიდან შუამდინარემდე ტიგროს და ევფრატისა. ქართველები დიალექტებისა და კილო-კავების შესახებ, ზნე-ჩვეულება და სარწმუნოებების შესახებ მთვარის კულტი, წმინდა გიორგის და სხვა.

პროფესორი გვაცნობს უძველეს საისტორიო წყაროებს. მათ შორის, პირველი ადგილი უჭირავს მე-5 საუკუნის ლიტერატურულ ძეგლს (აგიოგრაფიულს) „წამებაი წმინდ. შუშანიკისი“.

რა თქმა უნდა, სახლში წაკითხულიდან მე ვერაფერი გამოვას[...] იმდენად; მაგრამ როდესაც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა განგვიმარტა ეს ლიტერატურული ძეგლი, როგორც იმ დროის საქართველოს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დონის მაჩვენებელი, ჩემთვის უკვე საფუძველი ჩაეყარა მის გაგებასა და შეთვისებას. ესვე ძეგლი დაასახელა ქართული ლიტერატურის კათედრიდან პროფ. კორნელი კეკელიძემ, მაგრამ ის ისე მშრალად და მექანიკურად გადმოგვცემდა ხოლმე მთელ კურსს, რომ მის მსმენელ სტუდენტობას არავითარი მისწრაფება არ უღვიძებდა ახალი პრობლემების წამოყენებისათვის, საკითხის ახალი

გაშუქებისათვის, პროფ. ივ. ჯავახიშვილზედ კი ეს არ ითქმის. იგი პირიქით, რომელიმე ისტორიულ თუ ლიტერატურულ ძეგლის გარჩევის დროს ისე აყენებდა საკითხს, რომ მოწაფეს უსათუოდ ახალი პრობლემისათვის გასაღებს აძლევდა.

პროფ. აკაკი შანიძესთან ხსენებულ ძეგლს ჩვენ ვარჩევდით ხანმეტი ძეგლების მიხედვით. ამგვარად, ამ ძეგლის სხვადასხვა მხრივ განხილვამ შემასწავლა და შემაყვარა მისი მხატვრული ადგილები.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს არაერთხელ უთქვამს კათედრაზედ, რომ შუშანიკი ოჯახიდან არ წასულიყო, რომ მას ჯიუტობა არ გამოეჩინა, ქმრის მიმართ და სხვა, ერთი სიტყვით, ამ ძეგლით იმდენად დავინტერესდი, რომ მას ვკითხულობდი მრავალჯერ, ლოგინში ჩაწოლისას, როდესაც, ჩვეულებრივ, მეცადინეობასა და საოჯახო საქმეებს მოვრჩებოდი ხოლმე. ამგვარად შევისწავლე მოქმედ პირთა ხასიათები, სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური და პოლიტიკური ინტერესები, წინააღმდეგობანი, რომლის ნიადაგზე ეს ისტორიული დრამა წარმოიშვა.

ჩავწვდი სარწმუნოებრივ ფანატიზმსაც, რომლის ნიადაგზე დაწერილა ეს აგიოგრაფიული თხზულება, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავი ისტორიული და ლიტერატურული დოკუმენტი.

მაგრამ მთავარი ნასკვი ამ ძეგლის ახლად გახსნისათვის მე სემინარიულ მუშაობის დროს მომხვდა ხელში. როდესაც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გაგვაცნო სომხური საისტორიო წყაროების ავტორები, მათ შორის მე-5 საუკუნის საისტ. წყაროების ავტორი ლაზარე პარფელი, როგორც უტყუარი ისტორიული ფაქტების აღმწერი; როდესაც მან დაასახელა, რომ ლაზარე პარფელის კალამს ეკუთვნის ვარდან და ვაჰან მამიკონიანების თავგადასავალის აღწერაო, ჩემს წინაშე მეტად საინტერესო პრობლემა წამოიჭრა; ვიფიქრე: ვარდან მამიკონიანი შუშანიკის მამა იყო, მისი თავგადასავალი შეიცავს სპარსელების შემოსევას სომხეთის ასაკლებად, და ვარდან მამიკონიანის ვაუკაცურ ბრძოლას სპარსელებთან. ამას მე-5 საუკუნის ჟამთააღმწერელი „წამებას“ უწოდებს, რადგან სომხეთის ჯარის სარდალი ქრისტიანობის სახელით ებრძოდა სპარსელებს.

იგივე უნდა ითქვას ვაჰანის თავგადასავალის, ანუ „წამების“ შესახებ. ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის არაქრონოლოგიურად ადგილი ჰქონდა შუშანიკის „წამებას“ იგივე ქრისტიანობისთვის. და თუ ლაზარე პარფელი ვარდან მამიკონიანის მამის პატრიარქი სააკის მოწაფე იყო, თუ შუშანიკ მამიკონიანთან ერთად სპარსთა აკლების მერე მამიკონიანთა საგვარეულოს ის არშუშა პიტიახშის ოჯახს შემოეხიზნა, სადაც შემდეგ შუშანიკ მამიკონიანის „წამება“ მოხდა, საფიქრებელია, თვით ამ ლაზარე პარფელსავე აეწეროს შუშანიკის „წამება“. რადგან პარფელი მამიკონიანთა საგვარეულოს ისტორიკოსად მოსჩანს და შუშანიკის წამებაში მოხსენებული იაკობ ხუცესი სახელნატყუარი ავტორია, რაც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ განხეთქილების ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო. ეს პრობლემა მოსვენებას აღარ მაძლევდა და მესამე კურსზე ამ საკითხის ირგვლივ მინდოდა თავისუფალი თემა დამემუშავებინა, რადგან მორიგ მოხსენებად მე გიორგი მთაწ-

მინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა დავამუშავე; ჩემი მოსაზრება პროფესორს გავუზიარე. წარმომიდგინეთ თეზისები, – მითხრა მან.

თეზისები წარვუდგინე, პასუხს ველოდი, მაგრამ რაკი თვითონ არა მითხრა რა საპასუხოთ, მე მიველ საპროფესორო ოთახში და გავახსენე ჩემს მიერ წარდგენილი თეზისების შესახებ.

– თქვენ ძალიან სცდებით! – მითხრა წყრომის კილოთი პროფესორმა, თუმცა არც ერთი სიტყვით არ დაუსაბუთებია ჩემი შეცდომა. მე ჩემს შეცდომაში დარწმუნებული არც მაშინ ვიყავ და არც ეხლა ვარ, მაგრამ იმდენად ხათრი მქონდა და პატივისცემა პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, რომ განზრახული თემის დამუშავებაზე ხელი ავიღე, მით უმეტეს, თუ პროფესორი ჩემს მიერ წამოყენებულ დებულებებს მხარს არ დაუჭერდა, შეუძლებლად მიმაჩნდა რეფერატის წაკითხვა. და არამც თუ მხარს არ დამიჭერდა, არც დამრთავდა ნებას, დებულებით გამოვსულიყავ.

– შეიძლება თეზისები დამიბრუნოთ? – შევკადრე პროფესორს.

– აქ არა მაქვს. დავკარგე, მგონია, – მითხრა მან დაუდევრად. პორთფელი აიღო და სავარძლიდან წამოდგა. მეც ავდექ, ბოდიში მოვუხადე და დარბაზიდან გამოველ.

გავიდა ერთი თუ ორი წელი. მე უნივერსიტეტი გავათავე, სამსახურს განვაგრძნობდი, რაც უნივერსიტეტში მეცადინეობის დროს დავიწყე, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ვმსახურობდი... ეს იყო 1931 წელს. პრობლემა „შუშანიკის“ ავტორის სახელნატყუარობის შესახებ მოსვენებას არ მაძლევდა. ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს თავისუფალ საათებში შევუდექ ამ საკითხის დამუშავებას; იმავე წლის შემოდგომაზე სამსახურს თავი დავანებე და მონოგრაფიული გამოკვლევა საფუძვლიანად დავამუშავე.

როდესაც ამ შრომას მოვრჩი და მისი გამოქვეყნებისთვის ან დაბეჭდვის ან მოხსენების წაკითხვის სახით პირველი ნაბიჯი გადავდგი, იქიდან დაიწყო ჩემი ნამდვილი „წამება“.

* * *

ამ ადგილას რომ მოველ, „კალამი ხელიდან გამივარდაო“, რო იტყვიან, სრულიად წამერთვა ხალისი, მეხსიერებაში აღვადგინო ის უმადურობა, იმდენი ტანჯვა-წამება გამოვიარე 1932 წლიდან, ვიდრე 1935 წლამდე, ოთხი წლის განმავლობაში. ხსენებული ნაშრომი 1931 წლის შემოდგომაზე დავასრულე, ხოლო 1935 წლის გაზაფხულამდე დავამუშავე მეორე მონოგრაფია-გამოკვლევა – გიორგი მთაწმინდელი და „ხატის მებრძოლეობა“.

ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაშრომის გამოქვეყნებაზე შევუდექ „წამებას“. ვითხოვე მწერალთა კავშირში მოხსენების წაკითხვა, მაგრამ რამოდენიმე თვე ვიწიალე, ვიდრე ნებართვას მივიღებდი. სათავეში მწერალთა კავშირისა იდგა ახალი პარტიული ხალხი: ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, და მათ მდივნებად იყვნენ გ. ცეცხლაძე, რ. გვეტაძე. რაღა თქმა უნდა, ჩემი საკითხი „არა აქტუალურად“ იყო

ცნობილი და ასეთი მოხსენების დანიშვნას მიჭიანურებდენ. გაზეთ „კომუნისტში“ ქრონიკა პირველად არ დამიბეჭდეს, შემდეგ სათაური შევცვალე: „ძველი ლიტერატურული ძეგლის ახალი გაშუქებისათვის“. როგორც იყო, ქრონიკა დაიბეჭდა და მოხსენების დღეც მომცეს. უნივერსიტეტიდან ისტორიკოსები – დოცენტები მოვიწვიე. მოვიდნენ კიდეც, მაგრამ მწერალთა კავშირის მდივანი, ანუ მოხსენების თავმჯდომარე არ გამოცხადდა, და ასე ჩაიშალა მოხსენება რამოდენიმეჯერ. შემდეგ ცაკის მდივანთან წაველ (თ. ჟღენტი იყო მაშინ). რა თქმა უნდა, მთავრობის ხალხთან მისვლა ასე ადვილი არ არის. რის გამოც, არა ერთხელ და ორჯერ დამჭირდა სასახლეში მისვლა, მისაღებ ოთახში მოცდამ არც ისე ცოტა დრო წაიღო და როგორც იყო შეველ „სამოთხეში“. ცაკის მდივანს განვუმარტე მოკლედ ჩემი მეცადინეობისა და მუშაობის შესახებ გეგმა, ვთხოვე მწერალთა კავშირის მდივანს, მოეცა წაკითხვის საშუალება; მან მართლაც დაიბარა ბ. ჟღენტი, რომელიც ამ დროს მწერალთა კავშირში მდივნობდა და დაავალა ჩემი ნაშრომის მოხსენების დღე მოეწყოთ. ბ. ჟღენტი მართლაც გამოცხადდა თავის დროზე, მაგრამ ხალხი უკვე იმედდაკარგული იყო, რომ მოხსენება არ შესდგებოდა და მცირე ხალხში ვერ წავიკითხე. განმეორებით დავნიშნე – რიცხვით ეს, მგონი, მეოთხე თუ მეხუთე დანიშვნა იყო მოხსენებისა – წავიკითხე. შემდეგ მწერალთა კავშირიდან შუამდგომლობით სახელგამში მივიტანე გამოსაცემად. აქ მაშინ ნ. მიწიშვილი იყო სამხატვრო საგამომცემლო ნაწილის გამგე. რეცენზია მომთხოვა.

ჯერ ხომ ერთი წელიწადი მოხსენებად წაკითხვაზე მაწიალეს, რადგან არა აქტუალურ საკითხად იყო ცნობილი. დ. დემეტრაძე, ფარისეველი და გველი ხელმძღვანელობდა გაზეთ „ქართულ მწერლობას“, რომელმაც ჩემი მოხსენების ქრონიკა არ გაუშვა გაზეთში და სამაგიეროდ, „გუგულის“ მასხარა ფელეტონი დაბეჭდა, რომ მწერალთა კავშირში „წმინდანებზე კითხულობენ მოხსენებასო“. მე საშინლად გავცეცხლდი, მიველ რედაქციაში დემეტრაძესთან, ვიყვირე და ვიტირე კიდეც, მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ დაიბეჭდა რეცენზია ჩემს მოხენებაზედ.

1933 წელს მე უნივერსიტეტში ასპირანტურაში ვითხოვე მუშაობა, რადგან ჩემი ნაშრომი სახელგამში დასაბეჭდად არ გადიოდა, ალბათ, როგორც არა აქტუალური რამ. თუმცა რეცენზიები კომპეტენტურ პირებისგან მივიტანე: ჯერ ს. ხუნდაძეს ჰქონდა სარეცენზიოდ. მას, ვგონებ, ბარამიძესთვის გადაეცა წასაკითხად; ამასობაში რამოდენიმე თვე გავიდა და მე ვწიალებდი აქეთ-იქით, თვითეულ პირთან რამოდენიმეჯერ მიველ, რადგან დროს მინიშნავდენ და იმ დროზე რომ მივდიოდი, ხელახლად მინიშნავდენ დროს. ასე გავიდა სამი-ოთხი წელი. პროფ. აკ. შანიძემ თვითონ მთხოვა, მეინტერესება, მაგრამ მოხსენებაზე ვერ მოვალო. მომიტათ, წავიკითხავო. მივუტანე, მაგრამ მთავარ საკითხზე არაფერი უთქვამს...

უნივერსიტეტში იმ ხანად ვაშაყმაძე იყო რექტორად. მის კარებზე არა ერთი და ორი დღე და საათი დავკარგე დგომით. როგორც იყო, შეველ ერთხელ, მეორედ... წარვადგინე ჩემი ნაშრომები და განცხადება დავტოვე, [რომ] ასპირანტურაში სა-

მუშაოდ დავეშვი. მანაც რამდენჯერმე დამინიშნა დრო, რომ ჩემს ნაშრომს წაიკითხავდა და თავის აზრს მეტყოდა, მაგრამ ამაოდ. ან რა აზრი უნდა გამოეტანა, განა მას შეეძლო ძველი ქართული ლიტერატურის რაიმე კვლევაზე თავისი კრიტიკული მსჯელობა ჰქონოდა?! არ ვიცი! ბოლოს კ. კეკელიძესთვის გადაეცა წასაკითხად, მაგრამ კ. კეკელიძე ხომ ჩემი პროფესორი იყო და მე მას უშუალოდ ვერ მივმართე, რადგან მასთან ასპირანტად მუშაობა მე არ მიზიდავდა. ჯავახიშვილი ამ ხანად უნივერსიტეტს ჩამოაშორეს და რომ ყოფილიყო კიდევაც, ხომ ვიცოდი, რომ ჩემს მიერ წამოყენებულ პრობლემას მხარს არ დაუჭერდა; კეკელიძემ თავისი აზრი მთავარი საკითხის შესახებ არ მითხრა... რაკი შევატყე, რომ არა გამოდის რა, როგორც იყო, ცეკაში შეველ აგიტ კულტ პროპის განყოფილებაში – მაშინ კ. გორდელაძე იყო ხელმძღვანელი.

მე მას განვუმარტე მოკლედ, რომ ახალგაზრდობიდან სწავლა-განათლება მწყუროდა; რომ ვმუშაობდი ასოთამწყობად, საიდუმლო სტამბაშიც ვმუშაობდი; რომ 1905 წლიდან ლექსებს ვწერდი პროლეტარულ, რევოლუციურ მოტივზე და ქალის სწორუფლებიანობისათვის ბრძოლაზე; რომ ახლა მეღირსა უმაღლესი ცოდნის მიღება 1927-1930 წელს (1921 წლიდან ერთი სემესტრის შემდეგ მივატოვე მეცადინეობა გაჭირვების გამო, შემდეგ, თუმცა ისევ გაჭირვებაში, 1927 წელს აღვიდგინე); რომ ძველი ქართული ლიტერატურიდან გამოკვლევები დავამუშავე და კვლევა-ძიებითი მუშაობისათვის ვთხოულობ ასპირანტად ჩარიცხვას.

მან მისწერა ვაშაყმაძეს ოფიციალურად, რომ ჩავერიცხე, მაგრამ... არც აქ გამოვიდა რამე. კ. გორდელაძემ ისიც მითხრა, თქვენი გამოკვლევა მარქს-ენგელსის ინსტიტუტში წაიკითხეთო, მაგრამ შარიამ, რომელიც მაშინ რექტორად იყო იქ, უარი მითხრა, ჩვენი წევრი არა ხარო.

ეს სტრიქონები ადვილად იწერება და ყველა ამ ადგილებში დაპირებიდან წიალს ბევრი დრო შევწირე.

იმავე ინსტიტუტში ა. დუდუჩავას წარვუდგინე პროექტი – ანტირელიგიური სცენარისათვის სიუჟეტდადებული მქონდა „შუშანიკის წამება“. მან გადაათვალიერა და მითხრა: ჩემი პასუხი მაშინ შემიძლიან გითხრათ, თუ ხელთ „გამართლებული“ ლიბრეტო მექნებაო. ამ უკანასკნელის ტეხნიკა მე არ ვიცოდი და დამხმარე არავინ მყავდა...

ამასობაში ს. ხუნდაძემ პ. ინგოროყვაზე მიმითითა სარეცენზიოდ, როგორც ძველი ქართული ძეგლების სპეციალურად მცოდნეზედ. შესაძლებელია, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ზუსტად ვერ დავიცვა, თუ როდის რომელ პიროვნებასა და დაწესებულებას მივმართავდი, მაგრამ დაახლოვებით ვეცდები, აქ გადავშალო ის სურათი, თუ როგორ ვადგებოდი სხვადასხვა გზებსა და მივმართავდი შემდეგ საშუალებებს, როდესაც პირველი, მეორე და მესამე უშედეგოდ ჩამივლიდა ხოლმე. ინგოროყვამ ყურადღებით მომისმინა, დაიტოვა ჩემი ორივე ნაწარმოები და რეცენზიაც თავის დროზე მომცა. რეცენზია მხოლოდ ერთზე ვთხოვე სახელგამში წარსადგენად. ეს რეცენზია მ. მიწიშვილს მივუტანე. მან ცერად გადახედა და პა-

სუხი არც ისე ადვილად მაღირსა; კარგიო, წარვადგენო სადაც ჯერ არსო, განვიხილავთო და სხვა. თავისებურ მელაკუდურ ლათაიებით მისტუმრებდა ყოველთვის, როდესაც კი მივიდოდი იმ დასაწვავ სახელგამში.

უნივერსიტეტში კიდევ პასუხს ვერ ვეღირსე. ვაშაყმაძესთან მიღების მოლოდინში მეტი დრო აღარ შემეძლო დამეკარგნა, რადგან ოჯახის საქმესა და სხვ. ვცდებოდი. ვაშაყმაძის პირადი მდივანი შემხვდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და რომ შევეკითხე, რატომ მიჭიანურებთ პასუხს, ან ჰო მითხარით, ან არა-მეთქი, მითხრა: თქვენ ალბათ სტიპენდიის ინტერესი გაქვთო; მე ვუთხარი, თქვენი სტიპენდია 200 მანეთია და მე მაგაზე მეტს ვაკეთებ-მეთქი. მართლაც, სახელგამიდან ხან სათარგმნი გვქონდა მე და ჩემს მეუღლეს, ხან სტილი, და იმ ხანად ვთარგმნე ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“. მოჭარბებული ფული არასდროს არ მქონდა, მაგრამ საკვლეო-სამეცნიერო სფეროში მუშაობის სურვილი ყოველ[იფერზე] მაღლა იდგა ჩემზე. და ასეთი პასუხი სიბრიყვედ ჩავთვალე. მერე მითხრა, თქვენ ხანი გიშლით, თორემო... რა ვქნა, ახალგაზრდა რომ არ ვარ; უსათუოდ ყველა პროფესორის კათედრამდე მივა, ვინც კვლევა-ძიებაზე მუშაობს?! ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც რომ მომესწრო, გამეშუქებინა, ამის შესაძლებლობასაც მისპობენ. ვაშაყმაძის უკანასკნელი სიტყვა იყო: თუ ცეკა გვიბრძანებს, უნდა მიგიღოთო, მაგრამ მას ჩემგან მიტანილი ცეკას ბრძანება წინ ედვა და პასუხს არ ჩქარობდა...

სახელგამში შეიცვალა შემდეგ ხელმძღვანელობა. ლ. გასვიანი დაინიშნა სამხატვრო ნაწილის გამგედ, მას წარვუდგინე ჩემი ნაშრომი, რეცენზიებითურთ, მცირე განმარტებით, რომ აგიოგრაფიული თხზულება, რომელსაც ანტირელიგიურ და ანტიშოვინისტურ ნაწარმოებისთვის მინდა სიუჟეტად ავიღო, ჯერ კი გამოკვლევის სახით მინდა გამოვაქვეყნო-მეთქი. მან მხარი დამიჭირა, მაგრამ შემდეგ მისვლაზე მითხრა, ცეკა საჭიროდ არ სცნობს, ე.ი. აქტუალურად არ სცნობს ამის გამოცემას და თუმცა მე მხარს ვუჭერ ძველი მწერლობის ახალ გაშუქებასო.

შემდეგ ცეკაში ვითხოვე შეშვება ამ საკითხის გამოსარკვევად; მაშინ საკულტ. პროპაგანდო განყოფილების გამგედ კ. ორაგველიძე იყო. მან მოისმინა ის სიტყვები, რომლითაც დაახლოებით მე წინად კ. გორდელაძეს მივმართე და თქვა: ზოგის ნაწერებს რამოდენიმეჯერ ბეჭდავენ, ზოგისას არც ერთხელო. დასტური დასწერა, დაიბეჭდოსო.

როდესაც მე სახელგამში მიველ და აბაშელმა მითხრა, „სადა ხართ, რატომ აღარ შემოხვედით. ეს თქვენი რვეული უნდა გადამეცა სტამბაშიო. მაგრამ სტამბა ასე არ მიიღებს, უნდა თაბახ ქაღალდზე იყოსო... გარდა ამისა, მე, ინგოროყვასი და ჯანაშიას რეცენზიის თანახმად, ის სპეციალისტისთვის სარედაქციოდ უნდა მიმეცა დაბეჭდვის წინ. რეცენზია დაახლოებით ასეთი იყო: „წავიკითხეთ რა ამხ. ბ. ხოსიტაშვილის ნაშრომი, ვადასტურებთ, რომ იქ მართლაც საინტერესო პრობლემა არის წამოყენებული და სასურველად მიგვაჩნია მისი გამოქვეყნება ბეჭდვითი სახით. ხელს აწერენ ინგოროყვა და ჯანაშია. თუმცა სადაო საკითხიც ბევრია და ზოგი მცდარი აზრია წამოყენებული.

მე იმდენი თავხედობა ვერ გამოვიჩინე, რომ ის სპეციალისტის ურედაქციოთ გამეშვა სტამბაში და შემდეგ კი გვიან იყო, ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გავუშვი. ალბათ იმ პრობლემას, რომ იაკობ ხუცესი კი არა, ლაზარე პარფელი უნდა იყოს ავტორი ამ ნაწარმოებისა, ნაციონალური ინტერესებისათვის ღალატად მითვლიან და იმიტომ მომცეს ასეთი რეცენზია ორჭოფული, ე.ი. დაბეჭდვა, მისი გამოქვეყნება სასურველია, მაგრამ მხოლოდ ჩვენის რედაქციითო. მე ამ ხერხს პირველიდან ვერ მივხვდი და კიდევაც რომ მივხვედრილიყავ, რას ვიზამდი... ჯანაშიამ რედაქციაზე უარი მითხრა: დრო არა მაქვსო. მივმართე სამეცნიერო აკადემიის ფილიალში კარპეს დონდუას. მან პირველი ნაწილი მოიწონა, სადაც მოქმედ პირთა დახასიათებაა. მხატვრული ადგილების სცენიურობა-დინამიურობაა ხაზგასმული და სხვა, ხოლო მეორე ნაწილზე მითხრა: ეს თუ არ გადაამუშავეთ და ასე დაბეჭდეთ, დაგესევიან ისტორიკოსები და ლიტერატორები და სხვ. ორ წყალშუა ვიყავი, პარტიულ ხელმძღვანელებთან მწერალთა კავშირში, სახელგამში და ცეკაში რამდენი დარწმუნება დამჭირდა, რომ ძველ რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილ ლიტერატურულ ძეგლებში ბევრი რამ არის ქრისტიანული ფანატიზმის ნიადაგზე გაყალბებული და ბევრი ჭეშმარიტება განგებ დაბნელებული, რასაც სწორედ ეხლა უნდა გაშუქება და დღის სინათლეზე გამოტანა, რომ მკვლევარები ამ საკითხს დღემდე ყურადღებას არ აქცევდენ და სხვა. – მაგრამ განა რომელი ამათგანია საკითხში იმდენად გარკვეული, რომ ეს ჩემს მიერ ამორჩეული გზა ლიტერატურული მუშაობისა საყურადღებოდ ეცნოთ და ხელი შეეწყოთ ჩემთვის; ამგვარად, ყველგან გზა შემეკრა მოქმედებისათვის... ბოლოს, სარედაქციოდ მივმართე პროფ. მელიქსეთ-ბეგს. პირველ ნაწილს არც დასჭირდა არავითარი რედაქცია, გარდა ორიოდე სტილისტური შესწორებისა. მეორე ნაწილზე კი ხელაღებით უარი მითხრა: არა, ამ სახით დაბეჭდვა შეუძლებელია. თქვენ მოგყავთ მეორეხარისხოვანი ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ იაკობ ხუცესი კი არა, ლაზარე პარფელი უნდა იყოს ავტორიო; პირველ ყოვლისა, ავტორის სტილის გამორკვევა და შედარებაა საჭირო და სხვა, ეს ჭეშმარიტება ჩემთვის ახალი არ იყო და მე ჩემი ნაშრომის წინასიტყვაობაშივე, თუ არ მახსომს, ტექსტში ვიძლეოდი ამის განმარტებას: უნივერსიტეტში მეცადინეობის დროს მე საშუალება არ მომეცა სომხური ენა შემესწავლა, დრო არ გამწვდა ოჯახურ პირობების გამო, რადგან ერთ და იმავე დროს ვმსახურობდი კიდეც და ოჯახსაც ვუძღვებოდი. ვმეცადინეობდი, ლექციებსაც ვესწრებოდი ორ დარგზე, ისტ. [და] ლიტერატურულზე.

– შეიძლება თქვენ ასი პროცენტით მართალი იყოთ, – მეუბნებოდა მელიქსეთ-ბეგი. მაგრამ კვლევის მეთოდი რომ სტილის შედარებას მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, ეს მეც ვიცოდი და ან რა საკვირველია, რომ ჩემი შრომა სრულიად სამეცნიერო-საკვლეო ღირებულებას მოკლებული აღმოჩნდა: მკვლევარები რამოდენიმე ათეული წლობით სხედან ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ფოლიანტებში ჩაფლულნი, თავისი ცოდნის შევსება-სრულყოფისათვის. მე კი ამის შესაძლებლობა ოჯახმაც მომისპო და გარეთაც გზა შემიკრეს ვაშაყმაძე-კეკელიძესთანა

მესვეურებმა. მელიქსეთ-ბეგმა ისეთ ტრაგი-კომიკურ ფორმაში გამოხატა თავისი აზრი ჩემი ნაწარმოების შესახებ, რომ მე მწარედ მეცინებოდა, ამ სურათს რომ წარმოვიდგენდი; თუმცა მეტად გამწარებული ვიყავი, რომ საყვარელმა შრომამ და სამი-ოთხი წლის აქეთ-იქით წიალმა ამაოდ ჩამიარა... დავიღუპე და წამერთვა ყველაფერი.

მელიქსეთ-ბეგი სახელგამის სეფეკართან შემხვდა; ამ დროს ლ. გასვიანი უკვე ჩამოშორებული იყო, მგონია, ამ საქმეს და ყველაფერი შ. რადიანს ეკითხებოდა. ის, ე.ი. ლ. მელიქსეთ-ბეგი შალვასთან ყოფილიყო მაღლა კაბინეტში, ვერ ენახა და ის იყო, გამოდიოდა სახელგამიდან, რომ მეც შეველ. მივესალმე, ვკითხე. – შალვასთან ვიყავი ეხლა, ვერა ვნახე... აი, თქვენი ნაშრომი აქა მაქვს, პირველი ნაწილი კარგია; მეორე ნაწილის ამ სახით დაბეჭდვა არ შეიძლება... ის რაღაც აფორიაქებული იყო და ზედიზედ იმეორებდა:

– შალვა სად არის, სად არის შალვა! ასე არ ივარგებს. თქვენ უნდა გადაამუშაოთ მეორე ნაწილი.

მე ვუთხარ, გადავამუშავებ, ოღონდ ნუ დამღუპავთ და შალვას ჯერ ნურაფერს ეტყვით-მეთქი. მის მიერ მითითებული ისტორიული წყაროები მოვძებნე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მეორე ისტორიული ნაწილი მონოგრაფიისა ახლად გადავამუშავე და ხელახლა მივუტანე მელიქსეთ-ბეგს. მას გადაეკითხა, შეესწორებინა, სადაც საჭიროდ დაენახა; უმთავრესად იქ, სადაც ციტატების ამონაწერების გვერდი და თხზულების გამოცემის წელი დაზუსტებით არ მქონდა აღნიშნული, რადგან წიგნები ბიბლიოთეკიდან განსაზღვრული დროით მქონდა, ამოწერის დროს ვჩქარობდი (მაგალითად, ასეთი შესწორებები მე-2 გამოცემა ამა და ამ წლისა) და როდესაც მელიქსეთ-ბეგთან პირველად მიველ და სახელგამის მიმართვა მივიტანე ჩემი ნაშრომის რედაქციის შესახებ, ის საკმაოდ ზრდილობიანად შემხვდა და თავისი უკანასკნელად გამოცემული წიგნი „მონოლითური ნაშთების შესახებ“ დაახლოებით 30-გვერდიანი მითავაზა.

მე მადლობა გადავუხადე, რადგან ვიფიქრე, რომ გამოვიყენებდი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მხრივ, ძველი ჰერეთის განმარტებას შევხვდებოდი. სადაც დაბა ცურტავი უნდა ყოფილიყო, სადაც ისტორიული დრამა მოხდა საშუალო საუკუნეთა რელიგიური ფანატიზმის წყალობით. რადგან „მონოლითური ძეგლები აქ, ამ გეოგრაფიულ არეში აღმოაჩინა მელიქსეთ-ბეგმა. ეს წიგნი ამ აღმოჩენის ანგარიშს წარმოადგენდა, როგორც მახსოვს, დააწერა კიდეც თარიღი ავტორმა, წიგნი ისე მითავაზა. მაგრამ ჩემი შრომის გადათვალიერების შემდეგ და კიდევ შემდეგ, როცა მან გადამუშავებული ნაწილი რედაქციაგაკეთებული ჩამაბარა, თან მიწერილობაც დაურთო სახელგამთან, რომ დაბეჭდილ ფორმების კორექტურა მისთვის აუცილებლივ ეჩვენებინათ. ამის შემდეგ ქუჩაში ერთ-ერთი შეხვედრისას მითხრა, ის წიგნი რომ მოგეცით, თუ შეიძლება დამიბრუნეთ, რადგან მეტი ეგზემპლიარი სახლში აღარ დამრჩაო. როდესაც მაძლევდა კი, ასე მითხრა, – პირველად თქვენ გაძლევთ, ჯერ არავისთვის მიმიციაო. მე კი ეს საქციელი ასე ავხსენ.

შეიძლება იგი ვისმეს გაელაპარაკა ჩემი გამოკვლევის, ანუ უკედ ვთქვა, ჩემს მიერ ამ ნაშრომში წამოყენებული პრობლემის შესახებ. მაგალითად, თუნდ პროფ. ივ. ჯავახიშვილს; მოისმინა მისი აზრი... (ეჭვი მაქვს, რომ მკვლევართა შორის ჩემს მიერ წამოყენებული საკითხი ისე იქნა გაგებული, როგორც ნაციონალური კულტურის დაუფასებლობა, პირად ინტერესებით პროფანაციის ცდა და ამგვარი) ერთი სიტყვით, მე ვერ აველ მკვლევარის სიმაღლემდე და ჩემი ნაშრომიც დარჩა გამოუქვეყნებელი იმ სახით, რა ფორმებშიც შევძელ მისი დამუშავება ჩემთვის შესაძლებელ ფარგლებში.

(მაგრამ ჩემი ოთხი წლის „წამება“ ამით არ ამოწურულა!) რადგან უნივერსიტეტის ასპირანტურაში არ დამიშვეს სამუშაოდ და ვცადე, მუზეუმის ხელთნაწერების განყოფილებაში მემუშავნა, ინგოროყვასთან ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა; მათი წაკითხვა-გადათვალიერების ნება ვითხოვე. კოტეტიშვილი იყო მაშინ დირექტორი მუზეუმისა. მან ნება დამრთო, მაგრამ მ. ბარამიძემ არ დამიშვა...

– ხელთნაწერებს ყველას ვერ ვანდობთ, თქვენ იქ ვერც გაერკვევით; მათი ტექსტები დაბეჭდილიც არის და მითი ისარგებლეთო (თუმცა კოტეტიშვილმა მითხრა, თუ ბარამიძემ უარი თქვას, ისევ ჩემთან მოდიო, მაგრამ მე დაბეჭდილ ტექსტებს მივმართე ამდენი აქეთ-იქით წყვეტებით მოღლილმა და ისინი გამოვიყენე მეორე ნაწილის გადამუშავების დროს. ბარამიძეს ჩემი ნაშრომი, – ვგონებ, ორივეს დედააზრი იცოდა – წაკითხული ჰქონდა და, რა თქმა უნდა, მეცნიერული სიმაღლიდან დაჰყურებდა მათ.

სახელგამსა და ცეკას გადაეწყვიტათ, რომ ჩემი გამოკვლევა მართებული იქნებოდა უნივერსიტეტთან არსებულ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს გამოეცა. გადაუგზავნეს კიდეც მიმართვა. ამის შესახებ მე მიველ, რა თქმა უნდა, მიმართვით ხელში, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი ნაშრომი სრული „მეცნიერული“ ღირსებისა არ იყო და უფრო ლიბერალურ-მონოგრაფიული ხასიათისა იყო და, ამიტომ სახელგამს მივმართე-მეთქი, გამოსაცემად. მაგრამ შალვაც ეშმაკის ცხენს შეჯდა და მალე ინსტიტუტმაც დამიბარა და უწყება მომცა, რომ ჩემი ნაშრომი არ დაიბეჭდება ინსტიტუტის გამოცემაში. რა თქმა უნდა, ეს ცნობა ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, რადგან იმავე კეკელიძე-ბარამიძეს შეფასებიდან ვიცოდი, მეტი არაფერი გამოვიდოდა. მეორე შრომაც მქონდა წარდგენილი, რაც ბერძენიშვილისთვის გადაეცათ სარეცენზიოთ. ბერძენიშვილს ერთ თაბახზე გაეჭრელებინა რეცენზია. მიწუნებდა ნაშრომს, მაგრამ თვით მისი „ნაშრომი“ ჯერ არავის წაუკითხავს – არც კარგი, არც ცუდი და ეხლა ვნანობ, რათ ვაძლევდი ყველას წასაკითხად ამ ჩემს ნაწერებს!

ორი მოხსენებითი ბარათი დავწერე სტალინთან. ერთი თბილისიდან გავაგზავნე, ერთიც მოსკოვში ნაცნობს გავატანე ფოსტაში ჩასაგდებათ. მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე: ჯერ ამბობდენ, სტალინთან ვინც საჩივარს გზავნის, ყველას კითხულობსო; მერე კი: აქვე იჭერს ბერია, მოსკოვშიც თუ კრემლში ხელზე არავინ გადასცა, არაფერს უშვებენო, ვისაც რა გაუჭირდა, ყველამ მისწერა და

სადა სცალიან სტალინს ასეთი საკითხებისთვისო.

ამ მოხსენებაში ვთხოულობდი: რაკი ასეა, სომხეთში წასვლის საშუალება მოეცათ, რომ ადგილობრივ შემესწავლა ძველი სომხური (იქნებ ახალიც) ენა, გავცნობოდი წყაროებს, ამგვარად აქილევსის ქუსლი, რომ მე სომხურ წყაროებს დედანში არ ვიცნობ და სტილს ვერ ვადარებ, როგორც სუსტი მხარე, აღარ იქნებოდა. რაკი თხოვნაც ხმათ უდაბნოსა შინა მღაღადებლისა დარჩა, ვიფიქრე, აქ, თბილისში, სომხური კულტურულ-სამეცნიერო ძალები არიან, მივმართავ-მეთქი. გავიგე სომხური მწერალთა კავშირის თუ სექციის მისამართი, იმავე შენობაში ცხოვრობდა სომეხი ისტორიკოსი თუ პროფესორი სახელად არშავირ (გვარი დამავიწყდა). მასთან მივედი, გავეცანი, მოკლედ ვუამბე ჩემი განვლილი მუშაობის შესახებ, გავაცან გეგმა, რომ ჩემს მიერ წამოყენებული პრობლემა ხსენებული ძეგლის ავტორის ვინაობის შესახებ შეიძლება მართალი გამოდგეს, თუ საშუალება მომეცემა ეს საკითხი სათანადო წრეებში დავსვა-მეთქი... რომ მე სურვილი მაქვს სომხეთში წავიდე, მოკლე ინფორმაცია გავაკეთო აღებული პრობლემის შესახებ; თან დავურთე, რომ ეს არ იქნება ნაციონალური კულტურის ღალატი, როგორც იქნებ ზოგნი ფიქრობენ, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ გათიშვის ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ავტორის სახელნატყუარობა, რომ სწორედ სოციალიზმის ეპოქაში უნდა მივუთითოთ იმ ღრმა ჩამარხულ ფესვზე, რომელმაც წარმოშვა ამ ორ მოძმე ერთა შორის ისტორიული ანტაგონიზმი; რომ ეს ჩემი ნაშრომი ერთგვარი პროექტია ანტი-რელიგიური და ანტი-შოვინისტური მხატვრული ნაწარმოებისათვის, თუ გარემოება ხელს შემიწყობს, ამ ჩემს მიერ განზრახულ სამუშაოსათვის პირობები შემექმნას.

ის დაინტერესდა ამ საკითხით და მითხრა:

– ამ დღეებში სომხეთში მივდივარ, მაგ საკითხს დავაყენებ განათლების კომისართან და რომ თქვენ სომხეთში ჩასულიყავით, კარგი იქნებოდაო და სხვა.

დანიშნულ დროზე მიველ პასუხისათვის, მაგრამ მითხრა, ვერა ვნახეო და შემდეგი დრო დამინიშნა. უკვე ზაფხული იყო. შემდეგ ნახვა გამიძნელდა. ბოლოს, სახლში მივასწარ, რედაქციაში ბევრი ვიცადე, ერთხელაც ვერ ვნახე, ალბათ წასულიყო.

საბოლოო პასუხის გაგება მინდოდა და თავი გამოვიდე. ვიცადე, სანამ ვნახავდი. მიველ რამოდენიმეჯერ. ამასობაში შეიძლება მანაც იკითხა აქეთ-იქით ჩემს შესახებ და გაიგო, რომ მე ეხლა ქართველი მწერლების პირველ რიგში არა ვარ ცნობილი. იმ ხანად სახელგამს ჯერ საბოლოო უარი არ ეთქვა ჩემი ნაშრომის გამოცემაზე და ვფიქრობდი, სომხური ისტორიული დარგის წრეებში ჩაბმა-მეცადინეობა ზურგს გამიმაგრებდა და იქნებ, აქაც გამოიცეს-მეთქი; გარდა ამისა, ოჯახიდან შორს წასვლა საშუალებას მომცემდა, მთლიანად ჩავბმულიყავ განზრახულ მუშაობაში, თუ ხელის შეწყობა მექნებოდა. მაგრამ ეს არშავირიც ბოლოს ვირზე შეჯდა და უარით გამომისტუმრა. მხოლოდ ეს უარი კურიოზულ ფორმებში მოხდა.

როგორც ვთქვი, ზაფხული იყო, როდესაც მე მასთან უკანასკნელად მიველ საშინელ სიცხეში. ის ალბათ ისვენებდა, სტავნები დახურული ჰქონდა, მაგრამ... გვერდზე რედაქციაში მითხრეს, მგონი შინ არისო. მივუკაკუნე კარზე თუ ფანჯარაზე რამოდენიმეჯერ და ვიცდი აივანზე. წინა მოსვლიდან ვიცოდი, რომ ის მარტო იყო და ოჯახი საზაფხულოდ ქალაქიდან გაეხიზნა; მაგრამ ეხლა, დიდი ფათურის შემდეგ, ჯერ სტავნა გამოიხსნა, ალბათ გამოიხედა, მაგრამ ოთახში კი არ მიმიღო, არამედ აივანზე გამოვიდა. მივესალმე, შევეკითხე. მითხრა, ჯერ ვერაფერი გავარიგეო, თუ რაღაც ამდაგვარი. მეორე, არა ქუჩიდან, შემოსასვლელ კარებიდან გამოვიდა ქალი შუახნისა, თავზე შლიაპა დახურული, ხელში რედიკულით და არშავირი მეუბნება, ჯერ აი, ამ დამასთან მაქვს საქმეო. მე ვუთხარი, ბოდიშს ვიხდი, თუ უდროოდ შეგაწუხეთ-მეთქი, მაგრამ თქვენ რომ შემპირდით, მინდოდა ეს მუშაობა ჩამეტარებინა, ვიდრე ნაშრომი დაიბეჭდება, დრო მიდის-მეთქი.

– ჰო, და აი, როდესაც დაიბეჭდება, მაშინო.

აქაც საქმე წამიხდა... ხელი გავუწოდე...

– უკაცრავად, მშვიდობით ბრძანდებოდეთ-მეთქი.

მე მისი ხელი უწმინდურად მეჩვენა, მისი საქციელი არაწრფელი იყო. შეიძლება მეც მას ასე ვეჩვენე. მაგრამ ნეტაი, არ გამეწოდნა... რა საჭირო იყო ფარსი – იმ ქალის გამოსვლა, რომელიც მისივე ოთახიდან, არ მახსოვს, ამაზე ადრე თუ შემდეგ გამოვიდა.

ასეთი კამფუზით დასრულდა აქაც ჩემი ამბავი. ამაოდ დავშვერ აქაც.

და აი, ეხლა, როდესაც ყველა ამაოდ საქმიანობის მერე ორმა წელმაც გაიარა, როდესაც მე ნიადაგ გამოცლილი უსაქმურად დავრჩი, დავსნეულდი და ახალ თემებზე მუშაობისათვის არც ხალისი მაქვს, არც ხელის შეწყობა; ხოლო იმ „ძველზე“, რომლებზედაც მინდოდა მემუშავნა, რომლებზეც წინასწარი მუშაობა 1931-32 წლების შემოდგომიდან გაზაფხულამდე ჩავატარე, ხოლო მათ გამოქვეყნებადაბეჭდვისთვის ოთხი-ხუთი წელი ვიწიალე და ყველგან გზები გადამეჭრა, დავრჩი ორ წყალ შუა. არც მატერიალური პირობები მაქვს და არც მორალური წახალისება-ხელის შეწყობა, რომ მე ის მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული სიუჟეტები ახალი გაშუქებით დავამუშაო მხატვრული სახით და დავამტკიცო, ერთი მხრივ, რომ აქტუალური აქ ბევრი რამ არის და, მეორე მხრივ, რომ აქ ეროვნული ინტერესებისადმი ღალატი კი არა, პირიქით, ეროვნული ანტაგონიზმის მხილებაა და იმ ისტორიული ავადობის გამოძებნა და ამოფხვრა, რაც იწვევდა ორი მოძმე ერის ურთიერთისადმი მტრობა-შუღლს.

* * *

როგორი აღგზნებული წყურვილით მივდიოდი უნივერსიტეტში, როგორი უშრეტი ენერგიით ვეწაფებოდი ცოდნის შეძენას; როგორ წმინდა აღთქმად მიმაჩნდა ახალი შუქის აღმოჩენა და მისი გაჩირაღდნება – განგებ დაჩრდილული ჭეშმარიტების გამომჟღავნება ხომ წმინდა მოვალეობაა ყველა პატიოსანი მკვლევარისა;

და თუ მე ვცდებოდი, ჯერ საშუალება მოეცათ, მეთქვა და მერე დაესაბუთებინათ ჩემი შეცდომა.

მე არ შემეძლო მცოდნოდა, თუ რას გულისხმობდა პროფესორი, ისტორიკოსი, როდესაც მან კერძოდ საუბრის დროს მითხრა:

– შეისწავლეთ ძველი ქართული მწერლობა, ბევრი რამ არის იქ საყურადღებო.

მე არ შემეძლო მცოდნოდა, რა ჰქონდა თვითონ მას მხედველობაში, როდესაც სემინარიული მუშაობის დროს მეტად მიმზიდველ შთაგონებით გვიხსნიდა სტუდენტებს ზოგიერთი ისტორიული ფაქტების იდუმალებას და პრობლემატიურობაზე ამახვილებდა...

ჩემთვის უთქვამთ, ეს ერთი სასახელო ისტორიული ძეგლი გვაქვს და ისიც სომხებს დავუთმოთო?! – მე საკითხს სულ სხვა გზით მივმართავ, ე.ი. ლაზარე პარფელი, ჯერ ერთი, ქრისტიანული სარწმუნოების აპოლოგეტია, – სპარსთა ბარბაროსული შემოსევების შესახებ ცნობებს იძლევა. მეორეც, არ ვიცით, თვითონ ეროვნებით სომეხი იყო თუ [არა] პარფელი, როგორც მისი გვარი გვაფიქრებინებს (პარფია სპარსეთის მოსაზღვრე ქვეყანაა და არავინ უწყის მონათმფლობელურ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობა დაჩაგრულთა, მონათა მოსარჩელეობის იდეოლოგია იყო, ჯერ აღმავალი ხაზით მიდიოდა, ვინ უწყის ლაზარე პარფელი რომელ დესპოტიას გამოექცა და საიდან დაემოწაფა მამიკონიანთა საგვარეულოს პატრიარქს სააკ მამიკონიანს...).

ჩვენ არც ის ვიცით, იაკობ ხუცესი, რომელიც „შუშანიკის წამებაში“ მოხსენებულია მისი წამების აღმწერად, რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა. მე-5 საუკუნეში როგორც საქართველო, ისე სომხეთი, ორივე ცეცხლთაყვანისმცემლურ სპარსეთისგან შევიწროებას განიცდიდნენ და ბიზანტიას დახმარებისთვის მიმართავდნენ ხოლმე ქრისტიანობის გასამტკიცებლად, მაშასადამე, ორივე ქვეყნის პოლიტიკური და იდეოლოგიური გეზი ერთგვარი იყო. მხოლოდ მე-7 საუკუნეში ცნობილმა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივმა გათიშვამ გამოიწვია ამ ორი მოძმე ერის ანტაგონიზმი, გათიშვა კულტურული, ე.ი. საეკლესიო მწერლობის გადაკეთება, ისტორიული ფაქტების გაყალბება-დაბნელება და სხვა, რის შესახებ შეიძლება მაგალითებიც მოვიყვანოთ.

* * *

პარალელურად სახელგამთან, ჟურნალ „მნათობშიც“ ვცდილობდი დამებეჭდა ჩემი გამოკვლევა, რისთვისაც არაერთხელ მივმართე ყურულაშვილს, რომელიც მაშინ რედაქტორად იყო ამ ჟურნალისა; მასთან მისვლაც გაძნელებული იყო როგორც მთავრობის კაცთან და არაერთხელ და ორჯელ გამოვბრუნებულვარ მისი სახლის კარებიდან. ერთხელ-ორჯელ მიმიღო კიდეც, მაგრამ მას არა გაეგებოდა რა ამ საკითხზე. მისი მდივნები კი ჯერ ლ. ასათიანი, შემდეგ შ. რადიანი საქმეს მიჭიანურებდენ და ბოლოს, მაინც უარი მითხრეს „მნათობში“ დაბეჭდვაზე. დამქონდა ჩემი ნაშრომი ერთი გამომცემლობიდან მეორეში, და სხვადასხვა პირებთან,

ხან რედაქტორთან, ხან რეცენზენტთან, ხან რექტორთან, მაგრამ დარისპანის კა-როჟნასავით ბედი ვერ გაეხსნა... ასე იყო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, 1932-დან 1935-1936 წლამდე.

არა ერთ კრიტიკოსსა და ლიტერატურის მცოდნეს უთქვამს ჩემთვის: „თქვენ შეგიძლიათ მისცეთ კაცობრიობას უკვდავი ნაწარმოებიო“, „თქვენ ქალობა გიშლით, თორემო“ და სხვ. აი ასე დავრჩი ორ წყალ შუა. ჩემს ძვირფას მასწავ-ლებელს ალბათ შევაძულე თავი, როგორც ეროვნულ-ისტორიული განძის პირადი ანგარებისათვის გამოყენების მსურველმა; მწერალთა კავშირისა და სახელმწიფო გამომცემლობის მესვეურთა შეხედულობით მე ამ არავისთვის საჭირო არააქტუა-ლურ თემას დავებღაუჭე და სხვას არას ვაკეთებდი მწერლობაში; ოჯახური საქ-მეებისათვისაც ხშირად უსარგებლო ვიყავ; არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ რძე გადმომსვლია, ან საჭმელი დამიმლაშებია და ჩემი მეუღლე მისაყვედურებდა ხოლმე.

– შენ სხვა რამეზე ფიქრობ და იმიტომ გემართება ასეო.

მართალიც იყო, ხშირად, როდესაც იატაკის საწმენდი მეჭირა, ან ვგვიდი, მიფიქ-რია იმაზეც, თუ რა უნდა მეკეთებინა იმ დროს, რომ წერის საშუალება მქონოდა; ბევრი ძვირფასი ნააზრევი დავკარგე ამგვარად. მე ახლა ამომქრალი წიაღივით დავრჩი... რამდენი ცეცხლი იყო ჩემში?! წარმოვიდგინოთ, რომ მე ეხლა დავწერე დრამა ან სცენარი, ან რომანი სახელად: „ორ წყალ შუა“; თუნდაც ის მხატვრული ფორმითაც და იდეოლოგიურადაც რომ ასი პროცენტით გამარჯვებული გამოვიდა, ვიქნები კი ბედნიერი?

– არა, აღარ ვიქნები... ეხლა მე აღარც სახელი მიზიდავს, აღარც სიმდიდრე.

ზევით ვწერდი, რომ მაგალითების მოყვანა შეიძლება ძველი ქართული მწერ-ლობიდან იმის შესახებ, თუ რამდენი სიყალბეა შეტანილი და დაბნელება ისტორიულ ფაქტებში; სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ გათიშვის ნიადაგზე – თუნდაც „წმინდა ნინოს ცხოვრება“, ანუ წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი. უკვე დამტკიცებულია, რომ ეს თხზულება მე-9 საუკუნეშია დაწერილ-გავრცელებული, რათა ქართული საეკლესიო მწერლობიდან გრიგოლ სომეხთა განმანათლებე-ლი ჩამოეშორებინათ, რომელსაც ქრისტიანობა უქადაგნია როგორც სომხებს, ისე ქართველებს შორის, და რომ ქართველთათვის სხვა მქადაგებელი შეექმნათ, ამი-ტომ შეუქმნიათ წმინდა ნინოს შესახებ მითი, ანუ ზეპირი თქმულება...

თუ ეს ჩაიდინეს, რატომ ვერ ჩაიდენდენ იმას, რომ „შუშანიკის წამების“ ავტო-რობიდან სომხური საისტორიო წყაროების ავტორის სახელი ამოეფხვრათ?!

15/VI 35 წ. მწერალთა სასახლეში თურქ მწერლებთან შეხვედრის საღამოა. მოხსენებას აკეთებს ერთ-ერთი თურქი მწერალი, რომლის ზოგადი მიმოხილვა თურქული მწერლობის შესახებ საკმაოდ საინტერესო შინაარსისაა და მომხსენებ-ლის ერუდიციას ამჟღავნებს.

პრეზიდიუმში სხედან ორი ახალგაზრდა თურქი მწერალი ქალიც.

წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები, ლექსები და სხვ. თურქი მწერლების დეკ-

ლამაცია იმდენად სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, რამდენადაც ფიქრობ, რომ ეს კულტურული ურთიერთგაგება საწინდარია წარსული საუკუნეების შუღლის, მტრობისა და სისხლისღვრის სამუდამოთ უარყოფისა და ახალი მეცნიერული სოციალიზმის, კულტურული თანამშრომლობისაკენ მოგვიწოდებს. ახალგაზრდა თურქ ქალს სულ უბრალოდ და თავისუფლად უჭირავს თავი, სხვათა შორის, ისიც დგება და კითხულობს თავის ლექსს, სადათ და თამამად.

ჩვენი მსახიობი ქალები, რომლებიც აგრეთვე იქვე გამოდიან და თურქი პოეტების ლექსებს კითხულობენ, არა სტოვებენ კარგ შთაბეჭდილებას თავიანთი სახის მიმიკით, რა საჭიროა ეს არა ბუნებრივი სანტიმენტალური პრანჭვა პირი-სახისა.

ბაბილინა ხოსიტაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ბაბილინა ხოსიტაშვილის არქივი, ხელნაწერი № 20779

ლიდია მამულაიშვილი - მეგრელიძე

1883-1968

ქართველ მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

თანამედროვე დუხჭირმა ცხოვრებამ სხვა მრავალ საკითხთა შორის საშინელი სახით წარმოაყენა დღეს მშრომელ ქალთა მდგომარეობა ჩვენში, რასაც გულგრილათ უცქერიან სხვათა შორის, ჩვენი ჟურნალისტებიც. მართალია, გასულ წელს მრავალი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვეს ქართველ ქალთა შესახებ, ბევრი კეთილი აზრებით მოჰფინეს მათი სავალი გზა, მაგრამ ყველა ეს ეკუთვნოდა საზოგადოების ზედა პირს და არსებითად არავინ შეხებია მშრომელ ქალთა მდგომარეობას ჩვენში, არავის აღმოუჩენია ის ჯადოსნური გასაღები, რომლის საშუალებითაც უნდა დაენახვებიათ მათთვის მომავალ ცხოვრების ბრწყინვალე განთიადი.

დღეს ყველა ხედავს, რომ სქესობრივ მონობაზე დამყარებული საძირკველი შეირყა; თანამედროვე ცხოვრებამ წარმოშვა პიროვნებათა თანასწორობის იდეა. დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ქართველ დედაკაცს ჩვენში, რომელსაც თუ შეგნებით არა, ინსტიქტიურათ მაინც არ ჰქონდეს ძვალ-რბილში გამჯდარი სურვილი მამაკაცებთან გათანასწორებისა. დღეს ყველა შეგნებული შრომის მოყვარე დედაკაცი ცდილობს მისი შრომა ფასდებოდეს, ოჯახში იქნება ის თუ ოჯახს გარედ. ერთი სიტყვით, დღეს დიდძალ ქართველ ქალებს ღრმა სურვილი აქვთ, რომ სთქვან: ბედნიერი ვარ, საკუთარი შრომის ნაყოფით ვსტკბები და საკუთარი აზრით ვმოქმედობო, მაგრამ სამწუხაროდ ეს სურვილი უხმაუროდ [...] მრავალ კეთილგრძნობიერ ადამიანთა გულში. მართალია, მასიურათ საფუძველი შეირყა, მაგრამ ქართველი მშრომელი ქალი სწორედ დღეს განიცდის უმწვერვალეს სულიერ ტანჯვას: ახლა ასე ყოფნა შეუძლებელია, ახალი ცხოვრებისკენ კი გზა დახშულია და დამცირებით და გაჭირვებით ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს.

ქალთა მშრომელი მასა იყოფა ორ ნაწილათ. პირველნი შესდგებიან ოჯახის ბურჯ დედათაგან, მეორენი კი ოჯახის ზედმეტ ელემენტებისგან. მიუხედავათ ფართე სურვილისა, პირველნი ეწევიან ისევე მონურ ცხოვრებას. დილით საღამომდის ციბრუტივით ტრიალობენ ოჯახში, მაგრამ მათი შრომა მაინც უმნიშვნელოდ მიაჩნიათ და არც გასაკვირია: მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კერძო საკუთრების იდეით გაჟღენთილი მამაკაცები, დედაკაცს და მის ნაშრომსაც თავიანთ საკუთრებათ სთვლიან. თანაც ყოველ ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოაღებიონ მის ოჯახის სასარგებლოთ. ამას უკარნახებს დღეს დიასახლისებს არა მარტო მამაკაცები, არამედ თვით მათი ოჯახური გაღატაკებული ცხოვრების პირობებიც და ხშირად ქმრებისკენ გაწვდილი ხელიც კი რაიმე საკუთარ მოთხოვნილებისათვის დაბლა ეშვება და სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. რაღა ემართებათ ქალთა იმ დიდ ჯარს, რომელიც ოჯახის ზედმეტ ელემენტებისგან შესდგებიან? იქნება მითხრას ვინმემ, „სად არის ქართველ ქალთა ასეთი უსაქმური ჯარიო“. მე კი

ამის დასამტკიცებლად მომყავს შემდეგ ადგილებში შეკრებილი ცნობები, ე.ი. სუფსაში, ნატანებში, ოზურგეთში, ჩაქვში, ლანჩხუთში და სამტრედიაში.

გასულ წელს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და სამტრედიის საპარკე ფარდულებში და პარკის საწმენდ მანქანებზე მუშაობდა 188 დედაკაცი, ნატანებსა და სუფსაში კი 1913 წელს მუშაობდა 62 ქალი ისეთივე საპარკე ფარდულებში. ამავე წელს ჩაქვში, ჩაის დამკრებნი იყვნენ 300 ქართველი ქალი. ეს მომუშავენი ყველა ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგებიან. ჩაქვში კი უმეტესი ნაწილი გურიიდან იყვნენ. მე დანამდვილებით გამოვიკვლიე, რომ დასახელებულ ადგილებში (ჩაქვის გამოკლებით) აღნიშნულ რიცხვზე ათჯერ მეტი მაინც არის მუშაობის მსურველი. თუ ამ ცნობილ ადგილების მიხედვით გადავხედავთ ჩვენ დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეს, ე.ი. დაბა-სოფლებს, და ამას დაუმატებთ ქუთაისს, სადაც დიდძალი უსაქმოდ დარჩენილი ქალი მოიპოვება და კიდევ თუ ვიგულისხმებთ, რომ აღნიშნულ სააბრეშუმე ქარხნებში ერთ დროულათ მუშაობენ და არა წლიურად, მაშინ ჩვენს თვალწინ წარმოიშლება დიდძალი ნამუშევარი ქართველ ქალთა ჯარი, რომელნიც წლიდან წლამდე გულ-ხელ დაკრეფილი ბედს ელოდებიან, ოჯახი მათ ვერ აკმაყოფილებს, რადგან ისინი, ასე ვთქვათ, ოჯახის ზედმეტნი არიან. მაშ, რა ქნან ამ ქალებმა? სამშობლოს საზღვრებში არ მოიპოვება მათთვის არავითარი განსაკუთრებული სამუშაო დარგები. საქართველოს ტერიტორიაზე მათ შრომას არა აქვს ბაზარი. მაშ, სად წავიდნენ, ვის მიმართონ?

მოხუც დედაკაცს სურს მყუდრო ოთახი, მყუდრო საცხოვრებელი ბინა, რათა მოასვენოს მოქანცული სხეული. ახალგაზრდებს კი უნდათ თავისუფალი ოჯახი და თანასწორი ამხანაგი, ანუ მეუღლე, რომ შექმნან ახალი ცხოვრება და მოიპოვონ ადამიანური უფლება და პატიოსანი სახელი. მაგრამ სად არის ან ერთი, ან მეორე?! პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრების პირობებმა კაცები ჩვენში გაანადგურა. შეიძლება ეს ქალაქებს არ ემჩნეოდეს, მაგრამ აივლით სოფლებს და ორ ოჯახს ვერ შეხვდებით ისეთს, სადაც ორი ახალგაზრდა მამაკაცი მოიპოებოდეს; თუ ერთი დაცოლშვილებული, ოჯახურ ჭაპანწყვეტას ეწევა, მეორე უსათუოდ გადაკარგულია სადღაც ლუკმა-პურის საძებნელათ, ან გადასახლებულია სამშობლოს საზღვრებიდან, ან სამხედრო ბეგარის მოსახდელათ არის გაწვეული. ახალგაზრდა ქალები კი თითქმის ყველა ოჯახიდან გამოგეგებათ, ვითარცა ეზოს დამამშვენებელი ლამაზი ფრინველნი, რომელნიც მოთმინებით გაიყურებიან მომავლისაკენ, მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და მოთმინების ფიალაც ივსება.

იქნებ ვინმემ იფიქროს, სოფლის ქალს რა უჭირს, ამუშაოს ყანა, ბაღჩა და იცხოვროსო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს ქალებს არა აქვს ისეთი იარაღი და არც ცოდნა, რომლის საშვალებით კულტურულ ქვეყნების ქალები მეურნეობას ეწევიან. თოხით და ბარით კი ჩვენი ქვეყნის ნაზ ჰაერზე სათუთად აღზრდილი ქალები ვერაფერს გახდებიან, მათ არ შესწევთ საამისო ძალა.

ქალაქის უმუშევარ ქალთა ცხოვრება კი უფრო საშინელებით არის მოცული. მათ არა აქვთ ბინა, არა აქვთ პური. იძულებული ხდებიან, დილით საღამომდი ქუ-

ჩაზე აცეცონ შიმშილით მიბნედილი თვალები. აბა, რა გასაკვირია, ასეთმა ადამიანებმა რომ გადალახონ ყოველივე მორალური საზღვრები და უნებლიეთ გასთელონ თავიანთი ადამიანური ღირსებები. დღეს ორი კითხვა დგას ქართველ მშრომელ ქალთა წინაშე: ან შიმშილით სიკვდილი და პატიოსანი სახელი, ან სიცოცხლე და ყოველგვარი დამცირება-გარყვნილება. ორში ერთი. ორივე საშინელია...

სიკვდილის არჩევა არც თუ ადვილია. ინსტიკტი მუდამ სიცოცხლისკენ გვეპატიჟება; განუკურნებელი ავადმყოფიც, კუბოს კარამდის სიცოცხლეს შენატრის. მაშ, ამ ძვირფას სიცოცხლეს ვერავინ დასთმობს თავის ნებით. კითხვა გამორკვეულია: ქართველ ქალთა თვალსაჩინო ნაწილს დაღუპვის გზა ითრევს. ეს მოვლენა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ არ შეიცვალა დღევანდელი ცხოვრების პირობები, რომ გადაგვარჩინოს ამ საშინელ მონობას, გონებით დაცემას და სულიერ გათახსირებას?! ვინ მოგვცემს ამაზე პასუხს?

მახსოვს გასული წლის განგაში, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია სამების სახელით მოუწოდებდა ქართველ ქალებს: „ნუ დაღუპავთ ღვთისმშობლის წილხდომილ საქართველოს, მიბაძეთ ნინოს, თამარს და ქეთევანსო“.

ზოგიც ასე ინუგეშებდა თავს: „შორს აღარ არის ის დრო... ჩვენც მოგვევლინება ახალი დროის წმინდა ნინო! და სხვ. სწორედ გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ არ გაეცინოს! რამდენი ნინო და თამარი შეიძლება მოევლინოს საქართველოს, რომ გვიხსნას განსაცდელისაგან და აგვამაღლოს ქართველი ქალები დედობრივ სიმაღლემდე. ამ ოცნებით შეუძლია დატკბეს მხოლოდ მეოცნებეს, ხოლო მე დღევანდელი სინამდვილე მაწუხებს და მაღონებს, თუმცა იმედს ვერ მიკარგავს, პირიქით, მწამს დიადი მომავალი საზოგადოთ კაცობრიობისა, სადაც თავისი ხვედრი ქართველ ქალებსაც ექნებათ, მაგრამ... მაგარი ისაა, რომ ნათქვამია, „პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გააძვრესო“. შორეულ ბედნიერებაზე ფიქრი დღეს ვერავის დააკმაყოფილებს, ქართველ მშრომელ ქალთა ცხოვრება დღესვე საჭიროებს მოწესრიგებას. როგორ და ვინ უნდა მოაგვაროს ეს საქმე? ამაზე შემდეგ.

* * *

წინა წერილზე მე დავსვი კითხვა, თუ ვინ უნდა მოაწესრიგოს მშრომელ ქალთა ცხოვრება ჩვენში. რომ ეს საკითხი უფრო ნათლათ გავარკვიოთ, პირველ ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ ჩვენ: ვინაობისთვის არ კმარა სახელი, გვარი, ან წოდება. არც ის, რომ უმუშევარნი რამდენია ჩვენში. ის, რომ ოჯახში უსიამოვნოთ ვცხოვრობთ, არც ის, რომ შიმშილით მიბნედილ თვალებს ქუჩაზე ვაცეცებთ. არა, ყველა ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ადგილი გვიჭირავს თვით ცხოვრებაში, ე.ი. ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულება და ჩვენი მოქალაქეობრივი უფლება.

როდესაც ჩვენს წვრილ მესაკუთრეთა ოჯახში უმრავლესობა ქალები გაჩნდებიან, მშობლები მოწყენილი და საყვედურის კილოთი ამბობს: „რა უყოთ, ღმერთმა ასე ინება და ასე მოგვეცაო“. რატომ ათი ვაჟი რომ ეყოლოს, ასე არ იტყვიან? ადვი-

ლი მისახვედრია: ქალის ცხოვრება მეტად უკუღმართათ არის მოწყობილი. ჯერ კიდევ მამის ოჯახშივე უპირატესობას აძლევენ ვაჟს. ვაჟს ეძახიან ოჯახის ბურჯს, ქალს კი ისე უყურებენ, როგორც დროებით სტუმარს, წამსვლელს. კეთილი და ლმობიერი დედა კიდეც ერიდება მას: ვაიმე, შვილო, არაფერი ვაწყენიოთ, გულნაკლული არ წავიდეს ოჯახიდანო. ოჯახის უფროსი მამაკაცი, ძმა არის ის თუ მამა, მუდამ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაათხოვოს მისი ქალი და როგორ მოიშოროს ეს მძიმე ტვირთი თავიდან. ზოგიერთ კაცს რომ კითხოთ ჩვენში, რამდენი შვილი გყავსო, თუ ორი ვაჟი ყავს და ორი ქალი, გულუბრყვილოდ გეტყვის: „ორი შვილი მყავსო“, თუ ერთი ვაჟი ყავს და ხუთი ქალი, სიცილ-ხარხარით გეტყვის: „შვილი ერთი მყავს, მჭამელი კი ხუთიო“. ეს სიტყვები სავსებით დამახასიათებელია დღევანდელ ჩვენი წვრილი მესაკუთრე საზოგადოებისათვის. ჩვენ ხალხს უყვარს „განწმენდილი“ ოჯახი, ესეიგი რაც მას ეკუთვნის: ცოლი, ძროხა და ხარი და კიდევ წვრილი შვილი. უკანასკნელის წინაშე ის პასუხისმგებელია, ვიდრე წლოვანებამდე. უკვე წლოვანი ქალი და მოხუცი, შრომის უნარმოკლებული, ჩვენებურ ოჯახში, ისე ვსთქვათ, უფლება შელახული პიროვნებანი არიან. თუ იცხოვრებთ სოფელში და ჩაუკვირდებით ჩვენს დაბეჩავებულ მესაკუთრეთა ფსიხოლოგიას, მაშინ ჩემი სიტყვები არც თუ უცხო იქნება.

ამის გამო თვით გასათხოვარი ქალებიც ვერ არიან ოჯახში წრფელი. ცალი თვალით თუ დედ-მამას შესცქერიან, მეორე თვალით – ვიღაც შორეულს. თუ ახლოს ვერ მისწვდენ, შორიდან მაინც ეალერსებიან, მაგრამ ამისთვის მათ ვერ დავძრახავთ, რადგან ეს ყველა ასაკში მოსულ ქალ-ვაჟთათვის ბუნებრივი კანონია. მისწვდება ყველა თუ არა ამ მის სურვილს, ისარგებლებს თუ არა იმ ბუნების კანონით, ამაზე ლაპარაკი აქ უადგილოთ მიაჩნიათ, ხოლო ვინც გახდება „ბედნიერი“ ქმრისა და ოჯახის ხსოვნის, ის ქალწულებასთან ერთად კარგავს იმ პაწაწინა უფლებასაც, რომელიც მას მამის ოჯახმა უთავაზა, ე.ი. თავისუფლების მოგვარებას კერძო ცხოვრებაში და გრძნობის სიუხვეს. ეკლესიაში ფეხის შედგმისთანავე ეუბნებიან მას: „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ ქმარი არს თავი ცოლისა“. იქნება მამაკაცებსაც ასე ეუბნებიან? სრულიადაც არა. პირიქით, მათ მხოლოდ რჩევას აძლევენ. „ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისი, ვითარცა თავი თვისი“. ქალს კი გადაჭრით უბრძანებენ, „ხოლო ცოლსა გეშინოდეს ქმრისა“. თუ რამდენათ ხორციელდება ეს ცხოვრებაში, ეს სხვა კითხვაა, მაგრამ რა სასტიკი შეურაცხყოფაა ადამიანის, როდესაც მისი თავის მაგიერ სხვის თავს იდგამენ კისერზე! ამით უხმობენ მას საკუთარ აზროვნებას და უბოჭვენ თავისუფალ გრძნობას, სიყვარულის და პატივისცემის ნაცვლათ ლამობენ შიშით და რისხვით მის დამორჩილებას!

აი, ასეთია ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება და შეხედულება დღეს ქალზე. იქნება სამოქალაქო და სახელმწიფო კანონმდებლობაში აქვს ჩვენს მშრომელ ქალებს სანატრელი ადგილი? სწორედ უდიდესი უბედურებაც ეს არის, რომ აქედან ჩვენ სრულიად განდევნილი ვართ. მართალია, არც მუშა მამაკაცებია ამ მხრით კარგ დღეში, მაგრამ ჩვენ სავსებით გამოსხლეტილი ვართ იმ ნამცეცებსაც, რაც მათთვის მიუციათ. სახელმწიფო დუმა, სამოქალაქო და სოფლის მართველობა და სხვა

ჩვენთვის უცხო ხილია. იმ საოცნებო კაბინეტში ჩვენ არ გვახედებენ, სადაც ჩვენს ბედს ჩვენდა დაუკითხავათ სწყვეტენ. ჩვენ არ გვაქვს საშვალება ამ საგანზე დაწვრილებით ლაპარაკისა, თორემ ბევრი რამ შეიძლებოდა გადაგვეშალა.

ამნაირათ უფლება-თვითმოქმედება ჩამორთმეული შინ, ყოველივე უფლება არც ოჯახს გარეთ. სხვისი შემჩერე შინ, სხვისა შემჩერე გარეთ, აი, მოკლე სურათი მშრომელ ქალებისა ჩვენში. გვეტყვით, ეს ასეა რუსეთშიცო, მაგრამ ჩვენსა და მათ შორის განსხვავებაც არის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პირველ წერილში, რომ ჩვენში მრეწველობის განუვითარებლობაა და სამუშაოს უქონლობა კიდევ უფრო მონათ ხდის მშრომელ ქალს. არაა დამოუკიდებლობა და არ ვითარდება მოქალაქობრიობა. ამას გარდა, ჩვენ ქართველ მშრომელ ქალებს ერთი გარემოებაც გვიხუთავს სულს. ეს არის ნაციონალური კითხვა, ამ მხრით ჩვენი მოკავშირე რუსი მუშა ქალი თავისუფალია. მისთვის ფართეა და სწორი ყოველი კუთხე უზარმაზარი რუსეთის იმპერიის, მისი ენა თავისუფალია [...გან]: სახელმწიფოში, სასამართლოში, სამოქალაქო და საერობო დაწესებულებაშიაც.

არა თუ მთელ იმპერიაში, ჩვენშიაც ჩვენი ენით შორს ვერ მივდივართ. დაგვრჩენია ჩვენს ლამაზ სამშობლოში მხოლოდ ორი ნაბიჯი მიწა, მიწა ჩვენი ეროვნული სახის და სულის მიმცემი და ამ მცირე მიწათმფლობელობაშიაც ქართველ მშრომელ ქალებს არავითარი წილი არ უძევს. და არც მაინც და მაინც ვებღაუჭებით მას, ამის მიზეზია ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ენა და კიდევ ის, წასავალი არსად გვაქვს ან სად უნდა წავიდეთ ჩვენი მიწის გარედ? აი, რა საშინელი დაბანდული რგოლის ჯაჭვია ჩვენს გარშემო, აი ვინ ვყოფილვართ ჩვენ, უუფლებო, უენო, ზნე-ჩვეულებათა მონა, ქონებით ღატაკი, აი რა ადგილი გვიჭირავს ცხოვრებაში და თუ კიდევ მოიძებნება ჩვენში რაიმე სულიერი სიამაყე, ეს მხოლოდ მომავლის იმედია, რაც ჩვენში გააღვივა მუშათა კლასის გამოსვლამ, რომელმაც აგვინთო კაცობრიობის წმინდა ლამპარი, საითკენაც უნდა მივაპყროთ მთელი ჩვენი მხედველობა.

* * *

როგორიღა არის მუშის სულიერი განწყობილება დედაკაცთან?

თუ წვრილი მესაკუთრე ისე უცქერის ქალს, როგორც მის საკუთრებას და არავითარ ანგარიშს არ უწევს მის სულიერ მოთხოვნილებას, და კიდეც ამაყობს მით, რომ მის ცოლს მისკენ აქვს ორივე ხელი გაწვდილი საარსებო ლუკმისთვის, ქალაქის მუშა პირიქით ეწინააღმდეგება ქალთან ასეთ დამოკიდებულებას. მას სძულს მისკენ ხელგაწვდილი მეუღლე. მუშას თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება უყვარს, ის განდევნილია ყოველგვარ კერძო საკუთრებიდან და ისიც აღარ უბრუნდება იმაზე ფიქრს. ის უკვე შეურიგდა იმ აზრს, რომ წვრილ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში მას არაფერი წილი არ უძევს. მისი არსებობა დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ მისივე ძალ-ღონეზე, რომელიც გააქვს ბაზარზე გასაყიდათ, და რასაკვირველია, ასეთი ადამიანები ვერ იყოლიებენ მონებს, ვერ იყოლიებენ მისგან დამოკიდებულ ოჯახობას, მისი მეუღლე იმავე კერძო და მოქალაქობრივ უფლებით

უნდა იყოს აღჭურვილი, როგორითაც თვითონ არის. ის უნდა იყოს შეგნებული და გამოსადეგი კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, ამხანაგი, რომელსაც შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, მის დამოუკიდებლათაც იცხოვროს. მხოლოდ კარგ შემთხვევაში ორთავემ ერთი ღონით და შეძლებით აღზარდონ შვილები შეგნებული, შრომის მოყვარე, რომ მისცენ პროლეტარიატის ოჯახს კარგი და საღი აზროვნების წევრი. თავის დასაც ასე უცქერის მუშა. თუ კერძო მესაკუთრე ცდილობს, გასწმინდოს ოჯახი, რაც მისია დაიტოვოს, რაც სხვისია, იმისგან დროზე გაინთავისუფლოს თავი, ქალაქის მუშა ამაზე სრულიად არ ფიქრობს. დასთან მას ისეთივე განწყობილება აქვს, როგორიც ყველა ამხანაგთან. დაც, თავის მხრით, აღარ შესცქერის ძმას თვალებში, რადგან იცის, ძმასთან გასაყოფი არაფერი არა აქვს, და ისიც ისე დაეძებს ცხოვრების წყაროს, როგორც მისი ძმა, ანუ მამა, მასაც ისე გააქვს თავისი ცოცხალი ძალა ბაზარზე, როგორც ყველა მუშას. ამრიგათ, ისინი დამოუკიდებელი არიან ერთიმეორესაგან. უკიდურეს შემთხვევაში, ხელს უწყობენ ერთმანეთს, როგორც კარგი მეგობრები.

ასეთია საზოგადოთ მუშის სულიერი განწყობილება დედაკაცთან ყველა დიდ ქალაქებში და კაპიტალისტურათ წინ წასულ ერში. როგორია ჩვენში? ჩვენში ამ მხრით მუშები შორს არ წასულან გლეხებისაგან.

ჩვენებურ მუშების დიდი უმრავლესობა ვერ არიან თავისუფალი კერძო საკუთრების გავლენისაგან, სხვა და სხვა სამრეწველო დარგების განვითარებამ ჩვენში უმალ მამაკაცებს გამოუძახა სახლიდან. დედაკაცები კი დარჩენ იმავე ოჯახურ პირობებში. ამ გარემოებამ გამოიწვია ქალის გულში ორი გრძნობა: გრძნობა, ჩვეულებრივ ოჯახის გაღონიერების და შეძენის და გრძნობა თავისუფალ დამოუკიდებელ შრომის და ცხოვრების. ხან ერთი იზიდავს თავისკენ და ხან – მეორე. დიდი სიამოვნებით დათანხმდება თავისუფალ შრომას და ცხოვრებას, მაგრამ საამისოთ მას ბაზარი არ უღებს კარებს და იძულებულია იოცნებოს ისევ შეძენაზე და გამდიდრებაზე, რომელიც არასოდეს არ იქნება. ეს გარემოება დიდათ აბრკოლებს მუშის თავისუფალ მოქმედებას. მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეღობება წინ ოჯახური უსიამოვნება და გულნატკენი ამბობს: არა მყავს ამხანაგი, მეუღლეო და უიმედოთ უყურებს დედაკაცს, რომელიც მის თვალში უვიცობის სარკეთ გადაქცეულა. არათუ მუშები, მათ იდეოლოგიის გამომხატველი მწერლებიც ხშირად ვარდებიან ამ გარემოებაში, ვერ ხედავენ დედაკაცში ამხანაგს და ნაღვლიანი გულის თქმით იმეორებენ ლერმონტოვის სიტყვებს: И скучно и грустно и некому руку подать в минуту душевной невзгоды...

დიახ, სულს ამხანაგი სჭირია, თანამგზავრი. და ასეთი ამხანაგი დედაკაცი უნდა იყოს მამაკაცისათვის, რაც ყველა ამხანაგზე უფრო ძვირფასი იქნება მისთვის, მაგრამ ჩვენი მუშები ვერ ამჩნევენ, რომ მათი ობლობის მიზეზი იგივე ბნელი კედლებია, რომელშიაც ამ რამდენიმე წლის წინათ ისე აზროვნობდენ თვითონაც, როგორც დღეს მათი ცოლები ან ნაცნობები და კი არ ფიქრობენ, რომ თვითონ უმალ გამოვიდენ ცხოვრებაში და უმალვე აუღეს მას ალღო. უმალ იცნეს ცხოვრების სოციალური გარდაქმნის აუცილებელი პირობა. იცნეს აგრეთვე მათი მტერ-მოყვარე, იციან, რომელ გზას დაადგენ, საით წავიდენ და რომელი წყაროდან გაიუმჯობესე-

ბენ ცხოვრების პირობებს და სხვ. ჩვენი ქალები კი უმეტეს შემთხვევაში ყველაფერს ინსტიქტიურათ გრძნობენ. გონების საზომით არ შეუძლიან ასწონონ და გაზომონ. მხოლოდ ინსტიქტიურად გრძნობა ავისა და კარგის, აქედან წარმომდგარი სურვილი, სურვილის მიუწვდომლობა... აი, რა იწვევს ჩვენი მშრომელი ქალების გულში უკმაყოფილებას, თვით ის დედაკაციც, რომელიც მოსწყვეტია ოჯახის კერას და ქალაქის ქუჩაზე დაეძებს ხსნას, ისინიც ვერ არის გამორკვეული თავის ქმედებაში და ვერც ის მცირედი ნაწილი ქართველ მშრომელ ქალთა, რომელსაც რაიმე საქმე უშოვნია სხვა და სხვა წვრილ დაწესებულებებში, საიდანაც სულ მცირე ხელფასს ღებულობენ და მათი ნათელი დღის ცხრა მეათედს კი სწირავენ.

ჩვენს მუშებს ვერც ამ ქალებთან აქვთ კავშირი. ამის მიზეზია არა მუშების უმოქმედობა ჩვენში, არამედ თვით ქალების ჩამორჩენა ან მათი საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. თუ სოფლის უმუშევარნი სოფლადვეა გაბნეული და უსაფუძვლო რამეებზე ოცნებობენ, ქალაქის უმუშევარნიც უორგანიზაციოთ და უთავბოლოთ დაეხეტებიან ქალაქის ქუჩებზე. ის მცირედი ნაწილიც, რომელიც ასე თუ ისე ჩაბმულია საქმეში, ვერ არიან ერთმანეთში შეკავშირებული, რადგან ისინიც თითო-ორორი არიან გაბნეული სხვა და სხვა წვრილ სამუშაო ადგილებში.

ამრიგათ, ქართველ მშრომელ ქალებს ჩვენში არა აქვთ ერთი მთლიანი სახე და არც შეიძლებოდა სხვანაირათ, სადაც კაპიტალიზმი არ განვითარებულა და არ მოუხდენია მკაცრი დიფერენციაცია, სადაც არაა გარკვეული ეკონომიური მდგომარეობა ქალისა, იქ არ შეიძლება გარკვეული იყოს მთლიანი სახეც. ჩვენი სიცოცხლე იღვრება ისე წვეთ-წვეთად, როგორც უკალაპოტო წყალი დაიღვრება მინდვრათ. ამ წვეთების აკრებაც და ერთ დიდ მდინარეთ შექმნაც არ არის ჩვენს ნება-სურვილზე დამოკიდებული. მრეწველობის განვითარება ჩვენში, ფაბრიკა-ქარხნების შექმნა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სოციალური კანონმდებლობა, აი, რა მოგვცემს დასრულებულ ტიპს მშრომელი ქალისას. როცა აშენდება სოციალური შენობის მტკიცე კედელი, მაშინ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაც დაემზგავსება მთის ორწოხ შუა მოჩანჩქარე მალ მდინარეს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მანამდის დავყაროთ ფარ-ხმალი და გულზე ხელი დავიკრიფოთ. არა, რადგან უკამაყოფილების და წინააღმდეგობის გრძნობამ უკვე წარმოშვა სურვილი, სურვილი თითოეულის ცხოვრების გაუმჯობესებისსა, ამ სურვილმა უნდა იშოვოს სამოქმედო ასპარეზი, რომ ეს სურვილი გარდაიქცეს ერთ დიდ მთლიან სულიერ ლტოლვად.

* * *

ვინ უნდა მოაწესრიგოს მშრომელ ქალთა ცხოვრება ჩვენში?

აი, ის საკითხი, რომელიც პირველათ დავსვით და უკანასკნელათ მოგვექცა. ერთი შეხედვით უადგილოა დღეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილათ კი დღეს უფრო მძლავრათ წამოაყენა ცხოვრებამ ამ საკითხის გადაწყვეტის საჭიროება. როგორც წინა წერილებში ვთქვით, მშრომელ ქალთა ცხოვრება ჩვენში მეტათ და-

ბანდულია და მისი მოწესრიგებაც ერთობ ძნელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, უნდა მოვნახოთ ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია შევაერთოთ ეს დაქსაქსული, დანაწილებული ძალა, რომ ამით ცოტაოდენი წესრიგი მაინც შევიტანოთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ როგორ?

ჩვენ წინ დგას ისევ ორი სახე მშრომელი ქალებისა: სოფლის წვრილ მესაკუთრეთა მონები და ქალაქის უმწეო მუშა ქალები, თუნდაც პირველნი ორჯერ მეტი იყოს, უპირატესობა მაინც ქალაქის მუშა ქალებს უნდა ვარგუნოთ. სოფლის ქალები ამ პირობებში ვერ შექმნიან ვერავითარ მთლიან ძალას. ისინი დაქსაქსულნი და მომწყვდეულია კერძო საკუთრების ბნელ კედლებში. ამიტომ მათ ვერ დავაკისრებთ ვერავითარ საპასუხისმგებლო როლს. რაც შეეხება კერძოთ მათ ცხოვრების გაუმჯობესებას, ეს მოხდება მხოლოდ დღეს არსებულ სამეურნეო წესების და მიწის საკუთრების ინსტიტუტის შეცვლით, ადგილობრივი სასოფლო თვითმართველობის გაფართოებით, ერობების შემოღებით ჩვენში და ყოველნაირი დაწესებულების აგებით სრულ დემოკრატიულ პრინციპზე, ისე რომ, დედაკაცი იქმნეს ამ დაწესებულებებში სრულიათ გათანასწორებული მამაკაცთან. ეს იქნება სოფლის მშრომელ ქალთა აუცილებელი პირობები პროგრესისაკენ.

მაგრამ ვინ მოუპოვებს ამ უფლებას მათ? თვითონ უძლური არიან და ამიტომაც მივაქცევ მათ ყურადღებას მუშათა კლასისაკენ.

მაშინ სოფლის ქალებიც წელში გამართული იყვნენ. ისინიც აღფრთოვანებით ერეოდენ საზოგადო საქმეში. ეს ასე ხდება ყოველთვის ხალხის თვით მოქმედების დროს. როცა ხალხი თვითმოქმედია, აზრთა შეხლა-შემოხლაშიდაც ყოველთვის უკეთესი აზრი სჯობნის უარესს და სამართლიანობა იმარჯვებს. ასე ხდებოდა ცხრაას ხუთ წელშიაც. მრავალ წლებით დაგუბებულმა გრძნობამ საოცარი სისწრაფით გადმოხეთქა მაშინ ქალის გულიდანაც. ისინიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ საზოგადო საქმეებში ჩასარევათ, მაგრამ... და სოფლის ქალთა ცხოვრებაც ჩადგა ძველ მონურ კალაპოტში, ათასწლოვანი ბატონი ისევ დაეუფლა მათ სულს. მაგრამ რომელი გრძნობა ჩლუნგი დედაკაცი იქნება ჩვენში, რომ არ ახსოვდეს ის ტკბილი განცდა?

ცხადია, სოფლის მშრომელი ქალები ამ მოძრაობაში ვერ შექმნიან ცალკე შტოს დიდი მდინარისას; თავის უმრავლესობით აქტიურიც ვერ იქნებიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ხშირათ უნდა დაჯერდენ პასიურ როლს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ისიც დიდი საქმეა, რომ ხელი შეუწყონ თავის წრიდანაც აქტიურ ერთეულების გამრავლება-მოქმედებას.

სულ სხვაა ქალაქის მუშა ქალები. თავის დუხჭირ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ მათაც ერთი გზა დარჩენიათ: იგივე მუშათა მოძრაობა – მაგრამ მათ მეტი მოეთხოვება ამ მოძრაობიდან: რამდენათ დაბნეული არ უნდა იყოს მათი ცხოვრება, რამდენათ ძნელ პირობებში არ უხდებათ მათ მოქმედება შედარებით მოწინავე ერების ქალებთან, შედარებით ჩვენი სოფლის ქალებთან, მათ მეტი შეძლება აქვთ თავიანთი წვლილი შეიტანონ მუშათა მოძრაობაში.

საჭიროა მხოლოდ ამის შეგნება-გათვალისწინება. საჭიროა გაბედული კავშირი საზოგადოების იმ ჯგუფთან, რომელიც მას უწვდის ხელს საამხანაგოთ, რომელიც ელოდება მას, ეძახის გიორგი ქუჩიშვილის პირით: ნუ გადაიჩეხებით კლდეზე, ნუ შთაინთქებით უფსკრულში, მოდი და ერთად შევუდგეთ ცხოვრების გრძელ აღმართსო, რომელიც აუცილებელ პირობათ ხდის დედაკაცის დამოუკიდებლობას, რომელსაც სჭირია ამხანაგი დედაკაცი, მონის მაგიერ სრულუფლებიანი უღლის გამწევი. რათ ვერიდებით იმ ადამიანებს, რომელიც ყველაფერს გვაძლევს, რის მოცემაც შეიძლება? რათ ვიხრებით იმ ადამიანებისკენ, რომელნიც ყველაფერს გვართმევს, რაც გვაბადია? დროა ჩვენს დამღუპველ მიმბაძველობას დავუდოთ საზღვარი. ვიცნათ ჩვენი თავი, ვინ ვართ. ნუ გვხიბლავს ჰაეროვანი კაბების შრიალი და ნურც კრახმალიანი საყელო და ნუ გვაფრთხობს მუშის სამოსელი, რომელსაც არ ამშვენებს ოქროს ღილები, მაგრამ მერწმუნეთ, გრძნობა იქ უფრო სპეტაკია და მაღალი, დროა ქალაქის მშრომელო ქალებო, გაფანტოთ ის ბურუსი, რომელიც თქვენ სულს გიხუთავსთ, დროა გადალახოთ ყოველივე დაბრკოლება და შეართოთ ის დანაწილებული ძალა, რომელსაც თქვენ მაგიერ სხვა დაპატრონებია.

ნუ უცდით სხვის მოწყალებას! თქვენი თქვენ თვითონ უნდა მოაწესრიგოთ, რადგან ქალის ბედი და, მით უმეტეს, მუშა ქალის, ისე არის დაკავშირებული მუშის ბედთან, ვით დედამიწა მზესთან. ვერავინ სხვა ვერ იზრუნებს ჩვენთვის! ქველმოქმედება ვერ დაიხსნის ვერავის განსაცდელისგან! საჭიროა შეკავშირებული ძალა ყოველივე ძალმომრეობის წინააღმდეგ! ამნაირათ, მშრომელ ქალთა მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ჩვენში, ისე როგორც ყველგან, ერთადერთი გზაა.

ჩვენი სოფლისა და ქალაქის მუშათა ქალებიც ამ გზას უნდა გავყვეთ. სოფლის ქალები ამ მოძრაობაში უმთავრესათ პასიური იქნება, ქალაქისა კი აქტიური. ამავე დროს, მეორეთ ყოველთაგან უნდა ახსოვდეთ პირველნი და ცდილობდენ გააქტიურებას, ე.ი. იქცეოდენ ისე, როგორც იქცევიან ასეთ შემთხვევაში ქალაქის მუშები.

დღეს ქვეყანა განახლების მოლოდინშია. მთელი ევროპის ხალხის ყურადღება ომის შედეგებისაკენ არის მიქცეული – ყველა ახალ რამეს მოელის, უნდა ველოდოთ აქედან ცვლილებას ჩვენც, ქალებიც. ამიტომ უნდა შევქმნათ უფრო ძლიერი, მთლიანი ძალა და შესაფერი ადგილი დავიჭიროთ ამ მოსალოდნელ განახლებულ ცხოვრებაში! უნდა ვისარგებლოთ ყოველივე ხელსაყრელ მომენტით და მოვიხადოთ წმინდა ვალი ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის წინაშე.

ლიდია მეგრელიძისა

გაზეთი „ახალი კვალი“,
1915, 1 ივნისი, № 5; 1915, 22 ივნისი, № 8;
1915, 13 ივლისი, № 11; 1915, 20 ივლისი, № 12

ᲘᲜᲙᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲘ – ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲐᲖᲔ

(პროზადან სტრიქონები)

დღეს ეს ნარცისები მწვავენ ნაზ თვალებით, მაბრუებენ სურნელებით... და მე, შენზე ფიქრებში, ვადნობ სიცოცხლის წუთებს...

შენზე ვთხზავ ზღაპრებს აღმოსავლურს, როცა მკრთალი ციაგების კალთებიდან დანაფერთხ მტვერით აშადრევნებული საღამო ზანტად ეზმანება ტფილისის კედლებს; როცა „პალერმო“-დან – ნარიყალისკენ ჭრელი პეპლები გარინდებით წვებიან მინდვრის თეთრ ყვავილებზე.

და მაშინც, როცა ლაჟვარდი ჩუმათ იპარავს მზის პირველ კოცნას.

* * *

გადაიხრება ბურუსი სოფლად, და დიდ ქალაქის ფანტასტიურ ლაბირინტში შენ გამოჩნდები მხურვალე ქანდაკი, საგანგებოთ გამოთლილ სპილენძის კუნთებით.

შენ შეგიყვარა ხელოვნებამ, როგორც სიბრძნე ფოლადიდან ამოსხმული, ცხოვრების ღერძზე რომ გვატრიალებს, ალ-მოდებულ გაზის ანთებით.

* * *

მზე ცეცხლის ბურთივით აგორებული სწვავს ტიტველ გამზირებს, ქუჩებს და უფარდო მინებს.

ენა გადმოვარდნილი ძაღლები შეღრღნილი ქოშინით გარბიან სადღაც შესახვევიდან – შესახვევში: მათ უკან, მოხუცი მზარეული ძლივს მიათრევს ისპანახით გატენილ კალათს.

ისმის ქარხნების მძიმე ხვნეშა, ბორბლების ტრიალი და ჯაჭვების რახრახი...

ლაბარატორია ივსება კვამლით და მურით.

შენ კუნთებ დაჭიმული სცემ ჩაქუჩს გახურებულ გრდემლზე, სჭედ ფირფიტებსა და ჰაეროებს მზის დასაპყრობათ. შენი თვალების გაშმაგებულ კაკლებს ედება სისხლი ცხელი მღელვარების.

და მე... მე გიახლოვდები ჩუმათ, ფეხაკრეფით...

– სსს... რკინებო, ფოლადებო, მე გავასწორებ თქვენთან ანგარიშს... თქვენ მოშხუით ჩემს ძარღვებში ყოვლის შემძლე წვეთებათ, თქვენ უბერავთ ჩემს სულს ცეცხლის ბუშტებით... და მე, მოვდივარ, მოვდივარ გველის სიბრძნით...

– ჩემო ძვირფასო! – მე მინდა გაკოცო გაოფლებულ მკერდზე შხამიან ბაგით, რომ შენს წამწამებში ჩავაგუბო ბინდი უძლურების! მაშინ მე ავიღებ ამ ჩაქუჩს და ეპოხას ჩემში ავაფეთქებ... – ეს ახალი ლეგენდა კუდიან ვარსკვლავივით მოევლინება ქვეყნიერებას.

მაგრამ, ო, საიდანღაც გულში იღვრება მორფი და მახრჩობს, მახრჩობს მყარი

სუნი... წყდება სიმფონია სიცოცხლის...

– სსს... რკინებო, ფოლადებო!! – მოდის მესამე შავი ხელებით, ეს არის ინკვიზიტორი – ჩემი სინაზე. რჩება ლეგენდა ძველებური...

და მე ლანდივით მივდივარ უკან.

* * *

იყო ქარი, მტვერი, და ქუჩებში შიში მოსალოდნელ უბედურების.

იყო მიწის ძვრა და ნგრევა ხავს მოდებულ კედლების: შეჯიბრება ტყვიების...

და სისხლი წალეკილ მკვდრების წითლად ღებავდა რწმენის ემბლემას.

იყო ქუჩების გაგიჟება, ტალახი, ლეში და სიმრავლე ფერთა ცვალების...

მე წაველ აბანოში, რომ გამებანა სიბინძურე ჟამთა სიმკაცრით შემონატყორცხნი.

იქ იყო ხალხი დედათა სქესის. იყო სიუხვე შეგუბებულ სიმყრალის, როგორც წყალი აუზიდან გადმონადენი. იყო ხმაური უდარდელი, და გვანდენ ისინი...

ო, შემოქმედო, რათ მომე მე ტანი ასეთი?..

ავტირდი მწარედ, რომ ვერ ვიხილე ჩემს ტანზე ძარღვი ძლიერების და სილამაზე შენი ვაჟური... და ჩავიძირე ცხელ აუზში მუქთად დაღვრილ გრძნობის სურნელებით.

* * *

ჩვენ ვიჯექით ზღვის პირათ.

– რა მოგწონს ჩემში? – გეკითხებოდი, – სული თუ მკერდი უსისხლო, რძის ფერი.

თუ სახე თვითმკვლელობით ჩამონახაზი?

იყო საღამო იის ყვავილებით, როგორც ჰეინეს მწუხარება და სინაზე შელლის...

შენ ჰგავდი გერმესს ნეაპოლელს!

და მე ისე გიმზერდი, ვით გახურებული ტყვია სიკვდილით დასასჯელ ავაზაკს.

– რა გინდა, რას მთხოვ!? – ფიქრობდი შენ და სდუმდი.

– მე? არა, არაფერს არ გთხოვ!.. მე მინდა მოგტაცო სულის სიბნელე და გავხსნა კვანძი იდუმალების, რომ ძლიერების წაგართვა კვერთხი.

და ჩონჩხი, საზიზღარი ჩონჩხი, ჩემს წინ აიმართა, ისევ ჩემი სინაზე.

ზღვა იყო წყნარი და გადაფრენა თეთრი ფრინველის, ჩემსავით მოვერცხლილი სულის უიმედო სიცივით.

* * *

ჩვენ ხვალ მიგველის ქალაქ გარედ სეკუნდანტები.

შენ გეცინება, რომ მე გამოგიწვიე დუელში. და მეფიცები: გიყვარვარ... ჰა, ჰა, ჰა... კმარა, ვერ დამამშვიდებ მუხლებზე კოცნით, რადგან ამ წუთში მე ვხედავ შენს დამარცხებას...

ხვალ ჩვენ დაგვიწყობენ ტყვიებს თანასწორუფლებით.

ვის ხვდება წილად შიკრიკის ჩუმად მოტანილი ზამბახი?

ო, თუ ხვალ კიდევ დამამარცხებს ინკვიზიტორი – ჩემი სინაზე, მაშინ მე იმას შემოვიგლეჯ, როგორც ძველ ფარჩებს დედისეულს, ბრაზით დავადგამ ფეხს და დავსრეს!

დილა იქნება ბურუსიანი და სისხლიანი.

1925 წ. ტფილისი

ლიდია მეგრელიძე

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1925, გვ. 59-61

დღეები ბორჯომში

მე ხშირად მიყვარს ოცნებით დაღლა,
მიწავ, შენს სითბოს მკერდს ვერ ვაშორებ!
ასე მივყვები ცხოვრების დაღმართს
და მკრთალ სითეთრეს ლურჯი სიშორის.

ლიკანის მთებში დავთალხავ თვალებს,
მომაგონდება მთაწმინდის მთვარე...
ეხლა მე ვგევარ გრძნობა ნამთვრალევს –
ღამით ნაწვალებ უზნეო ქალებს!

ო, ეს ხეები ელლინურ სიბრძნის,
დინჯი, ბებერი, და ასე ნაზი.
ცისფერ ზმანების დღეები მირბის,
ვფიქრობ: ბორჯომში დავჰკარგე აზრი.

დღეს ეს საღამო – მუქი ატლასი,
ვერცხლის ჩანჩქერი აქოჩრილ ჩქერის.
მივლის ველური ფიქრი ათასი
და ეს ფოთლებიც დღეს სხვაფერ მღერის!

ვიცი იკივლებს მატარებელი,
რომ იქ სადღაც შორს არის სხვა მხარე!
მოვა გაზეთის დამტარებელი,
კვლავ მომაგონებს მთაწმინდის მთვარეს.

ტფილისო, გული შენ მოგაბარე! –
ხსოვნის ალერსმა გადამიტანა,
ვუცქერი სულის დახურულ კარებს
ვიცინი ისე, როგორც სატანა.

ლიდია მეგრელიძე

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1926, №2, გვ. 68

თვალებში მთვარე და ფირუზი

საღამო გადაჰყვა ძველ რიცხვებს
და სულში სიცივე ატირდა.
მე მიყვარს მიწა და მზის სიცხე –
მინდვრებში თერთმეტი მარტიდან.

ნოემბრის ფოთლები მაწამებს,
რომ ღამეს მიყვება ყოველი...
ფიქრები ასველებს წამწამებს
და მუდამ შენს ნახვას მოველი.

სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?!
კითხვები წეწავენ საათებს.
ო, ვეღარ ავიტან მე ამ გვარ –
ღამეებს წვალებით განათევს.

დღეების ლეგენდა ძველდება.
ნაჩვევ გზას ვიცი ვერ ავცდები...
მივდივარ ჩვენს ნაცნობ ძეგლებთან
ათასჯერ ნაგრძნობი განცდებით.

და ღამე ამნაირ თალხებში
გაივლის მოლურჯო სიზმრებით,
და ისევ ჩაწვება თვალებში
მთვარე და ფირუზის მინდვრები.

ლიდია მეგრელიძე

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1926, №2, გვ. 69

საფო გიგინეიშვილი - მგელაძე

1894-1936

საქართველო

თუკი ვინმეს მოესურვა ძველი წყლული გაგვიმრთელოს,
და ამ გრძნობით მოევლინა ჩვენს პატარა საქართველოს,
თუ კვლავ სისხლით აღარ მორწყავს მის მთა-გორებს, მინდორ-მდელოს,
თუ უხეშად ხელს არ ახლებს ჩემს სატრფოს და სამლოცველოს,
თუ რომ იგი უკუაქცევს შემოტანილ ხმალს და ხიშტებს,
თუ სიფლიდეს არ შეგვწამებს, თუ მტრულად არ შემოგვიტევს,
თუ ვიხილავ ქართულ დროშას, თუ მოვისმენ კვლავ დიდებას
და ადგილი არ ექნება აქ პირადულ განდიდებას,
თუკი იგი მშრომელ მუშას რასაც ამბობს, იმას მისცემს
და ამავ დროს ქართველობას შეურცხვენლად დაამტკიცებს,
თუ დაიცავს ეროვნულ სულს ბრძოლის ცეცხლში გამოვლებულს,
არ ვიხილავ ჩემს სამშობლოს გოლგოთაზე ჯვარცმულს, ვნებულს, –
მაშინ, მაშინ მეც მათთან ვარ, წინ ვერ გამისწრებენ სხვები,
დაჩაგრულთა სამსხვერპლოზე მე პირველი დავიწვები.

მაგრამ ვინმე თავხედურად თუ ჩვენს საზღვრებს გადმოლახავს,
ჩემს სამშობლოს დამიმცირებს, შემიგინებს, შემილახავს,
დამიჩაგრავს, დამიღონებს, ცრემლს დაადენს უმიზეზოდ
და ჩვენს ლამაზ ბაღ-წალკოტებს გადააქცევს მტრების ეზოდ,
ძალადობას გაგვიბედავს, მანდილს მოხდის ქართველ დედას,
ციხე-კოშკებს შეგვიგინებს, ჯაჭვ-ბორკილებს გაგვიჭედავს,
მწუხარებას შემოიტანს, მწუხარებას – შავ ფრთა გაშლილს,
აატირებს მთაწმინდაზე ილიას და ბარათაშვილს,
შავს ჩააცმევს ტურფა თამარს, ძაძით მორთავს სათნო ნინოს,
მაშინ დაე ჩვენმა მტერმა საპასუხო მოისმინოს:

იცოდეს, რომ ვერ დაიპყრობს ძალით ჩვენს სულს ვერასოდეს,
არ გვსურს, ვაჟას ნორჩი ნუკრი კვლავ სისხლიან ბალახს ძოვდეს.
იცოდეს, რომ ვერცერთ ჩვენგანს ის მტრობით ვერ შეიერთებს,
თაყვანს არ ვცემთ არვის კერპებს, არ ვიწამებთ არვის ღმერთებს.
ჩემი ერი ამაყია და ის მონა არ გახდება,
თუ აქამდე არ მომკვდარა, მომავალშიც არ მოკვდება.
მწამს მსოფლიო ასპარეზზე ის გაიტანს ზღაპრულ ლელოს
და კვლავ ვნახავთ მკვდრეთით აღმდგარ,
გამარჯვებულ საქართველოს.

საფო მგელაძე
1917

მტირალა ქალწული

ვნახე ქალწული, შეწუხებული,
    ცრემლებსა ღვრიდა,
ტურფა ასული, ფიქრში წასული
    სინანულს მგვრიდა.
რა მოხდა ნეტავ? და დავხედე
    ვაზას გატეხილს,
და მასში ჩარგულს ვარდის შტოსა,
    სევდით გადმოხრილს.

ის დასცქეროდა თავის ნაშრომს,
    სტკიოდა გული,
ლამაზი იყო მისი ცრემლი,
    პირველი წყლული.
საბრალო ბავშვი! შენი გული
    ვხედავ მრთელია,
მას არ სწვევია მწუხარება,
    სატანჯველია!
გულიც ვაზაა, ჩემო კარგო,
    უნდა სიფრთხილე!
გესმის? პაწია მწუხარება
    უკვე იხილე.

შენც ხომ ვაზა ხარ? გრძნობიერი,
    სათუთი, ნაზი,
შენც ხომ ვარდი ხარ? ტურფა ვარდი,
    ქორფა ლამაზი?!
უფრთხილდი ბედის ქარიშხალსა
    ყვავილი რგული,
რომ ძირს არ დაგცეს, არ გაგტეხოს
    ტურფა ქალწული!

საფო მგელაძე

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“,
1917, 31 აგვისტო, № 21, გვ. 2

კატო მიქელაძეს

როცა იმედის ჩაქრა ლამპარი
და ტანჯულ სულში მხოლოდ ბნელოდა,
როს ნორჩი გული სევდით დამდნარი
არვის უხმობდა, არვის ელოდა.

როცა ცხოვრების მკაცრ ქარიშხალში
მიდუნდებოდა ღონე და ძალა,
როცა ტანჯვების ვიწოდი ალში
და მეგობრებიც შემომეცალა.

როს რწმენა შთანთქა ურწმუნოებამ
და სიყვარულიც ჩამიკვდა გულში,
როს ქვეყნიერმა ამაოებამ
გადამისროლა შავბნელ უფსკრულში.

სასომიხდილი, გზააბნეული
უიმედობის კლანჭებში ვთრთოდი,
იკეცებოდა ყოფნის რვეული
და მოთმინებით სიკვდილს ველოდი.

ამ დროს მოხვედი და მითხარ მტკიცედ:
„აღსდექ, აიღე შენი ფარ-ხმალი,
ჩვენ შრომა გვმართებს, ჩვენ დავამტკიცებთ,
რომ ძლიერია ბრძოლაში ქალი.

გავწყვიტოთ ჯაჭვი, ავიდეთ მაღლა,
ვეკვეთოთ წყვდიადს თავგანწირულად,
ნუ დავეცემით, თუ ვიგრძნოთ დაღლა,
მოვკვდეთ ამაყად, მოვკვდეთ გმირულად“.

და გამოგყევი ღონემიხდილი,
ზეზე წამოვდექ ბედიდან კრული,
გავხდი ძლიერი, როგორც სიკვდილი
და გაბედული, ვით სიყვარული.

შენ სიმართლის ხარ ერთგული მცველი,
გრძნობით მდიდარო, სულით ძლიერო.
ჰა, ჩემი გული, ჰა, ჩემი ხელი,
ვით საჩუქარი სამაგიერო.

საფო მგელაძე,
ქუთაისი 1918

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
საფო მგელაძის არქივი, ხელნაწერი № 8386

კატო მიქელაძეს

აქ ჩემს ირგვლივ უდაბნოა,
მეც უდაბნო გულით დამაქვს
და ძვირფასი საგანძური
თუ კი მქონდა, თუ კი რამ მაქვს,
მას ცხოვრების სინამდვილე
მინიავებს, მინადგურებს
და ბნელ ფიქრებს, შავბნელ ფიქრებს,
ჩემი გულის მუდმივ მდგმურებს,
სადღაც მიყავთ ჩემი სული
და ინთება ჯოჯოხეთი.

ვიცი ეხლა ვერ დამიხსნის
ვერც დემონი, ვერც თვით ღმერთი.
მე ხომ ისე პატარა ვარ,
ისე სუსტი და სათუთი,
ვით ლერწამის ნაზი ტოტი,
ვით წკრიალა შუშის ყუთი.
დავიმსხვრევი, საყვარელო!
გეუბნები – დავიმსხვრევი
და წამიღებს ნიაღვარი
და ჩამითრევს ზღვის მორევი.

დამარწმუნე ერთხელ კიდევ
შენს უმწიკლო სიყვარულში,
მომათავსე, მეგობარო,
მაგ შენს ძლიერ, ამაყ სულში,
რომ იქ თავი შევავრდომო,
რომ იქ სული შევაფარო,
დამიხსენი გევედრები,
დამიხსენი, მეგობარო,

თუ არ გინდა შენი საფო
დაიღუპოს, დაიკარგოს
და ცხოვრების შავ დაფაზე
ტანჯვის ცეცხლად აიქარგოს,
ერთხელ კიდევ მოდი ჩემთან,
ერთხელ კიდევ მომეც ხელი,
უდაბნოში ჩარჩენილი,
კვლავ გეძახი, კვლავ მოგელი.

საფო მგელაძე

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
საფო მგელაძის არქივი, ხელნაწერი № 8386

მარიჯანის გამოსათხოვარი ლექსი საფოს

სამგლოვიარო განცხადება და ნეკროლოგი –
ჩვენი ცხოვრების ფურცელია უკანასკნელი.
ამას მე შენგან, ჩემო კარგო, არ მოველოდი.
შენ კიდევ ბევრი, ბევრი გქონდა, საფო, სათქმელი.
ყველა გიცნობდა შეუპოვარ და მებრძოლ ქალად.
ზღვასავით იყავ მშფოთვარე და დაუდგრომელი,
თუმცა ცხოვრება მოგეფარგლა შენ ვიწრო რკალად,
მუდამ გტანჯავდა სურვილები მიუწვდომელი.
გეუბნებოდი: „ნუთუ გული ადრე დაობლდა?
შეხედე მზეს და თავმომწონედ გეჭიროს თავი!“
ასე მეგონა, ჩემი ტოლი, ჩემი თაობა,
მუდამ იქნება ძვალმაგარი, მხნე და უკვდავი...

მარიჯან

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
მარიჯანის არქივი, ხელნაწერი № 1328

საფოს წერილი ბაბილინა ხოსიტაშვილს

ჩემო ბაბილინა

ძალიან გამახარე შენი წერილით. რაც შეეხება შენ წინათქმას ძველი მეგობრების შესახებ, აქ ჩვენ (არც შენ) დამნაშავენი არ ვართ. ისე გვატრიალებს წაღმაუკუღმა ცხოვრება და ეს ჩვენი უსიხარულო განცდანიც, რომ აღარ არის დრო მივიდეთ ადამიანთან, მეგობართან (თუკი ასეთი ვინმე არსებობს), შევჩერდეთ მის წინ რამოდენიმე წუთით და რამოდენიმე მძლე სიტყვა მაინც გადაუგდოთ იმ ადამიანს, რომელსაც ოდესღაც მეგობარსაც კი უწოდებდით.

მე და შენ, ჩემო დაო, თავიდანვე იმ ბილიკს გავყევით, რომელიც ჯოჯოხეთში შედიოდა და შევედით კიდეც. ამაოდ დავეძებთ გამოსავალ გზას. ის ჩვენთვის არ არსებობს. ერთ ტაფაში მაინც ვიწოდეთ და ერთმანეთს მაინც ვამხნევებდეთ!! ესეც არ არის.

მზარეული ქალები უფრო მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ჩვენ, მწერალი ქალები და ეს არის იმის მიზეზი, რომ ვიჩაგრებით უღმერთოთ. მამაკაცებს კიდევ რა ენაღვლებათ. ისინი სარგებლობენ ჩვენ შორის არსებულ ანტაგონიზმით და უფრო მაგრად გვაჭერენ ქუსლს.

რაც შეგეხება შენ, მე შენ სხვაზე (ზოგიერთებზე) უფრო გულწრფელი მგონიხარ, მაგრამ დრო, სად ვიშოვოთ იმის დრო, რომ ერთმანეთს შევხვდეთ და ერთმანეთი გავიგოთ?! მაინც ვცადოთ. Лучше поздно, чем никогда.

მეკითხები რას ვწერ?! ორი თვეა ლოგინში ვიხარშები და რა უნდა დავწერო მე რიგიანი და შესანიშნავი? თერგმა დამღუპა და თერგს პოემას უწერ: „რას ამბობს თერგი?!“ ამ სათაურით. აწერილია ჩვენი მოგზაურობა, განცდანი ამ მოგზაურობის დროს, შემდეგ თერგთან საუბარი და ბოლოს შესვლა ვლადიკავკასში. ჩემი ავადმყოფობა და ტრაღედიები რა თქმა უნდა პოემაში არ შედის. დამთავრებული არ არის. არც ვიცი, როდის დამთავრდება. ეს განწყობილების საქმეა, მაგრამ ადგილებს ამ პოემიდან მე ან დავბეჭდავ, ან წავიკითხავ სადმე. შენს შესახებ მაქვს ასეთი სტიქონები:

„ჰა, შეხედე, საფო იმ მთას“, –
ამბობს ბაბილინა,
„ამ ბინდ-ბუნდში მწვერვალები
უცნაური გახდა“,
თვით კი მეკვრის, ჩემს კალთაში
თითქოს ეძებს ბინას,
მაგრამ ხედავს მეგობარიც
როგორ აცახცახდა.
გვირტყამს ქარი და ეს ქარი
ისე მძაფრად გასკდა,

ისე მძაფრად ეხეთქება
კლდეებს წყლებით ნაბანს,
მოვიხედე და უეცრად
მე სიცილი წამსკდა,
ბაბილინა თავზე იხვევს
თავის ჩითის კაბას...

მხიარულ მოგზაურობაში დისონანსი მძაფრ სიცივეს შემოაქვს, მაგრამ ეს სიცივეც ხალისიანი ფერებით მაქვს აწერილი. არ ვიცი, რას იტყვი შენ ამ „ჩითის კაბაზე“. „თუ ბაბილინას ეწყინოს, მე დამასახელეთ“, მითხრა მიმქრალმა, მაგრამ მაშინ ხომ სიმართლე არ იქნება. თუ მაინც შენ ეს არ მოგეწონოს, მომწერე და მე მას შევცვლი. უსათუოდ მომწერე.

უაღრესად კომიკური და უაღრესად საყვარელი იყავი იმ წუთს და ხომ გახსოვს ამის გამო რამდენს ვიცინოდით მხიარულად და გულწრფელად. **ფინალი?!** ნუღარ მომაგონებ. კოშმარი იყო, რომლის აჩრდილი მე დღესაც თან მდევს.

სუსტად ვარ. ექიმები სოხუმში მგზავნიან. ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მე არ მეშინია წასვლის. იქნება წავიდე კიდეც. რაღაცას მპირდება კავშირი.

ასე, ჩემო ბაბო, კიდევ მოიწერე. გკოცნი. თუმცა გულს მაკლია, რომ სახლში არა გნახე.

შენი საფო მგელაძე, 1932

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
საფო მგელაძის არქივი, ხელნაწერი № 20794/18

ლადო ასათიანის და საფო მგელაძის მიმოწერა

ლადოს წერილი საფოს

მთელი ქვეყანა საპყრობილეა ჩემთვის! ვეძიებ ადამიანს, ვერ ვნახე ზეცად, მთაში, ბარში, ღრუბელსა და ვარსკვლავებში, რომ მოვიდეს, მოვეხვიო და ჩავხედო ღრმად თვალებში, შევიცნო ადამიანური სიბრძნე, ვიგრძნო სულით ნათესაობა დ აქედან აღგზნებულმა ვიმღერო, ვიმღერო ისე, როგორც არავის უმღერია!!! ჩვენ ადამიანები ვართ, საფო! ჩვენ მარადიული ცეცხლი გვიკიდია, მეგობარო! გამიგრძელდა, საჭიროა წერტილი დავსვათ... სხვაზე შემდგომ. წერილი მივიღე... ეგზომ გავიხარე – ბავშვიაო, წერთ. დიახ, დიახ, მე ბავშვი ვარ, გულით, გრძნობით, ადამიანობით, მაგრამ გონებით დიდი ხანია დავძლიე ბავშვობა. მაშინაც, ჭაღარა რომ გამოჩნდება, არა მგონია, რომ მოვხუცდე, რადგან ორსულიანი ადამიანები არასოდეს არ ხუცდებიან... ისინი იწვიან, იწვიან, წვის შედეგად რჩება... ასეთები არიან უცნაური ადამიანები – პოეტები, ასეთი ხართ თქვენც, მეგობარო და თქვენ, უცნობო კოლეგა. უდიდესი მოკრძალებით ვხრი თავს თქვენს წინაშე დარიგებისათვის, თბილი ქათინაურებისათვის და მშობლიური დარიგებისათვის.

თქვენი მეგობარი ლადო ასათიანი, 1935 წელი

საფოს პასუხი

ჩემო უცნობო მეგობარო! თქვენ ალბათ გახსოვთ ვილანდის სიტყვები, როცა ის გოეთეს დეკლარაციას ყურს უგდებდა. „ეს ან გოეთეა, ან დემონიო“ და მეც, როცა შენი უკანასკნელი წერილი წავიკითხე, ასე წამოვიძახე... – ნეტავ ვიცოდე, ვინ ზის ამ კაცში, ღმერთი თუ დემონი?! ეს წერილი ქარიშხალივით შეიჭრა ჩემს სულში და ყველაფერი მიანგრ-მოანგრია. ბავშვო, ვინ მოგცა შენ ასეთი დიდი ტემპერამენტი, ასეთი მღელვარე სული, ასეთი დიდი სურვილები, ასეთი უცნაური შეგრძნება ქართული ენის. დიდი გამბედაობაა და ეს ნიჭი მაღალი ლამაზი მეგობრობისა, იქნებ შენ ჩემი ოცნების ნაყოფი ხარ, ჩემი სულიერი შვილი და მეგობარი... ჩვენ ხშირად მოვიგონებთ ერთმანეთსო, მწერ. ოო, უსათუოდ. ხშირად, როდესაც კოჯრის მთის ბილიკს მივყვები, მე ვფიქრობ: იქნებ, ჩემი ახალგაზრდა მეგობარიც მიდიოდეს ახლა ზევით, რომელიმე მთის მწვერვალისაკენ. როცა ბოტანიკურ ბაღში შევდივარ, იქ ვიგონებ და ვამბობ, ალბათ რომელიმე ფოთლოვანი ხე იფარავს მას იმ წუთს მზის შემაწუხებელი სხივებისაგან, როცა ფუნიკულიორზე ავდივართ, მე შენ იქაც არ მტოვებ მარტოდ... მოდიხარ შენი ნათელი, სუფთა თვალებით და მეუბნები ასე: მეგობარო, შენ შეჰყურებ ჰორიზონტს, მითხარ, რას ეძებ ჰორიზონტის იქითო!

პირადად ჩემთვის ქალი მეგობარი მუზაა, მწერ შენ, მაგრამ შენ ხშირად ოცნება არ მოგერიოს. ისე გახსოვდეს – ოცნება ყველაფერს გპირდება, ნამდვილად არაფერს იძლევა. მეც დიდხანს მჯეროდა მისი, მაგრამ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მე ის ამოვიგდე გულიდან და თავიდანაც.

მპირდები, როცა ხალხში გამოვალ და როცა თბილისში ჩამოვალ, გნახავო... ჩემო ძალიან საყვარელო ბავშვო, ნუთუ არ სჯობს არასოდეს ვნახოთ ერთმანეთი და დავრჩეთ ერთმანეთისათვის მარად უცნობი და შორეული, შეუცნობელი და მიუწვდომელი, განა ამაში მეტი სილამაზე არ არის?! შენ სურათს ველი, გამომიგზავნე ის, რაც შეიძლება ჩქარა, მინდა ჩავხედო იმ ჩარჩოს, რომელიც შენს აბობოქრებულ სულს იტევს. ახლა კი მშვიდობით.

1935 წ. 18 აგვისტოს ღამე. ს. მგელაძე

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
საფო მგელაძის არქივი, ხელნაწერი № 3022

საფოს წერილი ნინო ნაკაშიძეს

ძვირფასო ჩემო ნინო!

ამას წინედ რომ თქვენთან რედაქციაში ვიყავი, მას შემდეგ ვწერ. გზაში ქარი მომეწია და გავცივდი. სიცხე მაქვს, მახველებს და რამოდენიმეჯერ სისხლიც ამოყვა ნახველს. ეს არ იყო ეხლა ჩემთვის საჭირო, მაგრამ... რა ვქნა!

მგონია, რომ ჩემი „ახალგაზრდობაც“ ვერ მიშველის. თქვენ ხომ მუდამ მაჯავრებთ მე – „ახალგაზრდა ხარ და გადაიტანო“ . ნინო! თუ ნახოთ კოწია, მოაგონეთ დაპირებული. იქნება მომცენ რამე, რომ ამ მზიან დღეებში წავიდე ქობულეთში. მე მივწერე დღეს წერილი, თუ ყურადღება მიაქცია. თქვენთან რედაქციაში ხომ არ იქნება ცოტა ფული?!

მიდის ჩემი ლექსები?! თუ მიდის, წაშალეთ „ეწერელი ქალი“ და ინიციალები ს.მ. და მოაწერეთ ჩემი სახელი. გიგზავნით ქალების ჟურნალს, სადაც არის მოთავსებული ჩემი ლექსი და სიტყვა. თუ გამოგადგეთ, დაბეჭდეთ. თუ არა და ჟურნალები შემინახეთ. სხვისია და რომ დაიკარგოს, მისია მასალები.

ავად ვარ და ჩემს სანახავად არავინ მოდის. გამომაყრუა მარტოობამ.

როცა ფეხზე ვარ, სახლში ვერ ვიცდი. გამოვდივარ და სიარული მწყენს.

პირდაპირ მშურს, როცა ავად ხდებიან და კვდებიან. მე კი აგერ ერთი წელია ვირჩობი და არაფერი მეშველა.

თუ ფეხზე დავდექი, პირველად მაინც თქვენთან მოვალ. თქვენთან მოწყენა არ შეიძლება. მხიარული სახე, ლამაზი იუმორი, საქმიანი ლაპარაკი – აი, რა გახასიათებთ თქვენ და მეც იმიტომ არის, რომ მომიხარია თქვენსკენ.

დავიღალე.

ნახვამდის.

თქვენი მოყვარული საფო მგელაძე

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
საფო მგელაძის არქივი, ხელნაწერი № 6713

საფო მგელაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე 1932 წლის 28 დეკემბერს

ამხანაგებო!

არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არის მწერალი ქალი ისე დამცირებული და აბუჩად აგდებული, როგორც საქართველოში. მწერალთა კავშირში ქალთა სწორუფლებიანობა მარტო ქაღალდზეა აღნიშნული. ეს საყვედური მიმართულია იმ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც იყვნენ და არიან დღესაც მწერალთა კავშირში.

აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართველი მწერალი ქალი მეტის მეტად პასიურია. ვინ ქმნის ასეთ მდგომარეობას? ვინ ჩაკეტა ქართველი მწერალი ქალი თავის საკუთარ ნაჭუჭში, თავის საკუთარ განცდებში? იმ ურთიერეთობამ, რომელიც დიდი ხანია აქ არსებობს. მწერალი მამაკაცი ისე როდი უყურებს მწერალ ქალს, როგორც ამხანაგს და თანატოლს, არამედ ისე, როგორც შემთხვევით სტუმარს, რომელიც შედის ხელოვნების სასახლეში მხოლოდ იმისათვის, რომ მოისმინოს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ან ლექსი. დაუძახეთ ოდესმე მწერალ ქალს, როდესაც გადასაწყვეტი გქონდათ ესა თუ ის საკითხი? მოგაგონდათ მწერალი ქალი იმ დროს, როდესაც მიბრძანდებოდით სამოგზაუროდ? – დაუძახეთ მას იმ დროს, როდესაც უმართავდით ბანკეტებს უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს? მიამაგრეთ ისინი ამა თუ იმ ქარხანას? გაუწიეთ ამხანაგური დახმარება მას შემოქმედებითი მუშაობის დროს? მოგაგონდათ მწერალი ქალი იმ დროს, როდესაც ანაწილებდით და ხარჯავდით მწერალთა კავშირის თანხებს?

რედაქციები თქვენთვის არსებობს, ჟურნალ-გაზეთები თქვენთვის გამოდის, გამომცემლობა თქვენთვის მუშაობს, მწერალთა კავშირი თქვენია. მწერალი ქალი? ამას არა აქვს ადგილი თქვენს საერთო მაგიდაზე, ის თითქოს არც არსებობდეს საქართველოში! ასეთი მდგომარეობა შექმენით თქვენ და ყოველივე ამის შემდეგ აქ გამოდიან და ბედავენ იმაზე ლაპარაკს, რომ ქართველი მწერალი ქალი პასიურია.

მე პატივს ვცემ ყოველ მართალსა და პატიოსან ადამიანს, მაგრამ არა ვარ ვალდებული პატივი ვცე იმ ადამიანებს, რომლებიც გულით შხამს ანთხევენ და ტუჩებით – ღიმილს. პატიოსანი კაცი ან გულწრფელად უარყოფს, ან გულწრფელად იწამებს ამა თუ იმ იდეას. მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხან აქ არიან, ხან იქ, ხან ეს მოსწონთ, ხან ის და ასე შემდეგ. ნიადაგი, რომელზეც დგას მერყევი ადამიანი, მუდამ ქანაობს, და ასეთ ნიადაგზე არავითარი მცენარე არ ხარობს. მწერალი ქალები მუშაობდნენ გულწრფელად და სურვილი აქვთ, რომ დღესაც იმუშაონ, მიუხედავად ამისა, მწერალი ქალი მაინც იჩაგრება და მაინც კვდება, როგორც მწერალი და შემოქმედი. როგორ პირობებში უხდება მწერალ ქალს მუშაობა? გარდა

ერთი ორისა, მას ცალი თვალი სასაცილო ქვაბზე აქვს მიპყრობილი, მეორე თვალით წიგნში იხედება. ნიჭიერმა ბელეტრისტმა ქალმა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ ამას წინათ შემომჩივლა:

– დავბერდი, შვილო, და მთელი ჩემი დრო მაინც დიასახლისობასა და მზარეულობას უნდება, იმის საშუალება არა მაქვს, გაზეთი წავიკითხო მაშინ, როდესაც მწერალი მამაკაცები შინ და გარეთ ყოველგვარი პრივილეგიებით სარგებლობენ, ამავე დროს ქალებს ხელის შეწყობის ნაცვლად გზას უღობავენ. მაგალითები გნებავთ? მე ვილაპარაკებ ჩემს თავზე, დეე, სხვებმაც ილაპარაკონ თავიანთ გაჭირვებაზე, თუ საამისო სიტყვის თქმის უფლება თქვენგან ექნებათ მინიჭებული...

მე, საფო მგელაძემ, სამჯერ შევიტანე განცხადება „სახელგამში“, წავიღე ბენიტო ბუაჩიძის მიერ არჩეული ჩემი ლექსები და სამჯერ უარით გამომისტუმრეს. და როდესაც ამის გამო საყვედურით მივმართე ბარონ ბიბინეიშვილს, „სახელგამის“ ვექილად გამოვიდა პავლე საყვარელიძე და მის კაბინეტში გააკეთა ვრცელი „მოხსენება“, რომ „დღეს ლექსებს არავინ არ კითხულობს და არც არავის სჭირდება დღეს ლექსი“.

„სახელგამმა“ გამოსცა სამი ბელეტრისტი ქალის წიგნები. ესენია: ეკ. გაბაშვილი, ანასტასია ხოშტარია და მარიამ გარიყული. არც ერთ მათგანზე ერთი სიტყვაც არ თქმულა პრესაში. გარიყულის წიგნში შეტანილია ძველი მოთხრობები, მაგრამ არის ახალი მოთხრობებიც, არებული ხელისუფლების დროს დაწერილი და დაბეჭდილი. რით არ იყო ეს მოთხრობები კრიტიკის ყურადღების ღირსი?

1928 წელს გამოვიდა ჩემი რომანი „ლიანა ლორდია“. ჩვენმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა ვერც დაინახეს ის. თუ ეს წიგნი დღეს ბაზარზე არსად იპოვება, გადასაგდებია? ბრძანეთ და განაცხადეთ ეს, თუ ამ წიგნში არის რაიმე საგულისხმო, რატომ არ კადრულობთ ელაპარაკოთ ამის შესახებ როგორც მის ავტორს, ისე მის მკითხველს?! თქვენ არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ მწერალ ქალებს მკითხველი არა ჰყავთ. ჩვენ გვყავს მკითხველიც და დამფასებელიც, თუ ტრაბახობად არ ჩამითვლიან, მოვიყვან აქ რამდენიმე სტრიქონს იმ წერილისას, რომელიც მივიღე სამი დღის წინათ:

„ამდენი ხნის სიჩუმე არ ეპატიება მწერალ ქალს, „ლიანა ლორდიასა“ და იმ მშვენიერი გრძნობით გამთბარი, ოსტატურად გამოკვეთილი ლექსების ავტორს; თქვენს ნაწერებში არის „რაღაცაც“, რომელიც იზიდავს კაცს, იპყრობს მას და სულს უფორიაქებს, რომელიც აკლია ბევრ ხელოვან მწერალს“.

როგორც ხედავთ, მწერალ ქალებს კითხულობს საზოგადოება და შეიძლება ჩვენმა წიგნებმაც მოახდინოს ზეგავლენა ამა თუ იმ ახალგაზრდის სულიერ განვითარებაზე. აქ გამოდიან და საათობით ლაპარაკობენ ამა თუ იმ მამაკაცის შემოქმედებაზე და ლაპარაკობენ ისეთ მწერლებზეც კი, რომლებმაც მხოლოდ სამიოდე ლექსი დაწერეს, ამავე დროს არ მოიგონებენ იმ ქალებს, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე იმუშავეს სალიტერატურო ასპარეზზე. „ძმაბიჭური“ განწყობილება, პირადი სიმპათიებით ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა, უნიჭო

მწერლების პარნასზე აყვანა, რომელთა წიგნები ფუთობით აწყვია ბაზარზე, ამით ზარალობს სახელმწიფო, გამომცემლობა. აი, ეს ახასიათებს ჩვენს ზოგიერთ ყოვლისშემძლე მწერლებს.

და კიდევ აქ ეუბნებიან უარს დაწერილსა და წარდგენილ წიგნს, ამავე დროს ავანსად არიგებენ ჰონორარებს დაუწერელ წიგნებში. იყო შემთხვევა, ფული შეიჭამა და წიგნი არ დაიწერა. არის ერთი ჯგუფი მწერლებისა, რომლებიც ცდილობდნენ მოეკლათ ჩემი უკანასკნელი „გზადაგზა“, როგორც მხატვრული ნაწარმოები და ეძებდნენ მესაფლავეს, რომელიც უსირცხვილოდ იკისრებდა ამ ყველაზე საბრალო და ულამაზო როლს. იაგომ ოტელოს ხელებით დაახრჩო დეზდემონა, ოტელო, ეს პატიოსანი კაცი, გახდა მკვლელი და ნამდვილი მკვლელი კი ფარდას მიეფარა. ჩვენს წრეშიც არიან ასეთი იაგოები, ისინი ხან საკუთარი თითებით, ხან სხვისი თითებით ახრჩობენ ამა თუ იმ მწერალს.

მწერალი უბრალო ამბის უბრალო ამსახველი კი არ არის, არამედ მასწავლებელიც, ხელმძღვანელიც. არსებობს უცნაური მსგავსება თანამედროვე მწერალთა შორის და არის შემთხვევა, როდესაც ერთ წიგნს მეორისაგან ვერ არჩევთ. ერთგვარი თემა, ერთგვარი სტილი, ერთგვარი კომპოზიცია... წიგნის სიუჟეტი სათამაშო ბურთი არ არის, რომ ის ხან ერთმა გამოაგოროს და ხან მეორემ. ხშირად ჩვენი პროლეტარული მწერლები პირიდან ართმევენ ერთმანეთს თემას და გამოდის დაუსრულებელი ტავტოლოგია. უკანასკნელ დროს მთავარ თემად მოჯამაგირეობა გადაიქცა. თქვენ წინასწარ იცით, რით იწყება და ბოლოვდება ასეთი წიგნი. მოჯამაგირე ჯერ თავის დამქირავებლის ხელში განიცდის ყოველგვარ ექსპლოატაციას, შემდეგ – თავისუფლება, შედის უნივერსიტეტში, საიდანაც გამოდის განათლებული კაცი და ხდება ან ექიმი, ან ინჟინერი, ან პროფესორი.

ქალები? როგორი ქალების ტიპებს გვაძლევენ ჩვენი თანამედროვე მწერლები? ზოგი მათგანი ისეთი ფერადებისაგან ჭრის ქალის პორტრეტს, რომ აღარ იცი, ვინ არის ეს ქალი, პროსტიტუტკა თუ პატიოსანი მშრომელი დედაკაცი. ადამიანის სულიერი განწყობილება იცვლება არსებული მდგომარეობის მიხედვით. საუკუნეებით განებივრებული ქართველი ქალის ბუნებაც შეიცვალა რევოლუციის შემდეგ. ჩვენ დღეს ვხედავთ ქალებს, ხელოსნებს, კოლმეურნეებს, ექიმებს, ვექილებს, ლექტორებს და სხვა. მათ ენერგიულად ასწიეს ტვირთი სოციალისტური მშენებლობისა და მეცნიერული მუშაობისა. ასეთ ქალებს ჩვენში მწერლები ვერ ხედავენ, არც პ. ჩხიკვაძის ლაურა და არც კ. ლორთქიფანიძის გაიანე თანამედროვე ქალის ტიპები არ არიან. ჩვენი ბევრი მწერალი ქალში, გარდა სქესისა, არაფერს ხედავს. ამის შესახებ მე მქონდა ლაპარაკი მიხეილ ჯავახიშვილთან, მე მას უაღრესად დიდ პატივს ვცემ როგორც უნიჭიერეს მწერალს, ვთხოვე, რომ შეექმნა ქართველი ქალის ტიპი. კარგი მწერალი იმას ჰქვია, რომელიც აყვარებს მკითხველს წიგნს, აყვარებს მკითხველს დადებით ტიპს, კარგი მწერალი უნდა დაუკვირდეს სინამდვილეს და ტყუილ-უბრალოდ არ მოანდომოს დრო ყალბი ტიპების გამოკვეთას.

ნიჭიერი მწერალი, გულღვარძლიანი ადამიანების მიერ არ უნდა იყოს გასრე-

სილი. მაგრამ როგორია თვით მწერალთა ურთიერთობა? ეს ურთიერთობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. დაჯგუფება არსებობდა, არსებობს და კიდევ იარსებებს. არ ვიცი, თუ ამას რამე ეშველება. არ არის ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის გატანა, ერთმანეთის დაფასება. აქ გამოდიან ორატორები და ციცერონისებური სიამაყით სიტყვების კორიანტელს აყენებენ, ისვრიან მაღალფარდოვან ფრაზებს და ამბობენ: „მწერალთა შორის საჭიროა კარგი ურთიერთობის დამყარება, რომ საჭიროა მწერალთან გულთბილი მისვლა და სხვა“, მაგრამ ეს სიტყვები მარტო სიტყვებია, ნამდვილად კი ეს ორატორები იქ კულისებში თვითვე იფუჭებენ საქმეს, თვითონვე კინკლაობენ და ინტრიგანობენ, განსაკუთრებით ქალთა მიმართ. სად შემიძლია წავიდე? ვინ გეტყვის სიმართლეს, ხელოვნების საასახლეში სიმართლეს ვერ იპოვი. მწერალი რიგიან პასუხს არ გაღირსებს და დადიხარ გაბოროტებული ერთი რედაქციიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ასე. მე მინდოდა მყვარებოდა ყველა და მაიძულებენ მძულდეს ყველა, მაიძულებენ იმიტომ, რომ არ შეიძლება გიყვარდეს ისეთი მწერალი, ისეთი რედაქტორი, ისეთი კრიტიკოსი, რომელსაც სურს წარხოცოს შენი არსებობა, რომელიც არ გაძლევს გასაქანს, რომელიც გჩაგრავს და გავიწროებს...

საფო მგელაძე

„წიგნის სამყარო“,
1990, 16 მარტი, № 5 (521), გვ. 3

მარიამ ტყემალაძე – ალექსიძე
(მარიჯანი)

1890–1978

წიგნიდან: შემთხვევითი თემები

1. უარი ჩემს დღიურებს.
„პირუტყვი თავის ნაძოვარს
არ უბრუნდება“. ადამიანის
აღდგენა, კარგი წიგნი და
კარგი მეგობარი.

შემთხვევა არის ჩემი ყოფნის
ბრმა მოკარნახე.

მ ა რ ი ჯ ა ნ

„დაცინვისა ეშინიან იმასაც კი, ვისაც საზოგადოდ არაფრისა არ ეშინიან“ – სთქვა ვიღაცამ ოდესღაც.

და ალბათ მეც იმიტომ ვარ ასეთი გულჩახვეული, ვერავის ვერ გავენდობი, ვშიშობ არ დამცინონ.

ალბად სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩემი დღიურები დატვირთულია ჩემი პირადი განცდებით. ერთი და იგივე საგანზე მიხდება ფიქრი და წერა.

და მომბეზრდა. აღარ მინდა მათთან საუბარი...

უარი ჩემს დღიურებს.

უარი გაყვითლებულ ფურცლებს.

ახალი რვეული.

ახალი წიგნი ძველი კანონებით არ იწერება.

გრძელ პერიოდებს მეც ვეღარ ვიტან.

მაგრამ ახალიც არაფერია:

ვინც იცის „ქებათა ქება“ სოლომონისა, „Ars amandie“ და „Remedia amoris“ ოვიდიი ნაზონისა, მისთვის გასაგებია, რომ ლაკონიური თქმა, შეკვეცილი დაწურული ფრაზა და აზრი უძველესი თქმაა.

მე რომ ეს რვეული ვიყიდე, არა ჩვეულებრივი გრძნობა დამებადა: გული თითქოს გაგანიერდა, ათასი აზრი მომაწყდა. მეჩქარებოდა სახლში მისვლა. მენატრებოდა ჩემი ოთახის მყუდროება და სიმარტოვე.

მე მხოლოდ სიმარტოვეში შემიძლიან წერა.

ღამის ფრთები ჩემთვის საუკეთესო საფარია.

არც ერთი ლექსი მე დღისით არ დამიწერია.

ჯადოსნურ რკალში მოჰყვა ლექსაობა.

„პირუტყვი თავის ნაძოვარს არ უბრუნდება“.

ჩვენ კი ისევ პირველ სიტყვასთან ვართ.

საქართველოში ყველა – დიდი თუ პატარა, ნიჭიერი თუ უნიჭო, თავის თავიდან იწყებს მწერლობის ახალ ხანას, ახალ ეპოქას.

ყველას თავისი სიტყვა, ღვთის პირველ სიტყვად მიაჩნია.

სინამდვილეში კი ყოველივე წარსულის გადამღერებაა.

გადახალისება ძველის და სიძველის.

მე ძველი წიგნები უფრო მიყვარს.

ძველში მე ახალს უფრო ვპოვებ.

ძველი მე მაკვირვებს: სიღრმით, სიბრძნით.

ძველი წიგნის სურნელება! საუკუნეების მანძილი!

ლექსს თუ ჭუჭყის სუნი დაჰკრავს, ჩემთვის მიუღებელია.

დრო და მანძილია საჭირო, რომ ისინი ვიგრძნო.

ეს არ არის ლიტერატურული მიდგომა.

მაგრამ მე ჩემს თავს ხომ ვერ მოვატყუებ.

ქართველი პოეტესა, როცა პროვინციალურ ჟარგონით ლაპარაკობს – მე ტანში მაჟრიალებს.

მე ქართველი სიტყვის სიდარბაისლე მწამს.

სიტყვა, როგორც ფოლადი და მსუბუქი – როგორც ეთერი.

კონტრასტების შეფარდება.

გულში ჩახედვა. განცდების გამზევება.

მე.

და ჩემს გარეშე ისევ „მე“.

ადამიანის აღდგენა.

ადამიანი გაითქვიფა კოლექტივში.

წინათ ადამიანი, როგორც პიროვნება, ძლიერი იყო. ის იყო ბელადი.

ის ჰქმნიდა ეპოქას.

ეხლა ეპოქა ჰქმნის პიროვნებას.

დრო ჰქმნის ბელადებს.

მე კი მინდა, რომ თვით დროც შევაჩერო.

იყოს ერთგვარი ანტრაქტი ჟამთა აღრიცხვაში.

შეუძლებელია.

როცა დიდი პიროვნება კვდება, ტრაურის აღსანიშნავად, განსაზღვრულ დრომდე შეაჩერებენ ხოლმე მუშაობას, მიმოსვლას, მოძრაობას.

ეს სიმბოლურია.

შეწყდა მაჯის ცემა.

მე კი მინდა თვით დროც შეაჩერონ, რომ ეს შეწყვეტა არ განიზომებოდეს წუთებით, რომ წუთები არ განისაზღვრებოდეს წამებით, ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა დაუსრულებელ წამების.

წამებიდან შემდგარი წამება.

შკლოვსკიმ სთქვა: „საგნები ისევე ჩნდებიან, როგორც ბავშვები. ისინი ისახ-

ვიან მხიარულად და ურცხვად, მათი ტარება სამძიმოა, გაჩენა – მტკივნეული, არსებობა – წამება“.

და სწორედ ამ წამებამ, ცხოვრების ტლანქ და უგულო კანონებმა, ორჯერ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა.

მაგრამ, არც ტყვიამ, არც დანამ და არც ჭლექმა, არ მომკლა.

ალბად ქინძისთავისაგან მიწერია სიკვდილი.

ბედი არ არსებობსო.

მე კი ფატალისტკა ვარ.

ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო.

მეც უნდა ვიცხოვრო, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცისათვის და რაღაცისათვის ეს საჭიროა.

მე თვითონ გარკვეული პასუხი ჯერ კიდევ არა მაქვს ამაზე.

რა საჭიროა სიცოცხლე ან სიკვდილი, რათ ვჯღაბნი ამ სტრიქონებს, სტრიქონებს უაზრობისას!?

სტრიქონებს ჩემი სულიერი სიღატაკის გამომსახველებს.

მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა მაიძულებს წერას.

ეს წერის სურვილი ისეთივე ძლიერია ჩემში, როგორც ყოველივე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება.

საბრალო მკითხველი!

თუმცა ჩვენში მკითხველიც არ არსებობს. ქართულ წიგნს ისევ ქართველი მწერალი კითხულობს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, ხოლო კრიტიკოსები ისინი არიან, ვინც მწერლობაში არ გამოდგნენ.

კარგი წიგნი კი კარგს მეგობარს უდრის.

ახლა აღარც კარგი წიგნი იწერება და აღარც კარგი მეგობრობა არსებობს.

ჩვენი ხანა ეგოისტურია, ხანა უნდობლობის.

უნდობლობაზე სამძიმო კი არაფერია.

მე ვიცოდი მეგობრობა და მეც მაიძულებენ ამის დავიწყებას... დავრწმუნდი, რომ, სხვისათვის თავგანწირვა – სისულელეა.

„ბედი ყოველთვის იმას სჯის მკაცრად, ვინც სხვას ერთგულობს და ღალატობს საკუთარ თავსა“.

2. უცნაური განცდა.
მე, სიყვარული და დღევანდელი მომენტი.
ანა ახმატოვა. პლაგიატი.
ჩემი გაბოროტება.
ბუნების წიაღში.
შემთხვევა.

მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

თითქოს მიწის და ცის შუა თავდაღმა ვიყო დაკიდული.

ნიადაგი გამომეცალა.

რაღაცნაირი მდგომარეობაა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი.

სივრცისა და დროის გარეშე დავრჩენილვარ თითქოს.

არაფრის გაგების უნარი არა მაქვს.

მხოლოდ ესენინის სიტყვები მიელავენ: „ჩემს ჩანგს არავის დაუთმობ“.

და ვამბობ სასოწარკვეთილი:

– ეხ, ვის რათ უნდა ჩემი ლექსები,

ჩემი მკითხველი არავინ არი...

დღევანდელი მომენტი უარყოფს ლირიკას, უარყოფს სიყვარულს.

მე კი როცა ნაკლებად ვგრძნობ სიყვარულს, უფრო ნაკლებად ვგრძნობ ჩემში შემოქმედების ძალას.

იქ, სადაც სიყვარული ისპობა, იქ მე ადგილი არა მაქვს.

ერთხელ სპარსეთის მეფე ბერხებ-ჰგური თავის საყვარლის ფეხთით იჯდა, ლამაზ დელი არამის ფეხთით.

მეფე თავის სიყვარულზე ელაპარაკებოდა. ორთავეს გული უცემდათ და წარმოიშვა ახალი სიტყვები. ქალის გულში გამოძახილი ჰპოვეს. ასე შეიქმნა სპარსეთში პოეზია, რიტმი და რითმა.

ეს სპარსული ლეგენდაა – პოეზიის წარმოშობის შესახებ.

ამისთანა ლეგენდებს ყოველი ჩვენთაგანი განიცდის.

მე ცოცხლად ვიმარხები.

ეხლა სხვა მოთხოვნილებაა. ახალი მიდგომა. ახალი გაგება.

ჩვენ აღარა ვართ საჭირო.

რატომ არ შეიძლება, რომ ამ სისხლის და რკინის დრომ ჩვენც შეგვიყვაროს; ჩვენ, უკანასკნელი ოქრომჭედლები სიყვარულისა?

– ჩემს საუკუნეს მაჩანჩალად მე არ გავყვები

თუნდაც პატარა უმნიშვნელო ვიყო ატომი.

ჩემი გულის ნანგრევებზე სხვა თუ ააშენებს სასახლეს, თორემ მე არ ძალმიძს არაფრის გაკეთება. ჩემი სული ისევე დამახინჯებულია, როგორც ჩინელი ქალის ფეხები.

თანაც ვფიქრობ: მეორედ ხომ არ დავიბადები?

ერთს დროს ვფიქრობდი, რომ ეს სიცოცხლე არ მეყოფოდა. მეგონა ჩემთვის სამი სიცოცხლე იყო საჭირო, რომ ყოველივე ჩემი გულის წადილი შემესრულებინა. დღეში 24 საათი კი არა – 48 საათი უნდა ყოფილიყო, რომ ყოველივე მომესწრო.

ვამბობდი დაჟინებით:

– ერთხელ სიცოცხლე საკმარისი არ არის ჩემთვის, მე უსათოოდ რამდენჯერმე უნდა ვიცოცხლო!

დღეს კი შემოდგომის ფოთოლივით პირველ ქარს გავყვები, რომ ერთხელ კიდევ ავცილდე მიწას და ხის მწვერვალის სიახლოვე ვიგრძნო. შემოდგომის, დიაღ, შემოდგომის ფოთოლს დავემსგავსე.

უმიზნოდ დამაქროლებს ქარი და ერთ-და-იმავე დროს ვბანაობ როგორც მტვერში, აგრეთვე განელებულ მზის სხივებში.

მტვერი და მზე ერთად.

სულ სხვაა ხასხასა ფოთოლი ლამაზ ხეზე.

ის მხოლოდ მზეს ჰხედავს.

მტვერი მას არ ეხება.

ჩემი სულის ანარეკლს ახმატოვას ლექსებში ვპოულობ. მისი ლექსები არ არის შემკული თვალწარმტაც სათაურებში. ყველა მისი ლექსი კვნესა და ლხენაა მისი გულის და ერთი მეორის გაგრძელება.

ყველაზე უფრო მისი ერთი კრებული მომწონს: „კრიალოსანი“. მისი განცდები სწორედ კრიალოსნის მარცვლებადაა აკინძული:

რომელი ლექსიც არ უნდა წაიკითხო, ყველა მის განცდებთან განათესავებენ და მისი გულის ცემას გაგრძნობინებენ.

მე მიყვარს ახმატოვა.

საინტერესო წიგნი ის არის, რომელიც საკუთარ თავზე იწერება.

საუკეთესო ლექსი უსათუოდ ლირიულია.

კარგი ლექსი განცდით იწერება.

სილამაზე უნდა იგრძნო, რომ დააფასო.

ჩვენში ნაკლებ განიცდიან ნამდვილ სილამაზეს: სილამაზეს – ჟესტის, ცხოვრების, განცდის, გაქანების.

ეს ყოველივე წიგნებშია მხოლოდ, ამაზე მხოლოდ სწერენ. ჩვენი ხელოვანი უბრალო მომაკვდავზე მდარეა და უნიათო.

ჩვენ გვიყვარს მხოლოდ მყვირალა სათაურები. ერთ დროს სათაურებით ამოიწურებოდნენ ლექსები.

თემების ძიებით უფრო ვიყავით გატაცებულნი, ვიდრე თემების დამუშავებით.

მშვენიერი სათაურები. ლამაზი წარწერები. თვალჭრელი შემოქმედება.

მაგრამ არის ხოლმე ლექსი, რომელსაც სათაური არ უდგება. სათაური ვერ გამოგინახავს.

ზოგი ლექსი პირდაპირ სათაურისთვის და რითმებისთვის იწერება.

ეს ყოველივე პოეტის და მწერლის საიდუმლოებას შეადგენს.

ჩვენი პოეტები იმდენად დაუნდობელნი არიან, რომ ერთმანეთს არამც თუ დაუბეჭდავ ლექსებს, ახალ რითმასაც არ გაანდობენ, ზოგიერთისათვის ახალი რითმა ისეთივე განძია, როგორც უმშვენიერესი მარგალიტის პოვნა, და ვაი იმისი ბრალი, თუ შემთხვევით ეს სიტყვა, სხვა ლექსში აღმოჩნდა. ის უსათუოდ ქურდის ან პლაგიატორის სახელით ინათლება.

ვინც მკვდარს სცარცვავს – მარადიორია.

ცოცხალს – შანტაჟისტი.

შარა გზაზე მონავარდე – ყაჩაღია.

გემების მძარცველი – მეკობრე.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ვისარგებლოთ სხვისი აზრით თუ სიტყვით ისევე, როგორც ვსარგებლობთ ავტომობილით, გემით, ჰაეროპლანით.

ყოველი აღმოჩენა და დასტამბული სიტყვა შორდება პატრონს და ყველას ეკუთვნის.

იაპონიაში პლაგიატი, როგორც დანაშაულობა არ არის შეტანილი ხალხის მორალურ კოდექსში. იაპონიაში ეს ერუდიციად არის მიღებული.

ჩვენში კი ამ ნიადაგზე, ორ პოეტს ერთმანეთის სისხლის დალევაც კი შეუძლიათ.

რატომ არ შეიძლება, რომ ორ პოეტს ერთი-და-იგივე აზრი დაებადოს?

ბავშვობაში დედა მასწავლიდა: „ღამე როცა იძინებ, მოიგონე შენი ყოველი საქციელი: რა გააკეთე, რა ილაპარაკე, ხომ არავის არ აწყენინე, და თუ რამე ცუდი ჩაიდინე, ერიდე, რომ მეორე დღეს არ გაიმეოროო“.

და მართლაც, ამხანაგებისათვის თუ ტოლებისათვის იშვიათად მიმიყენებია ვნება.

ყოველ ჩემს სიტყვას ანგარიშს ვუწევდი.

ჩემში ბავშვობიდანვე პასუხისმგელობა იყო.

ღმერთო ჩემო, რა კეთილი ვიყავი.

ახლა კი გავბოროტდი.

ვფიქრობ: ნუ თუ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩემი სულის შიმშილი სავსებით გაიგოს?..

მე არ მინდა ჩემს გრძნობებს დავემონო.

სიყვარული, რომელიც ერთს აფერადებს და მეორეს სჩაგრავს – დასაგმობია. ასეთი სიყვარული მე არა მწამს.

მე სიძულვილი მენატრება! სიძულვილი, ყოველივე ჩემი უჯრედით, ყოველივე ჩემი ნერვის ძაფებით, ყოველივე ჩემი სისხლის წვეთით.

ჩემი სიტყვა შხამით უნდა იყოს გაჟღენთილი, რომ სწამლავდეს ატმოსფერას.

ჩემი ბოროტი სუნთქვა უნდა ახმობდეს ყვავილებს, ჩემი მწარე ღიმილი უნდა სერავდეს მიწას...

ოხ, ისე უნდა გაივსოს ჩემი გული სიბოროტით, რომ ვეღარ დაეტიოს გულის ფოსოში, გასკდეს, ბალღამად გადმოიღვაროს და მთლად წამლეკოს...

ჩემი სუსტი ხმა თავშემზარავ ჭექა-ქუხილად უნდა გადაიქცეს.

ჩემი მსუბუქი სიარული ისე უნდა დამძიმდეს, რომ საუკუნოებით დამარხულ ძვლებმაც იგრძნონ ტკივილი და შეიშმუშნონ.

ახ! ჩემ სურვილებს ვერ დაჰფარავს თვით ოკეანე.

მე წარსულს მივაფურთხე.

მე აწმყო უარვყავი.

მომავალს ვწვავ ანთებულ თვალებით და მინდა ყველა პლანეტები შევაჯახო, რომ ახალი მსოფლიო შევქმნა:

ჩემი საკუთარი კანონებით.

აღარ იყოს ნასახი ადამიანის, „ანდაზასავით გაცვეთილ ადამიანის“, რომელსაც დაჰკარგვია დიდი ხანია სახე და ზღვის დონედან მოგლეჯილ ღრუბელივით ისრუტავს ყოველივე სიბილწეს.

უპატიოსნო ადამიანს არც სხვისი პატიოსნება სწამს.

მაგრამ ვარსკვლავები რომ აშუქებენ, ალბად ესეც ვისმესთვის საჭიროა.

ბუნების წიაღში ადამიანი კეთილშობილდება.

ბუნება ურცხვია და ადამიანში ატავისტურ გრძნობებს იწვევს.

ბუნება ხსნის ადამიანის სახიდან ფარისევლობის პირბადეს. ამიტომ არის, რომ აგარაკზე უფრო ადვილად ეჩვევა ხალხი ერთმანეთს. აგარაკზე ადამიანი უფრო გულწრფელი და გულახდილია.

ბულბული ხეზედ უფრო ლაღად მღერის.

ყოველი ლამაზი განცდა ზაფხულის განძია. აყვავებული ბუნება, ეს ის საუკეთესო თაიგულია, რომელიც აამოძრავებს ხოლმე ჩვენს ემოციებს.

რასაც ადამიანი ზამთარში ვერ გაბედავს, გაზაფხული და ზაფხული შეასრულებინებს.

დიდი ხნით ნატარევი სურვილი უფერულია და უგემური.

ბუნების წიაღში მრავალი ახალი აზრი თავისთავად იბადება.

ბისმარკმა იცოდა თქმა: „მე უნდა გაგიზიაროთ აზრი, რომელიც მწვანე მაგიდასთან კი არ მეწვია, არამედ მწვანე ყანებს შორის“.

ბუნება ხშირად წიგნზე მეტყველია.

ბუნების კარნახი ჩვენი ცხოვრების კოდექსებზე ძლიერია.

მთის ხალხი უფრო ინტენსიურია, თამამი, გონიერი და ფხიზელი – ვიდრე დაბლობის.

ჭაობის მცხოვრებლებს მუდამ დაღვრემილი სახე აქვთ. მათი გონება ჩლუნგია, გული – დახშული.

როცა მთის მწვერვალზე ადიხარ, თავს თითქოს ზეკაცად გრძნობ.

ადამიანი თავის თავს უფრო სრულყოფილ ცნებად აღიარებს, ვიდრე ბუნებას.

ადამიანმა თითქოს დაიმორჩილა ხმელეთი, ზღვა და ჰაერი.

აღარაფერი აღარ დარჩა გაუგებარი და მიუწვდომელი.

მაგრამ საკმარისია, მიწამ ერთი ღრმათ ამოისუნთქოს და... დაინგრევა ქალაქები, სოფლები, ქვეყნები.

საკმარისია დაიწიოს ზღვის დონემ და... გაქრებიან კუნძულები, იღუპება ქონება, ხალხი, კულტურა.

მე მიყვარს სტიქია!

უდაბნოს ხორშაკი მთელ ქარავნებს ასამარებს.

ზღვა გიგანტიურ გემებს ჰყლაპავს. ზღვას მსხვერპლი უყვარს.

ბუნებას საკუთარი კანონები აქვს: უფრო რთული და ძლიერი.

ის თითქოს დასცინის ადამიანს: „მომაკვდავო, მე შენსავით არ მეჩქარება“.

ჯერ ჯერობით გამარჯვება ისევ ბუნების ძალას ეკუთვნის.

შემთხვევა, უბრალო შემთხვევა, ხშირად სპობს ყოველივეს.

ერთმა ცნობილმა მეცნიერმა და არქეოლოგმა ეგვიპტეში უძველესი აკლდამა აღმოაჩინა. მისი დიდიხნის ცდები გამარჯვებით დაგვირგვინდნენ.

კმაყოფილი და ბედნიერია მეცნიერი. მაგრამ მიწიდან მოულოდნელად გველი გამოძვრება და სასიკვდილოდ დაჰკბენს მეცნიერს.

იწამლება გველის შხამით. შველა შეუძლებელი ხდება.

მეცნიერება უძლურია.

გველის შხამიანი შეხება დიდტანიან წიგნებს ამარცხებს.

კვდება დიდი ადამიანი.

ადამიანი ყველაფერს ვერ უმკლავდება.

ხშირათ უბრალო ბაცილა უფრო გამძლეა, ვიდრე სრულყოფილი ქმნილება – ადამიანი.

3. ქორწინება. შვილი. სიყვარულის ცვალებადობა.
მეგობრობა. ქალი და ხელოვნება.
ანატოლ ფრანსის აზრი ქალის დანიშნულებაზე.
სიბერე. სიყვარულის და მწერლის ბედი იგივეა.
ბავშვი მოხუცთან არ დაიძინება.
ჩვენი ნერვიულობა. ფეტიშიზმი.

თვითეული ჩვენთაგანი რამოდენიმე აქტიან დრამას ატარებს თავის სულში.

გაუთხოვარი ქალის ბედი იგივეა, რაც დაუბეჭდავი ლექსის.

იაპონელ იეაზუმ სთქვა: ნურავინ დარჩება უცოლოდ და უქმროდ. უმაღლესი ზნეობრივი კანონი მოითხოვს, რომ ყოველი მამაკაცი და ქალი დაქორწინდესო.

როგორც ზაფხულის პეპლები უდარდელად დანავარდობენ და ყვავილების თასებიდან სწუწნიან ნექტარს, თქვენც ასევე დალიეთ ნეტარების შარბათი. როგორც აბრეშუმის ჭიაა ნაყოფიერი, თქვენც გამრავლდით და შეჰქმენით თქვენი ჩამომავლობაო.

მე არ მწამს ოჯახი – უბავშვოდ.

არა მრწამს უშინაარსო სიყვარული.

სიყვარულის შედეგი მხოლოდ ბავშვია.

ბავშვი – ეს სულისა და ხორცის შეერთება.

უაღრესი ბედნიერება ადამიანისათვის – არის შვილი საყვარელ ადამიანისაგან. სხვანაირად სრული ბედნიერება ვერ წარმომიდგენია.

სქესობრივი აუცილებლობა ჩემთვის არ არსებობს.

მხოლოდ სიყვარულით შეიძლება დაკავშირება. დანარჩენი – პირუტყვობაა.

ძლიერ ვნებიანი ადამიანი სხვას არაფერს ხედავს. მისთვის ვნება – ცხოვრების ქვაკუთხედია.

კულტურული ადამიანი სრულ ქმნილებისაკენ მიისწრაფვის.

ამავე დროს ადამიანი დაკნინდა და ცალმხრივია. ჰარმონია აღარ არსებობს.

ამიტომ არის, რომ ზოგისა სული გვხიბლავს და ზოგისა კიდევ გარეგნობა.

მთლიანი არსება ჩვენში იშვიათია. ადამიანი შემკული სულით, გონებით, ნებისყოფით და გარეგნული პროპორციით – საძებნელია.

ერთში ვერ ვპოვე ყველა ღირსება

და მინდა ნაკლი შევავსო სხვებით.

ამბობს ჩემი მეგობარი პოეტი.

რთულია თანამედროვე ადამიანის ფსიხიკა.

ქალი სავსებით არასოდეს არ არის ბედნიერი. ის ვერ ჰქმნის თავის მომავალს, თავის თავს არ ეკუთვნის. ის მონაა საკუთარ გრძნობების და შინაგან განცდებზეა გადაყოლილი.

ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი ლტოლვა სიცოცხლის საძირკველია.

ქალს სიყვარული ალამაზებს.

გასუქებულ ადამიანს სიყვარული ნაკლებად შეუძლიან.

მსუქანი ქათამი კვერცხს არ იძლევა. ხშირად მსუქანი ქალი – უშვილოა.

გაქონილს გულს და ქონმორეულ მკერდს მგრძნობელობა აკლიათ.

ალტენბერგმა სთქვა: „მე დავკარგე ჩემი სატრფო: ის სუქდებაო“.

ერთმა მეგობარმა კი მითხრა: „ნუ გახდები, თორემ შეგიძულებო“.

ადამიანის აღზრდა ეს არის სქესობრივი მოთხოვნილების სულიერად გარდაქმნა.

ყოველი გატაცება ადამიანში შემოქმედებას უნდა იწვევდეს.

მე უარვყავი ერთი ერთგული მეგობარი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სიყვარული ჩემში არასფერს არ იწვევდა. დაუწერე:

– რად გინდა დარჩე ჩემს რვეულში ცარიელ ფურცლად?

იგრძნო და სულ წავიდა აქედან.

მე მხოლოდ მასთან შემიძლიან მეგობრობა, ვინც სულიერ საზრდოს მაძლევს.

ოჯახის შექმნა, მეგობრების უარყოფაა – ერთის გულისათვის და ეს ერთი უსათუოდ ღირსეული უნდა იყოს.

ტოლსტოის ცოლი სწერს თავის მეუღლის წიგნის წინასიტყვაობაში:

„ჩემი სუსტი მხრებისათვის სამძიმო ტვირთი იყო გენიოსის და დიდი მწერლის მეუღლეობა“.

სვირსკის ერთ პატარა მოთხრობაში ცოლი უსაყვედურებს მწერალ ქმარს:

„შენი დიდი პიროვნების ჩრდილში მე მცივა და ვიყინებიო“.

ქალი ხელოვანის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს.

ქალი სულის ჩამდგმელია ყოველივე საუკეთესო ნაწარმოების, ყოველივე დიდი საქმის.

გიოტეს დაი კორნელია ყველასათვის ცნობილია, კორნელიას დიდი გავლენა ჰქონდა თავის ძმაზე. გიოტე ამას გრძნობდა და განსაკუთრებით უყვარდა. როცა კორნელია გათხოვდა, გიოტე სწუხდა ბავშურად და თანაც ეჭვიანობდა.

მიქელ ანჯელოს სიბერემდის შერჩა სიყვარული თავის სატრფოსადმი.

ანატოლ ფრანსი ასე ლაპარაკობდა თავის მეგობარ ქალბატონ არმან დე-კაიავაზე: „მე უიმისოდ ვერასოდეს ვერასფერს ვერ გავაკეთებდი. მე იმ ქალის ძალდატანებით ვსაქმიანობდი. სუფთა ცარიელი ქაღალდის დანახვაზე თავს ბრუ მესხმოდა“.

როცა ანატოლ ფრანსი მუშაობდა, ქალბატონი არმანი შორიახლოს მაგიდასთან იჯდა და თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას, ამხნევებდა და თითქმის ძალით აწერინებდა. მათი მეგობრობა ხანგრძლივი და საინტერესო იყო. ისინი მუდამ ერთად მოგზაურობდნენ. ამას ანატოლ ფრანსისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ისეთ ადამიანს უნდა ჰმეგობრობდე, რომ განშორების დროს უფრო იგრძნო მისი სიშორე, ვიდრე ერთად ყოფნის დროს – მისი სიახლოვე.

განშორება საუკეთესო საზომია სიყვარულისა. ნამდვილი, დიდი გრძნობა ღრმავდება და ძლიერდება, პატარა – ნელდება და ჰქრება.

მე პატივსა ვცემ იმ ქალებს, რომელნიც ჩემ შეხვედრამდე უყვარდათ, მძულს ისინი, ვინც ჩემს სიყვარულში ეჩხირება და მეშინიან მათი, რომელნიც ჩემი მოადგილენი გახდებიან.

ალტენბერგს ასეთი ნაზი სტრიქონები აქვს:

„მე ვეუბნები ჩემს მომავალ მოადგილეს: ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეახეთ შიშველი ფეხი იმ პატარა ხალიჩას, რომელიც თქვენი სატრფოს საწოლთან ჰფენია: ის ხალიჩა ჩემი ცრემლებით არის მოქარგული“.

არც ერთ ქალს, ვინც უნდა იყოს იგი, მამაკაცის ღალატი და გულგრილობა არ ასცდება. ამას ქალი ძნელად ურიგდება.

„ერთს მდინარის პირად – სწერს ბელგიელი მხატვარი და პოეტი ჟანდე ბოშერი – იდგა უბედური ქალი. ის რომ წყალში შედიოდა გასაბანად, წყალი ტალღებს ანელებდა, მოძრაობას უკლებდა, თითქოს ჩერდებოდა. ქალი მოხუცი იყო. ის დასცქეროდა თავის სახეს, რომელსაც ანარეკლად ხედავდა წყლის ზვირთებში. ეს ტალღები უფრო ანაოჭებდნენ მის ხატებას. მისი დარდი იკუმშებოდა ამ ტალღებში, იზრდებოდა და სპობდა ყოველივეს. ის დამჭკნარი დედაკაცი იყო, მისი ცრემლები, როგორც დასერილი ხის სისხლი, ნელინელ ჟონავდა მის დანაოჭებულ სახეზე. ცრემლის ნაკადი და წყლის ნაკადი ერთდებოდნენ მღელვარე მდინარეში“.

სევდას უამრავი ლექსი აქვს გამოწვეული.

მთელი ფილოსოფიური ძიებანი, აღმოჩენანი.

სუსტი ადამიანის სევდის შედეგი – ცრემლია. ცრემლი ხშირად შვებაა, მალამო.

ცრემლები რომ არ არსებობდნენ, ხალხი დაიხრჩობოდა საკუთარ სულის მორევში.

მე ერთი საშინელი ნაკლი მაქვს: ცუდ გუნებაზე უნდა ვიყო, რომ კალამი ავიღო ხელში.

ჩემი სასიხარულო ლექსებიც კი გაჯავრებით არის გამოწვეული.

ამიტომ არის, რომ ხშირად შეგხვდებათ ჩემს ნაწერებში:

„გახსოვს!“

მე მოგონებაში გადავარდები ხოლმე.

ასეთ წუთებში მე ვწერ, ვწერ ყველაფერს, რაც კი გამიელვებს თავში.

ეს აზრები არ არის დალაგებული მსჯელობის ნაყოფი. არეულია გონება. და ამიტომაც ასოციაციებით გამოწვეულ სახეებს ვეხები და მხოლოდ მწვავე განცდებით თვრება ეს ფურცლები.

ჩემი აზრი ელავს და ჰქრება... ელავს და ჰქრება.

მე გაშიშვლებულ ნერვებით ვწერ.

წერა შეიძლება მხოლოდ გულახდილად, წრფელად, ნაძალადევი და შეკვეთილი არა ვარგა-რა.

ადამიანის ხასიათი სიყვარულის განელების დროს აშკარავდება.

უპატივცემულო სიყვარული ჩემთვის არა-რაა.

მარტო პატივისცემა უსიყვარულოდ მისაღებია. ცარიელი სიყვარული მე არა მწამს.

ერთმა ახალგაზრდა პოეტესამ – (ლამაზი იყო ეს ქალი) შესჩივლა ანატოლ ფრანს, რომელიც მას მფარველობას უწევდა:

„მე უპატივცემულოდ მომექცნენო“ და დაუსახელა ის ვაჟი, რომელიც თურმე ანთებულის თვალებით უცქეროდა ქალს. – განა შეიძლება აქ უპატივცემულობაზე ლაპარაკი? – ამშვიდებდა ანატოლ ფრანსი – საუკეთესო შეფასება სილამაზისა, არის სურვილის გამოწვევა!.. რად გინდათ ის პატივისცემა, რომელიც თავისთავად, ჟამთა ვითარებით მოდის. აი, როცა ყველანი მხოლოდ პატივისცემით მოგეპყრობათ, მაშინ იგრძნობთ ამ პატივისცემის მთელ საშინელებას. დღეს კი მხოლოდ სანატრელი და სასურველი უნდა იყოთ ყოველ მამაკაცისათვის. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბუნებამ იმიტომ მოგცათ ეგ ცეცხლიანი თვალები, ეგ შუბლი, ეგ ტუჩები, შექმნილი კოცნისათვის, რომ მხოლოდ პატივისცემა გამოიწვიოთ!“

აი, მამაკაცური შეხედულება ქალის დანიშნულებაზე.

ისიც მართლია, რომ უსახური და ბედმოძვირებული ქალი უფრო კეთილზნიანია, თუ კიდევ შეიძლება საზოგადოდ ზნეობაზე ლაპარაკი.

ქალის გამბედაობა და სითამამე უაღრესად სიყვარულში გამოიხატება.

სიყვარულში, ისევე როგორც ხელოვნებაში, გაუბედავობა ადამიანს არას არგებს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ პატიოსანი მწერალი თავისი მოკრძალებული ხასიათით მუდამ დაჩაგრულია; ღრიალა, თავხედი და აბეზარი – უფრო პოპულიარულია.

საკმარისია სახელმოხვეჭილი იყოს მწერალი, რომ მის ყოველ სისულელეს გასავალი ჰქონდეს. თითქოს მისი ტვინის აპარატი ისეა მოწყობილი, რომ შეცდომები არასოდეს არ მოუვა!

პატარა ადამიანის სიბრძნეც კი უარყოფილია.

მაგონდება ერთი კურიოზი რუსულ მწერლობიდან: ერთს ახალგაზრდა მწერალს ჟურნალის რედაქტორმა მასალა დაუბრუნა. სასოწარკვეთილმა ავტორმა თავის მეგობარს, უკვე ცნობილ მწერალს შესჩივლა. მეგობარი არწმუნებდა, რომ მასალა მშვენიერი იყო და დასამტკიცებლად, მან ამ დაწუნებულ მასალას, თავისი გვარი მოაწერა და ისე გადაგზავნა რედაქციაში.

მეორე დღეს წერილი დაიბეჭდა.

სიყვარულშიაც ასე ხდება ხოლმე.

ყველაზე უბედური სიყვარულში სწორედ ისინი არიან, ვინც უფრო ყველაზე ღირსია სიყვარულისა.

ადამიანი, რომელიც გიყვარს, ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყველაზე მეტად გტანჯავს.

ქალი სიყვარულს წინასწარ გრძნობს ისევე, როგორც პოეტი ლექსის რიტმს და ზომას.

გრნობას მრავალ-სიტყვაობა არ უყვარს. ის უსათუოდ თვალებით ლაპარაკობს.

ბოკკაჩიო ამბობდა: „არაფერი არ ალამაზებს ქალის ტანს ისე, როგორც ალერსი. ტუჩები კოცნისაგან ხალასდებიან და ახლდებიან“.

ერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ „ახალგაზდული ელემენტები ბებრებსაც აჭაბუკებსო“. ამიტომ არის, რომ მოხუცებს მუდამ შინაგანი მისწრაფება აქვს ახალგაზდებისადმი.

ამითვე აიხსნება დიდედების გადაჭარბებული სიყვარული თავიანთ შვილიშვილებისადმი.

დედამ სასტიკად უნდა ადევნოს თვალყური, რომ მის პატარა ბავშვს მოხუცებულებთან ერთად არ ეძინოს. ბავშვის ნორჩი სხეულის ძალა გამოფიტულ უსისხლო უჯრედების სიახლოვით – იჩაგრება.

კულტურულ ქვეყნებმა, სადაც ათასნაირი სენი მძვინვარებს, ხალხს სიყვარული დაავიწყებინა...

იქ სიყვარული აღარ არსებობს, სადაც დაავადების საშიშროება წამოიჭრება.

გერმანეთში ქალებს უფრო პრაქტიკულ ცხოვრებისათვის ზრდიან.

მათ არ უყვართ გადაჭარბებული ნების და გონების განვითარება, რაც გერმანელების აზრით ნევრასტენიას წარმოშობს.

კაცობრიობისათვის უფრო შეუგნებელი და ჟანსაღი მოდგმაა საჭირო.

ჩვენ კი, დღენიადაგ ჩვენს სულში ვფათურობთ და საგიჟეთებს ვავსებთ.

საქართველოში ერთი ოჯახი აღარ არის, სადაც სულით დაავადებული ვინმე არ იყოს. ამან უკვე სოციალური ხასიათი მიიღო.

ჩვენ სრული დეგენერაციისაკენ მივდივართ:

განდიდების მანია ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა!

ჩვენში პატარა არავინ არ არის. სულ დიდი ადამიანები ვართ.

გენიალობამდის ასული შემოქმედება. კოსმოსი.

სულ ცარიელი სიტყვები. საქართველოს ვიწრო ფარგლებს დიდი მაშტაბი არ უდგება.

ძველი ელლინები აღარც ფიზიკურად და აღარც სულიერად აღარ არსებობენ. მათ კულტურული ნაშთები მაინც დარჩა.

ადამიანის სული შემოქმედებაში გადადის, ხოლო მისი პირადი ყოფა მის სახლში, მის ბინაზე, მის ნივთებში. ამიტომ გვიყვარს ძვირფასს ადამიანის ყოველი ნახელავი, გამოჩენილი ხალხის ნივთები, წიგნები.

გიოტეს კალამი.

პუშკინის სავარძელი.

ნიცშეს სახლი.

თამარ მეფის ქოში.

აკაკის აკვანი.

ილიას აგარაკი.

ქრისტეს პერანგი რომ დაინახა მცხეთელმა ქალმა სიდონიამ, გულში ჩაიკრა და გარდაიცვალა.

აქედან წარმოიშვა ფეტიშიზმი.

მეც ვერ ავცდი ამას:

– და ფეტიშად დავისახავ,

რა ვქნა, მარჯნის კრიალოსანს,

ნუ დამცინით!

ეს სჩვევია, ყოველ გიჟს და... ყოველ მგოსანს!

კიდევ საილუსტრაციოდ.

მაგონდება ერთი პოემა.

ცოლ-ქმარი ჩხუბობენ. ერთმანეთს ლანძღავენ: იყრებიან.

დაიწყო ნივთების განაწილება.

– ეს ჩემია.

– არა ჩემია!

აი, სკივრის ძირიდან ამოიღო ცოლმა პატარა ბოღჩა.

გააფთრებული ქმარი მივარდება, ხელიდან წაგლეჯს და იატაკზე მიმოიპნევა:

პატარა კაბები,

პატარა წინდები,

პატარა გაცვეთილი ფეხსაცმელები...

ორთავენი შეხედავენ ერთმანეთს და.... აქვითინდებიან.

ამ ნივთებმა გააცოცხლა მათში გარდაცვლილ შვილის არსებობა და ეს ორი, მტრულად განწყობილნი ცოლქმარი, შერიგდნენ.

ერთს წუთში ათასი იარა გაიხსნება.

ერთს წუთში წლობით ტანჯული სული იკურნება.
თვითეული ჩვენთაგანი რამოდენიმე აქტიან დრამას ატარებს თავის სულში.
ოხ, არასოდეს, არავის არ გადმოუცია ნამდვილი დრამა.
ის მუდამ მუნჯია და მის გადმოცემა შეუძლებელია.

მარიჯან

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1926, № 2, გვ. 25-37

ნინო ტყეშელაშვილის მოგონება მარიჯანზე

ჩვენ მწერალ ქალებთა შორის მარიჯანი ყველაზე უფრო აქტივისტკაა. მან თუ რამე საქმეს ხელი მოკიდა, ყოველ ძალას იხმარს, რომ ის სისრულეში მოიყვანოს. არ მახსოვს კარგად, 1919 თუ 1920 წელს გავიცანი, შემდეგ საერთო საქმეებმა უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს.

გასაბჭოებამ მოგვცა ქალებს სწორი უფლება და ამ უფლებების გატარებისათვის ცხოვრებაში ბრძოლაა საჭირო. ჩვენ, მწერალი ქალები კრებებს ვმართავდით ჩვენ ბინაზე, სადაც მეტ წილათ ჩვენ შემოქმედებაზე გვქონდა ლაპარაკი. ერთ კრებაზე, რომელიც ჩემ ბინაზე იყო, დაისვა საკითხი, როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი ნაწერები დაიბეჭდოს. ამ კრებაზე დაესწრენ ეკატერინე გაბაშვილი, კეკე მესხი (ან. წერეთელი დამბლათ იყო, ლოგინში იყო ჩავარდნილი, ნინო ნაკაშიძეს იმ დროს ძმისწული მოუკვდა და ვერ მოვიდა), მარიჯანი, ცქვიტი, დ. ახვლედიანი, საფო მგელაძე, კატო მიქელაძე, ბაბილინე წულუკიძე, მიმქრალი, ან. ღვინიაშვილი, გარიყული და ორი ჩემი მეგობარი ნეონილა კანდელაკი და სალომე შაქრაძე.

ამოირჩიეს თავმჯდომარეთ ცქვიტი, მის თანაშემწეთ ან. ღვინიაშვილი.

კითხვა დასვეს, რატომ არ იბეჭდება ჩვენი ნაწერები? ამაზე შემდეგი პასუხი იყო: არის ჩვენ ქართველებში ძველი ტრადიციონური შეხედულება ქალზე, როგორც ეხლა ფაშისტებს აქვს. ქალის საქმეა ოჯახს მოუაროს და გზა არ მიეცეს სხვა მის შემოქმედებას. კრებამ დაავალა მარიჯანს და ცქვიტს მწერალთა კავშირში მოლაპარაკებოდენ ამ საგანზე და თუ გარკვეულ პასუხს არ მიიღებდენ, ჩვენ უნდა შევდგომოდით პრესის დაარსებას. ამ საკითხის გამორკვევის შემდეგ ვახშმათ დაჯდენ. მაშვინ ყველაფერი იაფი იყო. სუფრაზე საჭმელი და სასმელი თავსაყრელათ იყო. დაიწყეს სიმღერა, ლაპარაკი სადღეგრძელოსი, სმა, ტოლუმბაშათ ანიკო ღვინიაშვილი იყო. მერმე მოყვნენ სიტყვებს და ახალ ლექსების თქმას. ყველაზე კარგი ლექსი თქვა მარიჯანმა, ამიტომ მას უწოდე მე ბულბული ჩემ ნაწარმოებში „მგალობელი ჩიტების ზეიმი“ დაბეჭდილი „პიონერში“, 1935 წ. № 6-7. მოლაღური – კატო მიქელაძე, ტოროლა – ანიკო ღვინიაშვილი, ჯაფარა – ცქვიტი, ხოხობი – ბანოვანი, გვრიტი – ბაბილინე, შოშია – დარიკო ახვლედიანი, კეკე მესხი და ეკატერინე გაბაშვილი – შაშვი, ჩემი მეგობრები – მტრედები.

მერცხალი – (კი მე) ამნაირი ფსევდონიმი მქონდა, როცა ვწერდი 1920 წელს.

მერცხალი, გაზაფხულის ფრინველი, რომელიც სოციალისტურ იდეიაზე გალობდა – ამ აზრის შეტანას შეეცადა შინაურ ფრინველებში – ამბობს, როცა მე ამ იდეიაზე ჭიკჭიკს დაუწყებდი შინაურ ფრინველებს, ინდოურები გულზე მარჯნის გრეხილს ჩამოიკიდებდენ თავზედა. ამას გაისწორებდენ, ზურგს შემომაქცევდენ და ერთ ხმათ დაიძახებდენ, ყრუ ვართ, ყრუ, ყრუ და დაიშლებოდენ. იხვები – ჭორიკანები. ესენი ჩამწკრივდებოდენ. ერთი დაიძახებდა – ვახ, ვახ, ვახ. რა ახალი ამბავია – და გაიქცეოდენ საჭორიკანაოთ. ქათმები რომ მოისმენდენ – ქა, ქა, ქა,

რა კარგი ამბავი, რა კარგი – და თუ ამ დროს პატრონი დაუძახებდა და მარცვალს დაუყრიდა – ყველა მისკენ გაქანდებოდენ.

ბატები – ხომ სულელი არიენ – როგორც ჩემს ჭიკჭიკს გაიგონებდენ – სუ, სუ, სუ – თავი არ გვინდა დავიღალოთ შენი მოსმენით, გვეჩქარება, მდინარეზე ვალსი უნდა ვითამაშოთ, – გარბოდენ. და რადგან მათთან ვერას გახდა, ეხლა საპირველ-მაისო დღესასწაულზე მგალობელი ჩიტები დაპატიჟა შაორის მინდორზე.

მგალობელმა ჩიტებმა მოისმინეს მერცხლის წინადადება, გაიზიარეს ეს, შაორის მინდორზე იქეიფეს გათენებამდი და როგორც კი დაინახეს მზე, წითლათ ამომავალი – გაფრინდენ მის შესახვედრათ პირველ მაისის სადღესასწაულოთ.

მარიჯანი და ცქვიტი ვერას გახდენ მწერალთა კავშირში ჩვენი ნაწარმოების დაბეჭდვის შესახებ, ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი პრესის დაარსება. გამოვეცით ჟურნალი „ალმანახი“ ჩვენ ხარჯზე. რადგან ამდენი სახსარი არ გვქონდა, ამისათვის საღამო გავმართეთ რუსთაველის საკონცერტო თეატრში. მარიჯანმა დიდი შრომა დასდო ამაში, საღამო კარგად ჩატარდა. „ალმანახმა“ იარსება 1924-1926 წლებში. აქ შემოგვიჩნდენ ჩვენი კეთილ არ მსურველი. მათ ნალაპარაკებს გადმომცემდა მიმქრალი: რათ გინდათ ცალკე ჟურნალი, შემოგვიერთდით და ერთად ვბეჭდოთ, ცალკე მეტი სახსარი დაგჭირდებათ, ამას ვერ შეძლებთო – მეტმა წილმა გამგეობის ამათ დაუჯერეს – ეკ. გაბაშვილი, მარიჯანი და ცქვიტი ამის წინააღმდეგი იყვნენ.

1924-1926 წლები იარსება „ალმანახმა“, მერმე ყველა დარწმუნდა, რომ მათი სიტყვა ტყვილი იყო და ბოროტი. ხშირად იტყოდა ეკატერინე, რად დაუჯერე მათ და ჟურნალი დავხურეთ. ჩვენთან ახალგაზრდა ქალიშვილები იყვნენ, ნიჭიერნი, ისინი ჩაებმებოდნენ ამ საქმეში და გაუძღვებოდენო. ეკატერინე მართალი იყო – ამ საქმის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

ერთ საღამოს ალმანახის კრებაზე მარიჯანი გვიან მოვიდა და გვიამბო, რომ მას დაჭირდა ბევრი სიარული დავალებულ საქმისათვის, სხვადასხვა პირების ნახვა, თუმცა დაიღალა, მაგრამ საქმე მოაგვარა – ყველამ გულმოდგინეთ მოუსმინეთ მას და ნასიამოვნები დავრჩით. ეკატერინესაც გადავეცით ეს ამბავი. ეკატერინე მიუბრუნდა მარიჯანს და უთხრა: Мариджан! Я вам завидую, что вы молоды, можете так много делать, мне хочется также работать, но я стара, сил не хватает – დაღონებულმა ჩაილაპარაკა ეკატერინემ.

მარიჯანი აღმერთებდა ეკატერინეს და უთხრა ამაზე: თქვენ იმდენეთი გაგიკეთებიათ თქვენ სიყმაწვილეში, მე რაც უნდა ვეცადო, მის მეათედს ვერ გავაკეთებო. რასაკვირველია, ამ პასუხმა ეკატერინე ვერ დააკმაყოფილა. ის იდეალისტკა იყო. მეტს და მეტს მოთხოვდა თავისთავს, მარიჯანი კი რეალისტია – სხვა შეხედულებისაა.

1923 წელს მე ბორჯომში ვიყავი, იქიდან მარიჯანს ვეწვიე წაღვერში, სადაც მაღლობ ადგილზე აგარაკი აქვს. ყოველ ზაფხულ მთელი ოჯახით იქაა (მას ყავს ერთი ვაჟი ცოლშვილიანი და ორი ქალი გათხოვილი. ისინი ზაფხულში მასთან არიან).

მაშვინ ქალები მოზარდები იყვენ. მარიჯანი სულ შრომობდა, უნდოდა, თავის აგარაკი, რაც შეიძლება უკეთ მოეწყო. შვილებსაც შესაფერ საქმეს აძლევდა – ერთი სიტყვით, ბავშვობიდან შრომას აჩვევდა. აქაც იმ ტაქტიკას ადგა, რაც საზოგადო საქმეში: ოჯახი კარგად მოეწყო, შვილებთა შორის თანხმობა და ერთობა დაემყარა. გონიერმა და მშრომელმა დედამ თავის შვილებიც კარგ გზაზე დააყენა, ეხლაც გვერდში უდგას შვილებს და შვილიშვილებს. ამავე დროს, მეგობარს და ამხანაგს არ ივიწყებს, საქმით შველის, რაც ყველაზე უფრო კეთილშობილია. მარიჯანი საბავშვო ჟურნალებთან – „პიონერი“ და „ოქტომბრელი“ – დაწყებიდან დახურვამდე თანამშრომლობდა. მეტწილათ ლექსის – ნამეტურ კარგი მისი „ნელი ცირკში“ ლექსათ დაწერილი. დიდებისათვისაც წერს. აქაც მწერლის ასპარეზზე თავის ნიჭს არ ღალატობს. წერს – დრო და გარემოების დაგვარათ მიდის ეს საქმე. მარიჯანი არ არის პესიმისტკა, რაც მე ყველაზე უფრო კარგ ღირსებათ მიმაჩნია ამ საშინელ მსოფლიო ომის დროს.

1943 წ. 16 აპრილი
ნინო ტყეშელაშვილი

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
ნინო ტყეშელაშვილის არქივი, ხელნაწერი № 13193

A une Femme

მე არ მიზიდავს ეგ წარბ-წამწამები,
თვალები – ლურჯი მარგალიტები,
მე არ მიზიდავს ტანი ლერწამი,
თოვლის ყელყური, შუშა თითები.

მე არ ვგიჟდები შენს ოქროს თმისთვის,
არც ვეკონები შენს შაქრის ბაგეს, –
მე მხოლოდ გეტრფი, გეტრფი იმისთვის,
რომ ხალხს ეკუთვნი, ხალხს მოამაგეს.

ნუ! ნუ იფიქრებ, რომ ვემონები,
შენს გარეგნობას, შენს სახის იერს
და ერთ კოცნისთვის თავმომწონები
სიკვდილს შევხვდები, სიკვდილს ბედნიერს!

მე მხოლოდ მივსდევ შენს აზრთა კონას,
მიყვარს ეგ გული უმანკო, ჩვილი,
რომ არ ეკუთვნი ოცნების მონას,
რომ შენ ხარ ქალი შრომისა შვილი.

მარიჯანი

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“,
1917, 4 მაისი, № 4, გვ. 3

აღდგენილი სული

დედაკაცის სულში არის სიმები,
რომელნიც იღვიძებენ მამაკაცის გავლენით.
ტურგენევი

როს ზაფხული მიიწურა, შემოდგომა ფეხს იდგავდა,
მზე კი ისევ მოუსვენრად ფირუზ ტახტზე დაგოგავდა,
ფერგადაკრულ მთის კალთაზე ქალი იწვა ფერ-მიმკრთალი
მზის სხივებზე გულს ითბობდა, მზის ალერსით დამაშვრალი.
ჰაეროვნათ შემოსილი, ვით პატარა თეთრი ია,
როცა სიოს საალერსოდ ოდნავ ტუჩი გაუშლია!
ქალი იყო ისე სუსტი, ისე ნაზი, ისე კარგი,
როგორც ზღვის პირს გარიყული, ზღვის გულიდან მორცხვი მანგი.
სევდის ბაღში გამოზდილი, მარტოობით დაჩაგრული,
ბევრი მწვავე დარდი ჰქონდა ობოლ გულში დამარხული,
მხოლოდ მზე კი ჰმეგობრობდა, მზეზე იყო მინდობილი,
ხარბად ჰკრეფდა სხივთა ალერსს, მზის სხივებით შემკობილი.
და როს ერთხელ მარტო იყო, მეოცნებე-მონარნარე,
როს გადახრილს მზის სხივებით ფერს იცვლიდა არე-მარე,
ქალს ჭაბუკი მიეპარა, ღიმილთ კონა მიაყარა
სხივ მოსილმა ალმჩქეფარემ, მას მიმართა: „არა კმარა,
ჩემო კარგო, მარტოოდენ განშორებით სიარული?
მზის გიჟი ხარ! მზე შენ გყვარობს, მზის ალერსს ხარ დანატრული?!
მეც მომხედე; მეც ვკოცონობ, მეც ვარ მეფე-შემძლებელი?!
ჩემში ყველა მეტყველდება, თვით უგულო კლდე თუ გველი!
რას არ ვიზამ ჩემის ცეცხლით?! ავადუღებ თვითონ ლურჯ ზღვას,
ფერფლად ვაქცევ ყინულის გულს, გიშრათ, ქარვათ უბრალო ქვას.
შემიყვარე და გაიგებ, თუ რა არი იგი, კარგი.
დაიბრუნე სიხალისე, სული სევდით დანაკარგი.
შემიყვარე! და ვარდისფრად გადიშლება ეს მიდამო!
მე მომხედე! მე ხომ ის ვარ, ვისაც ჩუმად მოელოდი,
მე ისა ვარ, ვისაც უნდა დაემსხვრია გულის ლოდი.
მენდე კარგო, მე წრფელი ვარ და ტანჯვაც მაქვს წრფელ-ანკარა,
არ გეგონოს, რომ მიყვარდეს სიტყვის ხარჯვა წარა-მარა.
შემიყვარე და გაიგებ უკვდავების წყაროს წყურვილს
ამ მსოფლიოს საიდუმლოს, და სამშობლოს სევდით ბურვილს.
ჩემი კოცნა ბეჭედია სილამაზის და სიცოცხლის,
უკვდავია ვინც მე მიყვარს, უკვდავია ვინც მე მკოცნის!“

ვაჟმა ქალი მიიზიდა, ვაჟმა ქალი მიიკონა,
ნაზი კოცნით და ალერსით მიითვისა, დაიმონა...
და განშორდენ... მაგრამ ვაჟი ქალს თვალიდან არ შორდება
მისი თლილი თითო სიტყვა მუსიკალობს, არა ცხრება
და წარმტაცი გრძნობა დიდი ალმასებით მოჭედილი,
იზრდებოდა დაღლილ გულში, ვით საღამოს ნორჩი ჩრდილი.
განვლო ჟამმა! უკვდავების, სავსე იყო მთლად ტაძარი
ხელოვნების სამსხვერპლოსთან იდგა ქურუმთ დიდი ჯარი,
მუჯამარით აკმევებდენ სურნელებას ნაზ საამურს,
ჩანგის ხმაზე აკვნესებდენ დაობლებულ ტბის სალამურს,
ფსალმუნს ჰქმნიდენ სილამაზის, ადიდებდენ თავის ღმერთებს,
ღმერთებს წმინდა ხელოვნების, ცის და მიწის შემაერთებს.
ქალი ჩუმად შემოვიდა, მოიკეტა მორცხვად კარი
და სამსხვერპლოს შეუკეთა სიყვარულის ნედლი პწკარი...

მარიჯანი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“,
1918, № 2, გვ. 6-7

ბარბარე ხერხეულიძე (დაუცხრომელი)

1874–1948

ორი ლექცია

ბარბარე ხერხეულიძისა



წაკითხულია ქ. თბილისში ზუბალაშვილის სახალხო სახლში, და ქ. გორში. 1911—1912 წ—ში.



გამოცემა თავად. ვლადიმერ ომანის-ძე ხერხეულიძისა.

ლექცია ბარბარე ხერხეულიძისა, წაკითხული ქ. თბილისში ზუბალაშვილის სახალხო სახლში 1911 წლის 9 ოქტომბერს

ლექცია პირველი „ბედნიერებამდის“

I. ოჯახი და ქორწინება წარსულში

მწყობრად და ლამაზად სიტყვების გამოთქმაზე აქ საჭირო არ არის ზრუნვა, საქმე საქმეში და საქმის ჭეშმარიტებაშიაო, – სთქვა გოგოლმა, და მე ვგონებ, ეს მოსაზრება ისე არაფერს უნდა შეეფერებოდეს, როგორც დღევანდელს ჩვენის ცხოვრების ხანას; დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრება განახლების საფეხურზე სდგას და თვითეული კერძო პირი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს მომავალ ცხოვრების სალაროში, ნაკლებად არის საჭირო ზრუნვა მწყობრად და ლამაზად აზრის გამოთქმაზედ; დღეს, უმთავრესი მნიშვნელობა აზრსა და აზრის ჭეშმარიტების ღირსებებში მდგომარეობს და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგასმინოთ ჩემი არა მჭევრ-მეტყველური სიტყვა. ვსცდილობ კი ყოველთვის, რავდენადაც ძალი შემწევს, გარკვევით გადმოგცეთ ჩემი აზრები და ამით მოვიხადო ჩემი მოვალეობა. ჩემის ღრმა რწმენით, საჭიროების დროს მცირედის თქმა სჯობს არა თქმასა და ამ შემთხვევაში არ მაშინებს თქმულება? – „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, დანაშაული, დეე, იმათ გვამხილონ, ვისაც ძალა შესწევთ ამისთვის; დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ვსცდებით და ჩვენ სიამოვნებით მხარს დავუჭერთ ჩვენს აზრზედ უკეთეს აზრს. ბატონს ანდრეევს უკიჟინებენ, რომ ის სუსტი ლექტორია. დაეხსენ, იყოს სუსტი, თუ-კი ის ძალა მაინც შესწევს, რომ აღძრას და დაუყენოს საზოგადოებას გადასაჭრელად ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიც არიან დღეს ოჯახის და ქორწინების საკითხები. ის ყოველთვის ასრულებს თავის მოვალეობას და გულ-წრფელადაც აღიარებს თავის ნაკლს. ჩვენი მოვალეობაა განვმარტოთ ყველა საჭირო საკითხები, ვისაც როგორ ძალ-გვიძს და ვფიქრობ, არც უნდა შესწყდეს ასეთ მწვავე საკითხების შესამუშავებლად აზრთა კამათი თითო-ოროლა ლექციებით. აქ საჭიროა, რაც შეიძლება მომეტებულმა წევრმა საზოგადოებისა მიიღოს მონაწილეობა, ასე ხდება ხოლმე ყოველ უბრალო საკითხების გადაჭრის დროს და ასევე უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, რადგან შეიძლება თვითეულმა უვიცმა ერთი ჭკვიანური სთქვას.

დღეს, მე მინდა შევეხო უმთავრესად ოჯახის და ქორწინების საკითხებს, მაგრამ ამასთანავე, მინდა გავარკვიო რავდენადაც შევძლებ, ბედნიერების საკითხიც, რადგან ამ საკითხის გარშემო ტრიალებენ ყველა სხვა ცხოვრების საკითხები. ყველა მიისწრაფის უმთავრესად მისკენ და ყველა უკმაყოფილო და უბედურია, რაკი ვერ ხვდება ჭეშმარიტ ბედნიერებას. მხოლოდ, ვიდრე გაგიზიარებდეთ ჩემს აზრს ამაზედ, საჭიროდ ვრაცხ ჯერ გადმოგცეთ მოკლედ, როგორ ესმოდათ (უმთავრესად) ეს სიტყვა უწინ უმრავლესობას, რაში ჰხედავდენ ისინი ბედნიერებას და როგორ ესმით ეს დღეს.

უწინ ბედნიერება ისაზღვრებოდა უმთავრესად, თვითეულ კერძო პირისთვის, ქორწინებით და ოჯახურ კეთილ-განწყობილებით: როდესაც ახლად დაქორწინებულ პირთ შეხვდებოდენ ნაცნობ-მოკეთენი, ულოცავდენ: მოგვილოცავს თქვენი ბედნიერებაო, და ისინიც მდაბლად და სიამოვნებით მადლობას უხდიდენ მიმლოცველთ; დღეს, როდესაც ვხვდებით ასეთსავე პირებს და ვულოცავთ, ესენი უკმაყოფილოდ გვიპასუხებენ: — რის ბედნიერება, რა ბედნიერება? როდესაც შეიძლება ხვალ და ზეგ ჩვენზე უბედურები არავინ იყვენო, ბედნიერება მაშინ შეგიძლიანთ მოგვილოცოთ, როდესაც რავდენიმე ხანს ვიცხოვრებთ ერთად, შევეწყობით ერთმანეთს და განმტკიცდება ჩვენი სულიერი კეთილ-განწყობილება ერთმანეთშიო.

როგორც ჰხედავთ, ორივე შემთხვევაში, არ არის სიტყვა ბედნიერება გაგებული მის ფართო მნიშვნელობით, ერთობ ვიწროდ არის წარმოდგენილი, ხან მოკლე და წარმავალია, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

პირველად დავიწყებ ოჯახის და ქორწინების საკითხებით. თუ გავიგეთ სისწორით წარსული, ის ხსნის მნიშვნელობას არსებულისას და გვიჩვენებს სახეს მომავლისასო, ამბობს ფერდინანდ ლასსალი და ჩემის აზრით, სწორედ ეს წარსული ვერ არის სრულებით ნათლად გაგებული და ახსნილი.

სხვათა შორის, ვერ იქმნა ნათლად გაგებული — რა საფუძველზე წარმოიშვა ქორწინება. ე.ი. „კანონიერი ჯვრის წერა“, რისთვის დასჭირდათ მამა-კაცებს „კანონიერი მეუღლეები“, როდესაც იმავე დროს, რავდენიმე სხვა და სხვა პირებთან ჰქონდათ კიდევ კავშირი — ყოველთვის, და ყველა უფლებებიც თითონ ეჭირათ ხელში თავისუფლად. მართალია, კერძო საკუთრებამ წარმოშვა საჭიროება ოჯახის და კანონიერი ქორწინებისა, მაგრამ ეს არა კმარა მარტო საგნის გასარკვევად და საჭიროა უფრო ნათელი საბუთები... ჩვენ ვიცით გეტერები, რომლებთანაც მამაკაცებს ჰქონდათ კავშირი უწინ, ეს გეტერები იყვნენ ძველ საბერძნეთში განთქმული ქალები თავიანთი სილამაზით და ნიჭით. „მათმა სახელ-წოდებამ და სახელმა მოაღწიეს ჩვენ დრომდე, მაშინ როდესაც სახელები კანონიერ ცოლებისა, უმეტეს შემთხვევაში, არა სჩანან და დავიწყებულია“-ო, — ამბობს ბებელი, — „დანაია იყო საყვარელი პლატონისა და არ იყო არც ერთი ცნობილი ბერძენი, რომელსაც არა ჰქონოდა დამოკიდებულება გეტერებთან“-ო.

ამისთანა გარემოების შემდეგ, კიდევ უფრო გვაქვს საბუთი — ვიკითხოთ: რიღასთვის იყო საჭირო „კანონიერი მეუღლე“ და „კანონიერი ქორწინება“? რომ ვუპასუხოთ ამ კითხვებზე უფრო გარკვევით, საჭიროა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ისტორიული მაგალითი: აფინები ამბობენო, რომ ჩვენ ცოლს იმიტომ ვირთამთ, რომ გვყამდეს კანონიერი შვილები და სახლში ერთგულის ყურის-მგდებელიო. აგრეთვე, ჩვენ ვინახავთ ცოლებს, ჩვენზე საყურადღებოდ და გეტერებთან კი ვეძლევით სიყვარულის სიამოვნებას და სიხარულსო. ყველა აქედამ ცხადათ სჩანს ახლა, — რად შეიქმნა საჭირო „კანონიერი ქორწინება“: მაშინ ოჯახი აშენებული იყო მხოლოდ წმინდა, ნატურალურ სამეურნეო საფუძველზე, ასეთი ოჯახი კი მეტად რთული და ძნელი გასაძღოლია ერთი პირისთვის, აქ საჭიროა კიდევ სხვა ერ-

თგული გამგე და დარაჯი, გარდა ერთის პირისა, და რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო ეს ერთგულება, ქალები მოჰხიბლეს მამა-კაცებმა, თავიანთი კერძო საკუთრების მონური გამგებლობით და დააგვირგვინეს „კანონიერი ჯვრის წერით“; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კერძო საკუთრებას მოელოდა სრული დაცემა და განადგურება.

მაშასადამე, ბედნიერი უნდა ყოფილიყო ცოტად თუ ბევრად მამა-კაცი, რომელსაც შეხვდებოდა ისეთი ერთგული და გამჭრიახე მეუღლე, რომელიც არ გაანადგურებდა მის კერძო საკუთრებას, პირიქით, გაადიდებდა კიდეც და მასზედაც ყურადღებით იქნებოდა. სიყვარულს ის სხვა მხრითაც ჰპოებდა, როგორც ვსთქვი ზევით. ცოტად თუ ბევრად, ბედნიერებას შეადგენდა დედა-კაცისათვის ქორწინება და ოჯახი წარსულში, რადგან, რაც უნდა ცუდი გამგე ყოფილიყო ოჯახისა, მაინც ქმარი მოვალე იყო, ეცხოვრებინა ის შვილებით, განქორწინება ძნელი წარმოსადგენი იყო და იმედი ჰქონდა მას, მშიერი მაინც არ მოკვდებოდა, ათასი საყვარელიც რომ ჰყოლოდა იმის ქმარს.

დღეს კი, რაღად უნდა მამა-კაცს გამგე და ყარაული ოჯახისა ქალაქად, როდესაც თავის პატარა თუ დიდს ფულის ქისას თითონაც ჩქარა ფლანგავს და აღარაფერი აქვს საყარაულო. შვილებიც აღარ ეინტერესება, – რა ქონება გადასცეს? მეორეს მხრით, მოქალაქებრივი ცხოვრების განვითარება თვალსაჩინოდ აშორებს ოჯახს ქალებს და მიერეკება ოჯახს გარეთ; სად არის ოჯახი სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურე ქალებისათვის, რომლებიც დაწყვეტილ-დაქანცულნი ბრუნდებიან სახლში, მხოლოდ სადილისთვის და მერე ისევ იქვე მიეშურებიან; სად არის ოჯახი მკერვალი ქალებისათვის, რომლებიც დილიდამ საღამომდის და ხშირად შუა-ღამემდის თავ-აუღებლივ მუშაობენ სამკერვალოში და იქვე სადილობენ, როგორც გაუმასპინძლდებიან; სად არის ოჯახი ფაბრიკებში მომუშავე ქალებისათვის და სხვა-და-სხვა. ესევე ითქმის მოქალაქე მამა-კაცებზედაც. ცხოვრება კიდევ შეუჩერებლივ მიერეკება ხალხს სოფლებიდამ ქალაქებში, ქალაქი კი ცის ქვეშ ჰყრის ამ ხალხს, და წარსული ოჯახი ისპობა, – სულს ღაფავს სასიკვდილოდ, ანუ უკვე მკვდარია და ვეღარა ვითარი წამალი და ჯან-იოზ ექიმი მას ვეღარ მოარჩენს; ამისი უტყუარი საბუთები კიდევ: ურიცხვი მაგალითები საკუთარი შვილების „გაყიდვისა“ და გადაყრისა, განქორწინებისა, უწლოვან ბავშვების „თავის გაყიდვისა“ ქუჩებში და მრავალი სხვა ასეთი საზარელი მოვლენები. თუ როგორ იხრწნება ოჯახი ჩვენს დროში, როგორ „შორდებიან ერთმანეთს ქმარი, ცოლი და შვილი, და დაუქორწინებლად დარჩენა და პროსტიტუცია მასობრივ მოვლენად ხდება“, ამის დაწვრილებით ახსნას მე არ გავყვები, რადგან მშვენივრად აქვს ეს განმარტებული კარლ კაუცკის და მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მას.

ამგვარად, აღარ არის ძველი ოჯახი, უნდა შემუშავდეს ახალი, ამის უარ ყოფა აღარ შეიძლება, მაგრამ რა სახით? აი, ეს არის მეტად ძნელი და მძიმე ასაწონ-დასაწონი საკითხი ამ საკითხის სისწორით გადასაჭრელად, აუცილებლად საჭიროა კიდევ, შეგნება-გარკვევა სიყვარულისა და თავისუფლების საკითხებისაც საზოგადოდ, რადგან ეს საკითხები მჭიდროდ არიან შეკავშირებული ქორწინების და ოჯახის საკითხებთან. ეს საკითხებიც რთული საკითხებია თავ-თავის მხრით და ცალ-ცალკე უნდა იქმნენ ახსნილნი და განმარტებულნი...

დღეს, უმთავრესი გასაჭირი ოჯახისა და ქორწინების ცვლილებების გადასაჭრელად მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ სოფლად ჯერ კიდევ არსებობს ოჯახი ნახევრად სამეურნეო სახით და იქ სრული ცვლილებების შეტანა ჯერ-ჯერობით ძნელი მოსახერხებელია, მაგრამ თუ მიეცემათ იგივე იურიდიული და ზნეობრივი უფლებები, როგორც მოქალაქეებს, ისინი არაფერს დაჰკარგავენ ამით. ჩემის აზრით, ისინი უცებ არ მიჰბაძავენ ქალაქებს, მინამ გარემოება არ აიძულებთ მათაც – იხელმძღვანელონ ახალის წესდებით. ამიტომ მე პირდაპირ გადავალ ამ ხელად, თანასწორ უფლებების საჭიროებაზე და ვიტყვი მოკლედ, რომ მხოლოდ ასეთ უფლებების შემდეგ მიმაჩნია შესაძლებლად სრული სისწორით გადაჭრა ყველა საკითხებისა. მინამ კი, რაც ცვლილებებია შესაძლებელი (საჭირო), ვიტყვი ქვემოდ.

დღიდამ კომუნიზმის და მატრიარხატის გაუქმებისა, ცხოვრების პირობებმა აიძულეს მამა-კაცები, ჩამოერთმიათ ჩვენთვის ყველა ის უპირატესი უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ დღეს თითონ, ჩაგვკეტეს ოჯახის ოთხ-კედელ შუა; გადაგვაქციეს, ერთი მხრით, თავიანთ გასართობ საგნად, მეორეს მხრით, ხმა-ამოუღებელ მომუშავე მონებად ოჯახში. ქალის საწოლთან ეკიდა მათრახი, როგორც ემბლემა, ნიშანი სარწმუნოებისა; დემოკრიტე თავის აფორიზმებში ამბობს: „– ქალი ნუ ილაპარაკებს ბევრს, რადგან ეს საზიზღარიაო“, ან კიდევ: „– მცირე სიტყვაობა დამამშვენებელია ქალისაო“.

ამგვარად, ჩამოვშორდით ქალები ერთმანეთს, გაწყდა ჩვენ შორის შემაერთებელი კავშირი და შევიქმენით ურთიერთის მოწინააღმდეგე მეტოქეებად. რაკი ჩვენ შევიქმენით მამა-კაცების მომხიბლელ და გასართობ საგნად, აქედან ცხადია, – ყველა ჩვენგანი მხოლოდ იმას უნდა ცდილიყო – რაც შეიძლებოდა სხვაზე მეტად მოეხიბლა მამა-კაცი და ამ ჩვენი პირადობის დამამცირებელ ზნე-ჩვეულებისთვის სამწუხაროდ, ჯერაც კიდე ვერ დაგვიღწევია თავი. სხვათა შორის, ამავე მიზეზების წყალობით მივიდა კიდე ქალების გადიდებული მოდის მოთხოვნილება იმ ზომამდე, რა ზომითაც ვხვდებით დრო და დრო მეტად დამამახინჯებელ და საზიზღარ სახით, რაც ისე ძლიერ აწუხებთ და არ მოსწონთ ჩვენს მამაკაცებს.

ამბობენ: რუსეთში ქალებს მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე სხვაგან სადმეო და კი აღარ გვიჩვენებენ, რაში მდგომარეობდა ეს უპირატესობა. მართალია, სთქვეს საბუთად, რომ რუსეთში ქალები მეტს მუშაობდნენო, მაგრამ განა ეს საბუთებია? დიახაც, ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ რუსეთში ქალები ყველაზე მეტს მუშაობდნენ და მუშაობენ ოჯახში და ოჯახს გარედ, მაგრამ ეს საბუთები კი არა, სწორედ ეს გახლავთ თუ გნებავთ სრული საბუთი უუფლებობის და მეტის დამონებისა. იქნება იმაში იყო მეტი უფლება, რომ ქალი-შვილს მეთოთხმეტედი ეკუთვნოდა მამის ქონებისა და ქვრივს მეშვიდედი ქმრის ქონებისა; ან იქნება იმაში იხატებოდა მეტი უფლება, რომ როდესაც გლეხის ქვრივი თხოვდებოდა, ქმრის ქონება ბატონს რჩებოდა თუ შვილები არა ჰყავდა.

მე ვგონებ, ეს შეცდომა იმიტომ მოსდით, რომ ურევენ ერთმანეთში სიტყვებს: უფლებას და თავისუფლებას.

II. თავისუფლება და ბედნიერება

როდის არის კაცი ბედნიერი და რა პირობებში? ამ საკითხზე უპასუხებენ: როდესაც იგი აძლევს საზრდოს და აკმაყოფილებს ყველა თავის სულიერ და სხეულის მოთხოვნილებებს თავისუფლადო. მაგრამ რას ნიშნავს თვით სიტყვა „თავისუფლება“ თავის მხრით და როგორ უნდა გვეყურებოდეს ეს? ეს სიტყვაც რთულ კითხვად არის გადაქცეული დღეს და მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა ძალიან პესიმისტურად, უიმედოდ უყურებენ: როგორ შეიძლება იყოს კაცი თავისუფალი, როდესაც ფრინველი ცისაც კი არ არის თავისუფალიო, ამბობენ ესენი. ეს სიტყვაც უკუღმა ეყურება უმრავლესობას და ამიტომ ეშინიანთ ამისი და უფრთხიან ამას; მიეცით უგუნურ ბავშვს თავისუფლება და იგი ან წყალში გადავარდება, ან კლდეზე გადაიჩეხებაო, დაუწყეთ მას წინ ნაკვერჩხლები და იგივე დაემართება, რაც მოსე წინასწარმეტყველსო.

დიახაც, ასეთი უგუნური და დამოუკიდებელი თავისუფლება შეუძლებელია, ვიტყვი მეც, რადგან თვითეული ადამიანი საზოგადოების შვილია და მარტო არ არის ქვეყანაზე გაჩენილი, მხოლოდ ჩვენ გვინდა ისეთი თავისუფლება, რომ თითო-ოროლა პირების და ჯგუფების ხელში არ იყოს ჩავარდნილი თვითეული კერძო პირის ბედ-იღბალი, თვითეულს ასამართლებდეს და სჯიდეს მთელი საზოგადოება ამ კერძო პირებისაგან შემდგარი და არა დაქირავებული მძარცველები. ექიმ ბენტოვინს აკვირვებს ის გარემოება, რომ უბნის ზედამხედველებს აქვთ მინდობილი განსჯა დედაკაცების ზნეობაზე და ესენივე აგროვებენ და ინახავენ თითონ „პასპორტებს“ საეჭვო ქალებისაო; მაგრამ პატივცემულ ექიმს ავიწყდება, რომ მარტო პოლიციელები არა სარგებლობენ გარემოებით – რომ დღეს ჩვენმა „განათლებულმა“ მამებმა უფრო გადააჭარბეს ამ პოლიციელებს და უცხო ქვეყნებში თუ ჩვენში, ჟურნალ-გაზეთობა სავსეა მათის შემაძრწუნებელის მოქმედებით; ექიმნი თუ მასწავლებელნი თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს ქალების და უწლოვან ბავშვების გაუპატიურებაში. ასეთი სივერაგის და უკუღმართობის ასაცილებლად გვიშველის მხოლოდ განთავისუფლება კერძო დაქირავებულ დამცველებისა და ყარაულებისაგან, აქ საჭიროა საზოგადოების თვალი, – საერთო უსასყიდლო ყურადღება საზოგადოებისაგან თვითეულ კერძო პირზე.

ასეთის საზოგადოებრივის თვალის და ყურის მფარველობის ქვეშ შეუძლიან ამოისუნთქოს თვითეულმა კერძო პირმა თავისუფლად და ასეთის თავისუფლებისკენ მიისწრაფის დღეს კაცობრიობა. ასეთის თავისუფლების შემდეგ იქნება მხოლოდ შესაძლებელი სრული ბედნიერება, რადგან ასეთის თავისუფლების შემდეგ შეეძლება კაცს დაიკმაყოფილოს ყველა თავისი კერძო მოთხოვნილება საზოგადოების წინამძღოლობით და აღარ ექნება შიში ამა თუ იმ საზოგადოების გაკიცხვისა.

ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, რომ კაცი მაშინ გრძნობს უფრო ბედნიერად და კმაყოფილად თავს, როდესაც ჰხედავს საზოგადოების სიყვარულს და თანაგრძნობას. ამ მიზეზით ადამიანის ბუნებას აქვს თან დაყოლილი ერთი მეტად სიმპატიური სულიერი თვისება: ამავე საზოგადოების სიყვარული და თანაგრძნობა თავის მხრითაც.

ამ სულიერ მოთხოვნილებას სწირავენ თავს ყველა საუკეთესო შვილი ქვეყნისა და ბევრი საუკეთესო გმირი თავის კერძო სიყვარულს ანაცვალებს საზოგადოების სიყვარულს. ამ სულიერ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის გამო ირღვევა კიდე კერძო პირთა სიყვარული და ამიტომ, რაც უნდა ძლიერის სიყვარულით უყვარდეთ ერთმანეთი ორ არსებას, როდესაც ვერ ხვდებიან თავის გარშემო საზოგადოების სიყვარულს და თანაგრძნობას, ამათაც სწყინდებათ ერთმანეთი და ეძლევიან სრულს სასოწარკვეთილებას. ამ აზრის დასასაბუთებლად დავუბრუნდეთ პირველად ისევ ტოლსტოის გმირებს: ანა კარენინას და ვრონსკის: მარტო ერთმანეთის შეუგნებლობა და უცოდინარობა არ იყო მიზეზი მათის სიყვარულის და განწყობილების დამრღვევი; უმთავრესი მიზეზი მდგომარეობდა მასში, რომ ისინი ვეღარ შეხვდნენ საზოგადოების იმ თანაგრძნობას და პატივის ცემას, რომელსაც უკვე ჩვეულნი იყვნენ, მასთან სვინიდისი ქენჯნიდა მათ, რომ ვეღარ ემსახურებოდენ იმ წესებს, რასაც უმრავლესობა, თუმცა ჰგრძნობდენ, რომ მრავალნი იმათზე უფრო უსვინიდისოდ იქცეოდნენ და არა ჰქონდათ დანაშაული იმათზე უდიდესი. „თითქმის ყოველდღე ჰხედავდა ანა სიზმრებს, რომ ორივე იმისი ქმრები, ე.ი. ქმარი და საყვარელი, ერთად იყვნენ და ორივე ერთად ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ მას; ეს სიზმრები შხამავდენ იმის არსებას და იღვიძებდა ის საშინელის მღელვარებით“.

„კარტასოვისამა სთქვა, რომ სირცხვილია შენ გვერდით ჯდომაო, რამდენიც უნდა ვიცოცხლო, მე ამას ვერ დავივიწყებო“, – ეუბნება ანა კარენინა ვრონსკის სასოწარკვეთილის ტირილით; – მე არას ვამბობ ჩემს ტანჯვებზეო, – ამბობს კიდე ანა გულმოკლული, – მაგრამ იფიქრე, ვინ იქნებიან ჩემი შვილები, საბრალო ბავშვები, რომლებმაც უნდა ატარონ სხვისი სახელი; თავიანთ დაბადებიდამ ისინი იძულებულნი იქნებიან რცხვენოდეთ მამისა, დედისა, თავიანთ დაბადებისაო. რასაკვირველიაო, – ჰფიქრობდა ვრონსკიც მწუხარებით ანაზე, როდესაც ისინი დაბრუნდნენ სამზღვარგარეთიდამ პეტერბურგში, ბრწყინვალე სასახლის საზოგადოება არ მიიღებს მას, მაგრამ მახლობელთ შეუძლიანთ და უნდა შეიგნონ ეს როგორც საჭიროაო“. „თუმცა იმას სწამდა სულის სიღრმით, რომ ეს ქვეყანა დახურული იყო მათთვის, მაინც სცდილობდა, ეგებ შეიცვალოს ეს ქვეყანა და მიგვიღონ ჩვენო, მაგრამ იმან ძალიან ჩქარა შეიტყო, რომ თუმცა მისთვის კერძოდ, ქვეყანა ხსნილი იყო, დახურული იყო ეს ანასთვის, როგორც თაგვი-კატობიას თამაშობაში, – ხელები აწეული იმისთვის, ეშვებოდნენ ძირს ანასთვის...“

უკმაყოფილო და უბედური შეიქმნა საზოგადოების და თავის რწმენის ღალატის გამო ჩვენი ნიჭიერი პოეტის ვაჟა-ფშაველას გმირი მინდიაც (გველის მჭამელიდან), ის მინდია, რომელსაც – „როგორც თაფლს, ისე ეხვევა მცირე და დიდია“, რომლის გულშიაც – „ბოროტმა ვერ მოიკიდა ფეხია, თორემ სხვა დანარჩენი ქაჯური, ყველა ისწავლა ხერხია“, – ყველა თანაგრძნობით უსმენს; ყველა მას შესჩივის თავის ბედსა და მწუხარებას; ბალახნი, ფრინველნი და ყველა არსნი ესაუბრებიან: – „მინდიას გაუმარჯოსო“ და სხვა. მართალია, მინდიას წინადაც აწუხებდა ხეთა

ტირილი: – „ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო“, – და ამისაგან მისი ცხოვრება ძალიან დაცარული იყო, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა და, რომ ღველფზე ცეცხლი არ გაექრო, ანთებდა თივას და ჩალას და მაინც ღმერთს მადლობდა, კმაყოფილი იყო, და შრომობდა როგორც გიჟი, გადარეული, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სცილობდა და ყველას ვერა სწვდებოდა ორი ხელით და თვალითა. შემდეგ კი, როდესაც მას შეუყვარდება მზია, შეირთავს ცოლად და იმის მოთხოვნილებით იძულებული დაიწყებს მელაობით ქცევას, მას სვინიდისი ქენჯნას დაუწყებს და გამოუთქმელს სასოწარკვეთილებაში ვარდება, ხანდახან უნდა კიდეც, რომ ამოსწყვიტოს ცოლ-შვილი; ის ცოლი, რომელიც წინაზე შაქარივით ტკბილი იყო, ახლა მწარე გაუხდა ძალზედა.

ვერ დააკმაყოფილა და ვერ გააბედნიერა კეთილშობილი გმირი ჯიოვანელის რომანისა „სპარტაკიც“, შესანიშნავი სიმშვენიერის პატრონის ტურფა ვალერიას სიყვარულმა, დასტოვა ის მარტო და შეუდგა დაჩაგრულ მოძმეთა განთავისუფლებას, თუმცა არ უღალატნია ვალერიასთვისაც და ვერ მოჰხიბლა ის ცბიერმა ევტიბიდამ.

ყველა აქედამ, ცხად ვყავ ვგონებ, რომ საზოგადოების და საზოგადო საქმის სიყვარული ხშირად სძლევს კერძო სიყვარულს და უძლურია პირველთან უკანასკნელი, მაგრამ ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად ამავე საზოგადოებისთვის თავ-დადებულნი გმირნი ვერ კმაყოფილდებიან და არ არიან ბედნიერნი ამ სიყვარულითაც; ჩვენ ვიცით ბევრი ისტორიული მაგალითები, რომ კერძო სიყვარული სძლევს საზოგადოებრივს სიყვარულს. აი, რას ვკითხულობთ ამაზე ფერდინანდ ლასსალის ავტობიოგრაფიაშიც: – „მე მინდა კერძო ბედნიერება, მე კიდევ მყვანან ყველა ჩემი მეგობრები, მაგრამ არაფერია, რომ ავსებდეს ჩემს გულსა“-ო.

მეტი მაგალითები აღარ არის ვგონებ საჭირო და ნათელია უკვე, რომ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კაცი ბედნიერი, როდესაც ისე მოეწყობა ჩვენი ცხოვრება, რომ საზოგადო თანაგრძნობით და კეთილგანწყობილებით იკმაყოფილებდეს ყველა თავის ადამიანურ მოთხოვნილებებს თავისუფლად. როდესაც ჩვენ ბრძენნი ვიქნებით, როდესაც ჩვენი სული ნათელი იქნება.

III. შესაძლებელი ცვლილებები ოჯახისა და ქორწინებისა ბედნიერებამდის

მაგრამ ვიდრე მივაღწევდეთ ამ ზოგისათვის საზღაპრო ბედნიერებას, ვიდრე ეს შორს არის ჯერ კიდევ, და ჩვენკი დღესვე გვჭირდება გავიუმჯობესოთ მცირედ მაინც ჩვენი მდგომარეობა ოჯახისა და ქორწინების საკითხების გადაჭრით, აუცილებლად საჭიროდ ვრაცხ შემდეგ შესაძლებელ ცვლილებებს მაინც: – 1. მიეცეთ ქალებს, როგორც უკვე ვსთქვი, იგივე ზნეობრივი და პოლიტიკური უფლებები, როგორც მამა-კაცებს; 2. განისაზღვროს უეჭველად ხნოვანობის საზომი ქალ-ვაჟთა შესაკავშირებლად; და 3. დაკანონება შერჩევით შეკავშირებისა, ე.ი. ვიდრე შეერთდებოდნენ სამუდამო კავშირით, ნება ჰქონდეთ გაეცნონ ერთმანეთს როგორც ხასიათებით და სხვა თვისებებით, აგრეთვე სქესობრივად, რადგან როგორც გვარ-

წმუნებენ სხვა-და-სხვა ექიმნი და მცოდნენი ამ უკანასკნელ მოთხოვნილების მეტ-ნაკლებობაც ხშირად მიზეზი ხდება განქორწინებისა და ოჯახურ კეთილ-განწყობილების დარღვევისა. მხოლოდ, ვიმეორებ კიდევ, არა შემთხვევაში არა ვსთვლი შესაძლებლად, რომ ერთსა და იმავე დროს რავდენიმე პირთან ჰქონდეთ კავშირი; სხვა პირთან მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოთ კავშირის დაჭერა, როდესაც დარწმუნდებიან – ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს რომელიმე მხრით და უნდა დასტოვონ სამუდამოდ ერთმანეთი ადრე თუ გვიან. აი, ასეთი შერჩევა წარმოშობს, ჩემის აზრით, მტკიცე სიყვარულს და ჭეშმარიტ ოჯახს.

ასეთ შემთხვევაში კითხვა იბადება, რასაკვირველია, ამათი შვილების ბედ-იღბლის გადასაჭრელადაც, მაგრამ ჩემის აზრით, ეს ისე გასაჭირი არ უნდა იყოს. შვილებს მიეცემათ ორივე მშობლების სახელწოდება და აღზრდაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მშობლები და მთელი საზოგადოება, ისე სახელმწიფო. დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ ჩანასახს, – როგორ უნდა გაიზარდონ ასეთი ბავშვები: არსებობენ დღეს „პრიუტები“, საბავშვო ბაღები, სასწავლებლები და მე ვიცი რავდენიმე ასე აღზრდილნი ბავშვები, გაცილებით უკეთესნი არიან ყოველმხრივ, ბევრ მშობლებთან ნებივრად აღზრდილ ბავშვებთან შედარებით. გარდა ამისა, საზოგადოების მონაწილეობის მიღებას საერთო აღზრდაში იმ სიკეთის მოტანა შეუძლია, რომ ის ფხიზელი დარაჯი იქნება აღვირ-ახსნილ ვნებათ ღელვისა.

მშობლებთან აღზრდას დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს შვილების თვისებებზეო, ამბობენ; მერე დღევანდელი ბავშვები განა იზრდებიან მშობლების ზედ გავლენით? არასოდეს, დღევანდელი ოჯახის ბავშვებიც „იზრდებიან“ იმავე „პრიუტებში“, საბავშვო ბაღებში, სასწავლებლებში და სხვა-და-სხვა დაქირავებულ მეთვალყურეების ზედ გავლენით უმთავრესად, რაც მცირე დროს ატარებენ ოჯახში ბავშვები, მაშინაც ვერა ხედავენ მშობლებს, რადგან დღევანდელი მშობლები მომეტებულ შემთხვევაში ან საზრდოს მოსაპოვებლად არიან გარედ, ან დროს გასატარებლად. რად ატარებენ დროს მშობლებიო, ამბობენ ამასაც, როდესაც უმთავრესი მათი მოვალეობა შვილების აღზრდაა, მაგრამ ეს სრული შეცდომაა; ჭეშმარიტი ადამიანის ბუნება თხოულობს დროს გატარებას, გართობას და ამიტომ არც გვაქვს ნება, გავკიცხოთ ის მშობლები, რომლებიც ანგარიშს უწევენ ამ მოთხოვნილებას, რადგან რაც უნდა დიდ-სულოვანი იყოს კაცი, მარტო სხვებისთვის ვერ იცხოვრებს; ამასთან, არ შემიძლიან ვუსაყვედურო არც ერთ მშობელს: დღეს რატომ დაანებე თავი შენს შვილებს და მოხვედი თუნდა ამ ჩემი პატარა ლექციის მოსასმენლად-მეთქი; აგრეთვე ვერ უსაყვედურებთ – რად ესწრებიან ისინი თეატრებს, სალიტერატურო საღამოებს თუ დილებს, სალიტერატურო გასამართლებებს და სხვა-და-სხვა, და ყველა ესენი კი არც მცირედს დროს ართმევენ თანამედროვე ქალსა და კაცსა. რომ არ მივაქციოთ ყურადღება ლოტოს და ქაღალდის თამაშობას, თუნდაც დავანებოთ თავი ყველაფერს და ვსთქვათ, რომ მშობლებმა აღზარდეს შვილები, მერე განა ყველა მშობელს შესწევს ძალა წესიერად აღზარდოს შვილები? აი, კიდევ რას გვეუბნება დიდებული ტოლსტოი ამაზე: – „დარია

ალექსანდროვნა, რომელიც ზრდიდა თავის შვილებს მეტის მეტი ყურადღებით, ერთხელ, როდესაც დაინახა ისინი, რომ საძაგლად სწეწდნენ ერთმანეთს, რაღაც მოსწყდა იმას გულიდამო და შეიგნო, რომ ის ბავშვები, რომლებითაც ის ისე ამაყობდა, არამცთუ ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, არამედ ცუდად აღზრდილნი და საძაგლებიც". მართალი უთქვამთ ძველად: – „როს ყრმა ნახო ცუდად ზრდილი, ცემა გმართებს აღმზრდელისაო". – მაგრამ ახლა რომ ეთქვათ ეს ჩემთვის, მე ვუპასუხებდი: მაშ, ბებიაჩემი მონახეთ უწინ, რადგან მე იმისი აღზრდილი ვარ და მეც ისე აღვზარდე ჩემი შვილი თუ მახლობელი, როგორც მე იმან აღმზარდა-მეთქი.

დასასრულ, მე მინდა ვუპასუხო კიდე ერთ ჩვენ წინააღმდეგ აზრზე: „რაც უნდა იყოს, ქალებს არ შეუძლიანთ გაუთანასწორდენ მამა-კაცებს უფლებებში, რადგან ამისთვის მათ არ შესწევთ საკმაო ფიზიკური ძალაო". რომ ვრცლად ვილაპარაკო ამაზე, ისე შორს წაგვიყვანს, რომ შეიძლება აქ შემოგვაღამდეს. ამიტომ მე გაგახსენებთ დედას ცხრა ძმათა ხერხეულიძეების და მოვიყვან ერთ პატარა ისტორიულ მაგალითს უცხოთა ცხოვრებიდამ:

„ისპაანისა ყმაწვილნი ქალნი ბრძოლის ველისკენ მიისწრაფიან,
მამულის ტრფობით გატაცებულნი, ვაჟ-კაცებთანა ერთად იბრძვიან,
და რომელნიც უწინ დაჭრილებს იცოდებდნენ და ვერ უყურებდნენ,
ახლა იგინი მტრის ჯარის შუბებს მამაცურადა გულსა უშვერდნენ.
და ხალხის ხოცვას იგი ქალები ისე უცქერდნენ, როგორც მარსები".

ამას მოგვითხრობს ბაირონი, და ვისაც არა სწამთ ქალთა ღირსება და გავლენა ისტორიულ-ხელოვნურ ნაწარმოებთა გადმოცემით, მათ მე მივუთითებ საღმრთო ისტორიაზე, სადაც მრავალ ქალთა სახელები ბრწყინავენ წმინდანთა შორის მამა-კაცებისა. მოწაფე მამა-კაცები იესოსი გაიქცნენო, ამბობს სახელ-განთქმული რენანი, მაგრამ იმისმა ერთგულმა ამხანაგმა ქალებმა, რომლებიც წაჰყვნენ იერუსალიმში და ემსახურებოდნენ მას, არ დასტოვეს ისაო. ამგვარად, ყველაფერი ამტკიცებს, რომ ქალები არ არიან მამა-კაცებზე სუსტნი არაფრით და არას დროს არა რჩებიან უკან, მიუხედავად თავიანთი უმნიშვნელო უფლებებისა.

მეოთხე და მეხუთე საუკუნეებმა წამოაყენეს მთელი წყება ფილოსფოს ქალებისაო, გადმოგვცემს ბეზუსკული. მაგალითად, მეოთხე საუკუნეში სისოპატარამ განიცადა საშინელი ბუნებრივი ბრძოლა, ერთ თავის მსმენელის ძლიერის სიყვარულის და ფილოსოფიის სიყვარულის გამო, მაგრამ ბოლოს ფილოსოფიის სიყვარულმა სძლია და სისოპატარა დარჩა ერთგული ამისიო. ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელი მეცნიერების და ფილოსოფიის ცოდნაში იყო იპატია – მეოთხე საუკუნის ბოლოში და მეხუთის დასაწყისშიო. იპატია იყო დიდება ალექსანდრიისა და ის იქცევდა ყურადღებას საზოგადოებისა, თავის ცოდნით და მაღალი ზნეობით, ის იყო ქალი-შვილი ცნობილი მატემატიკოსისა და იმან გადააჭარბა ამ საგანში მამასო, ფილოსოფიაში კი ყველა თავის თანამედროვე და ადრინდელ მამა-კაცებსო.

იპატია იყო კერპთ-თაყვანის-მცემელი, ამას ფორმალურად ეჭირა კაფედრა ფილოსოფიისა ალექსანდრიაში და ბოლოს ის შეიქმნა მსხვერპლი ხალხის მღელვარებისა ქრისტიანების და კერპთ-თაყვანის-მცემელების შეტაკების დროს, იმას უცებ დაეცნენ თავს, როცა ის ბრუნდებოდა სახლში, მოიტაცეს, გაატიტვლეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციესო. ჩვენ ვიცით არა მცირე სახელები საბერძნეთის პოეტებისო, ამბობს კიდევ ბეზუსკული, მათ შორის უპირველესი ალაგი უჭირავს სახელგანთქმულ საფოს, რომლის სურათებიც იყო დაბეჭდილი ლესბოსის მანეთებზე და იმისი სტატუები იდგნენ ქალაქებშიო.

ამასთანავე უნდა შევნიშნო ესეც, რომ თანდითანობით ფიზიკურ ძალას ეკარგება თავისი პირველ-ყოფილი მნიშვნელობა და იმის ალაგს იჭერს გონებრივი ძალა, რომელმაც უნდა გაათანასწოროს ყველა დიდი და პატარა.

ოჯახის და ბედნიერების ხელის შემშლელად ასახელებენ კიდევ გარყვნილებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება, როგორც ბუნებრივი მოთხოვნილება – ამის შეცვლა არ შეიძლებაო. დიახაც, ყოველი გარყვნილება და სიდუხჭირე ყოველთვის არსებობს, მაგრამ საქმე იმაშია – რა სახით არსებობს იგი; თუ ის გამონაკლისს შეადგენს როდისმე და იმდენად საგრძნობელი არ არის საზოგადოებისათვის, უმრავლესობისთვის, შეიძლება კიდე უყურდღებოდ დასტოვოს კაცმა, მაგრამ თუ ის საზოგადო სენად გამხდარა, თუ იგი საზარელ გველ-ვეშაპად გადაქცეულა და მთლად შთანთქმას უპირობს საზოგადოებას, მაშინ კი აღარ შეგვიძლიან ყურის მოყრუება და დაბრმავება, მაშინ აღარ შეიძლება ვსთქვათ: – „ყოველთვის ასე იყო და იქნებაო“.

აბა, გახედეთ, ბატონებო, დღეს რუსეთის სატახტო ქალაქის ქუჩებს, კუნჭულებს, სახლებს, დარბაზებს, სასწავლებლებს, მონასტრებს და სხვა. აგრეთვეა ჩვენში და ყველა სხვა დანარჩენ ქალაქებში და დაბებში; რას ნიშნავს ეს? ნუ-თუ ყველა ესენი როსკიპულ ინსტინქტებით არიან დაბადებულნი, როგორც გვარწმუნებენ ზოგნი, რო როსკიპი იბადება, როსკიპულ ინსტინქტებითო.

არა, უფალნო, ამ „დიდებულ“ ცხოვრებისა, მიზეზები უფრო ღრმანი არიან და საზოგადონი, რომელთაც უნდა დაუყოვნებლივ მიექცეთ ყურადღება და სირცხვილია გავიმეოროთ კიდევ: – „ყოველთვის ასე იყო და იქნებაო“.

ორი ლექცია ბარბარე ხერხეულიძისა
წაკითხულია ქ. თბილისში, ზუბალაშვილის სახალხო სახლში და ქ. გორში
1911-1912 წლებში

გამოცემა თავად ვლადიმერ ომანის-ძე ხერხეულიძისა.
ტფილისი. სტამბა კერესელიძისა, 1913

ნინო ანთაძე - ნაკაშიძე

1872-1963

სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი

წერილი I.

მუდმივ ბრძოლა, რღვევასა და შემოქმედების პროცესში, ადამიანის აზროვნების დაკნინებისაგან უმწვერვალეს ამაღლებასა და გამარჯვებაში მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია. ყოველ ეპოქას თან დაჰყვება ბრძოლის ახალი ფორმა, ახალი საკითხები, რომლებზეც პასუხის გაცემა ამ ეპოქას ხვდება წილად, ვალდებულია პასუხი გასცეს და ამით შეიტანოს კაცობრიობის მსოფლიო ღირებულობის სალაროში ახალი ღირებულება.

ჩვენმა ეპოქამ, რომელმაც სწრაფი ცვლილება მოახდინა მთელ დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ხალხთა ფსიქოლოგიაში და ცხოვრებაში, დაუსვა ქვეყნიერებას გადასაწყვეტად ისეთი დიდებული საკითხები, რომლის შესახებ ოცნებასაც კი ვერ ბედავდნენ წინა ეპოქის თაობანი.

საბედისწერო სფინქსის ამოცანად გამხდარა კაცობრიობისათვის მუშათა საკითხი და მოითხოვს მის გადაწყვეტას. ჯერ არ მომხდარა, ისეთის სიმწვავით და ძლიერებით მოევლინა ქვეყნიერებას ეროვნული საკითხი; მორალმა, ფილოსოფიამ და სარწმუნოებამ ახალი სახე მიიღო და მედგრად, დაჟინებით ითხოვს პასუხს ჭეშმარიტის მძებნელ ადამიანის მშფოთარე აზროვნებისაგან.

რამდენსაც არ ცდილობდნენ მიჩქმალვას, მაინც მთელი თავისი სიმკვეთრით დასდგა კაციობრიობის წინაშე და მოითხოვს გადაწყვეტას ქალთა საკითხიც. მე-19 საუკუნის ბოლო და დასაწყისი მე-20-ისა ცოცხალი სურათია იმისი, როგორ არაჩვეულებრივად გაძლიერდა მთელ მოწინავე კაცობრიობაში ქალთა მოძრაობა.

ქალთა მოძრაობის საგანი იყო უპირველეს ყოვლისა მოპოება პოლიტიკურ თანასწორობისა. ამ საანბანო ჭეშმარიტებისათვის ბრძოლამ შთანთქა ქალთა საქმისთვის მებრძოლ ქალთა ენერგია. თვითონ ბრძოლა, რომელიც ერთობ დიდ ძალღონეს მოითხოვდა, არ აძლევდა საშვალებას მოწინავე ქალებს ჩაჰკვირვებოდნენ სხვა მხარეებსაც, გადაეშალათ ქალთა საკითხი მთელი თავისი სივრცით და პოლიტიკურ დღის წესრიგში ის საკითხებიც დაესვათ, რომლებშიაც თუ მარტო თვითონ არა, უმაღლეს მსაჯულად მაინც ქალი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ, ქართველ ქალების წინაშეც ბედმა ისეთი კითხვები წამოაყენა, რომელიც არ ღირსებია ქვეყნიერებაზე, ცოტა გამონაკლისს გარდა, არც ერთ სახელმწიფოს ქალებს. ქართველი ქალის წინაშე ფართედ გაიღო პოლიტიკური ცხოვრების კარები: ისეთი პოლიტიკური უფლებები, როგორიც ჩვენ ახლა გვაქვს, მხოლოდ ზოგიერთ ამერიკის მცირე მნიშვნელოვან შტატებისა, ავსტრალიის და ფინლანდიის ქალებს მოეპოებათ. ეს უფლებები ჩვენ, ქართველმა ქალებმა მივიღეთ

სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა შევქმნათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფო და მაშასადამე ქართველ ქალებს საშუალება გვეძლევა შევიტანოთ ცხოვრებაში საკუთარი ჩვენი შემოქმედება, გავამდიდროთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისეთი საკითხებით, რომლების აღძვრაც და პასუხის გაცემა-გადაწყვეტაც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ქართველ ქალებს წილად გვხვდა გაბათილება ყველა ქვეყნის ხალხთა ანტიფემინისტების დაჟინებული მტკიცებისა, რომ ქალთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება არაფერს არ შესძენს კაცობრიობას, რადგანაც ქალები შესძლებენ მხოლოდ განმეორებას უკეთეს შემთხვევაში, იმის შევსებას, რასაც მამაკაცები აკეთებენო. ახალი ღირებულებით კი ისინი ვერ გაამდიდრებენ კაცობრიობის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, რადგანაც ქალებს ამისი ნიჭი არა აქვთო.

ვშიშობ, დღეს ასე ფართედ საკითხის აღძვრას ჩვენში გვისაყვედურებენ. გვეტყვიან, ჩვენ დღეს უნდა დავიცვათ ჩვენი ფიზიკური არსებობა, უნდა შევქმნათ ელემენტარული წესრიგი მაინც სახელმწიფოში, უნდა ვიხსნათ ხალხი მოსალოდნელ შიმშილისაგან და რა დროსია ქალთა საკითხების ფართედ წამოყენება და გადაწყვეტაო.

მაგრამ ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ხომ ზედმეტად ჩაითვლება გადაწყვეტა მუშათა და აგრარულ საკითხებისაც, გაუგებარი იქნება ყველა სოციალური და ყველა პოლიტიკური საკანონმდებლო შემოქმედება საქართველოს მთავრობისა და ხალხისა, რამდენადაც საკითხები წარმოსდგება თანდათანობითი დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით.

ჩვენ გვგონია, რომ საჭირბოროტო, პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრებილი იქნება მთელი ქვეყნის ცოცხალი ძალა; როდესაც მთელი ხალხის ყველა ჯგუფებში გაიღვიძებს ენერგია და წყურვილი შემოქმედებისა; როდესაც სახელმწიფოს შენებაში ყველა მოქალაქე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებთა ყველა ჯგუფი დაიცავს **თავის** ინტერესს და ამავე დროს დაუკავშირებს ამ ინტერესს მთელი სახელმწიფოს ინტერესებს. უყურადღებოდ დატოვება კი მცხოვრებთა მთელი ნახევარისა – ქალებისა შეუძლებელი უნდა იყოს იმ მოქალაქის მხრით, რომელსაც უყვარს და სურს თავის ქვეყნის აყვავება.

ამ წერილში ჩვენ გვსურს გამოვარკვიოთ, რა მდგომარეობაშია ქალი ჩვენში და ვუწევთ თუ არა ჩვენ, ქალები ჯეროვან ანგარიშს, რაც ხდება და რაც დაგვაკისრა დროთა და ჟამთა ბრუნვამ საერთოდ ყველას და კერძოდ ჩვენ ქალებს.

ჩვენი მთავრობა, რამდენადაც ძალღონე შესწევს და საშუალება აქვს, ცდილობს შექმნას კანონები შრომის დაცვისა. მოსისხლე მტრებიც კი ვერ უსაყვედურებენ მთავრობას, რომ მუშათა საკითხს ყურადღებას არ აქცევთო.

მაგრამ რაც შეეხება **ქალთა** შრომის დაცვის სპეციალურ კანონმდებლობის დარგს კი, თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ისეთ სამრეწველო დაწესებუ-

ლებებში კი, სადაც დიდი უმრავლესობა ქალებია, არ არის შემოღებული ზედამ-ხედველ-ქალების (ინსპექტრისები) ინსტიტუტი, რაც მთავარი მოთხოვნილებაა ქალთა საკითხისა შრომის პოლიტიკაში. ამდენ ხანს არ არის შემუშავებული ძირითადი წესები იმ სამრეწველო დაწესებულებათა შესახებ, სადაც მუშაობა ქალების აგებულებისათვის მავნებელია; არ არის წესები მუშა ქალთა დაცვისა და ორსულთა შესახებ. ჩვენ კი არ გვინდა ბრალი დავსდვათ მთავრობას, რომ ეს საკითხები არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ეს საკითხები ჯერ არც კი არის დასმული, რომ მსჯელობის საგნად გახდეს. და ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, ეს არ მოხდებოდა, საკანონმდებლო მუშაობაში რომ ქალებსაც მიეღოთ მონა-წილეობა.

მიწის მფლობელობის (აგრარული) რეფორმის ცხოვრებაში გატარების დროს ჩვენს წინაშე, იმის გამო, რომ ეს რეფორმა ჯერ დაწვრილებით შემუშავებული არ არის, ბევრი მაგალითია, რომ დარღვეულა ინტერესი ცოლისა, ქვრივი ქალისა, დისა, მაშინ როდესაც ინტერესი ქმრისა და ძმისა დაცულია.

ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ სახელმწიფოს იმ დარგების შესახებ, საითკენაც მი-მართულია ჩვენი დემოკრატიის ყურადღება, მაგრამ არის ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც სრულიად არ აღუძრავს არავის და აუცილებელი კია. ამას მოითხოვს მთელი სახელმწიფოს ინტერესი, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაისვას და გადას-წყდეს ეს საკითხები და ამის შესრულებას კი შესძლებს მხოლოდ ქალი.

ამ ბოლო წლებში ქალთა მოძრაობამ ევროპაში მთელ ქვეყნიერების წინაშე ახალი საკითხი აღძრა. ამ საკითხის გადაწყვეტა ერთობ საჭიროა კაცობრიობის განვითარებისათვის. ეს არის საკითხი **დედობისა** და **ბავშვობის დაცვისა.** ჩვენ ვიცით რამდენი ქალი იკლავს თავს, რამდენი შემაძრწუნებელი ტრაგედია ხდება ეგრედ წოდებულ „უკანონო“ ცოლ-ქმრობის ნიადაგზე.

წერილი II.

რამდენი შეცდენილი და მიტოვებული ახალგაზრდა ქალი იღუპება ფიზიკუ-რად და ზნეობრივად, რაც ხელს უწყობს და თითქმის საფუძვლად ედება ქვეყ-ნიერებაზე კაცობრიობისთვის სასირცხოდ მოვლენილს პროსტიტუციას, რომლის შესახებაც ჩვენ საუბარი გვექნება შემდეგ წერილებში. რამდენი გადაგდებული ბავშვი იზრდება ავაზაკად, რა საშიშარი სოციალური მოვლენაა ეს „პატარა მა-წანწალები“. ჩვენ კი ვიცით, როგორ არა სასურველად არის დაყენებული სახელ-მწიფო მფარველობის საქმე უბინაო ბავშვებისათვის, სრულიად არ ზრუნავდა სახელმწიფო იმ დედების შესახებ, რომლის შვილებიც მიატოვეს მამებმა. ჩვენ კი უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ენერგიული ზომები მიიღოს, რომ დედობა ქალისათვის არავითარ პირობებში სათაკილო და აუტანე-ლი არ იყოს, რომ არც ერთი უბინაო, გადაგდებული ბავშვი არ დარჩეს უმწეოდ და გაუწვრთვნელი, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს ამათთვის. ჩვენ, რასაკვირ-

ველია, არ მოვითხოვთ ჩვენი ნორჩ სახელმწიფოსაგან ამ დიდი საქმეების დაუყონებლივ მოგვარებას, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ამ საკითხების თანდათანობით გარჩევა და გადაწყვეტა უნდა იკისროს ყოველმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ყველა შემთხვევაში იმისმა მთავრობამ მსჯელობის საგნად უნდა გაიხადოს ის ახლავე და იფიქროს, რის გაკეთება შეიძლება ამ დარგში ახლავე, და რანაირი გეგმით უნდა შეუდგეს მუშაობას ახლო მომავალში. რომ არ სწარმოებს მუშაობა ამ დარგში, ჩვენ შეგვიძლია ეს ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ქალები, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო სდგანან და მეტად არიან ამ საკითხების გადაწყვეტით დაინტერესებულნი, არ ღებულობენ საკმაო მონაწილეობას სახელმწიფოს შენების საქმეში.

ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა შეჰქმნას კანონების კრებული. როგორც ვიცით, ძველი კანონმდებლობა ყოველნაირ უპირატესობას მამაკაცს ანიჭებდა, და ამ კანონის შეცვლის დროს აუცილებელია თვალყურის დევნება, რომ არავითარ ძველ უსამართლობას არ ჰქონდეს ადგილი და არ დაარღვიოს უფლებათა ნორმების დარგში ქალთა უფლებები. და აქაც ამ საქმისათვის საჭიროა სახელმწიფოს საკანონმდებლო მუშაობაში ენერგიული, აქტიური მონაწილეობა ქალებისა.

შეუძლებელია საჩქაროდ დაწერილ საგაზეთო წერილში შეეხო ყველა იმ, დიად მნიშვნელოვან სახელმწიფოს საკითხებს, რომლების გარკვევა-გადაწყვეტის დროს ქალებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა; უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, რომ ამ საკითხების კანონიერად გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება, თუ ქალი არ მიიღებს მონაწილეობას. ავიღოთ თუნდა პედაგოგიური საკითხები: ჩვენი აზრით ამ დარგში ბავშვების აღზრდის საკითხში ქალმა უნდა გააკეთოს და შესძლებს კიდევაც ბევრის გაკეთებას.

მაგრამ მაინც, თუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პედაგოგიურ საქმეში ვერაფერს განსაკუთრებულს თავისებურს ქალი ვერ შეიტანს (ჩვენი აზრით ეს მოსაზრება შემცდარია), იმაში კი არ შეიძლება ეჭვი, რომ ეგრედწოდებულ სასკოლო ჰასაკამდის აღზრდის საქმეში ქალს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა.

მოწყობა იასლებისა[1], საზოგადოებრივ და სახელმწიფო საბავშო ბაღებისა, საბავშო კლუბებისა ქალაქებში და სოფლებში, ერთი სიტყვით ყველა საკითხი სასკოლო ჰასაკამდის, ამას გარდა სკოლის გარეშე აღზრდა-განათლებისა, რომლის მნიშვნელობაც სახელმწიფოსათვის ახლა უკვე შეგნებული აქვს ყველგან მოწინავე კაცობრიობას, შესაძლებელია გამოირკვეს და გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალების აქტიური მონაწილეობით; რადგანაც ქალი ამ საქმის სწრაფ და სწორად მოწყობა-გადაწყვეტაში ძლიერ არის დაინტერესებული. რასაკვირველია, თუ ასე ცოტა არის ამ მხრით გაკეთებული, შეიძლება ავხსნათ მხოლოდ

1. **იასლი** ჩვენებურად ნიშნავს ბაგას, იმნაირი დაწესებულებაა, სადაც ძუძუთა ბავშვებს ინახავენ, უმეტესად ქარხნებში მომუშავე ქალები აბარებენ იქ მთელი დღით ბავშვებს მუშაობის დროს. ბავშვებს იქ უვლიან, საღამოს კი ბავშვები მიჰყავთ დედებს.

და მხოლოდ იმით, რომ ქალი ერთობ მცირე მონაწილეობას იღებს თავის სამშობლოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

თუმცა ამ წერილში გაკვრით შევეხეთ საკითხებს, მაგრამ ესეც საკმაო მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქალს სახელმწიფოსათვის. დიდი საქმეები დააკისრა ქართველ ქალებს ისტორიამ. ისტორიამ მიანიჭა მას ისეთი უფლებები, რომლის მოპოებისათვის ამაოდ იბრძვიან საფრანგეთისა და ინგლისის ქალები, რომელიც მიუწდომელ ოცნებად გამხდარა ყველა განათლებულ ქვეყნების ქალთათვის.

მაგრამ არ ყოფილა ისტორიაში ისეთი მაგალითი, რომ ხალხს, კლასს ან ხალხის ჯგუფს, რომელსაც **არ ესარგებლოს** იმ უფლებით, რომელიც წილად ხვდა მას და შეენარჩუნებინოს კი ეს უფლებები. თუ ჩვენ, ქართველი ქალები არ ვისარგებლებთ უფლებებით, არ მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს შემოქმედებით მუშაობაში, დავკარგავთ მოპოებულ უფლებებს. და ეს კი უბედურება იქნება არა მარტო ქალებისათვის, არამედ მთელი ჩვენი ერისათვის. მართლაც, ქალებმა რომ არ მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სისწორით შეუძლებელია იმ საკითხების გადაჭრა, რომელთა შესახებ ზევით გვქონდა საუბარი და რომლებიც ქალისათვის უფრო მახლობელი და საგულისხმიეროა, ვიდრე მამაკაცისათვის; მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოსათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება, რომ ხალხის მთელმა ნახევარმა უარჰყოს ეს მონაწილეობა, შეძენით კი სახელმწიფო ბევრს შეიძენს, როცა მთელი ნახევარი ამოუდგება გვერდში ხალხს საერთო მუშაობაში სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ცხოვრების შექმნისა და განმტკიცება-განვითარებისათვის.

ქართველი ქალის გამოფხიზლება აქტიურ სამოქმედოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა თავისუფლების დასაცავად და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველთა განსავითარებლად, – აი ის საპატიო საკითხები, რომლებიც უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს ახლავე ჩვენი ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ და რასაკვირველია ყველაზე უწინ ამაზე უნდა იფიქროს და იზრუნოს თვითონ ქალმა. მჭიდროდ შეკავშირება, მტკიცე ორგანიზაცია, მსჯელობა ამ საქმეზე, ამ საკითხების გარკვევა-განხილვა და წესრიგში დასმა, რადგანაც ამ საკითხების გადაწყვეტით ყველაზე მეტად ქალია დაინტერესებული, აქტიური მონაწილეობა საზოგადოდ ყველა საკითხებში, რომლებიც აღელვებს ჩვენ სახელმწიფოს, და ბოლოს ბრძოლა იმ დახავსებულ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის ქალს სავსებით გაშალოს თავისი ნიჭი და ძალღონე, რომ გახდეს თავის სამშობლოს სრულუფლებიან მოქალაქედ. აი ის საკითხები რომლებიც მოითხოვს დაუყონებლივ გადაწყვეტას ქალისაგან და რომლის განხორციელებასაც მთელი თავის ენერგიით უნდა შეუდგეს ქართველი ქალი.

ეხლა, როდესაც სამშობლო მოითხოვს აქტიურ მუშაობას ყველა მოქალაქეთაგან, ქალმა რომ არ შეიტანოს ამ სამშობლოს სახელმწიფოს შენებაში თავისი

წილი ძალღონე, ნიშანია იმისი, რომ თავისი თავი ამ სამშობლოს უღირსს შვილად გამოაცხადოს. ახლა გაჩუმება, დამოუკიდებელ თავისებურ ორიგინალურ სიტყვის უთქმელობა, ცხოვრებაში რამ ახალის შეუტანლობა ნიშანი იქნება იმისი, რომ ქალს არაფერი აქვს სათქმელი, რომ მას არ შეუძლიან თავისებური რამ შესძინოს ცხოვრებას.

მაგრამ ჩვენ გვწამს, ქართველი ქალი მოახერხებს გახდეს ღირსეული მოქალაქე თავის ქვეყნისა, ღირსეული და იმ ქალებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განაახლებს და გააუმჯობესებს ერთად კანონმდებლობასა და ცხოვრებასო.

ნინო ნაკაშიძე

გაზეთი „სახალხო საქმე“,
1918, 16 ოქტომბერი, №358, გვ. 3
18 ოქტომბერი, №360, გვ. 3

მარიამ თათეიშვილი – რატიანი (გარიყული)

1883–1960

მარიამ გარიყულის წერილები ეკატერინე გაბაშვილს

ძვირფასო დედა კატო!

ღმერთს ვსთხოვ, რო იცოცხლო, იცოცხლო ერთს ხანს მაინც, როდესაც ასეთ უბედურ დროს შევესწარით, დღის თითოეული დანაკლისი გაუსწორებელ უბედურებას წარმოადგენს ჩვენთვის. გვაკმაროს ღმერთმა, მოგვათქმევინოს სული, სულ ნუ გაგვტაცებს ხელიდან ჩვენს მოამაგეთ. მაშ იცოცხლე, იცოცხლე. დიდი ხანია, მინდოდა მოწერა და ამ სურათის გამოგზავნა, მოვალეობა იყო ჩემი მომერთმია, თუ კი თქვენ მე მომიგონეთ ასეთ პატარა კაცი და გამომიგზავნეთ თქვენი პორტრეთი, მეც ვბედავ და გაახლებთ.

ნეტაი მაქ ვიყო, ნეტაი გხვდებოდეთ ხშირათ, ნეტაი თქვენთან ერთად მეც ვიყო ცხოვრების ფერხულში ჩაბმული და თითო ორორ აგურს მეც ვეზიდებოდე საერთო შენობისათვის. მაგრამ ეჰ, ჩემი ორი უღელი გოგო ბიჭები?! ისინიც ნიშნავენ რასმე. თავს იმით ვინუგეშებ, იქნებ ორი-სამი ნაბიჯით წაამეტონ ჩემმა შვილებმა და ასე შთამომავლობით გადავიდეს შრომა და იმის სურვილი.

ვერ დავესწარ აკაკის დაკრძალვას. სამწუხაროა. რეზიკოს მადლობელი ვარ, ჟურნალს მიგზავნის განუწყვეტლივ. ერთ პატარა ესკიზი გამოუგზავნე ამას წინათ, არ ვიცი, მიიღო თუ არა. მოვიკითხავ ყველას სიყვარულით, ვისაც კი ვახსოვარ. მინდოდა ია დამეკრიფა და პაკეტით გამომეგზავნა, მარა ვაი თუ არ მოგსვლოდათ.

პატივის ცემით
მარიამ გარიყული
მოგიკითხათ პატივის ცემით მინადორა ტოროშელიძემ

დედის მგზავსო საყვარელო კატო!

რამდენს ხანაც მე მინდა, იმდენ ხანს ვსთხოვ შემომქმედს თქვენს სიცოცხლეს, რომ როგორმე გამოვსთქვა ჩემი ღრმა პატივის ცემა თქვენდამი. და შევსძლო ერთხელ მაინც გცე ღირსეული პატივი. ჩემმა უბედურმა თავმა ის ვერ ახერხა, რომ მადლობა მოეწერა იმ დაუმსახურებელ პატივზე. თქვენი ფოტოგრაფია რომ მივიღე, ცა გაიხსნა მეგონა. მეგონა, ყველასაგან ცნობილი და პა-

ტივ საცემ პირათ გავიზარდე ჩემივე თვალში. ვიმეორებ, ვერ ვახერხე მადლობა მომეწერა თქვენი „ფრთებ დამტვრეულისთვის“ „გრდემლში“. ზედ გამოჭრილი ჩემია, დიდად დაგიმადლებდით გეძღვნათ ჩემთვის, მარა იქ უნდა მიმატებოდა. ტალახი, წვიმები, სიცივე, სადილ-ვახშმის კეთება ჩვენებურ შუა ცეცხლზე ნოტიო სამზარეულოში, ბოსელი, თავის საქონლებით, ბუდე წიწილები, ყოველ კვირეულის ოჯახის სარეცხი და ამათ გვერდით ცივ ოთახში უმაგიდოდ მწერალი ქალი, რომელსაც მხოლოდ ძილის დრო დარჩენია. ხომ დაუჯერებელია. ჩვენს მწერლობაში ყველას ღარიბათ მოაქვს თავი, მაგრამ ნუ ვინ იტყვის სიღარიბის იმ მძიმე უღელს და მის გაძლებას, რაც მე ვათრიე. ყოველ განათლება განვითარებას მოკლებული, ქვაბების ხეხვაში, სარეცხის რეცხვაში, პოლების წმენდაში გაუტეხელი ჩემი ტვინი მაინც ფიქრობდა და ამ მუშაობის დროს სხვა და სხვა სურათებს ხატავდა, რათა როცა მოიცლიდა, ბავშვები რო დაიძინებდენ, ძილის დრო მაინც მომეპარა თავისთვის და დამეწერა რამ. სურათები თავის პირველ ელფერს ჰკარგავდნენ, რადგან გაჩენის თანავე არ იქნენ ასახული სუფთა ქაღალდზე, მაგრამ მაინც მიღოღავდნენ წინ, მაინც ბნელით მოცულ ჩემ ცხოვრებაში. ობლათ, უმეგობროთ ძლივს მიბჟუტავდა ჩემი ნიჭი ყოველ ნიჭისთვის საჭირო სამკაულს მოკლებული.

დღეს ამ მოწმობას გიდებ წერილში და ამან დაგარწმუნონ, რაღა ძალ-ღონე და ცხოვრების უნარი ექნება ამათ პატრონს, ექვსი-შვიდი წელიწადი რკინის სიმაგრით უძლებდი. ეხლა წავიქეც, ამ ტკივილებმა წარმოშობეს ნერვები, ხანდის ხან იქამდის მივდივარ, შევიშლები. იმ დროს ყოველი ცუდი აზრი მებადება. დავხოც ბავშვებს და თავსაც მოვიკლავ-მეთქი. მე მინდოდა ჩემი შვილები ადამიანობით ჩემზე წინ ყოფილიყვნენ და თუ დავსტოვებ, თავის პაპას ვერ გასცილდებიან, ისეთ მათ ყოფნას არ ყოფნა აჯობებს.

ეხლა შენს თეთრ თმებს ვენაცვალე, კარგად გასაჯე, აწონ-დაწონე, ისე ნუ იქ, რომ ქვეყნის სამასხაროდ გავხდე. თუ სხვა ქვეყნებშიც ჩემოდენა მოყივანეს ჰქონოდეს უფლება საზოგადოებისაგან თანაგრძნობის მიქცევის, ან თუ ჩვენშიც იყოს ამის უფლება, ქვას არ მომაყრიდნენ პატარა კაცს და მაგ ცივ ირონიით არ დამცინებდნენ, მაშინ აღძარი საკითხი ან ლექცია გამემართოს ან წარმოდგენა ან შეწირულება. თავად იცი, როგორ მოეპყრო საქმეს, ქალის ავათმყოფობიდან რომ მაინც ამოვყოფდე თავს, სიცივეები რო დაიწყო, მოკუტული ვარ, წელში ვერ ვიმართები. დიდხანს ვერ გავძლებ სულიერათ და დავიღუპები. ქმარს ვერ ვახსენებ, ახალგაზრდა კაცი გასტეხა შრომამ. 50 მანეთით რას გასწვდეს? სამ-სამ შვილს ასვას, აჭამოს, თუ მე მიპატრონოს? სხვა ვიღა, ოჯახი? სხვისი შვილი სხვათა კარს ვის დაეწვის გულს? მგონი, არც ის დაურჩეს სასიამოვნოთ ტრადიციულ ოჯახს, რომ საზოგადოებამ მოინდომოს ჩემი დახსნა, დახმარება. ძველ აზნაურის ოჯახს ხომ შეურაცყოფა მიადგება ამით.

ათი დღეა ვფიქრობდი ამის შესახებ და როგორც იყო გადავწყვიტე, წინ შავი

ბნელი ქვეყანა მიდგას და ეს აზრი რომ დამებადა მომემართა შენი დედობრივის მზრუნველობისთვის, სიბნელეში ნუგეშმა ობლათ დაიწყო კიაფი.

დედა არა მყავს, ვის მკერდზედაც შემეძლოს ცრემლის დაღვრა. დედათ ჩემი ქვეყანა მინდოდა გამეხადა... უკუღმართი ბედი გზას ურევს კაცს. რეზიკოს ჟურნალისთვის მასალები მაქვს, მაგრამ გადაწერა და შესწორება რო უნდა?

მოვიკითხავ ყველას.

ჩემი მისამართი როგორც „კლდე“ მოდის

Самтредиа, Мариа Ратиани

პატივის ცემით მ. რ. (გარიყული), 16 თებერვალი

ძვირფასო დედა კატო!

გისურვებ სიცოცხლეს და სიცოცხლეს, სანამ თვით არ მოგწყინდებოდეთ. თუ მიკითხავთ, მიდგას სული. ოთხი ქალ-ვაჟი მყავს. ჩემი უფროსი ბიჭი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შევიყვანე მეორე განყოფილებაში. სურვილი მქონდა მაქ, მაგრამ იქნებ არ მიეღოთ როგორც სხვა გუბერნიიდან მისული და შემეშლებოდა ხელი. შემდეგ ვფიქრობ გადმოყვანას, თუ მშვიდობა იქმნა. თქვენი რეზიკო სამჯერ ოთხჯერ კი იყო სამტრედიაში, „ქართლის“ აქაურ გამგე აბაშიძეს ვსთხოვე მოეყვანა, უთუოდ თავად არ ისურვა. თუ ბაასით ვერ შევიქცევდით, ჩვენს ბაღს და ეზოს მაინც ნახავდა. ხილებზე მაინც ვიტყოდით ორ სიტყვას. აღარ დავმტკბარვარ თქვენის ტკბილის საუბარით, რას ჰფიქრობს ან რას გეუბნებათ თქვენი მდიდარი წინათა გრძნობა, ვითომ ამოანათოს ჩვენთვის მზემ და უბედურ ქართველ ხალხს ეღირსოს რამ სიკეთე? ნეტა ვიცოდე, ნეტა ვიცოდე თუ ჩვენთვის ჰკეთდება რამე. ოჰ, რა ეჭირვება ეხლა ჩვენ ქვეყანას, მაღალი ნიჭით ცხებული კაცი, მოსიყვარულე გული, ჭირისუფალი, თავ დადებული გმირები და სად არიან ესენი? სად? განა მარტო სურვილი კმარა, კაცმა რომ რამე გააკეთო. უნდა იყო განათლებული, განათლებული. ეჰ, მე საცოდავს ასეთს დროს კლასიკური არსებული ცოდნაც კი არა მაქვს. ყველა ერისთვის ჰკეთდება რამე და ჩვენი მაიმედებელნი რუსეთის მუშებს იცავენ. აქ „სახალხო“ და „საქართველო“ ჩხუბობს, იქ ათასობით ახალგაზრდობა ბრძოლის ველზე წვება, ვისთვის და რისთვის, ღმერთმა იცის. აქ სამაგიეროთ ქალები გაგიჟდნენ, ლოთობენ, ლოთობენ, ტანის სამოსით. მგონი, თავის დღეში არ ჩაუცვამთ ასე. ქალაქს რა დაეტყობა, თქვენ უნდა ნახოთ სოფელი და ისეთი კუდა ბზიკა იმერეთის სოფელი, ვერ ნახავთ გლეხის გომბიოს თვრამეტ მანეთიანი ფეხსაცმელი არ ეცვეს და გადაჟამულ გამჭვირვალე კაბებში ფეხები არ ჰქონდეს შე-

ბორკილი. ვიძახი, ქალებო, წაუყაროთ ქოშში ფეხი, ჩამოვიხუროთ თავშალი და ვიტიროთ დაკარგულები-მეთქი. ვის ესმის? ან საერთოთ მოვითხოვოთ ჩვენც გაგვრეკონ ბარემ ჩვენს ქმრებთან, შვილებთან, ძმებთან და გაგვწყვიტონ ბარემ, თუკი ვისმეს ეჭირვება ეს შესაწირველი. პროტესტი, პროტესტი კაცობრიობის მეორე ნაწილს. ქალმა აქ წამოაყენოს თავის გადალახული უფლება, ნურავითარ პოლიტიკას, ნურავითარ მოსაზრებას და სახელმწიფო ინტერესებს ნუ მიხედავს, საკმარისია მხოლოდ ერთი, რომ „დედას მოუკლეს შვილი“ და მოუკლეს უმიზნოთ, უდანაშაულოთ. მე მაინც ჩვენ ქალებს უბრუნდები, რომ საშინელი სიცალიერეა მათში. რობაქიძეს უთქვამს: „თვით ჭურჭელი, თვით ჭურჭელი უნდა იყოთ, მშვენიერი და შიგ რაც დგას, არ ვკითხულობო...“ და ჩვენი ქალებიც მისდევენ ამას. ეჰ, რა ბევრი ვსთქვა, ტკივან გულს დაუშრეტლათ შეუძლია იგრძნოს და ენამ გამოსთქვას. აქ მინდოდა ქალთა წრე მომეწყო. მწერდი, ნება რთვას ვერ ვეღირსეთ. თუ სამკითხველო, თუ ქართული შკოლა... ეს ქალი მაქაური ქალთა კურსების მსმენელია მეოთხე კურსზე, ქ. ქართველიშვილი. ჩემდა სანუგეშოთ ეს ერთი ადამიანი მყავს აქ, რომ გვესმის ერთმანეთის, ძლიერი სურვილი ჰქონდა თქვენი გაცნობის და შემთხვევაც მივეცი, რომ პირდაპირ გამოვატანე ბარათი. ჩემი სურათი მიიღეთ თუ არა? მოვიკითხავ, ვისაც ვახსოვდე.

თქვენი მარო
(გარიყული)

ჩემო მეორე დედა კატო!

მივიღე თქვენი ძვირფასი წერილი, რასაც დიდი ხანია ველოდი, ველოდი სინანულით. უნდა გამოგიტყდე, გულ-ახდილათ, წუთიერათ დასუსტებამ სულისამ გამოიწვია მაშინ ჩემგან ის წერილი. მთელი ეს დრო ვნანობდი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ, როგორ გამესწორებია ჩემი შეცდომა. კარგათ მქონდა გათვალისწინებული თქვენი საქმეებით დატვირთული თავი, საზოგადოებრივი „ინდიფერეტიზმი“ და ჯერ ჩემი უმნიშვნელო ღვაწლი. ყველაფერი ჭეშმარიტებაა შენი სიტყვა, კაცს შეუძლია გაუმაგრდეს განსაცდელს, მაგრამ თუნდა ასედაც არ იყოს, რა იქნება, რათ გვაშინებს იქ, იმ უცნობ ცხოვრებაში გადასვლა. დღეს თუ ხვალ, სულ ერთი არ არის? დასაბამიდან ხომ ასე მოდის ეს ქვეყანა (რატომ). რასაც დღეს ვხედავთ, კვლავაც ყოფილა, ჩვენ კი ახლათ გვეჩვენება. მაშასადამე, ჩვენ კი არაფერი ვართ, თვით ცხოვრება არის რამე. ჩვენ რათ უნდა დაგვიმადლონ რამე, განა ჩვენით, ჩვენის ნებით გამომდინარეობს ქვეყნის რამ სიკეთე? რათ არ უმადლით და ხელებს არ უკოცნით იმ მუშაკს, ვინც საზრდო პურს გვაწ-

ვდის, გვაცხოვრებს, ვერც პოეზია, ლიტერატურა და ვერც ვერა იხსნიდა კაცს სიმშილისაგან, პურზე რომ არ დაეღვარათ იმ მადლიანებს თვისი მშრომელი ოფლი და ქვეყანა არ გამოეკვებათ. სამაგიეროთ დაფხრეწილ ფარაჯაში ხდება გლეხს სული მთელი ზამთარობით. ვინ არის ამის გამკითხავი? მაშ ჩვენ, შენ და მე უფრო მეტი მოთმენა გვმართებს, როგორც ცხოვრებასთან უფრო დაახლოვებულთ. ეს ერთი თვე უაქიმე ჩემს თავს გარეშე წამლებისა, ვარწმუნე თავი: „ყოველივე სისულელეა, ნერვები არ უნდა იყოს, უნდა გაიპოს, უნდა გავმაგრდე, საჭიროა ასე“. მართლაც მოვკეთდი სულიერად. თავის ტკივილმაც მიკლო, უძილობა კი მაწუხებს. რაც შეეხება დედათა ავათმყოფობას, იქნებ მოვიდე ამ ზამთარში. ღმერთსა ვსთხოვ, კარგათ დამხვდე და კვლავინდებურათ ტკბილათ ვისაუბროთ. რაც შეეხება ბავშვების აღზრდას, მეც მაგ გადაწყვეტილებას დავადექ. მე სულ არ მყოლია ხელ მძღვანელი, მხოლოდ ბებია და დედა – ძველი ქალები, ძველის ქართულის მცოდნენი და საღრმთო წერილსა თუ ვეფხვის ტყაოსნით განსწავლულნი მასწავლიდნენ ცოტა რამეს, შკოლიდან თითქმის არა გამომყოლია, გაუგებარ რუსულ ლექსების მეტი. დღეს ლიტერატურას თავისუფლად ვიკითხავ და კრიტიკის კითხვაც შემიძლია „რუსულ“ ენაზე – ჩემს მაგალითს მიჰყვნენ ბავშვებიც. რა ვქნა, სადა მყვანან პედაგოგები. ერთ პედაგოგთან ვიყავ ქუთაისში ამას წინათ. მინდოდა მესაუბრნა. გზა ეჩვენებინა, როგორ უნდა აღზრდილიყო ბავშვი, რომ ჩვენ უბედურ ცხოვრებას პირველ მერცხლათ მოჰფრენოდა. ესენი ყველა ასცდა პედაგოგის ყურებს: „აგვისტოში მოიყვანეთ ბოვში ეგზამენისთვის ასე“. მექართმეობის საქმე ჯერ ჯერობით არაფერია. ამას უნდა მისვლა-მოსვლა, თავისუფალი დრო, ხალხს შეგონება. მე ჩემი გოგო ჯერ გულზე მკიდია, მერე სიარული არ შემიძლია. ასეთი საქმე ჯერ შენვე უნდა სცადო. საქმის ნაყოფი დაანახვო ხალხს და იქნებ მერე მოგყვნენ. აქ კაპიტალი ცოტა მაინც უნდა. ვფიქრობ, იქნებ მოვიყვანო სისრულეში ჩემი ფიქრი.

მომილოცავს ელოს ბედნიერება, თუ გათხოვებას ბედნიერება ეწოდება. მაგრამ შვილი? ერთი მისი ღიმილი აკვნიდან, როცა დედას შესცქერის, ერთი მისი შეფართხალება ხომ ყოველ მწუხარებას უქარწყლებს დედას? ჭეშმარიტად რომ იმ დროს ქალი ბედნიერია. უკაცრავად, ეს მოლოცვა წერილის დასაწყისში უნდა მომექცია. წერის რა მოგწერო, ვსწერ ცოტა რამეებს. „იმერეთში“ ვბეჭდავ პატარ-პატარა სურათებს. „და მხოლოდ ეს?“ ამ სათაურით. „თემშიც“ იყო ორშაბათს პატარა მოთხრობა, „მწარე სურათები“. რეზიკო არ დამემდუროს. „კლდის“ მასალა ვერ მოვაწოდე. ასე მიტომ დაურიგე გაზეთები, მინდოდა მომსვლოდა ყველა. მაქვს ერთი მასალა. შესწორება და გადაწერა უნდა, გამოვგზავნი თქვენთან, თქვენ წაიკითხეთ და თუ გამოსადექათ სცნოთ, დამავალეთ, გადაეცით „გრდემლისთვის“. მინდა ერთი მაინც მოჰყვეს იქ ჩემი რამ. იქნებ მაშინ მაინც შეეხოს კრიტიკა, ცოდვა აღვიარებული სჯობიან, მტკივა გული, არავინ არ დარჩათ გაურჩეველი, მე კი დავრჩი გარეშე ყოველის კრიტიკისა.

იქნებ არ ღირდა ჩემზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემის ღირსების მწერლებსაც რომ კი შეეხნენ? ნუ დამიკარგავთ მოთხრობას, თუ „გრდემლისთვის“ დაიწუნონ, შემდეგ რაც გინდოდეთ, ის უყავით. თუ სავარგისათ სცნობს, „კლდემ“ დაჰბეჭდოს, თუ არა და შემინახავთ.

ნინო რატომ არ მიბეჭდავს მოთხრობებს, ხომ გაუგზავნე ამ ზაფხულ, ჩემს მოთხრობებზე უმჯობესი არც ერთი არ დაუბეჭდიათ. თუ გაგახსენდეთ, შეეკითხეთ შენი ჭირიმე... მოვიკითხავ, ვისაც ვახსოვდე.

თქვენი მარად მოწაფე, მარიამ რატიანისა
გარიყული

გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,
მარიამ გარიყულის არქივი, ხელნაწერი № 17205

ეფემია მესხი (რიონელი ქალი)

1862-1941

მოქალაქენო!

დღევანდელი უდიდესი ისტორიული მომენტი, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ, მოითხოვს ჩვენგან გამორკვევას არა მარტო ადამიანის ბუნებრივ უფლებისას, როგორიც არის თავისუფლება სიტყვისა, გადასვლა-გადმოსვლისა, კრებებისა და სხვა და სხვა, არამედ მასთან ერთად ჩვენი კოლექტიური პოლიტიკური ცხოვრების საკითხის გადაწყვეტასაც.

დღეს გვეძლევა საშვალება გამოვსთქვათ ჩვენი უახლოესი საჭიროებანი როგორც პოლიტიკური მთელი ერისა, ისე ეკონომიური მშრომელი ხალხისა. და ყოველი შეცდომა ამ საკითხზე დაშვებული, გაუსწორებელ, გაუმართლებელ დანაშაულად ჩაგვეთვლება მომავალ თაობის წინაშე.

ჩვენ მისთვის ვეტრფით თავისუფლებას, რომ ის ხელს შეუწყობს პიროვნების აღდგენას. პიროვნება კი მხოლოდ შესძლებს თავისი ინდივიდუალურობის განვითარებას და ამაღლებას კულტურულ, პსიხოლოგიურ თავისებურების ნიადაგზე, რომელშიც ის დაიბადა და აღიზარდა.

ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია შედარებითი ბედნიერების მიღწევა, როცა მისი აღმზრდელი საზოგადოება მოქალაქობრივათ თავისუფალი, ტანმრთელი და წინმიმავალია და ასეთს საზოგადო ცხოვრებას-კი იძლევა მხოლოდ ეროვნულად დამოუკიდებელი, ნამდვილი დემოკრატიული მართველობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პიროვნული განვითარება დამახინჯებულია, და პოლიტიკური თავისუფლება მისთვის გამოუსადეგარი. რად უნდა მას თავისუფლება სიტყვისა, თუ რომ მისი დედა-ენა, ეს ერთად ერთი იარაღი აზრისა და გრძნობისა, ისე დაბეჩავებულია, რომ ესპობა მას საშვალება ამ ენაზე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა?

რათ უნდა სამართლიანი კანონი, თუ რომ მოსამართლე გასაგებ ენაზე ვერ აუწყებს მას მისი სიმართლე, დანაშაულის განჩინებას?

რათ უნდა სახელი მოქალაქისა, თუ რომ მის სამშობლოში ვერ მოაწყობს სასურველ მოქალაქეობრივ ცხოვრებას?

ძველი რეჟიმის პირობებში ჩვენი ადამიანური პიროვნება დატყვევებული იყო მით, რომ ის ნებას არ გვაძლევდა ჩვენი ჭირისა და ლხინის გამოთქმისა. თავისუფალ რუსეთში კი, თუ რომ მოკლებული ვიქენით ეროვნულ აღზრდა-განვითარებას, ჩვენი მდგომარეობა ემზგავსება იმ ბუნებრივ ნაკლის მქონეთა მდგომარეობას, რომელნიც ყველაფერს ხედავენ, გრძნობენ და აზროვნობენ, მაგრამ შესაფერად ვერ მოქმედობენ და ვერ მეტყველობენ. ან იმ უბედურ ბავშვთა მდგომარეობას, რომელნიც შიმშილისაგან მუდამ სტირიან და ყვირიან, მაგრამ კაცი კი ყურადღებას არ აქცევს.

და ბრალი ჩვენი, თუ რომ ასეთს ხელოვნურ სიდუხჭირეს და სულიერ სისაწყლეს გვიქადის დღევანდელი პოლიტიკური თავისუფლება!

რამდენათ უფრო მწველი, რამდენათ უფრო ადვილი იქნება მაშინ ჩვენი ეროვ-

ნული სახის წარხოცვა? ჩვენი სამშობლო მიწა-წყლის ჩვენივე ფეხებიდან გამოცურება და მთელი ეროვნული ცხოვრების უფსკრულში გადავარდნა?

რა მოელის მაშინ ქართველ ხალხს? ნივთიერად ღარიბს, მრეწველობა-ვაჭრობაში ახლად ფეხ-ადგმულს, კულტურულათ თანამედროვე ცხოვრებისათვის მოუმზადებელს? აბარგება, თავის გუდა-ნაბადის ზურგზე აკიდება და ცა ქუდათ და მიწა ქალაბნათ. სხვა და სხვა მხარეს ხეტიალი და შიმშილით სიკვდილი! ნუ თუ ამისათვის ვეტრფოდით ჩვენ საერთაშორისო ძმობას? განა ამისათვის ვართ ჩვენ სოციალისტები, რომ ყველაზე უწინ ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვამსხვერპლოთ მას? არა, ჩვენ სოციალიზმი გვინდა ქართველი ხალხისათვის და არა ქართველი ხალხი სოციალიზმისათვის, შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის. ამისათვის სახეში გვაქვს რა კაპიტალისტური წესწყობილების დღევანდელს პირობებში მოუსპობლობა და ვითვალისწინებთ რა ყველა იმ უკუღმართობას, რომელსაც წარმოშობს მისი განვითარება-მომწიფება სახელმწიფოში, ჩვენ მოვითხოვთ დღეს ისეთი პირობების შექმნას ჩვენ სამშობლოში, რომელიც საშვალებას მოგვცემს თავი მოვიგეროთ მის უკუღმართ შედეგებისაგან. და ასეთი პირობების შესაქმნელად ჩვენ მოვითხოვთ ქართველი ერის შინაურ მოქალაქობრივ ცხოვრებაში სრულს დამოუკიდებლობას და ასეთს უფლებიან ცხოვრებას ერისას, სახელად ვუწოდებთ **ტერიტორიალურ ავტონომიას,** რომლის განხორციელება არა თუ არ მოსწყვეტს საქართველოს რუსეთს, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველი მშრომელი ხალხის რუსეთის მშრომელ ხალხთან ერთობა-სოლიდარობას. ჩვენ მოვითხოვთ ერისათვის უფლებას და მშრომელი ხალხისათვის მიწას. მაგრამ არ იფიქროთ, რომ საქართველოს კანონიერ შვილებათ მხოლოდ მამაკაცები იყვნენ და არა დედაკაცები. ჩვენი სამშობლო შვილების გამორჩევას ისტორიულად ჩვეული არ არის. და ქალებს ისეთივე ადგილი უნდა მიეცეს მეოცე საუკუნის საქართველოში, როგორც მამაკაცებს. ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ბატონობას და დაუმსახურებელ პრივილეგიას, იქნება ის სქესი, კლასი თუ ერი. და ამ ბრძოლაში განვამტკიცებთ კიდეც ჩვენს უფლებას.

ის აურზაური, რომელიც დღეს ატეხილია ადგილობრივ პარტიათა შორის, ჩვენ წარმავალ მოვლენათ მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ, თითოეული პარტიის წარმომადგენელი გულის ტკივილით შესცქერის მათ შორის ამტყდარ განხეთქილებას. ამისათვის ვიმედოვნებთ, რომ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ ამ პოლიტიკურ შენების დროს თითეული პარტია შეეცდება შემაერთებელი ხიდის აგებას, რომ საერთო ძალღონით აღადგინონ და განამტკიცონ ქართველი ხალხის მოქალაქობრივი ცხოვრება. ნურავინ ნუ იფიქრებს მას, რომ საქართველოს ავტონომია რომელიმე პარტიის მონოპოლია იყოს! დღეს ყველა პარტიებში არის ავტონომიის მომხრე და რომელ პარტიას მეტი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ხალხის გათვითცნობიერებაში და განთავისუფლებაში ამის დამფასებელი იქნება ისტორია და ის მომავალი თაობა, რომელიც დღეს წინდებულ დროთა სივრციდან მოგვიწოდებს ერთობისაკენ ყველას. ასეთს ძახილს კი უფრო დიდი ყურადღება უნდა

მიაქციოს იმ პარტიამ, რომელიც დღეს უფრო მეტად გავლენიანად და მომქმედათ სთვლის თავის თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენად მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ, იმდენათ სასტიკ ბრალს დასდებს მათ ისტორია მომავალში. ჩვენ გვრწამს გონიერება აღნიშნულ პარტიის მეთაურებისა, რომ ისენი სასაყვედუროთ არ დაუტოვებენ თავიანთ სახელს მომავალ თაობას და ამ იმედით ჩვენც სიხარულით მოველით ქართველი ხალხის სურვილისამებრ მოწყობილს საქართველოს ავტონომიას.

რიონელი ქალი

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, 5 აპრილი, № 1, გვ. 1

იდეური მებრძოლნი

იდეური ბრძოლა წარმოადგენს ტეორიული ცოდნით და პრაკტიკული ცხოვრების ავკარგიანობის კარნახით ადამიანში გამოწვეულს აზრთა და გრძნობათა ერთ გვარ გამოხატულობას, რომელიც შეადგენს ამა თუ იმ პიროვნების მრწამსს, მიმართულს საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობისაკენ. ესა თუ ის ცხოვრების უკუღმართი მოვლენა, ნაშობი სიბნელით, სიღატაკით, დაუდევრობით და ძალმომრეობით იწვევს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის თვალში ზიზღსა და გულის ტკივილს. და რამდენათ უკანასკნელი ღრმათ განიცდის მას, იმდენათ ძლიერი გრძნობით და ენერგიით წინააღუდგება მას, და იბრძვის მისი წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ამ გვარს მებრძოლს დავიწყებული აქვს ყოველი კერძო ინტერესი. მას არა სცალია არც თავის ცხოვრების მოწყობისათვის და არც სხვა წვრილმანი, წარმავალი სიამოვნებისათვის თუ უსიამოვნებისათვის.

ის მიისწრაფვის მხოლოდ ერთი მიზნისაკენ, რომელიც თავის არსებობის უმაღლეს საგნათ დაუსახავს. მას უყვარს თავისი იდეალი, რომლისკენაც ის მთელი თავისი სულიერი ენტუზიაზმით მიისწრაფვის და თითეული მისი თანამოაზრე, — შემგნები მისი სულიერი მისწრაფებისა მას თავის მახლობლათ მიაჩნია, რომელთ შორის მყარდება მტკიცე სოლიდარობა; და რამდენათაც მეტს შეხვდება ასეთს თანა მოაზრეთ, იმდენათ ორკეცდება მისი ენერგია და აქტიურობაც.

„ჩვენში უფრო მეტი ცრემლებია, ვიდრე საჭიროა ის ჩვენი პირადი მწუხარებისათვის და უფრო მეტი ღიმილი, ვიდრე მოითხოვს მას ჩვენი კერძო ბედნიერებაო“ — ამბობს დიდი ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი მ. გუიო. ეს ზედმეტი კი წარმოშობილია იმ სოციალური ინსტინკტით, რომელიც დაბადებიდანვე თანა სდევს ხოლმე ადამიანს და ურომლისოთ შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პიროვნების განვითარება.

ამ ზედ მეტს სოციალურს ინსტინკტს უმრავლესობა დროს ტარებაში აქრობს, იდეური უმცირესობა კი მას ხალხისა და ქვეყნის კეთილ დღეობას ახმარს. ცხადია, უკანასკნელი ვიწრო კერძო ცხოვრების ჩარჩოში ვერ მოემწყვდევა, რადგან მასში უფრო მეტად არის განვითარებული ეგ სოციალური ინსტინკტი და მეტადაც ეჭივრება სულიერი განგე, თანამოაზრენიც. მისთვის არავითარი ფასი არა აქვს პატივდიდებას, ყველასა და ყველაფერს უარყოფს იგი, რაც კი ხელს უშლის მის იდეურს გამოხატულობას. ასეთი იდეური მებრძოლი მლოცველ მეუდაბნოესგან, რომელსაც დავიწყებია ამ სოფლიერი ბედნიერება, მით განირჩევა, რომ ის უარყოფს წარმავალ პირად ბედნიერებას ხალხის კეთილ დღეობისათვის, მეუდაბნოე კი ზურგს აქცევს ამავე ბედნიერებას თავისი სულის ცოდვისგან დასახსნელად.

პირველი იბრძვის, თავს სწირავს მისთვის, რომ დარმუნებულია, უკეთესი პირობების შექმნა თვით ადამიანთა ხელშია, დამოკიდებული მათ შეგნებაზე, მათ ნე-

ბის ყოფაზე და აქტიურობაზე და აღვიძებს ასეთს უმრავლესობაში. მეორე კი სრულიად პასიურს ცხოვრებას ეწევა, ლოცვით და მარხულობით ანტროპომორფიულ ღვთაებიდან გამოელის საიქიო სულიერ ნეტარებას. იდეური მებრძოლი, ხალხისათვის თავდადებული ხალხშივე რჩება. მეუდაბნოე კი, სამოთხის მოპოვებით გატაცებული, გაურბის ხალხს, როგორც ცოდვილსა და ბიწიერ არსებათ. პირველი სოციალური ტიპია, მეორე კი ანტისოციალური, რომლის გამო გონებრივათ უკანასკნელი ერთს წერტილზეა გაყინული, რადგან დროთა სვლა თუ არ სცვეთს მის განცალკავებულს აზროვნებას, სამაგიეროს არაფერს აწვდის მას.

ამ ორ, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ტიპებში ერთი რამ არის საერთო: მოპოვებული სხვა და სხვა გზით და სხვა და სხვა საშუალებით, – სულიერი მთლიანობა, ეგ ერთად ერთი დაუძლეველი ზნეობრივი ძალა, რომლის მოპოების შემდეგ ადამიანი აერთებს სიტყვასა და საქმეს. და ყოველ გვარ კომპრომისს თავ-დახწეული, ცათ აფრენილი სულით მიისწრაფვის თავისი იდეალისაკენ, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი წინ დამდგარი რისხვა, ვაება. და აი ჩვენ ვხედავთ ისტორიაში, თუ როგორ სულიერ სიგმირეს იჩენდენ ერთიცა და მეორეც თავიანთ რწმენაში. და თუ მეუდაბნოე არა ვითარ დადებით კვალს არ სტოვებდა, სამაგიეროთ დიადია ღვაწლი მზგავსი იდეური მებრძოლთა. და თუ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ბრწყინავს რაიმე ზნეობრივი სინათლე, ასეთს მებრძოლთ უნდა უმადლოდეთ. ასეთი მებრძოლნი იყვნენ ძველი სოციალისტებიც, რომლებიც თავიანთ მიზნის განსახორციელებლათ ხელმძღვანელობდენ უმაღლესი ზნეობრივი იდეალით. ამ ხალხისათვის თავგანწირულ გმირებს თანამედროვე სოციალისტები უტოპისტებს ეძახიან, ე.ი. უბრალო მეოცნებეთ. ასეთი შეხედულობა მათზე თანამედროვე სოციალისტებიდან სრულიად არ არის გასაკვირი, რადგან თანამედროვე წესწყობილობის მიერ წარმოშობილმა მეცნიერებამ, რომლის ძირითად დებულებას იზიარებენ ჩვენი დროის სოციალისტები, განსაკუთრებით მარქსისტები, ყოველი განვითარება, კერძო თუ საზოგადო, დაამყარა „შეთვისების“ (приспособление) პრინციპზე, მიუხედავად იმისა, მარგებელია თუ არა ამა თუ იმ პირობების შეთვისება პიროვნებისათვის და საზოგადოებისათვის.

ასეთი თვალსაზრისით გამსჭვალული სოციალისტები მით უფრო მატულობს ჩვენს დროში, რამდენათაც მათი შეთვისების პრინციპი არა ვითარ თავშემაწუხებელს სულიერ მთლიანობას არ ავალებთ მათ სიტყვისა და საქმის შესაერთებლად. და რამდენათაც ნაკლებ აღშფოთებთ მათ სოციალისტურ გრძნობას არსებული სოციალური ცხოვრების უკუღმართობანი, იმდენათ მათი მრავალ რიცხვიანობა აშინებთ დღევანდელთ ამა ქვეყნის ძლიერთ. ამის დამამტკიცებელ ფაქტად თვით დღევანდელი მსოფლიო ტრაღედია გვიდგია თვალწინ. თუ რამდენათ უსუსურია სოციალისტური გავლენა რეალურ ცხოვრებაზე, მიუხედავად მათი მრავალ რიცხვიანობისა განსაკუთრებით გერმანიაში. ორ მილიონმა სოციალისტურმა პარტიამ გერმანიისამ ვერაფრათ ვერ შეუშალა ხელი თავიანთი ქვეყნის მმართველთ იმპერიალისტურ მისწრაფებას და იმ სა-

სიკვდილო იარაღის დამზადებას, რომელიც აგერ მეოთხე წელიწადია მუსრავს კულტურულ ევროპას.

და ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან როცა სიტყვით გმობ და კიცხავ არსებულ კაპიტალისტურ წყობილებას და იმავე დროს აღიარებ მის შეთვისებას, ცხადია იმდენათ ეწინააღმდეგები მას, რამდენათაც გსურს მისი მოსადგომი მხარის გამონახვა და როცა მიუგნებ მას და თავს შეაფარებ, მაშინ მებრძოლიდან კაცი ერთგვარად შერიგებული ხდები მასთან. ის გზა, რომელიც აირჩიეს მარქსისტებმა სოციალიზმის მისაღწევათ არავითარ სახიფათოს არ წარმოადგენს მათთვის, რის გამოც როგორც მათი ცხოვრება, ისე მათი სულიერი მოთხოვნილება დიდათ არაფრათ არ განსხვავდება უბრალო თავისუფალ მოქალაქის ცხოვრებიდან. ამისათვის არც გასაკვირია, რომ მათში არ არსებობს სათანადო სოლიდარობა, რომელთ მოღვაწეობა პარლამენტის კარებს არ შორდება, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. და რამდენათ გაუტკბათ ეგ პარლამენტური ბრძოლა, იმდენათ სურთ ხელთ იგდონ წინამძღოლობა მთელი მსოფლიო პროლეტარიატისა; და ერთხელაც არ აყენებენ კითხვას, აკმაყოფილებს თუ არა მათი მსოფლიო თვალთა ხედვა პიროვნების ინდივიდუალურს დადებით მოთხოვნილებას. მათ ამ შემთხვევაში დასჩემდათ ერთ გვარი პსიხიური ანომალია, რომელიც სჩვევია ხოლმე ძუნწს საკუთრების შეძენაში, როცა ის თავს უყრის აუარებელ ქონებას და ერთს გროშსაც არ აკლებს მას, ობიექტური ძლევა მოსილობის მოსაპოებლად.

„სამეცნიერო სოციალიზმის“ ბელადნიც ამ გზას ადგანან, იმ განსხოვებით, რომ პირველი გატაცებულია ნივთიერი სიმდიდრის მოხვეჭით და მეორენი კი იდეური ბრძოლის დასაკუთრებით, მიუხედავათ იმისა, რომ თავიანთ საბრძოლველ მიზანს ერთი გოჯითაც არ უახლოვდებიან. ერთიცა და მეორენიც სასტიკი და შეუბრალებელია და არავითარ ზომა საშვალებას არ ერიდებიან მოწინააღმდეგეს დასამარცხებლად.

ასეთი იდეური მებრძოლნი გარდა იმისა, რომ ძუნწათ უახლოვდებიან სოციალიზმს და თითქმის შორდებიან მას, თანაც დიდს ზიანს აყენებენ საზოგადოებას მით, რომ აზრთა დიფერენციაცია კარგავს იმ კულტურულ სახეს, რომლის წყალობით შესაძლებელია ამა თუ იმ მიმართულების გარკვევა და ერთი მეორეს ღირსება-ნაკლის დანახვა და აწონ-დაწონა.

ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილ სამშობლოში კი, ასეთმა მათმა ტაკტიკამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ იდეური ბრძოლა სამუშტ-კრივოთ გახდა.

რიონელი ქალი

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, 28 სექტემბერი, № 25, გვ. 3-4

ჩვენ და პარტიული თუთიყუშები

არ იქნა და არა, პარტიული თუთიყუშების გამოფხიზლებას არა ეშველა რა. დღიდან არსებობისა ქუთაისის ქალთა საერთო კლუბი და ჩვენი გაზეთი განიცდის მათგან დევნას. „ისეთი მიმართულება მიიღო, ბატონო, გაზ. „ხმა ქართველი ქალისამ“, მისი დღევანდელი ხელმძღვანელთა წყალობით“, თვალების პრიალით აუწყებენ ისინი თავიანთ უფლების ბედზე დაინტერესებულთ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველთ ქალებს, რომ „მასთან საერთოს ვერაფერს ვერ დავიჭერთ“ო. ამ სიტყვებს ისეთი ბრძნული სახით და ჭკუაზე ძალა დატანებით იტყვიან, რომ თუ საქმეზე მართლაც გული არ გეწვის ადამიანს, გულიანად გაგეცინებათ. მაგრამ ვაი იმის ბრალი, რომელსაც გაზეპირებული და დაუფიქრებელი სიტყვები სიმწარით სულს აუწრიალებს იმ მოფიქრებით, რომ ასეთი მათი ლაპარაკი არა ერთსა და ორს გამოურკვეველს უფლებრივ საკითხში მუშა ქალს გზას დაუბნევს. ამ ქალებს, რომელთაც ესა თუ ის პარტია კიტრის ფასსაც არ აძლევს გონებრივათ, რაც დაანახვეს კიდეც მათმა ამხანაგ მამაკაცებმა თავიანთ პარტიულ კანდიდატთა სიაში, სადაც ქალები ზოგს სულაც არ დაუსახელებია და ზოგმა კი ისეთს ადგილზე მოათავსა მათი სახელები, რომელთ არჩევა შეუძლებელია, სრულიად აკმაყოფილებს პარტიის იარლიკი, რომლის ძალით მათ სიმწიფის ატესტატი ეძლევა პარტიიდან, მხოლოდ მისთვის მამაკაცების მიერ წარმოთქმული აზრები გაიზეპირონ და ილაპარაკონ, სადაც მოუხდებათ. აზროვნების სიზანტემ მათში ჩაკლა ყოველი ძიების სურვილი და ვერ ხედავენ, თუ რამდენათ დღევანდელი სოციალისტი და ბურჟუა ერთ სულოვნურად იქცევიან ქალთა საკითხში და ან განგებ თვალს არიდებდენ იმ აშკარა უსამართლობას, რასაც დღევანდელი მამაკაც-სოციალისტების მთავრობა სჩადის ქალთა მიმართ. შეიძლება ეს სიბეცე იმითაც იყოს გამოწვეული, რომ უძლიერესი პარტიის ქალების ის ნაწილი, რომლებიც დღევანდელ მთავრობის წრეს ეკუთვნიან, ბევრად აღმატებულად გრძნობენ თავიანთ თავს, ვიდრე ოდესმე უგრძვნიათ. მათ გვერდზე გაუარა იმ გაჭირვებამ, რასაც დანარჩენი ქალების უღარიბესი ნაწილი განიცდიან დღევანდელს უცნაურს ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელთ პიროვნულს შევიწროებას არავითარი ცვლილება არ ეტყობა ახალ მთავრობის ხელში.

დღეს ჩვენ ვხედავთ ლუკმა-პურის საპოვნელად ადგილის მაძებარს ქალებს, რომლებსაც ამდენს ახალ დაწესებულებებში მენშევიკების მთავრობის დროს ყველგან ვარით ისტუმრებდენ. მაშინ, როდესაც მრავალ უვიცს და სრულიად მოუმზადებელს ვაჟებს 100-200 მანეთიან ადგილზე აჯენენ. „სოციალისტურმა“ მთავრობამ აშკარად დაგვანახა ქალებს თავიანთი პატრიარქალური სულის კვეთება და რომ ქალთა შრომას ძველ მთავრობაზე უკეთურად არც ის არ უცქერის. დღეს როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობა ხელს უწყობს არა ღარიბ ქალთა ცხოვრების გაუმჯობესობას, არამედ მისი ნივთიერი გაჭივრების გამწვავებას, რომ უფრო სუს-

ტი ნაწილი ახალგაზდა ქალებისა შიმშილ-სიტიტვლემ არსებულ უცნაურ სიძვირეში ბიწიერების მსხვერპლი გახადოს.

როდესაც რამე საპასუხმგებლო თანამდებობას მოითხოვენ ქალები, სოციალისტურ მთავრობას მათთვის მზად ასეთი პასუხი აქვს: „როგორ შეიძლება ქალმა შეასრულოს ისეთი თანამდებობა, რომელიც მისგან ღამით სიარულს მოითხოვს“ო. ღამით სიარულზე ქალებს აფრთხობენ ისეთს ადგილზედაც, სადაც მას შეუძლია მხლებლათ ვინმე გაიყოლოს მილიციონერი თუ სხვა დარაჯი. სამაგიეროთ, სამორიგო ადგილს, სადაც ქალს არც მხლებელი და არც გამყოლი არ ეყოლება, რომელიც მარტოხელ, ღარიბ ქალებიდან მოითხოვს ღამის სამ საათზე ადგომას და წვიმა-ტალახში მოგვიანებულ დილამდე ქუჩაში გდებას, რომ რამოდენიმე გირვანქა პური ხელში მოიგდოს, ასეთს ადგილებს დიდის სიამოვნებით ქალებს უტოვებს დღევანდელი მთავრობა.

ამ თანამდებობაზე ქალები ისმენენ ყოველ გვარ ლაზღანდარობას და უწმაწურ სიტყვებს ბრიყვ და უზრდელ მამაკაცებისაგან. მაგრამ ამ მოვლენას არავინ მათგანი სახეში არ ღებულობს და არც არავინ არ აფრთხილებს მათ. ეს სამორიგო ადგილები თავისუფლად ურიგდება ქალებს განურჩევლად წლოვანობისა, ტანმთელობისა და დედობისა. ჩვილი ბავშების პატრონ ქალებს თუ სხვა თანამდებობაზე აფთხობენ ბავშების სიკვდილით და გარყვნით, აქ სრული ნება აქვთ, როგორც ესურვებათ, ისე მოექცენ თავიანთ შვილებს: უნდათ სახლში უპატრონოთ დასტოვონ და უნდათ დარსა და ავდარში შუაღამისას ზურგზე აიკიდონ და ქუჩაში ატარონ, ოღონდაც ბატონ ქმრებს სახლში პური გამოულევლად ექნეს. ასეთი მოთხოვნილების ქმრები მომეტებულ წილად ის წვრილი ქალაქის მეშჩანებია, რომელთაც ჩვენს სამშობლოში სახელად პროლეტარი დაარქვეს, თუმცა მათზე უკეთ არც პეტერბურგის პროლეტარიატი მოქცევია თავიანთ ცოლებს. ყველა ამ ფაქტების შემდეგ მიმართულება გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ მით არის ცუდი პარტიულ თუთიყუშების თვალში, რომ ის ხმა მაღლა აუწყებს მუშა ქალებს შემდეგს: „შეუძლებელია ქალთა სწორუფლიანობის მიღწევა, სანამ ქალები განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა თვითონვე არ შეუდგებიან აკტიურათ თავიანთი ადამიანური უფლების დაცვას. ეს საკითხი მამაკაცს, ბურჟუა არის ის თუ პროლეტარი, რამდენათ ნაკლებ ეხება, იმდენათ არც აინტერესებს. ქალების თვით მოქმედებას შეუძლია მათი გულგრილობის დარღვევა და სინიდისის მხილების გამოწვევა მათში, რომლისათვის საჭიროა ქალთა ორგანიზაციულად მოქმედება“ო. ვის მიმართულებას მოიწონებს ფხიზელი გონების პატრონი მუშა ქალები გაზეთ „ხმა ქართველი ქალის“ თუ პარტიულ თუთიყუშებისას, ამას მომავალი დაგვანახებს.

რიონელი ქალი

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, 20 ნოემბერი, № 31, გვ. 2-3

მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი

დღევანდელს მამაკაცთა სოციალისტების უმრავლესობას რომ კითხოთ, თუ რა აზრით უყურებენ ისინი ქალთა სწორუფლიანობას, ასეთს პასუხს მიიღებთ: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისი, რომ ქალები სწორუფლიანი იყვნენ ჩვენთან, მხოლოდ გვაშინებს ის მოფიქრება, რომ თავიანთ უფლებით ქალები რეაქციას გააძლიერებენ, რადგან ბუნებრივათ თუ ისტორიულად ისენი კონსერვატორები არიან“ო. ასეთი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები თუმცა არ მიუციათ ქალებს მათთვის, არც იმ ქვეყანაში, სადაც ქალები სწორუფლიანი არიან და არც იქ, სადაც მონებათ ირიცხებიან, მაგრამ თავიანთი ანტისუფრაჟისტული აზრი და შეხედულობა მაინც სურთ რომელიმე ბრალდებაში გახვიონ და მით თავიდან აიშორონ მათთვის არასასურველი ქალთა სწორუფლიანობა.

ეხლანდელს ბოლშევიკების საქციელს რომ ვაკვირდები, რომლებიც თავიანთ აჟინებულს სურვილებს ვერ იჭერენ ვერც ქვეყნის დამხობის საშიშროების წინაშე და ვერც გარეშე მტრის შემოსევის დროს, ვფიქრობ, რომ მოვალეობის შეგნებას ზემო აღნიშნული სოციალისტები კონსერვატიზმს უწოდებენ.

და ამ მხრივ თუ გნებავთ, ქალები მართლაც რომ კონსერვატორები ვართ. ჩვენ გვძულს და გვეზიზღება სისხლის ღვრა, არა მისთვის, რომ არ შეგვიძლია (ჯერ ესეთი არაფერი მოუხდენია მამაკაცს, რაც ქალს არ შესძლებოდეს), არამედ მისთვის, რომ ჩვენს კაცთმოყვარე ბუნებას ის სძაგს. ჩვენს ესთეთიკურს გრძნობიერებას მკვლელთა სიმარდე, რასაც მამაკაცები სიგმირეს ეძახიან, სიმახინჯეთ ეჩვენება. ჩვენ ქალები დროსა და სივრცეს ანგარიშს ვუწევთ და ისეთს რამეს წამოვაყენებთ ხოლმე დღიურ საკითხად, რისიც განხორციელება დაუსნეულებლათ შესაძლებია. ჩვენ ერთის ბედნიერებას მეორეს უბედურობაზე არ ვაშენებთ და არც ჩვენს პირად ბედნიერებას შევსწირავთ უკანასკნელს. ასეთი ზნეობრივი ანგარიშით იმისი თქმა არავის შეუძლია, რომ ქალები მოკლებული ვიყოთ უმაღლეს იდეალს და მხოლოდ დღიურ ჭირვარამზე ვზრუნავდეთ. მხოლოდ როცა ჩვენ ვისახავთ მიზნათ რთულსა და საზოგადო მნიშვნელოვანს საკითხს, ჩვენ გვსურს მისდა განსახორციელებლათ ნიადაგიც მომზადებული იყოს, და როცა ასეთს დავინახავთ, იქ არც თავის განწირვას დავერიდებით. მართლაც, ვის უფრო აწუხებს კაპიტალისტური ცხოვრების უკუღმართობა, მისი ყოველ გვარად გამხრწნელი თვისებებით, თუ არ მშრომელ ქალებს? და ვინ უნდა იყოს უფრო დაინტერესებული სოციალიზმის რაც შეიძლება მალე განსხეულებაში, თუ არა ქალები?

მაგრამ რა კონკრეტული შინაარსის უნდა იყოს დღევანდელი სოციალიზმი, როცა ხალხი არც გონებრივათ, არც ზნეობრივათ და არც შრომის უნარით საამისოთ მომზადებული არ არის. კერძო საკუთრების მარადისობის დამცველნი სოციალიზმს განუხორციელებელ ქიმერათა სთვლიან. ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრიდან, მაგრამ ამავე დროს შორსა ვართ დღეს დღეობით კომუნის შემოღებიდანაც. და თუ მამაკაცების ერთი ნაწილი მაინდა მაინც ამას მოითხოვენ, ეს აიხსნება არა მათი რადიკალობით, არამედ მათი სულმოკლეობით. და ამ მხრივ ჩვენ, ქალები ყოველთვის კონსერვატორები დავრჩებით.

რიონელი ქალი

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, 6 ნოემბერი, № 29, გვ. 1-2

ნინო ტატიშვილი - ყიფიანი

1867-1937

მოწოდება სწავლა-განათლებისათვის

ჩეხიის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება „მატიცა“ (თარგმანი)

მოგეხსენებათ გაზეთებიდან, რომ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის ნეშთის დაკრძალვის დღეს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატთა კრება მოხდა, რომელზედაც გადასწყვიტეს ქართული ლიტერატურის და სწავლა-განათლების გასავრცელებლად ილიას სახელობის ფონდის დაარსება.

ამ საქმის მოწყობა მიენდო „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და დაევალა ყოველ ქართულ დაწესებულებათა და კერძო პირთა მიმართვა, რომ ამ ფონდის შესადგენათ ყოველ წლიური, ან ერთ-დროული წვლილი გამოიღონ.

ასეთს საქმეს, რომელსაც საფუძვლად უძევს ორი დიდად საპატიო მიზანი: დაუვიწყარ მგოსნის სახელის ხსოვნა და ჩვენი ხალხის სწავლა-განათლება, არ შეიძლება ყოველმა ქართველმა შესაფერი ყურადღება არ მიაქციოს.

დიდი ხანია ჩვენ საზოგადოებაში ტრიალებს ის აზრი, რომ შევადგინოთ ერთი ისეთი ფონდი, რომელიც ყოველ ჩვენს კულტურულ საჭიროებას ასე თუ ისე აკმაყოფილებდესო. ეს აზრი, ათასგვარ მოთხოვნილების გარდა, იმითიც არის გამოწვეული, რომ ყოველ წლივ სულ ერთსა და იგივე პირებს, თუ დაწესებულებათ ხვდებათ წილად ამ მოთხოვნილებათათვის ფულის გაცემა და ის უმრავლესობა კი, რომელსაც უფრო სამკვიდრო თანხის შედგენა შეუძლიან, სრულიად განთავისუფლებულია. ამის მიზეზი ის უფროა, რომ ყველას ჰგონია ამისთანა დროს თვალსაჩინო ფული უნდა გამოვიღოვო, და როდესაც ეს არ შეუძლიან, სრულებით აღარაფერს არა სწირავს. გარდა ამისა, ზოგი თანაუგრძნობს საქმეს. ჰსურთ თვისი წვლილი მიაწოდონ, მაგრამ ამ მიწოდების პროცედურა, დაუდევრობა, მოუცლელობა და სხვა რამ ასეთი მიზეზები აფერხებთ.

სხვათა შორის, აი ეს უკანასკნელი გარემოებაც ჰქონდა მხედველობაში ქართველ ქალთა წრეს, რომელიც შესდგა ზემოხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად. ქალთა წრემ თვის შორის ამოირჩია კომისსია ოცდახუთი ქალისა და დაავალა მას ამ ფონდისთვის სხვადასხვა საშუალებებით ფულის მოკრება.

აი ის პირნი, რომელიც ამორჩეულ იქმნენ ხსენებულ კომისიაში: ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ყიფიანი, მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე, ანნა პავლიაშვილი, ნინო ჯორჯაძე, ელისაბედ დარჩიაშვილი, ელენე ბროძელი-ანტონოვსკისა, თამარ ბაქრაძე, ნინო ბერელაშვილი, ელისაბედ თულაშვილი, თამარ ჯორჯაძე, თინათინ ფორაქაშვილი, ანასტასია ამირაჯიბი, ნინო ჩერქეზიშვილი, ნინო უგრელიძე, ნადეჟდა გიორგობიანი, ანნა ცოცხაძე, ოლღა აღლაძე, თამარ მაყაშვილი, ანასტასია

ვახვახოვი, ეკატერინე რუსიშვილი, ნადეჟდა სარაჯიშვილი, ნინო ვაჩნაძე და ბარ-ბარე ბერიევი.

ქალთა წრის წევრად შეუძლიან ჩაეწეროს ყველა ქალს, განურჩევლად რჯულისა, რომელმაც წელიწადში საწევრო გადასახადი უნდა იხადოს არა ნაკლებ ერთი აბაზისა. ასეთი მცირედი გადასახადი იმ აზრით არის დანიშნული, რომ ყველას, თვით უღარიბესს ქალსაც კი, შეეძლოს თვისი წვლილის შეტანა ჩვენი ხალხის კულტურულად განვითარებისთვის მოსახმარ ფონდში.

ქალთა წრის კომისსიას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე, ამ საქმის თანამგრძნობთა დახმარებით ასეთივე წრეების მოწყობა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც. ამისათვის აზრად აქვს ზოგან თავისი წევრები გაგზავნოს, ზოგან ადგილობრივ მცხოვრებთ წერილებით მიჰმართონ, რომ ამ გვარად ყველგან ყველას გაუადვილონ ზემოხსენებული ფონდის დახმარება და გაძლიერება. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, იმ შემთხვევისათვის არის მიღებული, თუ სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში ადგილობრივი მცხოვრებნი თითონ არ ითავებენ ამგვარ წრეების დაარსებით, თუ სხვაგვარ საშუალებით ფონდის ხელის შეწყობას.

ქალთა წრის კომისია საჯაროდ აცხადებს, რომ მისი წევრები დაურიდებლად მიმართვენ, პირადათ თუ წერილებით, ნაცნობ და უცნობ ოჯახებს, ცალკე პირებს, დაწესებულებებს, სავაჭრო სახლებს და სხვას, ზემოხსენებული ფონდისთვის წვლილის გამოსაღებად, ვინაიდგან დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა მათგანი წარბ-შეუხრელად შესწირავს, რის შეწირვაც შეეძლება. შემომწირველთათვის კომისიის წევრებს ხელთ-უჭირავთ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბეჭედ დასმული და თავმჯდომარის და მდივნის მიერ ხელმოწერილი საკვიტანციო წიგნაკები და მარკები, იმავე საზოგადოების სახელით.

მივმართავთ ყველა წოდების, კლასის და მიმართულების ქართველს, მოზარდ-მოსწავლე თაობას, ყველას, ვინც უცხო მხარესაც არის გადახვეწილი. მათაც, ვინც თავის ინტერესებზე ზრუნვას ისე ჩაუთრევია, რომ თვის იქით ცხოვრებას აღარ ხედავს. მიმოიხედეთ გარშემო. ადამიანის პიროვნების შელახვაა მარტოოდენ თავის ოჯახზე, თავის თავზე ფიქრი. ბევრია თქვენში მდიდარი, უფრო მეტი კი ღარიბი, მაგრამ არც ისეთი, რომ აბაზობით საზოგადო საქმის დახმარება არ შეგეძლოთ. მხოლოდ იმის შეგნებაა საჭირო, რომ ყველას პატარ-პატარა წვლილი ბოლოს ერთ დიდს თანხას შექმნის.

ადამიანის ცხოვრების ეკლიანი გზის განვლას, ზნეობრივად სპეტაკ ცხოვრებას, მტრის დახვედრას, მოყვრის შეხვედრას, ყოველი ფერს უნდა ნათელი და ეს ნათელია სწავლა. სწავლა საზოგადო, სწავლა სპეციალური და ეს კი ჩვენს ხალხს უკიდურესად აკლია.

სად არიან, ქალაქის მუშავ, შენი მოზარდი შვილები იმ დროს, როდესაც შენ მთელი დღით გარეთა ხარ გასული? იმათთვის გამართულ უფასო სკოლებში ცოდნის წყაროს ეწაფებიან? არა! ისინი იმ დროს სხვადასხვა ბინძურ ადგილებში, ათასგვარ ბიწიერებაში იხრწნებიან.

რას იღებ, სოფლის მუშავ, გლეხკაცო, შენი უდიერი შრომის ფასს მოსავალზე? რამდენიმე კოდს სიმინდს, ან პურს. იმიტომ, რომ შენი უცოდინარი ფიქრით და ხელით ჩაჰკირკიტებ ისედაც არა სამყოფ მიწას და სიმინდის მოვლის იქით შენი ცოდნა არ მიდის.

რას გაძლევს შენ ათიოდე, თუნდ ასიოდე დღიურის პატრონო, თავად-აზნაურ-შვილო, შენი დიდი ხარისხი დღეს? იმას, რომ ყველასაგან ყბად აღებულს, ისევე ღარიბს, ისევე უსწავლელს გაკითხვაც კი აღარა გაქვს.

სხვის შემაცქერალი, სხვის იმედით მყოფი ხალხი ყოველთვის ამ დღეში დარჩება. ასეა დღეს, ასე იქნება ხვალაც, თუ სხვა ქვეყნების მაგალითს მაინც არ მივმართეთ. გადაიკითხეთ ეს პატარა წიგნაკი ჩეხელების, ჩვენსავით დამონებულ პატარა ერის, „მატიცას“ შესახებ. მთელი წიგნით ვერ გეტყვით ჩვენ იმას, რაც ამ პატარა წიგნაკშია გამოხატული. ეს გეტყვით თქვენ, რა შესძლებია ერის ძლიერსულოვნობას, რას საქმეებს ჰქმნის კაპეიკი.

ჩვენც ვითხოვთ მხოლოდ კაპეიკებს, მაგრამ ვითხოვთ ყველასაგან.

მოსწავლენო! შესამჩნევია საზოგადო საქმისადმი თქვენი გულ-გრილობა! თქვენ სწავლობთ, მკვიდრი ყავარჯენით იმზადებთ მომავალ ცხოვრების გზაზე სვლას, უსამართლობასთან ბრძოლას. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მცირეა თქვენი რიცხვი. უმრავლესობის ბნელ ცხოვრებაში გაითქვიფებით, თქვენ არ გეყოლებათ შეგნებული მებრძოლი ჯარი. მაშ მარტო თქვენთვის ნუ ზრუნავთ. კაპეიკები თქვენც მოგეპოვებათ, ოღონდ კი ყველამ, ყველამ გამოიღეთ!

განსაკუთრებით მოგმართავთ ქალებს: ჩაეწერენით წევრებად. კიდევ მეტს გთხოვთ: დღეში ერთი საათი მაინც მოანდომეთ ამ საქმისთვის ზრუნვას. გაიმსჭვალენით ამ აზრით, გაუღვიეთ სხვასაც საზოგადო საქმისადმი მიჩლუნგებული გული-გრძნობა, შთაუნერგეთ შიგ კეთილის თესლი, რომლის ნაყოფი დღეს, მის მიერ გამოღებული, პატარა წვლილი იქნება, ხვალ კი დიდ ნაყოფიერ ხედ გადაქცეული. ეს არის ყველას ზნეობრივი მოვალეობა და აი, კიდეც გავალებთ!

ილია ჭავჭავაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის
გასაძლიერებლად შემდგარი ქალთა წრე

ჩეხიის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ („მატიცა“)

თუ ოდესმე მოგიხდათ პრაგაში ყოფნა, უთუოდ თქვენს ყურადღებას მიიზიდავდა ერთი გარემოება. სულ ყოველგან – ყავახანებში, კონდიტერებში, სხვადასხვა მაღაზიებში, თუ კი ჩეხელს ეკუთვნის იგი, დაინახავთ კედელზე ჩამოკიდებულს, ჩარჩოში გაკეთებულს ქაღალდს. ამ ქაღალდზე რაღაცა წარწერაა.

თუ ჰკითხავთ პატრონს, რას ნიშნავს ეს ქაღალდი, ის ჯერ გაკვირვებით შემოგხედავს და მერე, რაკი დარწმუნდება, რომ უცხოელი ხართ, დინჯად შემოიყრის დოინჯს და გიპასუხებთ: ეს გახლავთ „ჩეხიის მატიცას“ დიპლომი; ესეთი დიპლომი ყველას ეძლევა, ვინც ასს გულდენს შეჰკრეფს „მატიცას“ სასარგებლოდ. ამასთანვე გამოგიწოდებთ ფულების მოსაგროვებელს პატარა ყუთს და გთხოვთ, ჩააგდოთ ორიოდე კრეიცერი „მატიცას“ სასარგებლოდ.

როცა გამოიკითხავთ, რა არის „მატიცა“ და შეიტყობთ, რა სამსახური გაუწია მან ჩეხელებს, მაშინ გაიგებთ, რატომ მიაჩნიათ აგრე სასიქადულოდ და დიდმნიშვნელოვნად ჩეხელებს ეს დაწესებულება.

ჩეხელებს, როგორღაც ბედი არა სწყალობდათ. XV საუკუნიდამ უბედურება ერთი მეორეზედ ატყდებოდათ თავზედ. ამნაირმა ბედშავმა ცხოვრებამ, რასაკვირველია, დიდის ხნით შეაჩერა მათში კულტურული მოძრაობა. 1620 წელს ჩეხელები დამარცხებული იქმნენ გერმანელებისაგან. ამ დამარცხების შედეგი დღესაც აჩნევია ჩეხელებს. თითქმის მთელი ჩეხელი თავად-აზნაურობა გაწყდა ამ ომში. ვინც გადარჩა, ძალაუნებურათ უნდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო. მათი ადგილი დაიკავეს გერმანელებმა, რომელნიც ჩეხიაში ერცჰერცოგს ფერდინანდს მოჰყვნენ, ამან დაიჭირა პშემ-სლოვიჩების სამეფო. 30.000 ჩეხელი ოჯახობა ჩეხიიდამ გაიკრიბა, მათ ადგილზე გერმანელებმა დაიდვეს ბინადრობა; კულტურულის ცხოვრების ყოველივე მოძრაობა შესწყდა. „30 წლის ომმა“ მთლად ერთიანად დაამხო ჩეხელები ქონებრივად. ჩეხიის მცხოვრებთაგან ორი მილიონიდამ 700.000-ღა დარჩა; ჩეხია შეიქმნა გერმანელი მოხელეებისა და იეზუიტების საბურთაოდ, იგინი ყოველს ღონეს ხმარობდნენ მოესპოთ ყოველივე საბუთი იმისა, რომ აქ, ამ ადგილებზედ, ოდესმე სცხოვრობდა დიდი კულტურის მქონე ხალხი; ამ აზრის მისაღწევად გერმანელნი არაფერს არ ერიდებოდნენ და ყოველს ღონეს ხმარობდნენ, რომ დაევიწყებინათ კაცობრიობისათვის ეს ოდესმე განათლებული ერი. ყოველს კვირას ჩეხელების ქალაქების მოედანზე კოცონები იყო გაჩაღებული; იეზუიტები სწვამდნენ ჩეხურს დაწერილს წიგნებს. ჩეხიის ქალაქები გერმანელებით აივსო; ამიტომაც თუ რომელიმე ჩეხელი ომს გადარჩა, მთლად გადაგვარდა, გაგერმანელდა.

მე-18 საუკუნის დამლევს აღარ არსებობდა აღარც ჩეხელი თავად-აზნაურო-

ბა, აღარც მოქალაქე, აღარც ინტელიგენცია. ჩეხიის ეროვნებას მხოლოდ გლეხობა შეადგენდა, ის გლეხობა, რომელსაც უმაღლესი წოდება ისე უცქეროდა, როგორც პირუტყვს და ამიტომ არც-კი ცდილობდა მისს გაგერმანელებას.

დადგა დრო, როცა გლეხიც კაცად იქმნა აღიარებული. ეს იყო ბრწყინვალე ხანა იოსებ მეორეს მეფობისა. მისმა რეფორმებმა ჩეხელ გლეხსაც მისცა საშუალება ადამიანურად, კაცურად ეცხოვრა. სწორედ ამ მდაბიო ხალხიდამ გამოვიდნენ ის კაცები, რომელთაც დაიწყეს მუშაობა სამშობლო კულტურის განსაახლებლად, მისს ასაღორძინებლად. იმათ დაიწყეს ჩეხურ ლიტერატურის გაძლიერება. რასაკვირველია, ხელ-ახლათ დასჭირდათ განვითარების იმ ძაფის გაბმა, რომელიც ულმობელმა ისტორიულმა შემთხვევებმა გასწყვიტეს; ჩნდება ჩეხიის ინტელიგენცია, რომელიც არა ჰკარგავს კავშირს ხალხთან, არამედ სცდილობს, შრომობს მის საუკეთესო მომავლისათვის.

ხასიათი ამ წერილისა ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით მოვიყვანოთ ჩეხიის აღორძინების ისტორია. ძალიან შორს წაგვიყვანს აღწერა იმისი, თუ რანაირად გაიღვიძა ამ ხალხმა ახალის ცხოვრების დასაწყებად, რა ნაირად სძლია საშინელს შემავიწროებელს გარემოებას და რა ძლევა მოსილად გამოვიდა ამ ბრძოლიდამ. ეს ხალხი ეხლა ევროპის ერთ-ერთს საუკეთესო კულტურულ ნაწილთაგანს შეადგენს. გაიღვიძა და განახლების გზას დაადგა ხალხი, რომელსაც არა-თუ მტრებმა, მოყვარეებმაც კი სამარე გაუთხარეს და სიკვდილი და გაქრობა უწინასწარმეტყველეს. მაგრამ სამასის წლის პოლიტიკურ დამოკიდებულებამ ასეთი ჭრილობა დაადვა ჩეხელებს, რომ საეჭვოა როდისმე მთლად განიკურნოს მისგან.

აიღეთ ეთნოგრაფიული რუკა ჩეხელების პროვინციების — ჩეხიის, მორავიისა და სილეზიისა — და მაშინ ნახავთ, რა შედეგი მოჰყვა ავსტრიელების ბატონობას ჩეხიაში. ავსტრიელებმა დაიჭირეს თითქმის მთელი სილეზია, სცდილობენ მორავია ჩეხიას ჩამოართვან. ავსტრიელები მთელის თავისის კულტურულ ძალით აღჭურვილნი, — ბეჭდვითი სიტყვით, სკოლით, ლიტერატურით — ჩეხელებს ებრძვიან. ავსტრიელები ყოველის მხრით ავიწროებენ ჩეხელებს, შთანთქმას უპირებენ.

მაგრამ თუ გინდა ამისთანა მტერს წინააღმდეგობა გაუწიო, იმავე იარაღითვე უნდა შეებრძოლო, რომელიც თვით მის ძალ-ღონეს შეადგენს, ე.ი. მტრის წინააღმდეგ, რომელიც კულტურულს იარაღს ხმარობს, კულტურულივე ფარი უნდა მოიშველო — ეს ფარი კი ლიტერატურა, ბეჭდვითი სიტყვა, სკოლაა.

ამ კულტურულს ბრძოლაში ჩეხელ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას („მატიცას“) თუ არ უმთავრესი, დიდად შესანიშნავი ადგილი უჭირავს.

ავსტრიელები ყოველ ღონეს ხმარობენ, ჩეხელები გააგერმანელონ. გერმანულს სკოლებში განსაკუთრებული სტიპენდია არის დანიშნული ჩეხელი ბავშვებისათვის. თუკი გერმანულს სკოლაში ივლიან, მათ ეძლევათ უფასოდ საუზმე, სადილი, ტანთსაცმელი, ფეხთ-საცმელი, წიგნები და სხვა. სხვადასხვა სადღესასწაულო თავის შესაქცევარსაც კი ჰმართვენ ხოლმე მათთვის. რასაკვირველია, ყველა ამას ისა აქვს აზრად, რომ ჩეხელი ბავშვები გერმანულს სკოლაში მიიტყუონ და ამ გვარად მათი გადაგვარება გააადვილონ.

როცა ავსტრიელი ფაბრიკელი ჩეხელს მუშას დაიქირავებს ხოლმე, პირობას ჩამოართმევს, რომ მისი ბავშვები უთუოდ გერმანულს სკოლაში ივლიან. მდიდარი ავსტრიელი, ყოველს ღონესა ხმარობს, რომ მისმა ჩეხელმა მოსამსახურემ ბავშვები ჩეხურს სკოლაში არ მისცეს. ავსტრიელებს გვერდში უდგია ავსტრიის მთავრობა და, რასაკვირველია, ამ ორთავესთან შებრძოლება მეტად ძნელია.

მათ უნდა შებრძოლებოდნენ ისეთის იარაღით, რომლის მოხერხების ნებასაც დრო და გარემოება იძლევოდა; უნდა ცდილიყვნენ დაეარსებინათ ჩეხური სკოლები იქ, სადაც უფრო საშიში იყო გადაგვარება, უნდა ცდილიყვნენ რაიმენაირად, რომ ჩეხელს თავის შვილი სამშობლო სკოლაში გაეგზავნა (ჩეხიაში სკოლაში სიარული სავალდებულოა ბავშვებისათვის), რამე უნდა მოეხერხებინათ, რომ იქ, სადაც ჩეხელები ცოტანი არიან და არ შეუძლიანთ თავიანთის ხარჯით სკოლა ააგონ, სკოლები გამართონ საზოგადო ხარჯით, და ამ გვარად ჩეხელი ყმაწვილები გადაგვარებისაგან ეხსნათ. ამ აზრით დააარსეს 1880 წელში, ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – „მატიცა“. ამ დიად საქმის დამწყებნი იყვნენ გიმნაზიის რამდენიმე მასწავლებელნი.

ხსენებულს საზოგადოებას დიდი იმედი ჰქონდა ჩეხელ ერისა და არც გაუმტყუნდათ იმედი, ხუთის წლის განმავლობაში საზოგადოებამ მოკრიფა 804.000 გულდენი (500.000 მანეთზედ მეტი). მარტო ერთ მეხუთე წელიწადში შეკრიფეს 149.794 გულდენი.

ამ ფულით დააარსეს 33 ბავშვების თავშესაფარი, 23 სკოლა, 2 გიმნაზია; ყველა ამ სკოლაში იყო დანიშნული 153 მასწავლებელი. „მატიცას“ შემოსავალი თანდათან მატულობს; ამიტომაც მისი მოქმედებაც ფართოვდება.

1890 წ. „მატიცამ“ იდღესასწაულა 10 წლის იუბილე. ამ ათის წლის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა 1.578.685 გულდენი. გასავალი კი _ 1.367.800 გულდენი. თავის არსებობის მეთერთმეტე წელიწადს „მატიცას“ ჰქონდა გამართული ერთი გიმნაზია, 33 სახალხო სკოლა და 33 ბავშვის თავშესაფარი. ერთი გიმნაზია და 15 სახალხო სკოლა „მატიცას“ მიერ დაარსებული სახალხო განათლების სამინისტროს მფარველობაში გადავიდა (3), შვიდი სკოლა კი სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათ მიიღეს თავისს მფარველობის ქვეშ. მასწავლებელთა რიცხვი „მატიცას“ სკოლებში 215-მდის ავიდა.

1895 წლამდის „საზოგადოებამ“ შეჰკრიბა 1,5 მილიონი გულდენი და 25.000 წევრი ჰყავდა.

თუ გაიხსენებთ, რომ ჩეხელების რიცხვი, სულ რომ გაადიდოთ, ხუთ მილიონს არ აღემატება, თუ გაიხსენებთ, რომ ჩეხელებს არა ჰყავთ არც მდიდარი არისტოკრატია, არც დიდნი მემამულენი, მაშინ განცვიფრდებით და უთუოდ დაეკითხებით თქვენს თავს, საიდამ შეჰკრიფა ამდენი ფული „მატიცამაო“.

თუ დაახლოვებით გაეცნობით ჩეხელთა ცხოვრებას და გაიგებთ, რომ ყოველი ჩეხელი მზად არის უკანასკნელი კაპეიკი შესწიროს ყოველთვის ყოველსავე ნაციონალურს დაწესებულებას, მაშინ ადვილად მიაგნებთ „მატიცას“ გაძლიერების მიზეზს.

ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არის საერთო საეროვნო დაწესებულება და ყოველსავე პარტიულ ინტერესს გარეშე სდგას კონსერვატორი ძველ-ჩეხი, ლიბერალი ახალ-ჩეხი, კლერიკალი, სოციალ-დემოკრატი; ყველა ერთნაირად და თანახმად თავს დასტრიალებენ და იღვწიან თაყვანსაცემელ „მატიცასათვის“. ის არ იფიქროთ, რომ „მატიცას“ მარტო ინტელიგენცია ასულდგმულებდეს. ამ დაწესებულების ინტერესებს ემსახურება ყოველი ჩეხი, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, რა საქმესაც უნდა ადგეს. „მატიცასთვის“ ფულებს აგროვებენ და სწირვენ მუშები, ხელოსნები და გლეხები. თითქმის ყველაზედ უფრო ეს უკანასკნელები სწირვენ.

სამშობლოდამ გარდახვეწილი ჩეხელებიც არ ივიწყებს „მატიცას“. ყოველ წლობით ღებულობს „მატიცა“ მათგან რამდენსამე ათასს გულდენს: იღებს ამერიკიდამ, ავსტრალიიდამ, რუსეთიდამ, ლონდონიდამ, ვენიდამ და სხვა ადგილებიდამ, საცა-კი სამშობლოდამ გასული ჩეხელები სცხოვრობენ.

იმისთანა ჩეხელი არ არის, რომელსაც „მატიცასთვის“ არა შეეწიროს-რა. იმისთანა ჩეხელი არ მოიპოვება, იმისთანა ჩეხური დაწესებულება არ არის, რომელიც თავისს წმიდა მოვალეობად არა ჰრაცხდეს ამ საზოგადოების შემწეობას. „მატიცას“ შემწეობას უჩენს პრაგის პარლამენტი და ყველა ქალაქის საბჭო, სადაც-კი უმეტესი ხმოსანთა ჩეხელია, „მატიცას“ უგზავნის ფულს ყოველი ჩეხელი ბანკი, შემნახველ-გამსესხებელი კასსები და სხვა დაწესებულებანი. ისეთი საზოგადო და კერძო ოჯახის დღესასწაული არ იქნება გადახდილი, რომ „მატიცას“ არა ერგოს-რა.

ჩეხელები ყოველივე შემთხვევით სარგებლობენ, რომ „საზოგადოების“ თანხა გააძლიერონ. ყოველი მიტინგისა და საზოგადო კრების დროს ერთი ვინმე დამსწრეთაგანი ჩამოივლის და „მატიცას“ სასარგებლოდ ფულს მოითხოვს. ყოველივე კრების გათავების შემდეგ კარებთან დაგხვდებათ ერთი ვინმე, რომელიც გამოგიწევთ ქუდს და ამ სიტყვებით მოგმართავთ: – „მატიცასათვისაო“.

ბალისა და თავშესაქცევების დროს ქალები ჰკრებენ შეწირულებას „საზოგადოებისთვის“.

შებრძანდებით სადმე რესტორანში და აი რას დაინახავთ. ერთ-ერთს მაგიდას შემოსხდომია რამდენიმე პირი. ერთი მათგანი წამოდგება და სიგარას ასწევს მაღლა:

– ვჰყიდი სიგარას „მატიცას“ სასარგებლოდ, ორი კრეიცერი ღირს, ვინ გაიღებს მეტს?

ამ დროს მთელს რესტორანში სიჩუმე ჩამოვარდება და ყოველის კუთხიდამ გაისმის:

– სამი!

– ოთხი!

– ხუთი!

სიგარის პატრონი მიდის მაგიდასთან და ფულებს ჰკრებს ქუდში. ვაჭრობა კარგა ხანს განეგრძნობა ხოლმე, საზოგადოება გატაცებულია. ბოლოს ერთ გროშად ღირებული სიგარა გაიყიდება ორ ან სამ გულდენად. ამ ფულებს ჰყრიან განსაკუთრებულს კოლოფში, რომელზედაც აწერია „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის“!

ამ გვარი კოლოფები ათასობით გაკეთებულია სხვადასხვა საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებაში ჩეხიასა, მორავიასა და სილეზიაში.

„მატიცას“ წევრების ხვედრი ფულის გარდა რამდენიმე ათასობით შემოდის შემოწირულებანი.

ყოველის ინტელიგენტ ჩეხის ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევები, როცა „მატიცას“ სასარგებლოდ ფულებს შესწირვენ ხოლმე. ყოველის ჩეხელის ქვეყნად გაჩენა უთუოდ ამ გვარს შეწირულებით აღინიშნება: მონათვლის დროს სტუმრებს შორის შეჰკრებენ ხოლმე ფულს და აგზავნიან „მატიცას“ კანცელარიაში. როცა სკოლაში გაგზავნიან ბავშვს, მშობლები ამ ღირს-შესანიშნავის დროის ნიშნად უთუოდ ფულს შესწირვენ ხოლმე. ერთი კლასიდამ მეორე კლასში გადასვლის დროს თვით ყმაწვილებიც ჰკრებენ „მატიცას“ სასარგებლოდ ფულს. ზოგი მათგანი საუზმის ფულს „მატიცასთვის“ სწირავს და თითონ კი მშიერი რჩება.

კლასიკურს და რეალურს გიმნაზიებში მოსწავლეები ჰკრებენ მთელის წლის განმავლობაში იმდენ ფულს, რომ „დამფუძნებელის“ დიპლომს ღებულობენ. ამგვარი დიპლომი იმათ ეძლევათ, ვინც ას გულდენზედ ნაკლებს არ შესწირავს „მატიცას“.

ამ დიპლომს ჩამოჰკიდებენ ხოლმე კლასში და მერე, როცა იმ კლასიდამ გადავიდოდნენ, თან მიჰქონდათ, რასაკვირველია, დიპლომთა რიცხვი ყოველს წელიწადს მატულობდა.

ეხლა-კი მთავრობამ აღუკრძალა მოსწავლეებს ეს. ეხლა მხოლოდ იგინი შეჰკრებენ ხოლმე რამდენსამე ათს გულდენს, რომელნიც გიმნაზიას ათავებენ და ატესტატს ღებულობენ. უმცროსს კლასებში ფულებს ფარულათა ჰკრებენ. მთავრობის აღკრძალვამ უფრო გააცხარა „მატიცას“ სასარგებლოდ ფულების მოკრების აგიტაცია.

ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, როცა ვიზიტის ბარათები დასჭირდება ხოლმე, განსაკუთრებულს „მატიცას“ გამოცემულს ქაღალდზედ აბეჭდვინებს თავისს სახელსა და გვარს. ამ ქაღალდზე „მატიცას“ ემბლემა არის გამოსახული. აქედამ შემოსული ფულიც „მატიცას“ სასარგებლოდ იკრიბება.

„მატიცა“ ჰბეჭდავს განსაკუთრებულს ფოსტის ქაღალდსა და კონვერტებს. ამნაირად ახალგაზრდათა სიყვარულიც შემოსავალს აძლევს საეროვნო დაწესებულებას.

„მატიცას“ კანცელარიას ფანჯარაში გაკეთებულია ხვრელი, რომელშიაც ვისაც ჰსურს ფულებს ჩააგდებს. ამ ფანჯრის შემოსავალი თვეში რამდენსამე ას გულდენს აღემატება.

ზოგი ერთს ჩეხელს „მატიცას“ სასარგებლოდ ფულების მოკრება რაღაც მანია-და აქვს გარდაქცეული.

მთელს ჩეხიაში განთქმულია რესტორანი “U Pleku”, აქ იკრიბება მრავალი ხალხი სხვადასხვა წოდებიდამ: პროფესორები, სტუდენტები, ლიტერატორები, მო-ხელეები და ვაჭრები. მათ შორის ერთს კაცს პირველი ადგილი უჭირავს. ეს გახ-ლავთ ხარაზი ბილეკი. ყოველს საღამოს ნახავთ თქვენ მას ამ რესტორანში.

შესრულდება თუ არა ცხრა საათი, ბილეკი სტოვებს თავის ადგილს, აიღებს ხონჩას ხელში და ჩამოივლის სტუმრებთან, სულ ერთია, ნაცნობი ხართ თუ არა – მაინც გამოგიწოდებსთ ხონჩას. ყოველი სტუმართაგანი დასდებს უთუოდ ერთს კრეიცერს მაინც. პატარა ხანს უკან ბილეკი დაბრუნდება თავის ადგილზედ, დათ-ვლის ფულებს და ჩაჰყრის ყუთში, რომლის გასაღებიც აბარია რომელსამე სტუ-მართაგანს.

ბილეკს თხუთმეტი ათასი გულდენი შეუკრებია. ყოველი მწერალი, რომელიც-კი თავის ნაწარმოებს გამოსცემს, უთუოდ შესწირავს რამოდენსამე ათას ეგზემ-პლიარს წერა-კითხვის გამავრცელებელს „მატიცას“. ჩეხიაში მრავალი წიგნები და წიგნაკები იბეჭდება, რომლის შემოსავალი დანიშნულია „მატიცასათვის“.

თვით „მატიცა“ ჰყიდის ფოსტის ქაღალდს, კონვერტებს, სავიზიტო ბარათებს, წუმწუმას თავისსავე სასარგებლოდ.

ჩეხელი ფაბრიკანტი და ვაჭარი სცდილობს რაიმე ნაირად მიიღოს „მატიცასა-გან“ ეგრედ წოდებული პრივილეგია. ეს პრივილეგია იმაში მდგომარეობს, რომ ვინც მას მიიღებს, ნება აქვს თავისს სავაჭროს დააკრას „ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ“. ამ პრივილეგიის მისა-ღებად ხანდახან დიდ ფულს იხდიან ვაჭრები, მაგრამ ამით არაფერს აგებენ, კიდე-ვაც იგებენ, რადგან ჩეხელი იმ ვაჭრის საქონელს უფრო ეტანება, რომელსაც ასეთი პრივილეგია აქვს.

ჯვარის წერის დროს „მატიცას“ გამოცემულს ბილეთებზედ აბეჭდვინებენ დაპა-ტიჟებას. ქორწილის, ნადიმის დროს სტუმრებში ჰკრეფენ ხოლმე ფულს „მატიცას“ საქორწილო დიპლომის სასყიდლად. ეს დიპლომი უნდა ამშვენებდეს ახალჯვარ-დაწერილთა სასტუმრო ოთახს.

სიკვდილის დროს ყველა ჩეხელი უსათუოდ რამდენსამე გულდენს უანდერ-ძებს „მატიცას“. გვირგვინებში, რომლებითაც ნათესავები, ნაცნობები და მეგობრე-ბი ამკობენ მიცვალებულის კუბოს, გაკეთებულია ხოლმე „მატიცას“ მიერ გამოცე-მულ ბილეთებისაგან. ხშირად მომჩივარნი შეთანხმდებიან ხოლმე იმ პირობით, რომ „მატიცას“ შესწირონ რამდენიმე გულდენი. მოგებული სანაძლევოც „მატიცას“ სასარგებლოდ არის დანიშნული. ხშირად ადვოკატები თავისს გასამრჯელოს ფა-სიდამ რამდენსამე ნაწილს „მატიცასათვის“ გადასდებენ ხოლმე. ექიმებიც ასევე მოქმედობენ.

დიდი შემოსავალი აქვს „მატიცას“ წარმოდგენებიდამ, კონცერტებიდამ, ლექ-ციებიდამ, ბალებიდამ, მასკარადებიდამ და სხვა თავ-გასართობებიდამ.

28 სექტემბერს დღესასწაულობენ ჩეხიის მფარველის წმ. ვაცლავის მიცვალებას. ამ დღეს მთელს ჩეხიაში ჰკრებენ შეწირულებას, ეგრედ წოდებულს „წმიდა ვაცლავის წყალობა მატიცას“. აქამდისინ ამგვარად შეკრებილია ასი ათასს გულდენზედ მეტი. საერო გამოფენამ ჩეხიაში 1891 და 1895 წელში ბევრი შესძინა „მატიცას“ თანხას.

ამ გამოფენის დროს სხვადასხვა ადგილზედ იყო დადგმული ჭიქის ყუთები, სადაც სტუმრები ჰყრიდნენ ფულს. გასაკვირველი ის არის, რომ ფულის გარდა, ამ ყუთში იპოვეს მომგებიანი ბილეთები, საყურეები, ბროშკები, სამაჯურები. ამ გამოფენაზედ ცალკე პავილიონში იყო გამოფენილი მილიონი, რომელიც სულ თითო კრეიცერიდამ შესდგებოდა. ამ პავილიონში შემსვლელს ფული უნდა გადაეხადა; ეს ფული „მატიცას“ სასარგებლოდ მიდიოდა.

დეპუტატებმა, რომელნიც ამ გამოფენას დაესწრნენ, დიდძალი მათგან მოგროვებული ფული მოიტანეს „მატიცასთვის“. ერთ დროს „მატიცა“ ჰბეჭდავდა კალენდარსაც, რომლის რედაქციაც მინდობილი ჰქონდათ გამოჩენილ ჩეხელ პოეტებს: იაროსლავ ერხლიცკის და სვიატოპოლკ ჩეხს.

„მატიცას“ აქვს თავისი ორგანო, რომელშიაც იბეჭდება ანგარიში ამ საზოგადოების მოქმედებისა, შემოსავლისა და გასავლისა.

„ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იმდენად გაძლიერდა და ისე მტკიცე ნიადაგზეა დამკვიდრებული, რომ თვით ავსტრიელები ამბობენ, ვეღარას გავაწყობთ მის წინააღმდეგაო.

„მატიცას“ დაარსებამ ჩეხიაში მიმბაძველები გამოიწვია. გალიციის პოლონელებმაც დააარსეს ასეთი საზოგადოება და სამის წლის განმავლობაში ამ საზოგადოებამ 70.000 მანეთი შეკრიბა; დააარსა რამდენიმე სკოლა, შემწეობა აღმოუჩინა ათსა და ოცს სასოფლო საზოგადოებას სკოლის დასაარსებლად. ეს საზოგადოებაც სცდილობს პოლონელი გადაგვარებიდამ იხსნას.

ქალთა წრის გამოცემა, 1908

ანა ღვინიაშვილი

1904–1981

მივიწყებული კალამი[1]

ქართულ კალამს არა სჩვევია საუბარი იმ შემომქმედზე, რომელიც ჩვენთან არის, რომელიც ცოცხალია.

არ არსებობს ამა თუ იმ შემომქმედის ღრმათ შესწავლა, ჩაკვირვება, რომ თანამიმდინარეობით და **გამბედაობით** აღნიშნოს დამფასებელმა მისი ნაკლი და ღირსება, მისი დასრულება და დაუსრულებლობა.

არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ზერელე გარჩევა, მაგრამ როგორი? ორი გზიანი.

ერთი პირწავარდნილი ლანძღვა, ყველაფრის დაწუნება, გაბათილება, რაც მეტად ეხერხებათ ზოგიერთებს, როგორც იოლიანი, ადვილი საქმე, ლანძღვა მეტად მოურიდებელი და უპასუხისგებლო. მეორე მხრივ კი, გალეშილი არა მკითხ ქება. ამ უკანასკნელ ჩვეულებას ჩვენში თურმე შემომქმედის „წასახალისებლათ“ მისდევენ, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ვინც ამ 10-12 წლის ძველ გაზეთ-ჟურნალს გადაათვალიერებს, ასეთ ამბებს წააწყდება:

გუშინდელი „ქებული“ დღეს გალანძღულია როგორც სხვის გამქურდავი, პლაგიატი, ამას ალბათ სარჩულად ჰქონდა „კერძო ინტერესი“ და არა საზოგადოების ანგარიშის გაწევა.

ასეთი კალმის დაუდგომლობა იქნება იმითიც აიხსნებოდეს, რომ თვითეული შემომქმედი და დამფასებელი ერთმანეთს კარგათ იცნობს, არ უნდა აწყეინოს და თუ რომელიმე დამფასებელმა ამა თუ იმ შემომქმედზე სიმართლე სთქვა, მას ამ მიწა-წყალზე აღარც დაედგომება.

ამიტომაც კრიტიკული სიმართლე, დაწუნება, გადამახინჯება ქართველს მკვდარზე უფრო ეხერხება, ვიდრე ცოცხალზე.

მაგრამ ქართველი შემომქმედი, ამ შემთხვევაში, მარტო პოეტი, განსაკუთრებულ ბედს განიცდის ჩვენში. რომ გახდე „ცნობილი“, სრულიად არ არის საჭირო შენი შემოქმედების სასწორზე აწონა. საკმარისია გქონდეს „ფხა“ და ყველგან ცნობილი იქნები, როგორც დიდი „პოეტი“.

საქართველოში ხშირად ამბობენ – პოეტს, მწერალს არა აქვს სათანადო პატივისცემა, არც ერთმანეთში, არც მკითხველ საზოგადოებისაგან.

ეს ზოგადათ მართალია, მხოლოდ არა იმიტომ, როგორც ზოგიერთები ამბობენ, „ნაწერი არ ესმით“, არამედ მიზეზი სხვა არის.

ქართველი ხალხი ვიწრო სპეციალისტია.

რამდენი მოიძებნება დღესაც კი ქართველ საზოგადოებიდან, მაგ., კანცელარიის მოხელე (ზოგჯერ პედაგოგიც კი) და სხვა, რომ არა მარტო არ იცის, რა

1. ეს წერილი ამოღებულია დარია ახვლედიანის პოეზიის მთლიან კრიტიკულ წერილიდან მისი 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის საპატივცემოდ.

ლიტერატურული მიმართულებებია ჩვენში, არამედ არც ის იცის, რა მხატვრული ჟურნალ-გაზეთობა გამოდის. და თუ ვინმე გამოაწერინებს წიგნს, ისიც გაუჭრელი უდევს.

ქართველი მეცენატი მეტად იშვიათია.

ამიტომაც არც ერთს ლიტერატურულ მიმართულებას და შეიძლება შემომ-ქმედსაც არა აქვს **გამძლეობა**, მთელ ხალხის საცნობლობა და ვიწრო ჯგუფშივე ჰლევს სულს.

ეხლა, ასე ვსთქვათ, „ძველი მოდის“ შემომქმედნი ახალგაზრდობისათვის სახ-სენებელნი აღარც კი არიან.

რათა? რომ იკითხოთ, ვერც კი გაგცემენ საბუთიან პასუხს. ზოგს მათი ლექსთა წყობა არ მოსწონს, ზოგს სიტყვები, ზოგს იდეები.

ახალგაზრდობა მარტო თავის „სულში“ იხედება, იქიდან უმზერს ყველაფერს და იწყებს ტიტინს: აღარ იხედება თავის გარშემო არსებულ ნააზრ-ნაგრძნობში – და სხვის უკვე ნათქვამი სიტყვა, აზრის **გადამახინჯებულად** და **შებრუნებუ-ლად** ნათქვამი, თავის ახალ აღმოჩენად მიაჩნია. მაგრამ ალბად იმის დანახვაც შეიძლება, თუ ამ ახალგაზრდობის **„ნაცოდვილარი“** ვის რად გამოადგება და ვინ ისაზრდოებს. ესმის მათი ხალხს, მასსას, იძენს რასმე, ან კითხულობს თუ არა? მაგ-რამ ამაზე ცალკე.

* * *

დარია ახვლედიანიც ამ „მოძველებულ“ პოეტთა რიცხვში შედის. მაგრამ საინტერესოა, იქნება ამ „ძველშიც“ მოიპოვებოდეს ისეთი ზოლი, რომლის **დანახ-ვაც** შესაძლებელი იქნება?

დარია ახვლედიანი – ერთ დროს პოეტი, რომელსაც თანამშრომლობას სთხოვ-და ყველა მიმართულების გაზეთის რედაქცია, რომელიც კი ქართველ აზროვნების ცხოვრებაში იყო, ეხლა კი იგი აღარსად სჩანს და მოსაგონადაც აღარავის ახსოვს.

მართლა ასეთი მისავიწყია მისი შემოქმედება? საინტერესოა, რას წარმოად-გენს მისი ლექსთა კრებული, ვის საკეთილდღეოთ არის მიმართული მისი კალამი. ვის ყურადღებას იქცევს მისი განცდა, მისი გულისყური?

მაგრამ სინამ ამაზე გადავალ, რა ბედს განიცდის საზოგადოთ ქართველი პოე-ტი ქალის შემოქმედება?

ყველა გუშინდელი ალაპარაკებული მამაკაცი პოეტი-მწერალი საშუალებას პოულობს, თავი მოუყაროს თავის ნაწერს, ღრეჯა-ხვეწნით, კარებში ატუზვით, თა-ვის მობეზრებით დააწერინოს თავის თავზე ვისმეს რამე, ან გამოაცემინოს.

ამ მხრივ, ქალი-პოეტის ბედი მწარეა, გაცილებით თავმოყვარე, როგორც მწერალი, გაცილებით მოკრძალებული, მოხათრებული, იმის და მიუხედავათ, რომ თვითეული მისი დაწერილი სტრიქონი აუცილებლივ დიდი ოჯახური დაბრკოლე-ბების გადალახვით არის ნაგრძნობი.

მაშინ, როცა ოჯახის წვრილმანური ფუსფუსი ქალს სულიერად ჰფიტავს, რომ

მაინც ამ წვრილმანობას გადურჩეს და თავისი ცხოვრების დაკვირვებანი სტრიქონებში ჩამოჰქნას თავის ხალხის გადასაცემათ, განა იგი დასაფასებელი არ არის?

რათ არიან ჩვენში მწერალი ქალები თითზე ჩამოსათვლელნი, განა იმიტომ, ნიჭი არა აქვთ? არა. აქ სულ სხვა პირობებია შექმნილი, რომლის გათვალისწინებაც ვერ შეიძლება **ზერელე** შეხედვით.

მაგრამ ვინც მწერალი ქალი გვყავს, ვისგან არის პატივცემული? ვინ დაინტერესებულა მისი თანდათან განვითარებით ან ცხოვრების ყველა წვრილმანობით? ვინ იცის, როგორ პირობებში სწერდნენ ეკ. გაბაშვილისა, ან. ხოშტარია-ერისთავისა, ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, ნ. ნაკაშიძისა, განდეგილი და სხვანი? სრულიად არავინ. ეს თითქმის საჭირო არც კი არის, რადგანაც ჩვენ კრიტიკას მათთვის არა სცალიან. ეს ქალები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იყვნენ და არიან კარგნი, როცა რედაქციებში და ყოველივე საქველმოქმედო საქმეებისთვის დარბოდნენ კარდაკარ და ყოველ შავ მუშაობას ასრულებდნენ. თუმცა ამ მხრივაც მათი დაუღალავი და მეტად ნაყოფიერი მუშაობა მიჩქმალულ-მინელებულია.

არის პოეტი, რომელსაც ერთი თემა აქვს აღებული და ეს თემა ყველა ხარისხში და მოქმედებაში გაჰყავს. მას აქვე სურს დასრულება.

მაგრამ არის პოეტი, რომელსაც არა აქვს განსაკუთრებული თემა, არამედ ეხება ყველა ყოველდღიურ ამბებსაც, საკაცობრიოსაც, გონებრივსაც, გრძნობებისაც და სხვა.

მას აქ დიდი მუშაობა სჭირდება. თვითეულ მოვლენაში მან უნდა მოგვცეს მთლიანობა სურათისა, რომ შესაძლებელი გახდეს მისი კრიტიკულად დაფასება.

პოეზია — ეს სიზმარისავით ასახსნელი რაღაცაა და ეს ახსნა კრიტიკოსზეა დამოკიდებული.

ხშირად ალბად კრიტიკოსი იმას აღმოაჩენს, რაც პოეტს არ უფიქრნია, იმიტომ, რომ მასში შემოქმედების დროს მედგრად მუშაობს გრძნობა და არა გონება და იქ, სადაც გრძნობის ამხედრებაა, იქ დაფიქრებული არაფერია.

დარია ახვლედიანი ზევით ნაჩვენებ თემათა მეორე პოეტთაგანია. ის ნამდვილი ცხოვრების შვილი, აქტიური და ცქვიტ თვალყურის მდევნელია მისი და ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ ეპარება მის თვალს.

ის ცხოვრებაში იყურება მარჯვედ, თვალს ადევნებს ყოველივე წვრილმანსაც კი და მის ასახვას სცდილობს ლექსებით, მოთხრობებით და ზოგადათ პოემებით. მის კალამს „სადღეისო“ არასდროს გამოეპარება. მისთვის არც ერთი განცდა არ არის უცნობი.

ის ყოველ მოვლენების და ყოველდღიურობის პოეტია — მხედველობა გაძლიერებული.

გადაშინჯეთ მისი ლექსები და რას არ წააწყდებით, რას არ შენიშნავთ.

როცა მან იგრძნო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის წყურვილი, მას „შავი ბედი“, როგორც დამაბრკოლებელი, წინ გადაეღობა. მას უნდა ფრთები შეუკვეცოს, მოუკლას სურვილი, ყოველივე მისწრაფება, მაგრამ:

ვერ დამიმონებ სულით ამაყს, გულით ზვიადსა...

აი, ასეთის სიამაყით უპასუხებს პოეტი „შავ ბედს“, რომელიც მის გზა-სავალს შავი ზოლივით გადააწვა. და რაც უნდა ეს ზოლი ბორკილებად გადაექცეს და შეჰხუთოს მისი სული, რაც უნდა არტახებივით მოეჭიროს მის ინტელექტს და გრძნობას, მაინც:

ვერ დამავიწყებ საამქვეყნო მიზანს დიადსა.

ლაჩრობას, დამონებას, „შავ-ბედის“ დამორჩილებას, ცხოვრებისაგან გალახვას, კვნესას და ცრემლს იმას ულოცავს, ვინც შავი ბედის „დანახვაზე თრთის“.

ის კი წინ წავა ქედ მაღლად:

სალამს მიუძღვნის ტურფა გაზაფხულს

და გაკაჟებული განახორციელებს თავის დიად მიზანს.

ეს „დიადი მიზანი“ პოეტისა კი ის იყო, რომ ყოველ ახალწელს სანეტარო მომავლის რწმენა ესახებოდა, როცა:

„უსამართლობა, შური, მტრობა, ბოროტება, პირქვე დაემხობოდა და ხალხთა შორის ერთობა და ძმობა“ დაისადგურებდა. მისთვის მებრძოლნი კი თავს დაახწევდნენ ბნელ საკანიდან და თავისუფლების მანდილს გადიხურავდნენ.

სწორედ ამიტომაც, რომ მის ქვეყნის დაჩაგრულ, წელში წახრილ ხალხს მოსარჩლე, სპეტაკი მებაირახტე გამოსჩენოდა, ახალთაობას „მზის ზღაპარი“ – რევოლიუციის ისტორია უნდა შეესწავლა და თუ ამ ზღაპარს იგი დასძლევდა, ჩასწვდებოდა მის აუცილებელ მოთხოვნილებას, იგი შეისწავლიდა ბრძოლას. შემდეგ კი ის შესძლებდა ამ ზღაპრის „ფრინველის“ – თავისუფლების, „დაჭერას“.

ამიტომ შეჰხაროდა პოეტი ბავშვს, რომელიც წამოიზრდებოდა და იგი:

აღივსებოდა სწავლით, რომ გაამართლო ქვეყნის იმედი – ჩემო პატარა.

თუმცა პოეტი აზვირთებულ გრძნობას – უკეთეს მერმისისაკენ – ხშირად, ძალიან ხშირად წამოეჭრება გონება, რომელიც ათას იჭვს უღვიძებს, ათას დაბრკოლებებს უყენებს, ხშირათ ასევდიანებს მეტად მწარეთ, ხან სიცოცხლეს და ბრძოლასაც კი აიძულებს, მით უმეტეს, როცა თავის გარშემო ხედავს: „შურს, მტრობას, მოდუნებას“ და ამის წყალობით პოეტი ხდება:

არა მრწმენი ცრუ საწუთროზე, გულით განშორებული.

და პოეტი დგას „ვითა ტაძარი შორ მთის მწვერვალზე“.

მაგრამ ეს პესიმიზმი პოეტში სამუდამოთ არ ისადგურებს, არ მიჰყვება თავის გულის ბნელ ჩურჩულს და მალე ისევ თავს პოულობს, ისევ თავის მხნე იარაღს იმარჯვებს. როგორც ვსთქვი, დარია ახვლედიანის მთავარი მიზანი და სურვილია, რისთვისაც სწამს თავისი ჩანგიც, მოისპოს ქვეყანაზე უსამართლობა და ხალხმა შვებით ამოისუნთქოს.

ამიტომ სწამს მას ქართველი დედაც.

ეს თემა საქართველოს პოეტებში ხშირად ატირებულა.

დედა – ეს კულტია ქართველ პოეტისათვის. მასზეა დამოკიდებული ერის სიჯანსაღე, ერის გამრავლება, ერის კეთილდღეობა.

ჩაგრულთა მძიმე უღელის დასამტვრევად დარია ახვლედიანის მეურმეც ზრუნავს, ისიც შენატრის „მზეს“, რომელიც უნდა ამოვიდეს – ეს მზე რევოლიუციაა, რომ „ტანჯული მხარე“ გაანათოს.

ეს მთავარი მოტივი დარია ახვლედიანის მთელ შემოქმედებაში წითელი ზოლივით არის გავლებული.

მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნე, არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი მხარე და მოვლენა, რომელიც დარია ახვლედიანის კალმის ანკესზე არ წამოგებულიყოს.

დარია ახვლედიანი ნამდვილი „ქალაქის“ პოეტია. იგი ქალაქის საგნებთან მიდის. მას უფრო თავის გულიდან გატყორცნილ ისრის განწყობილებით ეხერხება წერა, ვიდრე ბუნების მონაწილეობით.

ბუნებას ის არსად ხმარობს თავის მიზნის გასაცხოვლებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ლექსს, სადაც ბუნებას მონაწილეობას აღებინებს მეტ ფერადებისათვის. მაგ., მშვენიერია მისი „კახეთს“, მაგრამ მაინც მის მთლიან სურათს ვერ გვაძლევს, რომ შეგვეძლოს ამ ბუნების მოცემით დათრობა.

საინტერესო იყო ამ მხრივ და საზოგადოთ დარია ახვლედიანის მთელ მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად დაწვრილებით გარჩეულიყო მისი პოემა „ქალი და აჩრდილი“, მაგრამ ადგილის სიცოტავისა გამო, სრულიად ვერ ვეხები.

რაც შეეხება მის ლექსის ტეხნიკას და ენას, იგი მეტად მარტივია. პოეტს არ აინტერესებს ექსპერიმენტების მოხდენა ლექსის ტეხნიკაში, ის ამ მხრივ არც მუშაობს, არც რითმებს ამტვრევს. მისთვის აკაკისებრი ტეხნიკა ლექსისა უფრო მისაღებია, ვიდრე სხვა. მისთვის მნიშვნელოვანია **აზრი** ლექსში, ვიდრე ტეხნიკა, რომელზედაც დღეს თვითეული პოეტი იტეხავს თავს.

დარია ახვლედიანის პოეზიაზე კიდევ ბევრის თქმა არის საჭირო, მაგრამ ჯერჯერობით ამ ამონაწერით დავკმაყოფილდებით.

ანა ღვინიაშვილი

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1925, გვ. 99-103

ფსიქოლოგიური სინამდვილე ჯაყოს ხიზნებში

ამ რომანმა ქართველობაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ყველამ წაიკითხა, ყველამ მოიწონა. ყველა სცდილობს, სთქვას რამე. ავტორს ზოგი „ჩანჩურათა“ მწერალს უწოდებს, ზოგის აზრით, ამ რომანში იგი „მეტ ინტენსივობას“ იჩენს, ზოგმა სარგებლიანობის თვალსაზრისით, მის გმირებით **სასწრაფოდ** დაიწყო ვაჭრობა „გასამართლების“ დუქანში.

ერთი სიტყვით, ყველას პირზე აკერია „აგრე ვიცის ჯაყომა!“

მართლაც, რას წარმოადგენს ეს რომანი?

იგი ჩვენს ცხოვრების სინამდვილეს ან წარსულში, ან ეხლა შეეფერება თუ არა?

ვინ არიან რომანის გმირები: ტიპები, პორტრეტები თუ შემთხვევით მობმულნი რომანის კუდზე?

რა არის მთავარი ძარღვი, რაზე ემყარება აშენებული ამბავი?

წინასწარ აღებული აზრი აქვს ავტორს, თუ ანაზდათ აიღო და გაჰყვა... გაჰყვა ისე, რომ დასასრული ვეღარ მოუნახა ვერც თეიმურაზის სიბეცე-დონდლობას, გამოფიტვას და ვერც ჯაყოს აღვირაშვებულებას და მის გაუმაძღრობას.

რასაკვირველია, ამ კითხვებზე საჭიროა ძალიან ვრცელი და დადებითი პასუხი, მაგრამ ეხლა შეუძლებელია, რადგანაც თავდაპირველად საჭიროა ფსიქოლოგიური სინამდვილის გამოძებნა და დანახვა ამ რომანის გმირებში.

* * *

მთავარი ძარღვი ამ რომანს გამოეძებნება შემდეგს თანამიმდევრობაში (უნდა ითქვას, რომ რომანის აზრს ჰყლაპავს თვით სივრცე და უზომობა გადაჭარბებულ გამეორებებით).

რომანის დიდ ფიგურებს წარმოადგენენ თეიმურაზი, მარგო, ჯაყო და ზოგადათ, ივანე.

მაგრამ მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო პირველ სამზე.

თეიმურაზი აუცილებლივ გადმოშარჟებული-გადმოტრიალებული ლუარსაბი იქნებოდა, ისეთივე სიცილის გამომწვევი და საბრალო, რომ ასეთი **უაღრესი მწიგნობარი** არ იყოს და პრაქტიკული ჭკუა და ცხოვრების სარგებლიანობის უნარი ოდნავ მაინც ჰქონდეს ლუარსაბისა.

ამ გმირმა ზრდა ასე დაიწყო:

მეტად მოსაქმე. ყოველ საზოგადოების საქმის დამწყები და აქტივი. ყოველივე კამათის მოთავე, ყოველივე საჭირბოროტო საკითხების პასუხის გამცემი, თავდაჭერილი, მეტად აუჩქარებელი და „მოფიქრება-მოსაზრების“ დროს ისეთ

ადამიანსაც კი მისცემდა, რომელსაც გასაცარცვავად ნახევრად ყელგამოჭრილი ეყოლებოდა ვინმე.

ისეა ჩაფლული ამ საზოგადოებრივ საქმეებში, რომ თავისი მამაკაცური „ჰასაკის“ არსებობა არც კი იცის და სანამ ცოლის შერთვას სხვა არ მოაგონებს, ვერც კი წარმოუდგენია, ეს საჭირო არის თუ არა!

ცხადია, ავტორმა თეიმურაზი თავიდანვე ყბად აიღო და ის, რომ მას თავის დროზე უნდა ფიზიოლოგიური შესაძლებლობა, ამის ცოდნა (თუმცა თეორიულად ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა) სრულიად **გამოაცალა ტვინიდანაც** და სხეულიდანაც.

გახსენება და ქალის საცოლედ გამოძებნა ერთი იყო!

სწორედ ითქვას, ძალიან დროზედ კი გაიმართა ის „მოწაფეთა სასარგებლო საღამო“, რომლის წყალობითაც შეხვდა თავის „ბედის“ ვარსკვლავს, თორემ აუცილებლად უცოლოდ დარჩებოდა, რადგანაც გაცნობილი და მოწონებული ქალი მალე „ავიწყდებოდა“.

მათი ახალი სიყვარულის პერიოდი (თუ ამაში ეს განათლებული ადამიანი გარკვეული იყო) ხომ სოფლის ჭაბუკის სიყვარულზე, რომელსაც არაფერი, არც გრძნობათა ლივლივზე წაუკითხავს, არც ბევრი რამე უნახავს და ცოლის მოყვანას მოელის, როგორც ოჯახის მომვლელს, **გაცილებით დაბლა სდგას**.

საზოგადოთ, განათლებული და მეტადრე „თავადი“ (თუნდაც დრო მოჭმული) ცნობილია თავის ენამოქარგულობით ქალის გულის მოსატკბობად, რაინდობითა და ტყუილა ტრაბახით ხომ ყურების დამცვეთი. თეიმურაზი კი არა, ამ საკითხში უბრალო ადამიანურ მოთხოვნილების უნარმოკლებული, საბრალო და სასაცილოა.

სწორედ, აი, ეს მხარე, როგორსაც ავტორი გვისურათხატებს, ეს ადამიანთა და ცხოველთა მთელი სიცოცხლის მამოძრავებელი ტალღა და რაობა, რომლის აუცილებლობა არა მარტო ადამიანმა: განათლებულმა, გაუნათლებელმა, ღარიბმა, მდიდარმა, გლეხმა და მუშამ, არამედ ცხოველმაც კი იცის, არ შეეფერება ადამიანის **განცდებისა და მოთხოვნილებების სინამდვილეს**.

ბოლოს და ბოლოს, განა ავტორი რომანის მთელი სიმძიმით და მისი ავკარგიანობით ამ სექსუალობას არ დააწვა?

ვის რათ აინტერესებს თეიმურაზის გაცვეთილი ფრაზები, ქართული სულისა და მისი ცხოვრების აწმყო და წარსულის გადაღეჭვა?

მას დაინტერესებული პირი საქართველოს ისტორიიდან, ძველ პუბლიცისტიკიდან და **ცხოვრების დაკვირვებიდან** უკეთესად ამოიკითხავს, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილის ქართული მასალებიდან **გადმოქართულებულ** წინადადებებიდან.

ან ამ რომანში დიდი ადგილი რას უკავია, თუ არა ათასჯერ გამეორებულ ჯაყოს მადას და მის ოინებს მარგოსთან თამაშობისას; რომანის დანარჩენი ხაზები კი ეს მხოლოდ მაშველნი ხელები არიან ამ სიმძიმის დასაჭერად.

ავტორი ამისათვის მწიგნობრობის ისტორიასაც კი წერს.

აბა, ვნახოთ, ეს მხარე როგორ აქვს გაშუქებული და რათ დაუსვა თეიმუ-

რაზის თვითეულ დახასიათების თავს **ნა**: „ნაკაცარი, ნათავადარი, ნაქმრევი, ნაწიგნობარი“ და სხვა, ისევ და ისევ მის დასამცირებლად სწორედ ეროტიულ საკითხში.

იგი წიგნის ქექვამ ისე ჩაითრია და ისე ღრმად ჩაიძირა მეცნიერების ჩიჩქვნაში, რომ **ცხოვრება** მის წინ მიჰქრის, როგორც გადამწვარი ელექტრონის სხივი და სრულიად არ ამჩნევს მას, არ ამჩნევს გარემოს, ხალხს, არა მარტო ამ სიტყვის ფართო გაგებით, არამედ არა ხედავს თავის ოჯახს, მასში მსუნთქავ ცოცხალ არსებას.

მაგრამ ავტორი როდის უფრო მართალია აქ თუ იქ, სადაც ის ამბობს, რომ თეიმურაზი: პოლიტიკას ცხარეთ უთვალთვალებდა და „რაზედაც უნდა ყოფილიყო ბაასი – შესახებ სუდანის ირრიგაციისა, ან ლოიდ-ჯორჯის გეზისა, ან რომელიმე ქვეყნის რომელიმე მოღვაწის რომელიმე სიტყვის ახსნა-განმარტებისა, – თეიმურაზი მუდამ უდავო მსაჯული და მცოდნე იყო ყველასი და ყველაფრისა“.

ასეთი ადამიანი, რომელიც ათი-ათას ვერსის მანძილზე სჭვრეტს ადამიანის „სიტყვის“ თქმას და ყველაფერს ხსნის, თავის გვერდზე კი არაფერს ამჩნევს. იქნება ეს თვისება მართლა სჩვევიათ ასეთ „დიდ“ ადამიანებს, მაგრამ მაინც იმ ამბავს გვაგონებს: კაცი რომ მუზეუმში წავიდა, ყველაფერი შენიშნა და სპილო კი ვერა.

და ბოლოს, ისეთი ადამიანი, რომელიც დღეში „ათ სადღეისო საგაზეთო წერილს“ აცხობს, პრაქტიკით განა ისე დაიკარგებოდა ცხოვრებაში, რომ სულ უბრალო მოვლენას არ ჩაუკვირდებოდა და მის ნამდვილობას არ გამოსძებნიდა?!

განა მწიგნობარი ფსიქოლოგიას ისე როგორ იქნებოდა დაშორებული, რომ ოდნავი ალღო არ აეღო ან სინამდვილის საძირკველი არ გამოეჩიჩქნა (როცა მას ასე მოსდევდა), რომ თავის მოურავის ზეპირსიტყვაობით არ ეწერა სიცრუე „მოუსავლობისა და მაზანდის“ შესახებ (ისიც საგაზეთო, რომელიც მოურავის ჯიბის ასავსებათ და მისი ტყავის გასასუქებლად იყო მოგონილი?).

შეიძლება ავტორი თეიმურაზის სახით ვინმეს გულისხმობს, ვინც უნახავს, ან იქნება ქართულ ცხოვრებაში ორი-სამი პიროვნება **მართლაც მოიძებნებოდეს** ასეთი „დაუდევარი“, მეტად მოსაქმე, მეტად მოაზროვნე, მაგრამ წყალ-წყალა, უშედეგო, უნაყოფო და როგორც მეუღლე ეუბნევა: „შოვნა (იგულისხმება ფული, ა. ღ.) და მოგება შენი საქმე არ არისო“, მართლაც **მშიერი იყოს**.

ან კიდევ, კაცი, რომელიც დღეში ათ გაზეთს კითხულობს, ათ წერილს სწერს და ერთავად მიეჩქარება: „ათასი საქმე მაქვს, კოოპერატივი, ჩვენი საზოგადოება, გაზეთი, ჩემი წიგნის გამოცემა, ერთი სიტყვით, **უჩემოდ ყველაფერი დაინგრევა**“-ო.

განა ასეთი კაცი, რომელიც თავის უნარიანობას გრძნობს და ყველაფერს სათავეში უდგას, თავმოყვარეობას მოკლებული უნდა იყოს?

ესეც ავტორის წინააღმდეგობითი დახატვა თეიმურაზის სიტყვასა და მოქმედებას შორის.

ამასა ქვევით უფრო კარგად დავინახავთ, რამდენადაც „თავმოყვარე“ გახლავთ ეს რაინდი.

როგორც ზევითა ვსთქვი, შეიძლება თეიმურაზისთანა საზოგადო მოღვაწე, გა-

ნათლებული და მეტად მწიგნობარი მართლაც მშიერი იყოს, და **ხელში არაფერი დოვლათი ეჭიროს** (ეს თვისება მათ კუთვნილებასაც შეადგენს).

მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია განათლებულმა ადამიანმა ალღო ვერ აუღოს თავის ახალგაზრდა მეუღლეს, რომელიც „ხან ვნებით სდნებოდა, ხან ჟინით გიჟდებოდა, ხან აინთებოდა“ და ყველა ამისი მისახვედრი და ცხადი დასანახავი იყო მისი აღტყინებული ანიჟება შოპენის „nocturne“-ის და ბეთხოვენის სიმფონიების განსახიერებაში, ან კიდევ „ვნებიან და გველურ“ უზუნდარაში, ან სიმღერის ნოტებში.

ნუ თუ სულის და ტანის ასეთი აწეწილობა მიუწვდომელი და შეუცნობელი იყო განათლებულ თეიმურაზისათვის?

ან ამ ვნებათა აღმძვრელ სცენების დროს რას ეუბნებოდა თავისი მამაკაცური აგებულება, როცა ათას ადგილას შეხვდება წიგნის მოყვარული ადამიანი, რომ თვით სისხლის მსმელნი და სასტიკნი, ლომნი და აფთარნი, დადუმებულან, დაწყნარებულან და ოდნავი სიამოვნების ჟრუანტელს უცეკვია მათ სხეულში.

ან რომელი მეცნიერი ყოფილა ისე გათქვეფილი თავის გამოკვლევებში, რომ ქალი და მისი არსებობა დაჰვიწყებოდეს?

მაგრამ... განა დასაჯერებელი არის ეს სცენა, მაშინ როცა ავტორი გვაუწყებს, რომ თეიმურაზს აგიჟებდა შვილის ყოლა, მას სული ესწრაფებოდა და ქორწილშივე განეცხადებინა რომ: „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს მომავალი ხევისთავი და ყაფლანიშვილი, რადგან ორივე გვარი ამ თაობაში სწყდება, ამიტომ ჩვენმა მომავალმა შვილმა უნდა ორივე გვარი დაიმკვიდროს, ამას ამ თავითვე ვაცხადებ“.

და ამის შემდეგ დღე არ გავა, რომ თავის ცოლის ცვლილებას თვალყურს არ ადევნებდეს და რადგანაც ეს მომავალი იგვიანებდა, რომელ ექიმთან და მარჩიელთან არ დაჰყავდა იგი.

ამის შემდეგ საკვირველია, როგორღა ატყუებს ავტორი მკითხველს მის **ნაკაცრობაში**, თუ ეს გადამეტებულ-გადაჭარბებული დახატვა არ არის არარსებულ, სინამდვილეს მოკლებულ ადამიანისა.

მაგრამ გავყვეთ მის მიერ დახატულ პიროვნების არსებობის სინამდვილეს.

სადამდის მიდის თეიმურაზის მოდუნება, როგორც მამაკაცისა?

ყველაზე მეტი ღალატი ფიზიოლოგიურად მამაკაცის თვისებაა. მაგრამ რაც უნდა თვითონ ყოველ ნაბიჯზე ღალატობდეს თავის ოჯახს, გრძნობას და ეს ღალატი იქამდისაც კი მივიდეს, რომ **სულიერად** აღარაფერი აკავშირებდეს მეუღლესთან, იგი თავის ცოლს არც გაანთავისუფლებს და არც არასდროს აპატიებს მას არა მარტო ღალატს, არამედ იმასაც კი, რომ ოდნავ ვისმეს გაუღიმოს და სანდომიანათ დაელაპარაკოს. იმიტომ, რომ ქმარს „მამაკაცური“ თავმოყვარეობა ეღვიძება: ის ვერასდროს აიტანს იმას, რომ ვინმეს ცოლის ღალატი უკიჟინოს, მაშინ როცა იმისმა ცოლმა ქმრის ღალატი არა მარტო უნდა აიტანოს და დამალოს, არამედ თუ ვინმე ეტყვის, უნდა ქმარი გაამართლოს და თავი ისე აჩვენოს, ვითომ ყველაფერი იცის, თუმცა მისი გული ამავე დროს ხანჯლებით იკუწება და სული ეწიწკნება.

ასე იქცევა არა მარტო განათლებული, ან ოდნავ შეგნებული, თვით განუვითარებელი და ხეპრე კაციც კი.

ამ მამაკაცურ თავმოყვარეობას ვხედავთ თეიმურაზში?

სრულიადაც არა!

თეიმურაზი ამ მხრივაც განგებ არის გამასხარავებული.

ყველა წვრილმან ძალათ შეკოწიწებულ სცენებს რომ არ გამოუდგეთ, რომელნიც უხვად არიან გაბნეულნი და ეს მეტად შორსაც წაგვიყვანს, დავკმაყოფილდეთ სულ მცირედით.

ქართველი კაცის ბუნება, რაც უნდა იგი ყველაფერში ლაჩარი და თხუნელა იყოს, ვერასდროს ვერ შეეგუება იმას, რომ ცოლი გულზე მიკრული სხვასთან ნახოს და თავის მოკვლა თვითონ განიზრახოს. ამ გულუბრყვილო ამბავს გაზეთის უბრალო „შემთხვევებშიც“ კი ვერ ამოვიკითხავთ, მით უმეტეს, რომ თეიმურაზი აქაც საბრალო და სასაცილო ხდება, მას თავის დახრჩობისა თითქოს შეეშინდა და მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ ვისმესთვის თავი შეეცოდებინა.

მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში პირიქით ხდება, ქმარი ჰკლავს არა მარტო ცოლს, არამედ მის „საყვარელსაც“ კი, როცა ის ღალატის სცენას მიასწრობს; თვითონ კი განახლებულ ცხოვრებას არხეინად განაგრძობს.

ყველაფერ ამას რომ თავი დავანებოთ, ეს მაშინ ხდება, როცა ავტორი დაურიდებლივ გვაცნობს, რომ თეიმურაზმა გაჯანსაღება იგრძნო ახალ ცხოვრებისთვის, საბრძოლველად მოემზადა, რომ თეიმურაზს ჭკუა მთლიანად არ გამოჰლევია, რომ მას აზროვნების უნარიც მშვენივრადა აქვს, რომ მას შეუძლიან ამ დიდ ცხოვრებაში ბუზის ოდენა საქმის გამოძებნა, ცხოვრების ორომტრიალში ჩარევა და თუნდაც ჭიანჭველური შრომის კუნთების დაჭიმვა.

ამავე დროს მასში უტეხი ბრძოლაც არის, როგორ მიიღოს მოღალატე ცოლი და მხოლოდ მაშინ წამოეჭრება „თავმოყვარეობის“ საკითხი: ვის წაართვეს ცოლი? „განთქმულ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მწერალს, პატიოსანთა შორის პატივდებულს, **ამაყსა და ქედუდრეკ** თავადიშვილს – თეიმურაზ ხევისთავს“.

და გაკვირვებული ხართ, რისთვის არის საჭირო ეს სიტყვები, თუკი იგი ვერ გასჭრის ბასრ მახვილივით და ეს პათოსის სიტყვები უძლურნი არიან არა მარტო მოქმედებისა, თვით ლაპარაკის დროსაც კი და თეიმურაზი ჯაყოს წინაშე, რომელსაც „ნადირს“ ეძახის, თრთის და ენა ებმევა.

შეიძლება თეიმურაზს, როგორც ავტორს ჰსურს დაგვიხატოს, ახასიათებდეს თეორია, არავითარი მოქმედება, არამედ მარტო სიტყვები და ისევ სიტყვები, მაგრამ, რომ საზოგადოთ ავიღოთ, რაც უნდა ადამიანი ცარიელი სიტყვები იყოს, იქ სადაც მას თავმოყვარეობის – მე – იქნება შეურაცხყოფილი, თავს სრულიად ივიწყებს და მოქმედებაში გადადის.

თუ თეიმურაზის გამწარება ნამდვილია, თუ პირქუში „ბედი“ „თავში ალს დაჰკრავს, გულს ცეცხლის სალტეს მოუჭერს და ტვინს მარწუხებით დასწვდებიან“; თუ რაღაცა ღრღნის და ამბობს, „ყველაფერი გაუთავდა, ყველაფერი დაენგრა და

დაეღუპა“, ასეთ სასოწარკვეთილს ადამიანს მოქმედება არ ექნებოდა და სიკვდილის განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდა?

როდის სცრუობს ავტორი ერთგან თუ მეორეგან.

ამას თავი დავანებოთ! განა ფსიქოლოგიური სიყალბე არ არის, რომ თუ კი თეიმურაზს მართლაც უნდოდა „ჯოჯოხეთის“ ბუდიდან გაეყვანა თავისი „უმანკო“ ცოლი, და იმედს აძლევს მალე წაყვანისას, მის დამღუპველს კი ემუქრება ქარცეცხლით და შურისძიებით, შესაძლებელია განა, თავის შეურიგებელ მტერს, რომელმაც უკანასკნელი სიცოცხლის ძაფიც კი წაართვა, ასეთის ლაქუცით და დამშვიდებით უთხრას:

„– მე არაფფერი... დამშვიდდი, ჯაყო!“ და სხვა.

სად გაუგონია ავტორს ასეთი სინამდვილე, როცა თვით ძალ-ღონით – სუსტი არსება – ქალიც კი მტერთან და უბედურებასთან შეხლის დროს მთლად კაჟდება, მასში **უჩინარი ძალა** და **გამბედაობა** ჩნდება; ის იმარჯვებს ხერხს, გასაოცარ ჭკუას და შურს მაინც იძიებს და თუ დამარცხდება, ბრძოლის შემდეგ მაინც დამარცხდება, შემდეგ კი, როცა გაივლის ეს პერიოდი, **შიში მხოლოდ მაშინ ჩნდება**.

თავგანწირულ მოქმედების დროს შიში არ არსებობს.

ქალსაც თავი დავანებოთ. ავიღოთ ყველაზე წყნარი ცხოველები. თუ მათ გააღიზიანებთ, თვითონ იციან, როგორც გააფთრდებიან და თავიანთ **სათნოება, სიმშვიდეს**, როგორც დაივიწყებენ!

ეს ცხოველი... და თეიმურაზი ხომ ადამიანი იყო, მას ხომ ყოველნაირად, თუნდაც სიტყვით, ხომ გაცილებით მეტი შეეძლო.

მაგრამ ავტორის თვალში იგი ლაჩარია, იგი საცოდავი მძორია, რომელსაც „სისხლი“ ვერ დაუნახავს, ის ქალაჩუნაა ყოვლად უმსგავსი, მისი უბრალოდ სოფლის ჭიასაც არ ეშინოდა და ისეთ ვაჟკაცს, როგორიც არის ჯაყო, როგორ შეაშინებდა, ეს ჯაყომაც კარგად იცოდა და აკი არც არაფერში ერიდებოდა, საითკენაც უნდოდა თავის ნაბატონევს და ნაკაცარს, იქითკენ მიაგდებდა და ყველას შეუმჩნევლად ავტორს მაინც ეპარება თავის რომანში ასეთი კურიოზი:

როცა „თეიმურაზი მუქარით თითს უქნევდა“ და თან თავის ცოლის შეურაცხმყოფელს და თავის დამღუპველს ემუქრებოდა: „არ შევარჩენ, არ შევარჩენო“, ამ დროს „ჯაყო ოთახში შემოვარდა და თითქოს ლაშქრად მიდიოდა: თავითფეხებამდის იარაღში იყო ჩამჯდარი. ზურგზე თოფი ჰქონდა, თეძოზე ხმალი, მკერდზე სამი სავაზნე, მარცხენა ხელში მაუზერის დამბაჩა ეჭირა“.

და სასაცილოა, ვისთან მოდიოდა ასე, **ჭიასთან, მჩვართან**? ეს ხომ ჯაყომაც კარგად იცოდა და მაშ, რა საჭირო იყო, მისი ასეთი მომარაგება? სჩანს აქ თეიმურაზის **სიტყვების** რაღაც შიში მოსჩანს, თურმე შესაძლებელი ყოფილა თეიმურაზის **დამუქრების სიტყვებმაც** რაღაცა გავლენა და შიში მოახდინოს ისეთ „ხუთგირვანქიანი“ მუშტის პატრონზე, როგორიც ჯაყო იყო.

აი, ასეთი წინააღმდეგობა გაფიქრებინებს: რისთვის გარჯილა მწერალი, მხოლოდ იმიტომ, რომ უფაქტოდ და უსაბაბოთ დამცირებული გმირი გამოიყვანოს?

დაუშვათ, რომ ამისთანა ყველაფერი არაჩვეულებრივი სწორედ თეიმურაზს ხვდა წილად.

სადამდის მიდის ეს მისი გულკეთილობა და „სიყვარული“ თავის მეუღლისადმი?

ყველა შეურაცხყოფა მან „დაცარიელებულ გულით“ აიტანა, მაგრამ ის ამ დამცირებას სრულიადაც არ მორჩა.

ის ბებრული ოხვრა-კვნესით უყურებს ეკლესიაში თავის „ახალ კნეინურად“ გამოწყობილ ცოლისა და „ახალი თავადის“ ჯაყოს ჯვრის წერას. ამ სასაცილო სცენის გულისათვის ერთი ტეტია ბიჭი ზურგს შეაქცევდა თეიმურაზსაც და მის დამწერსაც!

ახლა თურმე გახშირებულია ასეთი რამ: ვინც ვერ შეეთვისა ამ ახალ ცხოვრებას (თუმცა ვეჭვობ, რომ ეს მობერებული ფრაზა კიდევ ვარგოდეს), ვინც ვერ იპოვა საკვები საგანი და შიმშილით იღუპება, თურმე თავის მეუღლეს ფულზე **უთმობს სხვას**.

მე მგონია, ეს მამაკაცი თავის ცოლის ახალ ცხოვრებას თვალებში ყურებას ვერ დაუწყებდა და სამუდამოთ გადაიკარგებოდა კიდევაც მისგან.

როგორ იქცევა თეიმურაზი?

ის არც ჰყიდის, ნებით უთმობს სხვას და მზათ არის ბიჭათ დადგეს, უკანასკნელ ადგილას ეგდოს, ოღონდ „უყუროს და ზოგჯერ დაელაპარაკოს“ მას, და ეს ლაპარაკი თუნდაც ჯაყოს ყარაულთან ხდებოდეს.

ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე რომ გავყვეთ თეიმურაზს, იგი **დაკერებული და მოგონილი** არსებაა და არა ნამდვილი არსებული პიროვნება.

ეს პირი რომ **ავიღოთ მთლიანად,** არა მარტო არ არის ამოვარდნილი საქართველოს არც ერთი დროის ცხოვრებიდან, არც შორეულ წარსულიდან და არც ეხლანდელიდან, არამედ საუკეთესო ალტრუისტულ და იდეალურ არსებობასაც კი არ წარმოადგენს. იგი თავის სიგრძე-სიგანით არის ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, ცხოვრებიდან ზოგ ნაფლეთებით დაკერებული.

ავიღოთ მეორე არსება – **მარგო**.

ეს არის პირდაპირ **დამშეული ქალი**, რომელიღაც სამხეციდან გამოვარდნილი.

ეს არის ყოვლად უმსგავსი წარმოდგენა და დასურათხატება ქალისა. ასეთ ქალს თვით ველური ადამიანიც კი არ წარმოგვიდგენდა.

სად მოსძებნა ავტორმა ეს ქალი? საიდან აიყვანა, რომელიმე „გარყვნილთა“ საზოგადოებიდან თუ იმ საზოგადოებიდან, რომელიც ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ საღამოს აწყობდა და ეს ქალიც ერთი აქტიურთაგანი იყო. ამავე დროს, ის ბევრ წიგნებს კითხულობდა, უყვარდა გიჟმაჟური სიცოცხლის თვალყურის დევნა და გართობა. ყველა ამას გარდა, მან მშვენივრად იცოდა **მუსიკა, მღერა და ცეკვა**.

რაც უნდა ადამიანი თავზე ხელაღებული და ყოვლად დაუდევარი იყოს, იგი თავისებურ სულიერ საზრდოს მაინც ეძებს.

ადამიანში ყველაზე **უსუსური სულიერად** არის ვაჭარი. მაგრამ ამასაც აქვს თავისი სულიერი საზრდო, რომელიც მას სრულიად აკმაყოფილებს

ეს არის: როცა დუქანს დაჰკეტავს, ის სახლში არასდროს წავა, თუმცა სახლში

მას მოელის ოჯახის სითბო, ალერსი, ბავშვების სიხარული, მაგრამ ის ამით ვერაფერ დაკმაყოფილებას ვერა პოულობს. ის მიდის სახლიდან და იცით სად? არც თეატრში, არც კრებაზე, არც სხვა კულტურულ ბინისაკენ, არამედ თავის დაკეტილ დუქნის წინ. ის იქ ზის და აქეთ-იქით ცქერით და თავის თანამოსაქმე ვაჭართან წაგება-მოგებაზე საუბრით სტკბება და სულიერ კმაყოფილებას იღებს.

არ მოიპოვება არსი, რომ თავისებურად არა სტკბებოდეს სულიერად.

ასეთია ეს განათლებული და საზოგადოებისა და წიგნების სამსახურში ფეხწამოყოფილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი?

რა სულიერი საზრდო აქვს მას?

ავტორის ჩვენებით, სრულიად არაფერი.

ასეთი ქალის მოძებნაც იქნება შეიძლებოდეს, მაგრამ რაც უნდა გამოფიტული იყოს ქალი, მისი სულიერი მოთხოვნილება ფერ-უმარილით გალამაზება და **უკეთესის** (თუნდაც საქმროსი) ძებნა მაინც იქნება.

არაფერი, გარდა მხეცური ჟინისა, ის სათრეველა გოდორი გახდა, პორნოგრაფიამდე მივიდა მხეცი ადამიანის მხეცური სურვილებისა.

ამას თვით როსკიპი ქალიც კი არ იზავდა!

სადა ჰქონდა წინად მარგოს ასეთი ფაფარაყრილი ვნება? თუ ადამიანი ვნებიანია და სექსუალური, ის მის დაკმაყოფილებას 16-17 წლიდანვე შეუდგებოდა, ეს ძალიან კარგად იცის მედიცინამ.

მარგომ როდის გადააჭარბა მოთხოვნილების ზომას? მას ადამიანის ჩვეულებრივი მოთხოვნილება ჰქონდა.

მაშ, რაღათ შეცვალა ავტორმა ასე უცნაურად მისი ბუნება? რამ გაახელა?

იქნება მიზეზები გამოუძებნოთ?

თუ რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ დაბალგანზრახვებს ქალის დასამცირებლად, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილს აქვს, **რომ „მარგო დედაკაცი იყო. ამიტომ** იმის გულსაც ყოველთვის უღიტინებდა იდუმალი **წყურვილი საყვარლის აჩენისა**“, ამისთანა მეშჩანური გამოთქმა ყურადღების ღირსიც კი არ არის!

მაგრამ გამოუძებნოთ მაინც რაიმე მიზეზი:

იქნება შვილის წყურვილი?

მარგოსაც უნდოდა გაგიჟებით შვილი. ეს სურვილი სამართლიანიც იყო, რადგანაც ქალს „დედობის“ წყურვილი თანდაყოლილი აქვს. და რადგანაც თეიმურაზისგან მას არ ეყოლა, იქნება სწორედ ამისათვის შესცდა, მხოლოდ ამ განზრახვით?

მაგრამ ეს დიდი ხნის **დავიწყებული ჰქონდა**. ის ისეთმა აპატიამ შეიპყრო, რომ აღარაფერი ესმოდა და აგონდებოდა, არა მარტო შვილი.

მაშასადამე, ეს არ იყო მიზეზი.

იქნება სიმშილმა?

ეს რომ მიზეზი ყოფილიყო, მაშინ თავის ქმარს აღარ ურჩევდა ისევ ქალაქში დარჩენას და ნამოურავალის ხიზნობას ასე **გულმოკლული არ შეხვდებოდა**.

არამედ ჯაყოს პირველ დანახვისთანავე ის ურჩევდა წაყოლვას, რადგანაც მის ვაჟკაცობას და სიძლიერეს მაშინვე დაინახავდა და მისგან გაძღომას და დაოკებას მაშინვე იგრძნობდა.

ამის მაგივრად, მას თითქმის წინათგრძნობამ უთხრა, რაც მოხდებოდა, ამისი შეეშინდა და ამიტომ არ უნდოდა წასვლა.

ავტორმა მოისურვა მისი ყოველნაირად დამახინჯება მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც მისი ქმარი, ესეც დაემცირებინა, გამოეფიტა ყოველნაირად და გაეხადნა რაღაცა ნივთად, გამოაცალა მთლად ადამიანური გრძნობანი.

მაგრამ ამავე დროს, აბა, ვნახოთ, რამდენს სიყალბეს სჩადის პატივცემული ავტორი.

მარგო – ეს ნაზი, განათლებული და ესთეტიურად აღზრდილი ქმნილება ბოგანო გახდა გაუზრდელ-უსწავლელ, ტყის ნადირისა.

იმდენად გახელებულია ეს ქალი, რომ თავის თავისათვის ანგარიში ვეღარც კი მიუცია. ყველგან მიჰყვება ჯაყოს დღეც-ღამეც, უადგილო-ადგილასაც, გომურშიაც, გოდრის გვერდზეც და სხვა. აღარაფრისა არც სცხვენიან და არც ენაღვლება. საშინლად აიგდო აბუჩად ქმარი და ჯაყოს მაგალითებით უქადაგებს მას. ერთგვარი სიანჩხლეც ეტყობა ქმრის მიმართ, თუმცა ისე ყოვლად „გამაძღარი და გათქვირებულია“.

ჯაყოს დაპირებებს, რომ მას „დედოფალისავით“ აცხოვრებდა, აჰყვა როგორც ბავშვი. ამისათვის ტყის ნადირის, გაქონილ, აყროლებულ ლეშის გასუთავება, გალამაზება და სწავლებაც კი მოისურვა. აქედან ემჩნევა, რომ სულიერი **სიფაქიზე არ დაუკარგავს ამ ქალს** და გიკვირს, თუკი ამოდენა შრომა გასწია ჯაყოზე, ნუთუ ვერ შეეძლო თავისი 15 წლის ნაქმრევი, რომელსაც გასუფთავება არ ესაჭიროებოდა, ვეღარ გაამხნევა, მასზედ ვეღარ იზრუნა და ვერ ანუგეშა, როცა თეიმურაზი ასე სთხოვდა მას ქალაქში ყოფნის დროს.

ეს სრულებით არ აკმარა ქალის სულიერ მდგომარეობის გადასამახინჯებლად.

ავტორის ჩვენებით, მარგოში მარტო დამშეულ დედაკაცს ვხედავთ, რომელიც ოღონდაც დაოკებულიყო და არ დაგიდევდათ კაცი იქნებოდა, ნადირი, ძაღლი თუ რა. ასეთ ადამიანს გონების კონტროლი ან თვით გონება, ოდნავაც არ ექნებოდა და რა საჭირო იყო ამ ადამიანური გრძნობის გამოჩენა: როცა ის ორივე არსებას, თავის ქმარს და ჯაყოს ასე ადარებს და ახასიათებს?

„მარგოს შერყეულმა სულმა ღამე ვეღარ მოისვენა. თვალწინ დაუდგა თეიმურაზი, – სხეულით მჩატე, წიგნებზე დალეული და სულით დაჭიანებული. ძალაუნებურად შეადარა (რა ნაძალადევი და არა ბუნებრივი სიტყვებია! ა. ღ.) მან თავისი ნაკაცარი ქმარი გამხეცებულ ჯაყოს, რომელიც ნადირივით თავაგლეჯი იყო, კადნიერი და რეგვენი, ხეპრე და მოუხეშავი, სამაგიეროთ „დათვივით ღონიერი“ და სხვა.

დიდი რაინდული ლიტერატურა ჩვენ არ გვაქვს, ისეთი, როგორიც ესპანელებს,

რომ სერვანტესი გამოსჩენოდა, რათა „ღონიერი და რაინდობის“ მაძებარი ქალები გაეფანტა და მარგოს ჯაყო თურმე იზიდავდა იმიტომ, „რომ ღონიერი“ იყო.

ამასაც თავი დავანებოთ!

როდესაც მარგოს საკითხი წამოიჭრა, თუ ვისთან უნდა დარჩენილიყო, იარაღით და სიტყვებით ეს დავა რომ ვერ გადასჭრა ორმა მამაკაცმა, ქალი ჩაირიეს ამ საკითხის მოსაგვარებლად. და იმართება ასეთი სცენა: თეიმურაზი ეკითხება, დასტოვებს თუ არა ჯაყოს ოჯახს და გაჰყვება მას? დუმილი და უხმო კვნესა. ჯაყო ეკითხება ბრძანებით: „ვინ გინდებოდეს მე თუ ბრინკაი?“ ახლა ქვითინი და პასუხი – „გრცხვენოდეთ“.

ასეთი ქალის სხეულით ვაჭრობას თვით მაჰმადიანთა ცხოვრებაშიც ვერ ვნახავთ, და ნუთუ ჩვენში ასეთი დამცირებული სცენა მოითმინა ქალმა?

მაგრამ რომელი ერთი წვრილმანი და დიდმანი ამოვწეროო?

სულ უკანასკნელი მდგომარეობა მარგოსი. ის ღრმად მოსტყუვდა, ჯაყომ ხატად არ გაიხადა, მალე ამოსვარა და ეს „ნაკნეინარი“ ისეთ დღეში ჩააგდო, როგორც თავისი წინა ცოლები: ამუშავებდა, ტომრებს ჰკიდებდა, ზოგჯერ სცემდა კიდევაც. ერთი სიტყვით, მუსიკისა და ცეკვა-მღერის მცოდნე ქალმა ყველაფერი ეს გადაივიწყა და ჯაყოს ღრიალზე გასცვალა.

რა საჭირო იყო ქალის ასეთი ყოველნაირი განათლების მიცემა და უმაღლესი კულტურის ზიარება?

ერთი კიდევ: განა შეიძლება ამისთანა შემაძრწუნებელი სცენის წარმოდგენა, როგორიც ამ რომანშია მოცემული?

თეიმურაზი დაბრუნებული და სახალხო საქმეში ჩარეული, იმითი იკლავს ჟინს, რომ თავის ნაცოლარს შორიდან ხედავს. უცბად თვალს მოჰკრავს, მარგო ოთხად არის მოკუზული ფქვილის ტომრის ქვეშ და წისქვილისაკენ მიდის. ნარაინდარი თეიმურაზი გახტება და „გზას გადაუღობავს და საფქვავს მისწვდება“, უნდა ჩამოართოს. მარგო არ აძლევს, მერე მაინც თეიმურაზი წამოიკიდებს და მარგო იცით რას იზამს? „წელში გასწორდა, ხვირთქლი მოიწმინდა და მაშინვე ბარბაცით უკანვე გატრიალდა“. და როცა თეიმურაზი ეტყვის: „შენც წამომყე წისქვილში! ვილაპარაკოთ, სათქმელი მაქვს! მარგომ არც კი მოიხედა...“

ამ ყოვლად წარმოუდგენელ სცენით ავტორს უნდოდა ჩვენთვის მოეცა ხე, ქვა, ყოვლად უგრძნობი რამ – და არა ქალი. მისთვის ჩამოაცალა ყოველივე სიფაქიზე, წყურვილი მეგობრის შოვნისა, ვისაც ეტყოდა თავის სულიერს და ფიზიკურს ტრაღედიას, რომ ჰსურდა ქალი გამოეყვანა ისეთი უძღები, რომ ერჩივნა ჟინდასაოკებლად ისევ მხეცის ხელში დარჩენა – როგორც მძორი. მაგრამ მკითხველს ნუთუ თვალები ისე აებმევა, რომ ოდნავმა ფსიქოლოგიურმა სინამდვილემ არ დააინტერესოს და ავტორის ქალის ფსიქოლოგიის უცოდინარობაში უვიცი არ დაუძახოს. ყალბი ფსიქოლოგიური მომენტების გადმოცემით კი წათამამებული ავტორი შორს ვერ წავა და ახალი ძალა ისევე შეაჩერებს მას, როგორც მისი საყვარელი ჯაყო.

სად გაგონილა ადამიანმა ისე დაჰკარგოს ყოველივე გრძნობანი და ვეღარ იპოვოს თავისი სულიერი წვა, რომ მეგობარის ყოლა აღარც კი არსებობდეს მისთვის. ყოველივე მწუხარების შვების მომცემი არის მისი თქმა, იმიტომ, რომ მას გულიდან „ლოდი“ ეცლება, ის ელის ადამიანისგან თანაგრძნობას, გამხნევების სიტყვას და იქ, სადაც ეს არ არის, ადამიანი ველად იჭრება და იქ შესტირის ბუნებას, მთას, ბალახს, ზოგჯერ უენო ბავშვთანაც კი საუბრობს.

და მარგო როგორ გაიტენა ჯაყოს ნადირობით, როგორ წაილეკა მასში ოდნავი ნასახიც კი ადამიანობისა (პირუტყვებსაც კი არ ექნებათ ასეთი სიჯიუტე), რომ მას აუცილებლივ უნდოდა „ მშველელი, პატრონი, მეგობარი“ – როგორც დაჟინებით ეუბნება ივანე თეიმურაზს, და იცის მარგომ ძალიან კარგად, რომ მისი ყოფილი ქმარი ამას შესძლებს და ამავე დროს რაღაც, როგორცა ვსთქვი, სიჯიუტით თუ რა მანქანებით, ზურგს შეუქცევს.

რომ ყოვლად დამცირებულად დახატოს ქალის პიროვნება ადგილებისა და განცდების სიყალბესაც ბევრს ჰფანტავს პატივცემული ავტორი.

და ისეა დაბნეული ამ სიყალბეში, რომ ხშირად, თუმცა გარეგნულად უცნაური, მაგრამ შინაარსით კი ნამდვილი ქალური გამართლება და თავმოყვარეობა მაინც ვერ დაუკარგა ავტორმა, რამდენიც არ ეცადა, მარგოს.

მაშინ: როცა მარგო და თეიმურაზი სერიოზულად ლაპარაკობენ, სადაც მათი ბედი სამუდამოთ უნდა გადაწყდეს, რომ მარგო ჯაყოს გაჰყვება თუ არა, მარგოს გული თითქოს ლბება. საშინლად ეცოდება თეიმურაზი და თითქმის მზად არის ცოდვები მოინანიოს (ასეთი გულჩვილი ადამიანი, მერე პირს არიდებს თავის ქმარს, ჰმ!). სთხოვოს თეიმურაზს ამ ჯოჯოხეთის დატოვება და წავიდნენ ახალი ცხოვრებისაკენ. თეიმურაზი კი ჯაყოს ცოლობას ურჩევს, ამ დროს გაჩნდება ჯაყო, რომელიც ბრძანებით ეტყვის: „არ გაათავებდეთ, გეყოფად“. მარგო სწრაფად გამოიცვლება, უცბად წამოდგება, სიამაყით აიწევა, ამპარტავნულად ხელს გაუყრის ჯაყოს და იმ წუთშივე გაჰყვება.

ასეთი უცაბედი ცვლილება თითქოს ისტერიკული ქალის თვისება არის, და არა ისეთი დამშვიდებულის, როგორც მარგოსი, გარეგნულადაც თითქოს ასეთი უცაბედი გადასვლა-ცვლილება არ არის სწორე, მაგრამ მარგო აუცილებლივ ასე უნდა მოქცეულიყო, რადგანაც ამ შემთხვევაში ქმარმა ის დაამცირა, შეურაცხყოფა მიაყენა ქალს, მან კი ეს შეურაცხყოფა იგრძნო და ამიტომ ეს სცენა, რომელიც ავტორს ალბათ შეუმჩნევლად შეეპარა, ქალის, ე.ი. მარგოს სასარგებლოთ დაბოლავდა, რათა ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, რომ სრულად არ ჩამკვდარა იგი, როგორც პიროვნება.

აგრეთვე, თუკი მარგო იმას დახარბდა, რომ ჯაყო კარგათ აჭმევდა, ასმევდა და ძვირფასად ჩააცმევდა, ჯაყომ სულ მალე უყიდა კიდევაც ნაირ-ნაირი ტანისამოსი, ფარჩა და ხავერდი და რასაკვირველია, სულ რამდენიმე თვეში როგორ შემოაცვდა ამოდენა ტანისამოსი ამ ახალ კნეინას, რომ ბოლოს დაგლეჯილი, დაფლეთილი, ჭუჭყიანი დადიოდა და თეიმურაზის შესაცოდიც კი გახდა, რომლის წინაშეც ქედმოუხრელი გახლდათ.

და ყველაფრის ამის შემდეგ ამ დასკვნამდე მიდიხართ: საბჭოთა ხელისუფლებაში, როცა ქალი ყველა უფლებებით გათანასწორებულია, ყველამ დაინახა, რომ ეს მისი ღირსია, რადგანაც ქალი არც ისე გამოფიტული არის, როგორც ზოგს მეცნიერს და ცხოვრებაში მღოღავ წვრილფეხობასაც ეგონა, რომ ქალსაც აქვს ინტელექტი, მამაკაცზე არა დაბალი, მოქალაქეობა – უფრო სპეტაკი, მაშინ როცა ეხლა ეს ცხადი მაგალითებით სჩანს, მე დაუშვებლადაც კი მიმაჩნია ქალის ასეთი დამცირებით წარმოდგენა და მხოლოდ ქვენა ვნებების საგნათ გამხდარი. ასეთი ქალი ჩვენ არასდროს გვყოლია, არც ინტელიგენტი და არც მშრომელი, პირიქით, დაწყებული ყველა საქველმოქმედო საქმეებიდან, გათავებული თვით ქვეყნის მამოძრავებელ პარტიებშიც ყველა საშიში და შავი მუშაობა ქალს ეკისრებოდა და იგი პირნათლადაც ასრულებდა.

დღეს უდავოა, რომ უნდა მოიჭრას ყველა ძველი დამპალი და მისი სიდამპლე უჩვენოთ, რომ დაამცირო და უარყოფითი მხარეები გამოამჟღავნო ამა თუ იმ წოდებისა, ჯგუფისა და სხვა, ეს იმას არ ნიშნავს, სთქვა სიცრუე, ჩაიდინო სიყალბე და უმთავრესად **ლიტერატურული ბოროტება**.

თუ მწერალი რომანისტად გრძნობს თავს, მან უნდა ცხოვრების სინამდვილე მოგვცეს ავისა და კარგის თვისებებით. მან უნდა მოგვცეს მართლაც ისეთი გადაგვარებული და დამცირებული ადამიანი, რომლის შეხვედრაც ბევრი შეიძლება და ყველამ იცის, მხოლოდ არ არის იგი მოცემული მხატვრულ ლიტერატურაში. და არავითარი ღირსება არა აქვს იმ ნაწერს, მეტადრე რომანს, თუ იგი შორდება სინამდვილეს და გადადის მხოლოდ გარეგნულ სამკაულში, როცა შიგნით სიცრუეა.

ავტორმა მასსა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს, რომ ის მართლაც უნდა დარწმუნდეს ამა თუ იმ გმირის არსებობაში.

და არა ისე, რომ გარეგნულად მისაღები, დასაცინი იყოს და შინაგანი კი რომ გაეშინჯოს, ავტორის სიყალბეს, სიბეცეს და თვითეულ დახასიათებაში წინააღმდეგობას ამოიკითხავს.

სწორედ ასეთი ფსიქოლოგიური სინამდვილით არიან შემკულნი ეს ორი გმირი.

ავიღოთ მესამე პირი ჯაყო.

ეს არის ნამდვილი სიბოროტე ცხოვრებისა, იარა და ბალღამია ყველაფრისა, და მოურავის განსახიერება, რომელიც სხვადასხვა ოინბაზობით ხელიდან აცლის უზრუნველ თავადს მთელ ქონებას.

მთელი მისი მსოფლმხედველობა დამყარებულია ღონეზე. ამ ღონის წყალობით ის ყველაფერს უშიშრად ყბედობს და ყველას ემუქრება კიდევაც, იწვევს „ომში“ და თან თავის კომბალს, ხანჯალსა და მუშტს იმარჯვებს.

ეს მეტად პრაქტიკული მოხერხებული ადამიანია და ამიტომაც არც ერთ დროს, არც ერთ პირობებში არ იკარება. თავის ლუკმას, ზოგჯერ მსუქანსაც კი, ყოველთვის შოულობს. ყოველ მომენტს თავის ხერხს უმარჯვებს, წინათ თუ თავის თავადის მოძრავი ქონება ჩაიგდო ხელში, რევოლიუციის დროს მან არა მარტო თავადის უძრავი ქონების დასაკუთრება, მთელი ხალხის ბატონობაც კი მოისურვა.

მისი მუქარა, ყვირილი, მუშტის ტრიალი და ამავე დროს ლაქუცი, დაქრთამვა, ყველგან სჭრის.

ის ისე იცვლება, როგორც გაზაფხულის დღეები, სადაც სოფელს რამე დასჭირდება, ის არამკითხე მოსარჩლე გამოდის, რომლითაც ის ხალხს აჩუმებს, პირს უკრავს, ხათრსა და პატივისცემას პოულობს და მერე კი საყვედურით, მუქარითა და „ქრთამებით“ (თავის სასარგებლოთ) ინაზღაურებს ამ თავის ოდნავ „გარჯას“.

ჯაყო სინამდვილეს ენათესავება (თუმცა ოდნავი გადაჭარბება წვრილმანებში ამასაც ეტყობა) და ჯაყოები მრავლად არიან.

რევოლიუციამ წინანდელი მიმალული არამზადობა ამოატივტივა, რადგანაც მას დამალული არაფერი უყვარს და ბოროტმოქმედებაა თუ კეთილმოქმედება, რევოლიუციას სიმართლით უნდა ედგეს თვალებში.

ჯაყოც ეხლა ამოტივტივდა. იგი თავის განზრახვებს არა მალავს. მას ერთი სურვილი აქვს: მოხერხებულად, რითაც კი იქნება, ხელში ჩაიგდოს მამული, მიწა, უძრავ-მოძრავი ქონება, რომ უზრუნველყოფილი იყოს კეთილი ცხოვრებისათვის – ეს უწინ; ეხლა, ახალ ხანაში ის მეტად გონივრულად ირჯება, საითკენაც სასწორი გადაიხრება, ისიც იქითკენ გადაჰყვება. მან იცის, სად რა სთქვას, ვისთან როგორ იმსჯელოს, მოიქცეს და როგორც თვითონ ახასიათებს, იგი პრაქტიკოსი, „ჭკვიანი და თვალღიაა“. ამავე დროს, მას ჰქონდა „ცხოვრების ფხა“ და „გარეულ ძაღლივით ალღო განვითარებული“. ამის გამო ის ხალხს ეფერება, ეალერსება, ატყუებს, ქრთამავს, აშინებს, სცემს და „ახალი თავადობის“ ტახტის დადგმაცა სურს. მას ხელს უწყობს მოჭკვიანებული ნახუცარი ივანე, რომელსაც ყნოსვა აქვს და „ახალაზნაურობის“ გვირგვინს ანიჭებს ჯაყოს სადილზე სახალხოთ.

ამით უკეთესათ სწოვს გლეხობას გაგულისებული ჯაყო.

მაგრამ ამ მოვლენას როგორ შეხვდება გონებით საღი ახალთაობა, რომელიც ძირიან ფესვიანათ სჭრის მომპალ ხეს და რეცხავს დამყაყებულ ქვევრებს?

მან კარგათ იცის ამ ახალი „აზნაურის“ სიმსუნაგე, გაუმაძღრობა, თავაშვებულობა, გაიძვერობა, ის ჯაყოს შინაგან არსებაში შეჭრილია და ამიტომაც თავიდანვე ძირს დაანარცხებს ჯაყოს მადას, მის „აზნაურობას“, რაზედაც ჯაყო „ხუმრობით“ იბოდიშებს.

შემდეგ რა გზით აგრძელებს ხალხის სამსახურს?

ის „კაპრატივის“ „კჩორტუ“-სთან გადასახლებით სოფელს თავის კერძო დუქანს აპარებს და ტყავს აძრობს გლეხობას. მაგრამ გლეხობა ბოლომდე ბრმად არა რჩება. ის მალე მიხვდება ჯაყოს ვერაგობას და სცდილობს, მალე ამოსდოს აღვირი პირში ისე, რომ ვეღარც კი ამოისუნთქოს.

გლეხობამ მალე იგრძნო კოოპერატივის, სკოლისა და სხვა დაწესებულებათა აუცილებლობა, აგრეთვე იგრძნო ის, რომ შენობა და მიწა-მამული ნაბატონევისა, რომელიმე პიროვნებას კი არ უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ხელში ჩაიგდეს გაიძვერობით, თოფ-იარაღით, ხანჯლითა და მუშტით, არამედ ეს ჩამორთმეული

ხალხს – გლეხობას ეკუთვნის, მის განკარგულებაში უნდა იყოს, რომ ისე მოიხმაროს და მოაწყოს შიგ ის, რაც მთელს ხალხს ესაჭიროება, რაც მისთვის სასარგებლო იქნება.

ამ ხალხის თვალებამხსნელი ისევ ახალთაობაა – პეტრეს შვილის ნინიკას და მის მეგობრების სახით, რომელიც დიდი ხანი ემუქრებოდა ამ ახალ ბოროტ სოფლის თავს და მის ოინების ამოფხვრას სცდილობდა.

და ეს გუშინდელი ყოყლოჩინა, გაბერილი, ახალი აზნაური, „პრიალა ჩექმებიანი“, რომელიც მთავრობას ლოცავდა, რომ „საწყალ ხალხს მიწა მოგცა“-ო, დღეს წელში მოიღუნა, დაიფუკა, ისევ გაქონილ ტყავში შეძვრა, ხმა ჩაიკმინდა და მთელ თავის სიბოროტეს და აღშფოთებას „ნაკნეინარ“ ცოლის ცემაში იოკებს.

ასეთია ჯაყოს მსოფლმხედველობა და ასეთი წევრი გახლავთ იგი ახალი ჯანსაღი ცხოვრებისა.

რაც შეეხება სხვა მხარეს, იგი აქაც არანაკლები პირწავარდნილი პირუტყვია.

მან ხუთი წლის შემდეგ, რა წამს ნახა თავის ნაბატონევის მეუღლე მარგო (რომელსაც „ალერსს“ და ყურადღებას წინათაც არ აკლებდა), მაშინვე „მგლურის თვალით“ შეხედა. მისი დაპატიჟება ამისათვისაც იყო. ეს აზრი ღვინომ ჩაუჭედა ტვინში და ელვის სისწრაფით გადააწყვეტინა.

როგორც ხალხის „თავი“, როგორც ახალ თავადობისათვის მომზადებული, რომელმაც თავისი ნაბატონევის უძრავ-მოძრავი ქონება ხელში ჩაიგდო, ახლა მისი ცოცხალი არსების დასაკუთრებაც სურს, რადგანაც მას გვერდში აუცილებლივ „ნაკნეინარი, განათლებული“ უნდა ედგეს, იმიტომ, რომ ეს მას „მოუხდება“, ეს მას ასე „უნდა“.

ის, რომ მარგოს მიმართ ყველაფერში მომზადებული და წინასწარი განზრახვით ირჯება, ეს თავიდანვე ეტყობა.

პირველი, როცა მარგოს სადგურზე დახვდება, თან ჩამოიტანს ღვინოს, ქათამსა და სხვა, იმ განზრახვით, რომ ვახშმად და ღამის გასათევად გზაში უნდა დარჩენილიყვნენ.

შემდეგ, დღიდან მარგოს მისვლისა, ჯაყო სცდილობს, ვაჟკაცობისა და თავისი გავლენის ჩვენებას, ყველას მბრძანებლობს, ყველას უყვირის, ყველას საქმავს და უმთავრესად სცდილობს, მარგოს წინაშე თეიმურაზი დაამციროს, როგორც მამაკაცი. ხან ქათამს აძლევს დასაკვლელად, რომ ცოლს მისი „ქალაჩუნობა“ აჩვენოს, რადგანაც ის ვერ დაჰკლავს, ხან დაუძახებს ბრინკას – რომლის განსახიერებაც იყო „გონჯი, დავრდომილი, საბრალო და ყველაფრით უბადრუკი“ ადამიანი (ეს სახელი ბოლომდე შერჩა), ხან უშვილობაზე დასცინებს და ყველაფერს ამას იტანს, თავმორჩილებით ითმენს განათლებული თეიმურაზი, რომელიც სოფლის მასწავლებლობასაც კი არა კადრულობს და ნამოურავალის თვითეულ „მოწყალებას“ ან ფულით, ან შეხიზვნით სიამოვნებით იღებს და მის გადახდას ოდესმე ჰპირდება.

ამნაირად ჯაყო ყოველნაირად სჩაგრავს თეიმურაზს. როცა თეიმურაზს წყლი-

დან ამოიღებენ, ჯაყო და მარგო მის სანახავად მიდიან, ჯაყო ასეთი დაცინვით მიმართავს: „ძაღლი კოწლობით არ მოკვდებიო“. ეს გაბედულება, ეს დამცირება მხოლოდ მარგოსთვის მოიმარჯვა, და ისიც ქმრის საცოდაობისათვის ჩამოსული, სასწრაფოდ გაჰყვება უკან ჯაყოს. მაშ, რისთვის ჩამოვიდნენ? იმიტომ, რომ ჯაყოს თავისი უფლებები ეჩვენებინა მარგოსთვის, რომ მას სამუდამოთ „შეჰზიზღებოდა“ ქმარი – როგორც დამცირებული და ნათრევი.

მაგრამ სადამდის მიდის ჯაყოს დაცინვა?

როცა თეიმურაზი თავის „ნაცოლარს“ უნდა დაჰლაპარაკებოდა, ჯაყო ან თვითონ უნდა ყოფილიყო იქვე, ან სხვა დაესვა დარაჯათ.

ესეც არის განზრახ, იმისათვის, რომ თავისი სიძლიერე გამოეჩინა და თეიმურაზი კი მარგოს თვალში დაემცირებინა.

აი, ასეთია ეს სამი მთავარი გმირი ამ სენსაციური რომანისა.

ყველა ეს ცოდვები ავტორისა მკითხველის თვალში ერთბაშად იმიტომ ვერ მჟღავნდება, რომ მთელი რომანი ენაწყლიანობით არის დაფერილი.

ივნისი, 25 წ., ხარფუხი
ანა ღვინიაშვილი

ქართველ მწერალ ქალთა
სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი,
1925, გვ. 104-118

კლარა აისნერი - ცეტკინი

1857-1933

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა

ცვლილება დედაკაცის ეკონომიურ მდგომარეობაში

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შორეულ ხანას, როდესაც ეგრეთ წოდებული „მატრიარხატი“ (ანუ დედაკაცის უფროსობა) ზოგიერთ ხალხთა შორის დედაკაცებს შესამჩნევ სოციალურ როლს ანიჭებდა, ქალს ყოველთვის უყურებდნენ, როგორც დამოკიდებულს და დაბალ არსებას. მამაკაცის ეგოიზმმა და მოუხეშავმა ძალამ რკინის ჯაჭვებით შებოჭეს ქალი და ყოველივე საშუალება მოუსპეს მას რაიმე გავლენა მოეპოებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„დიასახლისის ღირსებაზე“ და მის სულიერ სიმდიდრეზე სენტიმენტალური მასლაათით და მაღალ-ფარდოვანი სიტყვებით მამა-კაცები აფუჩეჩებდნენ დედაკაცის დაბეჩავებას, მის მონურ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ქალის მდგომარეობა ყოველთვის მშრომელი ხალხის მდგომარეობას უდრიდა. დედაკაცი ყოველთვის ისეთივე დამოკიდებული და უფლებებს მოკლებული იყო, როგორც მშრომელი ხალხი. საბერძნეთისა და რომაელ ქალბატონების უფლება და მოვალეობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ძველებური მონა დედაკაცის უფლება-მოვალეობისაგან. იგივე ითქმის საშუალო საუკუნეების ქალბატონის და მისი ყმა-მოსამსახურე დედაკაცის მდგომარეობაზე. რაც შეეხება თანამედროვე დედაკაცს, მისი მდგომარეობა ქირაზე მომუშავე მამაკაცის მდგომარეობაზე ბევრათ უარესია.

როგორც ქირაზე მომუშავე მამაკაცი, ისე ქალიც, ორივე საექსპლუატაციო (გასაყვლეფ) ობიექტს (საგანს) წარმოადგენენ. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქალი უფრო ნაკლები უფლებებით არის აღჭურვილი და უფრო ადვილათ ხდება ექსპლუატაციის მსხვერპლათ.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ქალის მდგომარეობა რაიმე მუდმივ იდეაზე და ქალის უცვლელ „ბუნებრივ დანიშნულებაზე“ როდია დამოკიდებული. ეს „ბუნებრივი დანიშნულება“ და რაღაც იდეები სენტიმენტალური ეგოიზმის მოგონილია. საწარმოო დამოკიდებულებასთან ერთად იცვლებოდა ქალის მდგომარეობაც. ის პირობები კი, რომლებიც ეკონომიურ აუცილებლობის გამო, ისტორიის სხვა და სხვა ხანებში ქალის მდგომარეობას საზღვრავენ, დროის შესაფერ იდეებს ბადებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დანიშნულებაზე.

დედაკაცის დამოკიდებული მდგომარეობა იწყება იმ დროიდან, როდესაც გამარჯვებული მეომრები იტაცებდნენ ქალებს და მათ თავის პირველ კერძო საკუთრებათ და საუკეთესო მუშა ძალათ ხდიდნენ.

ამნაირათ მამაკაცმა დასდო ქალის ეკონომიური და საზოგადოებრივი დამოკიდებულების საფუძველი. კაცსა და ქალს შორის შრომა განაწილდა: დაუმუშავებელი საქონლის მოპოვება და მტრის მოგერიება (ომი) ერგო კაცს, ხოლო შინაურ, საოჯახო საქმეებზე ზრუნვა – ქალს.

ამაზე აშენდა დღეს უკვე დახავსებული, მაგრამ საზოგადოებაში მაგრად ფეხ-

გადგმული ცრუმორწმუნოება, რომ „მთელი სამყარო წარმოადგენს მამაკაცის სახლს, ოჯახი კი დედაკაცის სამყაროს“.

რაც შექმნა ძალმომრეობამ, ის აკურთხა და დააკანონა ჩვეულებამ.

ქალის სისუსტე და უძლურება, საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა ჭეშმარიტებათ, დაურღვეველ საბუთათ, რომელზედაც ააშენეს მთელი სისტემა ქალის საზოგადოებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ტანჯვა-წვალებისა.

საღმრთო წერილის გადმოცემით პირველი კაცის ცოდვა ევას წყალობით მოხდა; ასკეტებიც ხომ იმავე აზრისანი იყვნენ, რომ ქალი ცხონების საქმეში ხელისშემშლელ არსებას წარმოადგენს.

ამ ნაირათ შედგა აზრი ქალის უღირსობაზე, არარაობაზე და აქედან კი დაურღვეველი აზრი – ქალის კაცისაგან დამოკიდებულებაზე. როგორც თეოლოგიურმა შეხედულებამ მოიგონა, რომ ხარები ვითომ მისთვის იყოს გაჩენილი „რომ კაცს ექმნეს საშუალება ჭამოს ხორცი და ატაროს ტყავის ფეხსაცმელი“ – ისე ფილოსოფოსთა და კანონმდებელთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ქალი არის გაჩენილი მამაკაცის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, დასატკბობათ, შთამომავლობის გასაგრძელებლათ და საოჯახო საქმისთვის.

ქალის ვითარება ელტვოდა მხოლოთ ერთ მიზანს: ქმრის მფარველობის ქვეშ მას უნდა ეშრომნა ოჯახში, ოჯახის სასარგებლოთ.

მამაკაცი, რომელიც ოჯახის ბატონპატრონათ ითვლებოდა, ახვევდა ქალს კისერზე აუარებელ საქმეს და ნაცვლათ ამ აუტანელი შრომისა, მხოლოთ არჩენდა მას.

სანამ წარმოება არ იყო ისე გაუმჯობესებული, როგორც ეხლა, ქალის მოქმედების წრეც არ შეიძლებოდა გაფართოებულიყო. ქალი იყო მიჯაჭვული ოჯახზე პირვანდელი შრომის განაწილებით და წარმოების თვისებით. ძველი წარმოება ართმევდა მას იმდენ დროს, იმდენ შრომას და ისეთი უნაყოფოც იყო, რომ მთელი თავის დრო და ძალ-ღონე სჭირდებოდა ქალს ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ის პატივისცემა, რომლითაც ეპყრობოდნენ ქალს, როგორც კარგ დიასახლისს, მიუხედავათ მისი უუფლებო მდგომარეობისა, იყო აუცილებელი შედეგი ოჯახური დამოკიდებულებისა. ძველი დიასახლისის როლი პოულობდა ახსნას მაშინდელ ეკონომიურ პირობებში. ეხლანდელ პირობებში კი ძველი დიასახლისის როლი წარმოადგენს ეკონომიურ ანახრონიზმს, რადგან წარმოების პირობების ცვლილებასთან ერთად ქალისა და კაცის როლებიც შეიცვალენ, განსხვავდნენ როგორც გარეშე ეკონომიურ ცხოვრებაში, ისე ოჯახშიაც.

სანამ მეფობდა შინაური წარმოება და ქალის შრომა ოჯახისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, მანამ „ქალთა კითხვა“ არ შეიძლებოდა წარმომდგარიყო. მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოთ ქალის მდგომარეობის ასე თუ ისე გაუმჯობესებაზე და არა „ქალთა კითხვაზე“, ქალის მდგომარეობის ძირითად ცვლილებაზე, რადგან მასთან ერთათ მთელი მაშინდელი ცხოვრება, მთელი მაშინდელი კულტურა ძირიანათ უნდა შერყეულიყო.

„ქალთა კითხვა“, როგორც თანამედროვე მუშათა კითხვა შედეგია ცვლილებისა მრეწველობაში, რომელიც გამოიწვია მანქანურმა წარმოებამ, ვაჭრობამ და ელექ-

ტრონმა. „ქალთა კითხვა“ არ წარმოადგენს არც პოლიტიკურს და არც ზნეობრივ კითხვას მიუხედავად იმისა, რომ მასში პოლიტიკური და ზნეობრივი ელემენტებიც არის.

ეს არის კითხვა ეკონომიური. აზრი ქალთა ემანსიპაციაზე არ შეიძლებოდა დაბადებულიყო მანამ, სანამ არ მოევლინა მხსნელათ მანქანა, რომლის ბორბლების გრიალ-ხრიალში ქალს პირველათ მოესმა ხმა თავისუფლებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობისა.

მრეწველობა თან და თან გაფართოვდა, წარმოება მანქანისა და ორთქლის შემოღებით თან და თან გაადვილდა, შრომის ნაყოფი გაიაფდა, მათი შეძენა გაადვილდა. ამნაირათ ქალი თავისუფლდება სხვა და სხვაგვარ საოჯახო შრომისაგან.

შინაურისა და წვრილ წარმოების მოსპობასთან ერთად, ქალის ძველებური საოჯახო მოქმედებაც უსათუოთ უნდა მოსპობილიყო.

სხვილი წარმოება იძლეოდა ყველა საგნებს, რაც საჭირო იყო ოჯახისთვის ისე იაფათ, რომ მათი ოჯახში გაკეთება წარმოადგენდა უნაყოფო დროის დაკარგვას. უწინდელი დიასახლისი, რომელიც იჯდა სახლში და სხვის დაუხმარებლათ ამზადებდა ოჯახისთვის ყოველგვარ საჭირო საგნებს: საპონს, სანთელს, ძმარს, რომელიც თვითონ ართავდა, ქსოვდა, კერავდა, ქარგავდა, ღებავდა, პურს აცხობდა და ყასბობდა, შეიქმნა დღეს ისტორიულ ანახრონიზმათ.

საფეიქრო მრეწველობა და ფაბრიკები ამზადებენ დღეს ყოველგვარ ტანისამოსს, საკონსერვო ფაბრიკები — ყოველგვარ ტკბილეულობას, წნილებს, დამჟავებულ და დამარილებულ საჭმელებს. ეხლანდელი მრეწველობა იძლევა ამ საგნებს ისე იაფად, რომ დიასახლისი დაუმუშავებელ ნედლ მასალასაც ვერ შეიძენს იმ ფასათ.

რეცხვა და უთოობა დღეს სპეციალისტების ხელში გადავიდა და ეს საქმე თან და თან სხვილ მანქანურ წარმოების ობიექტი ხდება. რაც შეეხება საზრდო სურსათის დამზადებას, ეს საქმე ეკონომიურ წარმატებასთან ერთად თან და თან გადადის ოჯახიდან საზოგადოებაში.

მრეწველობის ბევრგვარმა დარგმა, რომელიც ამ ასი წლის წინეთ სრულებით უცნობი იყო, დღეს უკვე გაანთავისუფლა ქალი უმრავლეს სამზარეულო შრომისაგან.

საზოგადოთ ახლა, როდესაც ქალმა დაკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა, როდესაც ეკონომიური პირობები სრულებით გამოიცვალა, ბურჟუაზიული წრის ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფუფუნების საგნის როლს თამაშობს, წარმოადგენს იმისთანა ქმნილებას, რომელიც თითქო მარტო განცხრომისთვის და მამაკაცის სქესობრივი მოთხოვნილებისთვის იყოს ქვეყნათ გაჩენილი.

წვრილ ბურჟუაზიული კლასის დედაკაცები და ქალიშვილები, რადგანაც მათი ცხოვრების პირობები სრულიათ გამოიცვალენ, იძულებული გახდენ ოჯახიდან გასულიყვნენ და საკუთარი ძალ-ღონით დაეკმაყოფილებიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მათ მოკიდეს ხელი სხვადასხვა თავისუფალ პროფესიებს (მასწავლებლობას, ავათ მყოფთა მოვლას და სხვა) და მრეწველობის იმისთანა დარგებს, რომელნიც ხელოვნებას უახლოვდებიან.

ქალთა ლტოლვილება განათლებისადმი არ გამოუწვევია არც ცოდნის შეძენის სურვილს და არც დედაკაცისა და მამაკაცის სულიერათ გათანასწორების შეგნებას. ასეთი ძირითადი ცვლილება მხოლოთ ეკონომიური პირობების ძალით მოხდა.

საქმე ლუკმა პურს შეეხებოდა, იმ ლუკმა პურს, რომელზედაც უნდა ეზრუნა ქალს თითონ, თუ მარჩენალი კაცი არ აღმოჩნდებოდა მისთვის.

წვრილი ბურჟუაზია თან და თან ქრებოდა და ამავე დროს თან და თან იზრდებოდა ქალთა შორის განათლების სურვილი.

რაც შეეხება იმ ქალებს, რომელნიც თვით მშრომელი ხალხის შვილები იყვნენ და საზოგადოების გაღატაკებული ელემენტების წარმომადგენლებათ ითვლებოდნენ, იმავე ეკონომიურმა პირობებმა, რომელთაც ერთიანათ დაშალეს და მოსპეს დედაკაცის უწინდელი მოქმედების ასპარეზი, აღმოუჩინეს მათ სრულებით ახალი შრომის წყარო – ინდუსტრია (მრეწველობა).

ამგვარათ, ქალთა მოქმედება საბოლოოდ გადავიდა ოჯახიდან საზოგადოებაში...

ქალი აწი ვეღარ დარჩება ოჯახის კერასთან, იმან უნდა იცხოვროს საზოგადოებაში და ყველა მისმა ეგოისტურმა ინტერესებმა ადგილი დაუთმოს საზოგადო, ფართო სოლიდარობის გრძნობას. ყველა პოლიტიკური და სოციალური უფლებები ქალისა მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას სრულიათ უნდა ეთანხმებოდეს, უნდა ეთანხმებოდეს როლს ნაყოფიერი მწარმოებელისას. ის აზრი, რომ ქალს, რომელიც თანამედროვე მრეწველობაში თვალსაჩინო როლს თამაშობს, არ უნდა მიენიჭოს პოლიტიკური უფლებები მხოლოთ იმიტომ, რომ ის სამხედრო მოვალეობას არ ასრულებს, – ყოვლად შემცდარი აზრია.

პოლიტიკურმა ეკონომიამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ყოველგვარ შრომას, რომელიც საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლოა, თანასწორი ფასი აქვს.

დედაკაცის შრომის მამაკაცის შრომაზე დაბლა დაყენება, – ეს ძველი, გარდამავალი ხანის შეხედულებაა, როდესაც შრომა ორგვარი იყო: „მაღალი“ და „დაბალი“, „კეთილშობილური“ და „უბრალო“, ხოლო უმაღლეს და უკეთილშობილეს შრომათ კუპონების ჭრა ითვლებოდა.

ის აზრი, რომ ქალებს „გონებრივი სიმწიფის“ უქონლობის გამო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთო, მეტად შემცდარი და დახავსებული შეხედულებაა. პოლიტიკურს და ეკონომიურს გამოცდილებას ქალი კერასთან ვერ შეიძენს. პოლიტიკური სიმწიფე არის შედეგი გამოცდილებისა და დაკვირვებისა, რომელსაც კაცი თვით ცხოვრებაში იძენს. და ქალიც, როგორც ნიჭიერი და ყველაფრის ადვილათ შემთვისებელი არსება, მალე შეიძენს მას. აქამდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის მიღებას ხელს უშლიდა, როგორც კაცის თავმოყვარეობა, ეგოიზმი, ისე თვით ქალის გულგრილობა, ინდიფერენტიზმი. თანამედროვე ეკონომიური და სოციალური პირობები აიძულებენ ქალს პოლიტიკური უფლებები მოითხოვოს და იმ მნიშვნელოვანი როლის წყალობით, რომელსაც ის თანამედროვე მრეწველობაში თამაშობს, უსათუოთ მოიპოვებს ამ უფლებებს, თუ გინდ ეს მისი ქმრის ან თვით ქალის სურვილებს ეწინააღმდეგებოდეს.

კლარა ცეტკინი

(თარგმანი რუსულიდან სან-დონისა), სტამბა ექ. ივ. ხელაძისა,
რუსის ბაზარი, სახ. სომ. სასულ. სემ., ტიფლისი, 1905

ავგუსტ ბებელი

1840–1913

დედაკაცი და სოციალიზმი

დიდი სოციალური გადატრიალების ხანაში ვცხოვრობთ ჩვენ. სოციალური მოძრაობის განვითარება და აზროვნების ამუშავება ემჩნევა საზოგადოების ყველა წრეებს, რაიცა ღრმა ცვლილებას იწვევს ცხოვრებაში. ყველა გრძნობს, რომ ნიადაგი ირყევა, რომ იბადება აუარებელი ახალი საკითხები, რომელნიც აინტერესებენ ფართე საზოგადოებას და, რომელთა გადასაჭრელათ ყველგან ცხარე კამათია გაჩაღებული. ერთ-ერთ უმთავრეს და დიდ-მნიშვნელოვან საკითხათ, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ცხოვრებაში, უნდა ჩაითვალოს „ქალთა საკითხი“.

ეს საკითხი ეხება იმას, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს დედაკაცმა ჩვენ სოციალურ ორგანიზმში, რა გზით შეუძლია მას ყოველმხრივ განავითაროს თავისი ნიჭი და ძალები, რომ საზოგადოების სრულ-უფლებიანი, თანასწორი და შეძლებისდაგვარათ აქტიური წევრი გახდეს. ჩვენი შეხედულებით, ამ საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს იმ საკითხთან, თუ როგორი ფორმა და ორგანიზაცია უნდა მიიღოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, რომ მოისპოს ჩაგვრა, ექსპლოატაცია, გაჭირვება, სიღარიბე და მათ მაგიერ კერძო პიროვნების და მთელი საზოგადოების ფიზიკური და სოციალური სისაღე გაბატონდეს. ასე რომ, ქალთა საკითხი წარმოადგენს ერთ მხარეს საერთო სოციალური საკითხისას, რომელსაც მთელი საზოგადოების ყურადღება უპყრია და დიდ აზრთა მოძრაობას იწვევს; ამიტომ მისი საბოლოოთ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი და აქედან წარმოშობილი ბოროტება.

მიუხედავათ ამისა, მაინც აუცილებელია ქალთა საკითხის **სპეციალურათ განხილვა.** პირველათ იმიტომ, რომ ჩვენი საგანი, ე.ი. გამორკვევა იმის, თუ რა მდგომარეობაში იყო დედაკაცი წინეთ, წარსულში, რა მდგომარეობაშია ახლა და რა მდგომარეობაში იქნება მომავალში, – შეეხება საზოგადოების ნახევარზე მეტს; ყოველ შემთხვევაში ეს ითქმის ევროპიელებზე, რადგანაც აქ მდედრობითი სქესის რიცხვი მცხოვრებთა ნახევარს აღემატება. მეორეთ იმიტომ, რომ დღევანდელი ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა დედაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობა წარსულ ათას-წლეულების განმავლობაში, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, და ცხადია, საჭიროა ამას ნათელი მოეფინოს, გამოირკვეს. უმეტესი ნაწილი იმ ცრუმორწმუნეობათა, რომელნიც წინ ეღობებიან მოძრაობის გაძლიერებას, საზოგადოების სხვა-და-სხვა წრეებში და, სხვათა შორის, თვით ქალთა წრეებშიაც, სწორეთ ამ ქალთა მდგომარეობის უცოდინარობისა და გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ბევრნი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ქალთა საკითხი არ არსებობსო, რადგანაც ადგილი, რომელიც აქამდე ეჭირა ქალს და მომავალშიაც უნდა ეჭიროს ცხოვრებაში, სავსებით განისაზღვრება მისი „ბუნებივი მოწოდებით“, რომელიც მას ცოლისა და დედის მოვალეობას აკისრებს და ამით მის სამოქმედო ასპარეზს ოჯახის ფარგლებით ზღუდავსო. რაც ოჯახის ოთხ კე-

დელს გარეშე ხდება და რასაც მის ოჯახურ მოვალეობასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, იგი მას არ უნდა ეხებოდესო.

ამგვარათ, ქალთა საკითხშიაც ისე, როგორც საერთოთ სოციალურ საკითხში, სადაც უმთავრეს როლს მუშათა კლასის საზოგადოებრივი მდგომარეობა თამაშობს, ჩვენ ვხედავთ სხვა-და-სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე პარტიებს, რომელნიც სრულიად სხვა-და-სხვა გვარათ სჯიან და სწყვეტენ ამ საკითხს. ყველაფრის ძველებურათ დატოვების მსურველნი სწრაფათ იძლევიან მზა-მზარეულ პასუხს, რადგან საკითხი გადაჭრილი გონიათ, რაკი დედაკაცს მის „ბუნებრივ მოწოდებაზე“ მიუთითებენ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მილიონ დედაკაცს ფიქრიც კი არ შეუძლია თავის „ბუნებრივ მოწოდებაზე“; არ შეუძლია გახდეს მეოჯახე, დედა და აღმზრდელი იმ მიზეზებისა გამო, რომელთაც ჩვენ დაწვრილებით ქვევით განვიხილავთ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ სხვა მილიონები რამდენიმეთ მაინც რიგიანათ ვერ ახერხებენ თავის მოწოდების სამსახურს იმიტომ, რომ ქორწინება მათთვის მძიმე უღლათ და მონობათ არის გადაქცეული და მთელ სიცოცხლეს სიღარიბესა და გაჭირვებაში ატარებენ. მარა ეს ჭეშმარიტება ოდნავათაც არ აწუხებს ჩვენ „ბრძენებს“ ისე, როგორც არ აწუხებთ ის ფაქტი, რომ მილიონობით დედაკაცები, რომელთაც სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი მოწოდება იზიდავს ცხოვრებაში, იძულებული არიან უკანასკნელი სისხლის წვეთი გამოიწოვონ, ხშირათ არა ბუნებრივ საშუალებასაც კი მიმართონ, რომ საარსებო ლუკმა-პური იშოვონ. ამ არა სასიამოვნო მოვლენის წინაშე სწორეთ ისევე ხუჭავენ თვალებს და იყრუებენ ყურებს, როგორც პროლეტარიატის სიღატაკის წინაშე და თავიანთ თავსაც და სხვებსაც იმით ანუგეშებენ, რომ „ეს ყოველთვის ასე იყო და ასევე იქნება მუდამ“. ყურში გაგონებაც კი არ სურთ იმისი, რომ ყოველ დედაკაცს, ისე როგორც მამაკაცს, უფლება აქვს სავსებით ისარგებლოს თანამედროვე კულტურული შენაძენით, რომ ამით შეიმსუბუქოს და გაიუმჯობესოს თავის მდგომარეობა, განავითაროს და თავის ინტერესების მიხედვით მოიხმაროს ყველა თავის სულიერი და ფიზიკური ძალები; ხოლო, თუ ამას ისიც დაურთეთ, რომ დედაკაცის სულიერი და ფიზიკური დამოუკიდებლობისათვის საჭიროა მისი ეკონომიური დამოუკიდებლობაც, რომ იგი მხოლოდ ამით გახდება სრულიად დამოუკიდებელი მეორე სქესის მოწყალებისა და გულკეთილობისაგან, — მაშინ კი ისინი მოთმინებას კარგავენ, მათ წყრომას საზღვარი აღარა აქვს და მოქუხს საყვედურების ნაკადული თანამედროვე გადარეულობისა და „სულელურ“ ემანსიპატორულ მისწრაფებების წინააღმდეგ.

ესენი — ფილისტერებია მამრობითი და მდედრობითი სქესის, რომელთა ამოყვანა ამ ცრუმორწმუნეობათა და ყალბ შეხედულებათა მორევიდან, ყოვლად შეუძლებელია. ეს — ღამის ჭოტებია, რომელნიც იქ გაჩნდებიან ხოლმე, სადაც სიბნელე მეფობს და მწარეთ შეიცხადებენ, როგორც კი სინათლის შუქი შეიპარება მათ საყვარელ სიბნელეში.

ქალთა მოძრაობის მოწინააღმდეგეთა მეორე ნაწილი, მართალია, არ ხუჭავს თვალებს ხმა-მაღლა მღაღადებელ ფაქტების წინაშე. ეს ნაწილი, მართალია აღიარებს, რომ არც ერთ წინა ეპოქაში არ ყოფილა ქალთა უდიდესი ნაწილი საზო-

გადოებრივ კულტურის სიმაღლესთან შედარებით ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორც ახლა და ამიტომ სასურველათ მიაჩნიათ იმის გამოკვლევა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა; მარა ამასთანავე დასძენენ, რომ ეს ეხება მხოლოდ იმ ქალებს, რომელნიც თავის თავის ანაბარათ არიან. ამნაირათ, მოწინააღმდეგეთა ეს ნაწილიც იმ აზრისაა, რომ იმ ქალთა სოციალური საკითხი, რომელთა ნავმაც ქორწინების ნავთ-საყუდელში დაიბინავა, – ამით უკვე საბოლოოთ გადაჭრილია.

ამიტომ ესენი მოითხოვენ, რომ გაუთხოვარ ქალებისათვის გაიხსნას შრომის სამეფოს კარები იმ დარგებში, რომელნიც შეეფერებიან მათ ძალასა და ნიჭს, რომ მათ შეეძლოთ მეტოქეობა გაუწიონ მამაკაცებს. ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და მოითხოვენ, რომ მეტოქეობა შეუზღუდველი იყოს ხელოვნების და მეცნიერების სფერაშიც. ისინი მოითხოვენ, რომ დედაკაცს უფლება მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მიღების, სხვათა შორის – უნივერსიტეტშიაც. ისეთებიც მოიძებნებიან, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებასაც მოითხოვენ დედაკაცისათვის (ფოსტა-ტელეგრაფი, რკინის გზები და სხვ.) – და ურჩთა და შეუსმენელთ შეერთებულ შტატების მაგალითზე უთითებენ. ზოგიერთები მოითხოვენ ქალებისათვის პოლიტიკურ უფლებებსაც კი. ქალიც ხომ ისეთივე ადამიანი და მოქალაქეა, როგორიც მამაკაცი; კანონმდებლობა, რომელიც მამაკაცების ხელშია, იმას გვეუბნება, რომ კაცები თავიანთი პრივილეგიებით მხოლოდ თავის თავზე ზრუნავენ და დედაკაცებს კი, „ძალათ მაცხოვნე“ აპეკუნებათ ევლინებიან, რასაც დროა ბოლო მოეღოს. აღსანიშნავია, რომ არც ერთი აქ მოკლეთ მოყვანილი მისწრაფებათაგანი არ სცილდება თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების ფარგლებს. უბრალო კითხვაც კი არ დასმულა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ამ გზით რაიმე არსებითი და საფუძვლიანი გაუმჯობესების შეტანა დედაკაცის მდგომარეობაში. ბურჟუაზიულ, ანუ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზე მდგომნი, საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტათ სთვლიან სქესთა ბურჟუაზიულ თანასწორობის შემოღებას. იმათ ვერ შეუგნიათ, რომ რამდენათაც საკითხი ეხება დედაკაცის დაუბრკოლებლივ დაშვებას სხვა-და-სხვა წარმოებისა და მრეწველობის დარგში სამუშაოთ, იგი ფაქტიურათ უკვე განხორციელებულია და გაბატონებული კლასები ყველაზე ენერგიულათ უჭერენ მხარს ასეთ გათანასწორებას, როგორც მათი კლასიური ინტერესებისათვის სასარგებლოს. მარა დღევანდელ პირობებში დედაკაცის შრომის შეძლებას სამრეწველო და სახელოსნო დარგებში, შედეგათ მოსდევს მუშათა შორის ბრძოლის და მეტოქეობის გამწვავება და აქედან დაცემა როგორც დედაკაცის, ისე მამაკაცის სამუშაო ქირის, სულ ერთია, ჯამაგირის სახით ეძლევათ ეს ქირა თუ ხელფასის სახით.

აშაკრაა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არც სწორია და არც საკმარისი. არის სხვაგვარი გადაწყვეტაც. ესაა – დედაკაცის სრული მოქალაქეობრივი გათანასწორება მამაკაცთან. ეს არის მიზანი როგორც იმ მამაკაცების, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზე დგანან და თანაგრძნობით ეკიდებიან ქალთა მოძრაობას, ისე თვით ბურჟუაზიული დედაკაცებისაც, რომელნიც

მონაწილეობას იღებენ ამ მოძრაობაში. ამნაირათ, ეს უკანასკნელნი და მათი მომხრე მამაკაცები თავიანთი მოთხოვნილებებით, წინააღმდეგნი არიან მამაკაცთა იმ ნაწილისა, რომელნიც თავიანთი ვიწრო ფილისტერული შეხედულებით და, რამდენათაც საქმე ეხება დედაკაცთა უმაღლეს სასწავლებლებში და დიდ ჯამაგირიან საზოგადოებრივ თანამდებობაზე დაშვებას, მდაბალი, ეგოისტური გრძნობების და კონკურენციის შიშის გამო, მტრული თვალით უყურებენ ქალთა მოძრაობას; მაგრამ ისეთი კლასობრივი წინააღმდეგობა, როგორსაც ვხედავთ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, ამათში არ არსებობს.

თუნდა დავუშვათ კიდეც, რომ ქალთა ბურჟუაზიულ მოძრაობას შეუძლია განახორციელოს ცხოვრებაში მამაკაცებთან უფლებით გათანასწორების მოთხოვნილება, ამითი მაინც არ მოისპობა არც მონობა, რომლის უღელს მრავალი ქალი განიცდის დღეს თანამედროვე ქორწინების წყალობით, მაშასადამე, არ მოისპობა არც პროსტიტუცია და არც ცოლთა დიდი უმრავლესობის ნივთიერი დამოკიდებულება ქმრებისაგან. ქალთა უდიდესი ნაწილისათვის სულ ერთია, შესძლებს თუ არა საზოგადოების მაღალი წრეებიდან გამოსული რამდენიმე ათასი ქალი უმაღლესი სწავლა მიიღოს, აქიმის პრაქტიკა შეიძინოს ან და მეცნიერული კარიერა გაიკეთოს, სამსახურში დაწინაურდეს და სხვ., ეს ვერაფერს ვერ შეცვლის მათ საერთო მდგომარეობაში.

საზოგადოთ, ქალთა უმრავლესობა, მასსა, ორი მხრით იჩაგრება: ერთი მხრით იმით, რომ მამაკაცების სოციალური და საზოგადოებრივი ბატონობის უღელი აწევთ, და ქალთა ფორმალური გათანასწორება კანონის წინაშე და უფლებებში, – ასეთ ბატონობას მხოლოდ ფორმას შეუცვლის, გაუქმებით კი ვერ გააუქმებს. მეორე მხრით, მას ჩაგრავს ეკონომიური მონობა, რომლისაგან იტანჯებიან საზოგადოთ ყველა ქალები და განსაკუთრებით პროლეტარი ქალები დანარჩენ პროლეტარიატთან ერთად. აქედან გამოდის, რომ ყველა ქალები, განურჩევლად სოციალურ მდგომარეობისა, დაინტერესებული არიან, როგორც მდედრობითი სქესის ადამიანები, რომელნიც დღევანდელი კულტურული განვითარების წყალობით, მამაკაცის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რომ მათი ასეთი მდგომარეობა რაც შეიძლება ჩქარა შეიცვალოს არსებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო კანონებში და დაწესებულებებში შესაფერი ცვლილებების შეტანით. მაგრამ დედაკაცთა უმეტესი ნაწილი ამასთანავე ღრმათ დაინტერესებულია იმაში, რომ შეიცვალოს თვით **საფუძველი** თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილებისა, რომ გაუქმებულ იქნეს საქირაო შრომის მონობა, რომლისაგან ყველაზე უფრო სასტიკათ იტანჯება მდედრობითი სქესის პროლეტარიატი, მოისპოს აგრეთვე სქესობრივი მონობა, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული დღევანდელ ქონებრივ და საწარმოო ურთიერთობასთან.

ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობაში მონაწილე ქალები საჭიროთ არ სთვლიან ასეთ რადიკალურ ცვლილებების მოხდენას. როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფნი, ისინი ფართე პროლეტარულ ქალთა მოძრაობაში საშიშ და არა სასურველ მისწრაფებას ხედავენ, რომლის წინააღმდეგ აუცილებლათ ბრძოლაა

საჭირო. ამნაირათ, კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც ორ ბანაკათ ყოფს კაპიტალისტთა და მუშათა კლასს და დიდის სისწრაფით ვითარდება ურთიერთობის გამწვავების დროს, ქალთა მოძრაობაშიაც იჩენს თავს.

მიუხედავათ ამისა, ერთმანეთის მოწინააღმდეგეებს მაინც უფრო მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვინემ კლასობრივი ბრძოლით დაყოფილ მამაკაცებს; ასე რომ, მათ შეუძლიათ თავთავის გზით იარონ და ბრძოლის დროს კი, შეერთებული იერიშით მივიდენ მტერზე. ყოველ შემთხვევაში, ეს სწორია იმ სფერებში, სადაც ბრძოლა სწარმოებს დედაკაცის უფლებრივ გათანასწორებისათვის მამაკაცთან თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადობრივ წეს-წყობილების ნიადაგზე, — მაშასადამე, ქალთათვის სამოქმედო ასპარეზის გასახსნელათ ყველა იმ დარგებში, სადაც მათი ძალ-ღონე და ნიჭი გამოდგება მათთვის სრულ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თანასწორობის მოსაპოვებლათ. როგორც ვხედავთ, ეს დიდათ მნიშვნელოვანი და მეტად ფართე სფერაა. ამასთანავე, პროლეტარი ქალები, თავის მხრივ, დაინტერესებული არიან პროლეტარ კაცებთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლონ ყველა ასეთ ზომებისა და დაწესებულებების განსახორციელებლათ, რომელნიც დაიცავენ მშრომელთ ფიზიკური და მორალური გადაგვარებისაგან და უზრუნველყოფენ ქალში დედისა და აღმზრდელის ნიჭის განვითარებას. პროლეტარ ქალმა ამასთანავე მამაკაც პროლეტართან — კლასით და ბედით მის ამხანაგთან — ერთათ უნდა იბრძოლოს ძირითადი საზოგადოებრივი ცვლილებების მოსახდენათ, რომ ამით შექმნას ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც სრულ ეკონომიურ და სულიერ დამოუკიდებლობას მიანიჭებს ორივე სქესის მშრომელთ.

ამნაირათ, საქმე მარტო იმაში არაა, რომ თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ურთიერთობის ნიადაგზე განხორციელებულ იქნეს დედაკაცის უფლებრივი თანასწორობა მამაკაცთან, რაც ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობის მიზანს შეადგენს, არამედ იმაშიაც, რომ მოისპოს ყველა უკუღმართობანი, რომელნიც აწესებენ ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დაჩაგვრას და აქედან ერთი სქესის ბატონობას მეორეზე. ქალთა საკითხის ასეთი გადაწყვეტა, იგივე სოციალური საკითხის გადაწყვეტაა. ამიტომ ვისაც სურს ქალთა საკითხის სავსებით და საბოლოოთ გადაჭრა, ის ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიყვეს იმათ, რომელთაც თავიანთ დროშაზე სოციალური საკითხის, ამ მთელი კაცობრიობის კულტურული საკითხის გადაჭრა უწერიათ — და ესენი კი სოციალისტები არიან.

ყველა ამ პარტიებს შორის, სოციალ-დემოკრატიული პარტია **ერთათ-ერთია**, რომელმაც თვის პროგრამაში შეიტანა დედაკაცის სრული გათანასწორება მამაკაცთან და მისი განთავისუფლება ყოველგვარი დამოკიდებულების და დაჩაგვრისაგან არა აგიტატორული მოსაზრებით, არამედ ამის აუცილებლობის შეგნების გამო. კაცობრიობის განთავისუფლება არ მოხდება ისე, თუ სქესთა სოციალური დამოუკიდებლობა და თანასწორობა არ განხორციელდა.

აქ მოყვანილ დებულებებს ყოველი სოციალისტი უნდა დაეთანხმოს, მარა ესევე არ ითქმის იმ საშუალებებზე, რომლებითაც ჩვენ ვფიქრობთ საბოლოო მიზნის მიღწევას, ე.ი. იმაზე, თუ როგორი ზომები და დაწესებულებები უფრო შეუწ-

ყობენ ხელს საყოველთაო დამოუკიდებლობის და უფლებრივ თანასწორობის განხორციელებას.

როცა აწმყო ნიადაგს დაშორდები და მომავლის დასურათებას იწყებ, მაშინ ფართე გზა ეხსნება მრავალ სხვა-და-სხვა გვარ მოსაზრებებს და წინააღმდეგობებს. იმართება კამათი **იმაზე**, თუ რა უფრო მოსალოდნელია და რა არა. ამიტომ, რაც ამ მომავლის შესახებ არის გამოთქმული ამ წიგნში, იმას ისე უნდა უყუროთ, როგორც ავტორის პირად **შეხედულებას** და ყოველგვარი იერიშები ამ მხრივ მხოლოდ **პირადათ მის წინააღმდეგ** უნდა იყოს მიმართული; აქ მარტო ის აგებს პასუხს თავის ნათქვამში.

ჩვენ სიხარულთ შევეგებებით ყოველ გულწრფელ და ობიექტურ კრიტიკას, ისეთებს კი, რომელნიც განზრახ დაამახინჯებენ წიგნის შინაარსს, სიჩუმით ვუპასუხებთ. ყოველ შემთხვევაში, შემდეგში მოყვანილია ყველა ის დასკვნები, რომლებზედაც გვითითებს ფაქტების გამოკვლევა. ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება — აი, პირველი მოთხოვნილება ჭეშმარიტების გამოსაკვლევათ; დაურიდებლათ, გულახდილათ თქმა იმის, რაც არის და რაც უნდა იყოს, — აი, საუკეთესო საშუალება მიზნის მისაღწევათ.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

ბრძოლა მოქალაქობრივ უფლებათა გათანასწორებისთვის

სოციალურათ დამოკიდებული მდგომარეობა რასის, კლასის ან სქესის, ყოველთვის პოულობს თავის გამოსახულებას სახელმწიფო კანონებსა და პოლიტიკურ დაწესებულებებში. პარაგრაფებათ ჩამოწერილი კანონები გაბატონებულთა ინტერესების გამომხატველია და მთელი საზოგადოების უფლებათ კი არის აღიარებული. **ქალსაც, როგორც დამორჩილებულ, დაჩაგრულ სქესს, კანონმდებლობის მიერ ასეთი მდგომარეობა აქვს მიჩენილი.** კანონებს აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითი – რამდენათაც ისინი უყურადღებოთ სტოვებენ დაჩაგრულთ უფლებათა განაწილების დროს და დადებითი – რამდენათაც ისინი უთითებენ მათ თავის დაჩაგრულ მდგომარეობაზე, ან რაიმე გამონაკლის ქმნიან მათთვის.

საერთოთ, ჩვენი სამართალი დამყარებულია რომის სამართალზე, რომელიც ცნობს ადამიანს, როგორც მფლობელს. ძველ გერმანულ სამართალს, რომელიც უფრო ღირსეულათ ეპყრობოდა ქალს, მხოლოდ რამდენიმეთ აქვს შერჩენილი ძალა და მნიშვნელობა. ფრანგულ ენაზე მამაკაცი და ადამიანი ერთი და იმავე სიტყვითაა აღნიშნული: “l’homme”, ინგლისურათ: “man”; საფრანგეთის სამართალი ადამიანათ ცნობს მხოლოდ მამაკაცს, ასე იყო ამ რამდენიმე ათეულ წლების წინეთ ინგლისშიაც, სადაც ქალი დამონებული ყავდა მამაკაცს. ასე იყო ძველათ რომშიაც – არსებობდენ რომის მოქალაქენი და მოქალაქეთა მეუღლენი, მარა არ არსებობდა მოქალაქე-ქალი.

გერმანიაში ქალის უფლებრივი მდგომარეობის რამდენიმეთ გაუმჯობესებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მრავალგვარ და მრავალფეროვან უფლებრივ ურთიერთობათა მაგიერ, ერთი სამოქალაქო სამართალი შემოიღეს და ამით მთელ გერმანიაზე გავრცელდა ის უფლებები, რომლებითაც სარგებლობდენ ქალები ამა თუ იმ ადგილას. ამას გარდა, გაუთხოვარ ქალს, ყოველ გამონაკლის გარეშე, უფლება მიეცა მზრუნველათ დადგომის. ქალს უფლება მიეცა ქორწინებისა და ანდერძის დაწერის დროს მოწმეთ ყოფნისა; ქალმა მიიღო აგრეთვე იურიდიული საქმიანობის უფლება (дѣловую правоспособность), ე.ი. უფლება ყოველგვარ ხელშეკრულობის დადებისა, გარდა პირად ვალდებულებათა

(როგორც ცოლი); მას შეუძლია ქმრის ნება-დაურთველათ დადგეს მზრუნველათ (აპეკუნობა). ცოლ-ქმრულ ურთიერთობის ვალდებულება აწევს ორივე მხარეს, თუ რომელიმე მხარე ბოროტათ არ სარგებლობს თავის უფლებით. მაგრამ, თუ ცოლ-ქმართა შეხედულებები ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის მამაკაცს; მასვე ეკუთვნის საცხოვრებელ ადგილის და ბინის არჩევის უფლება. თუ ქმარი ბოროტათ სარგებლობს თავისუფლებით, ქალი პასუხს არ აგებს ამით გამოწვეულ შედეგებზე. ოჯახის ხელმძღვანელობა ეკუთვნის ქალს. მას აქვს ეგრეთ წოდებული „კლიტის უფლება“, რის გამო მას შეუძლია ქმრის საოჯახო საქმეებზეც იზრუნოს და მისი წარმომადგენელობა იკისროს. ქმარმა უნდა შეასრულოს ცოლის გაცემული ვალდებულება, მარა მას შეუძლია შეზღუდოს ან სრულიად წაართვას თავის ცოლს „კლიტის უფლება“. თუ ქმარი ბოროტათ სარგებლობს ამ უფლებით, მზრუნველთა სასამართლოს შეუძლია დაუბრუნოს ცოლს „კლიტის უფლებები“. ცოლი ვალდებულია, თავის თავზე იდვას ოჯახური საქმეები და დაეხმაროს ქმარს წარმოებაშიც, თუ ასეთი დახმარება ჩვეულებრივია მისი წრის პირთა ცხოვრებაში.

ცოლისა და ქმრის ქონების განცალკევება რეიხსტაგმა უარყო. განცალკევება შეიძლება მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულობით, რომელსაც ძალიან იშვიათათ დებენ ხოლმე და ეს შემდეგში ხშირათ აუტანელი მდგომარეობას ქმნის ოჯახში. კანონით კი, პირიქით, შემოღებულ იქნა საერთო გამგებლობა მთელი ქონების. ამის ძალით, ქმარს ეკუთვნის გამგებლობა და მფლობელობა ცოლის ადგილ-მამულის და ქონების, მარა ეს უფლება ეხება მხოლოდ ქალის მოტანილ ქონებას. მეორე მხრით, ცოლს უფლება აქვს თავის ნებისამებრ განაგოს და მოიხმაროს ის, რასაც ქორწინების შემდეგ შეიძენს თავის შრომით ან წარმოებით. ქმარს უფლება არა აქვს, რაიმე ვალდებულება დაადვას ქალის მოტანილ ქონებას, ქალს შეუძლია – მოსთხოვოს ქმარს უზრუნველყოფა თავის ქონების, თუ საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მას რაიმე ხიფათი მოელის ქმრისაგან, მარა ჩვეულებრივ ის გვიან ტყობილობს ამას. ცოლს შეუძლია – მოითხოვოს ქონების საერთო გამგებლობის მოსპობა, თუ ქმრის მოქმედებას შესამჩნევი ზიანი მოაქვს იმ წყაროებისთვის, რომლიდანაც იღებენ ცხოვრების სახსარს ცოლი და შვილები. ქმარი პასუხს აგებს იმ ზარალში, რომელიც მისი ცუდი გამგებლობისგან წარმოსდგება.

განქორწინების დროს ცოლის უფლებებს შეიძლება დიდი ზიანი მიეცეს. განქორწინების შემდეგ ქმარს რჩება ის ქონება, რომელიც ცოლ-ქმარის საერთო შრომითა შეძენილი, თუნდაც **განქორწინების მიზეზი ქმარი იყოს** და შეძენაზე კი, უმეტესათ ქალის შრომა იყოს დახარჯული; ქალს შეუძლია მხოლოდ მოითხოვოს, რომ ქმარმა მას მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაფერი

საზრდო გაუჩინოს, თუ საკუთარი ქონება ან ხელფასი არ აძლევს ასეთ ცხოვრების საშუალებას. ქმარს რჩება აგრეთვე ქალის ქონების ძველი შემოსავალი.

ამის უფლების მაგიერ მშობლების უფლებაა შემოღებული, მარა თუ მშობლების აზრი შეიტაკენ, უპირატესობა მამის აზრს ეძლევა. როცა მამა კვდება, მშობლიური უფლებები შვილებზე და მათი საკუთრებით სარგებლობა დედაზე გადადის. გათიშული ქალი კი, თუნდაც ის ზრდიდეს შვილს, მაინც ვერ მიიღებს მისი ქონების წარმომადგენლობას და განგებლობას. მამა კი სრული მშობლიური უფლებებით სარგებლობს.

ინგლისში ჩვეულებითი უფლებით, 1870 წლამდე ქმარი იყო ცოლის მოძრავი ქონების მფლობელი. უძრავი ქონება კი ცოლის საკუთრებას შეადგენდა, მარა ქმარს უფლება ჰქონდა მისი გამგებლობის და სარგებლობის. ინგლისში სასამართლოს წინაშე ქალი არაფერს არ ნიშნავდა. მას არ შეეძლო არავითარი იურიდიული მოქმედების შესრულება, არ შეეძლო კანონიერი ანდერძის დატოვებაც, ის ნამდვილი ყმა იყო თავისი ქმრის. თუ ქალი დანაშაულს ჩაიდენდა ქმრის თანადასწრებით – პასუხისმგებლობა უკანასკნელს ედებოდა, ქალს კი ისე უცქეროდენ, როგორც მცირე-წლოვანს. თუ იგი ვისმეს ზარალს ან ვნებას მიაყენებდა, ამას ისე უცქეროდენ, როგორც **შინაური პირუტყვის** ჩადენილს; პასუხის-მგებლობა ქმარს ეკისრებოდა. ეპისკოპოს ი.ნ. ვუდის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ვესტმინსტერის კაპელაში, სჩანს, რომ ასი წლის წინეთ ქალს ნება არ ქონდა სუფრაზე ეჭამა და არ შეეძლო ლაპარაკი დაეწყო, სანამ არ შეეკითხებოდნენ. საწოლს ზემოდან ბატონ ქმრის უფლების ნიშნათ შოლტი ეკიდა, რომლითაც ის სარგებლობდა კიდეც, თუ ცოლი ურჩობას გაუწევდა. დედას მხოლოდ ქალიშვილები ემორჩილებოდნენ, ვაჟები კი ისე უყურებდნენ, როგორც მოსამსახურეს; 1870, 1882 და 1893 წლებში გამოცემულ კანონებით კი, ცოლი ერთათ-ერთი მფლობელია თავის ქონების, რომელიც მას მოყვა ჯვარის დაწერის დროს ან რომელიც მემკვიდრეობით, ან საჩუქრათ მიიღო. ასეთი უფლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ განსაკუთრებული ხელშეკრულებით ცოლ-ქმართა შორის. ამ საკითხში ინგლისის კანონმდებლობა შეერთებულ შტატების გზას დაადგა.

მას აქეთ, რაც Custody of infants Act (1886) გამოიცა, მშობლიური უფლება მამის სიკვდილის შემდეგ დედაზე გადადის. 1890 წ. გამოცემული Insteat Act-ის ძალით, მემკვიდრეობითი უფლება შეიცვალა: მამას, როგორც წინეთ, უპირატესობა ეძლევა. ორთავეს – ცოლსაც და ქმარსაც უფლება აქვთ, თავისი ქონება ვისაც უნდათ, იმას უანდერძონ. თუ ცოლმა ვერ მოასწრო სიცოცხლეში განკარგულების მოხდენა, მისი სიკვდილის შემდეგ მთელი მისი მოძრავი ქონება ქმრის ხელში უნდა გადავიდეს. დედას კი ასეთ შემთხვევაში შეუძლია მიითვი-

სოს მხოლოდ ერთი მესამედი ქმრის მოძრავი ქონების, შეუძლია აგრეთვე მიიღოს მიწათ-მფლობელობიდან შემოსული ღალის ერთი მესამედი, დანარჩენი ქონება კი შვილებზე უნდა გადავიდეს.

1908 წ. გამოიცა ახალი კანონი: "Married women's Property Act". ამ კანონის ძალით, დაქორწინებული ქალი ვალდებულია გადაუხადოს მშობლებს და ქმარს ის, რაც დახარჯულა მის შესანახავათ. ბევრია კიდევ საშუალო საუკუნოებიდან დარჩენილი დედაკაცის შემავიწროებელი ნაშთები. ცოლ-ქმრობის გათიშვა დედაკაცისთვის მძიმე პირობებითაა განსაზღვრული. ღალატი ქმრის მხრივ, დედაკაცს არ აძლევს უფლებას, რომ ქორწინების დარღვევა მოითხოვოს.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ქალთა კანონმდებლობა საფრანგეთში და რომთა სახელმწიფოების უმრავლესობაში, რომელნიც საფრანგეთის სამოქალაქო დებულების (Code civil) გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან სადაც თვით ეს დებულება მოქმედებს მცირედი ცვლილებებით. ასეა ბელგიაში, ისპანიაში, პორტუგალიაში, იტალიაში, რუსულ პოლონეთში, ნიდერლანდიაში და შვეიცარიის კანტონების უმრავლესობაში. ამ კოდექსით, გათხოვების შემდეგ ქალი ქმრის მზრუნველობაში გადადის. §215-ის ძალით, მას ქმრის ნება-დაურთველათ არ შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში, თუნდაც საქმე საზოგადოებრივ უფლების დაცვას ეხებოდეს. §213-ის ძალით, ქმარი მოვალეა, დაიცვას ცოლი და ეს უკანასკნელი კი უნდა მორჩილი იქნეს მისი. ნაპოლეონ პირველის შეხედულებას ქალებზე, სავსებით ახასიათებს მისი სიტყვები, რომელთაც დღესაც არ დაკარგვიათ თავის მნიშვნელობა: „ერთი რამ არ არის ფრანგული – ესაა ქალი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის აკეთოს, რაც მოსწონს".[1] ქმარი განაგებს იმ ქონებას, რომელიც ცოლს მოყვა თან, შეუძლია გაყიდოს და დააგირაოს ეს ქონება ცოლის თან-დაუსწრებლათ და დაუკითხავათ. ამის შედეგი ისაა, რომ ფაქტიურათ ცოლი მონათ არის გადაქცეული. ქმარს შეუძლია სასტუმროებში როსკიპებთან გაფლანგოს ცოლის მოტანილი ქონება, შეუძლია წააგოს და ცოლ-შვილი ულუკმაპუროთ დასტოვოს. ქმარს უფლება აქვს ცოლის ხელფასი თვითონ მიიღოს ხოლმე დამქირავებლისაგან. დედაკაცი იძულებულია ცოლ-ქმრობას მოეკიდოს ასეთ დამამცირებელ პირობებში, როგორ შეუძლია უარის თქმა!..

ზემო-აღნიშნულ ქვეყნებში (საფრანგეთში 1897 წლამდე), დედაკაცს არ შეუძლია მოწმეთ გამოვიდეს ხელშეკრულობის დადების, ანდერძის დაწერის და ნოტარიალურ აქტების შედგენის დროს. მარა დახეთ წინააღმდეგობას, მას უფლება აქვს მოწმეთ გამოვიდეს სასამართლოში – ყველა სისხლის სამარ-

1. Louis Bridel. "La Puissance Maritale". Lausanne. 1879.

თლის საქმეებში, სადაც მის ჩვენებას შეუძლია ადამიანის სიკვდილით დასჯაც გამოიწვიოს. **სისხლის სამართლის წინაშე ის სრულ-უფლოვან ადამიანათ ითვლება და ყოველგვარ დანაშაულობისთვის მას ისეთივე საწყაულით მიუწყავენ, როგორც მამაკაცს**. ბატონ კანონმდებლებს ვერ შეუგნიათ ეს წინააღმდეგობა. ქალს, თუ ის ქვრივია, შეუძლია თავის ქონება ვისაც უნდა, იმას უანდერძოს, მარა სახელმწიფოთა უმრავლესობა მას არ იღებს მოწმეთ ანდერძის დაწერის დროს, თუმცა იმავე დროს იგი სამოქალაქო კოდექსის 1029 მუხლის ძალით, შეიძლება ანდერძის ამსრულებლათ იქნეს დანიშნული. იტალიაში 1877 წლიდან ქალს იღებენ სრულ-უფლებიან მოწმეთ სამოქალაქო საქმეებშიაც.

„Code civil"-ის თანახმათ, საფრანგეთში ქმარს შეუძლია გათიშვა მოითხოვოს, თუ ცოლს ღალატი შენიშნა ცოლ-ქმრულ კავშირის; ქალს კი 230 მუხლის ძალით შეუძლია მხოლოდ მაშინ გაეთიშოს ქმარს, თუ ეს უკანასკნელი მასთან ერთ ჭერ-ქვეშ მოიყვანს ხასას. ეს მუხლი გაუქმებულია 1884 წლის 27 ივლისის კანონით, მარა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში დარჩენილია ერთი მეტათ დამახასიათებელი განსხვავება. თუ ცოლს დაუმტკიცდა ქმრის ღალატი, მას სჯიან ციხეში ჩასმით 3 თვიდან 2 წლამდე, ქმარი კი ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზემო-აღნიშნულ 230 მუხლის წინააღმდეგ, თავის ცოლთან ოჯახში მიიყვანს ხასას და ქალი ამაზე საჩივარს განაცხადებს. დამნაშავე ქმარს უსჯიან ამ შემთხვევაში მხოლოდ ჯარიმას 100-დან 2,000 ფრანკამდე (მუხლ. 227 და 339 სისხლის სამართლ. კოდექსი). ასეთი უფლებრივი უთანასწორობა შეუძლებელი იქნებოდა, საფრანგეთის პარლამენტში რომ ქალებსაც ქონოდა ადგილი. ამგვარი სამართალია ბელგიაშიც. ქალს ცოლ-ქმრულ კავშირის დარღვევისთვის იქაც ისეთი სასჯელი მოელის, როგორც საფრანგეთში. ქმარი კი მხოლოდ მაშინ ისჯება, თუ თავის ოჯახშივე ჩაიდინა ცოლ-ქმრობის ღალატი და სასჯელათ ენიშნება ერთი თვიდან ერთ წლამდე დატუსაღება. ამნაირათ, ბელგიაში რამდენიმეთ უფრო სამართლიანი სასჯელია დაწესებული; მარა ორმაგი უფლება, ერთი უფრო მძიმე — ქალისათვის და მეორე უფრო მსუბუქი — კაცისათვის იქაც არსებობს. ასეთივე მუხლებია შეტანილი საფრანგეთის გავლენით ისპანიის და პორტუგალიის კანონმდებლობაში. იტალიის სამოქალაქო სამართლით (1865 წ.), ქალს უფლება ეძლევა გათიშვა მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარს ოჯახში მოყავს ხასა, ან ისეთ ადგილას აცხოვრებს, რომ ამით დიდ შეურაცხყოფას აყენებს ცოლს.

1907 წელს, 21 ივნისს, ძალაში შევიდა ერთი კანონი, რომელმაც შესცვალა Code civil-ის ზოგიერთი მუხლები. იმავე წლის 3 ივლისს, ორთავე პალატამ მიიღო ახალი კანონი; დედაკაცი, ამ კანონის ძალით, სრული მესაკუთრეა ყოველივე იმ ქონებისა, რომელიც მას ან თავის შრომით შეუძენია, ან მემკვიდრობით მიუღია,

ან ნაჩუქარი აქვს. ქმარს აღარ აქვს უფლება ასეთ ქონებაზე. ეს პირველი ნაპრალია საფრანგეთის კანონმდებლობაში; დედაკაცის უფლება ახლა აქ იმ დონეზეა დაყენებული, როგორც ინგლისში 1870 წლის კანონის ძალით იყო. გაცილებით შორს მიდის Code civil-თან შედარებით შვეიცარიის სამოქალაქო კანონი, რომელიც 10 დეკემბერს გამოვიდა და პირველ იანვარს, 1912 წ. ძალაში შევიდა. ეს კანონი წინ უსწრებს საზოგადოთ ბურჟუაზიულ კანონმდებლობას. ადგილობრივი კანონების მაგივრათ, შვეიცარიას ახლა ერთნაირი კანონი აქვს ყველა ადგილებში. აქამდის სხვა-და-სხვანაირი კანონით ხელმძღვანელობდენ ჟენევაში, ვაადტში და იტალიურ შვეიცარიაში. აქ ადგილობრივი კანონები Code civil-ის დამატებას შეადგენდენ. ბერნში და ლიუცერნში ავსტრიის უფლებით ხელმძღვანელობდენ; ურში, უიტერვალდში და სხვაგან აქამდის ძველი ჩვეულებრივი უფლება იყო გამეფებული. ახლა კანონის ძალით უზრუნველყოფილია დედაკაცის და ბავშვების თავისუფლება. ცოლს ახლა საკუთრებათ ეძლევა ერთი მესამედი იმ ქონების, რომელიც მისი დახმარებით აქვს ქმარს შეძენილი. მემკვიდრეობის მხრივაც აქ უკეთეს პირობებშია დედაკაცი, ვიდრე გერმანიაში. მას შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობის ერთი ნახევარი სრულ საკუთრებათ და ნება აქვს ქმართან ერთათ მთელ სიცოცხლეში ისარგებლოს მეორე ნახევრით. იმ მამაკაცს, რომელიც ცოლ-შვილს უყურადღებოთ სტოვებს, არ შეუძლია თავისი გავალებული ქონება აიღოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოვალემ დაქორწინებულ მეუღლეს უნდა გადაუხადოს ასეთი ქმრისგან აღებული ვალი. გათიშულ მეუღლეს აკრძალული არა აქვს ქორწინებით დაუკავშირდეს იმას, ვისთანაც მან ცოლ-ქმრული ღალატი ჩაიდინა (შესაფერი მუხლი (§298) საფრანგეთის Code civil-ში 1904 წელს მოისპო). ცოლ-ქმრის ქონების გაწესრიგებაში აქ ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კანონმდებლობით; ამ შემთხვევაში პირველათ ყურადღება ექცევა მეუღლეობის დროს მომხდარ ხელშეკრულობას. ქორწინების გარეშე დაბადებულ, ე.წ. „უკანონო“ ბავშვებს ნება აქვთ მიიღონ მამისგან არა მარტო საზრდო, არამედ მამის წოდებრივი უფლებებიც. ამ ბავშვებს ეძლევათ ისეთივე უფლება, როგორც „კანონიერ“ ცოლ-ქმრობაში დაბადებულებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მამას წინათვე სიტყვა მიუცია თავის „უკანონო“ ცოლისთვის დაქორწინების შესახებ.

შვეიცაში 1874 წლის 11 დეკემბრის კანონით, ქალს შეუძლია თავისუფლათ მოიხმაროს ის, რასაც პირადი შრომით შეიძენს. დანიის სამოქალაქო კოდექსშიაც (1880 წ.) ასეთი პრინციპია გატარებული. გარდა ამისა, დანიის სამართლით ცოლი პასუხს არ აგებს ქმრის მოვალეობის წინაშე. ამასვე ამბობს ნორვეგიის სამართალი (1888 წლის).[2]

2. უფლებრივ მდგომარეობის განხილვის დროს, ჩვენ ბევრჯერ ვისარგებლეთ ლუი ბრიდელის თხზულებით: “Le droit de femme et le mariage”. Paris, 1893.

ფინლიანდიაში 1889 წელს აქეთ ძალაშია შესული ისეთი კანონი, რომელიც დაქორწინებულ და დაუქორწინებელ ცოლს ერთნაირ უფლებას აძლევს ცოლქმრული ქონების სარგებლობაში. კანონში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი კერძო შემთხვევებისათვის. ნორვეგიის კანონში გამოთქმულია ის აზრი, რომ დედაკაცს ქორწინების შემდეგ თავისუფლება ეკარგება.

„როგორც სკანდინავიაში, ისე სხვა ქვეყნებში საერთო მოძრაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ კანონის ძალით დედაკაცი მესაკუთრეა თავის შრომით შეძენილი ქონების. ეს ჯერ ინგლისში იყო განხორციელებული. გაბატონებულმა კლასებმა ამნაირათ უარყვეს პატრიარქალური დამოკიდებულება ღარიბ მამაკაცსა და მუშა დედაკაცს შორის. ამ „პატარა“ მამაკაცს აღარა აქვს უფლება თავისი ცოლის ნამუშევარი მიითვისოს. თავიანთ წრეებში კი ასე ადვილათ ვერ მოიძულებენ პატრიარქალურ დამოკიდებულებას. იქ მამაკაცს მეტი უფლება უნდა ქონდეს ისე გამოიყენოს თავისი მდიდარი ცოლის ქონება, როგორც მოესურვება“.[3]

დანიის კანონმდებლობამ 1908 წ., 27 მაისს, ერთი ნაბიჯი წასდგა წინ. ვთქვათ, დაქორწინებულმა ქმარმა აღარ მოინდომა თავისი ცოლის რჩენა, ან მამამ ამ მხრივ შვილები დატოვა უყურადღებოთ, – ამ შემთხვევაში ადგილობრივმა თვითმართველობამ უნდა განსაზღვროს ის ხარჯი, რომელიც საჭიროა მათთვის და ეს ხარჯი უნდა გამოიღოს ხოლმე საზოგადოებამ.

ბავშვების აღზრდა და აღზრდის შესახებ განკარგულების მიცემა, სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში უფლებით ეკუთვნის მამას. ზოგიერთგან მეორეხარისხოვან მონაწილეობას იღებს დედაც. ძველი რომაული პრინციპი, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია დედათა უფლების ეპოქის და, რომელიც ამბობს, რომ ყოველი უფლება და უფროსობა შვილებზე ეკუთვნის მამას, ყველგან მთავარი ტონის მიმცემია კანონმდებლობაში.

რუსეთში დედაკაცს შეუძლია მიითვისოს მარტო თანმოყოლილი ქონება. რაც შეეხება მის ნაშრომს, ამ შემთხვევაში ის ქმრისგან არის სავსებით დამოკიდებული. მის ნებადაურთავათ ქალს არ შეუძლია პასპორტი აიღოს და უამისოთ რუსეთში ბინის გამოცვლაც არ შეიძლება. ვთქვათ, დედაკაცმა მოინდომა რაიმე საქმის წარმოება. ის თავის სურვილს ვერ განახორციელებს, თუ ნება არ აიღო ქმრისგან. ქორწინების დარღვევა ისეთ შემავიწროებელ პირობებში არის განსაზღვრული, რომ დედაკაცისთვის თითქმის შეუძლებელია გათიშვა და თავისუფლათ ცხოვრება. აქამდის, როცა თემური წეს-წყობილება არსებობდა, დედაკაცი უკეთეს მდგომარეობაში იყო. ეს იმიტომ, რომ თემში

3. Mar. Weber, Ehfrau und Mutter in der Rechtsentwikelung, Tubingen, 1907.

კომუნისტური ნაშთები ცოცხლობდენ. მაშინ ქალი სრული გამგე იყო თავისი ქონების. კომუნიზმი საზოგადოთ ისეთი სოციალური წყობილებაა, სადაც დედაკაცის უფლებას ფრთები არა აქვს შეკვეცილი. ასე იყო იმ ხანაში, როცა დედის უფლება იყო გამეფებული[4] და, რაც უკვე მოვიხსენიეთ ჩვენ ზემოთ.

შეერთებულ შტატებში ქალებმა მოიპოვეს კერძო უფლებრივი გათანასწორება, მათ ხელი შეუშალეს ინგლისურ და მზგავს კანონმდებლობის შემოღებას პროსტიტუციის შესახებ.

ავგუსტ ბებელი

ბათუმი, სტამბა გ. ს. თავართქილაძისა, 1912

4. რამდენათ მართალია ასეთი შეხედულება, ეს სჩანს არისტოფანის კომედიიდან – „ქალთა ხალხის კრება“. არისტოფანი მოგვითხრობს თავის კომედიაში, რომ ათინის სახელმწიფო წყობილება ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ აღარ იცოდენ რა ექნათ. პრიტანებმა სახალხო კრებაზე კითხვა დაუსვეს ათინელ მოქალაქეთ: „როგორ ვიხსნათ სახელმწიფოო“? – ამის პასუხათ ერთმა კაცურათ ჩაცმულმა ქალმა წინადადება შეიტანა, გადაეცათ სახელმწიფო მართველობა ქალბისათვის და ეს წინადადება, როგორც „ერთათ ერთი დღემდე უცადი“, წინააღმდეგის უთქმელათ იქნა მიღებული. ქალები სათავეში ჩაუდგენ მართველობას და მაშინვე შემოიღეს კომუნიზმი. თავისთავათ ცხადია, არისტოფანი დასცინის მათ კომუნიზმს, მარა აქ დამახასიათებელია ის, რომ რაკი საზოგადოებრივი კითხვების გადაჭრა მიენდო ქალებს, მათ მაშინვე კომუნიზმი შემოიღეს, როგორც ერთათ-ერთი გონიერი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება მათი შეხედულებით. არისტოფანს შეიძლება არც ესმოდა, რა ჭეშმარიტება ღაღადებდა ამ ხუმრობით.

ალექსანდრა დომონტოვიჩი - კოლონტაი

1872-1952

დედაკაცის მდგომარეობა მეურნეობის ევოლუციაში

„ფემინისტ“ ქალების მოძრაობა და მუშა-ქალთა მონაწილეობა კლასობრივ ბრძოლაში

...რამდენიმე ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყანაში დედაკაცნი ამჟამად იმავე პოლიტიკური უფლებებით სარგებლობენ, რითაც მამაკაცები არიან აღჭურვილნი. უფლება შრომაზე ფაქტიურად თითქმის ყველგან მოიპოვეს დედაკაცებმა, ყველა სახელმწიფოში ღიაა მათთვის განათლების მიღების კარები, ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის მოწესრიგებულია იმ მხრით, რომ ქალისათვის აღიარებულია უფრო მეტი უფლებები; მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედაკაცის მდგომარეობა, „ქალთა საკითხი“ მაინც არ არის გადაჭრილი. ფორმალური აღიარება მისი უფლებებისა წარმოების კაპიტალისტური სისტემისა და ბურჟუაზიული წყობილების ბატონობის დროს არ უარყოფს და არ აუქმებს მის პრაქტიკულ დამონებას ოჯახში, მის უფლებებს ბურჟუაზიული საზოგადოების წინაშე, მის დაქვემდებარებას მამაკაცისადმი და, დასასრულ, რაც ყველაზე მთავარია, მის დამოკიდებულებას კაპიტალისტურ ექსპლოატაციაზე.

ბურჟუაზიული ქალთა მოძრაობა ჩიხში მოემწყვდა. გამოსავალს ამ მდგომარეობიდან მშრომელ ქალს მიუთითებს პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასიური მოძრაობა.

მაგრამ ვერც მუშა-ქალმა და ვერც მუშათა კლასმა ვერ შესძლო იმ თავითვე გამოერკვია და შეეგნო, რომ მუშათა კლასის მოძრაობა და მისი საბოლოო მიზანი შეიცავს და ფარავს თვით ქალთა საკითხის გადაწყვეტასაც. მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივი ბრძოლისა და მრავალ ათეულ წელთა მძიმე გამოცდილების გზით შეიგნეს მუშა-ქალებმა და საერთოდ მუშებმა, რომ, როგორც ტექნიკის თანამედროვე განვითარების დროს შრომა უპიროვნო ხდება და იშლება ყოველგვარი საზღვარი მუშა-ქალსა და მუშა-კაცს შორის, ისე პროლეტარული კლასის შიგნით არ არის ადგილი სქესთა შორის ბრძოლისა და სადაც, პირიქით, კლასის ძირითადი მიზანი შეიცავს დედაკაცის განთავისუფლების საკითხსაც.

...უფლება შრომაზე, ნიშნავდა XVIII საუკუნის დასასრულში ამქრებთან ბრძოლას, მაგრამ ამ ბრძოლას არა-კვალიფიციურ მუშების მთელი ნაწილიც, პროფესიონალურ მოძრაობაში ქალთა ჩარევის შესაძლებლობაც სრულიად ეგუება მუშათა კლასის სწორად გაგებულ ამოცანებს. რაც შეეხება თანაბარ ხელფასს თანაბარ შრომისათვის, უნდა ვთქვათ, რომ ეს მოთხოვნა საფუძვლად დაედო პროლეტარიატის მთელ სატარიფო პოლიტიკას. მაგრამ ისიც კია, რომ იშვიათად თუ კლასმა თავისი ჩამოყალიბების პირველ ხანებში გარკვევით შეიგნოს თავისი კლასიური

ინტერესები. ხშირად მთელი რიგი მისი შეცდომებისა გამოწვეულია მისი გამოუცდელობითა და წინდაუხედავობით. მხოლოდ ბრძოლისა და განვითარების პროცესში მტკიცდება და ფართოვდება მისი სოციალ-პოლიტიური შორსმხედველობა.

ასე დაემართა პროლეტარიატს, როდესაც მას მოუხდა გადაეწყვიტა საკითხი დედაკაცის წარმოებითი შრომის ფარგლების შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევარის ისტორია, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ცოცხალ მაგალითებზე (და აგრეთვე იმ ქვეყნების მაგალითებზეც, რომელნიც შემდგომ შედგნენ კაპიტალიზმის გზაზე) გვიჩვენებს, რომ თუ ბურჟუაზიული კლასის დედაკაცს ძალიან გაუძნელდა ინტელიგენტურ პროფესიისაკენ გზის გაკაფვა, მუშა-ქალებს კიდევ უფრო მეტი მტრული თვალით ხვდებოდნენ მათივე კლასიური ამხანაგები თვითეულ ახალ დარგში, სადაც კი თანდათან იჭრებოდნენ დედაკაცები. წარმოების მრავალ დარგში, მაგ., სამანქანო, ბეჭდვითი საქმის წარმოებასა და სხვა დარგებში კვალიფიციური შრომის მუშები აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მუშა-ქალების წარმოებაში დაშვებას. მრავალ პროფესიონალურ კავშირს თავის წესდებაში შეჰქონდა მუხლი, რომლითაც აკრძალული იყო ამ დარგში „დედაკაცის გაუწვრთნელ სამუშაო ძალის შესვლა, ვინაიდან იგი ამცირებდა პატიოსანი მუშის ხელფასს“. უფრო ძლიერი კავშირები წამომწყებებს მოთხოვნილებას უდგენდნენ — არ მიეღოთ სამუშაოზე დედაკაცები. ზოგიერთი მუშა კიდევ უფრო შორს მიდიოდა და თავიანთ კავშირებში დედაკაცები არ შეჰყავდათ. ამ სამწუხარო მოვლენას, რომელიც კლასიურ ერთიანობასა და მთლიანობას ეწინააღმდეგება, მაინც თავისი საფუძველი ჰქონდა. ეს იყო მიზეზი, რაც ხელს უშლიდა ბურჟუაზიული კლასის დედაკაცებს ინტელიგენტური სამუშაო ეშოვათ და მუშა-ქალები კი შრომის დარგში შესულიყვნენ და ამის მიზეზია კვალიფიკაციის, შრომისადმი **პროფესიონალური მომზადების უქონლობა.** მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და ახლაც კი, მუშა-ქალები ჯერ კიდევ გაუწვრთნელ და, მაშასადამე, უფრო იაფფასიან სამუშაო ძალას წარმოადგენენ, რომლის გამოყენებაც უმთავრესად ისეთ დარგებშია შესაძლებელი, სადაც უკვე შრომის მექანიზაციაა მომხდარი. ხოლო იქ კი, სადაც საჭიროა პროფესიონალური მომზადება, დედაკაცს ადგილი არა აქვს. ამიტომ მუშა-ქალის პროფესიონალური განათლების საკითხი დღესდღეობით წარმოადგენს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ქალებისათვის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხს.

მუშები, ებრძოდნენ რა დედაკაცის იაფფასიანი შრომის კონკურენციას, ცდილობდნენ თავისი შეტევა მიემართათ დედაკაცის შრომის კანონმდებლობითი მოწესრიგების მხრით. როდესაც 40-იან წლებში ინგლისში, უფრო დაგვიანებით საფრანგეთში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც ფართოდ განვითარდა მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა შრომის დაცვის კანონებს, პირველ ყოვლისა წამოყენებულ იქნა საკითხი დედაკაცებისა და ბავშვების შრომის განრიგების შესახებ; პროლეტარიატის მხოლოდ შეგნებულ ნაწილს ესმოდა, რომ 10 საათის სამუშაო დღის დაწესება და მცირეწლოვანთა გამორიცხვა წარმოებიდან კლასიური მოთხოვნა იყო, რომელიც სარგებლობას მოუტანდა მთელ კლასს, ხოლო უპირველესად ყოვლისა დედაკაცსა და ბავშვებს.

ფართე მასა სულ სხვაგვარი მოსაზრებით იცავდა ამ მოთხოვნას: მას იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით დედაკაცისა და ბავშვის იაფფასიანი შრომის კონკურენციას შეამცირებდნენ.

სხვადასხვა ქვეყნის მუშებს ხშირად უცდიათ შეეზღუდათ დედაკაცის შრომა წარმოებიდან ქმრიან ქალების გამორიცხვის საშუალებით. მაგრამ საწარმოვო ძალებს ყოველთვის უფრო მეტი ძლიერება აქვს, ვიდრე ცალკე პიროვნებათა ან მთელი კავშირის ნებისყოფას. დედაკაცის შრომა შეუწყვეტლივ იზრდებოდა. თანდათანობით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მუშათა კლასი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს სხვა გზა და საშუალება, რომელიც იაფფასიანი სამუშაო ძალის მატარებელს დედაკაცს არასასურველ კონკურენტიდან ერთგულ მოკავშირედ გადააქცევს მუშის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმის მაგივრად, რომ კავშირების კარები დაეხშოთ მუშა-ქალებისათვის და გამოერეკათ ისინი წარმოებიდან. დღესდღეობით ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის და ნაწილობრივ აზიის ყველა ქვეყნის კავშირის მუშების მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ მილიონი ქალები. მტრული განწყობილება **მუშა-ქალისადმი** ახასიათებს ჯერ კიდევ ჩინეთისა და ნაწილობრივ ინდოეთის პროფკავშირებს, მაგრამ იაპონიაში მუშა-ქალები უკვე დარაზმულნი არიან მუშებთან ერთად. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც პროფესიონალური ორგანიზაციების კარები დახშული იყო მუშა-ქალისათვის, ისინი, ბუნებრივად, ირაზმებოდნენ თავის ცალკე კავშირებში. პროფესიონალური კავშირები განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისში, თუმცა ისინი საფრანგეთში, გერმანიასა და ამერიკაშიც გვხვდება. რამდენადაც მუშათა კლასის მოძრაობა უფრო და უფრო გარკვეულ კლასიურ-რევოლუციურ ხასიათს იღებს, იმდენადვე თანდათანობით ინგრევა ის ზღუდე, რომელიც მამაკაც-მუშას მუშა-ქალისაგან აცილებდა: ქალთა პროფესიონალური კავშირები საერთო კლასიურ კალაპოტს უერთდება.

პროლეტარიატი ეჩვევა იმის გაგებას, რომ რამდენადაც დედაკაცი დაქირავებული შრომის წარმომადგენელია, იმდენად იგი დაქირავებული მუშათა მთელი კლასის თანასწორუფლებიან წევრს წარმოადგენს. გარდა ამისა, რამდენადაც იგი მომავალი დედაა, — პროლეტარიატი, მომავალი მშრომელი კაცობრიობის ინტერესების მიზნით, მოვალეა იბრძოლოს დედაკაცის ინტერესებისათვის და სპეციალური კანონმდებლობით დაიცვას მისი შრომა. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი ჩამოყალიბდა პოლიტიკურ პარტიად და უკვე 60-70-იანი წლებიდან აწარმოებს მებრძოლ კლასიურ პოლიტიკას, მუშა-ქალს აღარ ესაჭიროება გამოვიდეს თავისი განსაკუთრებული პროგრამით.

თანაბარ შრომისათვის თანაბარ ხელფასის მოთხოვნილება ცხოვრების პრაქტიკაში შევიდა; დედაკაცისა და ბავშვის კანონმდებლობით დაცვისა და დედობის უზრუნველყოფის მოთხოვნას იცავენ ეხლაც და მხარს უჭერენ თვით ზომიერი სოციალისტური მუშათა პარტიებიც. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ რამდენადაც შორს არ უნდა მიდიოდეს ყველა ეს მოთხოვნანი, კაპიტალიზმის დროს დედაკაცის

ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და განთავისუფლება ყოვლად შეუძლებელია. ქალთა საკითხის საბოლოო გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ წარმოების ისეთ სისტემაზე გადასვლის დროს, როდესაც დედაკაცი ცნობილი იქნება შრომის ისეთ ერთეულად, რომელიც მუშაობს არა მარტო ოჯახისათვის, არამედ მთელი მშრომელი საზოგადოებისათვის.

დედაკაცის ნამდვილი და ყოველმხრივი განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ კომუნიზმს და აი, სწორედ ამიტომ ქალთა პროლეტარიატის ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი, არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე, თანდათანობით გადადის კომუნისტური პარტიების მხარეზე.

ჩვენ დაგვრჩა აღნიშვნა ერთი არსებითი გარემოებისა, სახელდობრ შემდეგისა: მაშინ, როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, მხოლოდ თანდათანობით მიდიოდა იმ შეგნებამდე, რომ მის კლასიურ ამოცანებში შედის აგრეთვე ბრძოლა დედაკაცის განთავისუფლებისათვის, – მუშათა კლასის ავანგარდმა, სოციალისტებმა, თავიდანვე შეიგნეს ეს კავშირი. XIX საუკუნის დასაწყისის უტოპიური სოციალისტები სენ-სიმონი, ფურიე და მათი მიმდევრები განსაზღვრულ ადგილს უთმობდნენ ქალთა საკითხს და მის გადაჭრას. მართალია, უტოპისტებს არ შეეძლოთ გამოეძებნათ ჭეშმარიტი მიზეზები ქალთა უუფლებობისა, მათ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული ის, რომ დედაკაცის დამონება მას შემდეგ დაიწყო, რაც დედაკაცი ჩამოსცილდა წარმოებით შრომას კოლექტივისათვის; ამიტომაც ისინი ქალთა საკითხის გადაწყვეტას არ უკავშირებდნენ დედაკაცის სავალდებულო შრომას საზოგადოებისათვის; მათ თვალში დედაკაცი ისევ რჩებოდა ცოლად ან თავისუფალ საყვარლად; ე.ი. ასე თუ ისე, იგი იყო მხოლოდ „მეგობარი“ ან თანაშემწე მამაკაცისა, მაგრამ არა დამოუკიდებელი წარმოებითი ერთეული. მაგრამ უტოპისტების დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ რადიკალურად დასვეს დედაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხი არა მარტო შრომისა და სამოქალაქო უფლების სფეროში, არამედ ქორწინებითი ურთიერთობის სფეროშიც. განსაკუთრებით გაბედულად უარყოფდა სენ-სიმონი „ორმაგ მორალს“, პირმოთნე ბურჟუაზიული წყობილების ამ დამახასიათებელ თვისებას. სიყვარულისა და ქორწინებით ურთიერთობის სფეროში სქესთა თანასწორობის იდეას, „გრძნობათა თავისუფლების“ მოძღვრებას, რაც დღის წესრიგში წამოაყენეს უტოპისტებმა, თანაგრძნობით შეხვდნენ და თანდათან გაავრცელეს იგი XIX ს.-ის მთელ რიგ შეგნებულმა ქალებმა, რომელნიც არ ემხრობოდნენ ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობას; ისინი გრძნობდნენ, რომ „ქალთა საკითხი“ უფრო ფართე, ღრმა და მრავალმხრივი იყო, ვიდრე თანასწორი განათლების მიღების ან საარჩევნო ყუთთან მისვლის საკითხი. გრძნობათა თავისუფლების დამცველთა შორის, ყველაზე უფრო ნათელსა და მიმზიდველ ფიგურას წარმოადგენენ საფრანგეთის მწერალი და რევოლიუციონერი ქალი, 48 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე – ჟორჟ სანდი და პირველი ჟურნალისტი ამერიკელი ქალი, რომელიც იმავ ხანებში ცხოვრობდა – მარგარიტა ფულერი. იმდენად არა თავისი მომწიფებული და ღრმად მოფიქრებული ნაწერებით,

რამდენადაც თავისი პიროვნების გავლენით, მარგარიტა ფულერმა წარუშლელი კვალი დატოვა ქალთა საკითხის ამ მხარის გადაწყვეტის საქმეში.

დამახასიათებელია, რომ თავისებურმა უტოპისტმა, მაგრამ პრაქტიკულმა უტოპისტმა, რობერტ ოუენმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კოოპერატიულ მოძრაობას ინგლისში, – იმ თავითვე შეიგნო ქალთა კოოპერაციაში ჩაბმის მნიშვნელობა და მის პირველ კოოპერატივში მუშა-ქალების წევრთა რიცხვი ცოტა არ ყოფილა. თუ თქვენ გაინტერესებთ ეს საკითხი, წინადადებას გაძლევთ წაიკითხოთ რობერტ ოუენის შესახებ დობროლიუბოვის ნაწერები და აგრეთვე სიდნეის და ბეატრისე ვების წიგნი „ტრედ-უნიონები“.

მარქსისა და ენგელსის „კომუნისტურმა მანიფესტმა“ პირველად მოჰფინა ნათელი ქალთა საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით, უმთავრესად, ოჯახისა და ქორწინების მხარეს. ენგელსის წიგნმა „ოჯახის წარმოშობამ“ გააღრმავა და განავითარა „მანიფესტში“ მოყვანილი დებულებანი, ხოლო მარქსის შრომამ „კაპიტალმა“ დაგვანახა, მეორეს მხრით, რომ დედაკაცის შრომა, მისი ზრდა და ექსპლოატაცია კაპიტალისაგან შედეგია წარმოების მსხვილ-კაპიტალისტურ სისტემისა. ამ მომენტიდან „ქალთა საკითხი“ არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც ენასკვება საერთო მუშათა მოძრაობას და მუშათა კლასის ბრძოლას თავისი განთავისუფლებისათვის.

პირველი ინტერნაციონალი თავის პრაქტიკულ მოთხოვნათ დღის წესრიგში აყენებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დედაკაცის შრომასთან. მარქსი კატეგორიულად უარყოფს პირველი ინტერნაციონალის მემარჯვენე წვრილ-ბურჟუაზიული ფრთის წინადადებას, რომელიც მოითხოვდა დედაკაცის შრომის შეზღუდვას „ოჯახის“ ინტერესებისა და შრომის ბაზარზე კონკურენციის შემცირების გულისათვის. სამაგიეროდ, ინტერნაციონალი, რომელსაც დედაკაცის შრომა აუცილებელ მოვლენად მიაჩნდა, არსებითად და კატეგორიულად გამოვიდა დედაკაცის, როგორც დედის, დამცველად და მოითხოვა იმ კანონების ფართოდ განვითარება, რომელიც დედაკაცის შრომასა და ჯანსაღობას იცავდა. ამ დადგენილებებით პირველი ინტერნაციონალი იმ თავითვე ქალთა საკითხის გადაწყვეტის საქმეში დადგა მტკიცე და სწორ ნიადაგზე, რადგანაც მან იცნო ისტორიული აუცილებლობა დედაკაცის შრომისა, როგორც ქალთა განთავისუფლების ფაქტორისა, მაგრამ ამასთან ერთად ანგარიში გაუწია დედაკაცის მეორე სოციალურ მოვალეობასაც – დედობას. ამ საკითხში ნათლად გამოაშკარავდა მთელი ის განსხვავება ქალთა საკითხში, რომელიც ახასიათებდა მუშათა კლასს და ბურჟუაზიულ ფემინისტ ქალებს. ფემინისტი ქალები სცნობენ მხოლოდ თანასწორუფლებიანობის იდეალს; მუშათა კლასი ანგარიშს უწევს იმას, რომ დედაკაცის განთავისუფლების საკითხში არის ორი მხარე, რომ ცარიელი თანასწორუფლებიანობა ვერ გააუმჯობესებს დედაკაცის მდგომარეობას, პირიქით, კიდევაც გააუარესებს მას, რადგანაც იგი გავლენას მოახდენდა მთელი მშრომელი კაცობრიობის სიცოცხლეზე. უფლებათა თანასწორობა, მაგრამ ამასთანავე სახელმწიფოს მხრივ სპეციალური ზრუნ-

ვა დედაკაცზე, როგორც დედაზე, – აი როგორ მიუდგა ამ საკითხს პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდი – კომუნისტური პარტია.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა ბებელის წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი". ეს წიგნი გადათარგმნილია თითქმის ყველა ენაზე – ჩინურსა და იაპონურზედაც კი. მარტო გერმანიაში ეს წიგნი 50 გამოცემაზე მეტს ითვლის. ასეთი გავრცელება წიგნისა ბევრ რამეს ლაპარაკობს თავისთავად. ბებელის წიგნი თავისებური სახარებაა მშრომელი ქალებისათვის. ის, რაც ჩასახული იყო მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში, საიდანაც გამომდინარეობდა I ინტერნაციონალის პოლიტიკა მშრომელი დედაკაცის მიმართ, იგი ბებელმა არა მარტო უფრო ნათლად, მკაფიოდ და პოპულარულად გამოხატა, არამედ განავითარა კიდეც ეს დებულებანი, განამტკიცა ისინი მდიდარი ისტორიული მასალებით. ქალთა საკითხს სულ ახალი ნათელი მოეფინა. ბებელმა ნათლად და მკაფიოდ მიუთითა იმ განუყრელ და მთლიან კავშირზე, რომელიც არსებობს მუშათა კლასის ამოცანებსა და ქალთა განთავისუფლებას შორის. მისი წიგნით აგრეთვე ცხადი გახდა, სად და რაში იყო ძირი და მიზეზი ქალთა დამონებისა და როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ქალთა უუფლებობა. ეს წიგნი არკვევდა აგრეთვე ქალთა განთავისუფლების გზას, – ეს გზა იყო მუშათა კლასის გამარჯვება და კომუნიზმის განხორციელება. ბებელი თავის წიგნში შეეხო ქალთა საკითხის ყოველ მხარეს და გაბედულად დასცინა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოების პირმოთნეობასა და ფარისევლობას ქორწინებისა და სქესის მორალის საკითხებში. მისი წიგნის შემდეგ პროსტიტუციის საკითხი სულ სხვა სახით წარსდგა საზოგადოების წინაშე; ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ეს საკითხიც იმგვარი მოვლენაა, რომელიც საზოგადოების კლასიურ ორგანიზაციასა და კაპიტალისაგან შრომის ექსპლოატაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მაგრამ, ბებელის ყველაზე დიდი დამსახურება იქნებ ის იყოს, რომ მან გარკვეულად ჩამოაყალიბა მუშის ორგვარი მოვალეობა ქალთა განთავისუფლების საქმეში: ერთიანობა ბრძოლისა, ერთიანობა მთავარი და ძირითადი ამოცანისა, მაგრამ ამასთან ერთად გარკვევით აღნიშვნა მუშათა კლასის განსაკუთრებულ მოვალეობისა ქალთა მიმართ, რაც გამომდინარეობს ქალის დედობის ფუნქციიდან.

მართალია, მუშა-ქალთა მოძრაობა საერთო მუშათა კლასის მთლიან მოძრაობის ნაწილია, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც საერთო მოძრაობაში თავისი სპეციალური დავალებანი შეაქვს, რითაც ამდიდრებს და უფრო მრავალფეროვანს ხდის თვით ამ მოძრაობას.

ბებელის წიგნმა ღრმა კვალი დატოვა და დახმარება გაუწია მუშა-ქალებს II ინტერნაციონალის დროს გამოეძებნათ თავისი მოძრაობის სწორი გეზი. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული მუშა-ქალთა მოძრაობა იზრდება და ფართოვდება ყველა ქვეყანაში, უფრო მჭიდროდ უკავშირდება მუშათა კლასის საერთო ბრძოლას. მუშა-ქალები პროფესიონალურ კავშირებსა და სოციალისტური პარტიების წევრად ხდებიან. ისინი მონაწილეობას იღებენ არა მარტო გაფიცვებსა

და მასიურ მოძრაობაში, არამედ პროლეტარიატის ორგანიზაციულ გამოსვლებში, საერთაშორისო ყრილობებსა და დემონსტრაციებში. საერთაშორისო ომის წინა ხანებში პროლეტარიატის რიგებს უკვე ამშვენებს მილიონამდე დარაზმული მუშა-ქალი. და რაც უფრო დამახასიათებელია, ძალიან ხშირად მუშა-ქალები სოციალისტურ პარტიებში შეადგენენ „მარცხენა ფრთას“.

რამდენადაც უფრო ძლიერდება და ვითარდება მუშათა კლასის მოძრაობა და სოციალისტების ბრძოლა თავისი იდეების გასავრცელებლად და განსახორციელებლად, – ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ქალთა უფრო მეტი და მეტი რიცხვი, იმდენად უფრო მრავლდება სოციალისტურ მოძრაობის გამოჩენილ ბელადების და ხელმძღვანელთა, მისი ტეორეტიკოსებისა და პრაქტიკოს ქალების რიცხვი.

თქვენთვის ყველასათვის ცნობილი და ძვირფასია ისეთი სახელები, როგორიცაა ლუიზა მიშელი, პარიზის კომუნის ბრწყინვალე მეთაური, მგზნებარე აგიტატორი, თავდადებული მებრძოლი მუშათა კლასის საქმისა, როზა ლუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, ჰენრიეტა როლან ხოლსტი, ანჟელიკა ბალაბანოვა. მათი დიდი დამსახურება კომუნიზმის საფუძვლების განმტკიცების საქმეში ყველას მიერ აღიარებულია. მათი მოღვაწეობა ჩაქსოვილია III ინტერნაციონალის დაარსების ისტორიაში. მათმა აზრებმა გაამდიდრა მარქსიზმის თეორია.

რუსეთი განსაკუთრებით მდიდარია გაბედული და ძლიერი ქალებით, ისეთი დედაკაცებით, რომელთაც დაუნდობლად გასწყვიტეს ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიულ ტრადიციებთან, შეხედულებასთან და ენერგიულად ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლაში 70-იანი წლებიდან.

რუსეთის სოციალისტური პარტიების ისტორია, რომელთა მოქმედებაც იწყება რუსეთის მუშათა კლასის ჩამოყალიბების მომენტიდან, გვისურათებს ქალთა მრავალ ლამაზ პიროვნებას, რომელნიც აღვსილნი იყვნენ სულიერი სიძლიერით, თავდადებითა და რევოლუციური ნებისყოფით. საკმარისია მოვიგონოთ თუ გინდ მომხიბვლელი პიროვნება ბარდინის ქალისა, ამ პირველი სოციალისტი ქალისა, რომელიც „გავიდა ხალხში“, რათა დაბალ წრეში, საუკუნეობრივი სიბნელისა და უუფლებობის წიაღში, ჩაეყარა ახალი სიმართლის – სოციალიზმის თესლი. მას უკან მიჰყვებიან თავდადებული დები სუბბოტინები, მტკიცე ხასიათის და გაბედული ლებერნის ქალი, თავგანწირული ლიუბატოვიჩი. ვერც ციხე, ვერც გადასახლება და ვერც სიკვდილი ვერ ამარცხებს სოციალიზმის ამ პირველ მებრძოლთა სულში შეურყეველ ნებას და ცხელებრივ აღგზნებულ ერთგულებას მშრომელთა განთავისუფლების იდეებისადმი.

მათ თან მიჰყვება 80-იანი წლების დასაწყისის უშიშარი ტერორისტი ქალები. ჩვენ წინ დგას ძლიერი ნებისყოფის პატრონი, „მამაკაცისებური“ გონებით დაჯილდოვებული სოფიო პეროვსკაია, რომელსაც შეეძლო დაემონებინა რევოლუციის საქმისათვის თავისი ქალური „მე“ და თავისი სიყვარულით სავსე და აღგზნებული გული. მის გვერდით ვხედავთ მეფის ჯალათების მიერ ნაწამებ მუშა-ქალის გესია

გელფმანის მომხიბლავ სახეს... ვერა ფიგნერი, ვოკენშტეინი, ვერა ზასულიჩი – ეს მთელი გალერეა რევოლუციის გმირი-მოწამე ქალთა სახელებისა.

„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რევოლუციურ მარქსისტულ მოძრაობას რუსეთში, დაარსებული იყო არა მარტო პლეხანოვისა და აქსელროდის მიერ, არამედ ვერა ზასულიჩის მიერაც. მისი მეცნიერული ნაშრომები ეხლაც ძვირფას განძს წარმოადგენს მარქსისტულ ლიტერატურაში.

III ინტერნაციონალის დაარსების შემდეგ მუშა-ქალთა მოძრაობა პროლეტარიატის ორგანიზაციულ რევოლუციური ბრძოლის განუყრელ შემადგენელ ნაწილად შეიქნა, რაც აღიარებულ იქნა განსაკუთრებულ რეზოლუციაში III ინტერნაციონალის 1919 წლის პირველსავე კონგრესზე. რაც უფრო ძლიერდება რევოლუციური მუშათა მოძრაობა, რაც უფრო ფართოა ის მიზნები, რომელსაც იგი ისახავს, მით უფრო იზიდავს იგი მუშა-ქალთა მოძრაობას და მით უფრო უადვილდება პროლეტარიატს თავისი დიქტატურის ხანაში გახსნას ქალთა საკითხის დახლართული კვანძი, რომლის გახსნაც არ შეეძლო ბურჟუაზიულ წეს-წყობილებას. რაც უფრო ვუახლოვდებით მუშათა კლასის გამარჯვებას და კომუნიზმის ძლევამოსილებას, მით უფრო დიდმა სიხარულმა უნდა აღავსოს მშრომელ ქალთა გული. ეხლა თვით დედაკაცებზე, მათ შეგნებასა და რევოლუციურ აქტივობაზე არის დამოკიდებული მათი სრული განთავისუფლების ჟამის მოახლოვების დაჩქარება.

ვათავებთ რა დღევანდელ, ისედაც გაჭიანურებულ, ლექციას, ერთხელ კიდევ ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: შესაძლებელია თუ არა დედაკაცის დაბრუნება სახლსა და ოჯახში? გარდა იმისა, რომ თვით მეოჯახეობა ისპობა და ზედმეტი ხდება, იძულებულნი ვხდებით მივუთითოთ იმ მეორე ძირითად მიზეზზედაც, რომელიც სავსებით შეუძლებელს ხდის დედაკაცის წარმოებიდან გამორიცხვას. ეს არის შეუწყვეტელი ზრდა **საწარმოო ძალებისა.** ეს ზრდა იწვევს სამუშაო ძალის უფრო მეტ და მეტი რიცხვის ჩათრევას. წარმოების ტექნიკა ჯერ კიდევ სავსებით იმაზეა აშენებული, რომ თვითეული ახალი გამოგონება, ამცირებს რა ცოცხალ შრომას წარმოების რომელიმე დარგში, დაუყოვნებლივ იწვევს მეორე დარგში სამუშაო ძალის მოთხოვნილების გაზრდას, თუ გინდ იმ დარგშიც, სადაც ეს გამოგონება სრულდება. მეურნეობის განვითარება გვიჩვენებს, რომ სამუშაო ძალებით წარმოების სრული დაკმაყოფილება კიდევ დიდხანს იქნება შეუძლებელი. ტექნიკის ზრდასთან ერთად შეუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილებაც. კაცობრიობა კმაყოფაზე ჯერ კიდევ შორს არის. იგი არსებითად ისევ ღარიბია, რადგანაც კულტურული მონაპოვარნი ჯერჯერობით კვლავ უმცირესობის კუთვნილებას შეადგენს. ხოლო ვიდრე ცოცხალი სამუშაო ძალის მოთხოვნილება ზრდაში იქნება, გაიზრდება დედაკაცის სამუშაო ძალის, მისი შრომის ენერგიის მოთხოვნილებაც. დღესვე დედაკაცის შრომა სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი შეიქნა. აბა თქვენ თვითონ ჩაუფიქრდით, როგორი სამეურნეო კატასტროფა მოხდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს რაიმე ხელოვნური საშუალებებით წარმოებიდან იმ 70 მილიონამდე დედაკაცის გამორიცხვა, რომელნიც მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში ჩაბმულნი

არიან სახალხო მეურნეობის ორომტრიალში? ეს იქნებოდა უდიდესი პერტურბაცია მთელი მსოფლიო წარმოებისა, გაკოტრება და დაღუპვა მრეწველობის მთელი დარგებისა. XIX საუკუნეში დედაკაცის შრომამ წარმოებაში განსაკუთრებით მტკიცე საფუძველი მიიღო. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ შესაძლო იყოს იმ მიზეზთა მოქმედების შეწყვეტა, რომელნიც ამ შრომის ზრდას იწვევს. ხოლო პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლისას და კომუნისტური წარმოების შექმნის დროს დედაკაცის შრომა სახალხო მეურნეობაში საბოლოოდ განმტკიცებული იქნება. რუსეთის მაგალითი ამას აშკარად გვიმტკიცებს. „ვინც არ შრომობს, დაე, ნურც სჭამს“, – ასეთია ის ლოზუნგი, რომელზედაც შენდება კომუნიზმი. შრომა ხდება სავალდებულო შრომის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის. ხოლო თუ კი ეს ასეა, ცხადია, რომ დედაკაცის დაბრუნება ოჯახში წინანდელი უუფლებობისაკენ ყოვლად შეუძლებელია.

დედაკაცის მდგომარეობა, მისი უფლებები და მნიშვნელობა საზოგადოებაში განისაზღვრება მისი როლით სახალხო მეურნეობაში. ასეთი იყო ძირითადი დებულება ჩვენი ლექციებისა. და სწორედ მას მივყევართ ჩვენ იმ მტკიცედ დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ დედაკაცის საუკუნოებრივი უუფლებობის, დამონებისა და დამორჩილების დღეები უიმედოდ დათვლილია.

კომუნიზმი, რომელიც წარმოებას საყოველთაო შრომის ახალ საფუძვლებზე აწყობს, გზადაგზა გადაწყვეტს საბოლოოდ ქალთა საკითხსაც.

სხვა გზა ამ საკითხის გადაჭრისათვის არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს...

ალექსანდრა კოლონტაი

„დედაკაცის მდგომარეობა მეურნეობის ევოლუციაში“,
ლექციები წაკითხული ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში.
თფილისი, გამომცემლობა „წითელი წიგნი“, 1923